საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი

დიმიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ათ ტომად

დიმიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ტომი III

ბატონყმობა
საბანკო-საკრედიტო საქმე
იურიდიული თხზულებები

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთო

თამაზ ჯოლოგუამ

თბილისი 2018

UDC (უაკ) 336.712:332(479.22)+94(479.22)„1864“+340
ყ-561

დიმიტრი ყიფიანის ათტომეულის მესამე ტომში შესული თხზულებები ეხება ბატონყმობას, საბანკო-საკრედიტო საქმესა და იურიდიულ საკითხებს. შემდგომ ტომებში შევა ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობით საქმესთან დაკავშირებული ტექსტები, რეცენზიები, საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, სახელმძღვანელო „ახალი ქართული გრამმატიკა“, ავტობიოგრაფიული ნაწერები (მათ შორის, დღიურები და „მემუარები“), სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები, დაუმთავრებელი თხზულებები და, დასასრულ, ოფიციალური, საქმიანი და კერძო მიმოწერა.

დიმიტრი ყიფიანის ნაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქამდე არ გამოქვეყნებულა, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის და, ვფიქრობთ, დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორები:
ბეგო ბეჟუაშვილი
რევაზ გოგია

ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი)
ISBN 978-9941-9606-5-9 (III ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2018





ს ა რ ჩ ე ვ ი

ბატონყმობა

ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და
გურიაში 11 398
თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ 92 406
მუსლიმთა უმაღლესი წოდების უფლებების შესახებ..... 111 412
ბატონ-ყმობა..... 128 416
ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი
ბატონ-ყმობის საქმეზედ..... 133 419
დებულების პროეკტი მკვიდრი-ყმობისაგან
განთავისუფლებულთა გლეხთათვის საქართველოში
ე. ი. ტფილისის გუბერნიაში 193 434

საბანკო-საკრედიტო საქმე

კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავი ქონების
სააქციო-საკრედიტო კომპანიის წესდების
პროექტი 203 441
თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის
შესახებ 213 448

იურიდიული თხზულებები

შენიშვნები ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილ
სასამართლო წესდებათა გამოყენების შესახებ.... 247 454
ესკიზები სტატიისთვის „შენიშვნები ამიერკავკასიაში
სასამართლო რეფორმის შესახებ“ 278 456
წერილი ალექსანდრე ფრენკელს 301 460

დანართი

შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა
საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა
ბატონ-ყმობაზედ 306 463

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის 395
დამოწმებანი 472
შემოკლებანი 481

საძიებლები:

პირთა 483
გეოგრაფიულ სახელთა 553

ბატონყმობა

ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში

საბჭოს 1846 წლის 4 სექტემბრის სხდომაზე[1] შემუშავებული დებულებით დამევალა მოხსენების მომზადება იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ საქართველოში,• იმერეთსა და გურიაში და რა დამოკიდებულებაა ამჟამად მებატონეებსა და მათს გლეხებს შორის.

მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორის მიერ ა. წ. 28 ივნისს გამოგზავნილი საქმეების გაცნობის შემდეგ ასეთი სურათი გამოიკვეთა:

საქართველოში გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი თავდაპირველად მმართველ სენატში 1820 წელს დაისვა. ადგილობრივი ხელისუფლებისგან გამოთხოვილი იმ ინფორმაციის განხილვისას, რომელიც შეეხებოდა საკითხს, თუ რა საფუძველზე შეეძლოთ რუს ჩინოვნიკებს ქართველი შინაყმების შეძენა, მმართველმა სენატმა [...••] რა საფუძვლებზეა აგებული საქართველოში გლეხთა მდგომარეობა.

• **აქ და ქვემოთ:** რუსეთის იმპერიის იმდროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, **საქართველოში** იგულისხმება აღმოსავლეთი საქართველო (საქართველოს — შემდგომში თბილისის — გუბერნია). **თ. ჯ.**

•• „ამის ქვემოთ საბუთი დაზიანებულია: მოხეულია ოთხი სტრიქონი. შინაარსის მიხედვით კი გამოტოვებული 4 სტრიქონის აზრი ასეთი უნდა იყოს: მმართველმა სენატმა ამ საკითხის გარკვევა მიანდო შინაგან საქ. სამინისტროს, ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ეს დაავალა საქართველოს მთავარმმართველს, გენ. ერმოლოვს“.

შ. ჩხეტიას შენიშვნა (ჩხეტია 1950: 49).

საქართველოს ყოფილი უმაღლესი ხელისუფლების საერთო კრების მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე გენერალმა ერმოლოვმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველს, ბარონ კამპენგაუზენს, 1823 წლის 31 დეკემბერს აცნობა, რომ ქართველი შინაყმები მებატონის სრულ მფლობელობაში იმყოფებიან და მათი გაყიდვაც შეიძლება, დაგირავებაცა და გაჩუქებაც.

ეს გარემოება აისახა მმართველი სენატის მიერ სახელმწიფო საბჭოში განსახილველად შეტანილ მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა იმ ქართველი შინაყმების აღწერას,[2] რომელთა შეძენაც რუსებს შეეძლოთ. მაგრამ, როცა სახელმწიფო საბჭოში განხილვის შემდეგ ხსენებული საქმე დასამტკიცებლად ხელმწიფე იმპერატორს წარედგინა, მისმა უდიდებულესობამ მაშინ, 1826 წლის იანვარში, უმაღლესად ინება გაეგო: რას ეყრდნობოდა საქართველოს მმართველობის უფლება [...•••] საქართველოს ხელისუფლებამ მიუთითა რუსი თავადაზნაურობის ზოგად უფლებებზე, მოახსენა ეს ხელმწიფე იმპერატორს და საკითხის გარშემო მიმოწერაც აქ შეჩერდა.

1841 წლისთვის, ისევე, როგორც საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებიდანვე, ხელისუფლების მიერ ბატონყმობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა საერთო-საიმპერიო კანონმდებლობის საფუძველზე ხდებოდა და ასეთი ვითარება არც ერთი ოფიციალური აქტით არ დარღვეულა.

1841 წელს მთავარმმართველობის საბჭომ დააყენა საკითხი ამ კანონმდებლობის შეჩერების შესახებ, თუმცა წინადადება უარყოფილ იქნა, რადგანაც არ არსებობდა არავითარი საამისო საფუძველი, გარდა იმ ეჭვისა, რომლის თანახმადაც, ბატონყმობა საქართველოში ადრე არ არსებობდა. ეს ეჭვი კი აღძრა სახელმწიფო საბჭოს ყოფილმა წევრმა, ბარონმა განმა. 1839 წელს მან სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ამიერკავკასიაში ახალი საფინანსო სისტემის შემოღებისთვის უნდა მოემზადებინა ნიადაგი.[3] ბარონი განი სხვათა შორის ამასაც წერდა – საქართველოში ფეოდალიზმით განპირობებული ადრინდელი ვასალური ურთიერთობა ყმობაში მხო-

---

••• „ამის შემდეგ საბუთი დაზიანებულია, აკლია ოთხი სტრიქონი“.
შ. ჩხეტიას შენიშვნა (ჩხეტია 1950: 49).

ლოდ უკანასკნელი მეფეების დროს გადაიზარდაო. ბარონი განის ეს მოსაზრება ფაქტებით არ მტკიცდება, ისევე როგორც, სხვათა შორის, არ მტკიცდება მისი აზრი ქართველი გლეხობის უკიდურესი გაჭირვების შესახებ. სინამდვილეში ბატონყმობა საქართველოში გაცილებით უფო ადრე ჩამოყალიბდა და იგი მკაფიოდ იკვეთება ქართულ კანონებსა და ზნე-ჩვეულებებში, რომლებიც ვახტანგ მეფემ შეკრიბა და გამოსცა 1710-იან წლებში. ქვემოთ, თავის ადგილას, ამაზე ვრცლად ვიმსჯელებთ.

ბოლო რომ მოღებოდა გაუგებრობებს, რომლებსაც მებატონეთა მხრიდან გლეხების ურჩობით გამოწვეული, აგრეთვე, თავისუფლების მაძიებელი გლეხების მიერ მძიმე ბეგარასთან დაკავშირებული საჩივრები წარმოშობდა (ასეთი საჩივრები ხელისუფლებაში მხოლოდ თავისუფლების მაძიებელი გლეხებისგან შედიოდა), 1841 წლის 30 აპრილის უმაღლესი რესკრიპტითა და 1842 წლის 12 ნოემბრის №18 განკარგულებით გენერალ გოლოვინს ამიერკავკასიის მხარეში მებატონეთა და გლეხთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ პროექტის მომზადება დაევალა. 1843 წლის 17 თებერვალს აწ განსვენებულ გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარტს უმაღლესად ებრძანა, რომ ხსენებული პროექტი რაც შეიძლება სწრაფად, ამასთანავე, მთელი თავისი სისრულით, სიზუსტითა და სიცხადით შემუშავებულიყო.

საკითხის გარშემო შეკრებილი ინფორმაციის განსახილველად საბჭოს სპეციალური კომიტეტის შექმნა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ხელმწიფე იმპერატორმა ინება, კომიტეტის მუშაობა ჩატარებულიყო გასაიდუმლოებულ პირობებში და მიღებულიყო ყოველი აუცილებელი ზომა არასასურველი განწყობილებების თავიდან ასაცილებლად, როგორც ეს ამ საკითხის შესწავლა-განხილვისას ადრე ხდებოდა. შემდეგ: ამ საქმის დაბოლოება, იმავდროულად, მუსლიმთა უმაღლესი წოდების უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა და სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებულ განზრახულებათა სისრულეში მოყვანა მათ შორის არსებული მჭიდრო კავშირის გამო ერთობლიობაში უნდა განხორციელებულიყო.

ამის შემდეგ საკითხთან დაკავშირებით მთავარსამმართველოში შემოსული ინფორმაციის დამუშავება დაევალა კანცელარიის დირექტორს, სამოქალაქო მრჩეველ ვასილკოვსკის, რომ-

ლისთვისაც უშუალო ხელმძღვანელობა საბჭოს წევრს, გენერალ-ლეიტენანტ ჭავჭავაძეს, უნდა გაეწია. მაგრამ მათი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხსენებულმა პირებმა დაკისრებული დავალების შესრულება ვერ მოასწრეს. ამასობაში თავი იჩინა ზოგიერთმა კერძო ხასიათის საკითხმა, რომელთა გადაწყვეტა დებულების პროექტის შედგენამდე გადაიდო.

ასე და ამგვარად, საქმეების გაცნობამ იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ მთავარმმართველობის საბჭოს ამჟამად მოუწევს, გამოარკვიოს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული გარემოებები:

1. ბატონყმობის სამართლებრივი სივრცე საქართველოში, იმერეთსა და გურიაში;

2. გლეხებისა და მათი მებატონეების ურთიერთობის წესები;

3. გლეხთა მიერ თავისუფლების ძიების აღკვეთის საშუალებათა შემუშავება და, ამასთანავე, საამისო ღონისძიებათა შესახებ დასკვნის მომზადება;

4. საქართველოში გადმოსახლებული იმერლების შესახებ;

5. სამეგრელოდან გადმოსახლებულთა შესახებ;

6. ტყვედნამყოფ გლეხთა უფლების შესახებ, მოიპოვონ თავისუფლება;

7. იმერელი მებატონეების უფლების შესახებ, აიყვანონ მოახლეები;

8. გურიაში ზოგიერთი პირის უფლების შესახებ, საკუთრებაში იყოლიონ გლეხები;

9. მებატონეთა უფლების შესახებ, გადასახლებით დასაჯონ გლეხები.

სათანადო ცნობები ყველა ამ საკითხის გარშემო აქ ზემოაღნიშნული თანამიმდევრობით გვაქვს გადმოცემული.

1. ბატონყმობის სამართლებრივი სივრცე

ბატონყმობის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები ეყრდნობა პრინციპს, რომ გლეხი ეკუთვნის მებატონეს, მასვე ეკუთვნის მიწა, რომელზედაც ეს გლეხი ბინადრობს; მებატონეს უფლება აქვს ეს თავისი საკუთრება გადასცეს სხვა პირს და, ბოლოს, მებატონეს აქვს უფლება, განკარგოს კუთვნილი გლეხის ქონება.

ვახტანგ მეფის მიერ შეკრებილი ადგილობრივი კანონები, რომლებსაც ეს დასკვნა ეყრდნობა, 7 განყოფილებისგან შედგება:

1. სამართალი ვახტანგისა, რომელიც საქართველოში ძველთაგანვე დაკანონებულ ზნე-ჩვეულებებს მოიცავს; 2. სამართალი ბერძნული, გამოკრებილი იუსტინიანეს, ლეონ ბრძენისა და სხვათა კანონებიდან; 3. სამართალი სომხური, რომელიც ძველადვე საფუძვლად ედო დიდი სომხეთის სჯულისდებას; 4. აღბუღა ახალციხის ათაბაგის სამართალი; 5. მოსეს სამართალი ძველი აღთქმიდან; 6. სამართალი გიორგი V-ისა, შედგენილი საქართველოს მთიანეთისთვის და შემდეგ ზოგადქართულ კანონმდებლობას დამატებული და 7. სამართალი კათალიკოსთა. დასასრულ, აქვეა საგანგებოდ შედგენილი ნაკრები ზნე-ჩვეულებებისა, ქართველ მეფეთა მიერ რომ არის დაკანონებული და გათვალისწინებულია რუსული ხელისუფლების მიერ.

1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესად დამტკიცებულ დებულებაში წერია: „სამოქალაქო საქმეთა წარმოება უნდა მოხდეს ქართული ჩვეულებითი სამართლისა და ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, ხოლო რაიმე ნაკლულევანებისა თუ ხარვეზის შემთხვევაში – რუსული საერთო-საიმპერიო კანონმდებლობით“.[4]

ამ საფუძველზე აქაურმა მმართველობამ ე. წ. ვახტანგ მეფის კანონთა კრებული აიღო როგორც ერთი მთლიანობა, შემდეგ გამოკრიბა მისი ცალკეული მონაკვეთები, გაამთლიანა ეს მონაკვეთები და განურჩევლად და კონკრეტული საქმის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად დაიწყო მათი გამოყენება. არადა, ვახტანგის კანონების ცალკეულ მონაკვეთებში ზოგჯერ ერთი და იმავე საგნის მიმართ განსხვავებული მიდგომებია. ვახტანგის კანონთა კრებულის შემუშავება-გამოცემის დროს საქართველოს სამეფოში ბევრი გაჩანაგებული და უკაცრიელი მიწა იყო. ამ მიწებზე სპარსეთსა და თურქეთში მცხოვრებ იმ ქრისტიანთა მოსაზიდად, რომლებიც იქ მუსლიმ მმართველთა მეტ-ნაკლებ ჩაგვრას განიცდიდნენ, საქართველოს ხელისუფლება გადმოსახლებულებს ზოგიერთ პრივილეგიასა თუ მათივე ძველი კანონებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას უნდა დაჰპირებოდა. ზოგიერთ სხვა გარემოებასთან ერთად ძირითადად ამ მიზნით შევიდა ვახტანგ მეფის კანონთა კრებულში ბერძნული და სომხური სამართლის ნორმები,

რომლებიც მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულებზე ვრცელდებოდა – როცა ამა თუ იმ შემთხვევის განხილვისას საქმე საკუთრივ ქართული კანონებით ვერ გვარდებოდა, გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ სამართალზე დაყრდნობით მიიღებოდა.

ვახტანგის კანონთა კრებულისადმი, როგორც დაუშლელ-დაუყოფელი მთლიანობისადმი, მიდგომამ წარმოშვა ბარონ განის შეხედულება, თითქოს ადრე საქართველოში ბატონყმობა არ არსებობდა. საქმე ისაა, რომ კრებულში შესულ სომხურ სამართალში (მუხლი 171) ნათქვამია: „აზატია დამბადებელისაგან კაცთაგანი ბუნება, მაგრამ პატრონყმობა ამისა ნდომებითა იქმნა მიწისა და წყლისა. და ვისაც არა აქუს მიწა და წყალი, ის კაცი აზატია, სადაც უნდა წავიდეს, არ არის სამართალი ხელმწიფეთაგან და თავადთაგან ძალად დაჭერა და დაყენება ერთ ადგილს, გინდა და არა იქ იყაო“.[5]

თუ კარგად დავაკვირდებით ამ მუხლის აზრს, დავინახავთ, რომ ადამიანის პირადი თავისუფლების დაცულობა არ გამორიცხავს ბატონყმობის არსებობას, რადგანაც ამ მუხლში ლაპარაკია მიწაზე ადამიანის დამოკიდებულების, როგორც ამ ადამიანის თავისუფლების შემზღუდავი პირობის, შესახებ. სომხური სამართლის სხვა მუხლები მკაფიოდ ადასტურებს ბატონყმობის არსებობას: ყმათა ყიდვა-გაყიდვის დაშვება (მუხლები 14 და 21), კაბალითა და ქორწინებით ყმობა (მუხლები 32, 33, 37, 75 და 76) და უფლება მემამულისა, იპოვოს და დაიბრუნოს გაპარული გლეხი (მუხლები 24 და 25). ეს კანონები, როგორც უკვე ითქვა, იხმარებოდა სხვა ქვეყნებიდან გამოსულთა და უშენ და ნაოხარ მიწებზე დასახლებულთა მიმართ ყოფილ დისტანციებში: ყაზახის, შამშადილის, ბამბაკ-შურაგელისა და, ნაწილობრივ, სომხეთსა[6] და თრიალეთში. ხოლო საქართველოსა და თანამოძმე იმერეთსა და გურიაში საკუთრივ ქართული კანონები მოქმედებდა. ამ კანონების მიხედვით კი:

ბატონს უფლება ეძლევა სხვადასხვა ფორმით გაყიდოს ან გაასხვისოს საკუთარი გლეხი (მუხლები 162, 260);

გლეხი და ყველაფერი, რაც მას მოეპოვება, მთლიანად ბატონის კუთვნილებაა (მუხლი 260).

თავისუფალი კაცი, რომელიც საკუთარი ნებით ეყმო ბატონს ან სხვა ფორმით დაექვემდებარა მას, ამ ბატონის საკუთრება ხდება (მუხლები 198-261);

თუ ყმა სხვა ბატონს მიუვიდა, ძველ ბატონს მინიჭებული აქვს უფლება, გარკვეულ ვითარებაში დაიბრუნოს იგი (მუხლები 199, 200, 201, 262);

ყმის უძრავ-მოძრავი ქონება ბატონის სრულ გამგებლობაშია (მუხლი 258).

დასასრულ, ერთადერთი შეზღუდვა ბატონისა ყმის მიმართ არის ის, რომ ხელმწიფის ნებართვის გარეშე ბატონს არ შეუძლია დანაშაულისთვის ყმის სიკვდილით დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონს ხელმწიფის რისხვა დაატყდება თავს, ხოლო გლეხსა და მის მემკვიდრეებს არა აქვთ უფლება, მოითხოვონ საზღაური (მუხლი 95).

259-ე მუხლში სხვათა შორის ნათქვამია: „თუ ყმამ ეს შეიტყო, რომ ბატონს ჩემს მოვრჩებიო, ბევრი ავი იქნება“. შესაბამისად, კანონში მოცემულია გაფრთხილება, რა შეიძლება მოჰყვეს გლეხის მცდელობას, გათავისუფლდეს ბატონისაგან.

ასეთია ბატონყმობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები საქართველოში, იმერეთსა და გურიაში. ხოლო ყველა ამჟამინდელი დაწესება, როგორც საკუთრივ ქართული, ისე საქართველოს სინამდვილეში დამკვიდრებული და რუსული ხელისუფლების მიერ შეთვისებული ბერძნული და სომხური სამართლის ნორმები, რუსეთის საერთო-საიმპერიო კანონმდებლობის შესაბამისად დაწვრილებითაა მოცემული იმ წეს-კანონებში, ბატონსა და ყმას შორის უფლებრივ ურთიერთმიმართებას რომ განსაზღვრავს.

2. დამოკიდებულება ყმებსა და მათს მებატონეებს შორის

საბატონო ძალაუფლების სამართლებრივ სივრცეში მოქმედი ზემოაღნიშნული კანონები, ეჭვს გარეშეა, გლეხობისგან ბეგარის მოთხოვნასაც გულისხმობდა და ეს ყველაფერი შესაბამისობაში იყო მოყვანილი როგორც გლეხთა ქონებრივ მდგომარეობასთან, ისე დროის სულისკვეთებასთანაც. დროთა მიმდინარეობაში, რასაკვირველია, ზოგი საჭიროება ქრებოდა, ზოგი სახეცვლილებას განიცდიდა, ზოგი კი წარმოიშობოდა, როგორც სიახლე. დროითა თუ გარემოებებით გამოწვეული ამგვარი ცვლილებები თავისთავად ბუნებრივი რამ არის, თუმცა ისინი (ეს ცვლილებები) თავი-

სუფლების მაძიებელ გლეხს საშუალებას აძლევდა, გამოეთქვა უკმაყოფილება ბეგარის სიმძიმის შესახებ, თავისი უკმაყოფილება კი იმით დაესაბუთებინა, რომ მისგან ითხოვდნენ იმაზე მეტს, ვიდრე ადრე ახდევინებდნენ.

თავდაპირველად სწორედ ამის გამო დაიბადა იდეა, რომ მკაფიოდ განსაზღვრულიყო მებატონეებისთვის განკუთვნილი ბეგარა, რათა ამ უკანასკნელთ მოსპობოდათ საშუალება, გლეხებისთვის დადგენილზე მეტი ბეგარა მოეთხოვათ, ამით კი თავისუფლების მაძიებლებს ეს მიზეზი გამოეცლებოდათ ხელიდან. თავის მხრივ, თავისუფლების ძიებით გაღიზიანებულ მებატონეებს თავისთავად მოესპობოდათ ამ ნიშნით ყმების ჩაგვრის საბაბი; ყმებისა, რომელთა კეთილდღეობაზეც არის დამოკიდებული თვითონ მებატონეთა კეთილდღეობა.

აღნიშნული იდეა თავდაპირველად წამოაყენა საქართველოს ყოფილმა პროკურორმა ჩილიაევმა, რომელიც გენერალ ერმოლოვისადმი თავის 1823 წლის 13 ივლისის პატაკში წერდა, რომ გლეხების მიერ თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებისას, ჩვეულებრივ, მიზეზად მებატონეთა მიერ ბეგარისა თუ გამოსაღების გაზრდა იკვეთებოდა. მებატონეს, იმის შიშით, რომ გლეხობა ხელიდან გამოეცლება, ზომა აქვს დაკარგული, დაუნდობელი ხდება გლეხთა მიმართ და მისგან შეუფერებლად გაზრდილ ბეგარას მოითხოვს, გლეხები კი ამის საპასუხოდ ზოგჯერ ყოვლად ზომიერ ბეგარაზეც კი უარს ამბობენ.

ამას ის მოჰყვა, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების საერთო საკრებულოს დაევალა, მოეწვია თავადაზნაურობის წინამძღოლები, აგრეთვე, ყველაზე ცნობილი მებატონეები და მათთან ერთად განესაზღვრა ცალ-ცალკე, თითოეულ ქალაქსა და მაზრაში, თავისუფლების მაძიებელ გლეხთაგან მებატონის სასარგებლოდ გადასახდელი გამოსაღებისა და ბეგარის ოდენობა.

საერთო საკრებულომ, გაარკვია რა შეძლებისდაგვარად გლეხთა დაბეგვრასთან დაკავშირებული გარემოებები, 1826 წლის 30 აპრილს ეს მასალა საქართველოს მთავარმართებელს წარუდგინა და, ამასთანავე, თავის მხრივ, დაურთო: ვინაიდან გამოსაღები და ბეგარა საქართველოში არ არის თანაბარზომიერი და გადახდის ფორმა და მოცულობა დიდწილად მებატონის ნება-სურ-

ვილზეა დამოკიდებული, ყოველგვარი გაუგებრობისა თუ სირთულის აღმოსაფხვრელად შესაძლებელია დადგინდეს – თავისუფლების მაძიებლებს, რომლებსაც მებატონისათვის ღვინისა და პურის, ანუ კულუხისა და ღალის, გადასახადი ევალებათ, დაეკისროთ ბეგარის სახით მებატონის სასარგებლოდ კვირაში ორი დღის მუშაობა, ხოლო ვინც აღნიშნულ გამოსაღებს არ გადაიხდის, მათთვის განისაზღვროს კვირაში სამი დღის მუშაობა.

მაშინ ეს საქმე მთავარმართებელმა ვერ დაასრულა,[7] თუმცა 1830 წელს საკითხი განიხილეს ამიერკავკასიის მხარის სარევიზიოდ ჩამოსულმა სენატორებმა: გრაფმა კუტაისოვმა და ობერ-ბერგჰაუპტმანმა მეჩნიკოვმა. 1831 წლის 28 ნოემბერს მათ გენერალ-ფელდმარშლის, ვარშავის თავადის, გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის, თანხმობით საქმე უმაღლესად დასამტკიცებლად წარადგინეს. საქმე ისაა, რომ 1827 წლის 24 მარტის ბრძანებულებით, ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად რუსულს გაუთანასწორეს და ამით უმაღლეს წოდებასა და მის მფლობელობაში მყოფ გლეხობას შორის რუსეთში არსებული მდგომარეობა საქართველოზეც გავრცელდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული უფლებები არც რუსეთშია მკაფიოდ და ცალსახად განსაზღვრული. ეს ახალი უფლებები უნდა შემოსულიყო თანდათანობით, გზადაგზა მოესპო აქ არსებული მრავალრიცხოვანი და მრავალგვაროვანი ფორმები ბეგარისა და ბეგარის რუსული წესი დაემკვიდრებინა. ხოლო დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად, პირველ რიგში, უნდა გამორკვეულიყო აქაური ბეგარის ბუნება და იგი შეჯერებულიყო იმასთან, რისი დამკვიდრებაც იყო გადაწყვეტილი.

აწ განსვენებული გენერალ-ადიუტანტი, ბარონი როზენი, რომელსაც საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა ევალებოდა, 1831 წლის 11 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრს სწერდა:

> მთავრობის ყოველი ახალი დადგენილება, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციითა და წეს-ჩვეულებებით განმტკიცებულ ვითარებას ცვლის, საჭიროებს ამ ცვლილებათა აუცილებლობისა და სარგებლიანობის დამაჯერებელ დასაბუთებას; ამასთანავე, იგი პრაქტიკული განხორციელების საშუალებებსაც უნდა ითვალისწინებდეს. თვითონ კი არსებული

მდგომარეობის შეცვლის საჭიროებას ვერ ხედავს. განზრახული ცვლილებების საჭიროება წარმოშვა გლეხობის მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელიც თავისუფლებას ეძიებს, ახლა კი ხდება კერძო საკითხის განზოგადება და საკითხი უკვე მთლიანად ორივე ფენას მოიცავს. არადა, თუ თავისუფლების მაძიებლებს გამოვრიცხავთ, მებატონეებისგან შევიწროების გამო გლეხობის დრტვინვა აქ არ ისმის. თავადაზნაურობის წინამძღოლებმა, როდესაც საქართველოს ხელისუფლების საერთო საკრებულომ მათგან არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები მოითხოვა, განმარტეს, რომ გადაჭრილი ბეგარა საერთოდ არ არსებობდა და მისი მოცულობა კონკრეტული საჭიროების, გლეხის შეძლების, ადგილობრივი პირობებისა თუ დროით განპირობებული ვითარების მიხედვით განისაზღვრებოდა; და ეს ყველაფერი მშვიდობიან ორმხრივ შეთანხმებაზე იყო დაფუძნებული. ყოფილა შემთხვევები, როდესაც გაჭირვებულ გლეხს მფლობელი არათუ ბეგარას არ ახდევინებდა, ხშირად თვითონ ეხმარებოდა მას. გლეხობა კი, თავის მხრივ და იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მფლობელთან, ხშირად ნებაყოფლობით საჭიროზე მეტ გამოსაღებს იძლეოდა ხოლმე. დასასრულ, მართალია, თავადაზნაურობის წინამძღოლებმა განაცხადეს, ქართველ გლეხობაზე დაკისრებული ბეგარის ***დათვლა-გამოანგარიშება შეუძლებელიაო,*** მაგრამ მთავრობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იქვე დასძინეს, რომ ***მათ მიერ დაკისრებული ბეგარა არსებითად არის ის და იმდენი, რასაც და რამდენსაც თვითონ ასახელებენ*** (და რომლებიც განმარტებულია როგორც საერთო საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, ისე სენატორთა მოხსენებაშიც). მათ იქვე განაცხადეს, რომ ხსენებულ ბეგარას ითხოვდნენ თავისუფლების მაძიებელთა საქმის გადაწყვეტამდე, სხვა გლეხები კი არ უხსენებიათ. მართალია, ამ მონაცემთა მიხედვით ზოგადად და მთლიანობაში ბეგარა მრავალგვარია, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მებატონეებს თავიანთი გლეხებისგან მაინცადამაინც მნიშვნელოვანი შემოსავალი არ შემოსდით.

შემდეგ: იმისათვის, რომ ხელისუფლებამ განსაზღვროს თუნდაც მხოლოდ თავისუფლების მაძიებელ გლეხთა ბეგარასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მან უნდა მიაღწიოს ურთიერთშეთანხმებას იმის შესახებ, თუ რა სარგებელს ნახავენ დაპირისპირებული მხარეები, ასე რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ქონებრივი, ისე უფლებრივი თვალსაზრისით. არადა, ამ მხრივ, არც არის საჭირო, რაიმე ღონისძიების გატარება, რამდენადაც მებატონეების შევიწროებისაგან აღნიშნული კატეგორიის გლეხთა დასაცავად ხელისუფლებას ხელთ უჭირავს რეალური საშუალება – 1825 წლის 18 მარტისა და 1826 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულებები.

როცა ბეგარასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებაზე ვსაუბრობთ, მიზანი ის არის, რომ საჭიროა გლეხების დაცვა მემამულეთა მხრიდან შევიწროებისაგან. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა საეჭვოა, რადგან ხელისუფლებისათვის უაღრესად ძნელი იქნება საკითხი ისე გადაჭრას, რომ ორივე მხარე, მებატონეები და გლეხები, კმაყოფილნი დარჩნენ. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი მხარე ჩათვლის ხელსაყრელად, მეორე კი – არა. იმასაც კი ვერ დავიჩემებთ, რომ განზრახული ცვლილებებით გლეხები კმაყოფილნი დარჩებიან, რადგანაც ეს ყველაფერი დაარღვევს იმ ძველისძველ ჩვეულებას, რომელსაც ისინი მისდევენ და რომლის გამოც, გარდა თავისუფლების მაძიებლებისა, მათ არასოდეს უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. ამას გარდა, შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ ისიც, რომ, თუ გლეხი ხელისუფლების განკარგულებას მოიშველიებს და უარს იტყვის მებატონის გაზრდილი მადის დაკმაყოფილებაზე, მაშინ მებატონე მას სხვა საშუალებებით შეავიწროებს. აქედან წარმოიშობა ღვარძლი და გულისწყრომა, დაუმორჩილებლობა გლეხთა მხრიდან და ორ ფენას შორის ჩამოვარდნილი მძულვარება. შესაბამისად, ხსენებული განკარგულებებით განზრახული ღონისძიებები, ნაცვლად სარგებლისა, გამოუსწორებელ ზიანს მოიტანს.

ასე და ამგვარად, სარგებლიანობის თვალსაზრისით, არაფრის მომცემი იქნება ქართველი გლეხობისთვის დაკისრებული ბეგარის გამოანგარიშება და, მით უმეტეს, მისი განსაზღვრა, შეფასება და შემდეგ – რუსი გლეხობის ბეგარასთან გათანაბრება. ამდენად, ძნელი დასაჯერებელია, ზოგიერთი აქაური ბეგარის თანდათანობითი გაუქმების შემთხვევაში მოხერხდეს მათი ჩანაცვლება რუსეთში არსებული ბეგარით. და ეს იმიტომ, რომ ერთი მხარე მეორისაგან განსხვავდება კლიმატით, მოსავლის ნაირგვარობით, მებატონეთა და გლეხთა ცხოვრების წესითა და სხვ.; ამასთანავე, თუ შრომის საზღაური ერთგან ადვილად მიიღწევა, მეორეგან შეიძლება მას დიდი ძალისხმევა დასჭირდეს. დასასრულ: მაშინ, როცა თვითონ რუსეთში გლეხობის ბეგარის წესი მტკიცედ არ არის დადგენილი, როცა არა ერთ და ორ შემოერთებულ მხარეში ბეგარის წესი სხვადასხვაგვარია და ადგილობრივი მდგომარეობითა და წეს-ჩვეულებებითაა განპირობებული, რატომ ხდება საჭირო თუნდაც თანდათანობითი შემოღება ახალი წესებისა საქართველოში, სადაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვან სფეროებში აქამდე შეუძლებელია ისეთი წყობილებისა თუ წესების შემოღება, რუსეთის შიდა გუბერნიებში რომ არის დამკვიდრებული?

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განსვენებული ბარონი როზენი მიიჩნევდა, რომ საქართველოში მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობის წესი უნდა დარჩენილიყო ძველი ფორმით, სანამ დრო და ვითარება ახლებურად არ დააყენებდა საკითხს.

ბარონ როზენის ეს თვალსაზრისი განხილულ იქნა სახელმწიფო საბჭოში და 1832 წლის 24 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცდა კიდევაც.

ამ მდგომარეობაში იყო საკითხი მთავარმმართველობის საბჭოს 1841 წლის 13 მარტის დებულებამდე, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არსებული ბატონყმობის ფორმისა და მებატონეთა და გლეხთა შორის ურთიერთობის წესების შესახებ ცნობების შეგროვება გადაწყდა. ამასთანავე, გადაწყდა საერთოდ ბატონყმურ ურთიერთობათა შეჩერება, თუმცა ეს გადაწყვეტილება გააუქმა გენერალმა გოლოვინმა, რომელიც, თავის მხრივ, საბჭოს წევრის,

განსვენებული ჭავჭავაძის შეხედულებასა და საკითხის შესახებ თავადაზნაურობის წინამძღოლის მიერ წარდგენილ პატაკს დაეყრდნო. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ცნობები მაინც შეგროვდა საბჭოს მიერ შემოთავაზებული კითხვარის მიხედვით და ამან ხალხში ერთობ არაკეთილსასურველი განწყობები შექმნა. საქმე ისაა, რომ ამ კითხვარის მიხედვით, ადგილობრივ ხელმძღვანელობას უშუალოდ გლეხები უნდა გამოეკითხა, რასაც შეიძლებოდა მათ შორის გამოეწვია მითქმა-მოთქმა, აღეძრა უსაფუძვლო იმედები, რომელთა მავნე შედეგი ჯერ კიდევ ვახტანგ მეფის კანონთა 259-ე მუხლშია ასახული.

წინამდებარე მოხსენებას ცალკე ვურთავთ საქმის გარშემო ჩვენ მიერ შეკრებილ, აგრეთვე, საქმეებიდან და ადგილობრივი კანონებიდან ამოკრებილ ცნობებსა და პირველი პუნქტის ბოლოს მებატონეთა და გლეხთა უფლებრივ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ სისტემატიზებულ მონაცემებს.[8]

3. გლეხთა მიერ თავისუფლების ძიება

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთანაც ყველაზე მეტი საჩივარია დაკავშირებული და რომლის მოგვარება უმაღლესი ხელისუფლებისათვის ყველაზე მეტადაა გაძნელებული.

გლეხების სწრაფვა თავისუფლებისაკენ თანაბრადაა დამაზიანებელი როგორც თვითონ თავისუფლების მაძიებლებისთვის, ისე მებატონეებისთვისაც: თუკი დავას მებატონე მოიგებს, იგი იწყებს გლეხის შევიწროებას მის მიერ გამოვლენილი სურვილის გამო და დავასთან დაკავშირებულ ზარალსაც მასვე აზღვევინებს; თუკი დავას გლეხი მოიგებს, იგი, მართალია, გათავისუფლდება ყოფილი ბატონისაგან, მაგრამ რაც მოეპოვება, ეხარჯება და, ამასთანავე, საქმის გამო წინ და უკან სიარულში სწყდება თავის სამეურნეო საქმეებსა და დავის დასასრულს ხშირად სავსებით გაჩანაგებული რჩება. შედგენას საჩივრისა, რომლითაც თავისუფლების მაძიებელმა, ჩვეულებრივ, ხელისუფლების თითქმის ყველა შტოს უნდა მიმართოს, მთელი მისი მონაგარი მიაქვს. საქართველოში ხელისუფლებას უჭირს, ზღვარი დაუდოს გლეხთა ამგვარ სწრაფვას,

რადგანაც საერთო-საიმპერიო კანონმდებლობა არავის უკრძალავს, გათავისუფლდეს კერძო დამოკიდებულებისაგან.

1823 წელს საქართველოში გლეხთა ბეგარის განსაზღვრის საქმე სწორედ ამ საბაბით დაიწყო. გლეხების მხრიდან თავისუფლებისკენ სწრაფვასთან დაკავშირებული საჩივრების შესაკავებლად სხვადასხვა დროს გამოყენებულ იქნა საპოლიციო – ზოგჯერ საკანონმდებლოც – საშუალებები, მაგრამ დროთა განმავლობაში საჩივართა რაოდენობა იზრდებოდა და იზრდებოდა.

ჩვენი მმართველობის დამყარებამდე საქართველოში გლეხთა მიერ თავისუფლების ძიება საერთოდ არ არის დოკუმენტურად დადასტურებული. ისე ჩანდა, თითქოს ასეთი ფაქტები – ყოველ შემთხვევაში, მრავლად მაინც – არც ამის შემდეგ უნდა გაჩენილიყო, რადგანაც აქაურთა შორის მეფისადმი მიკუთვნებულობა ხაზინისადმი მიკუთვნებულობასთან იყო გაიგივებული და, როცა აქ სამეფო ოჯახის წევრთა ხვედრი რუსეთის მმართველობის დამკვიდრებისთანავე გაირკვა, საუფლისწულო მამულები და სამეფო გლეხობა სახაზინოდ იქნა გადარიცხული. მხოლოდ კერძო მამულების საქმე დარჩა მოუწესრიგებელი, ხოლო სახაზინო გლეხების ძალადობრივი გზით დაუფლების შემთხვევები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საერთოდ არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მემამულეთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით თავისუფლების მაძიებელ გლეხთა სარჩელებმა ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომ, მებატონეთა მხრიდან მამულების დაკარგვის შიშსა და მსგავსი საქმეებით ხელისუფლების მეტისმეტ დატვირთულობას თავი რომ დავანებოთ, ასეთი სარჩელებით გამოწვეულმა ზნეობრივი თვალსაზრისით ცუდმა გავლენამ თვით პატიოსან თავად-აზნაურებშიც კი იჩინა თავი. იყო შემთხვევები, როცა მებატონეს თავიდან ეცოტავებოდა გლეხის მიერ თვითგამოსყიდვის მიზნით შეთავაზებული საზღაური, ხოლო როცა გლეხი სამართლებრივი გზით დაიწყებდა იმის დამტკიცებას, რომ სინამდვილეში იგი არ ეკუთვნოდა ამ მემამულეს, ეს უკანასკნელი გარკვეული თანხის პირობით (რომელიც ზოგჯერ იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე გლეხის მიერ თავიდან შეთავაზებული საზღაური) შედიოდა მასთან გარიგებაში და ჰპირდებოდა თავისუფლებას, შემდეგ კი აღებულ თანხას ხელისუფლებას წარუდგენდა მტკიცებულებად, რომ ეს გლეხი ნამდვილად მას ეკუთ-

ვნოდა და მასვე უნდა დამორჩილებოდა. ხელისუფლებამ ასეთ მაგალითებს იმით უპასუხა, რომ არაკეთილსინდისიერ მემამულეს სასამართლოს გადასცემდა, გლეხს კი თვითგამოსყიდვის გზით ათავისუფლებდა.

საქმეებიდან კარგად ჩანს ამგვარ სარჩელთა სიმრავლის მიზეზი – მებატონეთა სამეურნეო გამგებლობაში საპოლიციო ხელმძღვანელობის ჩარევა გლეხობის სასარგებლოდ, აგრეთვე, იმავე გლეხობის მიმართ მკაფიოდ გამოხატული გამოქომაგება პროკურორის მხრიდან. 1826 წლის იანვარში საქართველოს პროკურორმა ჩილიაევმა მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას მოახსენა, რომ, მისი დაკვირვებით – და ეს საქმეებიდანაც ჩანდა – საქართველოში ზოგიერთმა საოლქო მმართველმა და მაზრის საერობო პოლიციის უფროსმა მიითვისა უფლება, ჩაერიოს მემამულეთა მიერ საკუთარი მამულისა და გლეხობის მართვა-გამგეობის საკითხებში, მათ შორის, იმ გლეხებთან დაკავშირებითაც, რომლებიც არ ეძიებენ თავისუფლებას და თავიანთ მებატონეებს უდავოდ და უკამათოდ მიეკუთვნებიან. როდესაც ამა თუ იმ გარემოების გამო მებატონე თავისი გლეხებისაგან თითოეული მათგანის შეძლებისა თუ მდგომარეობის გათვალისწინებით ერთჯერადი ფულადი გამოსაღების გადახდევინებას დააპირებს, მან ნებართვისთვის საოლქო მმართველს ან სამაზრო პოლიციის უფროსს წერილობით ან ზეპირად უნდა მიმართოს. ეს უკანასკნელნი კი თავიანთ მოქმედებებს ერთი შეხედვით კეთილშობილური, თუმცა სინამდვილეში მოჩვენებითი კეთილგანზრახვით ამართლებენ – ჩვენი ჩარევის გარეშე მებატონეები თავიანთ გლეხებს საბოლოოდ გააჩანაგებენო. თითქოს რუსეთის გუბერნიებიდან ჩამოსულ და აქ დროებით მოსამსახურე ჩინოვნიკებს უფრო აწუხებდეთ ბედი გლეხებისა, ვიდრე მებატონეებს, რომლებსაც, გარდა მცირერიცხოვანი გლეხობისა, სხვა არაფერი გააჩნიათ და ისედაც მწირი შემოსავლის შენარჩუნებას, საკუთარი თავისა და საკუთარი შვილების გამოკვებას სწორედ გლეხების მეშვეობით ახერხებენ. ქართულ კანონებში არ მოიპოვება ისეთი ნორმა, რომელიც ხელისუფლებას ან ადგილობრივ მმართველობას, გარდა მცირეწლოვანთა მეურვეობასთან დაკავშირებული საქმეებისა, საშუალებას მისცემს, ჩაერიოს მებატონისა და გლეხის ურთიერთობაში. რუსული კანონმდებლობის მიხედვით

კი ამგვარი ჩარევა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში: ა) როცა მებატონე მცირეწლოვანია; ბ) როცა იგი შეურაცხადია; გ) როცა იგი სასტიკად ექცევა გლეხებს; დ) როცა მფლანგველობას ეწევა და ე) როცა მისი მამული ვალებითაა დატვირთული და სახაზინო გადასახადები სრულად არა აქვს გასტუმრებული.

გარდა ამ გამონაკლისებისა, მებატონეს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი გლეხები და არც ერთ ადგილობრივ ჩინოვნიკს არა აქვს უფლება, ჩაერიოს მის მიერ საკუთარი მამულის მართვა-გამგეობაში. ხოლო რაც შეეხება ზოგადად ქართველი მებატონეების უფლებას საკუთარ ყმებზე, შეიძლება დავიმოწმოთ ვახტანგ მეფის კანონთა 260-ე მუხლი, რომელშიც სხვათა შორის ისიცაა ნათქვამი, რომ ***გლეხი და ყველაფერი, რაც მას მოეპოვება, ბატონის კუთვნილებაა***. შესაბამისად, მებატონეს, როგორც ამ კანონთა, ისე ძველი საქართველოს ზნე-ჩვეულებების მიხედვით, უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ გლეხს, როგორც თავის საკუთრებას, დააკისროს როგორც ფულადი გადასახადი, ისე საკვები პროდუქტი და ამის გამო არავის ჩააბაროს ანგარიში, არავის სთხოვოს ნებართვა და არც იმის ვალდებულება აქვს, რამე ჰკითხოს საოლქო მმართველობასა თუ მაზრის საერობო პოლიციის უფროსს, რომლებიც გაცილებით ნაკლებად იცნობენ გლეხობასთან დაკავშირებულ ვითარებას, ვიდრე მებატონეები და გლეხების ქონებრივი მდგომარეობითაც გაცილებით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი. ამას გარდა, საერობო გადასახადის აკრეფისა და გადატანის საქმეში მმართველობა თუ მაზრის საერობო პოლიციის უფროსები პირდაპირ სოფლის მამასახლისებს მიმართავენ და, ამრიგად, გვერდს უვლიან რა იმავე სოფელში მცხოვრებ მებატონეებს, უშუალო კავშირი აქვთ მათსავე გლეხებთან. ეს გარემოება გლეხს საბაბს აძლევს, გამოვიდეს მებატონის სრული დამოკიდებულებიდან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ხალხის უმაღლესი ფენის მდგომარეობის თანდათანობით მოშლას. საოლქო მმართველობისა და სამაზრო პოლიციის უფროსის ამგვარი მოქმედებები სხვა ბოროტებასთან ერთად ამძიმებს თვითონ გლეხთა მდგომარეობას და იწვევს ქართველი თავადაზნაურობის საყოველთაო, თუმცა ფარულ დრტვინვას. ამიტომაც პროკურორი შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვდა.

აღმასრულებელი ექსპედიციის ქართველი მრჩეველი სავსებით ეთანხმებოდა ამ წინადადებას, თუმცა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ხოვენი, საბოლოოდ კი გენერალ-ლეიტენანტმა ველიამინოვმა, რომელიც მაშინ საქართველოს მართავდა, პროკურორის პროტესტი საფუძვლიანად და სავსებით კანონიერად მიიჩნია და მისი შესრულების ბრძანება გასცა.

მაგრამ ამგვარ ჩარევას, საგუბერნიო მმართველობის მიერ წახალისებულს, უკვე იმდენად ჰქონდა ფესვი გადგმული, რომ თავადაზნაურობის განუწყვეტელ ჩივილს იწვევდა, ხოლო გლეხთა მხრიდან არათუ გახშირდა მებატონის სამსახურისაგან თავის არიდების შემთხვევები, საქმე ზოგჯერ ხელისუფლებისადმი თავხედურ დაუმორჩილებლობამდეც კი მიდიოდა. ერთ ასეთ მაგალითს მთავარმმართველობის საბჭო ჯერ კიდევ 1846 წლის ნოემბერში განიხილავდა და მე ჯერ კიდევ მაშინ დამევალა, წინამდებარე მოხსენებაში ეს მაგალითი ვახსენო.

1832 წელს თავად რუსიევ-ყორჩიბაშევს გლეხებმა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორთან უჩივლეს – მებატონეს არამართებულად ვყავართ მისაკუთრებულიო. საჩივარი გადაეცა თელავის საოლქო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებითაც გლეხები ყორჩიბაშევის საკუთრებად იქნენ აღიარებულნი. იმავე გლეხებმა დამალეს აღნიშნული გადაწყვეტილება და 1845 წელს ანალოგიური საჩივრით უკვე განსვენებულ გენერალ-ადიუტანტს, ნეიდგარტს, მიმართეს. საგუბერნიო მმართველობამ, რომელსაც ეს საჩივარი განსახილველად გადაეცა, ადგილობრივ ხელისუფლებას დაავალა, გამოეცხადებინა გლეხებისთვის, სხვა დროს არ გაებედათ სიცრუეზე აგებული საჩივრის დაწერა და თავიანთ მებატონეს დამორჩილებოდნენ. ამის შემდეგ გლეხებმა უკვე მეფისნაცვალს მიმართეს – თავადმა ყორჩიბაშევმა ჩვენთვის უცნობ გარემოებებზე დაყრდნობით მიგვისაკუთრა, ხოლო ადგილობრივი უფროსობა გვაჩანაგებს, გვდევნის და პატიმრობითაც კი გვსჯისო. გამოთხოვილი ცნობებით გაირკვა, რომ ეს გლეხები, მიუხედავად პოლიციის ჩაგონებისა, არა მარტო არ ემორჩილებოდნენ მებატონეს, არამედ მისი მამულიდან თვითნებურად აიყარნენ და თელავში გადასახლდნენ, ამასთან, არც უკან დაბრუნება სურდათ და თავი-

ანთ მებატონეს არც კუთვნილ ბეგარას აძლევდნენ. 1845 წლის აგვისტოში საგუბერნიო მმართველობამ ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაავალა, აღასრულოს ადრინდელი ბრძანებები და ისიც მოახსენოს, თუ რისთვის დაისაჯნენ მომჩივანები ექვსდღიანი პატიმრობით. ამის შემდეგ სამოქალაქო გუბერნატორმა საგუბერნიო მმართველობას წარუდგინა იმავე გლეხების საჩივარი, რომლითაც მათ მეფისნაცვალს მიმართეს. საგუბერნიო მმართველობამ 1845 წლის 29 სექტემბერს თელავის მაზრის უფროსს დაავალა, შეეგნებინებინა ბერიაშვილებისთვის – თუ არ შეწყვეტდნენ თავიანთი მებატონის წინააღმდეგ უსამართლო ჩივილს, ისინი, როგორც კანონიერი ხელისუფლების ურჩნი, მკაცრად დაისჯებოდნენ. თელავის მაზრის უფროსმა მმართველობას მოახსენა, რომ გლეხებს ხელისუფლების განკარგულება გააცნო, თუმცა მათ ხელწერილის მიცემაზეც და ყორჩიბაშევისადმი მორჩილებაზეც გადაჭრით თქვეს უარი; მებატონე კი, თავის მხრივ, საკუთარი გლეხების დაბრუნებას დაბეჯითებით მოითხოვსო; ბერიაშვილები არა მარტო თავს არიდებენ მებატონისათვის ბეგარის გადახდას, არამედ პოლიციასაც გაურბიან, ამასთანავე, საცხოვრებელი ადგილიდანაც ხშირად იმალებიან. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა თელავშივე მათი დაჭერა ყორჩიბაშევისთვის გადასაცემად, თუმცა ერთმა მათგანმა მოახერხა, ხელიდან გასხლტომოდა პოლიციას, მეორეს კი მხოლოდ ერთი ღამე გავატარებინეთ პოლიციაში და მეორე დღეს მებატონეს გადავეცითო. მაზრის უფროსი კითხულობდა: როგორ უნდა იმოქმედოს ამგვარი ურჩების წინააღმდეგ? თავის მხრივ, 1846 წლის მარტში საგუბერნიო მმართველობამ შემდეგ მუხლებზე მიუთითა: მე-14 ტომის 324-ე, 325-ე, 327-ე, 361-ე მუხლები დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ და მე-9 ტომის 951-ე მუხლი ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, გლეხებმა, თევდორე და გლახა ბერიაშვილებმა, ადრინდელი საჩივრით ისევ მიმართეს მთავარმართებელს და ამის შემდეგ საგუბერნიო მმართველობის 1846 წლის 15 ნოემბრის წარდგინებისა და საბჭოს მიერ იმავე წლის 22 ნოემბერს მიღებული დასკვნის საფუძველზე საქართველო-იმერეთის გუბერნიისათვის დასაშვებად იქნა მიჩნეული – თუ გლეხის მიერ თავისი მებატონის წინააღმდეგ აღძრული საჩივარი არ დაკმაყოფილდება და, მიუხედავად ამისა,

იგი კვლავ გააგრძელებს ჩივილს, მაშინ ამ გლეხს თავის საცხოვრებელ ადგილზევე, თანასოფლელთა თანდასწრებით დაედოს საპოლიციო-გამასწორებელი სასჯელი სისხლის სამართლის დანაშაულის 1908-ე და 1909-ე მუხლების საფუძველზე, ხოლო თუკი მან კვლავ განაგრძო მებატონის უფლებების ხელყოფა, მაშინ გასამართლდეს სამხედრო სასამართლოს მიერ გათვალისწინებული დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ მე-14 ტომის 361-ე მუხლის საფუძველზე. საბჭოს ეს დებულება მეფისნაცვლის ნებართვით მოქმედებაში იქნა მოყვანილი.

ამგვარი დაუმორჩილებლობის მაგალითი ძველსა თუ ახალ საქმეებში უხვად მოიპოვება და აქაურ ხელისუფლებას კარგა ხანია შეგნებული აქვს რადიკალურ ღონისძიებათა მეშვეობით ამგვარი თვითნებობის შეწყვეტის აუცილებლობა. თვითნებობისა, რომელიც მებატონეებისაგან თავდახსნის სურვილიდან გამომდინარეობს.

საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელმა ექსპედიციამ 1831 წლის 14 აგვისტოს საქართველოს მმართველის, გენერალ-ადიუტანტ პანკრატიევის, წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა 10-წლიანი ვადა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს მოსაზრების საფუძველზე საქართველოსთვის უმაღლესად 1827 წლის 2 აპრილს დამტკიცდა, თავისუფლების მაძიებელ გლეხებთან დაკავშირებულ საქმეებზეც გავრცელებულიყო. ამას გარდა, საერთო კრების დებულებით, რომელიც ქართველი თავადაზნაურობის თხოვნით მთავარმართებელს იმავე წლის 11 თებერვალს წარედგინა, გათვალისწინებული იყო, იმ დროისთვის არსებულ კამერალურ აღწერას მინიჭებოდა რევიზიის ძალა[9] და საკუთრებისა და თავისუფლების გარშემო შექმნილ საეჭვო ვითარებაში ორივე მხარისთვის იგი უცილობელ მტკიცებულებად ჩათვლილიყო. მაგრამ საქართველოს მაშინდელმა პროკურორმა პერვოვმა იმ საბაბით – თავისუფლების მაძიებელ ხალხზე ვზრუნავო, გააპროტესტა როგორც ეს შუამდგომლობა, ისე ის გადაწყვეტილებაც, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების მაძიებელთა თხოვნა უნდა მიეღოთ მხოლოდ სათანადო წერილობითი ფორმითა და ეს თხოვნა მტკიცებულებებით უნდა ყოფილიყო გამყარებული.

მმართველი სენატი 1835 წლის 27 მარტის ბრძანებულებით ითხოვდა საკითხის გარშემო საქართველოს მთავარმმართველობის შეხედულებას და იმასაც კითხულობდა – ქართული წესი 30- და 40-წლიანი ვადის შესახებ თავისუფლების მაძიებელ გლეხებზეც თუ ვრცელდებაო.

გენერალ-ადიუტანტმა, ბარონმა როზენმა, იუსტიციის მინისტრისადმი 1833 წლის 26 ოქტომბრის წერილითა და, აგრეთვე, მმართველი სენატისადმი 1835 წლის 4 ივლისით დათარიღებულ პატაკში შემდეგი მოსაზრებები ჩამოაყალიბა:

1. საქართველოში ყველა გლეხი სამუდამოდ დარჩეს იმ უწყების უდავო მფლობელობაში, რომელზედაც უკანასკნელი კამერალური აღწერისას იყო მიწერილი, როგორც ეს 1796 წლის 12 დეკემბრისა და 1806 წლის 9 აპრილის უმაღლესი ბრძანებულებით ეკატერინოსლავის, ყოფილი ვოზნესენსკის, კავკასიის, თავრიზის გუბერნიებისა და პოლონეთისგან დაბრუნებული გუბერნიისთვისაა დაშვებული.

2. ის გლეხები, რომლებიც ამ განზრახულების დამტკიცებამდე სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მებატონეთა დაქვემდებარებისგან პრაქტიკულად გათავისუფლებულნი არიან, სამუდამოდ თავისუფალნი უნდა დარჩნენ იმისდა მიუხედავად, რომ უკანასკნელი კამერალური აღწერისას საბატონო გლეხებად იყვნენ ჩაწერილნი.

3. თავისუფლების მაძიებელ გლეხებთან დაკავშირებული ის საქმეები, რომლებიც დაწყებული იყო განზრახულების დამტკიცებამდე, გაგრძელდეს წინანდელი წესით; ხოლო განზრახულების დამტკიცების შემდეგ აღძრული საქმეების წარმოებისას სახელმძღვანელო პრინციპად მიღებულ იქნეს I პუნქტი და საკითხი გადაწყდეს უკანასკნელი კამერალური აღწერის მონაცემთა მიხედვით.

4. ის გლეხები, რომლებიც ამ აღწერაში გამორჩენილნი არიან, ყოველგვარი სამართალწარმოების გარეშე სამუდამოდ ჩაირიცხონ სახაზინო უწყებაში.

5. თუკი აღწერისას ერთი მებატონის გლეხი მეორე მებატონეზეა მიწერილი, იგი დარჩება ამ უკანასკნელის მფლობელობაში, ოღონდ პირველ მებატონეს მეორემ ასაკისდა მიხედვით უნდა გადაუხადოს სულზე მამრობითი სქესის შემთხვევაში 30-80 მან., ხო-

ლო მდედრობითი სქესის შემთხვევაში – 20-50 მან. ვერცხლით. თუკი მეორე მებატონე ამას არ მოისურვებს, მაშინ მას ეს გლეხი უნდა ჩამოერთვას და პირველ მებატონეს გადაეცეს მფლობელობაში.

რაც შეეხება ვადაგასულობის საკითხს, ვახტანგ მეფის კანონთა I წიგნის 199-ე მუხლის მიხედვით, ერთი მებატონის კუთვნილი გლეხის მეორე მებატონის მფლობელობაში ყოფნის ვადად 30 წელია დადგენილი. ეს ვადა საქართველოს მთავარმართებლის, კავალერიის გენერალ ტორმასოვის, სახელზე გაცემული 1809 წლის 7 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებულებით ***გავრცელდა იმ სახაზინო გლეხებზეც, რომლებიც მებატონისაგან თავისუფლებას ეძიებენ***.

ეს საქმე განხილული იყო მე-4 და მე-5 საერთო კრებასა და მმართველი სენატის სამიჯნო დეპარტამენტში და მაშინ ითქვა – 10-წლიანი ხანგრძლივობის ვადა რუსეთში დაწესდა 1787 წელს, ხოლო საქართველოში 30-წლიანი ხანგრძლივობა დატოვებულ იქნა „იმიტომ, რომ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველოში იგივე სამოქალაქო სამართალწარმოება იქნა შენარჩუნებული“. 1815 წელს რუსეთში თავისუფლების მაძიებელ გლეხებს 10-წლიანი ხანგრძლივობის ვადა გაუუქმეს. ამდენად, საქართველოში 1809 წელს შემოღებული წესიც უნდა შეცვლილიყო და, შესაბამისად, 1815 წლიდან არც 30- და არც 10-წლიანი ვადების ხსენებაც კი არ უნდა ყოფილიყო. ამ და ზოგიერთ სხვა გარემოებაზე დაყრდნობით საერთო კრებამ დაადგინა:

1. ნებისმიერ ***თავისუფალ*** ადამიანს, ანუ ადამიანს, რომელიც ***მებატონეს არავითარი კანონიერი აქტით არ მიეკუთვნება***, თუმცა ***დამკვიდრებულია მებატონის მამულში***, აქვს უფლება, ეძიოს თავისუფლება ***მკაფიო მტკიცებულებების*** საფუძველზე და მოიპოვოს იგი ნებისმიერი ხანგრძლივობის ვადის მიუხედავად და იმის მიუხედავადაც, რომ კამერალური აღწერის მიხედვით, ამ მებატონეზეა მიწერილი.

2. გლეხს, რომელიც უკანასკნელი კამერალური აღწერით მებატონეს მიეკუთვნება, მამამისი დაბადებიდანვე, ხოლო თვითონ ***1809 წლის 7 აგვისტომდე ამ მებატონის მამულში ცხოვრობდა***, ერთმევა თავისუფლების ძიების უფლება, თუ მის გარდაცვლილ პაპას ან მამას თავისუფლება არ უთხოვია.

3. ამ დრომდე დაწყებული 30-წლიანი ხანგრძლივობის ვადასთან დაკავშირებული საქმეების წარმოება გრძელდება ჩვეულებრივად, ხოლო დასრულებული საქმეების თავიდან აღძვრა იკრძალება.

4. საქმე თავისუფლების მაძიებლებისა, რომლებიც გამორჩენილნი არიან ***კამერალურ აღწერაში,*** უნდა გადაწყდეს ისე, როგორც ამას სულადობრივი რევიზიის შესახებ ზოგადრუსული კანონმდებლობა ითვალისწინებს. ამასთანავე, გაუქმდეს აღმასრულებელი ექსპედიციის დასკვნა, რომელიც თავისუფლების მაძიებელს თხოვნის წარდგენას გარკვეული ფორმის დაცვით ავალდებულებს.

საერთო კრების ეს დადგენილება განხილულ იქნა სახელმწიფო საბჭოში და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უმაღლესად დამტკიცდა 1836 წლის 28 სექტემბერს. ამას მოჰყვა მმართველი სენატის მე-4, მე-5 და სამიჯნო დეპარტამენტების იმავე წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულება საქართველოს მთავარმართებლის მისამართით.

1842 წელს ქართველმა თავადაზნაურობამ თავისი საგუბერნიო წინამძღოლის მეშვეობით მაშინ აქ მყოფ სამხედრო მინისტრს სხვა საკითხებთან ერთად ამ საკითხთან დაკავშირებითაც მიმართა – თავისუფლების მაძიებლების სასარგებლოდ განხორციელებულმა ცვლილებებმა: ამ კატეგორიის გლეხებზე ყოველგვარი ხანგრძლივობის ვადის გაუქმებამ, ჯარიმების მოსპობამ, სააპელაციო და სხვა სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებამ და, განსაკუთრებით, მათს სასარგებლოდ პროკურორთა შუამდგომლობებმა, ამან ყველაფერმა, აქაური საბატონო გლეხები იმდენად წაახალისა, მათ შორის ლტოლვა თავის დახსნისაკენ იმდენად გააძლიერა, რომ ამჟამად უკვე მთელი სოფლები ითხოვენ თავისუფლებას. მხარს აძლევენ რა ერთმანეთს, გლეხები ერთიმეორეს მოწმეებად უდგებიან, თავისუფლების ძიების მთავარი საფუძველი კი სწორედ მოწმეთა ჩვენებებია. ამიტომაც იმოწმებენ მეზობელი სოფლების გლეხებს, რომლებიც ან თვითონაც ეძიებენ თავისუფლებას, ან საამისოდ ემზადებიან. ამასთან, საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ზარალი მთლიანად მებატონეებს აწვება: მათ ეკისრებათ ყველა სასამართლო ხარჯების გადახდა, უწევთ მამულის მიტოვე-

ბა და მოპასუხის როლში სასამართლოზე გამოცხადება, ამით სწყდებიან თავიანთ სამეურნეო საქმეებსა და სამაზრო თუ საგუბერნიო ქალაქებში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯებითაც ზარალდებიან. ერთი სიტყვით, ამგვარი დავები მებატონის გაჩანაგების მიზეზი ხდება და ხშირად მთელი ამ უბედურების შედეგი ის არის, რომ გამოუცდელობისა და სათანადო ფორმებისა თუ წესების უცოდინარობის გამო ბევრი მებატონე საბოლოოდ საქმეს აგებს.

შეუძლებელია, მებატონისაგან თავდაღწეულ რამდენიმე კომლს ხაზინისთვის ასე თუ ისე შესამჩნევი მოგება მოჰქონდეს – ისინი ხაზინას თითქმის იმავე ბეგარას უხდიან, რასაც საკუთრივ სახაზინო გლეხი იხდის. ღარიბი მებატონე კი, რომელმაც უკანასკნელი გლეხები და, შესაბამისად, მთელი თავისი შემოსავლის წყარო დაკარგა და ამით სიღატაკეში ჩავარდა, შემწეობის დანიშვნის განუწყვეტელი თხოვნით თვითონ მთავრობას დააწვება ტვირთად.

ამიტომაც თავადაზნაურობა დაბეჯითებით ითხოვდა:

1. უკანასკნელი კამერალური აღწერა, საბოლოოდ გადამოწმებული, აღიარებულ იქნეს საფუძვლად, რომლის თანახმადაც, ყველა ის გლეხი, რომელიც ამ აღწერის მიხედვით მებატონის უდავო მფლობელობაშია, მის საკუთრებაშივე დარჩეს.

2. როდესაც გლეხი თავისუფლების ძიების შესახებ თხოვნას პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიტანს, მებატონე მაშინვე კი არ იქნეს ჩაყენებული მოპასუხის მდგომარეობაში, არამედ შემოწმდეს უკანასკნელი კამერალური აღწერის მონაცემები და, თუ გლეხი, რომელიც თავისუფლების ძიებას იწყებს, ამ მონაცემების მიხედვით მებატონის უდავო მფლობელობაშია, შეწყდეს საქმის შემდგომი წარმოება.

3. თუ გლეხი, რომელიც უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით კი არის მებატონის მფლობელობაში, მაგრამ იქვე ჩაწერილია, რომ იგი თავს თავისუფალ გლეხად აცხადებს, მისი თხოვნა თავისუფლების ძიების შესახებ წარმოებაში მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნეს მიღებულ – თხოვნა არ გადააცილოს დადგენილების გამოცხადებიდან ერთწლიან ვადას. ვინც ამ ვადას გადააცილებს, უარი ეთქვას სარჩელის მიღებაზე.

თავადაზნაურობის თხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება ევალებოდა ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებელ გოლოვინს, რომლის პასუხი იყო: იგი სავსებით დასაბუთებულად მიიჩნევდა ქართველი თავადაზნაურობის თხოვნას უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით მათს მფლობელობაში ჩაწერილი გლეხების საბოლოოდ მათსავე საკუთრებაში დატოვების შესახებ, ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ მებატონეთა უზრუნველყოფისა და მხარეში სიმშვიდის დამკვიდრებისათვის სასარგებლო იქნებოდა თავადაზნაურობის თხოვნაში ჩამოყალიბებული საშუალებების პრაქტიკული განხორციელება.

იმავდროულად, გლეხების ურჩობასა და სამაზრო პროკურორთა მიერ დავებისაკენ გლეხთა წახალისებაზე იმერეთის თავადაზნაურობაც ჩიოდა. თავიანთ თხოვნაში ისინი ამბობდნენ: ქუთაისში სამაზრო პროკურორის გამწესების შემდეგ მისი წაქეზებით საბატონო გლეხები თავიანთ მფლობელებს ეურჩებიან და, ამასთანავე, მათ დაიწყეს საფუძველს მოკლებული დავების აღძვრა ისეთ საქმეებზეც კი, რომლებიც კარგა ხნის წინ იყო დასრულებული. მათი სწრაფვა ამგვარ დავათა აღძვრისაკენ იქამდე მივიდა, რომ არცთუ იშვიათად აწყობენ შეკრებებს და ერთმანეთს აფიცებენ, არ დაემორჩილონ თავიანთ მებატონეებსო.

გენერალმა გოლოვინმა კი ამის თაობაზე განაცხადა, რომ საკითხისადმი მისი ზემოხსენებული დამოკიდებულება იმერეთსა და გურიაზეც თანაბრად ვრცელდებოდა.

რაც შეეხება სამაზრო პროკურორების წამქეზებლურ ქმედებებს, გოლოვინმა მათ უბრძანა, ბოროტად არ გამოეყენებინათ გლეხთა სასარგებლოდ შუამდგომლობის შესახებ მათთვის მინიჭებული უფლება და არ გასცილებოდნენ მოქმედი კანონით დაწესებულ ფარგლებს.

ამასობაში მისმა ბრწყინვალებამ, ბ-ნმა სამხედრო მინისტრმა, ამიერკავკასიის საქმეთა მიმოხილვისას ხელისუფლების მიერ წარდგენილი ცნობების მეშვეობით შეიტყო საქმის ვითარების შესახებ და მთავარმართებელს დაავალა, რომ მას უმკაცრესი ფორმით დაეკისრებინა პოლიციისთვის – მორჩილებაში ჰყოლოდა საბატონო გლეხობა და აღეკვეთა ყველაფერი, რაც კი გლეხებს თავიანთი მებატონეების წინააღმდეგ ჩივილისა და დავებისაკენ

უბიძგებდა. სათანადო წერილობითი ბრძანება საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის მისამართით 1842 წლის 28 მაისს გაიცა. ხოლო 1843 წლის 17 თებერვალს გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარტს ქართველი და იმერელი თავადაზნაურობის თხოვნის თაობაზე უმაღლესი ბრძანება ეცნობა. აღნიშნული ბრძანების მე-3 პუნქტში ნათქვამი იყო:

„თავისუფლების ძიებისაკენ გლეხთა გაძლიერებული ლტოლვის შესაკავებლად ამიერკავკასიაში ყოფნისას სამხედრო მინისტრის მიერ გაიცა ბრძანება პოლიციურ ღონისძიებათა შესახებ. ხელმწიფე იმპერატორი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მოქმედებები მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება ქართველი თავდაზნაურობის თხოვნას იმის შესახებ, რომ უკანასკნელი კამერალური აღწერა იქცეს მებატონეების მიერ გლეხთა შენარჩუნების განმსაზღვრელ აქტად, მისი უდიდებულესობა ამას მოუხერხებლად მიიჩნევს და საკითხის უფრო საფუძვლიანად დამუშავებას ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობას ანდობს“.

ამის შემდეგ მისმა აღმატებულებამ, სამოქალაქო სამმართველოს უფროსმა, რომელსაც დაახლოებით იმ დროისათვის ოთხი წერილობითი საჩივარი ჰქონდა მიღებული: პრაპორშჩიკ, თავად გიორგი მაჩაბელოვისაგან, პრაპორშჩიკ, თავად დავით ამირაჯიბოვისაგან და მაიორ (ამჟამად პოლკოვნიკ), თავად გიორგი ერისთოვისაგან იმის შესახებ, რომ მათ ოსების მიერ მაჩაბელოვისადმი გამოცხადებული დაუმორჩილებლობით წახალისებული საკუთარი გლეხები ეურჩებიან, 1845 წლის 28 დეკემბერს მოხსენებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს და ამ მოხსენებაში სხვათა შორის ეწერა: თავი რომ დავანებოთ ხსენებულ საჩივრებსა და საკრებულოებსა თუ სასამართლოებში შესულ ამის მსგავს მრავალ საქმეს, განუწყვეტლივ ისმის როგორც მებატონეების, ისე გლეხების ჩივილი. ერთნი ამბობენ, რომ უსაფუძვლო სარჩელების აღძვრა არ ისჯება და ამით წახალისებული გლეხები ეურჩებიან, მეორენი კი ამტკიცებენ, რომ უსამართლოდ არიან მებატონეებისადმი მიკუთვნებულნი. განსაკუთრებით ეს იმ გლეხებს ეხება, რომლებიც, ძონძებში გახვეულნი, ტანჯულის სახით ცხადდებიან მეფისნაცვალთან, კისერზე საბელი აქვთ შებმული, სათხოვრიდან გა-

მოსვლისთანავე კი მას ან ჯიბეში იდებენ, ან გვერდზე მოისვრიან ხოლმე.

ყველა ამისთანა საქმე თუ საჩივარი, რომლებიც დღითი დღე მრავლდება, ერთადერთი რამის მაჩვენებელია – ღონისძიებებმა, რომლებიც გლეხთა მიერ თავისუფლებისაკენ სწრაფვის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ გამოიღო სასურველი შედეგი. ეს კი ძირითადად იმის გამო ხდება, რომ იმ ჩინოვნიკებმა, რომლებმაც უხეირო მუშაობის გამო დაკარგეს სამსახური, ლუკმაპურის მოსაპოვებლად შეკვეთილი საჩივრების წერას მიჰყვეს ხელი. ისინი აგულიანებენ გლეხებს და მათ, ამ საქმეში გამოუცდელებს, ასწავლიან კიდევაც, რა გზებითა და საშუალებებით ეძიონ თავისუფლება. ცხადია, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ხელისუფლება თვითონვე უწყობს ხელს ასეთი საქმეების გამრავლებას. სინამდვილეში კი შეუძლებელია, მთავრობისთვის სამწუხარო არ იყოს შექმნილი ვითარება – ასეთი საქმეების წარმოება სასამართლო პროცესის ხანგრძლივობისა და სამეურნეო საქმეებისაგან მოწყვეტის გამო იწვევს საგლეხო მეურნეობის მოშლას, ხოლო მებატონეები, ამ მხარეში ტახტის საიმედო და ერთგული მსახურები, მიჰყავს გაღარიბებამდე, ხშირად – სრულ გაჩანაგებამდეც კი.

45 წელიწადია, რაც აქ ჩვენი ხელისუფლება დამკვიდრდა, – წერდა გენერალ-ლეიტენანტი ლადინსკი, – და ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ ყველას, ვისაც მებატონისადმი მიკუთვნებულობა არასწორად მიაჩნდა, გამოეცხადებინა საკუთარი უფლებების შესახებ. ამიტომაც, თვლიდა რა თავადაზნაურობის ზემოაღნიშნულ თხოვნას სრული პატივისცემის ღირსად და, ამასთანავე, სრულად იზიარებდა რა საქმის გარშემო გენერალ გოლოვინის შეხედულებას, პეტრე ანტონის ძე მეფისნაცვალს მოახსენებდა: ქართველი თავადაზნაურობისათვის 1801 წლის უმაღლესი მანიფესტით დაპირებული უფლებების ხელშეუხებლობა, მთავრობისათვის დამახასიათებელი მკაფიოდ გამოხატული სამართლიანობა, თავადაზნაურული ფენის მიერ სამეფო ტახტისადმი თავდაუზოგავი და ერთგული სამსახური და, დასასრულ, თვითონ მხარეშე შექმნილი ვითარება მოითხოვს გადამჭრელ ზომებს როგორც მებატონეთა, ისე გლეხთა დასაშოშმინებლად. ამისთვის კი საჭი-

როა შეჩერდეს ისეთი საქმეების მიღება, რომლებიც გლეხთა მიერ თავისუფლების ძიებასთანაა დაკავშირებული.

რასაკვირველია, კამერალური აღწერა, რომელიც რევიზიის პირობებით არ ჩატარებულა, ვერ იქნებოდა იმაზე მყარი საფუძველი, ვიდრე იმპერატორ ეკატერინე II-ის 1783 წლის 3 მაისის ბრძანებულება, რომელზე დაყრდნობითაც გლეხობაზე, როგორც საკუთრებაზე, უფლების დასამტკიცებლად ხელმწიფე იმპერატორის მიერ აქაური კამერალური აღწერა მტკიცებულებად არ მიიჩნეოდა. თუმცა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით პეტრე ანტონის ძემ საჭიროდ მიიჩნია, დადგენილიყო:

1. 1846 წლიდან საქართველოსა და იმერეთში გლეხის მიერ თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებული საქმეების აღძვრა კატეგორიულად აიკრძალოს იმ შემთხვევაში, თუკი 1842 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, მოსარჩელე მოპასუხის უდავო მფლობელობაში იმყოფება.

2. გამონაკლისის სახით ასეთ საქმეებს მსვლელობა მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უახლოესი ადგილობრივი ან საგუბერნიო პოლიციის ხელმძღვანელობა იპოვის მკაფიო საფუძველს, რათა დარწმუნდეს მოსარჩელე გლეხის თხოვნის სამართლიანობაში, ხოლო მთავარხელმძღვანელობა გასცემს ნებართვას საქმის სასამართლო-საპოლიციო წესით წარმოების შესახებ.

3. იმ საქმეთა წარმოება, რომლებიც 1846 წლის 1 იანვრამდეა დაწყებული, გაგრძელდეს დღეს არსებული წესების მიხედვით.

ბ-ნი კავკასიის მეფისნაცვალი, რომელიც სამოქალაქო სამმართველოს უფროსის ამ მოსაზრებებს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობებდა,[10] 1846 წლის 13 აპრილს ალექსანდრე ივანეს ძეს სწერდა, რომ თვითონაც დარწმუნებული იყო ზემოაღნიშნული პუნქტების საფუძველზე გლეხთა მიერ თავისუფლების ძიების გარშემო საქმეთა წარმოების შეწყვეტის სარგებლიანობაში, სავსებით იზიარებდა გენერალ-ლეიტენანტ ლადინსკის მოსაზრებებს და სთხოვდა, აღნიშნული განზრახულების ძალაში შესვლისათვის ეს მოსაზრებები შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად ხელმწიფე იმპერატორისთვის წარედგინა.

თავად ჩერნიშოვის 1846 წლის 3 სექტემბრის მიმართვიდან ჩანდა, რომ საკითხი განხილულ იქნა კავკასიის კომიტეტში. თუმცა

უმაღლესად დამტკიცებული საკომიტეტო ჟურნალის იმავე სექტემბრის 2 რიცხვის სხდომის ამონაწერის მიხედვით ირკვეოდა: 24 აგვისტოს სხდომაზე კომიტეტმა, საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაწვრილებით განიხილა იგი და დაასკვნა: ამიერკავკასიაში 1842 წელს ჩატარებული კამერალური აღწერა არ არის სანდო, შეიცავს უზუსტობებს და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, იგი გლეხთა მიერ მებატონეებისაგან თავის დაღწევის ამკრძალავ საშუალებად იქცეს. ამიტომ ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს უფროსის მიერ შემოთავაზებული წინადადებების ძალაში შესვლა და მის საფუძველზე საქართველოსა და იმერეთში გლეხთა მხრიდან თავისუფლების ძიებისა და ამ გზით მებატონეებისაგან თავის დაღწევის შეწყვეტა მოუხერხებელია და კომიტეტის ამგვარი პოზიცია კავკასიის მეფისნაცვალს ეცნობოსო.

ამასთანავე, ჟურნალის ამონაწერს კომიტეტის თავმჯდომარისადმი სახელმწიფო ქონებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების წერილობითი მიმართვების ასლებიც ერთოდა.

გენერალ-ადიუტანტის, გრაფ კისელიოვის, მოსაზრება ამგვარად იყო ჩამოყალიბებული:

> „იმისათვის, რომ მხარეში ერთი კლასის სასარგებლოდ და მეორის შესაზღუდავად ზოგადი კანონმდებლობიდან გამონაკლისი დავუშვათ, აუცილებელია დამატებითი მონაცემების წარმოდგენა: 1. რა ინტენსივობით იზრდება ყოველწლიურად გლეხების მხრიდან თავისუფლების ძიებასა და დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებული საქმეები? 2. ამ ტიპის საქმეების წარმოებისას ყოველთვის მტკიცდება თუ არა სარჩელთა უსაფუძვლობა და, შესაბამისად – სასამართლო დაწესებულებათა მხრიდან დროის ფუჭად ხარჯვა? 3. შესაძლებელია თუ არა, კამერალური აღწერა თავისი არსითა და სანდოობის ხარისხით მებატონის მიერ გლეხის ფლობის დამადასტურებელ აქტად ჩაითვალოს და, იმავდროულად, მხედველობაში არ იქნეს მიღებული ის, რომ შეიძლება ამან სოფლად მცხოვრებ კლასში სხვადასხვა სახის უკმაყოფილება და დრტვინვაც კი წარმოშვას?

წარდგინებაში ამ საკითხების გარშემო, გარდა 4 მებატონის მიერ ჯერ კიდევ გამოუძიებელი საჩივრისა, არაფერია ნათქვამი. სამინისტროდან მოწოდებული მასალის მიხედვით კი ირკვევა:

იუსტიციის სამინისტროს ბოლო ორი წლის ანგარიშის მიხედვით, თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში იყო: 1843 წელს – 63, ხოლო 1844 წელს – 27. იმპერიის შიდა გუბერნიებში კი იმავე წლებში ამგვარი საქმეების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო; მაგალითად: მოგილევისა – 59, კურსკისა – 63, ტამბოვისა – 72, კოსტრომისა – 91 და კოვნოსი – 135.

1843 წელს იმ 985 ადამიანიდან, რომლებიც მთელ იმპერიაში მებატონისადმი დაუმორჩილებლობის გამო გასამართლდა, საქართველო-იმერეთის გუბერნიიდან იყო მხოლოდ 5 ადამიანი და აქედან 4 გამართლდა. 1844 წელს ამ ტიპის განსასჯელთა რაოდენობა გაიზარდა, თუმცა მათი უმრავლესობა გამართლდა და მხოლოდ ერთს დაედო მძიმე სასჯელი.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართველ მებატონეთა საჩივრები საფუძველსაა მოკლებული.

...საქართველოში ჩვენმა 45-წლიანმა მმართველობამ იქაური მებატონეების მხრიდან ***განუწყვეტელი და უსამართლო მისაკუთრება*** ვერ შეაჩერა და ახლაც, იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, საქართველო-იმერეთის გუბერნიაში ***უსამართლო მისაკუთრებასთან*** დაკავშირებული საქმეები 1843 წელს შეადგენდა მთელ იმპერიაში აღძრული ანალოგიური საქმეების საერთო რაოდენობის $^{1}/_{20}$-ს, ხოლო 1844 წელს – $^{1}/_{18}$-ს. ამას გარდა, დროის იმავე მონაკვეთში ***ძალადობრივი გზით*** დაუფლების შემთხვევები იყო: 1843 წელს – 46, ხოლო 1844 წელს – 43. საკუთრივ რუსეთში 100 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სწრაფვა თავისუფლების ძიებისაკენ ვერ შეწყდებოდა იმდენად, რამდენადაც თავისუფლების უფლების გამოყენების აუცილებლობას წარმოშობდა ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა, მაგალითად,

მებატონეთა მიერ საკუთრების მიტაცება. ასეთი შემთხვევები განუწყვეტლივ მეორდება და, უნდა ვიფიქროთ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

დასასრულ, მოსაზრება გლეხთა დამაგრების საქმეში კამერალური აღწერის გამოყენების შესახებ სიახლე არ არის. ქართველი თავადაზნაურობა დიდი ხანია ამას ითხოვს, თუმცა წინააღმდეგობას აწყდება.

1. საქართველოში კამერალური აღწერა თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა სამეურნეო კუთხითა და ფინანსური მიზნით ჩატარებული დამხმარე ღონისძიება. მას არა აქვს ის ძალა, როგორიც რევიზიას, თუმცა რევიზიის მონაცემები ამჟამად თვით რუსეთშიც არ არის გლეხთა დამაგრების საფუძველი.

2. შუამდგომლობა, კამერალურ აღწერას მიენიჭოს მფლობელობის სიგელის ძალა, 1836 წლის 28 სექტემბრის ბრძანებით უარყოფილია (922-ე მუხლი, შენიშვნ. 9).

3. როდესაც ეს შუამდგომლობა 1842 წელს გამეორდა, ხელმწიფე იმპერატორმა იგი უხერხულად მიიჩნია და ბრძანა, საკითხის გარშემო მოსაზრება დაწვრილებითი განხილვის შემდეგ ადგილზევე ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ ამგვარი მოსაზრება არ ჩამოყალიბებულა და ***ვერც ჩამოყალიბდებოდა მებატონეების სასარგებლოდ***, რამდენადაც კამერალურ აღწერას არავითარი სანდოობა არ გააჩნია. ეს თავის დროზე დაადასტურეს გენერალმა გოლოვინმა და ბარონმა განმა და ამჟამად გენერალი ლადინსკიც ნაწილობრივ იმავეს იმეორებს. კავკასიაში მყოფი სარევიზიო კომისიის კვლევით, უზუსტობანი კამერალურ აღწერაში იქამდე იყო მისული, რომ მათი გასწორების სხვა არავითარი საშუალება არ რჩებოდა, თუ არა მებატონეებისაგან მოთხოვნა დოკუმენტებისა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ნაყალბევი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ***გადამოწმება დღემდე არ დასრულებულა*** და ამიტომაც კამერალური აღწერა არასანდოდ რჩება იმავე ხარისხით, როგორი არასანდოც ადრე იყო.

ასეთ ვითარებაში შეუფერებელი იქნებოდა, მისაკუთრებისკენ მებატონეების არამართლზომიერი სწრაფვა დაგ-

ვეცვა ისეთი საკანონმდებლო აქტით, რომელიც სავსებით მოკლებული იქნება ნდობას, გლეხებს კი წართმეული ექნებათ სასამართლოს უფლება მანამ, სანამ თავიანთი სარჩელის სამართლიანობას წინასწარ არ დაამტკიცებენ მმართველობის სამივე საფეხურზე – როგორც ადგილობრივ, ისე საგუბერნიო და ცენტრალურ მმართველობით ორგანოებში; და თანაც ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ მებატონეთა იმ დაუსაბუთებელ საჩივრებსა და ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა მართებულობა უარყოფილია იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ანგარიშში.

თუკი ზოგადად საქართველოში ამ მიმართულებით არის გარკვეული მოუწესრიგებლობა, მიზეზი არ არის თავისუფლების ძიების შესახებ არსებული კანონები, რომლებსაც რუსეთში არავინ უჩივის, არც მებატონეთა თავნებობა, რაც რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით საქართველოში ***თითქმის არ გვხვდება***. მიზეზები ამ მოუწესრიგებლობისა, პირველ რიგში, უნდა ვეძებოთ იმაში, რომ საკუთარ გლეხთან ქართველი მებატონის უფლებრივი დამოკიდებულება გაურკვეველია. გაურკვევლობა კი, თავის მხრივ, გამოწვეულია ადგილობრივ, ვახტანგისეულ, კანონებში არსებული ***ხარვეზით*** – ხშირ შემთხვევაში კანონი თვითონ კი არ წყვეტს სადავო საკითხს, არამედ ითვალისწინებს თხოვნის წარდგენას მეფესთან. ამ გარემოებამ ხელმწიფე იმპერატორის საგანგებო ყურადღება მიიქცია და ამიტომ 1842 წელს კავკასიის კომიტეტში ამ საკითხის განხილვისას შინაგან საქმეთა, ფინანსთა და სახელმწიფო ქონების მინისტრების მიერ წარმოდგენილ იქნა მოსაზრება საქართველოში მებატონეთა და გლეხთა შორის ამჟამად არსებულ ურთიერთობაში მეტი სიცხადის შეტანის აუცილებლობის შესახებ; საამისოდ კი საჭიროდ ჩაითვალა სპეციალური დებულების მიღება საინვენტარიზაციო ან სხვა პრინციპზე დაყრდნობით. ამ მოსაზრებას დაეთანხმნენ გენერალი გოლოვინი და ბარონი განი, რომლებმაც ისიც დასძინეს, რომ საკითხი უკვე ***განხილული იყო მთავარმმართველობის საბჭოში,*** თუმცა სად დევს ახლა ეს საქმე, ცნობილი არ არისო (აქ ალბათ იგულის-

ხმება 1841 წლის 13 მარტის დებულება, რამდენადაც ამის შემდეგ ეს საკითხი საბჭოში განხილული არ ყოფილა).

საქმის არსიდან გამომდინარე, დაისმის კითხვა: საჭიროა თუ არა დღეს საქართველოში ხელი შევუწყოთ ბატონყმურ ურთიერთობათა განმტკიცებასა და შემდგომ ***გავრცელებას,*** თუ ის ემჯობინება, რომ იმპერიის შიდა გუბერნიებში განხორციელებულ ცვლილებათა საფუძველზე დავამკვიდროთ მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობის უფრო სწორი ფორმები და ამით შევამსუბუქოთ მათი მდგომარეობა ორივე მხარის სასარგებლოდ?

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთავრობა ამჟამად ან ინვენტარიზაციის მეშვეობით (დასავლეთი ნაწილისათვის), ან კიდევ 1842 წლის 2 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე ბატონყმური მდგომარეობის მოსაწესრიგებელ ღონისძიებებს ახორციელებს, უხერხული იქნება, სასაზღვრო გუბერნიებში სრულიად საწინააღმდეგო პრინციპებით ვიმოქმედოთ. ამასთანავე, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხელმწიფე იმპერატორმა უკვე მიაპყრო ყურადღება ქართველ მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობაში მეტი გარკვეულობის შეტანის საკითხს“. ამდენად, გრაფი კისელიოვი, მიუხედავად თავისი კეთილგანწყობისა, მიიჩნევს, რომ „შუამდგომლობა უნდა იქნეს უარყოფილი და საბატონო გლეხების ბეგარასთან დაკავშირებულ საკითხში მსვლელობა მთავარმმართველობაში განხილულ და შემუშავებულ განზრახულებას უნდა მიეცეს. სამართლიანობის პრინციპზე დამყარებულმა სწორედ ამ ღონისძიებებმა უნდა დაამშვიდოს ეს მხარე“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კი თავისი მოსაზება ასე ჩამოაყალიბა:

„1842 წ. გამოცემული მე-9 ტ. 922-ე მუხლ. დართული შენიშვნა (1836 წ. 28 სექტემბრის ბრძანებულება) კრძალავს გლეხთა დამაგრების განმსაზღვრელ აქტად კამერალური აღწერის გამოყენებას; ამასთანავე, 1842 წელს ქართველი თავადაზნაურობის მხრიდან საკითხის ასე დაყენება ხელმწი-

ფე იმპერატორმა ცნო მოუხერხებლად. ამიტომაც უხერხულობების გარეშე კავკასიის მეფისნაცვლის აღნიშნული წინადადების განხორციელება ძნელია, მით უმეტეს, მებატონეებისადმი გლეხთა დამორჩილების მიმართულებით სამხედრო მინისტრის მიერ უკვე საკმარისი ნაბიჯებია გადადგმული“.

შენიშვნა: ამ ქაღალდიდან, სხვათა შორის, ჩანს, რომ შ. ს. სამინისტროში სიტყვას შ ე მ ო წ მ ე ბ ა კამერალური აღწერის მონაცემთა აღსანიშნავად ხმარობენ, მაშინ, როცა კამერალური აღწერის შე მ ო წ მ ე ბ ა ნიშნავს იმ აღწერას, რომელიც, უმაღლესი გადაწყვეტილებით, 1830-იანი წლების აღწერათა გადასამოწმებლად 1842 წელს განხორციელდა.

მეფისნაცვალმა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა დანართებითურთ განსახილველად გადასცა მთავარმმართველობის საბჭოს, რომელმაც, თავის მხრივ, მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოება – თავისუფლების ძიებისაკენ აქაური გლეხობის სწრაფვის შეწყვეტის მიზნით საგანგებო ზომების მიღების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული კიდევ ერთ საკითხთან, კერძოდ, ქართველი მებატონეებისა და გლეხების უფლებრივი ურთიერთმიმართების გარკვევასთან. მთავარმმართველობის საბჭომ 1847 წლის 10 იანვარს გადაწყვიტა, ეს ორი საკითხი ერთობლიობაში განეხილა და საამისოდ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორისაგან საქმესთან დაკავშირებული ცნობები გამოითხოვა; ამასთანავე, ყველა ადგილობრივ მმართველობას მოსთხოვა, სამხედრო მინისტრის 1842 წლის ბრძანებით განსაზღვრული წესებიდან არავითარ შემთხვევაში არ გადაეხვიათ.

საბჭოს მიერ მოთხოვნილი ცნობებით გაირკვა –

ოქტომბრის 26-ის მიმართვით (№8633) თბილისის სამხედრო გუბერნატორის მიერ წარმოდგენილ იქნა უწყისები და ამ უწყისებიდან ამოკრებილი ცნობები ასეთ სურათს იძლევა:

ა) 1843, 1844, 1845 და 1846 წლებში თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებით აღძრული საქმეების რაოდენობაა 771;

ბ) იმავე პერიოდში გლეხთა მხრიდან მებატონეებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევებია 133;

გ) საბატონო გლეხთა საერთო რაოდენობა, თუ ოჯახზე 5 სულს ვიანგარიშებთ, არის 17 679 კომლი.

შესაბამისად, თუ წელიწადში საშუალოდ თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებულ 193 საქმეს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ყოველი 92-ე კომლი ეძიებს თავისუფლებას, ხოლო თუ საშუალოდ დაუმორჩილებლობის 33 შემთხვევას ავიღებთ, ასეთ საქციელში ყოველ 536-ე კომლს ედება ბრალი. მაგრამ აქ მხედველობაში არ არის მიღებული ის გარემოება, რომ მთელი სოფლის ან მთელი თემის დაუმორჩილებლობაც დაუმორჩილებლობის ერთ შემთხვევად განიხილება; ასევე, თავისუფლების ძიების ერთ შემთხვევად მიიჩნევა, როცა თავისუფლებას მთელი სოფლის ან მთელი თემის გლეხობა ეძიებს.

4. საქართველოში გადმოსახლებული იმერლების შესახებ

ამიერკავკასიის მხარის სარევიზიოდ ჩამოსული სენატორების, გრაფ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის, პატაკის საფუძველზე მმართველ სენატში განიხილებოდა საკითხი იმერელი მებატონეებისათვის იმ გლეხების დაბრუნების შესახებ, რომლებიც საქართველოში გაიქცნენ მას შემდეგ, რაც იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონი 1804 წლის ტრაქტატით რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა.

აღნიშნულ ტრაქტატში სხვათა შორის ესეც ეწერა: „ამ აქტის ხელმოწერის შემდეგ არავის აქვს იმერეთიდან საქართველოში, აგრეთვე, საქართველოდან იმერეთში უნებართვოდ გადასახლების უფლება. რაც შეეხება იმათ, ვინც აქამდე იმერეთიდან საქართველოში ან საქართველოდან იმერეთში არიან გადასახლებულნი, ნება ეძლევათ დარჩნენ იქ, სადაც ამჟამად იმყოფებიან“.

საქართველოს მთავრმართებელმა ერმოლოვმა 1818 წელს გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, იმერელ მებატონეებს ადგილობრივი მმართველობისგან უნდა აეღოთ წერილობითი ცნობები იმის შესახებ, მათი გლეხებიდან ვინ როდის გაიქცა და

თუ ამის შემდეგ საქართველოში იპოვიდნენ თავიანთ გაქცეულ გლეხებს, მათ თვითნებურად კი არ მოქცეოდნენ, არამედ სათანადო განცხადებებით მიემართათ აქაური დაწესებულებებისა და მმართველობითი ორგანოებისათვის. მხოლოდ ამ მოწმობებსა თუ სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ შეეძლო თითოეულ მებატონეს, უკან დაებრუნებინა იმერეთიდან ტრაქტატის დადებამდე გადმოსული საკუთარი გლეხი.

სწორედ ამ განკარგულების მიხედვით მოქმედებდნენ ამის შემდეგ იმერელი მებატონეები. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიცია მხოლოდ იმერეთის დროებითი მმართველობის მიერ გაცემულ მოწმობებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ გაქცეული გლეხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილებზევე დამატებით ატარებდა ძიებას და, თუ იმერეთში გაცემულ მოწმობებთან დაკავშირებით რაიმე წინააღმდეგობრივ გარემოებას წააწყდებოდა, მაშინ საქმეს უკვე სასამართლოს გადასცემდა. ამის გამო ბევრი იმერელი მებატონე აღმასრულებელი ექსპედიციის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

მმართველმა სენატმა საქმის განხილვისას გაარკვია, რომ საქართველოში გამოქცეული იმერელი გლეხობა უნდა დაიყოს სამ კატეგორიად: 1. საქართველოში 1804 წლამდე დამკვიდრებულნი; 2. იმერეთიდან 1804 წლამდე გამოსულნი, მაგრამ საქართველოში 1804 წლის შემდეგ დამკვიდრებულნი, და 3. იმერეთიდან გამოსულნი და საქართველოში დამკვიდრებულნი 1804 წლის შემდეგ. ტრაქტატის პირობების მიხედვით, ამათგან მხოლოდ პირველ კატეგორიას ეძლევა საქართველოში საცხოვრებლად დარჩენის უფლება და მათ ყოფილი მებატონეების მფლობელობაში აღარ დააბრუნებენ. დანარჩენ ორ კატეგორიაში მოხვედრილი გლეხები კი მებატონეებს უნდა დაუბრუნონ ***ზოგადი კანონმდებლობის*** საფუძველზე. ამასთანავე, ზემოხსენებულ კატეგორიებში განაწილება გაქცეულებისა უნდა მოხდეს ან თვითონ გლეხის აღიარებით, რომ საქართველოში 1804 წლის შემდეგ დამკვიდრდა, ან სათანადო გამოძიებით. ამ ტიპის საქმისწარმოება გლეხის დაუსწრებლად ვერ ჩატარდება იმდენად, რამდენადაც მისი, როგორც ნებისმიერი ბრალდებულის, ინტერესი კანონით გათვალისწინებული ხსენებული უფლებითაა დაცული. ასე და ამგვარად, გაქცეულ გლეხებთან დაკავ-

შირებული გამოძიება არა იმერეთის, არამედ საქართველოს მმართველობამ უნდა აწარმოოს, ხოლო იმერეთის მმართველობას ისღა შეუძლია, დაადასტუროს თვითონ მის (იმერეთის მმართველობის) მიერვე გაცემული მოწმობა იმის შესახებ, რომ ***გაქცეული გლეხი ნამდვილად მოწმობის წარმომდგენ მებატონეს ეკუთვნის***. ეს კი მით უფრო აუცილებელი ხდება, რამდენადაც:

1. იმის გამოძიება კი არ არის საჭირო, თუ როდის გაიქცა გლეხი იმერეთიდან, არამედ იმისა, თუ როდის დამკვიდრდა იგი საქართველოში. ამის დამოწმება კი იმერეთის მმართველობისთვის გაძნელებულია.

2. ნებისმიერი პირის საქმის გამოძიება მის დაუსწრებლად ეწინააღმდეგება ძირეულ კანონმდებლობას.

3. მსგავსი საქმეების გამოძიება პირთა შესახებ, ***ვიდრე არ დადასტურდება იმერელი მებატონისადმი მათი მიკუთვნებულობა***, იმას ნიშნავს, რომ განსჯადობის წესებში ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი, და

4. გაქცეულ და საქართველოში დამკვიდრებულ გლეხთა საქმეების იმერეთში გამოძიება მებატონეებს საშუალებას აძლევს, ზეგავლენა იქონიონ საქმისწარმოებაზე, რაც გამოვლენილა არაერთ შემთხვევაში, ასახულია არაერთ საჩივარში, შედეგად კი ის მოუტანია, რომ იმერეთის მმართველობის მიერ გადაწყვეტილი საქმეები საქართველოში მმართველობას უცნია დაუსაბუთებლად. ამიტომაც მმართველმა სენატმა დაადგინა: იმერეთიდან გაქცეულ და საქართველოში დამკვიდრებულ გლეხთა დაბრუნება ყოფილი მებატონეებისათვის მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მმართველობა სათანადო ძიების შემდეგ დაადგენს, რომ ესა თუ ის გლეხი საქართველოში დამკვიდრდა 1804 წლის შემდეგ. შესაძლებელია, მებატონისათვის დაბრუნებულმა გლეხმა ამის შემდეგ აღძრას საჩივარი იმის შესახებ, რომ საქართველოში მისი 1804 წლის შემდეგ დამკვიდრება არ არის სათანადოდ დასაბუთებული; ან შეიძლება გაირკვეს, რომ საქმე არ არის საფუძვლიანად გამოძიებული; ან კიდევ გამოჩნდეს რაიმე სხვა გარემოება, რომლის მიხედვითაც, გლეხის 1804 წლის შემდეგ დამკვიდრება საქართველოში არ შეესაბამება სინამდვილეს და ყოველივე ამის გარშემო წარმოდგენილ იქნეს აშკარა და კანონიერი მტკიცებულებები.

ასეთი საჩივრების მიღება უნდა მოხდეს საქართველოს მმართველობის მიერ, მანვე უნდა დაიწყოს საქმისწარმოება და ზემოაღნიშნული წესების დაცვით მანვე უნდა მიიყვანოს საქმე ბოლომდე.

გენერალ-ადიუტანტმა როზენმა, მიიღო რა ამის შესახებ 1834 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულება, ასლები სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად გადასცა როგორც საქართველოს მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას, ისე იმერეთის დროებით მმართველობას.

აღმასრულებელმა ექსპედიციამ, თავის მხრივ, ბრძანების შესრულება დაავალა ყველა საპოლიციო დაწესებულებას, ოღონდ გარკვეული პირობით:

ზოგიერთმა იმერელმა გაქცეულმა გლეხმა, რომელთა დაბრუნების შესახებ მათივე მებატონეებისგან თხოვნა იყო შემოსული, წარმოადგინა თითქოსდა მებატონის მიერ მიცემული გათავისუფლების ქაღალდი, თუმცა ეს ქაღალდები არც რომელიმე დაწესებულებაში ყოფილა წარდგენილი და არც რომელიმე დაწესებულების მიერ – დამოწმებული. გაიცა განკარგულება, წარმოდგენილ ქაღალდებს არ მისცემოდა კანონიერი აქტის ძალა, ამასთანავე, გლეხი, რომელიც 1804 წლის შემდეგ საცხოვრებლად გადმოვიდა საქართველოში, იმერეთში დაებრუნებინათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ გათავისუფლების შესახებ კანონიერი საბუთი აღმოაჩნდებოდათ. გამონაკლისი დაშვებული იყო, თუ გლეხი წარმოადგენდა იმერეთის მმართველობის მიერ გაცემულ პლაკატურ პასპორტს[11] ან ბილეთს, რომლის მიხედვითაც, მას ეძლეოდა უფლება, საშოვრის მოპოვების მიზნით ან სხვა კანონიერი საჭიროების გამო განსაზღვრული დროის განმავლობაში ეცხოვრა საქართველოში.

1836 წლის თებერვალში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, თავადი ფალავანდოვი, ბარონ როზენთან შევიდა წარდგინებით, რომელშიც ნათქვამია:

1. შიმშილობები იმერეთში, განსაკუთრებით 1811 და 1812 წლებისა, იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ამიერკავკასიაში არსებული ჩვეულების მიხედვითა და უფრო იმის გამოც, მებატონეებს თვითონაც რომ არ ჰქონდათ სურსათ-სანოვაგე და, ამდენად, არ შეეძლოთ საკუთარი გლეხების გამოკვება, იმერელი გლეხები იძულებულნი გახდნენ, სიკვდილისგან გადარჩენის მიზნით თავი

საქართველოსთვის შეეფარებინათ. დროით განპირობებული ვითარების გამო საკუთარი მებატონეები ამ საქმეში მათ აქეზებდნენ კიდევაც. ასეთი გლეხები აქ მოჯამაგირეებად დგებოდნენ და ამ გზით მოიპოვებდნენ საზრდოს. ამათგან ზოგიერთი შემდგომში სამუდამოდ დარჩა საქართველოში, ოჯახსაც მოეკიდა, მეურნეობაც გაიჩინა და დადგა აუცილებლობის წინაშე, რომელიმე კატეგორიის – სახაზინო, საეკლესიო ან საბატონო – გლეხობაში ჩარიცხულიყო. იმერელი მებატონეები მაშინ ამ პროცესს ოდნავადაც კი არ უშლიდნენ ხელს. საქართველოში დამკვიდრებულ იმერელ გლეხთა უმრავლესობა ამჟამად მიეკუთვნება რომელიმე თემს და როგორც გამოსაღებს, ისე ნატურალურ თუ ფულად ბეგარასაც ძირძველ გლეხთა თანასწორად და თანაბრად იხდის;

2. იმერეთისთვის უბედური წლები რომ გავიდა, იქაურმა მებატონეებმა დაიწყეს ძიება საშუალებებისა, დაებრუნებინათ არა მარტო ის გლეხები, უბედურების დროს რომ წამოვიდნენ იქიდან, არამედ ისინიც, რომლებიც მანამდე ან მას მერე სხვადასხვა მიზეზით გადმოვიდნენ საქართველოში. მებატონეებმა ამ დროისთვის ბევრი მათგანის დაბრუნება შეძლეს კიდევაც, საქართველოში გადასული დანარჩენი გლეხებიდან კი ზოგიერთს თავისუფლება ფულის სანაცვლოდ მისცეს; სხვებს რაც შეეხება, მცდელობა მათი დაბრუნებისა დღემდე გრძელდება ან შინაურული მოლაპარაკებების, ან კანონის საფუძველზე, განსაკუთრებით – 1834 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულების შემდეგ;

3. მმართველი სენატის მიერ საქმის განხილვის დროს მხედველობაში არ იქნა მიღებული: ა) ვახტანგ მეფის კანონთა I განყ. 199-ე და მე-200 მუხლები, რომელთა მიხედვითაც, თუ ერთი მებატონის გლეხი მეორე მებატონეს მიუვა და აღწერის დავთრით მის საკუთრებად გამოცხადდება, ხელისუფლების ნებართვის გარეშე და თვით გლეხის ნების საწინააღმდეგოდ მეორე აღწერამდე წინანდელ ბატონს არ დაუბრუნდება; თუ გლეხმა ახალ ბატონთან 30 წელი დაყო ან თუ თრიალეთში 12 წელი იცხოვრა,[12] იგი ძველ ბატონს აღარ დაუბრუნდება; ბ) 1832 წელს გამოცემულ კანონთა მე-9 ტ. 687-ე მუხლის მიხედვით, თუ ყმური დამოკიდებულება ერთხელ შეწყდა, მისი აღდგენა აღარ მოხდება; გ) საკუთრების უფლების გარშემო საქმისწარმოების წესის შესახებ სახელმწიფო საბჭოს მი-

ერ 1810 წლის 17 ნოემბერს მიღებული და უმაღლესად დამტკიცებული მოსაზრება საეკლესიო უწყების მიერ სადავოდაა მიჩნეული, და დ) მეფე სოლომონის მიერ 1804 წლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები არ არის უმაღლესად დამტკიცებული და, რამდენადაც თვითონ აღნიშნული ვალდებულებების არც ერთი პუნქტი ძალაში არ შესულა, შესაბამისად, თვითონ ამ შეთანხმებაში შესული პუნქტებიც ვერ შესრულდებოდა;

4. იმერელმა მებატონეებმა როგორც კანონის, ისე ადათ-წესების მიხედვით, აგრეთვე, ვადაგასულობის გამო დაკარგეს უფლება იმერეთიდან გაქცეულ გლეხებზე, რომელთაგან საქართველოში უკვე ცოტაა დარჩენილი და მათ საქართველოში დაბადებული შვილები და შვილიშვილები ჩაენაცვლნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმერელ მებატონეთა რწმუნებულები, სარგებლობენ რა აღმასრულებელი ექსპედიციის 1834 წლის განკარგულებით, დღემდე უგულებელყოფენ იმერეთიდან გადმოსულ გლეხთა მიერ საქართველოში მიღებულ უფლებებს, ათანაბრებენ მათ გაქცეულებთან, აბრუნებენ იმერეთში და, ამასთანავე, სხვადასხვა სახის შემავიწროებელ საშუალებებსაც მიმართავენ;

5. აქაური საპოლიციო ხელმძღვანელობა, ეყრდნობა რა აღმასრულებელი ექსპედიციის განკარგულებას, იმერელი მებატონეების სრულ მორჩილებაში აბრუნებს იმერეთიდან გადმოსულ გლეხებს, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სარგებლობდნენ თავისუფლებით. პოლიცია არ განიხილავს გათავისუფლების შესახებ დაუმოწმებელ ქაღალდებს, გლეხებს პირდაპირ აიძულებს უკან გადასახლებას, ამით სამუდამოდ აკარგვინებს მრავალი წლის მძიმე შრომით მოპოვებულ სარჩო-საბადებელსა და მიჰყავს ისინი სრულ გაჩანაგებამდე;

6. თვითონ იგი, გუბერნატორი, თვითმხილველია იმისა, რომ იმერეთში გადასახლებულთა უმეტესობა დარჩენილი იყო ტანსაცმლის გარეშე, ფეხსაცმლის გარეშე და ასეთ მდგომარეობაში ისინი ცოლებთან, მცირეწლოვან შვილებსა და ძუძუთა ბავშვებთან ერთად ზამთარში ფეხით უნდა დასდგომოდნენ გზას. უეჭველი დაღუპვისგან რომ ეხსნა, მან ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებს უბრძანა, შეეჩერებინათ იმერელი მებატონეებისათვის მათი გადაცემა, გარდა გაქცეულებისა;

7. ადგილობრივ ხელმძღვანელობაში ხშირად შეინიშნება ორ-ჭოფობა. ამას გარდა, გადმოსახლებულთა ახალ საცხოვრებელში დამკვიდრების დროსთან დაკავშირებულ გარემოებათა მოკვლევისას ხშირად თავს იჩენს შეუსაბამობები. ამიტომ, როცა მებატონეები იმერეთის დროებითი მმართველობის მიერ გაცემულ მოწმობებს წარუდგენენ ხოლმე, იგი, გუბერნატორი, თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით იძლევა განკარგულებას, მოკვლევის შედეგები უშუალოდ მას წარუდგინონ.

ამასთანავე, თავადი ფალავანდოვი დასძენდა, რომ გაშვების დამადასტურებელი ქაღალდი, რომელიც იმერეთიდან გადმოსულთა უმრავლესობას ხელთა აქვს, არსებული წესის არცოდნის გამო მათ მიერ არ ყოფილა დასამოწმებლად წარდგენილი, თუმცა მის საფუძველზე დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდნენ თავისუფლებით. მებატონეებმა კი მმართველი სენატის ზემოაღნიშნული ბრძანებულების შემდეგ ძიება იმდენად გააძლიერეს, რომ თითქმის ყოველდღიურად გუნდ-გუნდად ცხადდებიან საქართველოში. ამიტომაც იგი ფიქრობდა, რომ მებატონის კანონიერი უფლების სასამართლო წესით დადასტურებამდე საჭირო იყო იმერეთიდან გადმოსულთა უკან, იმერეთში, დაბრუნების შეჩერება; ამასთანავე, გაქცეულთა უკან გადასახლება რომ არ შეფერხებულიყო, სჭირდებოდა იმერეთიდან გადმოსულთა შესახებ თავისივე განკარგულების დამტკიცება. იგი სწორედ ამას ითხოვდა.

ამაზე ბარონმა როზენმა 1836 წლის 20 მარტს გუბერნატორ ფალავანდოვს აცნობა:

1. ამ მხარეში არსებულმა იმდროინდელმა ჩვეულებამ კი არა, შიმშილმა აიძულა იმერელი გლეხები, საზრდო საქართველოში ეძებნათ, რისკენაც თვითონაც უკიდურესად გაჭირვებულმა მებატონეებმა თავიანთი გლეხები ალბათ წააქეზეს კიდევაც;

2. რაიმე აუცილებლობის გამო კი არ უნდოდათ მათ სხვადასხვა უწყებაში ჩარიცხვა,[13] არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ არ სურდათ, ემსახურათ და ბეგარა ეხადათ თავიანთი მებატონეებისათვის იმ მხარეში, რომელიც საქართველოზე გაცილებით უფრო ღარიბია; ამიტომაც ათასგვარი ხრიკების გამოყენებით დარჩნენ აქ. ხოლო იმერელი მებატონეები ყოველივე ამას იმთავითვე რომ ეწინააღმდე-

გებოდნენ, დასტურდება დიდი ხნიდანვე მათი თხოვნებითა და მცდელობით, თავიანთი კუთვნილი გლეხები უკანვე მიეღოთ;

3. ის, რომ იმერელი გლეხები აქ გამოსაღებსა და ბეგარას იხდიან, სრულებით არ ნიშნავს იმას, იმერელ მებატონეებს ჩამოვართვათ საკუთარი გლეხების დაბრუნების უფლება, ხოლო წერილობით დადასტურებული უფლების გარეშე მათი მამულიდან საქართველოში გადმოსულ გლეხებს მივცეთ აქ ცხოვრების საშუალება. ეს არ ეხება იმათ, რომლებსაც ხელთა აქვთ თავიანთი მებატონეებისაგან მიცემული კანონიერი და სახელმწიფო დაწესებულებებში დამოწმებული გაშვების დამადასტურებელი ქაღალდი, ჩარიცხულნი არიან სახაზინო უწყებაში, შერჩეული აქვთ ცხოვრების ფორმა და გამოსაღებს უხდიან ხაზინას; არც იმათ, რომლებსაც აქვთ საშოვარზე ყოფნისთვის საჭირო საცხოვრებელი ბილეთი. საეკლესიო უწყებაში ჩარიცხვა ან საბატონო ადგილ-მამულზე მიწერა იმერეთიდან გადმოსულ გლეხებს არ შეუძლიათ და არც უნდა შეეძლოთ;

4. მე-3 პუნქტში წარმოდგენილი გარემოებები სრულებით ვერ დაუკარგავს ძალას 1834 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებას, რადგანაც ვახტანგის კანონთა 199-ე მუხლი ეხება იმ გლეხებს, რომლებიც საქართველოს ერთი მებატონიდან მეორე მებატონის მფლობელობაში ან ერთი იმერელი მებატონიდან მეორე იმერელი მებატონის მფლობელობაში გადავიდნენ და არა იმათ, რომლებმაც ახალი მდგომარეობა საზღვრებს მიღმა მოიპოვეს; 202-ე მუხლს კი მაშინ ექნებოდა ძალა, თუ თრიალეთში სახაზინო მიწაზე დასახლებულთათვის განსაზღვრული 12, ან ნებისმიერ ტერიტორიაზე დასახლებულთათვის განსაზღვრული 30 წლის განმავლობაში არავის – არც მებატონეს და არც მთავრობას – არ ექნებოდა გაქცეულის უკან დაბრუნების მცდელობა. მაგრამ, ვინაიდან იმერელ მებატონეებს 1812 წლის შემდეგ არაერთხელ მოუმართავთ სათანადო თხოვნითა და მთავრობაც ზრუნავდა, რომ ადგილებზე პოლიციასა თუ ხელმძღვანელ პირებს არ გამოეჩინათ უზრუნველობა და დაუდევრობა, ხსენებული 202-ე მუხლი ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის ანგარიშში ჩასაგდები; რაც შეეხება მე-9 ტომის 687-ე მუხლს, იგი, მართალია, ეხება ყმობის შეწყვეტას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – მებატონისაგან გაქცევის გზით და, ამდენად, ეს მუხლი

უფრო გუბერნატორის შეხედულების საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვიდრე მის სასარგებლოდ. იმავე ტომის 689-ე მუხლი კი უშვებს ყმურ მდგომარეობაში დაბრუნებას და, ამიტომაც, იმერეთიდან გამოქცეულებიდან ბევრნი მათი მებატონეებისათვის დაუყოვნებლივ უნდა იქნენ დაბრუნებულნი; სახელმწიფო საბჭოს 1810 წლის 27 ნოემბრის მოსაზრების მე-2 პუნქტი ეხება საეკლესიო ქონებას და, მაშასადამე, იმ ქონებას, რომელიც უკვე არის ეკლესიის საკუთრებაში; გაქცეული გლეხები, რომლებიც საეკლესიო უწყების ტერიტორიაზე კი ცხოვრობენ, მაგრამ მათი მდგომარეობა კანონიერი საეკლესიო აქტებით არ არის დამტკიცებული, ვერც ეკლესიის საკუთრებად და ვერც საეკლესიო მამულის განმკარგველებად ვერ ჩაითვლებიან, ხოლო გაქცეული საბატონო გლეხის შეფარება წერილობითი საბუთების გარეშე, აგრეთვე, მისი შრომით სარგებლობა კანონის დარღვევაა და ექვემდებარება არა მარტო ასეთი გლეხებისა და მათი ოჯახების ჩამორთმევას, არამედ მე-14 ტ. 472-ე მუხლის მიხედვით (საპასპორტო მოთხოვნათა დარღვევა და გაქცევა), ისჯება კიდევაც; იმერეთის მეფე სოლომონთან დადებული პირობები, რომლებიც უმაღლესად არ ყოფილა დამტკიცებული, თუმცა მხედველობაში იქნა მიღებული მმართველი სენატის მიერ, შეიძლება საერთოდ არ ჩავაგდოთ ანგარიშში იმ საქმეების განხილვისას, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი იმერელი მებატონეების თხოვნას რომ ეხება გაქცეული ყმების დაბრუნების შესახებ;

5. თვითონ ბარონი როზენი ვერ ხედავს საფუძველს, რატომ უნდა წართმეოდათ იმერელ მებატონეებს თავიანთი გაქცეული გლეხების დაბრუნების უფლება 1834 წლის ბრძანებულების შემდეგ, ან იმავე ბრძანებულების შემდეგ რატომ უნდა მისცემოდათ გაქცეულ გლეხებს საშუალება, მოეპოვებინათ თავისუფლება;

6. იმერეთიდან გადმოსულები, მიუხედავად იმისა, რა დროც არ უნდა იყოს ამ ფაქტიდან გასული, სხვანი არა არიან-რა, თუ არა გაქცეულები ან მაწანწალები. ამიტომაც არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვდეს მათი იმ ნაწილის უკან დაბრუნებას, რომელიც 1804 წლის შემდეგ უკანონოდ დამკვიდრდა საქართველოში; და საერთოდ მას, ბარონ როზენს, არ შეუძლია ზემოხსენებული 1834 წლის ბრძანებულების გაუქმება;

7. საქართველოს ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა და პოლიციამ ზუსტად უნდა შეასრულონ აღნიშნული ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები და აღმასრულებელი ექსპედიციის განკარგულება; კერძოდ: გლეხთა ფლობის შესახებ იმერელი მებატონეების ან მათი რწმუნებულების მხრიდან იქაური დროებითი მმართველობის მიერ გაცემულ მოწმობათა წარმოდგენის შემთხვევაში მმართველობის წარმომადგენლები და პოლიცია არ უნდა შევიდნენ მებატონეთა საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. მათ სასწრაფოდ უნდა ჩაატარონ მოკვლევა, თუ როდის დამკვიდრდა იმერეთიდან გადმოსული გლეხი საქართველოში. თუ აღმოჩნდება, რომ ეს მოხდა 1804 წლის შემდეგ, ხოლო თვითონ გადმოსული არ წარმოადგენს ამის გამაბათილებელ მტკიცებულებას ან თუ არ შემოვა საჩივარი მოკვლევის უსაფუძვლობის შესახებ, მაშინ ანგარიში არ უნდა გაეწიოს მიკუთვნებულობის შესახებ გამოხატულ რაიმე სახის პროტესტს და, მიუხედავად სახელმწიფო უწყებების მიერ დადასტურებული ყოველგვარი გაშვების ქაღალდისა თუ გარიგების ფლობისა, დაიწყოს ცოლშვილიანად და აქ შეძენილი მონაგრის ჩათვლით მათი იმერეთში გასახლება. ეს არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა იმერეთიდან გადმოსული პირი კანონიერი წესითაა სახელმწიფო უწყებისადმი მიკუთვნებული და დაბეგრილი. გადმოსახლებულ გლეხებს უნდა ჩააგონონ, რომ მათ თავისუფლება უნდა ეძიონ იმერეთის დროებითი მმართველობისა და არა საქართველოს საკრებულო დაწესებულებების მეშვეობით და რომ გლეხები საქმის დასრულებამდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდნენ საკუთარი მებატონეების მორჩილებიდან. განხილვა ასეთი საქმეებისა ვერასგზით ვერ მოხდება საქართველოს საკრებულო დაწესებულებებში. ამასთან ერთად, იწონებდა რა გუბერნატორის განკარგულებას – მოკვლევის შედეგები განსახილველად უშუალოდ მისთვის, გუბერნატორისთვის, წარედგინათ – ბარონი როზენი იქვე შენიშვნას იძლეოდა: გუბერნატორმა იგი არ ჩააყენა საქმის კურსში იმის შესახებ, რომ გადასახლებისას იმერელი მებატონეები გლეხთა მიმართ შემავიწროებელ ქმედებებს მიმართავდნენ.

სამოქალაქო გუბერნატორის მეორე პატაკში ჩართული იყო აზნაურ ჟორჟოლაძეების მიერ იმერეთიდან გადმოსახლებულ

გლეხ დავითულიანისთვის მიცემული წერილობითი ნებართვა, რომელიც ამ გლეხის მიერ არსად არ ყოფილა დასამოწმებლად წარდგენილი. მიუხედავად მათ მიერვე გაცემული ნებართვისა, აზნაურები ითხოვდნენ გლეხის იმერეთში დაბრუნებას. ბარონმა როზენმა გუბერნატორს ნებართვის ქაღალდი უკან დაუბრუნა, თან დაურთო იმერელ მებატონეთა მიერ სამგზის წარდგენილი თხოვნის ასლები და ყოვლად შეუძლებლად მიიჩნია, გათავისუფლების დაუმოწმებელი ქაღალდი მხედველობაში ყოფილიყო მიღებული; შესაბამისად, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ასეთ გლეხს ვერც დაიცავდა და ვერც შეიფარებდა. იმავე მარტის თვეში ბარონმა როზენმა გუბერნატორს მიმართა წინადადებით, სპეციალური განკარგულებით დაეჩქარებინა იმერეთში დაბრუნება ან იძულებითი გადასახლება იმ იმერელი მაწანწალებისა, რომლებიც საქართველოში 1804 წლის შემდეგ გადმოვიდნენ და ამ საქმეში ზუსტად მიჰყოლოდა 1834 წლის ბრძანებულებას.

1837 წელს, ამიერკავკასიაში ხელმწიფე იმპერატორის სტუმრობისას, იმერეთიდან გადმოსულმა ათმა გლეხმა მის უდიდებულესობას მიართვა არზა, რომლითაც ისინი წინანდელ მფლობელთა შევიწროებისაგან დაცვას ითხოვდნენ.

თბილისში შექმნილმა და უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ, რომელსაც მისი უმაღლესობისთვის რედუტ-კალედან თბილისამდე მგზავრობისას წარდგენილი არზები უნდა განეხილა, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით დაასკვნა:

1. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთიდან გამოქცეული და საქართველოში დასახლებული გლეხების საჩივართა მიღებისა და სამართლებრივი დევნის საკითხები სენატის განკარგულებით საქართველოს მმართველობამ უნდა გადაწყვიტოს და საქმეებიც იმავე მმართველობის მიერ უნდა იქნეს წარმოებული, მთავარმართებლის განკარგულებით, ამ კატეგორიის გლეხობამ სამართალი იმერეთის მმართველობაში უნდა ეძებოს; და ეს იმიტომ, რომ ასეთი საქმეები საქართველოს საკრებულო დაწესებულებებს განსახილველად ვერ გადაეცემა;

2. საქართველოდან გასახლებულ იმერელთა გაჭირვება უკიდურესია და შეიძლება მათი მოთმინების ფიალა აივსოს;

3. სენატის განკარგულება იმერეთიდან გამოქცეულთა საკითხს ეხება და, ამდენად, სამართლიანია როგორც მებატონეებთან, ისე გლეხებთან მიმართებით. თუმცა არ შეიძლება მისი უპირობოდ და უგამონაკლისოდ გავრცელება იმერეთიდან გადმოსულთა ყველა კატეგორიაზე – საჭიროა გამორკვევა იმ მიზეზებისა, რომლებმაც ისინი აიძულა, დაეტოვებინათ იმერეთი. მთავარმართებელი ადასტურებს, რომ 1811 და 1812 წლების შიმშილობის დროს, შესაძლებელია, თვითონ მებატონეებს წაექეზებინათ თავიანთი გლეხების ამგვარი მოქმედება და, ვითარების გამო, შეიძლება იქაური მებატონეების ასეთი მოქმედება შევიწყნაროთ კიდევაც, თუმცა ეს არ იძლევა არანაირ საფუძველს, გამოქცეული გლეხები აქ დავიცვათ და შევიფაროთ.

ხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, კომისიამ ხელმწიფე იმპერატორს აახლა წარდგინება: ხომ არ ინებებს მისი უმაღლესობა უბრძანოს, რომ ეს საქმე განხილულ იქნეს თავიდან, ხოლო განხილვის დასრულებამდე ***შეწყდეს*** გლეხთა გადასახლება საქართველოდან იმერეთში; ნათქვამი იყო ისიც, რომ საქართველოდან იმერეთში დაბრუნებულთა გაჭირვება, იმერეთში დაბრუნების შესახებ არსებული ბრძანებულების განუხრელი შესრულებით გამოწვეული მათი გოდება, ქონებისა და ყოველივე მონაგრის დაკარგვა და, დასასრულ, საქართველოს დატოვებით გამოწვეული სრული გაჩანაგება თავისთავად თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევსო.

გაეცნო რა კომისიის დასკვნას, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება: საკითხი გადაწყდეს კომისიის შეხედულების შესაბამისად და, იმავდროულად, შემდგომი დაწვრილებითი განხილვისთვის შევიდეს ახალ მთავარმართებელთან, გენერალ გოლოვინთან.

ბ-ნმა სამხედრო მინისტრმა ამის შესახებ აცნობა გენერალ გოლოვინს, რომელმაც მყისვე გასცა განკარგულება საკითხის გადაწყვეტამდე გადასახლების შეჩერების შესახებ. ამასთანავე, თავის წინამორბედს, ბარონ როზენს, აცნობა, რომ ხელმწიფე იმპერატორი ბარონი როზენისაგან მოითხოვდა ახსნა-განმარტებას, თუ რის საფუძველზე მოხდა მმართველი სენატის გადაწყვეტილების არასათანადო გააზრება.

1838 წლის 12 მარტს განსვენებულმა ბარონმა როზენმა ბ-ნ სამხედრო მინისტრს წარუდგინა თავისი ახსნა-განმარტება, რომელიც შესაბამისი მოსაზრებებისა და დასკვნების თანდართვით გენერალ გოლოვინს გადმოეგზავნა.

ინფანტერიის გენერალმა გოლოვინმა დაწვრილებით განიხილა როგორც საქმის გარემოებები, ისე ბარონ როზენის განმარტებები და აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია, შემუშავებულიყო ახალი წესები:

1. ყველა იმერელი გლეხი, რომელიც 1810 წლამდე დასახლდა საქართველოში (ე. ი. სანამ გაუქმდებოდა სამეფო და იმერეთი საბოლოოდ შეუერთდებოდა რუსეთს), დარჩება მათ მიერ არჩეულ ახალ საცხოვრებელ ადგილებში და არც ერთი მათგანი ყოფილ მებატონეს აღარ დაუბრუნდება;

2. 1811 და 1812 წლებში იმერეთიდან შიმშილობის გამო გადმოსული და საქართველოში სამუდამოდ დამკვიდრებული გლეხები აგრეთვე არ დაუბრუნდებიან ყოფილ მებატონეებს, რომლებმაც, თავის მხრივ, დაღუპვისგან გადარჩენის მიზნით წააქეზეს საკუთარი გლეხები, წასულიყვნენ საქართველოში და ამით მათზე ყოველგვარი უფლება დაკარგეს. ამასთანავე, უწყებრივი მიკუთვნებულობის თვალსაზრისით, ეს გლეხები უნდა დარჩნენ იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ამჟამად იმყოფებიან;

3. 1810 წლიდან საქართველოში გადმოსახლებული გლეხები, რომლებიც მიეკუთვნებიან სახაზინო, საეკლესიო ან საბატონო უწყებებს და კამერალურ აღწერებშიც ამ უწყებათა მფლობელობაში არიან, აგრეთვე ისინი, რომლებსაც ხელთ აქვთ გაშვების დამადასტურებელი ან სხვა საბუთი და ამ საფუძველზე მინიჭებული თავისუფლებით დღემდე სარგებლობდნენ, წინანდელ მებატონეებს უნდა დაუბრუნდეთ მხოლოდ მიკუთვნებულობის შესახებ საქმის განხილვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამიტომაც იმერელ მებატონეებს შეუძლიათ, გაქცეულ გლეხთა ძიებადაბრუნება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით სცადონ. სახაზინო, აგრეთვე, იმ გლეხთა საქმეებზე, რომლებიც გაშვების დამადასტურებელი ქაღალდითა თუ სხვა საბუთით სარგებლობენ, შუამავლობა ზოგადი კანონმდებლობის საფუძველზე დაეკისროთ სახაზინო საქმეთა სტრიაფჩებს;[14]

4. ის იმერელი გლეხები, რომლებიც საქართველოში 1810 წლის შემდეგ დამკვიდრდნენ და ამ დროისთვის არც ერთ უწყებაში არ არიან ჩარიცხულნი, დაუბრუნდნენ თავიანთ ყოფილ მებატონეებს იმერეთში გადასაყვანად, თუმცა მანამდე საფუძვლიანად უნდა გაირკვეს, მართლაც 1810 წლის შემდეგ დამკვიდრდნენ თუ არა ისინი საქართველოში. ამას გარდა: ა) ადგილობრივ საპოლიციო მმართველობებს მიეთითოთ, მკაცრად ადევნონ თვალი, რომ იმერელმა მებატონეებმა გლეხთა მიმართ არ გამოიყენონ შემავიწროებელი ზომები, ხოლო გადასახლებისას უზრუნველყონ ისინი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საზიდრებითა და კვებისთვის საჭირო ფულით, და ბ) ამ კატეგორიის გლეხების საქართველოდან გადასახლების დროს იხელმძღვანელონ ვახტანგ მეფის კანონთა 199-ე და მე-200 მუხლებით, ანუ გლეხის მთელი ავლადიდების ნახევარი უნდა დარჩეს იმას, რომლის მიწაზეც გლეხი ცხოვრობდა და რომლის მიწაზე ცხოვრების დროსაც დააგროვა მან ეს ავლადიდება;

5. ამ ტიპის საქმეთა წარმოება უნდა მიენდოს საქართველოს სასამართლო და საკრებულო დაწესებულებებს;

6. იმერეთიდან გადმოსულ გლეხთაგან მხოლოდ ისინი ჩაითვალონ გაქცეულებად, რომლებიც 1830 წლის შემდეგ გადმოვიდნენ, საქართველოში ცხოვრობენ ყოველგვარი წერილობითი საბუთის გარეშე და მათსა და მათ შემფარველთა მიმართ გამოყენებულ იქნეს 1832 წ. გამოცემული მე-14 ტ. 171-ე და 491-ე მუხლები საპასპ[ორტო მოთხოვნათა დარღვევისა] და გაქც[ეულთა] შესახებ;

7. ადრინდელ განკარგულებათა საფუძველზე საქართველოდან იმერეთში უკვე გადასახლებულ გლეხებს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილებზე უნდა შეექმნათ ხელსაყრელი პირობები და განემარტოთ, რომ უკან, საქართველოში, დაბრუნება გამოიწვევს მათი სამეურნეო ყოფის მოშლას, საჩივრების განხილვა კი შესაძლოა უაღრესად გართულდეს.

ეს მოსაზრებები გენერალმა გოლოვინმა 1838 წლის 7 ოქტომბერს ბ-ნ სამხედრო მინისტრს წარუდგინა.

საქმე წინასწარი განხილვისთვის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს გადაეცა.

შინაგან საქმეთა მინისტრი, პირველ რიგში, დაინტერესდა ბარონ განის შეხედულებით, რომელიც ამ დროს ამიერკავკასიის

მხარის მოწყობის კომისიას თავმჯდომარეობდა. ბარონმა განმა უპასუხა: იმერეთიდან სხვადასხვა დროს გამოსულ და საქართველოში დამკვიდრებულ გლეხებთან დაკავშირებული გარემოებები მმართველი სენატის 1834 წლის 27 აგვისტოს ბრძანებულებით მკაფიოდ და ნათლად არის განსაზღვრული. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ზუსტად მივსდიოთ ამ, ბარონ როზენის მიერ არსებითად დარღვეულ, ბრძანებულებას: ა) ნაცვლად 1804 წლისა, მივიღოთ გენერალ გოლოვინის მიერ შემოთავაზებული 1810 წელი, რამდენადაც სწორედ 1810 წელს მოხდა იმერეთის შეერთება რუსეთის სახელმწიფოსთან; ბ) იმერელმა მებატონეებმა თავიანთი უფლება გლეხთა ძიების შესახებ უნდა დაამტკიცონ საქართველოს სასამართლო და სამთავრობო უწყებებში; გ) გლეხთა გადასახლებისას არ უნდა იქნეს დაშვებული არავითარი შემავიწროებელი მოქმედებები და მებატონეებს უნდა მოეთხოვოთ, მოამარაგონ ისინი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საზიდრებითა და კვებისთვის საჭირო ფულით, და დ) გადასახლებისას არ იქნეს გამოყენებული ვახტანგ მეფის კანონთა 199-ე და მე-200 მუხლები, რადგანაც შესაძლებელია ეს იქცეს გლეხთა შემავიწროებელ გარემოებად და არც არის ასეთი შემთხვევებისათვის შესაბამისი. საქმე ისაა, რომ, თუ გლეხს გადაუწყვეტენ გადასახლებას, აქედან თავისთავად გამომდინარეობს ის, რომ მიწის მფლობელს არ ჰქონდა უფლება, ასეთი გლეხი თავის მამულში დაემკვიდრებინა და, შესაბამისად, მიწის მფლობელი ვერც იმ სარგებელს მიიღებს, რომელიც ხსენებული მუხლებითაა გათვალისწინებული (გლეხის მიერ მებატონის მფლობელობაში ყოფნისას მოპოვებული ქონების ნახევარი; შიმშილობისა და დამკვიდრების პერიოდში გლეხის გამოკვებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება წინანდელი მებატონის მიერ).

რაც შეეხება იმ გლეხებს, რომლებიც იმერეთიდან საქართველოში 1811 და 1812 წლების შიმშილობისას გადმოსახლდნენ, აგრეთვე – რომლებიც უკვე გადასახლებულნი არიან საქართველოდან იმერეთში, ამათთან დაკავშირებით ბარონი განი სავსებით დაეთანხმა გენერალ გოლოვინის მოსაზრებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი, გრაფი სტროგანოვი, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებისას დაეყრდნო: ა) 1827 წლის 9 ნოემბრისა და 1828 წლის 18 აგვისტოს უმაღლესად

დამტკიცებულ ბრძანებულებებს მაწანწალების შესახებ ნოვოროსიის მხარესა და ბესარაბიაში; ბ) კომიტეტის 1834 წლის მაისის უმაღლესად დამტკიცებულ მოსაზრებას დასავლეთი გუბერნიებისათვის იქაური მაწანწალების შესახებ; გ) მინისტრთა კომიტეტის 1837 წლის 9 სექტემბრისა და 1838 წლის 25 იანვრის უმაღლესად დამტკიცებულ დებულებებს ყუბანსიქითა ახალმოსახლეების შესახებ; დ) იმავე კომიტეტის 1839 წლის 16 მაისის უმაღლესად დამტკიცებულ დებულებას ბესარაბიის მაწანწალების შესახებ, და ე) მე-9 ტომის 690-ე მუხლისთვის დართულ შენიშვნას.

საბოლოოდ, საკითხის შესახებ გენერალ გოლოვინთან შეთანხმებული მისი მოსაზრებები ასე ჩამოყალიბდა:

1. ამ წესების შემოღებამდე იმერეთიდან საქართველოში და საქართველოდან იმერეთში გადასული გლეხები თუ სხვა წოდების პირები ხსენებულ პროვინციებში საკუთარი სურვილის შემთხვევაში ახლანდელ საცხოვრებელ ადგილებში იქნენ დატოვებულნი, რათა მათ, ვინც აქამდე არც ერთ უწყებაში არ არიან ჩარიცხულნი, შეარჩიონ მათთვის სასურველი უწყება და ჩაირიცხონ შესაბამის კატეგორიაში.

2. რამდენადაც გაქცევა და თვით გაყალბებული მიწერაც კი აღნიშნულ პროვინციებში არ ქმნის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს, მებატონეებსა და საზოგადოებებს მიეცეთ სათანადო საფასური გაქცეული გლეხებისა თუ სხვა პირების საზღაურად, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მებატონეებსა და საზოგადოებებს წინამდებარე წესების გამოქვეყნებამდე უწყებათა ხელმძღვანელებისთვის ან გამოცხადებული აქვთ გაქცეულთა შესახებ, ან კიდევ, სადაც ჯერ არს, შეტანილი აქვთ სარჩელი მათი დაბრუნების მოთხოვნით;

3. საქმის წარმოება სახაზინო წესით უნდა მოხდეს იმ საუწყებო ტერიტორიაზე, სადაც გაქცეული იქნება ნაპოვნი;

4. საფასური არ დაწესდეს: ა) გარდაცვლილთათვის; ბ) გაშვების დამადასტურებელი დაუმოწმებელი ქაღალდის მფლობელთათვის, თუნდაც მასზე არსებული ხელმოწერების ნამდვილობა ეჭვს არ იწვევდეს;

5. საფასური დაწესდეს: მამაკაცებისთვის 60 მან., ქალებისთვის 30 მან., ბავშვებისთვის (გარდა დევნილობაში დაბადებულე-

ბისა) 14 წლის ზემოთ: მამრობითი სქესისთვის 40, ხოლო მდედრობითი სქესისთვის 30 მან. ვერცხლით.

6. საფასური უნდა მიეცეს იმ უწყებებს, საზოგადოებებსა და მებატონეებს, რომლებზედაც გაქცეულია მიწერილი. თუ ვინმეს არ ექნება გაქცეულის უკან მიღების სურვილი, თუმცა გაქცევისას ან ახლო ხანებში სათანადო წერილობითი თხოვნა ჰქონდა შეტანილი, ან ამ წესების ამოქმედებამდე საქმის გარშემო დაწყებულია სარჩელის განხილვა, ასეთი გლეხი დაუბრუნდეს მებატონეს.

7. საქართველოდან უკვე გასახლებული გლეხები დატოვებულ იქნენ ამჟამინდელ საცხოვრებლებში და არ მოხდეს მათი საქმის ხელახალი წარმოება.

8. დაწესდეს მკაცრი მეთვალყურეობა, რათა არც საბატონო გლეხებმა, არც სხვა პირებმა ამის შემდეგ არ გაბედონ თვითნებურად სხვაგან წასვლა; აკრძალულია თვითნებურად წასულთა მიღება, მით უმეტეს, მათთვის საცხოვრებლისა და სამუშაოს მიცემა. დამრღვევთა დასასჯელად გამოყენებულ იქნეს 1830 წლის 24 ივნისს უმაღლესად დამტკიცებული წესები (1832 წელს გამოცემული XIV ტ. 168-ე, 173-ე და 491-ე მუხლ. საპასპ[ორტო მოთხოვნების დამრღვევთა] და გაქც[ეულთა] შესახებ – საქართველოსა და იმერეთში მცხოვრებთა თვითნებურად მიმოსვლისა და მათი შემფარებლებისთვის დაწესებული სასჯელი).

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ლონგინოვი კი ყველა ზემოდასახელებულ გარემოებათა და მოსაზრებათა განხილვა-გააზრებაზე დაყრდნობით მიიჩნევდა:

1. ყველა საბატონო გლეხი, რომელიც იმერეთიდანაა გადმოსული, ისევე, როგორც ისინი, რომლებიც ამ მხარის რუსეთთან შეერთებამდე, ანუ 1810 წლამდე, გადმოსახლდნენ, მუდმივ მაცხოვრებლებად იქნენ დატოვებულნი იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ; ისინი არ დაექვემდებარონ უკან დაბრუნებასა და რაიმე საფასურის დაწესებას. იმავე საფუძველზე ამჟამინდელ საცხოვრებელში იქნენ დატოვებულნი ის იმერელი გლეხები, რომლებიც იმერეთიდან 1811 და 1812 წლებში გადმოსახლდნენ. ეს იმიტომ, რომ მებატონეებმა მაშინ გლეხებს შიმშილობის გამო თვითონვე დართეს ნება, გადასახლებულიყვნენ საქართველოში.

2. ამჟამინდელ საცხოვრებლებში იქნენ დატოვებულნი ისინიც, რომლებიც ზემოაღნიშნული დროიდან მინისტრთა კომიტეტის 1830 წლის 24 ივნისის დებულებამდე გადმოსახლდნენ იმერეთიდან. ხოლო ისინი, რომელთა გაქცევის გამო თავის დროზე სარჩელები იქნა აღძრული და ეს სარჩელები კანონიერად იქნა ცნობილი, დაბრუნებულნი კი არ იქნენ, არამედ მათს მებატონეებს მიეცეთ სათანადო ფულადი საზღაური.

3. ისინი, რომლებიც მინისტრთა კომიტეტის დებულების გამოქვეყნების შემდეგ გადმოსახლდნენ, დაუბრუნდნენ თავიანთ მებატონეებს ზოგადრუსული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთანავე, მკაცრად იქნეს გაკონტროლებული, რომ გლეხს შეუნარჩუნდეს თავისი სარჩო-საბადებელი და დაზღვეული იყოს ყოველგვარი შემავიწროებელი ზემოქმედებისაგან. თუ მებატონე თანახმა იქნება, რომ მისგან გაქცეული გლეხი დარჩეს ამჟამინდელ საცხოვრებელში და ამის სანაცვლოდ წინა პუნქტში მითითებულ საფუძველზე მიიღოს საზღაური, მებატონის ეს სურვილი დაკმაყოფილდეს.

4. არზების მიღება და ანაზღაურების შესახებ საქმის წარმოება სახაზინო წესებით განხორციელდეს იმ საკრებულო დაწესებულებების მიერ, რომლის საუწყებო ფარგლებშიც იქნება გაქცეული გლეხი ნაპოვნი.

5. არავითარ შემთხვევაში არ დაწესდეს საფასური: ა) გარდაცვლილთათვის; ბ) საკრებულო დაწესებულებების მიერ დაუმოწმებელი გაშვების დამადასტურებელი ქაღალდის მფლობელთათვის, თუნდაც ამ საბუთზე მებატონის ან მისი ნდობით აღჭურვილი პირის ხელმოწერა ეჭვს არ იწვევდეს.

დანარჩენი 3 პუნქტიც გრაფ სტროგანოვის შეხედულებებს ემთხვეოდა.

მინისტრთა კომიტეტის აღნიშნული შეხედულებები დასკვნისთვის ყოფილ ამიერკავკასიის მოწყობის კომიტეტს გადაეცა.

ამიერკავკასიის მოწყობის კომიტეტი, თავის მხრივ, მიიჩნევდა, რომ საქმის მიმართ დამოკიდებულებები განსხვავებული იყო. გენერალ-ადიუტანტი, გრაფი სტროგანოვი და სახელმწიფო მდივანი ლონგინოვი მიიჩნევდნენ, რომ თვითნებური გადასახლებები საზოგადოებრივი წყობისთვის საფრთხის შემცველი იყო, ამ

საფრთხის აღმოფხვრას ადმინისტრაციულ საკითხად მიიჩნევდნენ და ამიტომაც წარადგინეს იგი განსახილველად მინისტრთა კომიტეტში. თუმცა მინისტრთა კომიტეტმა მიიჩნია, რომ პრობლემას მებატონეებისა და მათი გლეხების უფლებათა დაპირისპირება ქმნიდა, ამდენად, საკითხი საკანონმდებლო სფეროში ექცეოდა, ამიტომ საქმე განსახილველად და სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად ამიერკავკასიის კომიტეტს გადასცა.

ორივე დასკვნა, კომიტეტის აზრით, სავსებით საფუძვლიანი იყო, თუმცა, გადასაწყვეტი საკითხის არსიდან გამომდინარე, ისინი ცალ-ცალკე ვერ იქნებოდა განხილული, მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ პრობლემას კი სწორედაც რომ მათი აუცილებელი შერწყმის სირთულე ქმნიდა.

მიუხედავად იმისა, გადასახლება კანონიერად იქნება ცნობილი თუ თვითნებურ მოქმედებად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით გადასახლებასთან დაკავშირებული საქმის გამოძიებას ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ: გადასახლებულნი, ყოველ შემთხვევაში, მათი უმეტესი ნაწილი, როგორც ამას მინისტრებიც მიიჩნევდნენ, დატოვებულ უნდა იქნენ ახალ საცხოვრებელ ადგილებში. ასე და ამგვარად, საკითხი ადმინისტრაციულ ღონისძიებათა ფარგლებში ექცევა და ადვილადაც გვარდება. მაგრამ აქ თავს იჩენს ახალი გარემოება, რომელსაც საქმე საკანონმდებლო სივრცეში შეჰყავს: მიეცეთ თუ არ უნდა მიეცეთ ახალ საცხოვრებელში დატოვებულ გადასახლებულთა ძველ მებატონეებს სათანადო საფასური? ამ საკითხის დადებითად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მებატონის საკუთრების უფლება იქნება კანონიერად ცნობილი. შესაბამისად, ყოველგვარი საფასურის გადახდა თავისთავად დაადასტურებს მებატონის უფლების კანონიერებას. თავის მხრივ, გადასახლებულთა სანაცვლოდ მებატონისათვის საფასურის გადახდაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ გადასახლებული არ წარმოადგენს მებატონის საკუთრებას. ასე რომ, გადასახლებულის უსასყიდლოდ დატოვება ახალ საცხოვრებელში საფუძველშივე შეარყევს მებატონის საკუთრების უფლებას. საერთოდ მებატონეთა უფლების გვერდის ავლით გადასახლებულთა საქმის მოგვარება შეუძლებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ

ეს საქმე თავდაპირველად სწორედ მებატონეთა საჩივრებით დაიწყო და მათივე გამახვილებული ყურადღების საგანია და, ამას გარდა, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას საკუთრების უფლების გამორიცხვა აღქმული იქნება, როგორც მებატონეთა ფენის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულების გამოხატულება.

შემდგომ ამისა: რამდენადაც მებატონეთა უფლების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი ხდება გადასახლებულთა ბედის გადაწყვეტა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ საქმის განხილვა არსებულ პირობებში ვერც საფუძვლიანი იქნება და ვერც – დროის შესაფერისი. ხოლო ***საფუძვლიანი ვერ იქნება*** იმიტომ, რომ ***ადგილიდან მოწოდებული ცნობები დიდად საეჭვოს ხდის*** თვითონ ბატონყმობის არსებობას ამიერკავკასიის პროვინციებში, ამასთანავე, ამ ეჭვის უარსაყოფად ან დასადასტურებლად დღემდე არ მოიპოვება – ყოველ შემთხვევაში, კომიტეტს არ მოეპოვება – სანდო და დამაჯერებელი მონაცემები. მებატონეთა უფლებების შესახებ მსჯელობა კი ***არადროული*** იმიტომ არის, რომ საკითხის გადაწყვეტა თავისთავად უკავშირდება შეურაცხყოფას მებატონეებისას, რომლებიც გლეხებს უყურებენ, როგორც თავიანთ საკუთრებას, ან გლეხებისას, რომლებსაც გათავისუფლების გარკვეული იმედები ჩაესახათ. ამ ყველაფერს მთელ მხარეში, გენერალ გოლოვინის აზრით, შეუძლია გამოიწვიოს რყევები, რაც მეტად არასასურველია, მით უმეტეს, ამჟამად, როცა იქ, ჩვენი სამხედრო საქმეებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული წინდახედულობა გვმართებს. ახალი სამოქალაქო წყობილების დამკვიდრების პროცესი იქ დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ისეთი შეხლა-შემოხლისაგან, რომელიც უკმაყოფილებას გამოიწვევს და საქმეს გაგვირთულებს.

ასე რომ, ამ საქმის შესახებ რაიმე გადამჭრელი გადაწყვეტილების მიღება დღევანდელ ვითარებაში არც შეიძლება და არც უნდა მოხდეს, თუმცა კომიტეტი მაინც აუცილებლად მიიჩნევს, თუნდაც ირიბი საშუალებებით ქვეყანა დაიცვას მოუწესრიგებელი ყოფისაგან, ხოლო გადასახლებული გლეხები – მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნებისაგან. ასეთ ვითარებაში კომიტეტი მიიჩნევს, რომ ყველაზე სამართლიანი და საიმედო გზა იქნება, გათვალისწინებულ იქნეს ხელმწიფე იმპერატორის ის მოსაზრებები, რომლე-

ბიც მისმა უმაღლესობამ ამიერკავკასიაში მოგზაურობისას გამოთქვა. კერძოდ, კომიტეტს მიაჩნია:

1. მისი უმაღლესობის ნების თანახმად, ყველა გლეხი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას მიეკუთვნება იგი, ახალ საცხოვრებელში დარჩეს მანამ, სანამ მებატონეებისა და მათი გლეხების უფლებრივი ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა საბოლოოდ არ დასრულდება.

2. შემდგომ ამისა, კატეგორიულად აიკრძალოს თვითნებური გადასახლება, ხოლო ურჩებს, რომელ კატეგორიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი, მებატონეთა უფლებრივი საკითხის გამორკვევამდე მოექცნენ, როგორც მაწანწალებს.

3. დაევალოს გენერალ გოლოვინს, ზოგადად მებატონეთა და გლეხთა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას მხედველობაში იქონიოს გადასახლებულთა საკითხიც და თავისი დასკვნები წარადგინოს დანიშნულებისამებრ.

კომიტეტის ეს დებულება უმაღლესად დამტკიცდა 1840 წლის 17 ოქტომბერს, კომიტეტმა მას იმავე ოქტომბრის 19 რიცხვში დაურთო შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების მოსაზრებათა ასლები, რათა მებატონეთა უფლებების განხილვა ბარონ განის ს.-პეტერბურგში დაბრუნებამდე დაწყებულიყო.

ყოველივე ამის შედეგი იყო მთავარმმართველობის საბჭოს მიერ შემუშავებული 1841 წლის 13 მარტის დებულება, რომელმაც, როგორც ეს ხელმწიფე იმპერატორმა შენიშნა, არაკეთილსასურველი შთაბეჭდილება დატოვა.

5. სამეგრელოდან გადმოსულთა შესახებ

სამეგრელოს აწ განსვენებულმა მთავარმა, გენერალ-ლეიტენანტმა, თავადმა ლევან დადიანმა 1834 წელს თბილისში ყოფნისას მთავარმართებელს, ბარონ როზენს, სხვა საჭიროებებთან ერთად პირადად ისიც მოახსენა, რომ მისდამი დაქვემდებარებული ბევრი გლეხი თვითნებურადაა საქართველოში გადმოსული, აქ ყოველგვარი წერილობითი ნებართვის გარეშე ცხოვრობს, უკან დაბრუნებაზე კი უარს ამბობს. მთავარი ბარონ როზენს სთხოვდა სა-

თანადო განკარგულებას, რათა ეს გლეხები უკან, სამეგრელოშივე, დაებრუნებინათ.

განსვენებულმა გენერალ-ადიუტანტმა, ბარონმა როზენმა, ეყრდნობოდა რა კანონებს, რომლებიც გაქცეული გლეხებისა და მათი შემფარებლების სამართლებრივ დევნას ითვალისწინებდა, 1835 წლის იანვარში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს გაუგზავნა მოთხოვნა – გუბერნატორს ადგილობრივი მმართველებისგან უნდა მოეთხოვა წერილობითი ნებართვის გარეშე აქ მცხოვრებ მეგრელთა სიები, ხოლო შემდეგ გაეცა განკარგულება, ყოველგვარი წერილობითი ნებართვის გარეშე საქართველოში მცხოვრები მეგრელები სამშობლოში დაუყოვნებლივ გაესახლებინა. თუმცა გამონაკლისი უნდა დაშვებულიყო იმათ მიმართ, რომლებიც უკვე ეკუთვნოდნენ ახალ მებატონეებს, ან სახაზინო თუ საეკლესიო უწყებებს და უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვითაც, მათზევე იყვნენ მიწერილნი. ამ კატეგორიის შესახებ სამეგრელოს მთავრის რწმუნებულს ცალკე უნდა შეედგინა სპეციალური სიები და თითოეულ მათგანზე სათანადო ახსნა-განმარტების დართვით წარედგინა მთავარსამმართველოსათვის. ამასთანავე, გუბერნატორი გაფრთხილებული იყო – მართალია, სიებში ისეთი მეგრელებიც იყვნენ აღრიცხულნი, რომლებიც საქართველოში 10 წელიწადზე მეტი ხნის წინ იყვნენ გადმოსულნი, მაგრამ ამ გარემოებას სამეგრელოში მათი დაბრუნების პროცესი არ უნდა შეეფერხებინა; და ეს იმიტომ, რომ გაქცეულ გლეხთა ძებნისთვის დაწესებული 10-წლიანი ვადა მათზე არ ვრცელდებოდა. მართალია, საქართველოში 1804 წლამდე გადმოსული იმერლები თავიანთ ახალ საცხოვრებელში უნდა ყოფილიყვნენ დატოვებულნი, მაგრამ ეს წესი მხოლოდ და მხოლოდ იმერლებს ეხებოდა და იგი, როგორც ითქვა, მეგრელებზე არ ვრცელდებოდა.

ამის შემდეგ, 1836 წლის ივლისში, ბარონ როზენთან ორი თხოვნა შევიდა: სამეგრელოს მთავრის რწმუნებულებისაგან და ზოგიერთი იმერელი მებატონისაგან. პირველნი ჩიოდნენ, რომ ისინი გაქცეული მეგრელების უკან დაბრუნებისას აწყდებოდნენ დაბრკოლებებს. ამ დაბრკოლებებს კი ქმნიდა როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და პოლიციის არცთუ ქმედითი თანამშრომლობა, ისე გაქცეულ მეგრელთა ჩვენებები, თითქოს ისინი

იმერეთის მეფის მიერ 1804 წლის ტრაქტატის დადებამდე გადმოვიდნენ საქართველოში; იმერელი მებატონეები კი ჩიოდნენ, რომ საქართველოში გაქცეული იმერლები თვითონ ქმნიდნენ გაშვების დამადასტურებელ ნაყალბევ საბუთებს, ხოლო საქართველოს მცხოვრებლები არა მარტო იცავდნენ გაქცეულებს, არამედ იღებდნენ წერილობითი ნებართვის გარეშე ახალ-ახალ გადმოსულებს, აძლევდნენ მათ თავშესაფარს და ამით ხელს უშლიდნენ გაქცევის აღკვეთისკენ მიმართულ სახელისუფლებო ღონისძიებებს.

ბარონმა როზენმა მაშინ სამოქალაქო გუბერნატორს შესთავაზა, ***ჯერ ერთი:*** გაეცა განკარგულება, რათა საქართველოში ადგილობრივ მმართველობებს მაქსიმალური ძალისხმევა გამოეჩინათ გაქცეული მეგრელებისა და იმერლების გამოვლენაში, შემდეგ კი ისინი ოჯახებიანად და სარჩოსაბადებლიანად რწმუნებულებისათვის გასასახლებლად გადაეცათ; ამასთანავე, გუბერნატორს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ საქართველოში 1804 წლამდე გადმოსული მეგრელებიც ექვემდებარებოდნენ გასახლებას, რადგან სამეგრელოს მთავარი არასოდეს ყოფილა დამოკიდებული იმერეთის მეფეზე და, შესაბამისად, მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია 1804 წლის ტრაქტატის დადებაში. ამას გარდა, მეგრელების მიერ წარმოდგენილი არავითარი გაშვების დამადასტურებელი ქაღალდი თუ სხვა წერილობითი აქტები არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, თუ იგი დამტკიცებული არ იქნება მთავრის მიერ; მთავარი კი, თავის მხრივ, უმაღლესად ბოძებული უფლებებით არის აღჭურვილი; ***მეორე:*** რამდენადაც მებატონეთა უფლების დაცვა მინდობილი აქვს იმერეთის მმართველობას, ამიერიდან მხედველობაში არ იქნეს მიღებული თვითონ გაქცეულთა ჩვენებები იმის შესახებ, რომ ისინი არ ეკუთვნიან ამა თუ იმ მებატონეს; ***მესამე:*** განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაქცეულთა მიერ წარმოდგენილ გაშვების დამადასტურებელ ქაღალდებს, რომელთაგან უმრავლესობა უკანონოა, რამდენადაც დარღვეულია დადგენილი წესი და ფორმა – დასადასტურებლად დროულად არ არის წარდგენილი საკრებულო დაწესებულებებში და თვითონ გლეხების მიერ ნაყალბევადაც კი არის შედგენილი მებატონეთა დაუკითხავად; და ***მეოთხე:*** ეცნობოს საქართველოს თითოეულ მოსახლეს, რომ არ შეიფარონ და არ დაასაქმონ მაწანწა-

ლები და გადმოსულები, რომელთაგან ბევრს ადრინდელ სამ-კვიდრებელში ჩადენილი აქვს დანაშაული და ემალება დევნასა და სასამართლოს, ან კიდევ მიტოვებული ჰყავს კანონიერი ცოლი და ოჯახი და აქ ხელახლა ეკიდება ოჯახს. მათს შეფარებაში მხილე-ბულს, ვინც არ უნდა იყოს იგი, განესაზღვროს მკაცრი სასჯელი, ხოლო თვითონ გაქცეულთა ოჯახებსა და მათს სარჩო-საბადე-ბელს უნდა მოექცნენ კანონის შესაბამისად.

თუმცა იმ დასკვნის შემდეგ, რომელიც რედუტ-კალედან თბილისამდე მგზავრობისას ხელმწიფე იმპერატორისთვის წარ-დგენილ თხოვნათა განსახილველად თბილისში დაარსებულმა კო-მისიამ შეიმუშავა, სამეგრელოდან გადმოსულთა საკითხი განუყ-რელად დაუკავშირდა იმერეთიდან გადმოსახლებულთა საკითხს. შესაბამისად, ყველა ზემომოყვანილი მსჯელობა თუ დასკვნა ორი-ვე საკითხს თანაბარზომიერად შეეხო, ოღონდ ერთი გამონაკლი-სით: თუ იმერელთათვის საქართველოში გადმოსახლების გამო ძი-ების დაწყების საფუძვლად დადგენილი იყო 1810 წელი, განიზრა-ხეს, მეგრელთათვის ასეთ თარიღად 1804 წელი – სამეგრელოს მთავრის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა – დაწესებულიყო.

ამასობაში სამეგრელოს ამჟამინდელმა მთავარმა, გენერალ-მაიორმა, თავადმა დავით დადიანმა 1843 წლის 25 სექტემბერს აწ განსვენებულ გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარტს საჩივრით მიმართა – იმ მეგრელებს, რომლებიც მთავრის დაქვემდებარებაში უნდა იყ-ვნენ, მაგრამ თვითნებურად, წერილობითი ნებართვის გარეშე გა-დასახლდნენ საქართველოში, იქაურები იღებენ და დამნაშავეებს თავშესაფარსაც აძლევენო. მთავარი ითხოვდა, ადგილობრივი ხელმძღვანელობა მკაცრად გაეფრთხილებინათ, რათა ისინი მისი უგანათლებულესობის რწმუნებულებს გაქცეულთა მოძებნასა და უკან, ადრინდელ სამკვიდრებელში, დაბრუნებაში დახმარებოდნენ. და თუ მათ შორის აღმოჩნდებოდნენ ისეთებიც, რომლებიც 1804 წლამდე გადავიდნენ საქართველოში, ჰქონდათ იქ ბინადრობის უფლება და მათი უკან, სამშობლოში, დაბრუნება გართულებული იყო, თავადი დადიანი აცხადებდა თანხმობას, ასეთი ადამიანები ამჟამინდელ საცხოვრებლებში დაეტოვებინათ, ოღონდ იმ პირო-ბით, რომ კამერალურ აღწერებში ისინი სამეგრელოს მთავრის სა-კუთრებად ყოფილიყვნენ მითითებულნი და ღალა სამეგრელოს

სამთავრო ოჯახისთვის ეხადათ. სამეგრელოს მთავრის დაქვემდებარებისგან მათი გათავისუფლება, მთავრის თქმით, არ შეუძლია არც ახალი ბინადრობის ხანგრძლივობას, არც იმას, რომ ისინი ამ ახალ სამკვიდრებელში იხდიდნენ ბეგარას და ამას ყოველივეს საფუძვლად ის უდევს, რომ სამეგრელოს მთავარს არასოდეს შეუწყვეტია საქართველოს მმართველობისადმი თხოვნა გაქცეულთა მოძებნის, დევნისა და უკან დაბრუნების შესახებ; და საერთოდ არავის არა აქვს მთავრის ხელქვეითთა მისაკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა, თუ სად არის ესა თუ ის ხელქვეითი დამკვიდრებული.

გენერალ-ადიუტანტმა ნეიდგარტმა, ატყობინებდა რა იმერეთიდან და სამეგრელოდან გადმოსულთა საქმეების შესახებ, 1840 წლის 22 ნოემბერს თავად დადიანს მისწერა, რომ საკითხის ზოგადად და საბოლოოდ გადაწყვეტამდე მისი სურვილების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ხოლო რაც შეეხება იმ მეგრელებს, რომლებმაც თვითნებურად დატოვეს თავიანთი სამკვიდრებელი, ამიერკავკასიის მხარის საქმეთა ყოფილი კომიტეტის მიერ შემუშავებული და 1840 წლის 17 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცებული დებულების მიხედვით, მთავრის რწმუნებულის მიერ ასეთ მეგრელებზე მითითების შემთხვევაში ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვალდებული იქნებოდა, იმავე დებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად ემოქმედა.

ამ ეტაპზეა ამჟამად მიმოწერა საქართველოში გადმოსულ იმერელთა და მეგრელთა შესახებ.

6. ტყვედნამყოფ გლეხთა უფლების შესახებ, მოიპოვონ თავისუფლება

1826 წელს, საქართველოში სპარსელთა შემოჭრის დროს, მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრებთა ერთი ნაწილი ტყვედ იქნა წასხმული. იმათ შორის, ვინც უკან, თავის სამკვიდრებელში, დაბრუნება შეძლო, იყო მებატონის, თავად ლუარსაბ ორბელიანის, გლეხი გრიქურაშვილი. იგი ტყვეობაში იმყოფებოდა 3 თვის განმავლობაში. ასეთი შემთხვევებისთვის სპეციალური დადგენილე-

ბის არარსებობის გამო ამ გლეხის დაბინავებისას ადგილობრივი ხელმძღვანელობა სირთულეებს წააწყდა.

ე. წ. ვახტანგის კანონთა ბერძნული ნაწილის მე-40 მუხლში ნათქვამია: „გავიგონეთ, რომე ქრისტიანე ვინმე დატყუევდაო და ტყუე იგი მორჩა ტყუეობისაგან; მერმე სხვათა ქრისტიანეთა დაიჭირეს იგი და ყმათ ყავთ; ესრეთ იმსახურებენ მას, ვითარცა ნასყიდს ტყუესა. ისმინე, უკეთუ გინდეს მსახური, თათრის ხელისაგან გამოიხსენ ტყუე და სამს წელიწადს იმსახურე იგი და მასუკან განათავისუფლენ იგი. თუ ამისგან უფროს ხანს დაიჭერ, იქმნები უსჯულო და ურწმუნო“.[15]

თბილისის ყოფილმა სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-ადიუტანტმა სტრეკალოვმა ჩათვალა, რომ ეს კანონი ქართველ თავად-აზნაურთა კუთვნილ ტყვედნამყოფ გლეხებს პირდაპირ არ ანიჭებდა თავისუფლებას, თუმცა, იმავდროულად, ტყვეობისგან გათავისუფლებულის ადრინდელ საცხოვრისში დაუბინავებლად ტყვედნამყოფის ყმად შენარჩუნების აკრძალვასაც შეიცავდა. ამასთანავე, ტყვის გამომსყიდველს გამოსყიდვის საზღაურად შეეძლო გამოსყიდული ყმად ჰყოლოდა არა უმეტეს 3 წლისა. თუკი ამ კანონის თანახმად, ტყვედნამყოფ გლეხს ამის შემდეგ თავისუფლებას მივანიჭებთ, მაშინ წარმოიშობა სხვა კითხვები: უნდა მიენიჭოს თუ არა თავისუფლება იმ გლეხებს, რომლებიც მშვიდობიანობის პერიოდში მოთარეშე მთიელებმა გაიტაცეს? ან კიდევ: თუნდაც ღია, გამოცხადებული ომის დროს ტყვედ ჩავარდნა ნიშნავს თუ არა იმას, რომ ტყვედნამყოფს უცილობლად უნდა მიენიჭოს თავისუფლება?

პირველ შემთხვევაში თავისუფლების მინიჭება შეიძლება ბოროტგანზრახულობის წამახალისებელ გარემოებად იქცეს: ქართველ მებატონეთა გლეხებს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც მტრულად განწყობილთა მოსაზღვრე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, შეუძლიათ გაიქცნენ, გადალახონ საზღვარი, იქ გარკვეული დროის განმავლობაში მთებსა და ხეობებში იხეტიალონ, შემდეგ დაბრუნდნენ, გამოაცხადონ, ტყვეობაში ვიმყოფებოდითო და მოითხოვონ თავისუფლება. არადა, მოწმეთა არარსებობის გამო მათი მხილებაც რთული იქნება.

ვერც მეორე შემთხვევა, ანუ ომის დროს ტყვედ ჩავარდნა, უნდა იქცეს თავისთავად თავისუფლების მინიჭების საფუძვლად: საქართველოზე თავდასხმისას მტრის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრებთ მხოლოდ თითო-თითოდ კი არ ატყვევებენ, არამედ ზოგჯერ მთელ სოფლებს აყრიან და ტყვედ წაასხამენ. და თუ უკან დაბრუნებულმა საბატონო გლეხობამ ასე ერთობლივად მოითხოვა თავისუფლება, მათი მებატონე მთლიანად დაკარგავს საკუთრებას, რაც მართლმსაჯულებისათვის მისაღები არ არის. თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა, გენერალ სტრეკალოვის შეხედულებით, გლეხს შეიძლება მიეცეს თავისუფლება, კერძოდ: თუ მებატონე, ომი იქნება თუ მშვიდობა, უკიდურესი აუცილებლობის გარეშე გაგზავნის თავის გლეხს ისეთ სახიფათო ადგილას, სადაც იგი შეიძლება ტყვედ ჩავარდეს და ეს გლეხი მართლაც ტყვეობაში აღმოჩნდა, ხოლო იქიდან თავისი მებატონის ძალისხმევის გარეშე გათავისუფლდა.

ამ მოსაზრებას დაეთანხმა მმართველი სენატის I დეპარტამენტი, რომელსაც საკითხი ნებართვისთვის ჰქონდა გადაცემული.

სენატის საერთო სხდომაზე მოუხერხებლად მიიჩნიეს ზოგადი კანონებიდან გამონაკლისის დაშვება იმ გლეხებისთვის, რომლებიც უკიდურესი აუცილებლობის გარეშე მებატონეებმა გაგზავნეს სახიფათო ადგილებში, საიდანაც ეს გლეხები ან გაიტაცეს, ან დაატყვევეს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ მეტად გაძნელებულია სახიფათო ადგილის უხიფათოსგან გარჩევა და, ამას გარდა, აუცილებლობა ან არააუცილებლობა იმ საჭიროებისა, რის გამოც მებატონემ გლეხი სადმე გაგზავნა, უნდა გამორკვეულ იქნეს თვითონ გლეხის გამოკითხვის ან მის მიერ წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება იმპერიის (მათ შორის, საკუთრივ საქართველოს) ძირეულ კანონებს. და საერთოდ ზემოხსენებული გამონაკლისი შეიძლება იქცეს კიდევაც გაქცევის საბაბად, ხოლო გაქცეულისთვის – სასჯელის თავიდან არიდების საშუალებად, აქაოდა, მებატონემ სახიფათო ადგილას გამგზავნაო.

ამიერკავკასიის მხარის სარევიზიოდ ჩამოსულმა სენატორმა მეჩნიკოვმა, რომელთანაც ამ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრს ჰქონდა ურთიერთობა, განაცხადა, რომ სავსებით იზია-

რებდა სენატის საერთო სხდომაზე მიღებულ შეხედულებას, რადგანაც: ა) ვახტანგის კანონთა ბერძნული ნაწილის მე-40 მუხლი საბატონო გლეხებზე კი არ ვრცელდება, არამედ ეხება სხვა უწყებებზე მიკუთვნებულ გლეხებს, რომლებსაც, ამიერკავკასიაში არსებული ჩვეულების მიხედვით, ისაკუთრებდნენ ისინი, ვინც ამ გლეხებს ტყვეობიდან გამოისყიდდნენ ან ვის სამკვიდრებელშიც ეს გლეხები აღმოჩნდებოდნენ და ამ მიზეზით მათივე – თვით მოქალაქეებისაც კი – მფლობელობაში იმყოფებოდნენ.[16] საბატონო გლეხების შესახებ კი ვახტანგის კანონთა კრებულში დაბეჯითებულად და უპირობოდ წერია, რომ გლეხი მებატონის საკუთრებად მიიჩნევა მანამ, სანამ მფლობელობიდან მხოლოდ ერთი სულია ამოღებული; ბ) საბატონო გლეხისთვის თავისუფლების მიცემა მაშინ, როცა ეს გლეხი ტყვეობაშია, აშკარა ზიანს მიაყენებს მართებლობას, რადგანაც გლეხები, რომლებიც, ქართული ჩვეულებით, დროებით იმყოფებიან ჩვენს სამხედრო რაზმებში ან მოსაზღვრე ხალხებთან ომებში მონაწილეობენ და ეძლევათ საშუალება, ზემოხსენებული საბაბით გათავისუფლდნენ ბატონისაგან, არათუ მომხდურთა მოგერიებისთვის იბრძოლებენ, არამედ თავიანთი მოქმედებებით ჩვენი ჯარების დასუსტებას შეეცდებიან და მათთვის ხელის შეშლასაც კი არ მოერიდებიან, რათა ტყვედ ჩავარდნენ ანდა სულაც თვითონვე ჩაბარდნენ ტყვედ; გ) გლეხები ბევრგან თვითონ წარმოადგენენ მტრულ ხალხთა თარეშის შემაკავებელ სასაზღვრო დაცვასა და ხელს უშლიან გადამდებ სნეულებათა შემოტანა-გავრცელებას. თავისუფლების მოპოვების მიზნით ისინი განზრახ მიატოვებენ თავიანთ საგუშაგო პოსტებს, გადალახავენ საზღვარს, ღიად დატოვებენ ჩვენს ტერიტორიას მარბიელთა და გადამდები სნეულებებისთვის და ამით საზოგადო ზიანს მოგვაყენებენ; დ) მოთხოვნილ საბუთებში არსებული ბუნდოვანებისა და უზუსტობების გამო, აგრეთვე იმის გამოც, რომ საბუთების უმეტესი ნაწილი საქართველოზე მეზობელთა თავდასხმების დროს დაკარგული ან განადგურებულია, ქართველი მებატონეები ***ისედაც განუწყვეტლივ კარგავენ*** თავიანთ გლეხებს. ასეთ პირობებში ზემოხსენებული საშუალებით გლეხთათვის თავისუფლების მინიჭების დაშვება მებატონეებს სავსებით გააჩანაგებს; ე) დღეს, როცა ქართველ გლეხებს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი უმეცრებისაგან, მათ ან ***საერთოდ არ უნდა მიეცეთ თავისუფლება,*** ან უნდა მიეცეთ უკიდურეს შემთხვე-

ვაში და, დასასრულ, ვ) საბატონო უფლებები და თვითონ ქართველი მებატონეები არსებითად წარმოადგენენ ***საუკეთესო და ყველაზე ერთგულ პოლიციას***, ყველაზე მრავალრიცხოვანსა და განფენილ დასაყრდენს, რომელიც შეიძლება აქ ხელისუფლებას ჰყავდეს.

საქმის არსის შესახებ სახელმწიფო საბჭოს თვალსაზრისის განხილვისას ხელმწიფე იმპერატორმა ორ გადაუჭრელ საკითხზე მიუთითა: 1. გახდება თუ არა საჭირო, ამ შემთხვევისთვის აშკარად გადავუხვიოთ რუსეთში ძველთაგანვე არსებულ და მოქმედ ზოგად კანონმდებლობას? და ეს მაშინ, როცა ჩვენ ყოველმხრივ იმაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომ ახალშემოერთებულ მხარეებში გავავრცელოთ ჩვენი კანონები და ხალხი მივაჩვიოთ რუსულ კანონმდებლობას; 2. საჭირო გახდება თუ არა მთელი ამიერკავკასიის მხარისთვის ზოგადი დადგენილების მიღება საბატონო გლეხთან დაკავშირებული ერთი მაგალითის, ერთი შემთხვევის გამო? ზოგად დადგენილებას იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევები კი არა, ჩვეულებრივი და გავრცელებული გარემოებები უნდა ედოს საფუძვლად.

ვინაიდან ამ საკითხების გადაწყვეტა ადგილებიდან მიღებული ცნობების გარეშე ვერ მოხერხდებოდა, მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ კეთილინება, საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენს, წინასწარ დაჰკითხებოდნენ: ჩვეულებრივია თუ არა მსგავსი შემთხვევები და, თუ ასეთი რამ ხშირად ხდება, რა ზომებს მიმართავენ ხოლმე ადგილებზე იმ უხერხულობების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც სენატის საერთო სხდომაზე აღინიშნა და მიმართავენ თუ არა ამ ზომებს იმპერიაში ძველთაგანვე მოქმედი ზოგადი კანონმდებლობის დაურღვევლად?

უმაღლესი ნების აღსასრულებლად გენერალ-ადიუტანტმა როზენმა დაწვრილებით განიხილა საქმესთან დაკავშირებული გარემოებები, გაითვალისწინა ადგილობრივი კანონები, მხარისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და დაასკვნა:

ამიერკავკასიის მხარეში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ დაუმორჩილებელი მთიელები და თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებთან მომთაბარე მტაცებელი ტომები ხშირად გადმოდიან სათარეშოდ ჩვენს მოსაზღვრე ტერიტორიებზე. ამგვარ პირობებში

იქ მცხოვრებთა დატყვევება გარდაუვალია იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება ყოველ ღონეს მიმართავს ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მებატონეებისაგან თავის დაღწევასა და თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ექსპედიციაში, დღიდან რუსული მმართველობის დამყარებისა, სულ ოთხი ასეთი საქმე იყო წარმოებაში მიღებული. ეს საქმეებიც ვადაგასულობასა თუ სხვა გარემოებებს უკავშირდებოდა და არაფერი ჰქონდა საერთო იმ შემთხვევასთან, რომელიც ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანია. ჩვეულებრივ, ტყვეობაში აღმოჩენილი საბატონო გლეხები, თუ ისინი იქიდან გაქცევას შეძლებენ ან, თუ ნათესავთა – ზოგჯერ მებატონეთა – ძალისხმევით გათავისუფლდებიან, მშვიდობიანად უბრუნდებიან ადრინდელ საცხოვრებელს. ისინი სრულებითაც არ ფიქრობენ მებატონესთან ურთიერთობის ფორმის შეცვლაზე და ის საქმეც, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს მხედველობაში, არც არაფრით განსხვავდება ამგვარი შემთხვევებისაგან.

ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხის უფლებასთან დაკავშირებული მოცემული საქმე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აღიძრა, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ვახტანგის კანონთა ბერძნული ნაწილის მე-40 მუხლი არასწორად გაიგო – მას უშუალოდ ტყვეობიდან დაბრუნებულ გლეხ გრიქურაშვილისთვის უნდა ჩამოერთმია ჩვენება და გაირკვეოდა, რომ იგი მხოლოდ 3 თვის წინ იყო ტყვედ აყვანილი და, შესაბამისად, მაშინვე უნდა გაგზავნილიყო თავის წინანდელ საცხოვრებელში. ნაცვლად ამისა, ხელმძღვანელობამ წამოჭრა საკითხი, სად წარეგზავნა ტყვედნამყოფი: მებატონესთან თუ სახაზინო უწყებაში? სინამდვილეში კი ხსენებული მე-40 მუხლი არათუ არ ითვალისწინებს, რომ ამგვარ ვითარებაში ტყვედნამყოფ საბატონო გლეხს თავისუფლება მიენიჭოს, არამედ საერთოდ არ ეხება ამ საკითხს. უფრო პირიქით, შინაარსობრივად ვახტანგ მეფის კანონთა სხვა მუხლების მიხედვით, მებატონის უფლება თავის გლეხზე სრულებითაც არ შეწყდება იმის გამო, რომ ეს გლეხი ტყვეობაში აღმოჩნდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გლეხი მებატონის მხრიდან შევიწროების გამო არის იძულებული, გაიქცეს უცხოეთში. ამ უკანასკნელ შემთხვევებშიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წინასწარ განსაზღვრული ვადაგასულო-

ბა, რომელიც დადასტურებულია – უფრო მეტიც, გახანგრძლივებულია – 1819 წლის 22 ოქტომბრის უმაღლესად დამტკიცებული დებულებით.

ამიტომაც ბარონი როზენი მიიჩნევდა, რომ ტყვეობიდან გამოხსნილ გლეხთა შესახებ ცალკე საქართველოსთვის სპეციალური დადგენილების მიღების არავითარი საჭიროება არ არსებობდა; და ეს იმიტომ, რომ ამგვარი განკარგულების მიღება სარგებლობას კი არ მოიტანდა, არამედ, შესაძლოა, ბოროტმოქმედების საბაბადაც კი ქცეულიყო.

რაც შეეხება განზრახულებას, რომლის მიხედვითაც საქართველოში ძველთაგანვე მოქმედი ის საიმპერიო კანონი უნდა გავრცელებულიყო, რომელიც მეფე ალექსი მიხეილის ძის სჯულისდების XX თავის 34-ე მუხლითაა განსაზღვრული, ბარონი როზენი მიიჩნევდა: 1801 წლის ყოვლადმოწყალე მანიფესტის მიხედვით, თუ საქართველოში სამოქალაქო საქმეების განხილვისას ადგილობრივი ადათ-წესები და კანონები საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ საერთო-საიმპერიო კანონებით უნდა ეხელმძღვანელათ. ამიტომაც, ბარონ როზენის აზრით, არსებობდა ზემონახსენები კანონდებულების გამოყენების სრული უფლება.

ამას გარდა, ბარონ როზენის შეხედულებით, ტყვედნამყოფთა მიერ თავისუფლების ძიებასთან დაკავშირებულ საქმეებში წინანდელი მებატონისაგან გათავისუფლების ერთადერთ საფუძვლად უნდა დაწესებულიყო 10-წლიანი და არა 12-წლიანი ვადა, როგორც ეს 1819 წლის 22 ოქტომბრის დებულების მე-12 პუნქტით იყო გათვალისწინებული ყველა იმ შემთხვევისთვის, როცა ტყვეობიდან თავდახსნილი საბატონო გლეხის საკითხი საბოლოოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა გადაეწყვიტა და ეს გადაწყვეტილება ნებართვისთვის მთავარმართებლისთვის წარედგინა. ამით, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღკვეთილიყო იმ ტიპის გაუგებრობები თუ არეულ-დარეულობა, გრიქურაშვილის დაბინავებასთან დაკავშირებით რომ მოხდა.

საბოლოოდ მმართველმა სენატმა 1836 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დაადასტურა იმავე იანვრის 4-ში სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული და უმაღლესად დამტკიცებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა 2

წლით უნდა გადადებულიყო. ამასთანავე, საქართველოს მთავარმართებელს ამ დროის განმავლობაში უნდა ემოქმედა უკვე არსებული წესების მიხედვით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნებოდა საკითხს და წარმოედგინა აზრი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებითაც პრობლემის კეთილგონივრულად გადაჭრა მოხერხდებოდა. ბრძანებულება მაშინვე გადაეცა აღმასრულებელ ექსპედიციას, თუმცა მისგან არავითარი წარდგინება არ შემოსულა.

ორი წლის ვადის ამოწურვის შემდეგ საქმე განიხილა მთავარმმართველობის საბჭომ, რომელმაც მიიჩნია: 1) ბერძნული ნაწილის მე-40 მუხლი საბატონო გლეხებს ვერასგზით ვერ შეეხება; სომხური ნაწილის 424-ე მუხლში კი ნათქვამია: „თუ ხელმწიფემა და ანუ თავადმა გაგზავნოს ვინმე საქურდლად და მოხდეს, რომ დაიჭირონ, ვისაც გაუგზავნია, მან უნდა დაიხსნას. და თუ თვითან, თავის ნებით წასულიყოს და დაიჭირონ, თავისი თავი თვითან უნდა დაიხსნას“[17] და, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ კატეგორიას არც ეს ეხება. თუ აქ სიტყვას ***„თავადი“*** წავიკითხავთ „მებატონის“ მნიშვნელობით, ამ შემთხვევაშიც მას მხოლოდ ის ევალება, ტყვედ ჩავარდნილი საკუთარი გლეხი გამოისყიდოს, მაგრამ თავისი მებატონის მიმართ გლეხის დამოკიდებულებაზე არც პირველ შემთხვევაშია რამე ნათქვამი და არც – მეორე შემთხვევაში; 2) მართალია, კანონთა კრებულის მე-9 ტომის 705-ე მუხლის ძალით ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი თავისუფალ გლეხად უნდა გამოცხადდეს, მაგრამ საბჭომ მსჯელობა ასე წარმართა: გეოგრაფიულმა განსხვავებულობამ, აგრეთვე, იმდროინდელი რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის შეჯერებამ იმ ვითარებასთან, რომელშიც ამჟამად საქართველო იმყოფება, განმსაზღვრელი მნიშვნელობის გავლენა უნდა იქონიოს იმაზე, თუ როგორ იქნეს გამოყენებული ეს კანონი საქართველოში. ამიერკავკასიის მხარეს ყოველი მხრიდან აქვს საზღვარი როგორც დაუმორჩილებელ მთიელებთან, ისე ნახევრად ველურ ტომებთან, სპარსეთსა და თურქეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე რომ მომთაბარეობენ და ხშირად შემოიჭრებიან ხოლმე ჩვენს საზღვრებში მცირე თუ დიდ პარტიებად. ასეთ პირობებში საქართველოს მცხოვრებთა დატყვევება გარდაუვალია.

არა მარტო საქართველოს იმ მაზრებში, კავკასიის მთებს რომ ესაზღვრება, არამედ იმერეთში, გურიაში, აგრეთვე, თურქე-

თისა და სპარსეთის მომიჯნავე პროვინციებში და თვით შიდა საქართველოშიც კი ასეთი მაგალითები ხშირია. ტყვედ ვარდებიან ის გლეხებიც, რომლებიც მთიელთა წინააღმდეგ ყოველწლიურ ექსპედიციებში მონაწილე ოფიცრებს – ქართველ თავადებსა და აზნაურებს – ეკუთვნიან და მათ მსახურებად ახლავთ. დასასრულ, მოსაზღვრე ქვეყნებთან წარმოებულ ომებში გვხვდება არა მარტო გლეხების ტყვედ ჩავარდნის ცალკეული შემთხვევები, არამედ საზღვრებს მიღმა მთელი სოფლების ტყვედ წასხმის ფაქტებიც. ასეთ ვითარებაში ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხებისთვის ტყვეობაში ყოფნის მიზეზით თავისუფლების მინიჭება და ამით მებატონეთა სრული გაჩანაგება მართლმსაჯულების თვალსაზრისით შეუსაბამოა. თანაც მეტისმეტად გამრავლდება ისეთი შემთხვევები, როცა თავისუფლების მოპოვების მიზნით საბატონო გლეხები წინასწარგანზრახულად და ნებაყოფლობით ტყვედ ჩაბარდებიან მთიელებს, რაც მხარეში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სავალალო შედეგებს მოგვიტანს – გლეხები ხელისუფლების საზიანოდ გაურიგდებიან მთიელებს, ხოლო შემდეგ, თავისუფლების ძიებისას, წარმოიშობა განუწყვეტელი წინააღმდეგობა ტყვეობაში ნამყოფთა და მებატონეთა უფლებებს შორის და ეს ყოველივე სავსებით დააუძლურებს მებატონეთა ძალაუფლებას; იმ მებატონეებისა, რომელთა მიმართ, როგორც ამას სენატორი მეჩნიკოვიც მიიჩნევდა, ხელისუფლებამ სულ სხვა კურსი უნდა გაატაროს. ყოველივე ამის გათვალისწინებითა და ბატონყმობის შესახებ ამიერკავკასიაში მოქმედ კანონებზე დაყრდნობით, როგორც ამას 1838 წლის 13 ოქტომბრის საჟურნალო ჩანაწერში ვკითხულობთ, საბჭომ დაასკვნა: მხარეში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, აგრეთვე, ხაზინისა და მებატონეთა სარგებლიანობისა და სამართლიანობისათვის საჭიროა საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიის მხარეში კანონთა კრებულის მე-9 ტომის 705-ე მუხლის გავრცელება იმ შემზღუდავი პირობით, რომ ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ თავისუფლების მინიჭება თითოეულ შემთხვევაში მოხდეს სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, ხოლო ვადად 10 წელი განისაზღვროს; ანუ გლეხს თავისუფლება რომ მიენიჭოს, მას ტყვეობაში 10 წელი უნდა ჰქონდეს გატარებული.

საბჭოს მიერ მიღებული და გენერალ გოლოვინის მიერ მოწონებული ეს დებულება ბ-ნ იუსტიციის მინისტრს ეცნობა 1838 წლის 8 ნოემბერს, რათა ამით მმართველი სენატის 1836 წლის 31 იანვრის ბრძანებულება აღსრულებულიყო.

იმავდროულად ბ-ნ მინისტრს ეცნობა საბჭოს კიდევ ერთი – 1838 წლის 17 ოქტომბრის – დადგენილება. საქმე ეხებოდა გლეხ დათიევების გათავისუფლებას თავად ციციანოვის ბატონობისაგან და მათს გადასვლას სახაზინო გლეხთა კატეგორიაში. დათიევები თურქეთში იყვნენ გაქცეულები, იქ 10-12 წელი დაყვეს და უკან ნებაყოფლობით დაბრუნდნენ. საბჭო დაეყრდნო ვახტანგის კანონთა I განყოფილების 202-ე მუხლს, დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებებს ამ გლეხებისთვის თავისუფლების მინიჭების შესახებ, თუმცა მიიჩნია, რომ სამომავლოდ ასეთ შემთხვევებში სახელმძღვანელოდ კანონთა კრებულის მე-9 ტომის 581-ე მუხლი უნდა აეღოთ.

ამას მოჰყვა საქართველოს მთავარმართებლისთვის გამოგზავნილი მმართველი სენატის 1840 წლის 23 იანვრისა და 15 ნოემბრის ბრძანებულებები, რომლებითაც ირკვეოდა, რომ გლეხ დათიევებს თავისუფლება სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული შეხედულების მიხედვით უნდა მინიჭებოდათ, ხოლო რაც შეეხება ტყვეობიდან თავდახსნილ, აგრეთვე, იმ გლეხებს, უცხოეთში ყოფნის 6-წლიანი ვადის შემდეგ რომ დაბრუნდნენ, იმავე სახელმწიფო საბჭოს შეხედულებით, ასეთ შემთხვევებში საქმის გადაწყვეტა უნდა გადადებულიყო, სანამ ამიერკავკასიის მხარის მოწყობა საბოლოოდ არ დასრულდებოდა. მანამდე კი ანალოგიურ ვითარებაში ადგილობრივ ხელმძღვანელობებს უნდა ემოქმედათ იმავე წესებით, რომლებითაც აქამდე მოქმედებდნენ.

ხსენებულთაგან პირველი ბრძანებულება მთავარმართებლისთვის შესასრულებლად სავალდებულო არ იყო და ამიტომ იგი ცნობად იქნა მიღებული, ხოლო რაც შეეხება მეორე ბრძანებულებას, იგი აწ უკვე ყოფილი საქართველო-იმერეთის საგუბერნიო და კასპიის საოლქო მმართველობებისთვის იყო განკუთვნილი და სავალდებულო იყო შესასრულებლად. უნდა ითქვას, რომ საქართველო-იმერეთის გუბერნიისთვის ეს ბრძანებულება არსებითად გამეორება იყო საბჭოს 1836 წლის 13 ნოემბრის დებულებისა – საგუბერნიო მმართველობამ სწორედ ამ დებულების მიხედვით გადაწ-

ყვიტა გლეხების: მასკულაშვილის, ახალკაცისშვილისა და შინჯიკაშვილის საქმე. ისინი მთიელი ხალხების ტყვეობიდან გარეშე პირების მიერ იყვნენ გამოსყიდულნი და ამ საფუძველზე თავადების, ერისთოვის, გურგენიძისა და ანდრონიკოვისაგან, თავისუფლებას ეძიებდნენ

7. იმერელი მებატონეების უფლების შესახებ, აიყვანონ მოახლეები

გლეხ სანიკიანის ქვრივი ჩიოდა, რომ მისი გარდაცვლილი ქმრის მებატონე ლომინაძეებმა სამი ქალიშვილი და სხვადასხვა სახის ქონება წაართვეს; ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით მას ორი ქალიშვილი და ქონება დაუბრუნეს, მესამე ქალიშვილი კი დაუტოვეს მებატონეებს, რომლებიც ყოფილ ქუთაისის მაზრაში, საბუკის უბანში, ცხოვრობდნენ. საჩივრისა და ამ საქმესთან დაკავშირებით მოთხოვნილი ცნობების განხილვისას საქართველო-იმერეთის საგუბერნიო მმართველობა ითვალისწინებდა შემდეგ გარემოებას: ქვრივ სანიკიანს, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ სამი ქალიშვილის ამარა დარჩა, არ ევალებოდა თავისი მებატონეების სამსახური და, თუ ეს მებატონეები თუნდაც ერთ ქალიშვილს არ აიყვანდნენ მოახლედ, მაშინ ამ გლეხისგან ისინი საერთოდ ვერაფერ სარგებელს ვერ მიიღებდნენ. იმერელი მებატონეებისთვის იქაური წეს-ჩვეულებით მინიჭებული უფლება, ობოლი გოგონა მოახლედ აიყვანონ, ბუნდოვანია: ობოლს შეიძლება არც დედა ჰყავდეს და არც – მამა, ან მამით იყოს ობოლი, ან კიდევ – დედით. გაურკვეველი რჩება, რომელ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს მებატონის ხსენებული უფლება. ამიტომაც 1846 წლის 31 ოქტომბრის წარდგინებით გადაწყვეტილების მიღება კავკასიის მეფისნაცვლისთვის იქნა მინდობილი.

მთავარმმართველობის საბჭომ, რომელსაც მეფისნაცვალმა საქმე განსახილველად გადასცა, დაასკვნა: საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწყდეს, როცა ამიერკავკასიის მხარეში გლეხთა და მებატონეთა უფლებრივი ურთიერთმიმართება გაირკვევაო და ამიტომ იმავე წლის 5 დეკემბერს დაადგინა, რომ ამ საკითხის შესა-

ხებ საბოლოო დადგენილების მიღებამდე საქმეები დღეს არსებული წესებით უნდა განიხილებოდესო. ეს ყველაფერი ამა წლის 9 იანვარს საგუბერნიო მმართველობას წარედგინა.

გლეხთა ვალდებულებები მებატონეების მიმართ წინამდებარე მოხსენებაზე დართული სისტემატიზებული ამონაწერის მე-5 თავში გვაქვს მოცემული.[18]

8. გურიაში ზოგიერთ პირთა უფლების შესახებ, საკუთრებაში იყოლიონ გლეხები

ამიერკავკასიის სარევიზიოდ ჩამოსული სენატორების, გრაფ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის, ოფიციალური წერილობითი მიმართვის საფუძველზე გაიცა განკარგულება – მანამ, სანამ არ იქნებოდა მიღებული დადგენილება საბატონო მფლობელობაში მყოფ პირთა შესახებ, იმერეთში უნდა შეჩერებულიყო საქმეები იმ ნასყიდი გლეხებისა, რომლებიც მებატონეთა საკუთრებაში კი იმყოფებოდნენ, მაგრამ თვითონ მებატონეებს არ ჰქონდათ საამისო უფლება. ამასობაში გამოიცა მმართველი სენატის 1832 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მცხოვრებ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს, რომლებსაც ეს წოდება შთამომავლობით არ ჰქონდათ მინიჭებული, გლეხების საკუთრებაში ყოლა ეკრძალებოდათ, ხოლო ვისაც ჰყავდა, მათთვის გლეხთა გაყიდვის ვადა დაინიშნა. როცა იმერეთის დროებითი მმართველობის მიერ ეს საკითხი აღიძრა, გენერალ-ადიუტანტმა, ბარონმა როზენმა, 1838 წლის 22 მაისს იმერეთის მმართველობას ოფიციალურად შეატყობინა, რომ მმართველი სენატის ხსენებული ბრძანებულება შედეგი იყო მის მიერ განხორციელებული წარდგინებისა და ამიტომ იგი ეხებოდა მხოლოდ საქართველოს და, შესაბამისად, იმერეთსა და გურიაზე არ ვრცელდებოდა. სამომავლოდ კი დასახელებულ პროვინციებში ადამიანების სყიდვა აეკრძალებოდათ იმ პირებს, რომლებსაც აღნიშნული მითითებები შეეხებოდა. ამასთანავე, არ აიკრძალებოდა ადამიანების მიყიდვა იმათთვის, ვისაც საამისო უფლება ჰქონდა.

1838 წლის მაისში იმის გამო, რომ ამიერკავკასიის მხარეში მცხოვრებთა მიერ რუსეთში ოჯახების შეძენამ და ჩამოყვანამ მავნე შედეგები გამოიღო, მხარის მაშინდელმა მთავარმართებელმა გოლოვინმა გამოითხოვა უმაღლესი ნებართვა, ამიერკავკასიაზეც გავრცელებულიყო 1832 წელს გამოცემული მე-9 ტომის 619-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ფინეთში განლაგებულ ჯარებში მყოფ რუს მემამულეებს, თავადებსა თუ ოფიცრებს ეკრძალებათ საკუთარი ყმების იქაური მოქალაქეებისთვის გადაცემა საკუთრებაში ან მუშახელად, ან სხვა მსგავსი ფორმით არც განსაზღვრული და არც განუსაზღვრელი ვადით“.

მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებული დებულებით საქმე განსახილველად გადაეცა ამიერკავკასიის მხარის მოწყობის კომიტეტს, მთავარმართებელს კი დაევალა, აღმოეფხვრა ის უწესრიგობანი, რომლებიც არაქრისტიანული აღმსარებლობის პირთა მფლობელობაში რუსი ყმების ყოფნამ გამოიწვია.

ამის შემდეგ გამოიცა განკარგულება, რომ ამიერიდან არავითარ შემთხვევაში ყმები არაქრისტიან დიდგვაროვანთა, აგრეთვე, საამისო უფლების არმქონე პირთა მფლობელობაში არ აღმოჩენილიყვნენ.

საკითხის შესახებ იმერეთის დროებითმა მმართველობამ ახალი შეკითხვა შეიტანა – ეს წესი იმერეთზეც ვრცელდება თუ კვლავ ბარონ როზენის ადრინდელი გადაწყვეტილებით ვიხელმძღვანელოთო?

იმერეთის მმართველმა, გენერალ-მაიორმა ესპეხომ, მიიღო რა ნებართვა, რომ უკანასკნელი განკარგულებით ეხელმძღვანელა, გენერალ გოლოვინს წარუდგინა თავისი მოსაზრება – იმერეთსა და გურიაში მათთვის, რომლებიც უკანონოდ ფლობდნენ გლეხებს, უნდა დაწესებულიყო 3-წლიანი ვადა, რა ვადაშიც უკანონო მფლობელები ამ გლეხებს ან გაყიდდნენ, ან მოქმედების თავისუფლებას მიანიჭებდნენ.[19]

ამის შემდეგ, კერძოდ, 1839 წლის 10 იანვარს, ამიერკავკასიის კომიტეტმა გენერალ გოლოვინის ზემოაღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცა ბრძანება – ***მხარის მოწყობამდე*** იქაურ მესაკუთრეებს აეკრძალათ რუსი ყმების როგორც გადარიცხვა და გადაყვანა, ისე იქ მყოფი რუსი ყმების გაყიდვა (ამ

ბრძანებაზე დაყრდნობით მიიღო საბჭომ 1841 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ გლეხთა დამაგრებაც აიკრძალა).

გენერალმა გოლოვინმა საკითხი განსახილველად გადასცა საბჭოს, რომელმაც, თავის მხრივ, იმერეთსა და გურიაში გლეხთა უკანონოდ ყოლის შესაწყვეტად დააწესა:

1. იმერეთსა და გურიაში მცხოვრებთ, რომლებსაც რუსული კანონების მიხედვით არა აქვთ საამისო უფლება, თუმცა ადათ-წესებზე დაყრდნობით ფლობენ მიწებსა და მასზე დასახლებულ გლეხებს, ჩამოერთვათ ეს საკუთრება და აეკრძალოთ ახლის შეძენა.

2. ასეთი ქონების მფლობელებს დაეკისროთ ვალდებულება, თავიანთი გლეხები 1840 წლის 1 იანვრიდან 4 წლის განმავლობაში ან გაყიდონ, ან გაათავისუფლონ.

3. ეს წესი გავრცელდეს იმ აზნაურებზეც, რომლებიც იმყოფებიან თავადის ან სხვა აზნაურის დაქვემდებარებაში.

4. თუ ისინი, რომლებსაც გლეხთა ყოლის უფლება არა აქვთ, მოცემულ 4-წლიან ვადაში მათ ან არ გაყიდიან, ან არ გაათავისუფლებენ, ამ გლეხებს უნდა მიეცეთ თავისუფლება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა სტროგანოვმა, რომელსაც ეს განკარგულება ნებართვისთვის ეცნობა, ჩათვალა, რომ საკითხი უკვე აღარ საჭიროებდა სპეციალურ ბრძანებულებას, რამდენადაც 1839 წლის 10 იანვრის დებულებით გლეხის გაყიდვა ან სხვისთვის გადაცემა უკვე ისედაც იკრძალებოდა. რაც შეეხება იმ გლეხებს, რომლებიც იმჟამად კერძო პირთა საკუთრებაში იმყოფებოდნენ, ეს საკითხი უნდა გარკვეულიყო მას შემდეგ, რაც მმართველი სენატი მიიღებდა გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი მოსაზრების შესახებ, თუ ვის უნდა ჰქონოდა გლეხთა ყოლის უფლება.

სენატმა გადაწყვიტა, რომ საკითხი უნდა განეხილა ამიერკავკასიის კომიტეტს, რომელმაც, თავის მხრივ, საქმე განსახილველად ისევ მთავარმმართველობის საბჭოს გადასცა.

საბჭო დაეთანხმა გრაფ სტროგანოვის მოსაზრებას – გლეხთა ყოლის უფლება იმერეთსა და გურიაში უნდა გარკვეულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ პირის თავადური ან აზნაურული ღირსება გაირკვეოდა. ამასთანავე, საბჭო კატეგორიულად

უკანონოდ მიიჩნევდა გლეხთა ყოლის უფლებას იმათ მიერ, რომლებიც თვითონ უდავოდ და უეჭველად მიეკუთვნებოდნენ სახაზინო, საეკლესიო თუ საბატონო გლეხობას.

საკითხის გადაწყვეტის მიზნით 1843 წლის 25 მარტს უმაღლესად დამტკიცდა ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებული დებულება, რომლის მიხედვითაც:

1. თუ რომელიმე საქმის სასამართლოს წესით წარმოებისას აღმოჩნდება, რომ გლეხი ექვემდებარება სხვა გლეხს, რომლის მიკუთვნებულობა ამ წოდებისადმი უდავოდაა მიჩნეული, ამ უკანასკნელთ დაუყოვნებლივ დაეკისროთ ვალდებულება, თავიანთი გლეხები ან დაუყოვნებლივ მიჰყიდონ იმათ, ვისაც საამისო უფლება გააჩნია, ან გლეხი გაათავისუფლონ და მიანიჭონ მას ნებაყოფლობითი მოქმედების უფლება;

2. გლეხთა სავალდებულო გაყიდვის ან გათავისუფლების ვადად დაწესდეს 8 წელიწადი, დღიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა, და

3. ერთი გლეხის მიერ მეორე გლეხის ყიდვა-გაყიდვასთან ან სხვა რაიმე ფორმით შეძენასთან დაკავშირებული არც ერთი გარიგება არ იქნეს მიღებული და დამტკიცებული.

ამის შემდეგაც გურიაში გადაუწყვეტელი რჩებოდა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული შემდეგი გარემოებები:

სახელმწიფო ქონების მინისტრმა გაითვალისწინა, რომ: გურიაში ცხოვრობენ სახელმწიფო-სახასო მოსახლეები, საეკლესიო და სათავადო აზნაურები, გლეხები და მსახურნი – სულ 11 431 სული, რომლებიც არ იხდიან არავითარ გამოსაღებს იმ საბაბით, რომ გურიის წინა მთავრის მიერ გათავისუფლებულნი იყვნენ ამ ვალდებულებისაგან.

ამგვარ ვითარებაზე დაყრდნობით სახელმწიფო ქონების მინისტრმა 1841 წლის 28 თებერვალს მიმართა ამიერკავკასიის მთავარმართებელს – რამდენადაც საკითხი აღნიშნულ წოდებრივ ფენათა უფლებებს შეეხება, საქმე შევიდეს მთავარმმართველობის საბჭოში, ხოლო განსახილველად სახელმწიფო ქონებათა პალატას გადაეცესო. პალატამ, თავის მხრივ, საბჭოში შეიტანა 1843 წლის 4 აგვისტოს ჩანაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო ერთობლივ განზრახულებას, დაარსებულიყო გურიის სამხედრო ოლქი, თუმცა

მის ნაცვლად 1846 წლის 14 დეკემბრის დებულებით ქუთაისის გუბერნიის გურიის მაზრა შეიქმნა.

პალატის ზემოაღნიშნული ჩანაწერი შეიცავს შემდეგ ცნობებს:

გამოსაღების გადამხდელი სახელმწიფო-სახასო მოსახლეები გურიაში არ არსებობენ; ადრე, სამთავროს არსებობისას, მთავრის მფლობელობაში მყოფ, ამჟამად სახაზინო, გლეხთაგან ზოგიერთი უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლისგან განსხვავდებოდა ქონებრივი შეძლებით, დამსახურებითა თუ სამთავრო ოჯახის წევრებთან სიახლოვით. ისინი მთავრის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე თავისუფლდებოდნენ როგორც ფულადი, ისე ნატურალური გამოსაღებებისგან. იღებდნენ რა მსახურის მდგომარეობას, ისინი დგებოდნენ დაბეგრილ გლეხებზე მაღლა, თუმცა აზნაურის წოდებრივ უპირატესობამდე ვერ აღწევდნენ. მსახურები გამოყენებულნი იყვნენ გასაგზავნ-გამოსაგზავნ და სადარაჯო-საგუშაგო საქმეებში, ინიშნებოდნენ სოფლის მამასახლისებად, ხელმძღვანელობდნენ მოსავლის მოყვანა-აღების სამუშაოებს და ა. შ., ამასთანავე, ვერავითარ შემთხვევაში მოჯამაგირეებად და მეხრეებად ვერ იქნებოდნენ გამწესებულნი; საეკლესიო და სათავადო აზნაურები სრულად სარგებლობდნენ თავისუფლების იმ ხარისხით, რაც სამთავრო აზნაურებს ჰქონდათ; იმ საბატონო გლეხებსა და მსახურებს, რომლებიც დღეს დაუბეგრავნი არიან, მათი საბატონო სამსახურისადმი პატივისცემის ნიშნად და ჯილდოდ არ მოეთხოვებოდათ არავითარი გამოსაღები მთავრის სასარგებლოდ.

ამჟამად გურიის მაზრის სახაზინო გლეხთა გამოსაღები შეადგენს 1172 მანეთს ვერცხლით.

9. მებატონეთა უფლების შესახებ, დასაჯონ გლეხები გადასახლებით

ამიერკავკასიის მხარის სარევიზიოდ ჩამოსული სენატორების, გრაფ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის შეხედულებით, აუცილებელი იყო ქართველ გლეხთა გამოსაღების თანდათანობითი ჩანაცვლება რუსეთში არსებული წესებით და ამიტომ თავიანთ 1831

წლის 28 ნოემბრის ყოვლადუქვეშევრდომილეს მოხსენებას სხვათა შორის შემდეგი მოსაზრებაც დაურთეს:

„ქართველ მებატონეებს დაუყოვნებლივ და გადაუდებლად უნდა მიეცეთ უფლება, თავიანთი გლეხები დანაშაულისთვის ჯარში გაგზავნით დასაჯონ, ისევე, როგორც რუს თავადაზნაურობას 1822 წლის 3 მარტის უმაღლესად დამტკიცებული დებულებით მინიჭებული აქვს გლეხის გაციმბირების უფლება“.

გენერალ-ადიუტანტი, ბარონი როზენი, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველს თავისი მოსაზრება 1832 წლის 11 თებერვალს წარუდგინა, წერდა: აღნიშნული დებულება, ისევე, როგორც ამის მომყოლი არც ერთი სხვა ბრძანებულება ქართველ მებატონეებს არ უზღუდავს ამ უფლების გამოყენებას და იმერეთში არის კიდევაც გლეხთა გაციმბირების მაგალითები. უფრო მეტიც, 1827 წლის 24 მარტის სპეციალური ბრძანებულებით ამ მხრივ ქართული თავადაზნაურობა უფლებრივად გათანაბრებულია რუს თავადაზნაურობასთან. თუმცა ბარონი როზენი მიიჩნევდა: მებატონეთა მიერ თავიანთი გლეხების ჯარში გაგზავნის წესი აქ უნდა განისაზღვროს ზოგადი დებულების მიხედვით, ხოლო რაც შეეხება გლეხთა გადასახლებას ციმბირში, უფრო სასარგებლო იქნება, თუ მებატონეები მათ უპირატესად კავკასიის სამხედრო-სასაზღვრო ხაზზე გაგზავნიან.

ამას მოჰყვა სახელმწიფო საბჭოს 1832 წლის 24 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებული მოსაზრება, რომელშიც ნათქვამია:

1. ამიერკავკასიის მხარის მებატონეთა თხოვნა კუთვნილი გლეხების გაძევების უფლების შესახებ დაკმაყოფილდეს ზოგადი წესების საფუძველზე, მაგრამ კავკასიის ოლქში ასეთი გლეხები გადასახლებულ იქნენ თავ-თავიანთი ოჯახებით, ცოლ-ქმრის, ნებისმიერი ასაკის მდედრობითი სქესისა და 15 წელს მიუღწეველი მამრობითი სქესის შვილებთან დაუშორებლად.[20] არ უნდა დაშორდნენ ერთმანეთს აგრეთვე ძმები და დები, თუკი ისინი გადასახლებულთან ერთ ოჯახად ცხოვრობენ და პირველთ არ მიუღწევიათ 15 წლის ასაკისთვის, ხოლო მეორენი გაუთხოვარნი არიან. სრულწლოვანების შემთხვევაში გადასახლებულთა დებს შეუძლიათ, საკუთარი სურვილისამებრ დარჩნენ მებატონესთან.

2. გადასახლებულთა ახალ ადგილზე დასამკვიდრებლად გამოიყოს მიწა კავკასიის სამხედრო-სასაზღვრო ხაზზე, კაზაკთა სტანიცებთან.

3. ახალ ადგილზე გადასახლებულის თავდაპირველი მოწყობის ხარჯები დაეკისროს მებატონეს. საამისო თანხის ოდენობის შესახებ შემუშავდეს სათანადო დებულება და დასამტკიცებლად წარედგინოს მთავარმართებელს.

საქართველოს მთავარმართებლის წარდგინებისა და მინისტრთა კომიტეტის 1834 წლის 2 იანვრის დებულების საფუძველზე გამოიცა უმაღლესი განკარგულება: გადასახლებული ადამიანის ახალ ადგილზე თავდაპირველი მოწყობის ხარჯად მებატონეს დაეკისროს თითოეულ გადასახლებულზე 629 მან. და 96 კაპ. ასიგნაციით და კვების თანხა სტავროპოლამდე. ამას გარდა, გადასახლებული მებატონემ წელიწადის დროის შესაფერისად უნდა უზრუნველყოს ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ან კიდევ გადაუხადოს შეთანხმებული თანხა. ამის თაობაზე 1834 წლის 22 იანვარს გამოიცა კიდევაც მმართველი სენატის ბრძანებულება.

საქართველოს თავადაზნაურობამ სამხედრო მინისტრს, როცა ეს უკანასკნელი ამიერკავკასიის მხარესთან დაკავშირებულ საქმეებს არჩევდა, წარუდგინა თხოვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გლეხების მორჩილებაში ყოლის თვალსაზრისით ზემოაღნიშნულ ზომებს მებატონეებისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს, პირიქით, უკიდურესად შემაწუხებელ ვითარებასაც კი ქმნის, ჯერ ერთი, იმიტომ რომ, სამშობლოდან ასე ახლოს გადასახლება მათთვის დიდად სანაღვლო და, ამდენად, საკმარისად შესაფერისი სასჯელი არ არის და, მეორეც, გადასახლებულთან ერთად მებატონის მამულიდან მიდიან დამნაშავის ოჯახის დანარჩენი წევრებიც, რომლებიც იმავე მებატონეს ეკუთვნიან; რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საგრძნობ ხარჯებზე, რომელიც დამნაშავის გადასახლების გამო მებატონეს აწვება.

გენერალი გოლოვინი თავადაზნაურობის თხოვნის ამ ნაწილის შესახებ წერდა, რომ მას შესაძლებლად მიაჩნდა: აქაურ გლეხთა კავკასიის სამხედრო-სასაზღვრო ხაზზე გადასახლების შესახებ 1832 წლის 24 აგვისტოს კანონის მოქმედება შეიძლებოდა შეცვლილიყო და დამნაშავენი ზოგადი წესის საფუძველზე ციმბირში ყო-

ფილიყვნენ გადასახლებულნი. სასჯელის ზომად რეკრუტად გამწესება იმ დროისთვის მას მიზანშეუწონლად მიაჩნდა.

თავადაზნაურობისაგან წარდგენილი და უმაღლესად ნებადართული თხოვნის მე-4 პუნქტში, რომელიც განსვენებულ გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარტს 1843 წლის 17 თებერვალს ეცნობა, ნათქვამი იყო: საჭიროა ამ საკითხს ყურადღება დაეთმოს იმ პროექტში, ამიერკავკასიის მხარეში გლეხთა და მებატონეთა ურთიერთმიმართების განსაზღვრისთვის რომ უნდა შემუშავდესო.

1844 წლის ივნისში მხარის მთავარმართებელმა, გენერალ-ადიუტანტმა ნეიდგარტმა, საბჭოს განსახილველად შესთავაზა საკითხი:

კავკასიის ოლქის სიახლოვე ამიერკავკასიის მხარესთან აადვილებს იქიდან აქეთ გამოქცევას. გამოქცეულთა დაბრუნება სამშობლოში დამატებითი ხიფათების შემცველია და ხელს უშლის იმავე მებატონეებს, ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებებით. ამიერკავკასიის ზოგიერთ ტერიტორიაზე დაბალი ფენა ისეთ პირთა მმართველობის ქვეშაა, რომლებიც იმპერატორის მიერ ნაბოძები საგანგებო უფლებებით არიან აღჭურვილნი: სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები, ტარკის შამხალი და სხვ.; ზოგჯერ მათაც უწევთ, ქვეშევრდომები ცუდი საქციელისთვის თავ-თავიანთი საცხოვრებლიდან გადასახლებით დასაჯონ.

მთავარმმართველობის საბჭომ მიიჩნია: მხარეში შექმნილი ვითარების, გაუნათლებლობისა და მცხოვრებთა ავი ზნის პირობებში ხალხის მორალური სიჯანსაღის დამკვიდრებისთვის და მრავალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად დიდად სასარგებლო და შესაფერისიც იქნება, რომ იქ, სადაც ბატონყმობის არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს – საქართველოში, იმერეთსა და გურიაში – მებატონეებს უფლება მიეცეთ, ისარგებლონ 1842 წ. გამოცემული კანონთა კრებულის მე-14 ტ. 342-ე მუხლით დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის შესახებ, რომელიც ველიკოროსიელი მებატონეებისთვისაა დაწესებული. აღნიშნული მუხლის მოქმედება უნდა გავრცელდეს აგრეთვე საგანგებო უფლებებით აღჭურვილ სამეგრელოსა და სხვ. მთავრებზე, ხოლო იმისათვის, რომ ამ სამფლობელოებში ხსენებული უფლება მხოლოდ პრივილეგირებულ ან მთავრობის მიერ რაიმე სახის წარჩინების ნიშნით დაჯილდოებულ პი-

რებს არ შეეხოთ, 1844 წლის 7 ივნისს უმაღლესი ნებართვის გამოსათხოვად აღიძრა სათანადო შუამდგომლობა.

კავკასიის კომიტეტის დებულების თანახმად, საქმე გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც იგი სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ რომელიმე ორგანოსთან ერთად უნდა განეხილა.

შინაგან საქმეთა მინისტრს იუსტიციის სამინისტროს მმართველი, საიდუმლო მრჩეველი შერემეტევი გამოეხმაურა. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ საბჭოს მოსაზრება მოქმედ კანონთან შესაბამისობაში იყო და, ამდენად, საბჭოს მიერ განზრახული ზომების აღსრულებას წინააღმდეგობა არ უნდა შეხვედროდა. მაგრამ, რადგან საძრახისი საქციელის ჩამდენ დამნაშავეთა გადასახლება, ჩვეულებრივ, უფრო შორეულ ტერიტორიაზე გადასახლების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული, იგი მიიჩნევდა, რომ ამიერკავკასიის მხარის მმართველობას ნება უნდა მისცემოდა, საკუთარი შეხედულებისამებრ განესაზღვრა, სად გადაასახლებდა მებატონეების ან სხვა კატეგორიის მფლობელთა მიერ მთავრობისათვის დასასჯელად გადაცემულ ქვეშევრდომებს – კავკასიის ოლქში თუ ციმბირში. არჩევანი კი უნდა განსაზღვრულიყო ბრალდების კატეგორიის მიხედვით, მებატონისა თუ მთავრისათვის კი დასაბუთებული განცხადების წარმოდგენა უნდა მოეთხოვათ.

ბ-ნი შინაგან საქმეთა მინისტრი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ კავკასიის ოლქის ტერიტორიული სიახლოვე ამიერკავკასიის მხარესთან მართლაც აადვილებდა ამიერკავკასიიდან გადასახლებულ საბატონო გლეხთა უკან, სამშობლოში, გამოქცევას. მინისტრი უფრო სასარგებლოდ მიიჩნევდა, რომ ძალაში დარჩენილიყო განკარგულება, რომელიც დაფუძნებულია მე-14 ტ. 355-ე მუხლზე დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის შესახებ და რომელი განკარგულებაც საკუთრივ ამიერკავკასიის მხარის მებატონეებისათვის იყო გამოცემული. შესაბამისად, მთავარმმართველობის საბჭოს უნდა მინიჭებოდა შემდეგი უფლებამოსილება – მებატონის მიერ საკუთარი გლეხის გასასახლებლად წარდგენისას აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით უნდა გამოერკვია წარდგენილი გლეხის დანაშაულის სიმძიმე. ამიტომაც მებატონეს უნდა წარმოედგინა დასაბუთებული განცხადება, თუ რა მიზეზით ასახლებდა თავის გლეხს, ხოლო საბჭოს საკუთარი შეხედულებისამებრ დაედ-

გინა გადასახლების ადგილი – ციმბირი, ნაცვლად კავკასიის ოლქისა. საამისო ხარჯები უნდა დაკისრებოდა მებატონეს, თანახმად იმავე კანონის 348-ე მუხლისა, ველიკოროსიის გუბერნიებისთვის რომ არის დაწესებული.

რაც შეეხება საკითხს აფხაზეთის, სამეგრელოსა და სხვ. მთავრებზე მსგავსი უფლებამოსილების გავრცელების შესახებ, მინისტრი წერდა: ჩვენ დაწვრილებით არა გვაქვს გარკვეული, რა წესებზე დაყრდნობით ფლობენ და მართავენ აღნიშნული პირები ამ მიწებს, რა ურთიერთმიმართებაა იქაურ მოსახლეობასა და მმართველთა შორის, რა აუცილებლობითაა ნაკარნახევი საჭიროება, იქაურ მმართველებს მიენიჭოთ განუსაზღვრელი უფლება, თავიანთი ქვეშევრდომები საკუთარი შეხედულებისამებრ ან ციმბირში გადაასახლონ, ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გაამწესონ ჯარისკაცად. მინისტრის აზრით, ვერც ნამდვილ საიდუმლო მრჩეველ პეროვსკის შეეძლო ამ საკითხების შესახებ თავისი დასაბუთებული დასკვნა მოეცა და ამიტომ წარუდგინა მან კავკასიის კომიტეტს მოსაზრება – როგორც ეს უკანასკნელი საკითხი, ისე მთლიანად საქმეც კავკასიის მეფისნაცვალს უნდა გადაეცესო; ამასთანავე, დაურთო, რომ ამიერკავკასიელი მებატონეებისათვის მინიჭება უფლებისა, დანაშაულებრივი საქმეებისთვის თავიანთი გლეხები ჯარისკაცად გამწესებით დასაჯონ, არ არის მისასალმებელი. მიზეზი კი ამისა იგივეა, რა მიზეზითაც მთავრობა ამიერკავკასიის მცხოვრებთათვის დანაშაულისა თუ გადაცდომისთვის სასამართლო წესით დასჯის ფორმად ჯარში გამწესებას საზიანოდ მიიჩნევს (იხ. კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებული დებულება 2/4 1844 წლისა).

კავკასიის კომიტეტმა უმაღლესად დამტკიცებული 1845 წლის 9 აპრილის დებულების თანახმად, ბ-ნ მინისტრს შესთავაზა, ეს ყველაფერი ბ-ნი მეფისნაცვლისთვის შეეტყობინებინა, ხოლო მისი ბრწყინვალებისაგან პასუხის მიღების შემდეგ მთელი საქმე განსახილველად ისევ კომიტეტში შეეტანა.

მიხეილ სიმონის ძე[21] შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გაგზავნილ 1845 წლის 10 დეკემბრის პასუხში წერდა, რომ მან ეს მნიშვნელოვანი საქმე დაწვრილებით განიხილა და დარწმუნდა იმ მოსაზრების განხორციელების შეუძლებლობაში, რომლის მიხედვითაც, ადგი-

ლობრივ მებატონეებს თავიანთი გლეხების გაციმბირების უფლება უნდა მისცემოდათ. იგი ეჭვობდა, რომ დასჯის ამგვარი ზომა შიდა რუსეთშიც ხშირად იყო მოკლებული სამართლიანობას, თავისი ხასიათით იყო სასტიკი, ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობაში კი გამოიწვევდა ძლიერ უკმაყოფილებას და, აქაურ მებატონეთა უმეტესი ნაწილის განვითარებისა და განათლების ხარისხსაც თუ გავითვალისწინებთ, მომტანი იქნებოდა სავალალო შედეგებისა. მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ სამართლიანი იქნებოდა, ამიერკავკასიაში არ გამოეყენებინათ ველიკოროსიის გუბერნიების მებატონეთათვის მინიჭებული უფლება დამნაშავე გლეხთა გაციმბირებისა და აქ ძალაში დაეტოვებინათ ამიერკავკასიელ მებატონეთათვის დაწესებული დღეს არსებული და მოქმედი კანონი (მე-14 ტ. 355-ე მუხლი დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის შესახებ). რაც შეეხება ამიერკავკასიელი მებატონეებისათვის უფლების მიცემას, დანაშაულებრივი საქციელისთვის გლეხის სამხედრო სამსახურში გამწესებით დასჯას, ესეც მოუხერხებელია და შეუძლებელიცაა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მთავრობა ამიერკავკასიის მცხოვრებთათვის დანაშაულისა თუ გადაცდომისთვის სასამართლო წესით დასჯის ფორმად ჯარში გამწესებას საზიანოდ მიიჩნევს.

რაც შეეხება აფხაზეთის, სამეგრელოსა და სხვ. მთავართა უფლებას – თავიანთი ქვეშევრდომები გადასახლებით დასაჯონ, ამის თაობაზე სპეციალური წესის შემუშავების განსაკუთრებული აუცილებლობა არ არსებობს, მით უმეტეს, ეს მთავრები თავიანთ ქვეშევრდომებს თვითონ კი არ ასახლებენ, არამედ შემოდიან სათანადო წარდგინებით, რომლის საფუძველზეც საკითხს აქაური უმაღლესი ხელისუფალი წყვეტს.

კავკასიის კომიტეტი სრულად დაეთანხმა მეფისნაცვლის შეხედულებას და გადაწყვიტა, საქმის მსვლელობა აქ შეეჩერებინა.

კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებული გადაწყვეტილება ბ-ნმა შინაგან საქმეთა მინისტრმა 1846 წლის 10 აპრილს ბ-ნ მეფისნაცვალს აცნობა.

იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის უმაღლეს მანიფესტში (კანონთა კრბ. №19,721) სხვათა შორის ნათქვამია:

„განვსაზრეთ ჩვენ აღსრულება სურვილისა მეფისა გიორგისა ირაკლისა ძისა და ერისათვისისა. და ამისთვის ვბრძანეთ რაოდენ დაპყრობისათვის შინაურისა დაწყნარებისა, ეგოდენ გარე მოზღუდვისათვის მისივე გარეგანთაგან დაცემათა და ვუბრძანეთ შეყვანება მხედრობისა ჩვენისა საპყრობელოსა საქართველოსა და ამით გამოუცხადებთ იმპერატორულისა ჩვენისა სიტყვითა ვითარმედ შეერთებისაზე სამეფოსა ქართლოსისა საუკუნოებითითა დროითა, მპყრობელობასა ქვეშე ჩვენსა. არა თუ ოდენ დატყვევებულ იქმნებიან (საყვარელ სიმართლესა შინა დაცვისა ჩვენისასა კანონნი მათნი) საყვარელ სარწმუნოითა ახალნი ყმანნი ჩვენნი სამეფო ქართლოსი და სამფლობელონი მისნი; არამედ წარმატებულება და საკუთრად სჯულიერი თვითოეული შესაბამობა, რომლისაგანცა თვითოეულისა დროსა დანიშნულება შედგომილება ერისა სამფლობელოსაცა აქვს სარგებლობად ყოვლითა მით კანონითა, რომლითაცა რუსეთისა ძველნი ყმანი წყალობითა ჩვენითა წინაპართათა და ჩვენითა დატკბებოდნენ თავისუფლებითა და წარმატებულებითა საფარველსა ქვეშე ჩვენსა“.[22]

ქართველი ხალხისადმი იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლეს მანიფესტში (კანონთა კრბ. №20,007) ნათქვამია:

„თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანამდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებელად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან“.[23]

მანიფესტისთვის დართულ უმაღლეს დადგენილებაში, რომელიც საქართველოს შინაგან მმართველობას ეხება,[24] ნათქვამია:

„სამოქალაქო საქმეები განხილულ იქნეს ამჟამად არსებული ქართული წეს-ჩვეულებით... და ვახტანგ მეფის მიერ გამოცემული სამართლის მიხედვით, ანუ ადგილობრივი ქართული კანონმდებლობით; ... რაიმე სახის შეუთავსებლობის შემთხვევაში, რამაც, რასაკვირველია, შეიძლება დროთა განმავლობაში თავი იჩინოს, უნდა იხელმძღვანელონ სრულიად რუსეთის იმპერიის კანონებით. სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება უნდა მოხდეს რუსეთის სახელმწიფოს ზოგადი კანონმდებლობით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში მთავარსარდალს ნება მიეცეს, მმართველთან ერ-

თად გაითვალისწინოს იქაური ხალხის სამართლებრივი წარ-
მოდგენები“.

1835 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებაში (კანონთა კრბ. №8505) ნათქვამია:

„ვიდრე ქართული კანონები გამოიცემა, სამოქალაქო საქმე-
ების განხილვისას საგუბერნიო საკრებულოებში მეფე ვახტანგის
სამართლის წიგნთა კრებულის თარგმანით უნდა იხელმძღვანე-
ლონ“.

27 ოქტომბერი. 1847.

თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ

თქვენი ბრწყინვალების სურვილი იყო,[1] წარმომედგინა მოსაზრებები საქართველოს თავადაზნაურობის წინაშე მდგარ საჭიროებათა შესახებ.

ვგრძნობთ ქართველი თავადაზნაურობის მიმართ თქვენს ცხოველ ინტერესს და ვხედავთ მონარქიულ წყალობასაც, რომლის მიხედვითაც სწორედ თქვენ გერგოთ, დააწყნაროთ ეს მხარე და განკურნოთ იმ უწესრიგობებისაგან, მრავალსაუკუნოვანმა ბედუკუღმართმა ცხოვრებამ რომ დაგვიტოვა. გვაქვს პატივი, თქვენი ბრწყინვალების კეთილგანწყობა თავადაზნაურობის საჭიროებებსა და ამ წოდებისათვის ხელის გამართვის საშუალებებს მივაპყროთ.

საკითხთა ჩამონათვალი ძირითადად საქართველოს კეთილშობილთა ფენის კეთილდღეობასა და მომავალს ეხება:

1. გლეხებსა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვა დარღვევებისა და დავებისაგან.

2. ადგილ-მამულებში ზოლმიწიანობის აღმოფხვრა.[2]

3. სათავადაზნაურო მამულების წვრილ-წვრილ ნაკვეთებად დაქუცმაცების შეზღუდვა.

4. ღარიბ თავად-აზნაურთა მცირეწლოვანი შვილების აღზრდისათვის საჭირო ღონისძიებათა გაძლიერება და, საზოგადოდ, მხარეში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა.

პირველი საკითხის შესახებ

როგორც გლეხებზე, ისე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება თბილისის გუბერნიაში მოკლებულია იმ მყარ საყრდენს, რომლის მეშვეობითაც ეს უფლება დაცული იქნებოდა ხელყოფისაგან. არაკეთილსინდისიერ მოდავეს, თუ იგი ფლობს პროცესის

ასე თუ ისე ოსტატურად წარმართვის უნარს, ადვილად შეუძლია სხვისი მამულის ხელში ჩაგდება. საქმე ისაა, რომ უფლებათა გარშემო ყოველგვარი დავისას პოლიციას შეუძლია საქმე ახლომახლო მცხოვრებ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით გადაწყვიტოს. ამ საშუალების ხშირმა გამოყენებამ ცრუმოწმეობის მთელი სისტემა წარმოშვა. თვითონ გამომძიებლებისთვისაც უცხო არ არის თვითნებობა – უბრალო და გაუთვითცნობიერებელ ადამიანთან ურთიერთობისას მათ თავისუფლად შეუძლიათ არა მარტო სასურველი მიმართულება მისცენ ჩვენებას, არამედ მას საერთოდ უცვალონ სახე. ამგვარ პირობებში, რასაკვირველია, ვერავინ იქნება თავდები, რომ გამოძიების გზით ჭეშმარიტება დადგინდება. ეს ყველაფერი სრულებით არ არის ხალხისთვის დამალული და ხშირად სხვისი ქონების მიტაცების წამახალისებელ გარემოებად გადაიქცევა ხოლმე.

საკუთრების უფლების დაცვისა და მომავალში სხვისი საკუთრების მიტაცების აღსაკვეთად არსებობს მარტივი და საიმედო საშუალება. –

თითოეულ სოფელში მცხოვრებ მესაკუთრეებს ცალ-ცალკე უნდა მოეთხოვოთ მოცემულ სოფელში როგორც მათს მფლობელობაში არსებული უდავო, ისე სხვასთან სადავოდ ქცეული ადგილ-მამულის აღწერა.

ამ აღწერილობათა ურთიერთშეჯერების გზით დადგინდება: რომელ სოფელში რომელი მამული ვის უდავო მფლობელობაშია და, შესაბამისად, ეს მამული გარეშე პირთა უსაფუძვლო პრეტენზიებისაგან ერთხელ და სამუდამოდ იქნება დაცული. საქმე ისაა, რომ სამომავლოდ ამ ტიპის ნებისმიერი პრეტენზია უკუგდებული იქნება იმ აქტის საფუძველზე, რომელიც ხსენებული აღწერის შემდეგ მიეცემა მოცემული მამულის მფლობელს და დაადასტურებს იმას, რომ ამა და ამ დროს მამული მის საკუთრებად იქნა აღიარებული.

აღნიშნული მოსაზრების განსახორციელებლად შესაძლებელია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

1. პოლიციისა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლთა მეშვეობით თითოეულ სოფელში ცალ-ცალკე დადგინდეს ყოველი

მემამულე, რომელიც ამ სოფელში არის მფლობელი უძრავი ქონებისა თუ გლეხებისა.

2. მემამულეებს დაევალოთ, ერთი წლის განმავლობაში განცხადების სახით „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ გამოაქვეყნონ დაწვრილებითი ცნობები[3] იმის შესახებ, თუ რომელ სოფელში (ცალ-ცალკე) რა მამულის მფლობელნი არიან. განცხადება უნდა შეიცავდეს: ***კომლთა რაოდენობას*** მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ჩამონათვალით; ცნობებს როგორც მემამულეთა, ისე მათს მფლობელობაში მყოფ გლეხთა ***კარ-მიდამოსა*** და ***სამეურნეო საწარმოების*** შესახებ; მიწის ნაკვეთების, ბაღების, სავარგულების ზუსტად დადგენილ ***საზღვრებს***.

თუ მამული ზოლმიწიანია და საერთოდ საზღვრები არასაცხოვრებელ ადგილებში გადის, მაშინ ფართობი უნდა გაიზომოს და აღინიშნოს ვერსობით, დესეტინობით, საჟენობით. ამასთანავე, აღწერილობა უნდა იყოს იმდენად ზუსტი და მკაფიო, რომ შემდგომში მოცემულ მამულთან დაკავშირებით ყოველგვარი გაუგებრობები იქნეს გამორიცხული. უშენი და ვერანი ადგილები, და ზოგადად მიწისა და ტყის ის მონაკვეთები, რომლებიც სოფელს არ ეკუთვნის, ცალკე უნდა აღიწეროს.

3. ყველა აღწერილობაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული: მოცემული მამულებიდან რომელია აღმწერის ნამდვილ მფლობელობაში და რომელს ედავება იგი სხვას.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღწერილობის ბოლოს მითითებული უნდა იყოს მფლობელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

4. ეს აღწერილობები წარდგენილ უნდა იქნეს მეფისნაცვლის კანცელარიაში, რომელიც, თავის მხრივ, თუ რაიმე შეუსაბამობას შენიშნავს, უკანვე დააბრუნებს გასასწორებლად და გადასაწერად, საამისოდ კი დანიშნავს სამთვიან ვადას.

> შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღწერილობები უნდა გაიგზავნოს ფოსტით უშუალოდ მფლობელის მიერ ან საერობო პოლიციის მეშვეობით, რომელიც გასცემს ქვითარს და

უზრუნველყოფს პირველივე ფოსტით აღწერილობის დანიშნულებისამებრ გაგზავნას. გაგზავნა უნდა იყოს უფასო.

5. დაევალოთ, ერთი მხრივ, გუბერნატორებსა და მაზრის უფროსებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავადაზნაურობის წინამძღოლებს, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით, მოთხოვნა იქნება ეს თუ ჩაგონება, დაარწმუნონ მემამულეები ამ საქმის როგორც საზოგადო, ისე კერძო სარგებლიანობაში, რათა მათ მოთხოვნილი აღწერილობები დათქმულ ვადაში შეადგინონ.

6. გუბერნატორებსა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლებს უნდა დაევალოთ: იმ მემამულეთა შესახებ, რომლებიც თავს აარიდებენ ამ საქმეს, მოამზადონ და მეფისნაცვალს წარუდგინონ სათანადო ცნობები თავის არიდების მიზეზთა შესახებ, აგრეთვე, იმ საშუალებათა შესახებაც, რომლებიც აიძულებს მემამულეებს, შეასრულონ ხსენებული დავალება.

7. შემდეგ: იმის მიხედვით, თუ რა შედეგს გამოიღებს ხსენებული მოთხოვნა, ან თავიდან დაინიშნოს ვადა აღწერილობათა ნებაყოფლობით წარმოდგენისათვის, ან კიდევ გამოთხოვილ იქნეს უმაღლესად დამტკიცებული ნებართვა იძულებით ღონისძიებათა შესახებ; ანუ აღწერილობები შედგენილ იქნეს ხელისუფლებისაგან საამისოდ დანიშნული ჩინოვნიკების მიერ, ხოლო ხარჯების ანაზღაურება დაეკისროს იმას, ვინც სიჯიუტისა თუ დაუდევრობის მიზეზით ნებაყოფლობით არ შეასრულა ხელისუფლების მოთხოვნა.

8. იმ მემამულეებს, რომლებმაც წინასწარგანზრახულად ან დაუდევრობით სხვისი საკუთრება საკუთარი მამულის ნაწილად ჩაწერეს, მიეცეთ ექვსთვიანი ვადა, რათა არასწორი მონაცემები გაასწორონ და ამ ვადაში გასწორებული აღწერილობა ხელახლა წარმოადგინონ. ვინც გადავადებით არ ისარგებლებს, ასეთი არასწორი მოქმედების აღმოჩენისთანავე საგანგებოდ უნდა დაჯარიმდეს.

9. ცალკეული აღწერილობებიდან უნდა შეიქმნას საერთო აღწერილობა თითოეული მაზრის მიხედვით და ასლები მიეწოდოს სამაზრო მმართველობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სამაზრო მმართველობას უნდა დაეკისროს ვალდებულება, მფლობელთა თხოვნის შემთხვევაში გასცეს მოსაზღვრე ტერიტორიების მფლობელთა მიერ წარდგენილი აღწერილობების დამოწმებული ასლები. თხოვნაცა და მისი ასლიც იწერება უბრალო ქაღალდზე და გაიცემა საგერბო გადასახადის გარეშე.

10. გამოთხოვილ იქნეს უმაღლესი ნებართვა, რათა ეს აღწერილობები საფუძვლად დაედოს უდავო მამულის ფლობის დადასტურებას და დავები, რომლებიც აღწერილობის დროს არ წარმოქმნილა, მომავალში დარჩეს რეაგირების გარეშე.

ამ გზით ისეთი ***სადავო მამულების რაოდენობაც*** გაირკვევა, რომელთა შესახებ პრეტენზიები ან უკვე სასამართლოსა და პოლიციაში განიხილება, ან ჯერ არ მისცემია შესაბამისი მსვლელობა. თუ მსგავსი სადავო მამულების რაოდენობა იმდენად მრავალრიცხოვანი იქნება, რომ მფლობელთა მოკლე დროში დაკმაყოფილებას არსებული სამსჯავროები ვერ აუვლენ, მაშინ დავათა გადასაწყვეტად შეიძლება საგანგებოდ შეიქმნას ***დროებითი სასამართლო კომისია*** ისეთი შემადგენლობითა და სამოქმედო გეგმით, რომ საქმეების განხილვითა და შემდგომი მსვლელობის მიცემით კომისიამ სასამართლოებს საქმე გაუადვილოს და ამით პროცესის მოკლე ვადებში დასრულებას შეუწყოს ხელი.

კომისია, რომელსაც მიენიჭება პირველი ინსტანციის ფუნქცია, მუშაობას დაიწყებს ერთ-ერთ სამაზრო ქალაქში და, დაასრულებს რა ამ მაზრასთან დაკავშირებულ საქმეებს, გადავა სხვა ქალაქში. მეორე და საბოლოო ინსტანციის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს მთავარმმართველობის საბჭოს, ხოლო არზათა კომისიაში საჩივრები იმ ფორმით უნდა იქნეს მიღებული, რა ფორმაც სენატშია დაწესებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

დავები, რომლებიც აქამდე არ ყოფილა აღძრული, კომისიაში კანონით დადგენილ ვადებში უნდა იქნეს წარდგენილი.

პირებს, რომლებიც საკუთარი მამულების შესახებ აღწერილობებში არასწორ მონაცემებს – იმ დროს სხვის საკუთრებაში არსებულ სადავო მამულებს – შეიტანენ, უსაფუძვლო საჩივრის აღ-

ძვრის შემთხვევაში დაეკისრებათ განსაზღვრული ჯარიმა, რომლის გადახდა მოუწევთ მაშინაც კი, თუ საბოლოოდ სადავო მამული დაჯარიმებულს დაუმტკიცდება.

მეორე საკითხის შესახებ

იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს საერთო მფლობელობასა და ზოლმიწიანობას, კანონში გამიჯვნის შესახებ არის წესები, რომლებიც ეხება გამიჯვნას, ერთი მხრივ, საკუთარი ხარჯითა და, მეორე მხრივ – მორიგებით. მართალია, ეს წესები ჯერჯერობით ამიერკავკასიის მხარეზე არ ვრცელდება, მაგრამ ჩვენში გენერალური გამიჯვნისა და საამისოდ საგანგებო წესდების შექმნამდე არავითარ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს ხსენებული წესების ჩვენს მხარეშიც გამოყენება.

მესამე საკითხის შესახებ

სოფლად მამულების დანაწევრება-დაქუცმაცების შემზღუდავი მექანიზმების არარსებობას მივყავართ ***თავადაზნაურული გვარეულობების განადგურებამდე, ზოგადად მიწათმფლობელი კლასის გაღარიბებამდე, გლეხობის ხვედრის დამძიმებამდე და ეს ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სწორი მიმართულებით განვითარებას.***

თავად-აზნაურთა მამულების დაქუცმაცების დამღუპველი შედეგები თავიდან რომ ავიცილოთ, აუცილებელია, სახელისუფლებო საშუალებებით ზღვარი დაედოს მამულების წვრილ-წვრილ ნაკვეთებად დანაწევრებას.

მართალია, საქართველოს ხელისუფლება არ კრძალავდა მამულების დაყოფას, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდა, შეენარჩუნებინა თავადაზნაურულ გვარეულობათა განუყოფლობა. ამგვარ განუყოფლობაში ხელისუფლება გარეშე მტრებისაგან სახელმწიფოს დაცვის საფუძველს ხედავდა. მთელ საზოგადოებასა თუ ცალკეულ თავადაზნაურულ საგვარეულოებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მამულების განუყოფლობა მათსავე კერძო ინტერესებშიც შედიოდა: ***ჯერ ერთი,*** ამით უფრო დაცული იყო მათი პიროვნული და ქო-

ნებრივი უფლებები მოძალადე მეზობლისაგან, რადგანაც საზოგადოების ძალას ყოველთვის არ შეეძლო ცალკეულ პირთა თვითნებობის ალაგმვა და, ***მეორეც,*** ამ გზით საგვარეულოებს უნარჩუნდებოდათ შთამომავლობითი ავლადიდება.

ამ მიზეზებით უნდა აიხსნას, თუ რატომ ინარჩუნებდნენ რუსეთთან შეერთებამდე ქართული თავადური და აზნაურული გვარეულობები, რომელთა წარმომავლობა 1000 წლის წინ იღებს დასაბამს, საერთო-საგვარეულო მამულებს. შესაბამისად, ათეული საუკუნეების განმავლობაში მამულებს ფლობდნენ ის გვარეულობები, რომლებმაც ეს მამულები იმთავითვე მოიპოვეს.

მხარის რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებამ, რომლის შემდეგაც სახელისუფლებო ძალამ გააუვნებლა როგორც გარეშე მტერთა თავდასხმის საფრთხე, ისე ცალკეულ პირთა ძალმომრეობითი თვითნებობა, კერძო ცხოვრებაში უცილობლად თავი უნდა ეჩინა სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ამგვარმა სწრაფვამ, გამყარებულმა ეკონომიკური მოსაზრებებით და მიმართულმა საერთო საკუთრების წინააღმდეგ, გამოიწვია თავადაზნაურული მამულების დანაწევრება და საქმე მივიდა მამულების უკიდურეს დაქუცმაცებამდე, რამაც, თავის მხრივ, დროის მოკლე პერიოდში თავადაზნაურულ ოჯახთა გამრავლება გამოიწვია. ასე, მაგალითად, რუსეთის ქვეშევრდომობაში საქართველოს შესვლის დროს საქართველოს ორი უთვალსაჩინოესი გვარეულობა, ერისთოვები და ორბელიანოვები, შედგებოდა: პირველი – 3 განუყოფელი სახლობისაგან, ხოლო მეორე – 5 განუყოფელი სახლობისაგან. ამჟამად პირველში 22, ხოლო მეორეში 17 განცალკევებული სახლობაა. მთელ თბილისის გუბერნიაში დაითვლება არა უმეტეს 10 მემამულისა, რომლებიც ფლობენ 100 ან ამაზე მეტ მეკომურ გლეხს. დანარჩენი თავადაზნაურობა ფლობს გაცილებით ნაკლებს, ხოლო ნაწილი – 30 მეკომურ გლეხზე ნაკლებს. თანდათანობით მიწის ნაკვეთები კიდევ უფრო დაქუცმაცდება, ხოლო გადარჩენილ შედარებით მოზრდილ მამულებს მეორე და მესამე თაობები დაშლიან და, ასე და ამგვარად, მემამულეთა მთელი კლასი წვრილ-წვრილ მიწათმფლობელებად დაიშლება.

ვაცნობთ რა თქვენს ბრწყინვალებას თავადაზნაურობის მდგომარეობას, ზედმეტად მიგვაჩნია სიღრმეში შესვლა და უფრო

დეტალური წარმოდგენა იმ ზიანისა, რომელსაც მამულების წვრილ-წვრილად დაშლა მოუტანს როგორც საკუთრივ თავადაზნაურობის, ისე ზოგადად საზოგადოებრივ ინტერესებს:

1. თავადაზნაურობაში, როგორც სახელმწიფოს უმაღლეს წოდებრივ ფენაში, განივთებულია არსებული წესრიგისა და ძალაუფლების საწყისები და იგი საკუთარ დანიშნულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ იმდენად ღონიერი იქნება, რომ შეეძლება მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მდგომარეობის მოპოვება.

2. თავადაზნაურობა სოფლის მთლიანი მოსახლეობის ნაწილია და აწონასწორებს შეჯახებას ორ დაპირისპირებულ ინტერესს შორის – ეს არის ***ბრძოლა მიწათმფლობელთა კლასსა და სამრეწველო-სავაჭრო კლასს*** შორის. თავადაზნაურობის დაუძლურება დაარღვევს ამ წონასწორობას და დააზიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას, რომელიც, თავის მხრივ, მიწის მფლობელთა გავლენიანი ფენის გარეშე დაითრგუნება ვაჭართა ფხიანი და ალღოიანი კლასის მიერ.

3. დასასრულ, თავადაზნაურობა ქმნის მემამულურ ფენას, რომელზედაც დამოკიდებულია მრავალრიცხოვანი ფენა გლეხობისა და ერთის კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორის კეთილდღეობასთან.

ამგვარ სამმაგ დანიშნულებას თავადაზნაურობა, რასაკვირველია, ვერ აღასრულებს მცირემამულიანობის პირობებში. იგი, როგორც უმაღლესი სოციალური ფენა, დაკარგავს თავის ნამდვილ მნიშვნელობას და იძულებული გახდება, სოფლის ჩვეულებრივი ობივატელების კლასს შეერწყას.[4]

თუ გვსურს, გავაძლიეროთ ძირითად დაწესებულებათა მიერ თავადაზნაურობისათვის მინიჭებული მდგომარეობა, აუცილებელია, შევაჩეროთ პროცესი წვრილ-წვრილი მამულების წარმოქმნისა. საჭიროა კანონდებულებით დადგენა, თუ რა მოცულობით ნორმას უნდა აკმაყოფილებდეს თავადაზნაურული მამული მისი შეძენისას და ამ ნორმის დარღვევა მხოლოდ გარკვეულ პირობებში უნდა იყოს შესაძლებელი.

ვეყრდნობით რა ჩვენს მხარეში უძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებულ ეკონომიკურ მოსაზრებებს, ვფიქ-

რობთ, რომ გლეხობის ***20 კომლი*** (თუ თითოეულ კომლში მამრობითი სქესის 5 წევრს ვიანგარიშებთ) ან ***500 დესეტინა*** დასამუშავებლად ვარგისი მიწა, ან კიდევ ***1000 დესეტინა ტყე ან საძოვარი*** მემამულეს საკმარის შესაძლებლობას მისცემს, ღარიბი არ ეთქმოდეს. ამიტომაც გვგონია, თავადაზნაურული მამულისთვის სწორედ ეს ნორმა უნდა დაწესდეს და საერთოდ თავადაზნაურული მამულების ფლობის წესი შემდეგ მთავარ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს:

1. მამული, რომელშიც შედის გლეხობის 20 კომლი (თუ თითოეულ კომლში კამერალური აღწერის მიხედვით მამრობითი სქესის 5 წევრს ან ჯამურად 100 სულს ვიანგარიშებთ) ან 500 დესეტინა დასამუშავებლად ვარგისი მიწა, ან კიდევ 1000 საჟენი ტყე ან საძოვარი, ქმნის ***სრულ თავადაზნაურულ მიწის ნაკვეთს.*** პირი, რომლის ავლადიდება აკმაყოფილებს ამ ნორმას, ან უფრო ვრცელია, ჩაითვლება ***სრული თავადაზნაურული მიწის ნაკვეთის მფლობელად***. მიწა, რომლის ფართობი უფრო ნაკლებია, ჩაითვლება ***მცირე თავადაზნაურული მიწის ნაკვეთად,*** მისი მფლობელი კი – ***მცირემამულიანად***.

შენიშვნა: დასახლებული სრული ნაკვეთი ასევე უნდა მოიცავდეს არანაკლებ 500 დესეტინა დასამუშავებლად ვარგის მიწას. აქედან ნახევარს დაიკავებს საგლეხო მეურნეობა, მეორე ნახევარს – მემამულის მეურნეობა.

2. თავადაზნაურულ სამფლობელოში მემკვიდრეთა რაოდენობა განისაზღვრება მასში შემავალი სრული თავადაზნაურული მიწის ნაკვეთის რაოდენობით. მცირე ***ნაკვეთები***, აგრეთვე, მცირე ***მამულები***, რომლებიც, მართალია, ერთობლიობაში ფართობით აღემატებიან სრულ ნაკვეთებს, მაგრამ შეუძლებელი ხდება მათი გაერთიანება ორი სრული ნაკვეთის მისაღებად, გადაეცემა მამრობითი სქესის უფროს მემკვიდრეს, რომელსაც, თავის მხრივ, უპირატესობა მიენიჭება მდედრობითი სქესის წარმომადგენელთან შედარებით; დანარჩენი თანამემკვიდრეები კუთვნილი ნაწილისთვის ფულად ანაზღაურებას მიიღებენ. თუ შესაძლებელია მამულისგან

რამდენიმე სრული ნაკვეთის მიღება, მაშინ მემკვიდრეთაგან მიწას მიიღებს იმდენი, რამდენი სრული ნაკვეთიც წარმოიქმნება. როცა გლეხთა კომლობრივი რაოდენობა ან მიწის ნაკვეთი არ დააკმაყოფილებს სრული ნაკვეთისთვის საჭირო მონაცემებს, ისინი შეუერთდება საერთო-სამემკვიდრეო ოდენობას და თანაბრად გაიყოფა სრული ნაკვეთის მფლობელ თანამემკვიდრეთა შორის.

3. მამულის კანონიერ მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებული წინა პუნქტით დადგენილი შეზღუდვა ისეთ შემთხვევებზეც უნდა გავრცელდეს, როცა სათავადაზნაურო მამული ანდერძით, ნაჩუქრობის ბარათითა თუ ნებისმიერი სხვა აქტით ერთ პირს მეორისაგან გადაეცემა უსასყიდლოდ.

4. მე-2 პუნქტით დადგენილი საზღაური თანამემკვიდრეებისა მათი კუთვნილი ნაწილიდან 10 წლის განმავლობაში მიღებული სუფთა წლიური შემოსავლის გათვალისწინებით უნდა იქნეს გამოანგარიშებული.

შენიშვნა 1: თუ მხარეებს არ დააკმაყოფილებთ ანაზღაურების ხსენებული ფორმა, საქმე ადმინისტრაციული წესით უნდა მოგვარდეს. გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე მთავარმმართველობის საბჭოს მიერ შემოთავაზებული წესი, რომლითაც მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობის საკითხია განსაზღვრული (საქმე ვახტანგ მეფის სამართლის მოქმედების შესახებ).

შენიშვნა 2: მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებული მე-2 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვები არ ვრცელდება წინამდებარე წესების გამოცხადებამდე დაბადებულ იმ პირებზე (თუ საერთოდ ამ განზრახულებას მთავრობა მოიწონებს), რომლებსაც ან უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის, ან მშობლების ნებით სამომავლოდ შეუძლიათ მემკვიდრეობის მიღება დედ-მამისგან, ან ბებია-ბაბუისგან ან ზოგადად ნათესავებისგან ***პირდაპირი აღმავალი ხაზის*** პრინციპის დაცვით. ის პირები კი, რომლებიც ჩამოთვლილი ნათესავების ქონებიდან უკვე პირადად ფლობენ რამეს,

ინარჩუნებენ მას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სრული სათავადაზნაურო ნაკვეთის შეძენა შეუძლია ყველას, ვისაც საკუთრების შეძენის კანონით განსაზღვრული უფლება აქვს. მცირე მამულის შეძენა კი შეუძლია მხოლოდ სრული მამულის მფლობელ ან მოსაზღვრე მცირემამულიან პირს.

6. გამოსყიდვის უფლება ეძლევა:

ა) სრული მამულისა – ნათესავებს;

ბ) მცირე მამულისა – მოსაზღვრე მესაკუთრეებს. ამათგან ნათესავებს ეძლევათ უპირატესობა გარეშე პირებთან შედარებით; თუ გარეშე პირებიდან გამოსყიდვის სურვილს რამდენიმე პირი გამოთქვამს, უპირატესობა ეძლევა იმას, ვინც მეტს გადაიხდის.

მთელ ამ ჩვენს განზრახულებაში თავს ვარიდებთ რადიკალური ზომების გამოყენებას, რამდენადაც შემოთავაზებული ღონისძიებებით სავსებით შესაძლებელია, შევაჩეროთ მომავალში წვრილ-წვრილი მამულების წარმოქმნა, ხოლო ამჟამად არსებული ასეთი მამულები თანდათანობით მსხვილ მამულებს შეერწყას.

ამიტომაც, ***ჯერ ერთი:*** აღნიშნული ღონისძიებები არ უნდა გავრცელდეს იმ პირთა მამულებზე, რომლებსაც ახალი წესების დაკანონებისას ეყოლებათ პირდაპირი მემკვიდრეები, რათა ოჯახის თავმა უზრუნველყოს საკუთარი შთამომავლობის მომავალი; ***მეორე:*** მამულის გასხვისების უფლება რჩება ხელშეუხებელი, რათა მფლობელმა არ დაკარგოს შესაძლებლობა, ქონებისაგან საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს სარგებელი, განკარგოს თავისი მამული და მოიქცეს ისე, როგორც ამას ოჯახური მდგომარეობა უკარნახებს. უფლება გასხვისებისა არაფრით არ უშლის ხელს ჩვენი მიზნის განხორციელებას, რამდენადაც სათავადაზნაურო მამულის შეძენის უფლება ეძლევა როგორც სრული მამულის მფლობელს, ისე იმ მცირემამულიანს, ოღონდ მოსაზღვრეს, რომელსაც ამ გზით შეუძლია თავისი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. შესაბამისად, იცვლება მფლობელი, მაგრამ არ იზრდება მცირემამულიანთა რაოდენობა. რაც შეეხება გამსხვისებელს, აღნიშნული შეზღუდვა – მხოლოდ ჩამოთვლილ კატეგორიებზე გასხვისების უფლება – მის ინტერესს ვერ მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს,

რამდენადაც მამულის გასხვისებისას გარეშე (არამოსაზღვრე) მცირემამულიანი ისედაც ვერ გაუწევს მეტოქეობას ვერც მოსაზღვრე მესაკუთრეს და ვერც სრული მამულის მფლობელს. ***მესამე:*** არ შეიძლება ყოველგვარი საზღაურის გარეშე დავტოვოთ ის თანამემკვიდრეები, რომლებიც თავიანთ წილს ნატურით ვერ იღებენ – მათ ვერ ჩავაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ პირველ ხანებში სავსებით მოკლებულნი იყვნენ საარსებო საშუალებას. როდესაც ამგვარ საზღაურზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ 10 წლის სუფთა შემოსავლიდან ნაანგარიშევი წილი საკმაოდ მცირეა და მისი ამოგება მფლობელს მამულის გონივრულად და მომჭირნედ მართვის შემთხვევაში მოკლე ხანში შეუძლია.

ამგვარად, ხსენებულ განზრახულებას, თავისუფალს მესაკუთრეთა შევიწროებისაგან, გაგებით მოეკიდება ნებისმიერი კეთილგონიერი და მზრუნველი ოჯახისთავი, რომელსაც ეს ღონისძიებები შესაძლებლობას მისცემს, უკეთ უზრუნველყოს თავისი შთამომავლობის მომავალი.

მხოლოდ და მხოლოდ წვრილ-წვრილ მამულთა წარმოქმნის წინააღმდეგ მიმართული ამ განზრახულებებით დასახულია ერთადერთი მიზანი – ***მემამულეთა მასიდან შეძლებულ მიწათმფლობელთა კლასის ჩამოყალიბება***.

იმისათვის, რომ დავეხმაროთ თავად-აზნაურთა უწარჩინებულეს გვარეულობებს და დავიცვათ ისინი მემკვიდრეთა დაუდევრობისა და მფლანგველობისაგან, არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანგებო დებულება ***დაცული მამულების*** შესახებ,[5] მაგრამ საქართველოში მამულების მეტისმეტი დაქუცმაცებულობის გამო ჩვენი თავადაზნაურობა ამ უმაღლესად ნაბოძები უპირატესობებით ვერ ისარგებლებს. ამიტომ, თავადაზნაურობას საამისო შესაძლებლობა რომ მიეცეს, აუცილებელია, თუნდაც დროებით, საგანგებო გადაწყვეტილების მიღებამდე, ამ დებულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული ***ოდენობის ზღვარი*** შემცირდეს და დადგინდეს: ნაცვლად 400 კომლისა – 200 კომლი, რომელთაგან თითოეული შედგება მამრობითი სქესის 5 სულისაგან ან ჯამური 1000 სულისაგან; ნაცვლად 10 ათასი დესეტინისა – 5 ათასი დესეტინა დასამუშავებლად ვარგისი მიწა; ხოლო შემოსავლის

ოდენობა, რომელიც იმავე მუხლითაა განსაზღვრული – 12 ათასი მან. – დარჩეს იგივე.

საქმის დაჩქარებისათვის სასარგებლო იქნებოდა, დაცულ მამულთან დაკავშირებული სპეციალური ნებართვების გაცემის უფლება (თანაბარღირებულ მამულებზე გაცვლა-გამოცვლა, შევსება-დამრგვალება) მმართველი სენატის ნაცვლად თქვენს ბრწყინვალებას გადასცემოდა (გამონაკლისი ხსენებული დებულების 38-ე მუხლიდან).

თავადაზნაურული ფენის უზრუნველყოფის საშუალებათა ძიებისას ვერც მისდამი დაქვემდებარებული გლეხობის მდგომარეობას დავტოვებთ ყურადღების მიღმა. ნებისმიერ კეთილგანმზრახველ მემამულეს[6] გაცნობიერებული აქვს, რომ ბატონყმობა უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, თუმცა ისიც საეჭვოა, მისი ანაზდეულად გაუქმება მოხდეს.[7] ამიტომ მივედით აზრამდე – ხომ არ არის შესაძლებელი, პრობლემის თანდათანობითი გადაჭრის გზას დავადგეთ, მემამულეთა ინტერესებიც აქეთკენ მივმართოთ და, შესაბამისად, დასახულ მიზანსაც რადიკალური ზომების გარეშე მივაღწიოთ?

საამისო საშუალება კი, ჩვენი აზრით, შემდეგია:

საკმაოდ ბევრია ისეთი სახაზინო მიწა, რომელიც არაფერს ან სრულიად უმნიშვნელო სარგებელს იძლევა. განვსაზღვროთ გლეხებზე მემამულის უფლების ღირებულება და მემამულეს დანაკარგი შესატყვისი ღირებულების სახაზინო მიწით ავუნაზღაუროთ.

უეჭველია, მთავრობა უარს არ იტყვის იმგვარ ღონისძიებებზე, რომელთა მეშვეობითაც ყმები სახელმწიფო გლეხებად გადაიქცევიან. მიწა კი, რომელიც ამჟამად თითქმის მკვდარ კაპიტალს წარმოადგენს, გადავა რა კერძო მფლობელობაში, გააძლიერებს მხარის მწარმოებლურ რესურსებს და ხაზინისთვისაც შემოსავლის კიდევ ერთ წყაროდ გადაიქცევა; შესაბამისად, ვფიქრობთ, საბოლოოდ ხაზინას ამ ღონისძიებით რამდენადმე შესამჩნევი ზარალი არ მიადგება.

ამასთანავე, შესაძლებელია, ხაზინის მიერ გლეხთა გამოსყიდვისთვის გაღებული თანხა თვითონ გლეხობის მიერ ნაწილობრივ ან სრულად იქნეს ანაზღაურებული. საამისოდ არსებობს

მმართველი სენატის 1856 წლის 16 იანვრის ბრძანებულების განმარტებითი ნაწილი – უმაღლესად დამტკიცებული დებულება კავკასიის კომიტეტისა[8] ყმათა ***კომლობრივი*** გამოსაღების სპეციალური სარგოთი დაბეგვრის შესახებ, რომელიც სახელმწიფო გლეხებს ეხება.

საგლეხო გამოსყიდვის უფლებასთან დაკავშირებული განზრახულება უნდა შეჯერდეს განსვენებული იმპერატორის, ნიკოლოზ პავლეს ძის, სურვილთან; აგრეთვე, საკითხის გარშემო განსვენებული გენერალ-ფელდმარშლის, თავად ვორონცოვის, წარდგინებასთან, როცა მან თავად მაჩაბელოვებს ლიახვის ხეობის ოსი გლეხობის 1500 ოჯახი ხუთიათასიანი შთამომავლობითი პენსიით აუნაზღაურა. მაშინ ამაზე აწ განსვენებულმა იმპერატორმა გასცა ნებართვა და ასეთი რეზოლუციაც წააწერა: ***„ისიც მინდა ვიცოდე, ხომ არ არიან კიდევ გვარეულობები, რომლებსაც ამგვარი საზღაურის სურვილი აქვთ?“***

თუკი სახაზინო მიწები საკმარისი არ იქნება, აქვე შეიძლება მოვაქციოთ საეკლესიო მიწები. ეკლესიები ისეთ ვრცელ ტერიტორიებსაც ფლობენ, რომლებიც სახაზინო მმართველობისთვისაა გადაცემული.

მიწის ღირებულება, როგორც გლეხის სანაცვლო საზღაური, მემამულემ შეიძლება თვითონ გლეხებისგანვე მიიღოს ზემოხსენებული ბრძანებულების საფუძველზე.

ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის სასარგებლოდ საეკლესიო მამულების გამოყენება მთავრობას, რასაკვირველია, უსამართლობად არ ჩაეთვლება. მით უფრო, ყველა საეკლესიო მამული წარმოადგენს ეკლესიისათვის მეფეთა, უფრო მეტად კი მემამულეთა, მიერ საქველმოქმედო მიზნით შეწირულ მიწებს.

დარწმუნებით უნდა ვთქვათ, რომ ბატონყმური დამოკიდებულებისგან გლეხთა გათავისუფლების სანაცვლოდ ამგვარი ანაზღაურებით ბევრი, განსაკუთრებით მცირემიწიანი, მემამულე ისარგებლებს.

ამასთანავე, აუცილებელია წინასწარვე გაირკვეს თავისუფალი სახაზინო და საეკლესიო მიწების მოცულობა.

დრო ბატონყმობის თანდათანობითი გაუქმების სხვა საშუალებებსაც გამოაჩენს. ის კი უდავოა, რომ თავადაზნაურული მამულების დაქუცმაცების, წვრილ-წვრილ მამულთა წარმოქმნის შეწყვეტისა და შეძლებულ მიწათმფლობელთა კლასის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ჩამოთვლილი ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ყველას მდგომარეობას – შეუძლებელია, მემამულეთა მოღონიერებამ მათი ხელქვეითი გლეხობის მდგომარეობაზეც არ იქონიოს სასიკეთო გავლენა.

მეოთხე საკითხის შესახებ

გადავდივართ რა თავშივე აღნიშნული საკითხებიდან უკანასკნელზე, პირველ რიგში, უნდა გამოვხატოთ თავადაზნაურობის ღრმა მადლიერება იმ მსხვერპლის გამო, რომელსაც მთავრობა ჩვენი მომავალი თაობების აღზრდა-განათლებისთვის სწირავს.

ჩვენი შვილები ხაზინის ხარჯით განათლებას იღებენ:

ა) კავკასიის კორპუსის პოლკებსა და ცალკე ბატალიონებთან არსებულ სკოლებში.

ბ) სამიჯნო სკოლაში.[9]

გ) თბილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში.

დ) კადეტთა კორპუსებსა და შიდა იმპერიაში არსებულ სხვა სპეციალურ სასწავლებლებში.

ე) დედაქალაქების უნივერსიტეტებსა[10] თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

გარდა ამისა, ჩვენი გოგონები ხაზინის ხარჯზე ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტშიც იზრდებიან.[11]

ზოგიერთ საშუალო-სასწავლო დაწესებულებასა თუ ინსტიტუტში დაშვებულია საკუთარი სახსრებით სწავლა.

რაც არ უნდა დიდი იყოს ხაზინის ხარჯზე მოსწავლე ჩვენი შვილების რაოდენობა, თანაზომიერების მხრივ იგი მაინც არ შეესაბამება ჩვენი ფენის მრავალრიცხოვნობას. თავადაზნაურობის უმრავლესობას სურვილი აქვს, ახალგაზრდა თაობის რიგიანი განათლება საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს.

ხაზინიდან განათლებისთვის გამოყოფილი ისედაც დიდი ხარჯის კიდევ უფრო გაზრდის თხოვნა უადგილოდაც მიგვაჩნია

და შეუძლებლადაც, თუმცა ჩვენი სურვილია, გამოყოფილი სახსრები რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოსწავლეს გასწვდეს. ამისათვის კი სასურველია ცვლილებები შევიდეს თანხის განაწილებაში; კერძოდ, თუკი კადეტთა კორპუსებსა და იმპერიის საშუალო განათლების სხვა სასწავლებლებში ჩვენი შვილების გასაგზავნად გამოყოფილ თანხებს ამიერკავკასიაშივე არსებულ სასწავლო დაწესებულებათა გაძლიერებას მოვახმართ, მაშინ, ჯერ ერთი, ხაზინა გათავისუფლდება დამატებითი ხარჯისგან, ***ისეთი ბავშვების რუსეთში გაგზავნა და შემდეგ უკან გამობრუნება რომ იწვევს, რომელთაც იქ სწავლის უნარი არ აღმოაჩნდებათ;*** მეორეც – რუსეთში სასწავლებლად გაგზავნილი ბავშვები ისეთი ასაკისანი არიან, რომ ზოგი მათგანი ვერც იქაურ მკაცრ კლიმატს უძლებს, ვერც ოჯახური გარემოსგან მოწყვეტას და, ამ მხრივაც, ყოველგვარ საშიშროებას ავიცილებთ თავიდან; ამას გარდა, შესაძლებელი გახდება ხაზინის ხარჯით გათვალისწინებული ვაკანსიების მნიშვნელოვნად გაზრდა ადგილობრივ სასწავლებლებში. შეჩვეული კლიმატური პირობები და მშობლებსა თუ ნათესავებთან ხშირი ურთიერთობა დიდად შეუწყობს ხელს მოზარდების სწორი და ბუნებრივი წესით როგორც ფიზიკურ, ისე ზნეობრივ აღზრდა-განვითარებას.

ამ სურვილთა განხორციელების მიზნით, შესაძლებლად მივიჩნევთ, თქვენი ბრწყინვალების ყურადღება შემდეგ საშუალებებს მივაპყროთ:

1. პოლკებთან და ბატალიონებთან არსებულ სკოლებში აღზრდა უნდა დაეფუძნოს იმ სასწავლო საგნებს, რომელთა ცოდნაც თავადაზნაურობას სამხედრო სამსახურში შესვლისას მოეთხოვება. მაგრამ, ვინაიდან პოლკებსა და ბატალიონებს, შესაძლოა, საამისო პირობები არ აღმოაჩნდეთ, საჭირო იქნება მათთვის დახმარების აღმოჩენა – თითოეულ სკოლაში უნდა დაინიშნოს შესაბამის სპეციალურ საგანთა მასწავლებელი კავკასიის სასწავლო ოლქის სამაზრო სასწავლებელთა პედაგოგებისათვის დადგენილი ხელფასითა და სამსახურებრივი უფლებებით;

2. შესაძლებლობების ფარგლებში უნდა გაიზარდოს ხაზინის მიერ დაფინანსებული ვაკანსიები როგორც თბილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში, ისე ქალთა ინსტიტუტში;

3. უნდა გამოიყოს თანხა ზემოხსენებულ სასწავლებელთა ნახევრად პანსიონერებისთვისაც – როგორც ხაზინის ხარჯზე მყოფთათვის, ისე იმათთვის, რომლებიც საკუთარი ხარჯით სწავლობენ;

4. მოსწავლეებს, რომლებიც საკუთარი ხარჯით სწავლობენ, შეძლებისდაგვარად გადასახადი უნდა შეუმცირდეთ. თუკი თვითონ სასწავლებლებისთვის გამოყოფილი თანხა ამის საშუალებას არ იძლევა (ეს პირველ პუნქტში ჩამოთვლილ სასწავლებლებსაც ეხება), მაშინ მათ უნდა გაეწიოთ ფინანსური დახმარება იმ დანაზოგიდან, რა დანაზოგსაც რუსეთის საშუალო განათლების სასწავლებლებში ჩვენი შვილების გაგზავნის შეწყვეტა მოგვცემს.

5. მე-2 პუნქტში ნახსენებ სასწავლებლებში, აგრეთვე, სამხედრო სკოლებშიც, თავისუფალი მსმენელებიც უნდა იქნენ დაშვებულნი;

6. განსაკუთრებით სასურველი იქნება, თუ ქალთა ინსტიტუტის აღსაზრდელებს, მსგავსად წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეებისა,[12] რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ოჯახთან ხშირი ურთიერთობის საშუალება მიეცემათ. ასეთ შემთხვევაში, ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებულ ქალიშვილებს აღარც ოჯახურ თუ ნათესაურ წრეებთან თავიდან შეგუება მოუწევთ, აღარც წვრილმანი ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა გაუჭირდებათ და, შესაბამისად, მოეხსნებათ ის სირთულეები, რომლებსაც სწავლის დასრულების შემდეგ ახალ ცხოვრებაში აწყდებიან.

7. დასასრულ, დიდად სასურველი იქნებოდა, ჩვენშიც არსებობდეს უმაღლესი სასწავლებელი, რათა სწავლა-განათლების მიღების პარალელურად და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებამდე ჩვენი შვილები არც ოჯახურ აღზრდას მოსწყდნენ. თუმცა ამჟამად თავს შევიკავებთ ამ უკანასკნელი საკითხის პირდაპირ დაყენებისგან, რადგან მართებლობა თვითონვე ზრუნავს ჩვენში განათლების მიმართულებებზე და იმაზეც, რომ სწავლა-განათლების საქმე სახელისუფლებო თვალსაზრისს შეესაბამებოდეს.

აი, ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებული ყველა ის სურვილი, რომელთა მიმართ თქვენი ბრწყინვალების კეთილგანწყობილი ყურადღების მიპყრობა ჩვენს მოვალეობად მივიჩნიეთ.

გარდა ზემოჩამოთვლილი საკითხებისა, უშუალოდ თავადაზნაურობასა და მისდამი დაქვემდებარებულ ფენას რომ შეეხება, არის კიდევ ორი საკითხი, რომელთა საჭიროებასაც უკლებლივ ყველა ფენა გრძნობს – ეს არის, პირველი, ***სარწყავი არხების გაყვანის*** უფლება და, მეორე, ამიერკავკასიის „პრიკაზიდან“[13] აღებულ სესხზე ***დაკისრებული პროცენტის*** საერთო-საიმპერიო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სარწყავი არხების შესახებ. ამიერკავკასიის მხარეში ყოველგვარ სამიწათმოქმედო საქმიანობას წყალი ანიჭებს სიცოცხლეს. მორწყვის გარეშე აქ მეურნეობის ვერც ერთი მიმართულება ვერ იარსებებს. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს არავითარი საკანონმდებლო საფუძველი, რომლითაც განსაზღვრული იქნება მიწის მფლობელის უფლება, ისარგებლოს წყლით და გაიყვანოს სარწყავი არხები. ეს გარემოება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ათასგვარი უწესრიგობისა და დავა-კამათისათვის.

სათანადო წესების დაწერა-დადგენისას განსაკუთრებულ სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ მთავარსამმართველოში საკითხის გარშემო მსჯელობისას აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობოდა.

ამიერკავკასიის „პრიკაზისთვის“ გადასახდელი პროცენტების შემცირება. ამიერკავკასიის „პრიკაზის“ დაარსებისას მთავარსამმართველოს მიერ შედგენილ დებულებათა პროექტში სესხის საპროცენტო განაკვეთად 6% დადგინდა, მაგრამ კავკასიის კომიტეტმა, მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ უძრავი ქონების დაგირავებისა და მფლობელზე სესხის გაცემის მთავარი მიზანი მეურნეობრიობის გაუმჯობესებაა, პროცენტებისა და სასესხო კაპიტალის შემცირება გადაწყვიტა. ამიტომაც კავკასიის კომიტეტის მიერ 1848 წლის 10 მაისს უმაღლესად დამტკიცებული დებულებით, რომელიც შინაგან და ფინანსთა მინისტრების შენიშვნების გათვალისწინებით იქნა შედგენილი, დადგინდა: კავკასიის „პრიკაზის“ მიერ გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი ყველა სხვა საკრედიტო დაწესებულების სასესხო პროცენტს გაუთანაბ-

რდეს – მოკლევადიან სესხზე (15 წლამდე) 6%, გრძელვადიან სესხზე (15 წლის ზემოთ) მხოლოდ 5%. მაგრამ შემდგომში აწ განსვენებული გენერალ-ფელდმარშლის, თავად ვორონცოვის, შუამდგომლობით აღდგა აქაური ხელისუფლების მიერ განსაზღვრული თავდაპირველი ვითარება, დადგინდა 6% და გადახდა დღემდე ასე ხდება.

მთავარ მიზეზად, თუ რატომ აღემატება ამიერკავკასიის „პრიკაზის“ საპროცენტო განაკვეთი იმპერიის სხვა საკრედიტო დაწესებულებათა განაკვეთს, დასახელდა ის, რომ სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამოგება დანახარჯისა, რომელიც მაშინ შეადგენდა 18 ათას მანეთს. ამ დანახარჯის ამოსაგებად – მაშინ ასე იქნა მიჩნეული – აუცილებელი იყო „პრიკაზის“ საბრუნავი კაპიტალი 1 800 000 მანეთი ყოფილიყო.

ახლა, როცა „პრიკაზის“ ამოქმედებიდან 8 წელიწადზე მეტი გავიდა, სასესხო მოცულობა 3 მილიონამდე გაიზარდა[14] და, ამდენად, იგი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ოდენობას, რომელსაც აქაური ხელისუფლება დანახარჯის ამოსაგებ აუცილებელ თანხად ასახელებდა. შესაბამისად, უკვე აღარ არსებობს არავითარი შემაფერხებელი გარემოება და „პრიკაზის“ საპროცენტო განაკვეთი სხვა საკრედიტო დაწესებულებებისთვის დადგენილ განაკვეთს უნდა გაუთანაბრდეს.

[1857 წ.]

მუსლიმთა უმაღლესი წოდების უფლებების შესახებ

ამიერკავკასიის მხარეში უმაღლესი მუსლიმური წოდების უფლებების გამოსარკვევად გენერალ ნეიდგარტის მმართველობის დროს თბილისში ორი სპეციალური კომისია დაარსდა.

დასახელებული კომისიების ფართოდ გაშლილი მუშაობის, მათ მიერ მოპოვებული ცნობებისა და მონაცემების დეტალური განხილვა-გააზრების მიზნით გაიმართა საქმიანი მიმოწერა ყოფილ მეფისნაცვალს, აწ გარდაცვლილ გენერალ-ფელდმარშალს, თავად ვორონცოვსა და კავკასიის კომიტეტს შორის.[1] ყველა საკითხის დაწვრილებითი განხილვისა და ყველა დეტალის გათვალისწინების შემდეგ 1846 წლის 6 დეკემბერს ვორონცოვის სახელზე გამოიცა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც თავადმა შემახაში ყოფნისას მიიღო და იქ შეკრებილ მუსლიმთა უმაღლესი წოდების წარმომადგენლებს საზეიმო ვითარებაში აუწყა მონარქიული წყალობის შესახებ.

მონარქიული წყალობის ძირითადი არსი გამოიხატებოდა იმაში, რომ:

1. მუსლიმთა უმაღლეს წოდებას მიენიჭა მიწის საკუთრების უფლება: ერთ ნაწილს ***დაუმტკიცდა*** შთამომავლობითი საკუთრება, მეორე ნაწილს კი საშვილიშვილოდ ***ებოძა*** ის მიწა, რომელსაც იმ დროისთვის ან პრაქტიკულად ფლობდა, ან განკარგავდა, ან მისით სარგებლობდა; და

2. უმაღლესი ნებით განისაზღვრა, რომ მუსლიმთა უმაღლეს წოდებას იმპერიის თავადაზნაურობის პიროვნული უფლებები მინიჭებოდა. –

მართალია, თეორიულად პიროვნულ უფლებათა განსაზღვრა წინ უნდა უსწრებდეს ქონებრივ უფლებათა გამორკვევას, მაგრამ ამ შემთხვევაში იმ პატივსადებ მიზეზთა გამო, რომლე-

ბიც ქვემოთ იქნება მოხსენიებული, საერთო წესიდან გამონაკლისი იქნა დაშვებული.

უმაღლესი წოდებისათვის მიწის საკუთრების უფლების მინიჭებას მიწის მფლობელსა და იმავე მიწაზე მცხოვრები დაბალი ფენის უფლებრივი ურთიერთმიმართების გარკვევა უნდა მოჰყოლოდა. ამიტომაც ნაწილობრივ ადრინდელი აღწერებიდან აღებული ცნობების გათვალისწინებით, ნაწილობრივ ახალი აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით აქვე დაიწერა პროექტი, რომელიც კავკასიის კომიტეტმა მოიწონა და 1847 წელს გამოიცა ორი საგანგებო დებულება: ***ერთი*** – აღალარებისა და მელიქებისათვის, რომელიც უმაღლესი ხელისუფლების მიერ 1847 წლის 28 დეკემბერს იქნა დამტკიცებული; და ***მეორე*** – ბეგებისა და სხვათათვის, რომელიც უმაღლესი ხელისუფლების მიერ მხოლოდ 1852 წლის 16 აგვისტოს დამტკიცდა (ეს უკანასკნელი შედგებოდა ორი ნაწილისაგან და ეს ნაწილები ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი პარაგრაფითა და ერთი დამატებით განსხვავდებოდა).

აღნიშნულ დებულებათა პრაქტიკაში გასატარებლად თბილისში, შემახასა და დერბენტში სპეციალური კომისიები დაარსდა.

თბილისის კომისია, რომელსაც აღალარების საქმე ჰქონდა ჩაბარებული, გაუგებრობებისა თუ სხვადასხვა დაბრკოლების შემთხვევაში უშუალოდ მეფისნაცვალს მიმართავდა და მისგანვე იღებდა შესაბამის ნებართვას; დერბენტის კომისიას ხელმძღვანელობისათვის არავითარი ახსნა-განმარტებით არ მიუმართავს; შემახის კომისიას კი 1847 წლის დებულების გატარებისას უამრავი სიძნელე და დაბრკოლება შეხვდა. ეს სიძნელეები და დაბრკოლებები იმდენად გახშირდა, რომ განსვენებულ მეფისნაცვალს 1851 წლამდე მთელი რვეულების განხილვა უწევდა. ამ რვეულებში კი წარმოდგენილი იყო საქმეები, რომლებიც 1846 წლის რესკრიპტსა და მის საფუძველზე შექმნილ 1847 წლის დებულებას ეწინააღმდეგებოდა.

უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი ბუნებრივიც იყო – როდესაც ეს ფრიად მნიშვნელოვანი სავალდებულო წესი, ანუ 1847 წლის დებულება, შემახის კომისიამ შესასრულებლად მიიღო, მისთვის არავის აუხსნია არც დებულების არსი და საფუძვლები, არც საქმესთან დაკავშირებული და უმაღლესი ხელისუფლების მიერ გან-

ხილული ცალკეული საკითხები თუ დეტალები, არც დებულების განხორციელების პრაქტიკული გზები და საშუალებები.

მაშინ – კერძოდ, 1851 წლის აპრილში – აწ განსვენებულმა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვმა პრობლემა პირადად და დეტალურად გაიაზრა და აუცილებელ საჭიროებად ჩათვალა, შემახის კომისიისთვის მიეცა საგანგებო ინსტრუქცია, რომელიც საკითხსაც ნათელს მოჰფენდა და კომისიას ადგილობრივ სირთულეებსა და გაუგებრობებსაც დააძლევინებდა.

ამის შემდეგ დაიძრა საქმე შემახის გუბერნიაშიც, სადაც 1847 წლის დებულების პრაქტიკული განხორციელება 1851 და 1852 წლებში მიმდინარეობდა და, საბოლოოდ, 1852 წლის აგვისტოში უმაღლესად დამტკიცდა კიდეც.

1853 და 1854 წლებში შემახის კომისიას წარედგინა ყველა მონაცემი და ყველა ახალი პროექტი, რომელთა შესრულება მას ინსტრუქციის მიხედვით მოეთხოვებოდა; კერძოდ, კომისიას უნდა შეედგინა:

1. მკაცრად დადგენილი და გადამოწმებული სიები იმ მამულებისა, რომლებზედაც ახალი დებულება უნდა გავრცელებულიყო და რომელთა მფლობელების მიმართ ხელისუფლებას ეს ახალი წესი უნდა შემოეღო. თუმცა თვითონ წესი მფლობელებს არ ათავისუფლებდა სასამართლო განხილვებისაგან, თუ ამ მამულებთან დაკავშირებით ნებისმიერი მხარის მიერ სარჩელები აღიძვრებოდა.

2. მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც მიწას დროებითი საკუთრების უფლებით ფლობდნენ, რათა ეს დროებითი საკუთრება ხელისუფლებას დამსახურების მიხედვით შთამომავლობითი საკუთრების უფლებად ექცია.

3. პროექტები შემდეგი წესებისა: ა) გლეხების მიერ მიწის მფლობელთათვის მოსამსახურეების მიცემა; ბ) გლეხების მიერ საკუთარ წრეში სასოფლო სამსჯავროს არჩევა; და გ) მიწის მფლობელთა მხრიდან გლეხებზე საპოლიციო ზედამხედველობა. –

ეს ყველაფერი, თანახმად ინსტრუქციისა, აქვე უნდა განხილულიყო.

ამასობაში მუშაობის ანგარიში დერბენტის კომისიამაც წარმოადგინა. მართალია, ამ უკანასკნელისთვისაც სახელმძღვანელოდ 1851 წლის ინსტრუქცია იყო მიწოდებული, მაგრამ დერ-

ბენტის კომისიამ მუშაობა შეასრულა სხვა ფორმით, სხვა პირობებში და, წარმოადგინა რა ოქმების დედნები, ამ ოქმების განხილვამდე და დამტკიცებამდე არსებითად შეაჩერა 1847 წლის დებულება, ანუ მიწათმფლობელთა და გლეხთა ურთიერთმიმართების ახალი წესი.

ომისა და სახელისუფლებო ცვლილებების გამო ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულ იქნა მანამ, სანამ მმართველობის სათავეში ალექსანდრე ივანეს ძე არ მოვიდა.[2]

ვფიქრობ, სალაპარაკოც არ არის, თუ რა მიმართულება უნდა მისცემოდა დაწყებულ საქმეს.

ამასობაში გაირკვა, რომ სხვა საკითხების განხილვაც იყო საჭირო:

4. რა უფლებები უნდა მინიჭებოდა ბაქოელ ბეგებს, რომლებზედაც 1847 წლის დებულება არ ვრცელდებოდა?

5. რა უფლებები უნდა მინიჭებოდათ განჯისა და ყუბის მაზრების მცხოვრებთ?

დასასრულ: რადგანაც ხელისუფლების ყურადღება მთლიანად უმაღლესი მუსლიმური ფენის ქონებრივი უფლებების დამკვიდრებისკენ იყო მიმართული, პიროვნული უფლებების საკითხი გაიყინა და, კაცმა რომ თქვას, არც გარემოება მოითხოვდა მისი დაჩქარების აუცილებლობას. ამიტომაც მოცემულ დროსა და პირობებში უნდა განხილულიყო საკითხი –

6. უმაღლესი მუსლიმური ფენისთვის თავადაზნაურული უფლებების მინიჭების შესახებ.

აი, ასეთი ვითარება იყო მაშინ, როცა მეფისნაცვალმა ინება და ეს საქმე გადასცა საბჭოს წევრს, თავად ვასილ ივანეს ძე სმიტენს, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა განეხილა და სათანადო პროექტის თანდართვით წარმოედგინა თავისი მოსაზრებები ზემოთ მითითებულ მე-2 პუნქტში შემავალ პირთა შესახებ; აგრეთვე, წარმოედგინა: წერილობითი პროექტი პირველი და მე-3 პუნქტებისა და საკუთარი მოსაზრებები მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესახებ.

ვხელმძღვანელობდი რა საქმის არსზე სახელდახელო, თუმცა მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებებით, მე გამონწვლილვით დავამუშავე მისი აღმატებულების ეს მეტისმეტად ვრცე-

ლი, 618 ფურცელზე დაწერილი, პატაკი სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის მიერ დართული მოხსენებითი ბარათითურთ, რომლის მიხედვითაც, ბ-ნ მეფისნაცვალს იგი განსახილველად საბჭოსთვის უნდა გადაეცა. მისი აღმატებულების, ვასილ ივანეს ძის, მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად – მესმის რა თვითონ საქმის საგანგებო მნიშვნელობა და, ამასთანავე, გაცნობიერებული მაქვს რა სამსახურებრივი მოვალეობა – პირდაპირ უნდა განვაცხადო: საქმე ისე არ არის შესრულებული, როგორც უნდა შესრულებულიყო; უფრო მეტიც: ნაცვლად იმისა, რომ განეხილა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებით გათვალისწინებული საკითხები, პატაკები, პროექტები და ყოველივე ამაზე დაყრდნობით წარმოედგინა თავისი მოსაზრებები, მათ შორის, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი საკითხების გარშემო, მისი აღმატებულება შეუდგა ქონებრივი უფლებების შესახებ უმაღლესი განკარგულებებითა და დებულებებით განსაზღვრული, უკვე მოქმედებაში მოყვანილი გარემოებების გადასინჯვას. იგი ამტკიცებს ძირეული ცვლილებების აუცილებლობას, ხოლო პიროვნული უფლებების შესახებ წარმოგვიდგენს შეხედულებას, რომლის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერ დროს და, მით უმეტეს, შეუძლებელია დღეს.

შევეცდები განვმარტო ზოგიერთი მოსაზრება, რომლებზედაც ჩემეული შეფასებაა დაფუძნებული. მანამდე კი თავს უფლებას მივცემ, დროებით გვერდი ავუარო ერთ ძირეულ წესს, რომლისთვის გვერდის ავლა, უნდა ითქვას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება – უმაღლესი განკარგულებებისა და უმაღლესად დამტკიცებული დებულებების გადასინჯვა მხოლოდ უმაღლესი ნებითვეა დასაშვები. ამ უკანასკნელი თვალსაზრისიდან გადახვევა კი იმიტომ მიწევს, რომ პატაკში წარმოდგენილი ზოგიერთი მოსაზრება, რომელზედაც უნდა ვიმსჯელო, არღვევს ზემოხსენებულ წესს.

პატაკში მითითებულია ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა – ქონებრივ უფლებათა გამორკვევა წინ უსწრებს პიროვნულ უფლებათა განსაზღვრას. მე უკვე ვთქვი, რომ თეორიულად ეს მართლაც შეცდომაა, თუმცა მოცემული საქმე იძლევა საფუძველს, თეორიას გვერდი ავუაროთ.

მე ვერ დავიწყებ იმის განსჯას, იმსახურებდა თუ არა უმაღლესი მუსლიმური ფენა ამგვარ მონარქიულ წყალობას და ვერც ვერაფერს ვიტყვი საკითხის მორალურ მხარეზე – მათ არაფერი აკავშირებთ ჩვენთან არც შეხედულებებით, არც წეს-ჩვეულებებითა და, მით უმეტეს, არც სარწმუნოებით. მე ასე ვფიქრობ: რადგან ხელმწიფემ წყალობა გაიღო, ნება მისი წმინდაა და ხელშეუხებელი, ხოლო მორალის გაჯანსაღება ან წეს-ჩვეულებების შერბილება არის პირდაპირი მოვალეობა ხელისუფლებისა და, სხვათა შორის, არა დამუნათებითა და დაყვედრებით. – ასე იყო თუ ისე, აღნიშნული ფენა, განსაკუთრებით 1840-იან წლებში, საკუთარ და საკუთარი შთამომავლობის ბედზე ისეთ შიშს ჰყავდა შეპყრობილი, რომ ხელისუფლებას არ შეეძლო, არ დაენახა გადაუდებელი აუცილებლობა, მუსლიმთა უმაღლესი ფენა სასწრაფოდ გამოეყვანა შიშისა და გაოგნების მდგომარეობიდან მანამ, სანამ ბეგებისა და სხვა მესაკუთრეების გარდაუვალი შფოთი მთელ მოსახლეობაზე არ აისახებოდა.[3] ხოლო რაც შეეხება მოსახლეობას – ამის უარყოფა შეუძლებელია – იგი მრავალრიცხოვანიც იყო და საუკუნოვანი მორალური ღირებულებებისადმი მტკიცე ერთგულებითაც გამოირჩეოდა. მეორე მხრივ, ეს მოსახლეობა ჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და, პატაკის სიტყვები რომ გავიმეოროთ, უმაღლესი ფენის უღელქვეშ გმინავდა, რაც ასევე პრობლემის უსწრაფეს გადაჭრას მოითხოვდა.

ამგვარ ვითარებაში როგორც ერთი, ისე მეორე ფენისთვის ყველაზე არსებითი, საგანგებო მნიშვნელობის საშური საქმეა, პიროვნების უფლებების გარკვევამდე გაირკვეს ქონებრივი უფლებების საკითხი, ანუ დღევანდელ საჭიროებათა გამო ფენათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საჭიროა კანონთა სულისკვეთების აღსრულების გადადება, რათა ზღვარი დაედოს საკუთრების უფლების გარშემო არსებული გაურკვევლობის გაღრმავებას. პიროვნულ უფლებათა განსაზღვრამდე, რისი დაჩქარების განსაკუთრებული აუცილებლობა არც არსებობს, ამ საქმის გადადება დიდად უხერხული და უაღრესად არასწორი იქნებოდა.

აი, რატომ ჩათვალა ხელისუფლებამ აუცილებელ საქმედ, ერთი უფლება მეორეზე უფრო ადრე განესაზღვრა და, ამასთანავე,

იმავდროულად იმ მეორე უფლებისთვისაც მტკიცე და იმედის მომცემი საფუძველი შეექმნა.

პატაკში გათვალისწინებული არ არის ზემოაღნიშნული გარემოებები, არსებული ვითარება ახსნილია როგორც შედეგი ერთი იმ შეცდომათაგანისა, რომლის გამოსწორებაც ნებისმიერ დროს ადვილად არის შესაძლებელი. იქვე მითითებულია ამ შეცდომის აღმოფხვრის აუცილებლობა და ნათქვამია, რომ საჭიროა ჯერ განვსაზღვროთ პიროვნული უფლებები და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ ქონებრივი უფლებების გამორკვევას. ამის მერე პატაკში აღნიშნული შეხედულების აღსრულების საშუალებებზეა საუბარი.

წარმოადგენს რა პიროვნული თავისუფლების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკუთარ შეხედულებებსა და დასკვნებს, მისი აღმატებულება ვასილ ივანეს ძე სმიტენი ძირფესვიანად განიხილავს ყველაფერს, რაც კი აქამდე ქონებრივ უფლებათა დადგენის მიზნით გაკეთებულა; – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ცდილობს გადასინჯოს ყველა ზემოთ დამოწმებული და უკვე კარგა ხნის მოქმედი უმაღლესი განკარგულებები და დებულებები.

მონარქიული წყალობის სივრცე და საზღვრები, რომლებიც 1846 წლის რესკრიპტით იყო განსაზღვრული (ისევე, როგორც, სხვათა შორის, ის პროცესიც, 1852 წლამდე რომ მიმდინარეობდა), განიხილებოდა როგორც პრაქტიკული, ისე კაბინეტური თვალთახედვით, გაიზომებოდა გამოწვლილვით, ხდებოდა მათი შეჯერება ყველა იმ გარემოებასთან, რაც ამა თუ იმ მიმართულებით შეზღუდვისა თუ ახსნა-განმარტების საჭიროებას ბადებდა და საბოლოოდ ეს ყველაფერი აისახა 1847 წლის დებულებებში, დამკვიდრდა პრაქტიკულ ცხოვრებაში და შემდეგ უმაღლესად იქნა დამტკიცებული.

შესაძლოა, მუსლიმთა უმაღლეს ფენას ებოძა იმაზე მეტი, რასაც იგი იმსახურებდა, მაგრამ ებოძა უმაღლესი ხელისუფლისაგან და მე, ჩემდათავად, ამ წუთამდე საქმეს ერთხელ და სამუდამოდ დასრულებულად მივიჩნევ, მით უმეტეს, ხელთ არა მაქვს არც ერთი საჩივარი, რომლითაც რომელიმე დაინტერესებული მხარე არსებულ ვითარებას დაუპირისპირდებოდა და არც საკუთრივ ხაზინის ზარალი ჩანს სადმე. –

ჩვენ მიერ განსახილველ პატაკში დაუფარავად ვლინდება 1846 წლის რესკრიპტით ბოძებული წყალობის შეზღუდვისა და ახალი რესკრიპტის გამოთხოვის სურვილი. შემოთავაზებულია პროექტი ახალი უმაღლესი განკარგულებისა, რომელიც არა მარტო შეზღუდავს არსებული რესკრიპტის ცალკეულ მიმართულებებს, არამედ ყველა საფუძველს გამოაცლის მას. –

თავისთავად ცხადია, რომ მსგავსი ზომები უკიდურესი აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი, ამიტომაც ასეთი აუცილებლობა წარმოდგენილ პატაკში საგულდაგულოდ ვეძებე. ვაღიარებ – ამ პატაკში რომც მეპოვა უაღრესად მკაფიო, უაღრესად ზუსტი, უდავო და უკამათო მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ამჟამად მუსლიმთა უმაღლესი ფენის მფლობელობაში არსებული მამულები როდისმე ხაზინას ეკუთვნოდა და შემდეგ ხაზინამ ეს მამულები უკანონოდ დაკარგა, ამასაც კი არავითარ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი, რადგანაც: 1. ხელმწიფის ნება ხაზინის უფლებებზე მაღლა დგას; და 2. 1851 წლის აპრილში ეს მამულები თვითონ მთავრობის განკარგულებითვე ბეგებს კი არ ებოძათ, არამედ შეუნარჩუნდათ.

ხანგრძლივობის ვადის შესახებ შემდეგ ვისაუბრებ. – მე გაცილებით უფრო მეტ მნიშვნელობას მივანიჭებდი გლეხობის საჩივრებს იმ დროისთვის არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, თუმცა საჩივრები არათუ მიმოხილული ან გამოკვლეული არ არის, არც ერთი საჩივარი – ყოველ შემთხვევაში, პატაკში მაინც – ნახსენებიც კი არაა. კითხვას, თუ რა შედეგები მოჰყვა 1847 წლის დებულების პრაქტიკულ ამოქმედებას, შემახის სამხედრო გუბერნატორმა 1854 წლის 10 ნოემბერს ასეთი პასუხი გასცა:

„ბეგების მამულებში დებულებით გათვალისწინებული წესების შემოღებას ***როგორც პოლიტიკური, ისე მორალური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ ამჟამად გლეხობა უკვე დაცულია ბეგების თვითნებობისაგან***. დებულება გლეხობამ აღფრთოვანებით მიიღო. მათ სრულად აქვთ გააზრებული, რომ მთავრობის ეს კეთილისმყოფელი გადაწყვეტილება საიმედოდ იცავს მათს უფლებებსა და საკუთრებას. ბეგებს რაც შეეხება, ერთნი, კერძოდ, შემახელები, ნუხელები და ლენქორანელები, რომლებსაც გლეხობისთვის ისედაც არ ჰქონდათ დაწესებული გა-

მაჩანაგებელი გადასახადები, მათს მამულებში ახალშემოღებული წესებით ზოგადად კმაყოფილნი არიან“.

რატომ უნდა ავუმხედრდეთ წესრიგს, რომელიც მიწათმფლობელთა უმეტესობისთვის სასარგებლოა და მთლიანად გლეხობისთვისაც მისაღებია? – როცა პატაკს ვკითხულობდი, ვვარაუდობდი, რომ მასში ვიპოვიდი ისეთ ახალ ან უკვე არსებულ გარემოებებს, რომლებიც არ ყოფილა გათვალისწინებული იმ მსჯელობა-განხილვისას, უმაღლესი ნებით გამოცემულ დებულებას წინ რომ უძღოდა, მაგრამ ვერც ასეთი რამ აღმოვაჩინე. პატაკში მოყვანილია ყველაფერი, რაც კი თქმულა ან შეიძლებოდა თქმულიყო უმაღლესი მუსლიმური ფენისთვის ბოძებული მდგომარეობის წინააღმდეგ, მაგრამ ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები ის მრავალგზის და მრავალმხრივ აწონილ-დაწონილი მსჯელობანი, რომლებზედაც არის დაფუძნებული ან უკვე გაკიცხვის საგნად ქცეული კანონდებულება. – პატაკი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია აზრით, რომ უნდა დაირღვეს ის, რაც 10 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში კეთდებოდა მუსლიმი მოსახლეობის დასაწყნარებლად; თანაც ეს აზრი ისეთი დაჟინებითაა მოწოდებული, რომ ადგილს არ ტოვებს ამგვარი ვითარების გასათვალისწინებლად – არაერთი მიმართულებით მისი განხორციელება ისედაც შეუძლებელია. ასე, მაგალითად:

თავად ვორონცოვის ინსტრუქციაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, თუ რომელ მამულებზე უნდა გაევრცელებინა ადგილობრივ ხელისუფლებას 1847 წლის დებულება. ინსტრუქციით გათვალისწინებული იყო აღნიშნულ მამულთა დაზუსტებული სიის შედგენა 1846 წლის რესკრიპტის საფუძველზე. სიის შედგენისა და განსახილველად წარმოდგენის აუცილებლობას ქმნიდა ის გარემოება, რომ საჭირო იყო სპეციალური სამთავრობო აქტებით მფლობელთა საკუთრების უფლების უზრუნველყოფა.

სიის შედგენისას, რასაკვირველია, ან არსებული მონაცემებით უნდა ესარგებლათ, ან შეეკრიბათ ახალი მონაცემები იმის შესახებ, რომ ესა და ეს მამული იყო ან არის ამა და ამ პირის მფლობელობაში ან სარგებლობაში. მონაცემთა მოთხოვნა და მოწმობის შედგენა, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა სხვაგვარად, თუ არა ადმი-

ნისტრაციული წესით. ამიტომაც შემახის კომისიამ გადაწყვიტა, მოწმობის შედგენისას დაყრდნობოდა:

1. სახანოების იმ აღწერილობას, რომელიც მთავარი ხელ-მძღვანელობის მიერ მივლინებულმა პირებმა ამ სახანოების რუ-სეთთან შეერთებისთანავე შეადგინეს;

2. რუსეთთან შეერთების შემდეგ სხვადასხვა დროს ჩატარე-ბულ კამერალურ აღწერათა მონაცემებს;

3. პოლიციის სპეციალურ მოკვლევებსა, და

4. საკუთრივ ინსტრუქციის შესრულების მიზნით შემახის მთავარი კომისიის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიათა კვლე-ვებს.

ამ გზით მოპოვებული მონაცემები, ჩემი აზრით, სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ მათზე დაყრდნობით გაცემული-ყო ადმინისტრაციული განკარგულება, რომელიც უზრუნველ-ყოფდა 1847 წლის დებულების ამოქმედებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაჩნდებოდა საბაბი ეჭვისთვის ხსენებულ მონაცემებში კერძო მესაკუთრეთა მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულების შესა-ხებ. მაგრამ ასეთი საბაბი ვერ იარსებებდა და ვერ იარსებებდა იმის გამო, რომ მათში ასახული იყო მხოლოდ ის, რაც რეალურად არსებობდა. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული მონაცემებიდან პატაკში სარწმუნოდ არც ერთი არ არის მიჩნეული.

რამდენადაც ეს ყველაფერი უცილობლად წარმოშობს კით-ხვას: რის საფუძველზე უნდა შედგენილიყო არსებული მამულების დაზუსტებული სია მაშინ, როცა შეუძლებელი იყო ადმინისტრაცი-ული წესით ნებისმიერი სხვა მონაცემის დასახელება ან მათი მოთ-ხოვნა? – პასუხად პატაკში გამოთქმულია მოსაზრება, ყველა ად-მინისტრაციული მოქმედება სასამართლო განხილვებით უნდა შე-იცვალოსო.

ვფიქრობ, ამით მთლიანად ირღვევა არსი 1851 წლის ინ-სტრუქციისა და ირღვევა აგრეთვე მთელი მიზანდასახულობა 1846 წლის რესკრიპტისა, თუმცა პატაკის ავტორს არ სურს ამის აღია-რება.

ასეთ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ: რა საფუძველს დაეყ-რდნობა სასამართლო განხილვები?

ამ კითხვაზე პატაკში გამოთქმული პასუხია: „სოფლების მფლობელ ბეგებსა და უმაღლესი მუსლიმური წოდების სხვა პირებს დაევალოთ, რომ მათ ამ მამულებზე თავიანთი უფლება სასამართლოს მეშვეობით დაასაბუთონ“.

გავბედავ და ვიტყვი, რომ ამგვარ სასამართლო განხილვას არავითარი იურიდიული საფუძველი არ ექნება, რამდენადაც სასამართლო წარმოება ვერ დაიწყება სარჩელის გარეშე, სარჩელს კი წარადგენს მოსარჩელე, ანუ მხარე, რომელიც ცდილობს, დაიბრუნოს სხვის მფლობელობაში არსებული მამული. ბეგები სასამართლოს ვერ მიმართავენ იმ მიზეზის გამო, რომ წარმოდგენა არ ექნებათ, ვისგან უნდა მოიპოვონ ის, რასაც უკვე ფლობენ. მართებულად ფლობენ საკუთრებას თუ უმართებულოდ, ყველა შემთხვევაში ისინი სასამართლოში იქნებიან მოპასუხეები და არა მოსარჩელეები. ამიტომაც მათთვის აუცილებელია იცოდნენ არა მარტო მოსარჩელის ვინაობა, არამედ მათ წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებული ყველა გარემოება. რადგან სხვა მოსარჩელე, უბრალოდ, ვერ იარსებებს, ბეგების წინააღმდეგ სარჩელი უნდა აღძრას ხაზინამ, ანუ იმ მთავრობამ, რომელმაც იმავე ბეგებსა და მათს შთამომავლობას უკვე მიანიჭა საკუთრების უფლება მათს განკარგვაში, მათს საკუთრებაში, მათს სარგებლობაში არსებულ მამულებზე.

ვუშვებ, რომ სარჩელი შეაქვს ხაზინას.

ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა შესრულდეს კიდევ ერთი პირობა, რომელიც პატაკშია წამოყენებული? – „ბეგებმა თავიანთი უფლებები უნდა დაასაბუთონ 10 წლის განმავლობაში. ვინც ამ ვადას ვერ დააკმაყოფილებს, ჩამოერთვას მამული და იგი გადაეცეს ხაზინას“!!

უნდა ვიფიქრო, ამგვარი პირობის წამოყენებისას მის ავტორს მხედველობაში ჰქონდა ისეთი სამართალწარმოება, რომელიც ჩვენში არ არსებობს. საქმე ისაა, რომ სამართალწარმოებისას საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებულია არა ორიდან ერთ რომელიმე, არამედ ორივე მხარეზე და, ორივე მხარის ერთობლივი სურვილის შემთხვევაშიც კი – თვითონ სასამართლო დაწესებულებათა ნებაზე. დავის წარმოება ხაზინასა და კერძო პირს შორის ნიშნავს იმას, რომ ხაზინა განუზომლად მომგებიან მდგომარეობაში

ჩავაყენოთ, რადგანაც მას კერძო პირთან შედარებით ისედაც დამ-თრგუნველი უპირატესობა მოეპოვება. ხაზინას ისღა ექნება დარ-ჩენილი, საქმე გააჭიანუროს. ამაზე ადვილი კი მისთვის არაფერია იმდენად, რამდენადაც, დაიცავს თუ არ დაიცავს იგი შესაბამის ვა-დებს, საქმემ სათანადო ინსტანციებში მაინც უნდა იაროს. ყველა ინსტანციაში საქმის განხილვა კი 10 წლის განმავლობაში ვერაფ-რით ვერ მოხერხდება. ასე და ამგვარად, ხაზინა ამგვარი ხელ-საყრელი გარემოებების წყალობით წაიღებს ბეგების იმ მამულებს, რომლის პირდაპირ წართმევასაც ვერ ბედავს. არადა პირდაპირი წართმევა ამგვარ ვითარებაში, კაცმა რომ თქვას, უფრო ჰუმანური საქციელიც კი იქნებოდა.

შემდეგ: იქ, სადაც ბეგებთან დაკავშირებულ ხანგრძლივო-ბის 10-წლიან ვადაზეა საუბარი, პატაკში მითითებულია სამოქალა-ქო კანონთა კრებულის X ტ. II ნაწ. 213-ე მუხლის მე-5 პუნქტზე დართული მე-3 შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, მიწის ფლობასთან დაკავშირებული ხანგრძლივობის ვადა მუსლიმურ პროვინციებზე არ ვრცელდება. მაგრამ ის დადგენილება, რომელსაც აღნიშნული პუნქტი ეყრდნობა, გვიანდელია და ხანგრძლივობის ვადის შემო-ღებას ითვალისწინებს მას შემდეგ, რაც გამოიცემა დებულება სა-კუთრების უფლების შესახებ. ამგვარი დებულება კი 1846 წლის აპ-რილში გამოიცა. თუ ამ დებულებას იმავე წლის 6 დეკემბრის რეს-კრიპტის საფუძველზე არ ვაღიარებთ, უკიდურეს შემთხვევაში, 1847 წლის ***დებულების*** აღიარება ხომ მაინც მოგვიწევს? რატომ უნდა შეინარჩუნოს ძალა დროებით, დებულების გამოცემამდე, შე-მოღებულმა მე-5 პუნქტმა დებულების გამოცემის შემდეგ, ამის გა-გება მე, უბრალოდ, არ შემიძლია – წინააღმდეგ შემთხვევაში, ძა-ლას დაკარგავს როგორც 1846 წლის რესკრიპტი, ისე 1847 წლის დებულება.

გვერდს ვერ ავუვლით პატაკში გამოთქმულ კიდევ ერთ მო-საზრებას, თითქოს ბეგების ქონებრივი უფლება ვერ იქნება აღია-რებული უდავო ძალის მქონე და მტკიცე უფლებად, რადგან იგი სხვადასხვა პირობითაა „დატვირთული“, ჩვენი კანონმდებლობით კი ქონებრივი უფლება შეუზღუდავი და უპირობოა. –

შეუძლებელია ამ აზრს დაეთანხმო, რადგანაც გარდა მონარ-ქიულისა, ჩვენს კანონმდებლობაში შეუზღუდავი და უპირობო უფ-

ლების სხვა მაგალითს მე არ ვიცნობ. ქონებრივი უფლება შიდა გუ-ბერნიებში, პირიქით, ზოგადი კანონმდებლობის მიხედვით, „დატ-ვირთულია“ ისეთი პირობებით, რომელთა დარღვევა იწვევს ამ უფ-ლების შეზღუდვას და, უფრო მეტიც, შეწყვეტასაც კი. საერთოდ საჭიროა კი მთავრობას სადავოდ ვუქციოთ შესაძლებლობა, მიუ-თითოს საკუთრების ან განკარგვის უფლების ფარგლები და პირო-ბები იქ, სადაც თვითონ უბოძებს და ამკვიდრებს ამ უფლებას? ჩვენს შემთხვევაში მთავრობამ ისარგებლა თავისი სავსებით კანო-ნიერი უფლებით და, მე ვფიქრობ, ისარგებლებს კიდევაც ერთ ფრიად მნიშვნელოვან შემთხვევაში, რომელსაც ქვემოთ, პიროვ-ნულ უფლებასთან დაკავშირებულ საკითხზე მსჯელობისას, შეევე-ხები.

იმისათვის, რომ ყურადღების მიღმა არ დამრჩეს საკითხთან დაკავშირებული რაიმე მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მო-საზრება, აქვე ჩამოვთვლი ყველა იმ არსებითი მნიშვნელობის გა-რემოებას, რომელთა ერთობლიობასაც პატაკში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ეფუძნება. ესენია:

1. ვასილ ივანეს ძე სმიტენის მიერ წინასწარვე შემუშავებუ-ლი პირადი დამოკიდებულება ბეგებისა და სხვა პირთა ქონებრივი უფლების მიმართ.

2. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქონებრივი უფლება პიროვ-ნული უფლებისგან უნდა გამომდინარეობდეს.

3. შეხედულება მუსლიმთა ფენის ისტორიული ცხოვრების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ბეგებს არასოდეს ჰქონიათ მიწის საკუთრების უფლება.

4. მფლობელობის არსებულ ვითარებაზე დაყრდნობით ჩა-ტარებული აღწერების, მოკვლევებისა და გამოკვლევების არასან-დოობა.

5. 1846 წლის რესკრიპტით განსაზღვრული ვითარების ის-ტორიულ ფაქტებთან შეუსაბამობა და ახალი წესრიგის არამართე-ბულობა.

6. ძველი დროების ხელისუფალთა აზრები და შეხედულებე-ბი, რომლებიც ახალ წესრიგს ეწინააღმდეგება.

ჩამოთვლილი პუნქტების გარშემო პატაკში გამოთქმული მოსაზრებების სიღრმისეულ ანალიზს არანაკლებ 1000 ფურცელი

დასჭირდება. მე კი ამას არ გავაკეთებ იმიტომ, რომ, ვფიქრობ, საკმარისი იქნება მარტივად ითქვას:

1. თუ ნებისმიერ მსჯელობას საფუძვლად წინასწარვე შემუშავებულ თვალსაზრისს დავუდებთ, ეს მსჯელობა უდავოდ და უეჭველად ცალმხრივი გამოვა. აქაც ასე გამოვიდა: ყველაფერი არსებული წესრიგის საწინააღმდეგოდაა ნათქვამი, სასარგებლოდ – არაფერი.

2. რატომ განიხილებოდა ქონებრივი უფლება პიროვნულ უფლებაზე ადრე, ამის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე და, ვფიქრობ, ხელისუფლება სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა – მან შეგნებულად დაუშვა ეს ხარვეზი.

3. საკითხის ისტორიულ მხარეზე მსჯელობისას ვასილ ივანეს ძე სწორად გადმოსცემს საქმის ვითარებას. მაგრამ ხელისუფლება თავისი გადაწყვეტილებების მიღებისას ვერ დაეყრდნობა ისეთ მონაცემებს, რომლებსაც პოპულარული ლიტერატურის მიღმა მნიშვნელობა აღარ გააჩნია. ჩვენ შეიძლება ვენდოთ ერთიმეორეს, მაგრამ ადმინისტრაციულ საქმეებში, ისევე, როგორც მეცნიერებაში, საჭიროა მტკიცებულებები, რომლებსაც ჩვენ აქ საერთოდ ვერ ვხედავთ. ის კი ცნობილია, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას აღმოსავლეთში, მუსლიმ ხალხებში, პატივს სცემენ და, ხშირად გაცილებით უფრო მეტადაც კი, ვიდრე ჩვენ. ყოველ შემთხვევაში, შეხედულება – აღმოსავლეთში, მუსლიმ მოსახლეობაში, მიწის საკუთრების უფლება არც არსებობდა და არც არსებობსო – სოლიდური არგუმენტებით საჭიროებს დასაბუთებას. დაუსაბუთებელ მოსაზრებებს კი ჩვენი ხელისუფლება ვერ დაეყრდნობა.

თუმცა ამჟამად გვერდზე გადავდებ ამ საკითხის გარშემო ყოველგვარ დავა-კამათს და ვიტყვი, რომ ჩვენს მუსლიმურ პროვინციებში უფლება საკუთრებისა – არსებობდა იგი ადრე, თუ არ არსებობდა – ეფუძნება მონარქიულ ნებას, ამდენად, წმინდაა და აქ ისტორიული ვითარება კარგავს თავის მნიშვნელობას.

4. რაც შეეხება 40 წლის წინ ჩატარებული აღწერილობების, მოკვლევებისა თუ გამოკვლევების, აგრეთვე, ხელისუფლების მიერ ჩატარებული ყველა სხვა აღწერილობის, მოკვლევისა თუ გამოკვლევის უარყოფას, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ხელაღებით იქნეს უარყოფილი ყველაფერი, რაც სასამართლო წარმოების მიღ-

მაა დარჩენილი. მაგრამ იძლევა კი სასამართლო წარმოება უფრო მეტ გარანტიებს? ამაზე ვერაფერს ვიტყვი იმდენად, რამდენადაც სასამართლო დაწესებულებებში, ისევე, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაში, ადამიანები სხედან. ადამიანები კი შეიძლება შეცდნენ ან გულისთქმას აჰყვნენ. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ მათ შორის არ მოიპოვებიან დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერი ამსრულებელნი. ამაში ოდნავი ეჭვის შეტანაც კი ნიშნავს, საკუთარ ღირსებას მივაყენოთ შეურაცხყოფა, რაც, ცხადია, არავისთვის არ არის სასურველი.

5. კიდევ ერთხელ დავუშვებ, რომ პატაკში მოცემული ისტორიული ვითარება უდავო და უეჭველია და ამიტომ დავეთანხმები აზრს, რომ მთავრობამ დაარღვია ისტორიით განსაზღვრული მოცემულობა და, ამდენად, დაუშვა შეცდომა. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ამ შეცდომამ მთელი მოსახლეობა დააწყნარა.

და ასეთი შედეგი მე მიმაჩნია გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ის, რომ დავგმოთ შეცდომის გამომწვევი მიზეზები, მიღებული შედეგი კი გავანადგუროთ. საჭიროა აღმოფხვრა ისეთი შეცდომებისა, რომლებიც იწვევს არეულობებსა და ტვინების ამღვრევას და არა ისეთებისა, რომლებიც ასეულ ათასობით ადამიანს აშოშმინებს.

6. ყველა ის მოსაზრება თუ თვალსაზრისი, რომელიც კი საკითხის გარშემო როდისმე გამოთქმულა, უმაღლესი ნების გამომხატველ გადაწყვეტილებაშია ასახული. ამით თემა თავისთავად იხურება და მისი თავიდან წამოჭრა მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

ამის შემდეგ ვხედავ საჭიროებას, დავუბრუნდეთ მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ იმ მომენტს, როცა მეფისნაცვალმა გადაწყვეტილება მოქმედებაში მოიყვანა და ამით გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა; კერძოდ: განსვენებული თავადის, ვორონცოვის, ხელთ არსებული ინსტრუქციის მიხედვით ხდებოდა განხილვა შემახის სიებისა, დერბენტის ოქმებისა, ზოგიერთი აქტისა და წესისა, ცალკეული, მანამდე განუხილველი, შემთხვევისა, მაგრამ განხილვა არა იმ მიზნით, რომ დაწყებულიყო უმაღლესად დამტკიცებული დებულების გადასინჯვა, არამედ – დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული და ზედმიწევნითი განხორციელებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოცემულ საქ-

მეში, მოკიდებული 1851 წლიდან, ვორონცოვის ხელთ არსებული ინსტრუქცია საბჭოს მიერ სახელმძღვანელოდ იყო მიღებული.

ამიტომ, თუკი ამა თუ იმ მიზეზით პრობლემის გადაწყვეტას მხარის სამოქალაქო მოწყობის დროებით განყოფილებას ვერ დავაკისრებთ, მაშინ აუცილებელი მგონია, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში შეიქმნას სპეციალური კომისია.

ვამთავრებ რა მსჯელობას საქმესთან დაკავშირებული ერთი მიმართულების, ქონებრივი უფლების, შესახებ, ორიოდე სიტყვას იმ პირებზეც ვიტყვი, რომელთა მიმართ პატაკში საყვედურია გამოთქმული – თითქოს მათ საქმე არასწორი მიმართულებით წაიყვანეს. დაბეჯითებით ვამბობ, რომ აწ განსვენებულ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს, აგრეთვე, გენერალ პეტრე ანტონის ძე ლადინსკის საყვედური კი არ ეკუთვნით, არამედ მთავრობამ სათანადოდ უნდა დააფასოს მათი ღვაწლი[4] – სწორედ ისინი დაეხმარნენ მთავრობას, დაეწყნარებინა მუსლიმი მოსახლეობა და შეენარჩუნებინა ტახტისადმი მათი ერთგულება თვით უკანასკნელ ომშიც კი, როცა აქაური მუსლიმები ჩვენს მხარდამხარ იბრძოდნენ ერთმორწმუნეების წინააღმდეგ.[5]

გადავდივარ საკითხზე მუსლიმთა უმაღლესი წოდების პიროვნული უფლებების შესახებ. –

არსებობს აზრი, რომ აქაურ მუსლიმთათვის იმპერიის თავადაზნაურობის უფლებათა მინიჭება ამ ახალი უმაღლესი წოდების მრავალრიცხოვნობის გამო გარკვეული – და საკმაოდ საბუთიანი – ხიფათის შემცველია და ეს გარემოება ადრე თუ გვიან როგორც მათთვის, ისე საზოგადოებისთვისაც დამაზიანებლად გადაიქცევა. – რასაკვირველია, სასურველია დადგინდეს სწორი და მტკიცე ზღუდეები, რათა პრივილეგირებულ ფენას ახალ-ახალი წევრები მრავლად არ შეემატოს.

წარმოდგენილ პატაკში საამისოდ უკიდურესი საშუალებაა შემოთავაზებული – თავადაზნაურული უფლება მიენიჭოს მხოლოდ იმ კანონიერ მემკვიდრეს, რომელიც უმაღლესი წოდების მუსლიმს პირველი ცოლისგან გაუჩნდება.

ამგვარი ღონისძიება უკიდურესი იმიტომაა, რომ პირდაპირ ეხება სარწმუნოებრივ დოგმატს, რომლის მიხედვითაც, მუსლიმს კანონიერად შეუძლია იყოლიოს სამი ცოლი და მათსა თუ მათს

შვილებს შორის სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არსებობს.

ხალხის რწმენაში არსებული ცხოველმყოფელი დოგმატების ხელყოფა სისხლის მომტანი შეცდომა იყო ყოველი მთავრობისათვის. ამგვარი შეცდომები ყველა მთავრობამ ნებისმიერი საშუალებით უნდა აიცილოს თავიდან.

მე მგონი, მთავრობას, რომელიც მუსლიმურ მოსახლეობაში ჯერ ქონებრივ, ხოლო შემდეგ თავადაზნაურულ უფლებებს ამკვიდრებს, შეუძლია და კანონიერი საფუძველიც აქვს ერთი უფლება მეორეს ისე დაუკავშიროს, რომ გაკვრითაც კი არ შეეხოს რომელიმე სარწმუნოებრივ დოგმატს; კერძოდ: ***მუსლიმ მიწათმფლობელებთან დაკავშირებით დაანესოს კანონი პირველშობილების უფლების შესახებ, ამის შემდეგ კი ქონებრივი უფლება პიროვნულ უფლებასთან შეახამოს.***

მოცემულ ეტაპზე ჩემი მხრიდან საკმარისად მიმაჩნია, საკუთარი თვალსაზრისი მხოლოდ მოკლედ გამოვთქვა, ხოლო მისი დასაბუთება იმ დროისთვის გადავდო, როცა საამისო აუცილებლობა შეიქმნება.

25 აგვისტო. 1861 წელი.

ბატონ-ყმობა

ძველთა დროთაგან ჩვენსა და ჩვენთ ყმათა შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დიდად ემსგავსება დამოკიდებულებასა ერთის ოჯახის, ერთის სახლის შვილებისასა. ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებსა და ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემმუშავებელნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსნი. იმათაც ისე არ ვეგულებოდით, როგორც მაწუხებლები და მტარვალები, ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფა-ცხოვრების გამგებელნი. – მარადის გაერთებული იყო ჩვენ შორის ჭირიცა და ლხინიცა. ერთმანერთის დასაცველად და დასაფარავად ერთად ვათხევდით სისხლსა და ერთი ერთმანერთს ხელს უმართავდით ყოველს საქმეში და ყოველს გაჭირვებაში. მართალია, ამ გვარს ცხოვრებაში შემოგვეპარებოდა ოდესმე, აქა-იქა უსიამოვნოებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველს გვარს ცხოვრებაში; მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მაინც არას დროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის; ამისათვის რომ არც იმათგან დარღვეულა საზოგადო ვალი თავდადებითის ერთგულებისა ჩვენდა მომართ და ყოველთვის გამწირველნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვლოდ.

ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც ემყარებოდა სიმტკიცე ჩვენის სარწმუნოებისა და შეუმუსვრელობა ჩვენი მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვივნენ და ჰმძვინვარებდნენ საუკუნოებით მომდინარეობასა შინა.

რადგან აღსასრულებელად უმაღლესის ნებისა ხელ-ვჰყოფთ ახლა ამ ჩვენს მკვიდრს მოწყობილებასა შესაშლელად,[1] – არ შეგვიძლია გულის-სიწრფელით არ ვისურვოთ, რომ ამიერითგან მათ

შორის, რომელნი თავისუფალ იქმნებიან ჩვენის უფლებისაგან და ჩვენ შორის, რომელნი ვართ აქამომდე მფლობელნი მათნი, დამკვიდრდეს ახალი განწყობილება ისეთი, რომ ეშესაბამებოდეს ჩვენს მადლობითს გრძნობასა და იმ სიკეთით დაუვიწყებლობას, რომელნი არსებობენ ჩვენ შორის და გვახსოვს ორთავე მხარესა.

ამის გამო ჩვენ გვსურს ისეთი მდგომარეობა მივანიჭოთ ჩვენს ყმებს, ჩვენს გამომზრდელებსა, – ისეთს ყოფა-ცხოვრებაზედ დავაყენოთ, რომ თვით შეიძლებდნენ კეთილად წარმართვას თავის ოჯახობისასა, თავისუფლად განაგებდნენ თავისს შრომასა და ჩვენც შევიძლებდეთ ჩვენთვის მოვლას ჩვენის საოჯახო საქმეებისას.

მაგრამ შეუძლებელი არის უმსხვერპლოდ აღსრულება ამ სურვილისა.

რა რომ მსხვერპლს ვახსენებთ, უსათუოდ თვალი უნდა გადავავლოთ, რაში მდგომარეობს ახლანდელი შეძლება ჩვენი?

შეძლება ჩვენი მდგომარეობს ორგვარს ჩვენს სამართალში: ერთი სამართალი მიგვიძღვის ***კაცებზედ*** და მეორე ***მიწაზედ***.

ჰსჯულდებულებითი სამართალი ჩვენი კაცებზედ დიდად ჰვრცლად არის გამოხატული ჩვენს ძველებურს კანონებში: ბატონმა ივანემაც წარმოსთქვა[2] თავით თვისით და ყოველითურთ, „რაი აქვს მას, ეკუთვნის ბატონსა მისსაო“, ასე გვიწერს კანონი.

ამ კანონის ძალით ძველთაგანვე არის დაწესებული მრავალგვარი პირადი სამსახური და გარდასახადი ***ყმისა***, რომელიც ფრიად დამცირებულის დაფასებით შეადგენს ბატონის შემოსავალს წელიწადში 5 თუმნიდამ თვითქმის 45 თუმნადმდე თვითო გლეხის ოჯახისაგან ან თვითო კომლისაგან. ყოველივე ეს თვით მმართებლობისაგან არის უჩვენოდ გამოძიებული და უჩვენოდ აღხსნილი.

სამართალი მიწაზედ, კანონთამებრ და უფროსღა ჩვეულებათამებრ, ზემოხსენებულზედ უვჰრცელესი და უსაცილოდ დასაკუთრებული მფლობელებისადმი, სრულს უფლებას აძლევს მფლობელსა იხმარებდეს და განაგებდეს მიწას თავისის საკუთარის ნებისამებრ. ეს მეორე სამართალი გვაძლევდა და გვაძლევსცა სხვა შემოსავალს, სხვა სარგებლობასა, სარგებლობას ***მიწისას:*** ვინც უნდა იყვეს შემმუშავებელი მიწისა, მიწის პატრონს ეძლევა

მისგან დაწესებული წილი ნაყოფისა და მოჰხმარდება მუშა მისს საოჯახო საქმეებში. ზომა ამ წილისა და ზომა ამ მოხმარებისა სხვა და სხვა გვარ არიან და დაწესებულ არიან ყოველგან მიწის თვისებისა და სასოფლოს ჩვეულების მიხედვით.

აქედან თავით თვისით წარმოსდგება განსაზღვრება იმ მსხვერპლისა, რომელიც შესაწირავ უნდა იქმნეს ჩვენის ყმების სამჯობინარს მდგომარეობაზედ დაყენებისათვის. რა რომ მამაპაპურის ჩვეულებით დაულოცავთ ჩვენ მათ ახალს ყოფა-ცხოვრებასა, უნდა დავსთმოთ პირველი ჩვენი სამართალთაგანი, ესე იგი, უნდა ავღჰხსნათ ყმათაგან ჩვენთა ყოველი ***ყმური*** ჩვენდამი ვალდებულება; უნდა ვაპატივოთ ყოველი პირველის გვარის გარდასახადი, თავისუფალ ვჰყოთ ყოველის ყმობის ვალდებულებისაგან. – ამაზედაც ვერ შევჰსდგებით; სხვა მსხვერპლიცა დაგვჭირდება, რადგან უნდა სრულ-იქმნეს კეთილსაყოფელი მათთვის და დასამადლებელი სურვილი ჩვენი, რათა სამჯობინარ ვჰყოთ ცხოვრება მათი. ამ სურვილისამებრ ჩვენისა არა თუ ახლანდელს სახლკაროობას არ მოუშლით, იმ ჩვენს ადგილ-მამულებსაც მივანებებთ, რაც რამ ამ ჟამად ხელთ უჭირავთ, იხმარონ და ისარგებლონ როგორც თვით არჩევდნენ, – ერთითა მხოლოდ პირობითა მით, რომლითაც ყოველი თავისუფალი კაცი, გინა ხიზანი ჰხმარობს და ჰსარგებლობს სხვისს ადგილ-მამულსა, ესე იგი, ერთითა მით, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოდ დაწესებულითა პირობითა, რომ სადაც რა ზომა არსებობს ახლა ნაყოფის წილის ძლევისა პატრონისადმი და მუშის მიხმარებისა, იგივე ზომა დარჩეს ყოველგან შეუცვლელად წლის განმავლობამდე, ხოლო რა ვადა ესე გათავდება, მაშინ მოჰხდეს ცვლილება მიწის შემმუშავებელთა და მიწის პატრონის ურთიერთარს შორის – ნებაყოფლობითა და დათანხმებითა. ორთავე მხარეთათვის უმჯობესად ვრაცხთ, რომ მუშით მოხმარება დაფასდეს ახლავე, რათამცა ფული გარდიხადოს, ვინც მუშაში გამოსვლას არ არჩევს ამ პირობით არ დაეშლებათ სარგებლობაცა ჩვენის საძოვრებისა, წყლისა და ტყისა, სადაც ახლა ჰსარგებლობენ, მათის საშინაო საჭიროებათათვის და არა ვაჭრობისა ან აღებ-მიცემობისათვის.

ესრეთ ყმათა ჩვენთათვის შესაძენად ჩვენ უნდა დავსთმოთ: 1. წლის შემოსავალი კომლზედ 5 თუმნიდამ 45 თუმნადმდე და 2.

ყოველი მომატება გარდასახადისა მიწის სარგებლობისათვის, თვინიერ მათთან დათანხმებისა.•

რა რომ ამას ყოველსავე წარმოვჰსთქვამთ, ახლა იმას უნდა მიუბრუნდეთ, რომ მსხვერპლი ესე ჩვენი, – თუმცა ყმათა ჩვენთათვის უსათუოდ საჭირო არის და სამართალსაცა მღვთიურსა ეშესაბამება, – მაგრამ ჩვენთვის ისე ძნელი არის, რომ თუ უსაზიაროდ შეგვხვდა შეწირვა მისი, ჩვენ შევიქმნებით მაშინ ვერშემძლებელ ცხოვრებისა და საზრუნველ მმართებლობისათვის. მმართებლობამ რომ ამ მძიმეს საქმის დასაბოლოვებელად ჩვენს მდგომარეობაშიაც მონაწილეობა არ მიიღოს, ამას ვერ ვიფიქრებთ, რადგან – იმავე მღვთიურის სამართლის ვალისამებრ და სადღესასწაულოთა თვისთა აღთქმათამებრ, – უნდა ჯეროვანად პატივდებულ ჰყოს ჩვენი წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული და აწ შესაშლადი დაწყობილება და გაღვთიერებული მრავალთა საუკუნოებათა მიერ ჩვეულება ჩვენის ქვეყნისა, – და არ შეგვამუსვრინოს ჩვენის ხელით ყოფა-ცხოვრება ჩვენი უნუგეშოდ და უსაფუძვლოდ მომავალში წარმატებისათვის.

ამისგამო სასოებით უნდა მივმართოთ მმართებლობას ჩვენის თხოვნითა, რომ ერთდროებით მაინც აღგვიდგინოს და შემოგვიბრუნოს ნაწილი რომელიმე ამ ჩვენის უზომოს მსხვერპლისა.

ამ შემთხვევაშიაც ცხად-ვჰყოთ უკიდურესი ზომიერება ჩვენის სურვილისა და უმცირესი ზომა დავნიშნოთ იმ სასყიდლისა, რომელსაც ვითხოვთ მმართებლობისაგან და რომლითაც შევიძ-

---

• აქ სხოლიოდ ერთი აზრი უნდა მოვიხსენიო კიდევა: მიწის სარგებლობისათვის გარდასახადი და მუშა ან მუშის ფული რომ დღიურზედ დაწესდეს, მაშინ ეს ამისთვის იქნება სამჯობინარი, რომ: 1. რამდენი დღისაც ჩემი მიწა გლეხს ეჭირება, იმ ანგარიშით მეც ჩემი შემოსავალი სარწმუნოდ მეცოდინება; 2. რა რომ კაცს ეცოდინება, ამდენის დღისა რომ მიჭირავს, მაინც ხომ დღიურზედ გადამახდევინებენო და ბარემ შევიმუშავო, იტყვის და ამით სოფლის მომჭივნეობა განვჰრცელდება; 3. რა რომ შემოსავალი იქნება დღიურიდამ, რამდენიც უნდა იყოს ჩემის მიწის შემმუშავებელი და მომხმარებელი, ჩემთვის სულ ერთია; მაშასადამე აღარც ბევრი ლაპარაკი ამაზედ დაგვჭირდება, – თუ სოფლიდამ გასვლა მოინდომა ვინმემ, როგორ და რა პირობით უნდა გავიდეს; სოფელი იკისრებს მაშინ იმ მიწის ვალს და იმ გასულის კაცის დანარჩენს ჩემს მიწას როგორც უნდა ისე ასარგებლებს, თუ თვით მე არ დამჭირდა ის მიწა.

ლებდეთ განვარინოთ თავი ჩვენი უმძიმესს გაჭირვებასა და ვსთქვათ ასე:

ზემოთ რომ ორ გვარი ჩვენი სამართალი მოვიხსენეთ, პირველისა მათგანის მძღვანველობით ნება გვაქვს კომლზედ ერთი სული მოსამსახურე გამოვიყვანოთ. ვიდრემდის ეს უფლება ჩვენი არსებობს, რა საკვირველია თვითქმის არა ვისა გვჭირდება დაქირავება მსახურისა; მაშასადამე არ შეიძლება საქირავებელი ფასი დიდად მდაბალი არ იყოს; – მაგრამ მაინც შეუძლებელია მოჯამაგირის შოვნა უიეფეს 5 თუმნისა წელიწადში. ჩვენ ვითხოვთ ერთმთავრის სიუხვეთაგან კომლზედ იმდენს ფულსა, რომ იმისი სარგებელი ნახევარს მაინც უდრიდეს ერთის კაცის ჯამაგირისას.••

მაგრამ აქაც განუდრეკელად ვადგეთ ჩვენს უმთავრესს სურვილსა, რომ ჩვენს ყმებს სამჯობინარი ყოფა-ცხოვრება დაუმკვიდროთ და ამის გამო ვითხოვოთ, რომ ეს ერთდროებითი მათდა სასარგებლოდ წარსაგებელი მმართებლობისა მათ არ დაედვას ვალად, რადგან მაშინ შეუძლებელი ღა იქმნება დაფუძნება მათის კეთილდღეობისა; – არამედ მოგვეცეს, როგორცა ვსთქვით, ხელმწიფის სიუხვეთაგან ხარჯად არა შესაბრუნებელად.

ეს აზრი თუ მიღებულ იქმნა, განვჰრცელება მოუნდება, განმარტება, შიგა და შიგ განკანონება, – საქმეებიდგან საბუთების გამოკრება და სხვანი; – ეს არის მიზეზი, რომ უნდა მიენდოს საზოგადოებისაგან რამდენსამე პირსა ჯეროვანის ქაღალდისა და ახალის დებულების შედგენა ამ საფუძველზედ და რა რომ შეადგენენ, მაშინ კიდევ შევჰკრბეთ, ყურადღებით მოვისმინოთ, გულდასმით გავშინჯოთ და თუ ჭკუაში დაგვიჯდა, მაშინ მოვაწეროთ ხელი და საზოგადოობამვე წარვადგინოთ.

30 აპრილი 1862 წ.

•• ხუთი თუმანი რომ 16 გზის გამრავლებით თავნად ვაქციოთ, გამოვა 800 მანეთი და ჩვენ ვითხოვთ ამისა ნახევარსა, 400 მანეთს კომლზედ.

ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ

შესავალი

ერთს დიდიხნის სასახლეში ძველთაგანვე პატიოსანი გვარის ოჯახი ჰსცხოვრებდა თუმცა ღარიბად, მაგრამ სხვა და სხვა ბედისტრიალისაგან ძლივს დამშვიდებული; – უკეთესს დროებს რომ ელოდნენ, ესმათ მეყვსეულად ხუროთმოძღვართაგან, რომ ახლავე უნდა გამოხვიდეთ მაგ სასახლიდამ, თუ არა ზედ დაგენგრევათო. გამოვიდა კიდევ ცოტა რამ ხანი და – აქ იჭექა კედელმა, იქ იჭექა; – რღვევის მომასწავებელი ნიშანი გახშირდა და მაშინ კი ჰსთქვეს, – უნდა მართლად გავლაგდეთ, თორემ სწორეთ ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმეო; – თავი სად შეეფარებინათ არ იცოდნენ; მაგრამ იწყეს გამოლაგება იმედნეულებმა, რომ ღმერთი და ხელმწიფე არ გაჰსწირვენ მსასოებელთა.

პირველი ხმები

როგორც ისინი იყვნენ შეწუხებულნი, მანამდის მამაპაპეულის სახლიდამ გამოსვლას დაადგებოდნენ, იმ გვარად, – მაგრამ ბევრით უფრო უძლიერესად, – საქართველოს მებატონენი ვიყავით შეშფოთებულნი, ხმა რომ გვესმა – ბატონ-ყმობა ირღვევაო. – მომასწავებელი ნიშნები თუმცა აქაც წინასწარვე იხილვებოდნენ, – მაინც დამაჯერებლად არ მიგვაჩნდა პირველში ეს ხმა: „დასაბამიდგან არსებობს ჩვენი ბატონ-ყმობა და ასე ადვილად რა დაარღვევსო“, ვამბობდით: – მერე, რა რომ ლაპარაკი გახშირდა და შემაშფოთებელი მიზეზები გაგვიმართლდა; რა რომ მრავალი წინასწარი მაგალითებითაც, მმართებლობის მოხელეების ლაპარაკითაც

და რუსეთიდამ მომავალის ბეჯითის ამბებითაც გული დავაჯერეთ, რომ უსათუოდ ჩვენც მოგვატანა, ეს არის, ამ საქმემ; მაშინ, ჩვენის ღირსების შესაბამად თვალი გაუსწორეთ საზარელსა ამ საქმეს და ვიწყეთ მოლაპარაკება ერთი-ერთმანერთთან, როგორც შინაობაში და კერძოობითად, ისე უეზდებში საზოგადოობის თავის მოყრით. – ამ კრებათა და რჩევათაგან კვალი არა დარჩენილარა, მართალია, – რადგან ჩვენი ჰაზრების ქაღალდით გამოთქმას დიდათ ვერიდებოდით, და ამ საზოგადოს განსაცდელში ერთმანერთსაც ველარ ვენდობოდით; მაგრამ სამს და ოთხს წელიწადს რომ ამ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით; – ახალს მოულოდებელს და დიდად სამწუხარო საქმეს რომ ფიქრი შევაჩვიეთ და ამ საქმის შესაძლებელად კეთილწარმართვისათვის რომ ვიწყეთ თვითოეულად ზრუნვა, მაშინ ჩვენის წინამძღომელების რჩევითა და მმართებლობისაგან მოწოდებით, მებატონეებმა მრთელის გუბერნიიდამ ტფილისს მოვიყარეთ თავი და კანონიერი საზოგადო შეკრებილება შევადგინეთ 25 აპრილს 1862 წელსა.

ხელ-ყოფა საქმისა

შეკრებილებამ მოისმინა მაშინ სამოქალაქო გუბერნატორისაგან[1] შემდგომი წერილობითი წინადადება მთავრობისა:

„უფალმა კავკასიის ნამესტნიკმა მოწერილობით 29-სა მარტის 1861 წ. №200 მაცნობა მე, რომელ ხელმწიფე-იმპერატორმან ყოვლად უმოწყალესის მანიფესტით, 19-ს თებერვალს 1861 წ. გამოცემულითა და იმავე დღეს უმაღლესად დამტკიცებულის დებულებითა მიანიჭა იმპერიის შინა გუბერნიებში საბატონო ყმათა თავისუფლებითის სოფლად მცხოვრებლობის სამართალი იმ წესით და იმ საფუძველით, რომელნიცა ახალთა დებულებათა შინა ჩვენებულ არიან, – და ამასთან კეთილ ინება შენიშვნა, რომელ მკვიდრი ყმობა ჰრჩება ამა კავკასიისღა ოდენ მხარესა შინა.

საჭიროდ მპოვებელმან, რათა აქაცა ხელ-ეყოს განთავისუფლებასა მათსა, მისმან დიდებულებამან ინება მონდობა კავკასიის ნამესტნიკისადმი, რათამცა მას დაეწყო

წესი იგი, რომლითაც შესაძლებელ-ქმნილ იყო ხელ-ყოფა საქმისა ამის კავკასიის გადმოღმა მხარესაცა შინა.

უმაღლესისა ამის ნებისა აღსასრულებლად და საბატონო ყმების ყოფა-ცხოვრების კეთილ-დასაწყობად, ღენერალ-ფელდმარშალმა საჭიროდ ჰპოვა,[2] რათამცა სადაც საბატონო ყმები არიან, იმ უეზდებში გახსნილ იყო უეზდის კომიტეტები და ტფილისში საშუაგულო (ცენტრალნი) კომიტეტი,[3] პირველნი უეზდების სახელით წოდებულნი და უკანასკნელი კავკასიის აქეთის მხრის კომიტეტად დარქმეული, დასაწყობად საბატონო ყმების მდგომარეობისა; უეზდის კომიტეტებს უნდა აეხსნათ ყოველივე დამოკიდებულება ბატონთა და ყმათა შორის და განეხილათ საშუალებანი უკანასკნელთა მდგომარეობის დასაწყობად, ადგილის მიხედვითა; ხოლო ცენტრალნი კომიტეტი უნდა ყოფილიყო დამრიგებელად და ხელმძღვანელად უეზდის კომიტეტებისა და მერმედ დასაბოლოვებელად უნდა განეხილა, რასაც საუეზდო კომიტეტები წარუდგენდნენ.

რა ესრეთ საშუაგულო კომიტეტი განაწესა უფალის სტატს-სეკრეტარის კრუზენშტერნის პირველ-მეინახეობასა ქვეშე, ნამესტნიკმა ინება წარმოწერად ჩემდა, რათა:

1. დაუყოვნებლივ შევდგომვიყავით საუეზდო კომიტეტების გახსნასა.

2. კომიტეტები ესე შეგვედგინა პირველ მეინახეობასა ქვეშე უეზდების მარშალთასა, კეთილშობილთ წევრთაგან, რომელნი რიცხვით ხუთამდე მებატონეთ საზოგადოობისაგან უნდა ყოფილიყვნენ აღმორჩეულნი.

3. რა რომ კომიტეტები გაიხსნებოდა, განგვეცხადებინა მათთვის ვალდებულება მათი; ხოლო შედგენა დაწვრილებითის დარიგებისა, რა და გვარად უნდა ეწარმოებინათ კომიტეტებსა, მიენდობოდა ცენტრალნი კომიტეტს.

4. მიგვეწერა საპოლიციოთა და სასამართლოთა ადგილთათვის, რომ ყოვლითურთ ხელი წარემართათ კომიტეტებისათვის და დასასრულ

5. ყოველსა მას შემთხვევაში, როდესაც მმართებლობის განკარგულება რამე აღმოჩნდებოდა საჭიროდ, კომი-

ტეტებს უნდა მოემართათ ჩემდა, რათა ჩემ მიერ ყოველს ამ შემთხვევაზედ უწყებულ-ქმნილ იყო ცენტრალნი კომიტეტი.

აღსასრულებელათ ამისა მოვახდინე მე გარიგება დაუყოვნებელი და ვაცნობე მარშლებს უმაღლესი ნებაცა და წარმოწერილობაცა ნამესტნიკისა.

შემდგომად კომიტეტის პრედსედატელმა 1-სა მაისს 1861 წ. №1, წარმომიგზავნა პირი 18 აპრილს შედგენილის ჟურნალისა, რომელშიაც, დაწვლილებითს დარიგებას გარდა, რომლითაც უეზდის კომიტეტებს უნდა შეეკრიბათ ცნობანი ყმების მდგომარეობაზედ, სხვათა შორის დაწესებულ-არს ესრეთ: ცნობილ-ექმნეს საუეზდო კომიტეტებსა, რომ მათ მისჩემდებათ ცნობის შეკრება იმ დამოკიდებულებაზედ, რაიცა ბატონთა და ყმათა შორის არსებობს და არჩიონ შემდგომისათვის დაწყობა ყმების ყოფა-ცხოვრებისა იმ საშუალობით, იმ სახით და იმ დაწვლილებით, როგორათაც თვით მებატონეთ საზოგადოობა ყოვლის უეზდისა საუმჯობესოდ დაინახავს და ესრეთ შეკრებილნი ცნობანი და კომიტეტების მიერ შედგენილნი დაწესებანი წარდგენილ იქმნენ გუბერნიის ნაჩალნიკისადმი არ უშორეს ექვსის თთვისა, რათამცა მან გადასცეს ყოველივე განსახილავად და გასარჩევად საერთო კრებას სრულის გუბერნიის კეთილშობილთასა. –

ამ ჟურნალის პირები წარგზავნილ-ექმნა ჩემ მიერ უფალთ უეზდის მარშლებს 2-ს მაისს.

თვალს რომ ვადევნებდი შემდგომში ამ დიდის საქმის წარმოებასა და გუბერნიის შემოვლის დროს პირის-პირ რომ ვაძლევდი ჩემის მხრით რჩევას, რაოდენ გზისმე წერილობითაც ვჰკითხავდი უფალს მარშლებს,[4] როგორის წარმატებით ჰმოქმედებდნენ კომიტეტები და მიღებულთა ჩემ მიერ უწყებათამებრ 26-ს ივნისს 1861 წ. №689 მოვახსენე უფალს ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელს,[5] რომელ კეთილშობილთ საზოგადოებას, როგორც ჰსჩანდა, ამ საქმის დაბოლოვება ჰსურდა, კომიტეტების მაგიერად უეზდებში თავის მოყრითა და ამისთვის განიზრახვიდა მა-

სალაების შეგროვებას თვით საზოგადოობისადმი ცნობილის საშუალობითა; ამასთან ჰაზრიცა ჩემი წარვუდგინე მისს ბრწყინვალებას, რომელ შეცვლა საზოგადოობისაგან წინა დაგებულისა მისდა საქმის საწარმოებელად ფორმისა უმაღლესის ნების აღსასრულებელად საქმეს არა თუ სრულიად არ ავნებს, ყოველსავე უადვილებსცა საქმეში მონაწილეობასა და საკუთარის ჰაზრის წარმოთქმასა და იმედი არის, რომ საზოგადო შეკრებილებაში უფრო განირკვევა ყოველი საგანი და შეიძლება წარმოთქმულ იქმნესცა საზოგადო ჰაზრი ამ საქმის კეთილად დასაბოლოებელი.

მერმეთ პირველ დაწესებული ექვსის თვის ვადა რომ თავდებოდა, 15-ს ნოემბერს 1861 წ. №1068 შეველ წარდგინებით უფლის ნამესტნიკის-მაგიერის წინაშე, რომელშიაც აღვსწერე მაშინდელი მდგომარეობა საქმისა და მოვახსენე, რომელ რასაც კეთილშობილთ საზოგადოობა მასალას შეჰკრებს, მხოლოდ საზოგადო შეკრებილებაში შეიძლება განხილვა და გარჩევა საქმისა და ცენტრალნი კომიტეტს შეძლება მაშინ მიეცემა დებულების შედგენისა, რომ წარდგენა ამ საქმისა მოხერხებულ-იყო ნამესტნიკისადმი, რომლისაც მოლოდინი გვქონდა ამ აპრილის თთვეში; ამის გამო მე ვშუამდგომელობდი ნებართვისათვის, რომ კეთილშობილთ საზოგადოობა გუბერნიისა მოწოდებულ-იყო ამ წლის იანვრის 10-სათვის და ამ შეკრებილებას გარდასცემიყო განსახილავად ყოველი უეზდებში შეკრებილი ცნობა და იქ წარმოთქმული ჰაზრები; მაგრამ წინასწარვე საფიქრებელი რომ იყო, რომ სადაც ყოველი მებატონე თავთავისს ჰაზრს წარმოსთქვამს, იქ შეუძლებელია უთანხმოება არ მოხდეს, რომლის დათანხმებასა მოუნდება დრო მრავალი და იქმნება არც ის მოხერხდეს, რადგან საგულებელია, რომ კერძოობითნი ჰაზრნი კერძოობითსვე სარგებლობაზედ იქმნებიან დაფუძნებულნი და შესაძლებელია წინააღმდეგცა ექმნენ სარგებლობას საზოგადოსა, ამის გამო საჭიროდ ვჰპოვებდი გვერჩია შეკრებილებისათვის, რომ უეზდებით აღრჩეულ ყოფილიყვნენ სრულ-სანდობი დეპუტატები და იმათ განერჩიათ ჰაზრნი და სურვილნი საზოგადოობისა.

უფალმა ნამესტნიკის მოადგილემ მოწერილობითა 13-სა დეკემბერს 1861 წ. №755 ნება დამრთო საზოგადოობის მოწოდებისა ტფილისში 10-სა იანვრისათვის, უკეთუ საზოგადოობის მიერ შეკრებილ-არიან ცნობანი და შედგენილ-არის დებულება ბატონ-ყმობის საქმისათვის, როგორც ცენტრალნი კომიტეტს ურჩევია 18 აპრილის ჟურნალითა. – ამასთან მისმა ბრწყინვალებამ მაუწყა ესეცა, რომელ დაბრკოლებას არ ჰპოვებს ჩემის ჰაზრის აღსრულებისას, რომ საზოგადოობამ აღმოირჩიოს სრულ სანდონი პირნი საზოგადოობის ჰაზრთა და სურვილთა შესამუშავებლად და გასარკვევად.

ყოველივე ესე ვაცნობე უფალს გუბერნიის მარშალს[6] წლევანდელს 22-სა იანვარს №680-ს.

უწყებათაგან, სხვა და სხვას დროს მიღებულთა ჩემ მიერ უფალთ უეზდის მარშლებისაგან, ჰსჩნდა, რომელ კეთილშობილთ საზოგადოობა ამზადებდა ცოტ-ცოტად უეზდებში მასალებს; ხოლო უფალმა გორის უეზდის მარშალმა წარმოადგინა კიდეცა, რაპორტითა თვისითა 8-სა დეკემბერს 1861 წ. №1107 ჰაზრი საუმჯობესო მდგომარეობაზედ დაყენებისათვის ყმებისა, მრავალთა მებატონეთაგან ხელმოწერილი.

აწ უფალმა ნამესტნიკის მოადგილემ 16 მარტს №212 უწყებულ-მქმნა, რომელ, როგორც მისს ბრწყინვალებას ჰსმენიეს, ტფილისის გუბერნიის მებატონეთ ზრახვა ამ საქმისათვის უკვე შემზადებულ არს და ჰსურთ მათ დათანხმება ყოველის ჰაზრისა და მოცილება უთანხმოებისა საზოგადოს მრთელი გუბერნიის მებატონეთ შეკრებილებაში. რადგან ეს სურვილი საზოგადოობისა ეთანხმება ცენტრალნი კომიტეტის განზრახვასაცა, რომელ უეზდებში წარმოთქმული ჰაზრები საგუბერნიო კრებაში განხილულიყო, – მისმა ბრწყინვალებამ მომანდო განკარგულების მოხდენა, რათა კეთილშობილთ საზოგადოობა მოწვეულ იყო ტფილისში ამ აპრილის 2-ისათვის.

ეს გარდაწყვეტილება უფლის ნამესტნიკის მაგიერისა, საზოგადო სურვილის დამაკმაყოფილებელი, დაუყოვ-

ნებლივ ვაუწყე უფალთ გუბერნიისა და უეზდების მარშლებს, და აწ, რა რომ საზოგადოობის წინაშე ესრეთ წარმოვსთქვი მომდინარეობა საქმისა ამის დღითგან მისის დასაწყისისა, – გთხოვთ საზოგადო კრება დღეიდგან გახსნილად დაითვალოთ და შეუდგეთ წინამდებარესა შრომასა, რომლისადმი კეთილშობილნი მოწოდებულ ხართ უმაღლესის ხელმწიფე-იმპერატორის თქვენდა რწმუნებითა.

გორის კეთილშობლთ ჰაზრი, მარშლის მიერ ჩემდა წარმოდგენილი, ამასთანავე გარდმოეცემა საზოგადო შეკრებილებას განსახილავად“.

მოქმედება 1862-ის წ. გუბერნიის შეკრებილებისა

ამ გვარად ხელ-შეხსნილი საზოგადოობა ჩვენი შეუდგა წინ ჩამოგდებულსა ამას საქვეყნო საქმესა და ზემოხსენებულს გორის უეზდის ჰაზრის გარდა მოისმინა რაოდენთამე წევრთა თვისთაგან შემოტანილი სხვაცა ჰაზრები. ამ ჰაზრების შინჯვასა, ბაასსა და საქმის რკვევას მოუნდა დრო 30-სა აპრილამდის. ბოლოს, ამ უკანასკნელს რიცხვს, წარმოთქმულ-იქმნა საზოგადო სურვილის შემათანხმებელი ჰაზრი და შეკრებილებამ დააწესა მაშინვე უმთავრესნი საფუძველნი, რომელთა ზედაცა უნდა აღშენდეს ჯეროვანი წარდგინებაცა მმართველობისადმი და შემდგომისათვის დასაწესებელი დებულებაცა, აწინდელის ბატონ-ყმობის მაგიერი და უმჯობესს ყოფაცხოვრებაზედ დამაყენებელი ჩვენის მკვიდრის ყმებისა. –

საქმის შემმზადებელისა და მომხსენებლის დანიშვნა

რა რომ ეს ასე დაბოლოვდა, მაშინ, დეპუტატების მაგიერად საქმისა ამის შემზადება და საზოგადოობისადმივე მოხსენება შეკრებილებამ მე დამსაქმა.

თვისება ამ მონდობილებისა ეს იყო, რომ საჭირო ქაღალდები შემედგინა და დამეწერა; გამეშინჯებინა უეზდებში კეთილშობილთ შეკრებილებათათვის და თუ იქ არ დათანხმდებოდნენ გუბერნიისავე შეკრებილებისათვის, რომ ყოველთავე განგვეხილა შედგენი-

ლი და ერთობით ხელი მოგვეწერა, რასაც ამ გვარი განხილვით შეკრებილებაებში ვამჯობინებთ. ამისთვის ნება მომეცა მაშინვე, რომ, ვისგანაც და საიდგანაც ვარჩევდი, ყოველი საჭირო ცნობა და საქმის შესაზავებელი მასალა მომეკითხა იმ პირთაგან, რომელთაც ყოველს უეზდებში მებატონენი აღრჩევით მე დამისახელებდნენ. მაგრამ ეს აღრჩევა, ტფილისის უეზდს გარდა, სხვაგან არსად მომხდარა და აღარც ტფილისის უეზდს შეუტყობინებია ჩემთვის, ვინ უნდა ყოფილ-იყვნენ ჩემი ხელის გამმართველნი. – სულ ამას ვერიდებოდით, რომ ამ წინასწარს საშინაო შემზადებას საქმისას მნიშვნელობა არა დასჩემებიყორა ისეთი, რომ კომიტეტობა დაჰრქმევიყო, ან სხვა ამ გვარად როგორმე საწუხრად გამხდარიყო საზოგადოობისათვის. ამავე მიზეზით ვეღარც მმართებლობას ვაცნობეთ, – მანამდის შემდგომში თვითან არ მოიკითხა, რა შეუდგა ჩვენს აპრილის შეკრებილებასა.

კერძო ჰაზრების გამოთხოვნა

რადგან თანამშრომელნი აღარსად დამისახელეთ, იძულებული ვიყავ, რომ ყოველს მებატონეს სიტყვიერად, თუ წერილობით, გამოვლაპარაკებიყავ და რჩევა მეკითხა; მაგრამ ეს რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი იყო, მეტადრე მაშინ, როდესაც შეკრებილება დაიშალა და ყოველნივე შინ წაბძანდით, – სხვა ღონე არა მქონდარა, – მარშლებისათვის უნდა მიმემართა და იმ თავად-აზნაურთათვის, რომელთაც პირის პირი ცნობა მაქვს ჩემდა სასიქადულოდ. ამ განზრახვით შევადგინე ყოველს, ჩემის ფიქრით განსამარტებელს და კარგათ მოსაფიქრებელს, საგანზედ, 14 კითხვა და წარვუდგინე შინაურის წერილებით 16 მაისს: უფალთ უეზდის მარშლებს და: ტფილისის უეზდში ***ცხრათა*** მებატონეთა; გორის უეზდში – ***სამთა;*** სიღნაღის უეზდში – ***შვიდთა*** და თელავის უეზდში – ***თოთხმეტთა;*** იმავე რიცხვს ეს მოქმედება ცალკე მოვახსენე შინაურის წერილითვე უფალს გუბერნიის მარშალს და ხელის გამართვა ვჰსთხოვე საქმისათვის საჭირო მასალაებით, რომელიც იქვე დავასახელე. პასუხები ვითხოვე ივნისის 20-სათვის.

თავის მორიდება ჩემი ამ საქმისაგან

მაისის 23 რისხვა მომადგა მაშინდელის მთავრობისა ერთის სხვა საქმისათვის, რომელიც, ვჰგონებ, ყოველთავე მოგეხსენებოდეთ და რომლისაც დასახელება აქ საჭირო არ არის.[7] თვისება ამ რისხვისა იყო ისეთი, რომ უსათუოდ უნდა შემშინებიყო; საკუთრად ჩემთვის არა; მე სატრაბახოთა მაქვს, რომ მოძმე ვარ თქვენი, შვილი ვარ საქართველოსი, და შიში საქართველოს შვილისათვის გრძნობად მიმაჩნია შეუთვისებელად; უნდა შემშინებიყო საკუთრად და მხოლოდ ამ თქვენგან მონდობილის საქმისათვის, რომ ჩემის გარევით ამ საქმეს არა ჰვნებიყორა და ვისაც 16 მაისს რჩევა და დარიგება ვჰსთხოვე, 24 მაისს მოვახსენე, რომ პასუხისათვის აღარ შეწუხებულიყვნენ.

განმეორება მონდობილებისა

მაგრამ 24-ს ივლისს უფალი სიღნახის მარშლისაგან მომივიდა ქაღალდი, იქაურთა მებატონეთაგან ხელ მოწერილი, რომელშიც თქმულ-არს შემდგომი:

„1. საქმე ესე მინდობილ ექმნა უფალს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ყიფიანს თითქმის მრთელის გუბერნიის მებატონეთაგან, რომელნიცა მაშინ შეკრებილ-ვიყავით და ახლა თვითოეული ჩვენგანი თვისთვისად ვიმყოფებით.

2. მეორედ შეკრებაცა ჩვენი მეტად რომ სამძიმო არ იყოს უფლის ყიფიანის სანაცლოდ სხვა პირის დასანიშნავად, მაინც სხვას ვერვის დავნიშნავთ, რადგან წრფელის გულით უნდა ვჰსთქვათ, რომ ვიცნობთ მას ღირსად ჩვენის მინდობილებისა და შემძლებელად ჩვენის სურვილის წარმოთქმისა.

3. თუ ეს საზოგადო საქმე თავს არ იდვა მან, მაშინ დიდათ დაგვიანდება და დაბრკოლდება, ამისთვის რომ სხვას ვერავის აღმოვირჩევთ ჩვენ ისეთს საფუძველზედ, რომ ყოველივე იმედი ვიქონიოთ, ჩვენს ჰაზრსა და სურვილს მასთან თავისუფლად გამოვჰსთქვამდეთ და დავათანხმებინებდეთ. დარწმუნებულნი ვართ ყოვლნი, რომ უმაღლესი მთავრობა ყოვლითურთ ხელს მოგვიმართავს ამ საქვეყნოს საქმეში და ყოველსავე შემწეობასაც მოგვცემს;

მაშა სადამე უკეთუ უფალს ყიფიანს სამსახურისაგამო ცვლილება მიეცეს რამე, ჩვენსა მისდამი მინდობილებას ეს არ დააბრკოლებს, რადგან ჩვენ ვანდობთ მას არა მისის საკუთარის ჰაზრის წარდგენას სადმე, არამედ ჩვენისავე სურვილისა და ჰაზრების შემუშავებასა, გარჩევასა და დაწერასა ასე, რომ ჩვენსავე შეკრებილებას წარმოუდგინოს განსახილველად და გასარჩევად. ამის გამო ვალად დავსდვათ უფალს ყიფიანს, რათამცა აღასრულოს ჩვენ მიერ მისდამი მინდობილება“.

18 სეკტემბერს სწორეთ ამ გვარივე ქაღალდი მომივიდა უფლის თელავის მარშლისაგან იქაურთ თავად-აზნაურთა მიერ ხელ მოწერილი.

აღვიარებ, რომ თვით ჩემგან განმეორებით წარმოთქმა თქვენ წინაშე ამ ქაღალდებისა არც პირ დაცულობას შეეფერება და არც ზდილობასა; მაგრამ აქ ბძანდებიან რამდენნიმე გვამნი, რომელთაც უბძანებიათ, ვითარმედ ეს მონდობილება მქონიყოს საზოგადოობის ***მცირე რომელიმე*** ნაწილისაგან, ისიც ***თანხმად ჩემის სურვილისა;*** ანუ რომელთაც ჰსურდათ, რომ მე თავიდამ მომეცილებინა ეს საქმე. სწორეთ იმათი დამშვიდება მმართებს ახლა შემდგომის კითხვითა: „შეიძლებოდაღა ჩემგან, რა რომ ის ქაღალდები მივიღე, – განმეორებით მოვრიდებვიყავ თქვენგან დასაქმებასა, რომელსაც, უეჭველია ყოველნი დარწმუნებულნი ბძანდებით ამაზედ, ვერავინ ისურვებდა, თუ არ სუსტი გონების პატრონი“.

განმეორებითი გამოთხოვნა ჰაზრებისა

ასე, როგორც მოგახსენეთ, განმეორებით უარის მოხსენება ყოვლად შეუძლებელიღა იყო ჩემგან, – და ამის გამო 25-ს სეკტემბერს მოვახსენე უფალს ტფილისის უეზდის მარშალს, რომელიცა თანამდებობას აღასრულებდა მაშინ გუბერნიის მარშლისას, რომ ზემო-თქმულთა ქაღალდთა გამო ხელ-ვჰყავ ისევე ამ საქმეს და მისი განკარგულება ვთხოვე, რომ ეცნობებინათ ესე დანაშთენს ორს უეზდში იმ პირთათვის, რომელთაგანაც პასუხებს ველოდი 16-ს მაისიდამ. – 7 ოკტომბერს ამ გვარითავე თხოვნითა და კითხვით მივმართე განმეორებით უფალს გორის მარშალს და, პირველთ სამთ გარდა, – კიდევ ***ოცდა შვიდთა*** ქართლის მებატონეთა,

გვარში თვითოსა. 19 ოკტომბერს უფალმა გუბერნიის მარშალმა მიბოძა მიწერ-მოწერის პირები ამ საგანზედ ჩემთვის საჭირო მასალის გამოსაკრებად. 26 ოკტომბერს მომივიდა ჩემი კითხვის პასუხები 48-ის მებატონესი თელავის უეზდიდამ; 15 ნოემბერს მომივიდა ნამდვილი საქმე გუბერნიის მარშლისა, ამ საგანზედ გამართული; და შემდგომში წარსულის მარტის 25-მდე მომდიოდა თვითო თვითოდ სხვათა პირთაგან მოთხოვილი ჩემ მიერ ჰაზრები.

ჰაზრების რიცხვი

რიცხვი ამ საქმეზედ ორას ორმოცთა პირთა მიერ წარმოთქმულის სხვა და სხვა ჰაზრებისა არის 21.[8]

ამ ჰაზრების გარჩევას, ერთი ერთმანერთთან შეტოლებას და შეთანხმებას, თავით თვისით იგულხმების, რომ დროც ბევრი მოუნდებოდა და შრომაცა. ახლა ყოველივე გამოკრებილი არის, თავმოყრილი, შეკონებული და ცალკე რვეულით მომირთმევია თქვენდა განსახილავად. ამ ჰაზრებს გარდა, საქმეთაგან გამოკრებილი მასალა და საბუთებიც თავ-თავისს ადგილს მოგხსენდებათ.

თვით საქმეზედ შეხედვა

ახლა გულის მოდგინებით ვითხოვ თქვენგან, თვით საქმე განმრჩობლებულის ყურადღებით მოიხსენოთ, რომ სავნებელი შეცთომა არ შემოგვეპაროსრა. –

მნიშვნელობა 30 აპრილის 1862 წ. განწესებისა

შარშან, 1 მაისს რომ ჩვენი ტფილისის შეკრებილება დაიშალა, რომელნიმე ჩვენგანნი იტყოდნენ: ***რა იყო; რა ვჰქენით; რა გამოვიდა აქედამაო?***

საქმის მომხსენებელი ვარ თქვენი, მართალია; – მაგრამ პირმოთნეობად ნუ ჩამომერთმევა სიტყვა, რომელსაც არა თუ თქვენს წინაშე ვიტყვი ახლა, – სახალხოდ, საქვეყნოდ ვიტყვი, შემთხვევა რომ მქონდეს: ***რა იყო*** და – რჩევა იყო მაშინ ისეთს საქმეზედ, რომლის უმძიმესი არა თუ ჩვენს ხსოვნაში არა მომხდარარა ამ მხარე-

ზედ, მამაპაპათაგან მონათხრობშიც არა გვსმენიარა; ***რა ვჰქენითო*** და როგორც საქართველოს პირ-მშო შვილებს, გმირულთა საისტორიო სათნოებათ მქონებლებს და მხედრულის განწმედილის გრძნობის პატრონებს ეშესაბამება, ისე ღმერთის ქვეშე უშიშრად, ისე აუჩქარებლად და ისე მედგრად გაუსწორეთ თვალი საქმესა, რომელიც, უბედურებას გარდა, სხვას თითქო არა რას გვექადოდა საშვილითი შვილოდ; – ***რა გამოვიდაო*** და – ეს გამოვიდა, რომ ვერც ერთი იმ შეკრებილებაში მყოფთა საქართველოს მებატონეთაგანი ვერ წარიტაცა ვერცა გულის წყრომამ გინა დროებითმა სიძულილმა; ვერცა პირად-პირადმა თავის მოყვარებამ გინა საკუთარმა სარგებლობამ; ვერც შიშმა მომავალის განუცდელობისამა და, ამასაც ვიტყვი, ვერცა ჩვენმა უსწავლელობამ და გაუნათლებლობამ, – და რა რომ საქმე გავშინჯეთ, ყოველ თავე ერთად, როგორც ორთა ან სამთა ერთმანერთის მოყვარულთა და მოხათრეთა ძმათა, ისე ერთხმად ვჰსთქვით: ***მიგვინიჭებია თავის უფლება ყრმათა ჩვენთათვისო.*** აბა! გვამხილოს ვინმე მეცნიერმა და განათლებულმა, რომელს განათლებულს ქვეყანაში გარდუწყვეტიათ ეს საქმე უმეტესის ღირსებითა და უმეტესის სათნოებითა. – მერე რა საქმე? დაახლოვებით შევჰხედოთ ერთი ამ საქმეს!

ჩვენი ბატონ-ყმობა

ჩვენს ქართულს ბატონ-ყმობას ორი მხარე აქვს, საიდამაც უნდა გაიშინჯებოდეს: მხარე ***კანონიერებითი*** და მხარე ***ჩვეულებითი.***

კანონიერების მხრით

ჩვენის ყმებზედ უფლების ასახსნელად, ***კანონთამებრ,*** – უნდა მოვიხსენოთ შემდგომნი გარემოებანი:

1801 წლის მანიფესტები.[9]

როდესაც საქართველო, ***მეფის გიორგისა და ხალხის სურვილისამებრ*** შეერთებულ ექმნა რუსეთის იმპერიასა, მაშინ იმპერატორმა პავლე I-მა მანიფესტითა თვისითა 18-ს იანვარს 1801 წელსა (Собр. зак. №19721) წარმოსთქვა შემდგომი, სხვათა შორის

იმპერატორებითი აღთქმა თვისი: „სიმრთელით დაცულ-ექმნებათ ახალთა საყვარელთ ერთგულთა ქვეშევრდომთა ჩვენთა საქართველოს სამეფოისათა ყოველნი უფლებანი, უპირატესობანი და საკუთრებანი, კანონიერად თვითოეულისადმი კუთვნილნიო“.

იმპერატორის ალექსანდრეს I-ის მანიფესტში 12 სეკტემბერს იმავე 1801 წელსა (Собр. зак. №20007) ჰსწერია ესრეთ: „თვითოეული ეგების თვისის ხარისხის უპირატესობასა, სარწმუნოებასა და საკუთრებასა ზედა შეუხებელად“.

ამ მანიფესტთან თანა-დართულს საქართველოს მართვის უმაღლესს დაწესებაში ჰსწერია ესრეთ:

„სამოქალაქო საქმეები უნდა ჰსწარმოებდნენ აწინდელთა საქართველოს ჩვეულებათამებრ... და მეფე ვახტანგის სამართლის წიგნისამებრ, რომელ არს ძირეული კანონი საქართველოსი“. –

მაშა სადამე მეფე ვახტანგის კანონებში უნდა ამოვიკითხოთ ჰსჯულდებულებითი განმარტება ყმებზედ უფლებისა ჩვენისა. – ამ ჟამად ეს კანონები თუმცა გაუქმებულ არიან, მაგრამ რადგან გაუქმება ესე შეეხება უმთავრესად სამართალსა მემკვიდრეობითსა და რადგან თვით ეს ცვლილება, ჰსჯულდებულებისათვის დაწესებულის წესით მომხდარი, ბატონ-ყმობასაც შეეხება ჩვენსასა თუ არა, არ არის ხსენებული, ამის გამო სახელმძღვანელოდ ბატონ-ყმობითს დამოკიდებულებასა შინა გვაქვს აქამომდე შეუშლელად იგივე მეფის ვახტანგის კანონები. ამ კანონებში თქმულ არს:

მეფე ვახტანგის კანონები

„**ჟე – 95.** თუ კაცმა თავისი ყმა ან მოკლას, ან გაახეიბროს, ბატონისაგანაც და კათოლიკოზისაგანაც საწყენი არის; რომელიც მაგ გვარი სასიკვდილო, ან გასახეიბრებელი საქმე ჰქონდეს, ხელმწიფეს მოახსენოს და მისის დასტურით უყოს; – და თუ მოუხდეს და ქმნას, ყმა ველარას შეუვა; და თუ უბრალოდ მოკლა, თუ გინდა ფათერაკად მოსვლოდეს, საფათერაკო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს; თუ მართალს დანაშაულზედ მოუკლავს და იმ კაცმა კიდევ მისი ყმობა ინდომა, მამულს ვერ მოუშლის. და სისხლიც უნდა მისცეს, და თუ იმისი ყმობა აღარ ინდომა, სისხლი არ უნდა გამოართვას, თავის ცოლ-შვილით ვისთანაც უნდა

მივა. უწინდელი პატრონი ველარას მიედავების, ამიტომ რომე თავის სისხლით დაუხსნია თავისი თავი. თუ უბრალოდ გახეიბ-რდა კაცი, თავის ცოლ-შვილით ვისთანაც უნდა მივა, პატრონს ხელი არ ექმნების, ამიტომ რომ თავი სისხლით დაუხსნია, ძმასა და სახლი კაცს თუ არ სიკვდილისათვის, გახეიბრებისათვის ვე-რავინ გამოართმევს. –

„**რიგ – 163**. ხელმწიფის სახასო აზნაური შვილისა და სა-ხასო გლეხისაგან ხელმწიფის უდასტუროთ თავად ნურც თა-ვადის ყმა ნურას გაყიდის, აგრეთვე სხვას თავადისა და ვის გინდა კაცის ყმა თავისის ბატონის უბეჭდოთ ნურავინ რას გა-ყიდის; თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, ***მამულს თვი-თონ დაიჭერს და ფასს*** მიმსყიდველს სთხოვენ. იქმნების ამ-ყრელმან და ან აყრილმან კაცმამ სხვას თემიდამ მამული გაყი-დოს, არ გაიყიდების, ვისაც ეყიდოს, ფასი მომსყიდველს სთხოვოს.

„**რეტ – 198**. თუ სხვას ქვეყნიდამ სხვას საბატონოს მკვიდრი კაცი საყმოდ მიუვიდეს ვისმე, ვისაც უწინ მიუვა და ეტყვის შენ გყმობივარო ან იქიდამ ბირებია, იმას ის კაცი აღარ წაერთმევის, რაგინდ სხვა ბატონი მოინდომოს მისულმა კაცმა.

„**რეთ – 199**. თუ ამავ საბატონოში ერთსა მეორის ყმა მიუ-ვიდეს და ხანი დაჰყოს და არ მოიკითხოს, ხელმწიფის დავთარში, ვისაც მისვლია იმის სახელზედ ჭირის მქნელად დაიწეროს, – ძა-ლად ველარ აუყრის, სანამდინ მეორედ არ აიწერების და სამარ-თალს არ იშოვნის, ვერ წაართმევს და თუ სამკვიდროზედ თავის ნებით წავა, ეს ვერას შეუვა, მაგრამ რაც იმის ყმობაში მოუგია, ***ნახევარი საქონელი უნდა მიეცეს;*** თუ კიდევ აწერაზედ აქ დარ-ჩა და ოცდა ათი წელიწადი აქავ დაყო თავის ნებით სამკვიდრო-ზედ ველარ წავა; თუ წავა, იმან ისრევ უნდა მოსცეს.

„**ს – 200**. თუ ერთი მეორის ყმა ერთმანერთს მიუვიდეს და თავი ნასყიდად დაუწეროს ან იმ მებატონემ იმ გლეხს კაცს ან ვალი გარდუწყვიტოს ან შიმშილობაში გამოკვებოს და დავ-თარში ჯერ არ დაწერილიყოს ამ სახელზე და ისე ის პირველი ბატონი წამოედავოს, რაც იმ ახალს ბატონს იმაზედ ხარჯი ექ-მნას, ამისი პასუხიც უნდა მისცეს და რაც იმ გლეხ კაცს ***იმ ახ-***

ლის ბატონის ხელში მოუგია, ჯერ იმისი ნახევარი უნდა მიეცეს ახალს ბატონსა და მერმე რაც თავისი დაეხარჯოს, იმისი პასუხი ცალკე უნდა მისცენ.

„**სა – 201**. თუ აქადამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვსი წელიწადი დაყო და ისრე ხელმწიფის ყმად მოვიდა, თუ უნდა მისცემს ხელმწიფე და თუ უნდა არ მისცემს, ხელმწიფის გუნებაზედ ჰკიდია; ეს ამიტომ დავსწერეთ, რომე ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექვსს წელიწადს, სხვაგან დაყოფს, მოვა, ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება. –

„**სბ – 202**. თუ საპატიოს კაცის შვილს ყმა წაუვიდეს და სხვა საბატონოში წავიდეს, თუ ოცდა ათი წელიწადი იქ დაყო და ისევ მოვიდა და სხვას კაცს ეყმო, ველარას შეუვა, თუ ნაკლები დაყო და ისე მოვიდა ვერავინ შეეცილება, ისევ თავისს ძველს ბატონს უნდა მიეცეს; მაგრამე თრიალეთზე ქართველის ბატონის სახასოში თორმეტის წლის წასული რომ მოუვიდეს, აღარ მისცემენ. –

„**სლა – 231**. ვის შვილი არ დარჩეს და მასუკან მოკვდეს დედაკაცი დარჩეს უშვილოდ თუ სახლში, რადგან ქმარი და შვილი იქ მოკდომია, ისე თავის პატივით იყოს. თუ გამოვა ანუ სამშობლოს მივა ანუ მონაზონად შედგება სახლიდამ საკაცო საქონელს ვერ წაიღებს და თუ რამ თავის ქმრის კერძი საქონელი და სულადი არის მისი მესამედი სამკვიდროდ გაყვეს იმ დედაკაცსა მამულს გარდა, თუ ქმრის სახლში გაუყარი კაცი არ ყავს საქონელს თავის ბატონის მეტი ვერავინ შეეცილება. და თუ შვილი ისევ ჰყავს მამულს ნურავინ წაართმევს, შვილისა არის, თუ იმ დედაკაცმა შვილს აღარ უყურა და სხვა ქმარი შეირთოს, თავის მზითვს მეტს ვერას გაიტანს.

„**სლბ – 232**. დედაკაცს ქვრივს მამულის გასყიდვა და შეწირვა არ შეუძლიან და საქონელი რაც ხელთ უჭირავს როგორც უნდა მოიხმარებს. თუ სახლის კაცი ანუ ბატონი გამოეკიდა, როგორც ზევით სწერია, ისე უნდა ქმნან. – და თუ მან დედაკაცმან თავისი მზითევი და თავის ხელით მონაღვაწები რამ შესწირა შვილები ვერ ედავებიან, ვერც ბატონი; თუ მამული შესწირა, ვერ დამტკიცდეს დედაკაცისაგან მამულის შე-

წირვა, ამად რომე თუ შვილი ჰყავს შვილისა არის, და ბეითალ-მანი ხელმწიფისა არის. და თუ თავისი მზითვისა აქვს ან მზით-ვით უყიდნია და ისრე შესწირა, მაშინაც ბატონის შეუკითხ-ვათ ვერ შესწირავს.

„**სლდ – 234**. აზატობისთვის ვინც ან თავის მხევალი ანუ მონა ნასყიდი და თავის უცილებელი ჰყვეს და გააზატოს ხელი არავის აქვს, სახალხო და საძმო რამ არის, უერთმანეთოდ აზატი არ არის. ვინც ინებოს განთავისუფლება თავის ყმისა და აზატი უყოს, უნდა დაეწეროს წიგნი რითაც მამულით თუ საქონლით გააზატა თავისი ყმა, ან აღაპი დაადვა ან სხვა თა-ვისი სულის სამსახური, და მაშინ შეიქნება წიგნითა და მოწმე-ბით ის კაცი აზატი. თუ არ იყოს სათავისთავო ან ცოლის მზითვით ნასყიდი საძმო და სასახლო იყოს, მარტო თვითონ არ შეუძლია აზატი, ის კაცი ყველას მოსამსახურე იქნება, არა მარტო იმისი, იმან რომ კიდეც მისცეს აზატი, თუ სხვა ძმები არ დაუმტკიცებენ, ამისთანა აზატი და სადაო ანდერძი დაუმ-ტკიცებელი შეიქნება და არც გაუთავდება.

„**სმზ – 248**. ვისაც ყმა ამოუვარდეს ნასყიდი თუ იყოს, იმის საქონელი ბატონს უფრო ეხელყვის, თუ ცოლი და ქალი დარჩება სამკვიდროთი და შესანახავით შეიჯეროს, თუ ან წყა-ლობის ყმაა, ანუ პატრონის მინაცემი იმის ცოლსა და ქალს ცოტა რაიმე გამოერთმის. თუ არც ცოლი და ქალი დარჩა პატ-რონმა დამარხვით და სულის საქმით კარგათ უპატრონოს, სხვა ალალი იყოს.

„**სნზ – 258**. ვისაც შერისხდეს ღმერთი თავისი ბატონი მოკლას და დასჭრას იმისი სისხლი არ გაჩნდების ამისთვის, რომე ყმისა ყველა ბატონისა არს. არას მისცემს, ასე უნდა ხელმწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცენ ბატონს ყმისა რომე ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაეკარგოს ამისათ-ვის რომ ეს სამართალი ვეღარას ყმას ავს ვერ გააბედვინებს, მის ბატონსაც წიგნი დაადებინოს, რომე უხელმწიფოდ ვერც მოკლას, ვერც გაახეიბროს, საქონელსა და მამულს ნუ ჰკით-ხავთ, ასეთი ბატონ ყმანიც იქნება, რომე ყმას იმ ბატონის სის-ხლის გამოღება შეეძლოს, მაგრამ სისხლის მიცემა არ უნდა დაერქვას, მოსამართლე გაუწყრეს, წაართვას რაც ენივთებო-

დეს, ამის სამართალს უკან ბატონმა თუ ყმა არ დაინდოს, მოსამართლემ მისი სისხლი გაათავისუფლოს.

„სჲ – 260. პატრონმა რომ თავის მკვიდრს ყმას ანუ ნასყიდსა თავი დაახსნევინოს და მართლის მოწმით წიგნი მისცეს და იმ კაცს წიგნი ხელთ ეჭიროს ის ყმა აზატი არის და აზატ ნაქნარისაგან კიდევ უფრო აზატი იქმნების და აღარა ხელი აქვს მას პირველს პატრონსა მასთან და თუ არც წიგნი ეჭიროს და არც მართალი მოწამე ყვანდეს და ისრე უწიგნოთა და უმოწმოთ ამბობდეს იმას კაი გასინჯვა უნდა. ან რას გზით ანბობს თავის დახსნას ან წიგნი რატომ არა აქვს ან მოწამე რისთვის არ ყავს, ესეები ასრე კარგათ გასინჯეთ და თუ წიგნი ხელთ უჭირავს თავის თავის დახსნისა და წავა ეს თავ დახსნილი კაცი და ერთს კაცს ეყმობა და მამულს გამოართმევს და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომ როგორც შენი მკვიდრი ყმა გყავს, მეც ისე გყმობივარო წიგნი გაუსინჯეთ. და როგორც წიგნი და პირობა აქვს იმ რიგათ აყმევით და თუ მკვიდრობის წიგნი და პირობა მიუცია ადვილად ველარ წავა, თუ ისრე უწიგნოდ, უპიროდ წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუცია და თავის სამკვიდრო ყმად ამ რიგად მისრული, როდესაც უნდა მამულს დაუგდებს და წავა ხელი არა აქვს. თუ ეს თავ დახსნილი კაცი თავისთვის არის და არვის ყმობია და მას უკან როდესაც მოინდომებს და ვისმე ეყმობა იმ კაცთან ხელი არავის აქვს, ვისიც ყმობა უნდა იმას ეყმობა, ესეც იქმნების, რომე წიგნი არ ქონდეს და მოწამეკი ყვანდეს, კაის მოწმის პირითაც დაიჯერების, რომ თავი დაეხსნას. იქმნების რომე პატრონიც ამბობდეს თავი დავახსნევინეო, მართალი არისო. თუ წიგნი ქონდეს იყმონ, თუ მართალი მოწამე ყვანდეს, იყმონ, თუ პატრონი ამბობდეს, ამით კიდევ უფრო იყმონ, თუ ესეები არც ერთი არ იყოს, კაცსა მასზე ცუდ უბრალოდ ნურავინ იყმობს. თუ ვინ იცის იყმოს ვინმემ სამართალი გაურიგეთ“.

ამ კანონთაგან, ჰვგონებ, ცხადათ იხილვებოდეს, რომ შეუვალია სიმკვიდრე უფლებისა ჩვენისა ყმათა ზედა და ეს თვით-ითქმის გარეშეუწერელი უფლება ის წყარო არის, წყარო მხოლოობი-

თი, რომლისაგანაც აღვრზდილვართ და გვიცხოვრია აქამომდე ჩვენცა და წინაპართაცა ჩვენთა ძველთა დროთაგან.

ჩვეულების მხრით

იმედი მაქვს დაწვლილებულს განმარტებას არ გამომაკიდებთ, საიდამ წარმომდგარა სხვა და სხვა ჩვეულება ბატონთა და ყმათა შორის; სად როგორ და როდის დაწესებულა და რა ყოფილა მიზეზი? – მრავალი განსხვავება არის ჩვენს ჩვეულებაში; სხვა და სხვა წყალმა, სხვა და სხვა ჰაერმა, სხვა და სხვა მიწის თვისებამ უსაცილოდ სხვა და სხვა ჩვეულება უნდა დაჰბადოს. ამას გარდა, მეცნიერება და უმეცრება, გამოცდილება და გამოუცდელობა, შეძლება და შეუძლებლობა, მოხერხება და მოუხერხებლობა, – ათას ნაირი სხვადასხვა თვისება კაცის ბუნებისა, უფრო აუარებელს ქვეყნის ბუნების თვისებასთან შესათანხმებელი, აუარებელსავე ცვლილებას დაჰბადებს ჩვეულებაში, რაგინდ საერთო იყოს საგანი ამ ჩვეულებისა. ჩვენს ქვეყანაშიაც ისე, როგორც ყოველგან სხვაგან, ზოგი ჩვეულება წარმოსდგება ადგილის ბუნებითა თვისებათაგან და ზოგი შემეცნებისაგან, ანუ სხვათათვის მიბაძვისაგან.

ფეოდალიზმი

ეს საბაასო არ არის, რომ ახლანდელს საუკუნეში არსებობდა ჩვენს საქართველოში და ახლაც არსებობს იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიას, სწორეთ იგივე ფეოდალური წესდებულება და დამოკიდებულება ხალხისა და უმეტეს ადრე დამოკიდებულება ბატონთა და ყმათა შორის, რომელიც შუა საუკუნოებში, ამ ექვსასიოდ წელიწადს წინეთ, დასავლეთის სახელმწიფოებში არსებობდა. ამ წესის თვისებათა შორის რამდენიმე თვალით სახილველად ჰსჩანს, რომ ჩვენშიაც შეურყევლად დამკვიდრებულა; – მაგალითად:

1. ისეთი უფლების სამართალი ყმებზედ, რომელიც ყოველს მოძრავს საკუთრებაზედ მიუძღვის პატრონს; – თუმცა არას ოდეს არ გვსმენია, რომ ჩვენშიაც ისეთი კაცობრიობის განუკითხაობა მომხდარ-იყოს როდისმე, როგორც იქ ყოფილა; მაგრამ ყმასაც იმ

გვარადვე შევიძენდით და გავსცემდით, როგორც ყოველს სხვას შეუცილებელს ჩვენს მოძრავ საკუთრებასა. ცხადის და მტკიცეს კანონებით მიგვიძღოდა ამაზედ სამართალი.[10]

2. როგორც მაშინ იმ ქვეყნებში, ისე აქამომდე ჩვენში, ეს ჰაზრი არსებობს უძრავს საკუთრებაზედ, რომ საბატონო არის მიწა ყოველივე და მას ეკუთვნის არა თუ მრთელის ნიადაგითურთ, ყოვლის თავისის ბუნებითის თვისებითურთ.[11]

3. ამ ორის უფლებისაგან სადაც რა გვარი სარგებლობა გამოიზიდებოდა კაცისაგან, იმ სარგებლობამ დაჰბადა კავშირი ბატონთა და ყმათა შორის; ეს კავშირი შეაფერა კაცთმოყვარეობითმა სარწმუნოებამ და განალმობიერა ერთმანერთის გამოსარჩლებამ. ჭირი და ლხინი, სარგებლობა და ზარალი, ყოველივე გაერთიანებული იყო ჩვენსა და ყმათა ჩვენთა შორის მანამდისინ, მშლელი და მარღვევი მიზეზები არ გაგვიჩნდებოდნენ.

1812-მდის საქართველოში გასაგონათაც არ გაგონილა, რომ თავისუფლება ეძიებინოს ვისმე ყმათაგანს ბატონისაგან. მერე და მერე, რა რომ ეს უცნაური საქმე გახშირდა და იქამდის გამრავლდა, რომ თვით უმაღლესი ჩვენი მთავრობა შეიყვანა ზრუნვაში, რომ მოსპობილ იყო როგორმე მიზეზი ამ საქმეებისა, – თავით თვისით წარმოსდგნენ სხვა უჩვეულო მაგალითებიცა, გულის წყრომა ერთის მხრით, განდრეკილება ვალდებულებისაგან მეორეს მხრით და უსიამოვნოება ურთიერთ-არს შორის მყუდროების წილ.

ამ მდგომარეობისაგან თავით თვისითვე დაიბადა ჰაზრი, რომ ბატონთა და ყმათა შორის რაც ჩვეულება არსებობს, ის ახსნილ იყო და იმაზედ დამდგარ-იყვნენ ხალხიცა და მმართებლობაცა. უწინ საფეოდალოს ქვეყნებში იტყოდნენ: „ერთხელ არაფერი და რამდენჯერმე – ჩვეულებაა“. ამ ანდაზის ძალით კაცი თუ კაცს ერთხელ ცხენს ჩამოართმევდა, არაფერი და თუ ორჯერ ან სამჯერ, ცხენის ჩამორთმევა ვალად დაედებოდა. – აქ ამ ანდაზამ შემობრუნებით იმოქმედა: ბატონმა თუ ყმას ერთხელ ერთი კოდი მოსთხოვა დღიურზედ და მეორეთაც ერთს კოდს დასჯერდა, – მესამედ, – კოდი მმართებსო, იტყოდა გლეხი. ამ გვარად დაწესდა ჩვეულება ჩვენ შორისაცა. ეს ითქმის საზოგადოდ; და, რა საკვირველია შიგა და შიგ მრავალი ისეთი მაგალითებიც არის, რომ ბატონს თვითონ დაუწესებია სამსახურის

რიგი ყმათა შორის, – და შეცვლაცა ამ ჩვეულებისა მისს ნებაზედ ყოფილა ყოველთვის დამოკიდებული.

ჩვეულება ესე ვითარი წარმოადგენს საქართველოში, ესე იგი აწინდელს ტფილისის გუბერნიაში, ორგვარს ვალდებულებასა: ბატონებისას ყმათა მიმართ და ყმებისა ბატონთა მიმართ.[12]

ვალდებულება ბატონისა ყმათა მიმართ

„ყმებს თუ რჩენა გაუჭირდათ, ბატონმა ხორაგი უნდა შეაწიოს, ან გადასახადი აპატიოს; მაგრამ თავის ბატონობის უფლებას მათზე მაინც არა ჰკარგავს, შეეწევა თუ არა“ (საქართველოს ჩვეულება მეფე ვახტანგის კანონებთან გამოცემული). „როდესაც ბატონი ახალს სოფელს აშენებს, გარდასახადს აპატივებს ექვს წლამდინ“ (იქვე).

ვალდებულება ყმებისა ბატონის მიმართ

რადგან უფლებასა ჩვენსა კანონიერებითსაცა და ჩვეულებითსაც, შეადგენს ორ გვარი, ბუნებითად სხვა და სხვა საკუთრება, ესე იგი საკუთრების სამართალი ***ყმებზედ*** და საკუთრების სამართალი ***ადგილ-მამულებზედ;*** ამის გამო ვალდებულებაცა ყმებისა განიყოფება ბუნებითადვე ორ ნაწილად: პირველს ნაწილში შევა ყოველივე იგი სამსახური და გარდასახადი, რითაც ბატონს ემსახურება ყმა თავით თვისით, ვითარცა ყმა მისი, პირადის დამოკიდებულების გამო; – მეორეს ნაწილში ყოველი იგი სამსახური და გარდასახადი, რითაც ბატონს ემსახურება ყმა ადგილ მამულისათვის.

ორი კატეგორია ყმების გარდასახადისა

პირველი კატეგორია არის ვალდებულება ყმისა ბატონისა მიმართ, მისს ადგილ-მამულზედ ჰსცხოვრებს, თუ სხვისაზედ, სულ ერთია.

მეორე კატეგორია არის ვალდებულება ყოველის კაცისა, რა უწყებისაც ანუ რა ღირსებისაც უნდა იყოს, იმ ადგილ-მამულის პატრონისა მიმართ, რომელსაცა ჰხმარობს. –

რაც ამ ორისავე გვარის ვალდებულება ჩვენში ახლა არსებობს, ყოველივე დაწვლილებით არის აღრიცხული: ჯერ თვით მმართებლობის მიერ 1841-ში, ***ჩვენდა უცნობლად და დაუკითხავად,***[13] მერე ახლა, რომელთამე ჩვენგანთაგან. – ორივე აღრიცხვა ცალკე მომირთმევია ამასთანავე; – მაგრამ ნებას ვითხოვ, რომ მე ამ ჩემს მოხსენებაში პირველს საბუთზედ დავეფუძნო. იქნება მმართებლობის აღრიცხვაში ზოგი დავიწყებული იყოს რამე; მაგრამ ნუღარ გამოვეკიდებით და მმართებლობის წინაშე მისგანვე აღმონაჩენი საბუთი მოვიმძღვანოთ.

პირადი გარდასახადი ყმისა

მმართებლობამ 1841-ში სხვათა შორის ესეც იხილა, რომ რასაც ყმა პირველის კატეგორიით ბატონს ემსახურება, ბატონისაგან მოეთხოვება ყოველივე შეძლებისდა გვარად: მაშა სადამე ჯამი თვითოს გლეხის წლიურის გადასახადისა ეგოდენვე განსხვავდება ერთი მეორისაგან, რაოდენ განსხვავებულია ერთი ერთმანერთისაგან შეძლება და მდგომარეობა გლეხისა; ასე რომ, უკიდურესად დაკნინებული ფასი რომ დავსდვათ ყოველს საგანს ყმის სამსახურისა და გარდასახადისას, შესდგება წელიწადში ბატონის შემოსავალი უღარიბესის ყმისაგან 96 რუბ. და უმდიდრესისაგან 239 რუბ. 80 კოპ. აქ ბეჯითი ანგარიშისათვის ერთი საშუალო ზომა უნდა მივიღოთ რამე; მაგალითად, როგორც პრიკაზში დასაგირავებლად 9 ხარისხად არიან ჩვენი ყმები გაყოფილნი, აქაც რომ ამდენადვე ხარისხად დავთვალოთ და 96 რუბლიდამ 239 რუბ. 80-კამდის ავიდეთ ერთი ერთმანერთზედ შეკეცით და მერე ცხრად გავჰყოთ, გამოვა წლიური სარგებლობა ბატონისა ყმისაგან, ესე იგი ყმისაგან, მამულის სარგებლობას გარდა, 148 რ. $38^1/_3$ კ. ამ ანგარიშში არის ფასიცა მოსამსახურესი.[14]

გარდასახადი ადგილ-მამულისათვის

მეორე კატეგორიის შემოსავალი, თუმცა მანამდის ყმობა არსებობს, კომლობითვე ითვლება; მაგრამ რადგან უფროსი ერთად ადგილ-მამულის თვისებაზედ და რაოდენობაზედ არის დამყარებული,[15] და რადგან ეს გარდასახადი ჰმართებს არა მარტო ყმასა,

არამედ ყოველს თავისუფალს კაცსაცა, ვინაც კი საბატონო მიწასა ჰხმარობს, – ამის გამო გარდასახადისა ამის ბეჯითი და სამართლიანი დაფასება არ შეიძლება, თუ არ ადგილ-მამულის რაოდენობისა და სხვა და სხვა ღირსების ანგარიშით. –

იმავე 1841-ში მმართებლობის მიერ მოხდენილის გამოკვლევითა ჰსჩანს, რომ მებატონეს სარგებლობა აქვს მიწისაგან შემდგომი:

1. ***ღალა,*** – წილი მიწის მოსავლისა, განუსაზღვრებელი, ზოგან მეათედი და ზოგად მესამედიცა; ზოგან გადაკვეთით იღებენ, მაგალითად, დღიურზედ კოდსა (2 პუდი[16] და ათი გირვანქა) როგორიც უნდა იყოს მოსავალი.

2. ***კულუხი,*** – წილი ვენახების მოსავლისა, ზოგან მეშვიდედი და ზოგან მეხუთედიცა.

3. ***ბეგარა,*** ესე იგი მუშაობა, წელიწადში ათი დღიდამ ორმოცდა ათ დღედმდე კომლზედ.

მრავალ გვარი ადგილობითი განსხვავება ამ სარგებლობის ზომისა ემყარება მეფე ვახტანგის კანონის სნ (250) მუხლზედ, რომელშიაც ჰსწერია:

„ღალის აღებისათვის მიწა ოთხი გვარი არის: ერთი ნაფუძარი, მეორე ნანეხვი, მესამე სარწყავი, მეოთხე ველური; ამათ ხვნაშივე შერიგება უნდა მისის პატრონის პირობით“. –

სხვა საცხოვრებელი არა გაგვაჩნიარა

ეს არის ყოველივე ჩვენი საცხოვრებელი: ამ ორგვარ სარგებლობის გარეშე სხვა არა მოგვეპოვებარა.

რატომ არა? – კაცობრივს მოქალაქეობაში და ყოფა ცხოვრებაში მრავალნაირი საშუალობა მოიძებნება, რომ კაცმა არა თუ საცხოვრებელი შეიძინოს, უზრუნველი ცხოვრებაც დაუმკვიდროს თავის ოჯახსა; მაგალითად:

ვაჭრობა

შეიძლება ვაჭრობას და აღებ-მიცემობას გაერთოს კაცი; მაგრამ ჩვენი შთამომავლობითი და საისტორიო მიზეზებით შეკეთებული ხასიათი შეუპოვრად ეწინააღმდეგება აქამომდე აღებ-მიცე-

მობასა და, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენში ჯერ არც ნიჭიერება ჰსჩანს ამ გვარის მოსაქმობისათვის.

ფაბრიკები და **ზავოდები**

შეიძლება ქარხნები და ქურახანები გაიმართოს, პატრონისათვის სასარგებლო და ქვეყნისათვის გამოსადეგი. – მაგრამ ფაბრიკებისა და ზავოდების გამართვას სჭირდება შეძლება, სწავლა და გამოცდილება. ამ სამში ჯერ არც ერთი არ გვაქვს.

ხელოვნება და ოსტატობა რამე

შეიძლება სასარგებლო ხელოვნებას შესწიროს რასმე თავისი ნიჭიერება კაცმა. – მაგრამ, ესეც უნდა აღვიაროთ, ჯერ ჩვენში არა თუ არავინ გამოჩენილა სახელ-განსათქმელი, თითქმის არცა რა ვის უცდია არც მხატვრობა, არც მესაკრავეობა, არც მომღერლობა, არც მექანდაკეობა, არც ერთი რომელიმე სხვა ხელოვნება აზნაურებითი[17] და ან სასარგებლოდ გამოსაყენებელი; როდესაც ამ გვართ ნიჭიერებათ დამბადებელი მყუდროებითი მოქალაქეობა ჩვენშიაც მკვიდრად გაიდგავს ძირსა და განეფინება, მიზეზი არ არის, რომ აქაც არ გაჩნდნენ ნიჭიერნი ხელოვანნი; მაგრამ როდის იქნება ეს დრო ვინ იცის! ყოველი ჩვენი ანგარიში დასაფუძნებელი არის მხოლოდ აწ-მყოზედ, დღევანდელზედ. –

მწიგნობრობა

შეიძლება მწერლობას გაერთოს კაცი და მრავალთა სხვა ქვეყნების მაგალითთამებრ, ამითი ისახელოს თავი და საცხოვრებელიცა შეიძინოს; – მაგრამ ამ გვარის მოსაქმობისაგანაც ჯერ დიაღ შორსა ვსდგევართ. –

სამსახური

შეიძლება ხელმწიფის სამსახურით იცხოვროს კაცმა. – მაგრამ ჯერ ეს უნდა ვსთქვათ, რომ სამსახური ვალი არის და ვალით საცხოვრებელის შეძენა წინააღმდეგია გონიერებისაცა და ზნეობი-

საცა. ამას გარდა – ანდაზით ითქმის: სამსახური ზოგისთვის დედაა და ზოგისათვის დედინაცვალიო. – გაბედვით ვიტყვი, რომ ქართველებს ჯერ არვისგან შეგვეწამება, რომ სამსახურს ვერიდებოდეთ; ამაზედ ყოვლის ეჭვის გამბნევი თვით საზოგადოება არის ჩვენი. საქართველოს თავად-აზნაურთა შორის ოც და ათამდის მაინც მარტო ღენერლები ბრძანდებით და როგორი ღენერლები? სასიქადულონი სასიქადულო კავკასიის არმიისათვის! მაგრამ აბა თუ თქვენგან ერთს მაინც დაეფუძნებინოს ამ სამოც და ორს წელიწადში სამსახურის სარგებლობაზედ დახათრიჯამება თავის ცოლშვილის ცხოვრებისა? ვინ იცის, სამსახურის ხარისხებით რომ ამდენნი ვართ აღმატებულნი და ორდენებით შემკობილნი, – იქნება ზოგს ამითი უფროც გვიჭირდეს ცხოვრება ღირსების შესაფერი. –

სასოფლო მომჭივნეობა[18]

შეიძლება სახლკარობას მოეკიდოს კაცი, – სასოფლო მომჭივნეობის განვითარებას დაადგეს და ამითი თავისი ყოფა-ცხოვრებაც უზრუნველ ჰყოს. მაგრამ მანამდისინ ვის რა უდავო საკუთრება შეგვრჩება – ამას არ შევიტყობთ; მანამდისინ ჩვენ და ჩვენი სახლის კაცები ჩვენს საერთო საკუთრებას არ განვინაწილებთ; – ეკკლესიასთან და ხაზინასთან დავისაგან ჩვენის განმაღარიბებელის ქაღალდებით ბრძოლისაგან არ მოვისვენებთ, – ერთმანერთის მამულზედ შეცილებისაგან არ დავსცხრებით; მამულში მყოფობისათვის არ მოვიცლით; – ცოტა ოდენს სასოფლო ეკონომიის განსავითარებელს ჰსწავლასა და გამოცდილებას არ შევიძენთ; – ვალდებულის მუშაობის მაგიერად ქირით მუშაობას არ შევეჩვევით; – მანამდისინ გზები არ გაგვეხსნება და, ამას გარდა, მანამდისინ ჩვენის ვალებისაგან ცოტათაც არის სულს არ მოვიბრუნებთ, – ვინ გაბედავს ჩვენგანი, რომ მარტო ხვნა და თესვაზედ დაამყაროს თავისი უჭირველის ცხოვრების იმედი! ერთის სიტყვით, – საითაც უნდა მივიხედოთ, არსად რა იმედია ჩვენთვის და სახლეულთა ჩვენთათვის იმ ორ გვარის შემოსავალს გარდა, რომელიც ძველთა საუკუნეთაგან აქამომდე ჩვენის ყმებისა და მამულისაგან შემოგვდიოდა. –

განწესება 1862 წ. 30 აპრილისა

ეს ჩვენი მდგომარეობა მაშინაც ვიცოდით ყოველთავე, შარშან, 30 აპრილსა, – მაშინაცა ვჰგრძნობდით, რომ განუვალი იყო ეს მდგომარეობა ჩვენი; მაგრამ საქმე მაინც გადავსწყვიტეთ; ესე იგი, გადავსწყვიტეთ, რომ რაც ჩვენ ახლა საცხოვრებელი გაგვაჩნია, რაც შემოსავალი გვაქვს, ამ შემოსავლისაგანაც უდიდესი ნაწილი ჩვენის ყმებისათვის უნდა გავსწიროთ, რომ, თანახმად ხელმწიფე იმპერატორის ნებისა და ჩვენის წრფელის სურვილისა, ჩვენი ყმები უკეთესს ყოფა ცხოვრებაზედ დავაყენოთ. –

ნება ხელმწიფისა

საღმერთო ნება ხელმწიფე იმპერატორისა უნდა მარადის აღსრულდებოდეს სიტყვის შეუბრუნებლად. ამ ვალის აღმსარებელნი ჩვენს საკუთარს სურვილსაც რომ ვახსენებთ აქა, რა მიზეზი გვაწვევს ამის ხსენებისა? –

ჩვენი სურვილი

ზნეობითი ურღვეველი კავშირი არსებობდა ჩვენ შორის განუკვლეველთა დროთაგან. – საისტორიო მოთხრობას რომ არ მივჰხედოთ, წერილობითი საბუთები არსებობს ჩვენ შორის, რომელთაგანაც ჰსჩანს, რომ ბატონ-ყმური დამოკიდებულება მეათეს საუკუნეშიაც ყოფილა ჩვენს ქვეყანაში. ამდენის ხნის განმავლობაში არ შეიძლებოდა დამოკიდებულება ამ ორთა, – ახლა მოსაცილებელთა, მხარეთა შორის ისე არ შედუღებულიყო, ისე არ განმტკიცებულიყო, – რომ მტკივნეულება არ ეგრძნობინებინა ერთი ერთმანერთის მოცილებასა. მრავალია მაგალითი, რომ ყმას ბატონის მაგიერად სიხარულით გაუწირავს თავი და ეგრეთვე მრავალია მაგალითი, რომ ბატონსაც შეეწიროს სიცოცხლე ყმების დასაცველად. – ბატონის ერთგულება ყმისაგან ჩვენში მარადის სამაგალითო ყოფილა; ბატონის სამსახური ყმისაგან მარადის უსაზღვრო ყოფილა; – ყმები ყოფილან მარადის გამომზრდელნი, მაცხოვრებელნი და მადიდებელნი ბატონებისა. – ბატონებს გვახსოვს იმათი ღვაწლი ყოვე-

ლივე, მამაპაპათაგან მონათხრობიცა და ჩვენ მიერ გამოცდილიცა და რა რომ მოგვევლინა დრო ერთმანერთის მოცილებისა, – გვსურს საქმით დავამტკიცოთ მეხსიერებაცა ჩვენი კეთილშობილური და ამ უკანასკნელს დროებაში ჩამოთესილი ჩვენ შორის უთანხმოებაცა განვაქარვოთ ქვეყნის სასარგებლოდ. ესოდენად წრფელია, ესოდენად მხურვალეა ეს ჩვენი სურვილი, – სამჯობინარი ყოფა-ცხოვრების მითვისება ყმათა ჩვენთათვის, – რომ ჩვენის მხრით გვაბედვინებს ისეთს მსხვერპლსა, რომლისასაც, უეჭველია, ვერავინ იტყვის, რომ მცირე იყოს, როგორცა ვნახავთ. –

მსხვერპლი ჩვენი

რა რომ მსხვერპლის ხსენება წამოგვცთა, ახლა კი ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რა და რა გვარი ჰაზრები არის ჩვენ შორის და ვინ როგორ ჰფიქრობს სამჯობინარს მდგომარეობაზედ დაყენებასა ყმებისას.

გარჩევა ამ ჰაზრებისა

ზემორე მოხსენებულთა 21-თა ჰაზრთა შორის არის ოთხი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება შარშან 30-ს აპრილს დაწესებულს საფუძვლებსა; და ამის გამო აღარც იმათს განხილვაში შევალ თქვენ წინაშე და აღარც დარღვევას გამოვეკიდები; დანარჩენნი ყოველნივე, 226-თა პირთა მიერ წარმოთქმულნი, – ეთანხმებიან იმ 30-ის აპრილის განწესებაში მდგომარეს პროგრამმასა ამ ჩემის შრომისას; მაგრამ დაწვლილებაში კი რაოდენსამე განსხვავებას წარმოადგენენ.

ყოველი ეს ჰაზრები 30-ს შარშანდელს აპრილს წინეთ და მერმეთ წარმოთქმულნი, ესე იგი: მაშინდელის საგუბერნიო შეკრებილებისადმიცა წარდგენილნი, და პირდაპირ ჩემდაცა წარმოგზავნილნი ჩემის კითხვის პასუხის საგებლად, – მეტ ნაკლების დაწვლილებით ცალკე შედგენილს რვეულში არიან მოხსენებულნი, რომელიც ამასთანავე მომირთმევია ქართულს ენაზედაცა და რუსულზედაც. აქ კი, თქვენთვის საქმის გასაადვილებლად, – ვახსენებ

მხოლოდ არსებასა იმ ჰაზრებისას, იმ ზომით, რა ზომითაც საჭირო იქნება საქმის გარკვევისა და დაწერისათვის. –

ყოველნივე 226 პირნი, ცალ-ცალკე, სხვა და სხვა დროს, მაგრამ ერთხმად ამბობენ სწორეთ ისე, როგორც 30-ს აპრილს ითქვა: – ყმებს თავისუფლებას მივსცემთო; რაც ახლა ადგილ მამულები უჭირავთ ყოველსავე ხელ შეუხებლად იმათვე მივუჩენთო და დასაკუთრებით მიცემა კი ჩვენგან მიწისა ***ყოვლად შეუძლებელი*** არისო. პირველს გაგონებაზედ მრავალს სამწუხაროდ ეჩვენება ეს მოწყვეტილი სიტყვა კაცთ მოყვარებითის გრძნობისათვის, ჩვენის შთამამავლობითის გულის სიკეთისათვის და ქვეყნის დაწინაურების სურვილისათვის; მაგრამ შევიმაგროთ როგორც იქნება გული და დაწყნარებით გავჰშინჯოთ, რაზედ ეფუძნება ეს სიტყვა მოწყვეტილი. –

აი რამდენს სხვა და სხვა მიზეზებს ამბობენ:

„თათრებში რაც ადგილ-მამული გლეხებს ეკუთვნოდა, აღალარებს მიეცა და რაც ჩვენ გვეკუთვნის, ის რომ გლეხებს მიეცეს, რა სამართალი იქნება?

„ყოველგან ისეთი ვიწროობა არის ადგილისა, რომ, მაგალითად, გლეხს რომ კომლზედ ორ ორი დესეტინა მიეცეს, მებატონეებს საზრდოდ არა თუ თავისი, სახელმწიფო და საეკკლესიო რაც არის, ისიც აღარ ეყოფათ.

„გლეხებს თუ ადგილ მამული დაუსაკუთრდათ, მებატონეებს აღარსად ეცხოვრებათ და საბატონოსას ყოველსავე აღაოხრებენ.

„სხვა გლეხის დასახლება რომ განვიზრახოთ ჩვენს ადგილ მამულზედ, ადგილიც რომ იპოვებოდეს, მუნ მდგომნი შფოთისა და წინააღმდეგობისაგან არ დასცხრებიან.

„ძვირათ იპოვება ჩვენში ისეთი მამული, რომ იმაზედ დავა არ იყოს; მფლობელმა რომ დავა წააგოს და სხვა ადგილებიც ყმებს მისცეს, თვითან რაღა დარჩეს?

„ზოგი მებატონეთაგანი ისე მცირე მიწის პატრონია, რომ რაზედაც გლეხები გაჭირვებითა სთავსდებიან, ის რომ იმათ დაეთმოს, თვითონ სრულიად აღარფერი დარჩებარა.

„რაც რომ ***საუკეთესო*** მიწებია სულ ყმებს აქვთ მიჩემებული და ის თუ იმათ დაუმკვიდრდათ, მებატონენი უნდა მშიერები დარჩნენ და უნუგეშონი.

„თვით გლეხთაც არა აქვსთ ამაზედ ეჭვი, რომ ადგილ მამული უფროსი ერთად ნასყიდობითა აქვსთ მებატონეებს შეძინებული და გლეხებს როგორ მიეცემათ.

„თვით გლეხთაგან გვესმის, თუ თავის უფლება გვეძლევა და მამული კი უნდა შევისყიდოთ, მაშ უფლებაც უნდა გვქონდეს, რომ ჩვენის ნებით შეგვეძლოს მოპოება მამულისაო. თუ ჩვენის შრომით შევისყიდით მამულს, ნება უნდა გვქონდეს კანონის წესდებულების დავალებით და ძალ დატანებით კი არ შევისყიდდეთ, თავისუფლად მოვიპოებდეთ იმ მამულსა, რომელსაც და სადაც ვისურვებთო. აი ფაკტი, გლეხებისაგანაც წარმოთქმული, რომელიც მსახურებს დასამტკიცებელად, რომ მამულის შესყიდვა კანონის წესდებულების დავალებით არ არის სასარგებლო.

„ადგილი ბატონის საკუთრება არის და მისს ნებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული; მრავალნი მებატონეთაგანნიცა, მამულის უქონელობით, ღალითა ჰხვნენ საეკლესიო მიწებსა, და ყმებს რაღა უნდა მისცენ?

„როდესაც ყოველი მამულ-დედული განისაზღვრება და ყველას ეცოდინება თავისი საკუთრება-ნაგლეჯი მიწა, უფრო მაგრად მოეჭიდებიან მაშინ ყველანი თავისს საკუთრებასა; ვეღარც საეკლესიო მამულებიდამ ისარგებლებენ უფულოდ და ვეღარც სახელმწიფოდამ, როგორც აქამდინ სარგებლობდნენ შეუძლებელნი უმამულო მებატონენი. მებატონემ რომ განუნაწილოს კიდეც ყმებსა თავისი საკუთრება-მიწა, იმდენს მტერსა და მოჩხუბარს შეიძენს, რამდენს კომლსაც განათავისუფლებს ყმობისაგან; გაჩნდება დაუდგრომელი ჩივილი მამულის გამოისობით, ასე რომ თვით მთავრობა მიწერ მოწერასაც ვეღარ აუვა, არამც თუ მომჩივარნი მოესწრნენ საქმის დაბოლოვებასა. – მცირე ნაწილი, გლეხისადმი მიცემული, სულ დააფოლებს დანარჩენს მებატონის მამულსა, აღარც ნაყმევი გაივლის მებატონის მამულში შესამუშავებლად და აღარც სხვა ვინმე გლეხი. თუ ადგილები გლეხებს მიეცა, მცირე მამულის პატრონმა სამგზავრო კვერთხი უნდა აიღოს, ბედის წერის გზას შეუდგეს და იტანტალოს არსების პურის მოსაპოებლად. აი საჩინო

საგანი, რომელზედაც ყოველივე ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი და შვილთა ჩვენთა წყარო ცხოვრებისა და კეთილ დღეობისა, ამას რომელნიმე მსუბუქათ ჰსჯიან უსაფუძვლოდ ყოველისავე მიმომთქმელნი პირნი, რომელთაცა არა რად უღირსთ ამ გვარი ლაპარაკი თავიანთი თავის გამომჩვენებლობისათვის საზოგადოობაში, რადგან თვით ითქმის არა რაისამე მექონენი, ამით არა რას ჰკარგვენ, ადვილად განჰსჯიან, ვითამც მოყვასნი კაცობრიობისანი და მლიქვნელობენ სასიამოვნოდ საჩინოთა პირთა, მდაბიოთა აღაღადებენ და მშობელსა მამულსა ჰღალატობენ“.

მომხსენებლისაგან განმარტება ამ ჰაზრებისა

ასე განიკიცხვიან უმრწემესნი ჩვენი მოძმეები. – მაგრამ გულის წყრომა ნუ შემოგვივა რჩევაში. ყოველს კაცს თავისი ჰაზრი აქვს და თავისი სხვა და სხვა მიზეზი, რომელთაგანაც ჰაზრი იბადება. რაც სათქმელი გვქონდა, ვჰსთქვით და ახლა ვარჩიოთ. მრავალ გვარი მიზეზი არის აქ მოხსენებული და ცალკე ამასთან წარმოდგენილს რვეულში უფრო დაწვლილებით მოყვანილი; მაგრამ რასაც გულითა ვჰგრძნობთ, რაც ენაზედ გვადგია და ამ მძიმე საქმის დასახსნელად რაც ჩვენში არსებობს, ვჰგონებ საკმაოდ არ იყოს წარმოთქმული. გამაბედვინეთ, რომ მეც ვეცადო საზოგადო ჰაზრების გამორკვევასა.

ყმებს რომ თავის უფლებას ვაძლევთ და ადგილ მამულს კი ვერ ვუსაკუთრებთ, ვჰგონებ ორ გვარად განიყოფებოდეს ამისი მიზეზები: ***ბუნებითად*** და ***ზნეობითად.***

ბუნებითი მიზეზები

ბუნებითად დაითვლებიან შემდგომნი:

1. ყოვლის მოქალაქეობითის კანონით, ვისაც რა ეკუთვნის, მოხმარება იმისს თავისუფლებითს ნებაზედ არის დამოკიდებული; კეთილის მყოფელი მისი ან იმის სიკეთისათვის მზრუნველი რჩევას გაუკეთებს, ასე და არა სხვა რიგად ემჯობინება მოხმარებაო; მაგ-

რამ პატრონი თავისს გულსაც დაეკითხება და დაწყნარებულს გონიერებასაცა. ამ საქმეში გული უსათუოდ გვითქვამს ყოველთავე, კარგი იქნება, რომ ადგილ მამულები მივსცეთ გლეხებსაო; მაგრამ გონიერება ყოვლითურთ ეწინააღმდეგება ამ გრძნობასა. – ვინაც აქ ბრძანდებით და ყოველმა სხვამაც, ვისაც ჩვენი მდგომარეობა გაეგება, ბეჯითად ვიცით, რომ რაც დღეს ჩვენი ყმები ჩვენს ადგილ-მამულებსა ჰხმარობენ, იმისი ერთიანად იმათთვის მისაკუთრება ყოვლად შეუძლებელია; – და თუ მოუკელით, – ნაწილი მივეცით რამე, თუნდა უდიდესი ნაწილიცა, უსათუოდ გვიწყენენ და იქნება სამარადისოდცა დაგვემდურნენ; – მაშა სადამე კაცობრივის ბუნებით შეუფერებელი იქმნება ამ გვარი მიცემა ჩვენგან, რადგან დაჰბადებს მადლობის მაგიერად ერთისა ოდენ უმადურებასა და ერთმანეთის მტრობასა.

2. ამ საქმიდამ ეს უარსაყოფელი თვისებაცა რომ არ გამოირკვევოდეს და სასარგებლოთაც რომ ვჰხედავდეთ ორთავე მხარეთათვის, – მაინც ბუნებითად შეუძლებელია, რომ ჩვენს ყმებს ადგილ მამული დაუსაკუთროთ; ამად, რომელ ჯერ ბეჯითად უნდა ვიცოდეთ, ვის რამდენი ეკმარება ან დასჭირდება, რომ ის გადეკვეთოს და იმაზედ დამყარდეს შემდგომში კეთილდღეობა იმათი ისე, რომ ჩვენგან ხელის გამართვა აღარა ჰსჭირდებოდეთ; – და მერე უნდა ვიცოდეთ, – გვაქვს იმდენი, რომ იმათაც საკუთრებად მივსცეთ და ჩვენც ჩვენს რჩენას შევიძლებდეთ, – თუ არა? მანამდის ჩვენი ადგილ მამულები არ გაიმიჯნება, მანამდის ჩვენი ეკკლესიასთან, ხაზინასთან, სახლის კაცობაში და მეზობლობაში ადგილ მამულზედ დავა ყოველივე არ გარდაწყდება, რაც აქამომდე მაინც ჰსწარმოებს, და მანამდისინ თვითოეულს ჩვენგანს ბეჯითად არ გვეცოდინება, ვის რა შეგვრჩება, – რომელი ბუნებითი კანონი შეგვაძლებინებს თქმასა, – ამდენი მიწა ეყოფა გლეხსაო და ამდენის მიცემა შეგვიძლიაო.

3. ზემოთ ვახსენეთ, რომ აქამომდე ჩვენი ყმა და მამული არის ერთად ერთი წყარო ჩვენის ცხოვრებისა; უდიდესი ნახევარი ამ წყაროსი დაგვითმია მათთვის, რომელნიც ამ წყაროს ჩვენგან მიჩენილად ადგნენ და ნუ თუ ეშესაბამება კაცობრიობასა, რომ დანაშთენისაგანაც ისე დაუსაკუთროთ რამე, რომ რაც ჩვენთვის გადარჩება, აღარც იმათგან იყოს საზრუნველი და აღარც ჩვენ შეგ-

ვეძლებოდეს მოხმარება? – ***ბეგარის*** გარდა ყოველს ჩვეულებითს სამსახურს თუ ვაპატივებთ, მიწებსაც თუ იმდენს დაუსაკუთრებთ, რომ თავისთვის უჩვენოდ ცხოვრებას შეიძლებდნენ; რა სამართალმა, რა კანონმა და რა დანაშაულობამ უნდა დაგვარღვევინოს საშვილითი შვილოდ უკანასკნელი საფუძველი ჩვენის ყოფა ცხოვრებისა, რომ მოქმედება ესე გონიერებით გამართლებულ-იქნებოდეს როდისმე და როგორმე?

ზნეობითი მიზეზები

ზნეობითად დაითვლებიან შემდგომნი:

1. რაც ჩვენში და ჩვენს ყმებში ძველთა დროთაგან განუწყვეტელი კავშირი არსებობდა, იმას ზნეობითად ვერც კალამი მოჰშლის და ვერც სიტყვა, თუ დრო არ შეეწია. ჩვენზედ უმეტესად ჩვენის ყმებისათვის გული არავის შესტკივა; ჩვენზედ უმეტესად იმათი ზარალი არავის ეზარალება, – და თუმცა ამ უკანასკნელს ორმოციოდ წელიწადში ჩამოგვეთესა აქა იქა უსიამოვნება და უთანხმოება ურთი ერთ-არს შორის, ბოროტებითთა შეგონებათა გამო; მაგრამ ორმოცის წლის საქმე, რაგინდა საწყინარი იყოს ორისავე მხარესათვის, ვერ განაქარვებს რვა ცხრა ასის წლის მამაშვილურს დამოკიდებულებასა ჩვენ შორის. ჩვენზედ დამდურება ახლა ჩვენის ყმებისა შეემსგავსება შვილების დამდურებასა მამაზედ და მაშა სადამე წინააღმდეგ-ექმნება კანონსა ზნეობითსაცა და ღვთიურსაცა.

2. ვისაც თავით თვისით და შთამამავლობით ისე უცხოვრია, რომ მზრუნავი თვალი არას ოდეს არ მოსცილებია, წმინდა ზნეობის წინააღმდეგი იქნება, რომ მეყვსეულად განტევებულ იქმნეს უმახლობელესის რჩევისა და შემწეობისაგან; – ვერცა რას იმათ დავსწამებთ ისეთს დანაშაულსა, რომ ყოვლითურთ ხელ-ასაღებნი იყვნენ ჩვენგან და ვერცა რას ჩვენ დაგვწამებენ ისეთსა, რომ მომავალისათვის მეზობლობითს მათთან კეთილ განწყობილებას ვერიდებოდეთ და გულით არა გვსურდეს აღმოფხვრა ჩვენსა და მათ შორის ანტაგონისმისი, ამ ახლად ჩამოგდებულის შურისა და უთანხმოებისა. ადგილების მათდა დასაკუთრება დიაღ არ ეშესაბა-

მება ამას, რადგან ამ გვარი დაშორება ჩვენი იძულებული იქმნება და მოუწყვეტელი მტერობის დამბადებელი, მაშა სადამე ზნეობითად დამარღვეველი კეთილ განწყობილებისა, რომლითათვისაც ზრუნვა გვმართებს. –

3. რაც ახლა ჩვენი ადგილ-მამული ყმებს უჭირავს, თუ სულ იმათ დაუმკვიდრეთ წინააღმდეგობა იქმნება ზნეობისა, ვითარცა დაუხედავი და ყოვლის ანგარიშის გარეშეთი მოქმედება; თუ დაუმკვიდრეთ ნაწილი რომელიმე და დანაშთენიკი ჩამოვართვით, წინააღმდეგობა იქნება ზნეობისა, ვითარცა წარტაცება ჩვეულებრივის საცხოვრებლისა.

ამას ნურას გვაქმნევინებენ, ნურცა მოძმენი ჩვენნი, ნურცა უფლების მექონნი.

გონიერება რას მოითხოვს

ევროპამ ახლანდელს თავისს მოქალაქეობამდინ ექვს ასი წელიწადი იარა სწორეთ იმ ფეოდალურის მდგომარეობიდამ, რა მდგომარეობაშიც ჩვენი ქვეყანა აქამომდე იმყოფება; და ამდენი ხანი იარა სისხლის ღვრითა და ამბოხებითა; ჩვენ ეს ექვს ასი წელიწადი ამ სამს-ოთხს წელიწადს გამოვირბინეთ ღირსებითა და აქამომდე მაინც უშფოთველად. ამაზედ უმეტესი აჩქარება კაცობრივს მოსაქმობაში ყოვლად დაშლილი არის გონიერებისაგან, რომელიც ითხოვს ყოველს საქმეში აუჩქარებლობასა და გამოცდილებასა.[19]

შესწავება გამოცდილებისა

თეორია დიდი რამ სასარგებლო შემეცნება არის ყოველ გვარის მოსაქმობისათვის; მაგრამ სადაც გამოცდილება არ არის საქმისა, იქ მარტო თეორია თუ აჰრევს საქმესა, თორემ დაწყობით ვერც აგურის კედელს დააწყობს სამკვიდროთ. ამ მძიმე საქმის დანგრევასა და ხელ ახლად აშენებაში თეორია არას გვავნებდა, მართალია, მაგრამ ჩვენ თუ განსაკუთრებით გამოცდილებაზედ არ დავემყარენით ვერცა რას ჩვენ დავაწყობთ; და ვჰგონებ აქ ჩვენ-

ზედ არავის ეთქმოდეს, ახალ მოსწავლენი არიანო, რადგან ამ რვა ასიოდ წელიწადს მაინც ამას ვადგევართ.

არსება განზრახვისა ჩვენისა

ამის გამო ჩამოსაყენებელად და გასაუქმებელად ზემორე მოხსენებულთა მიზეზთა ჩვენ გვაქვს განზრახვა, ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის ყოფა ცხოვრებისათვის სხვა ყოველს საშუალობაზედ უფრორე შესაფერი.

არცა რას ჩამოვართმევთ და პირველის კატეგორიის გადასახადსაც ყოველსავე ვაპატივებთ

რაც ახლა ჩვენს მამულზედ ჩვენს ყმებს სახლკარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილ მამულები უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა, თუ საბალახესა, თუ წყალსა ჰხმარობენ, ყოველსავე ამას მათვე მივაჩემებთ, მხოლოდ პირობითა მით, რომ მიწის შემოსავალს გვაძლევდნენ და ბეგარას ასრულებდნენ ჩვეულებისამებრ.

ეს არის მეორე მუხლი ჩვენის 30-ის შარშანდელის აპრილის განჩინებისა; – მაშასადამე იმავე განჩინების I მუხლის ძალით, ჩვენს ყმებს პირად სრულს თავისუფლებას ვაძლევთ ჩვენის ყმობისაგან; – ყოველს მათს სამსახურსა და გარდასახადს, რომელიც ზემორე პირველს კატეგორიათ იყო მოტანილი, ვაპატივებთ; ესე იგი: თავისუფალ ვჰყოფთ წლიურის ხარჯისაგან თვითოეულს კომლს 96-რუბლიდან 240-რუბლამდის; – ბინადრობას, სახლკარობას, ადგილ მამულის ხმარებას, ერთის სიტყვით, ყოველსავე, რაითაც ამ ხარჯსა აქამომდე ჰსწევდნენ, მათვე ვაჩემებთ და ვაყენებთ მხოლოდ იმ სამსახურზედ, რომელსაც ყოველი თავისუფალი კაცი, კეთილ შობილი თუ გლეხი მიწის პატრონისათვის ეწევა. –

თუ ახლაც იტყვის ვინმე, რომ საკმაო არ იყოს ესე ჩვენთა ყმათათვის მათის ყოფა ცხოვრების კეთილ დასაფუძნებელად, – მაგალითსაც მოვიყვანთ, რომელიც ძველათგანვე არსებობს ჩვენს ქვეყანაში. –

რიცხვი საბატონო ყმებისა

ტფილისის გუბერნიაში რიცხვი საბატონო ყმებისა, 1860 და 1861 წლის კამერალიის აღწერილობით არის:

	კომლი	სულ	მამრ.
ტფილისის უეზდში	3334	13546	
გორისაში	6457	26181	
თელავისაში	2174	7911	
სიღნახისაში	2358	8978	
ელისაბედპოლისაში	21	80	
თიონეთის ოკრუგში	373	1536	
მთიულეთისაში	1692	7249	
ქალაქებში	667•	1996	

გორის უეზდიდამ შორაპნისაში შეყვანილს 9 სოფელში, გოლათუბანს, ბეჟათუბანს, ნებოძირს, მოლითს, ზვარეს, ჩდილს, გდეისს, ვახანსა და ზედუბანს:

132•	610	
სულ	17208	68087

რიცხვი ხიზნებისა

ამასთან არის იმავე აღწერილობით ხიზანი, ესე იგი სახელმწიფო კაცნი, რომელნიც საბატონო ადგილ-მამულებზედა ჰსცხოვრებენ:

	კომლი	სულ	მამრ.
ტფილისის უეზდში	4053	15468	
გორისაში	1544	5637	
თელავისაში	1083	3578	
სიღნახისაში	466	1809	
ელისაბედპოლისაში	6583	22988	

• ეს უკანასკნელი ციფრები აღებულია 1848 და 1858 წლების კამერალური აღწერებიდან.[20]

[ავტ.]

თიონეთში 895 3035
მთიულეთში 61 216
სულ ..... 14685 ... 52721

მაშა სადამე რიცხვი ყმებისა გარდაემატება ხიზნების რიცხვსა მხოლოდ 2523 კომლითა ან 15356 მამრის სულითა მრთელს გუბერნიაში; და ტფილისის უეზდში ხიზნების რიცხვი გარდაემატება ყმების რიცხვსა 719 კომლით, ან 1922 მამრის სულით და ელისაბედპოლისაში 6562 კომლით, ან 22908 მამრის სულით.

და თუ ელისაბედპოლელი ხიზნები გამოვრიცხეთ, რომელნიც აღალარებისადმი მისაკუთრებულს მამულზედ ჰსცხოვრებენ, – მაინც საქართველოს თავად-აზნაურობის მამულებზედ მცხოვრების ხიზნების რიცხვი გამოვა 8102 კომლი, ან 29743 სული მამრი, ესე იგი თვით ითქმის ნახევარი ყმების რიცხვისა.[21]

თვით მმართებლობა დაგვემოწმება, რომ არც ამ ხიზნებისაგან მამულის პატრონებზედ და არც მამულის პატრონებისაგან ხიზნებზედ ამ სამოც და ორს წელიწადში არც ერთი საჩივარი არ შემდგარიყოს; – ამათ გარდა სხვანიც მრავალნი არიან ხიზნად, საეკლესიო ყმანი და თვით საბატონონიცა; – მაგრამ არც არაფერი იმათ უჩივლიათ მამულის პატრონებისათვის.

მდგომარეობა ხიზნებისა

სიტყვის გამომკიდებელმა შეიძლება ჰსთქვას, – არა ჰსჩივიან ხიზნები, მართალია, მაგრამ უკეთესი იქნება არა მოეხერხებათრა და იმიტომ არა ჰსჩივიან, – და უჩივლელობით კეთილ-მდგომარეობა არ დამტკიცდებაო. ქვეყნიერებაში ისეთი მდგომარეობა არა არისრა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდეს და არ ისურვებოდეს. – კეთილ მდგომარეობა იქ არის, სადაც ნაკლულევანება არ აჭირვებს ცხოვრებასა და უსაზრდოება სიცოცხლეს არ ამწარებს. – ამას გარეშე ძებნა კეთილ მდგომარეობისა კაცისათვის, – ჩრდილის გამოკიდებას მიემსგავსება. ადგილ მამული ჩვენს ქვეყანაში არც ეკკლესიას აკლია და არც ხაზინას; არა თუ მათის უწყების კაცნი, საბატონო მამულებზე ხიზნათ მყოფნი, ბევრი იმათზედ უმრავლესნიც მოთავსდებიან თავის უფალს ადგილ მამულებზედ. სა-

ხაზინო მამულების გამგებელთ მეცადინეობა არას დროს არ დაუკ-ლიათ, რომ ხიზნები თავისი უწყების ადგილზედ დაებინავებინათ. მაგრამ ზემორე მოხსენებული რიცხვი ხიზნებისა მაინც საბატონო ადგილ მამულებზედა რჩება და რიცხვი ესე უფრო და უფრო ჰმა-ტულობს, და აქამომდე არც მაგალითი მამხდარა, რომ საქართვე-ლოში გაპროლეტარიებულ იყოს ვინმე, ესე იგი, უბინადრო კაცი იპოვებოდეს სადმე, თუ არ რამდენიმე შინა ყმა ობოლი. ქართველი კაცი თავის ადგილიდამ ადვილად არ დაიძვრის: მშობელი ქვეყანა უყვარს, სალოცავს ტაძარს უერთგულებს და მამა-პაპის ძვლებს ვერ განეშორება, თუ ***საქმე დიდად არ უჭირს;*** და მრთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, რომ ხიზანს არცა რა უჭირსრა და არცა რა სათაკი-ლოა იმისს ყოფა ცხოვრებაში; მამულის პატრონებსა და მათ შო-რის შეურყევლად არსებობს ხათრი და პატივი ერთმანერთისა, ორისავე მხრისათვის ძვირად დასაფასებელი. ხიზნობა ძველთა დროთაგან არსებობს საქართველოში და არა თუ თავის უფალნი, საბატონო კაცნიც მრავალნი ეტანებიან ამ მდგომარეობასა, რად-გან საქმით სასარგებლო არის ორისავე მხრისათვის. – სწორეთ ამ გვარსავე, მაგრამ უკეთესს მდგომარეობაში იქმნებიან ყმანიცა ჩვენი შემდგომ განთავისუფლებისა; უკეთესში ამით, რომ საუკე-თესო ადგილ მამულები ექნებათ და ყოვლად უეჭველია, რომ ამითი მოისპობა ჩვენ-შორის ყოველი მიზეზი ერთი ერთმანერთზედ დამ-დურებისაცა და ჩვენს საშინაო საქმეებში მმართებლობისაგან ყო-ველ დღე გამორევისაცა. –

მესამე მუხლი 30 აპრილის განწესებისა

რა რომ ამაზედ დავემყარებით, საჭიროდ წარმოსდგება ახ-ლა, რომ დაწვლილებით გავარჩიოთ მესამე მუხლი შარშანდელის 30-ის აპრილის განჩინებისა.

მეორეს მუხლში რომ ეწერა, – მიწის შემოსავალს უნდა გვაძ-ლევდნენ და ბეგარას ასრულებდნენ ქვეყნის ჩვეულებისამებრო, ახლა მესამეს მუხლში ასე სწერია:

„ეს ჩვეულება შეუშლელად დარჩეს ჩვენსა და მათ (ყმათა) შორის დროდმდე; რა რომ ეს დრო გავა, მაშინ შემდგომისათვის ჩვენ ერთმანერთს მოურიგდეთ, ჩვენ როგორც პატრონნი მიწისა

და ისინი, როგორც თავის უფალნი კაცნი. თუ დათანხმება არ მოხდა, სრული ნება აქვთ მაშინ გარდასახლებისა და ჩვენც მათის დათხოვნისა“.

ესე იგი ჩვენი განზრახვა არის, რომ ახლანდელის ყმების ყოფა ცხოვრებაში ცვლილება სრულიად არ მოხდეს რა ამის მეტი, რომ სრული პირადი თავის უფლება მიეცემათ ჩვენის მონებისაგან და ბატონ-ყმურის დამოკიდებულებისაგან; ყოველი გარდასახადი, რასაც ჩვენის მათზედ ბატონ-ყმობის უფლებით ვახდევინებდით, – ეპატივებათ, – და ამიერითთგან უძრავს საკუთრების შეძინება გაადვილებული ექმნებათ.

რა გარდასახადი ემართებათ ნაყმევებსა ადგილ-მამულისათვის?

დაშთება მათზედ მხოლოდ ის ბეგარა და ის ადგილ მამულისათვის სამსახური, რაც ხიზანსა ჰმართებს, ან იმათ ემართათ; ესე იგი რაც ყოველს თავის უფალს კაცსა ჰმართებს, რომელიც სხვის მამულისაგან ჰსარგებლობს; და ამ მართებულსაც ისე და იმ ზომით უნდა იხდიდნენ, სადაც როგორი ჩვეულება ახლა არსებობს და ამ ჩვეულებას არ შევშლით დრომდის; ესე იგი იმ პირველის ვადის გასვლამდის, რომელსაც დავაწესებთ ერთმანერთთან მორიგებითა და დათანხმებითა. –

ამის განსამარტებელად და განსაკანონებელად წარმოსდგა რამდენიმე განკერძოებული კითხვა:

1. შესაძლებელია უთანხმოება აღმოჩნდეს სადმე გარდასახადის ზომაზედ: ერთი ამტკიცებდეს, ჩვეულებით ესა მმართებსო და მეორე – მეტს ამბობდეს. ამ გვარის შემთხვევისათვის ემჯობინება თუ არა – ახლავე აღვრიცხოთ და საცნობელ-ვჰქმნათ: – რა და რა ადგილის რა და რა ჩვეულება არსებობს ხიზნისა, ანუ ადგილ მამულის სამსახურისა? – ესე იგი სად რა ზომით ღალასა და კულუხს იხდიან, და ბეგარას ეწევიან? –

2. რა რომ პირველის შემთხვევისათვის დაწესებული მოკლე ვადა გავა, მაშინ მამულის პატრონები და გლეხები თუ ნება ყოფლობით ვერ მოვრიგდით, დამზავებული უნდა გამოგვერიოს ვინმე ამ საქმეში თუ არა?

3. ჩვეულებით ხიზანს ყოველგან ბეგარა ჰმართებს, ესე იგი მუშის მოხმარება მამულის პატრონისათვის და ჩვენს განთავისუფლებულს ყმებსაც ემართებათ; მაგრამ მუშა, რომ ან პატრონს არა ჰსჭირდებოდეს (რადგან შესაძლებელია ზოგს სულაც არა ჰქონდეს ხვნა და თესვა) ან თვითან გლეხი რომ არ გამოდიოდეს, ემჯობინება თუ არა ორისავე მხრისათვის, რომ ბეგარის მაგიერად ფული გვაძლიონ გადაკვეთილის ფასითა?

4. პირველი ვადა რომელზედაც ახლანდელი ხიზნური ჩვეულება შეუშლელად უნდა არსებობდეს, რამდენის ხნისა ემჯობინება?

5. ზოგს მებატონეთაგანს შინა-ყმად ჰყავს კაცი ანუ ქალი, ობოლი, უოჯახო, უსახლკარო და უადგილ მამულო; ამათზედ და საზოგადოდ ახლანდელს მოსამსახურეებზედ რას ვიტყვით?

6. აღვიარებთ თუ ვერა, რომ ზოგი ერთს ყმას თავისი საკუთარი ადგილი აქვს და თუ აღვიარებთ რა ვსთქვათ ამ გვარის მოსაკუთრეებისათვის?

7. იმ ხიზნებზედ რა ვჰთქვათ, ყმად რომ სხვა ბატონებს ეკუთვნიან?

ამ საკითხავების პასუხის საგებელად რაც ჰაზრები არის შემოტანილი, ზოგი სულ არ ეთანხმება იმ საფუძველს, რასაც თვით კითხვა ადგია, – ესე იგი: 30-ის აპრილის განჩინებას; – და ზოგი თუმცა ეთანხმება, მაგრამ სხვა და სხვა გვარად; ასე:

1. ***ახლავე აღრიცხულ იქნეს თუ არა, სად რა ჩვეულება არსებობს ხიზნის სამსახურისა?***

ამის პაუხად ამბობენ

ქართლიდამ

„ჩვეულება ხიზნისა თუ ყმისა სხვა და სხვა მხარეს სხვა და სხვა გვარი არის, არა თუ მარტოდ საქართველოს კერძოებში, თვით კეთილშობილთ გვარშიაც (მაშა სადამე ცალ-ცალკე აღრიცხვა დიდად ძნელია და საქმესაც დიდად დააგვიანებს). ხიზანი განსხვავდება ჩვენთა ყმათაგან მხოლოდ ამით, რომელ ვერ გამოვართმევთ პურსა, ღალას გარდა, ფულს ვერ შევაწერთ, საჩექმეს, საქვრიოს და გასამყრელოს და მოსამსახურეს ვერ მოვსთხოვთ;

სხვა ყოველსავე სამსახურს ხიზნები აღასრულებენ თანასწორ ყმათა ჩვენთა.

„ის უნდა გვაძლიონ, რასაც დღეს ხიზნები გვაძლევენ; ესე იგი: დღიურზედ 2 კოდი პური ანუ ღალა მოსავლის მეექვსედი; ვენახიდამ კულუხი მეექვსედივე მოსავლისა, აგრეთვე ხეხილიდამაც; კომლზედ ორმოცი მუშა წელიწადში და სამი ძღვენი.

„დღიურზედ – 2 კოდი და ორი ჩანახი; გაკეთებულს ყანაზედ მოსავლის ნახევარი; წელიწადში 80 მუშა კომლზედ, 3 ძღვენი და 3 ურემი შეშა.

„ხიზნური ჩვეულება დიდის ხნის დაწესებულია და ვერავინ იტყვის უარსა, თუ უნდა ემსახურება, თუ არა და წავა. ამ ხიზნურს ჩვეულებას რომ დავადგეთ, ის ემჯობინება მებატონესათვისაც და გლეხისათვისაც ვადამდის და ვადას შემდეგაც ვჰგონებთ ასე დარჩება. –

„რა კი ჩვეულებას ვადგებით, რა საკვირველია საჭირო იქნება გამოცხადდეს და აღიწეროს სად რა ჩვეულება არის, – მამულისა და ადგილის მიხედვით; მაგრამ ვაი თუ მთავრობამ სამძიმოდ დაინახოს; რადგანაც ხიზნის მაგალითი ცხადია და არა ვინა დავობს, რა საჭიროა ჩვენთვის აღწერა; აუწერლობა თუ მოხერხდება ის ემჯობინება, რათა ყაყანი არ შედგეს“.

კახეთიდამ

„გლეხებს უნდა დაედოთ გადაკვეთილის ხარჯის გაღება სასარგებლოდ მებატონეთა, ესე იგი: დაეწესოთ ხარჯი: ბინადრობისა, ვენახისა, სახნავისა, ტყისა და საძოვრის ხმარებაზედ.

„რა რომ გლეხს თავის-უფლება მიეცემა, მაშინ პირველი ვადის გასვლამდინ მამულის პატრონს უნდა ჰქონდეს ისევ ის სამსახური, რაც აქამდინ ჰქონია, გარდა პირადის სამსახურისა, სახელდობრ: მსახურისა და მოახლისა, საქვრიოსი, საჩექმესი, სააღაპოსი, საქორწილოსი, გასამყრელოსი, შესამყრელოსი, წლიური ანუ საჭიროების გამო ფულის შეწერისა, ღვინის და არაყის სალამათისა, საქონლის სალამათისა, თავის გასამტეხლოსი და ძღვნებისა: საახალწლოსი, საახალწლო შეშისა, სააღდგომოსი, ახლის ნუგბრისა ყოვლის მიწის მოსავლისა, კალოს ძღვნისა და საჭირის უფლოს

ძღვნისა. – ყოველივე ესე ეპატივება და მამულის სამსახური ძველის ჩვეულებით მოვა ცნობაში: ვენახის პატრონსა კულუხი; ხვნისათვის ღალა; ბალახისათვის, ტყისა და წყლის ხმარებისათვის ბეგარა – ურმით, მუშით როგორც და რაშიაც უმსახურნია; ყოველსავე ამაზედ ერთმანერთში მორიგდებიან, ასე რომ არც ერთ მხარეს სამდურავად სათქმელი არა ჰქონდესრა. ამ პირველს შემთხვევაში ასე უნდა განისაზღვროს ჯერეთ სამსახური და ***სხვა არა დაწესდება რა ახალი*** არა რომლისამე მხრისათვის სამჯობინარო და შემდეგ დროება აღმოაჩენს ყოველსავე ნათლად, რაიც ახალი იქმნება შემოსატანი და ძველი შესამოკლებელი ან გასაუქმებელი.

„ახლავე რომ გარდაწყვეტილი გარდასახადი დაწესდეს რამე, როგორიც უნდა იყოს, არც საჭირო არის და არც სასარგებლო; ამად რომელ ვალდებულების დაწესება, რა რიგათაც უნდა იყოს შესწორებული და პირუთნებელის სიმართლეს თან შეთანხმებული, მაინც ძალ დატანებით იქნება და აღსრულება ყოველთვის დაბრკოლდება მეტად თუ ნაკლებათ. სადაც თავის უფლებით დამოკიდებულება არ არის ურთიერთ არს შორის, იქ არც კეთილ სვინიდისიანობა არის ვალდებულების აღსრულებაში: სადაც მამულის პატრონსა და გლეხს შორის თავის უფლებითი და ნება ყოფლობითი გარიგება არსებობს, – გახსნილი მხოლოდ იქ ექმნება სასოფლო მომჭივნეობასა თავისი საკუთარი და ბუნებითი გზა და ამ თავის უფლებას ვერა შეედრებარა, ვერცა მფარველობა ვითარიმე და ვერცა წინასწარ განზრახული დარიგება რამე.

ამ ჰაზრებისაგან გამოდის შემდგომი წესდებულება:

„ბატონების ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხები რასაც საბატონი ადგილ მამულზედა დგანან და ჰხმარობენ, იმ ადგილ მამულისა, საბალახისა, ტყისა და წყლის ხმარებისათვის მამულის პატრონს უნდა აძლევდნენ ღალას, კულუხსა და ბეგარას ისე და იმ ზომით, როგორათაც ერთმანერთში ნება ყოფლობით მორიგდებიან; და მანამდისინ მორიგდებოდნენ, უნდა აძლიონ ისე და იმ ზომით, სად რასაც ხიზანი აძლევს, – და სადაც ხიზანი არ არის, იქ ისე და იმ ზომით, რაც და რა ზომითაც განთავისუფლებულს კაცებს ეს ღალა, კულუხი და ბეგარა ბატონისათვის ყმობაში უძლევიათ“.

2. თუ ნება ყოფლობით მორიგება არ მოჰხდა, დამზავებელი უნდა გამოგვერიოს ვინმე თუ არა?

რადგან წინასწარ საფიქრებელია, რომ როდესმე ერთი მხარე ერთს ჩვეულებას ამბობდეს და მეორე მეორესა; – ამის გამო ზოგნი იტყვიან, ჩვენ შორის საქმის გამრჩევად და გამრიგებლად საჭირო იქნება მოზავე შუაკაცების დაწესებაო; ზოგნი აწინდელს დაწყობილებას ადგებიან, რომლითაც ბატონთა და ყმათა შორის საქმეს არჩევენ უეზდის მარშალი, ნაჩალნიკი და სუდია. – მაგრამ სადაც მორიგება ნება ყოფლობაზედ იქმნება მიმდგარი; და მანამდის ეს მორიგება მოჰხდებოდეს და თვით მორიგებაშიაც, როგორც აქამდის ხიზნებს უმსახურნიათ, ან როგორც ღალა, კულუხი და ბეგარა თვით განთავისუფლებულს კაცებს უძლევიათ, და უწევიათ, იმაზედ მეტს ჩვენ თუ არას მოვსთხოვთ, – იქ მოზავეების დაწესებას საჭიროთ ვეღარ აღვიარებთ, რადგან გასარჩევი და დასათანხმებელი სხვა არა იქნებარა იმ ზომის მეტი, რა ზომითაც ადგილობრივ ხიზანი იხდის, ან ყმას უხდია ღალა, კულუხი და ბეგარა; თუ ამ ზომაზედ უთანხმოება მოხდა სადმე, იქ ჩვენის ძველებურის მედიატოროობის წესით ადგილობრივ აღმორჩეული კაცები ადვილად შეიტყობენ მართალსა და გაასამართლებენ; ეს წესი ყოველსავე სხვა წესსზედ უსამჯობინარესად მიგვაჩნია სამ გვარის მიზეზით: 1. როგორცა ვჰსთქვით, ძველებურია ჩვენში ეს წესი და, მაშასადამე, რასაც შეჩვევა უნდა, იმისთანა ახალი არა შემოგვაქვსრა; 2. მოზავე შუა კაცები იქნებიან დაწესებულნი, თუ მთავრობის მიერ დადგენილნი პირნი იქმნებიან ამის გამრჩევნი, – შეუძლებელია რომ ამ გვარმა გამრჩევმა ან ერთს მხარეს არ მიჰკერძოს, ან მეორეს; ორისავე მოდავის სარგებლობა და სამართალი ერთს შუაკაცში ბუნებითად ვერ შეთანხმდება, რადგან ყოველი კაცი უნებლიეთ ექვემდებარება იმ სარგებლობასა, რომელსაც იმისი საკუთარი შთამომავლობითი წოდება და ჩვეულება ასურვებინებს; და თუ მედიატორენი იქმნებიან გამრჩევნი, – მაშინ სამართალში თანაბარი მონაწილეობა ექმნება ორსავე მხარეს, – ესე იგი, ნაყმევსაც სწორეთ ისეთივე შეძლება ექნება თავისის სიმართლის აღმოჩენისა, – მისგან აღრჩეულის კაცის მიერ, როგორიც ნაბატონევსა. – განსაკანონებლად ეს დარჩება მხოლოდ, რომ თუ მედიატორენი ვერ და-

თანხმდნენ, – შუა კაციც იყოს იმათის განჩინების განმამტკიცებელი; ამ შუა კაცის აღრჩევა ან იმათვე ექნებათ მინებებული, ან თვითან მოდავეებსა. და 3. ორსავე მხარეს ყოველს შემთხვევაში ის გვიჯობს, რომ რაც ჩვენში გასასამართლებელი გაჩნდება, ადგილობრივ და დაუყოვნებლივ შინაურად დაგვიბოლოვდებოდეს და უბრალო საქმეებისათვის სამართლის ძიება ორსავე მხარეს არ გვაზარალებდეს.

ამასთან ესეც არის საგულისხმებელი, რომ გლეხების მხრით – შეუძლებელია პირველს დროშივე არ დაინახონ, რაც შვება და შემსუბუქება ეძლევათ და ჩვენ ვერც გონიერების ნაკლულევანებას დავსწამებთ ისეთსა და ვერც სიმართლის გრძნობისასა, რომ იმათის მხრით ამ ფრიად შემცირებულის სამსახურისაგანაც განდრეკა გვაფიქრებინოს. მებატონეების მხრით – თვითოეულმა ჩვენგანმა კარგათ ვიცით, რომ პირუთნებელი სიმართლე უნდა იყოს ამიერითგან კავშირად ჩვენსა და ნაყმევთა ჩვენთა შორის; მათთან კეთილ განწყობილებაზე და კეთილს მეზობლობაზედ უნდა ემყარებოდეს შემდგომისათვის საოჯახო მყუდროებაც ჩვენი და რა მიზეზი უნდა წარმოსდგეს როდისმე ისეთი, კეთილ გონიერებისაგან გასამართლებელი, რომ უსამართლოებით ჩვენ იმათ შევაწუხებდეთ და მოცილების მიზეზს მივსცემდეთ.

ამის გამო:

„თუ ნება ყოფლობით მორიგება გაუჭირდათ, ან თუ ჩვეულებაზედ უთანხმოება გამოუვიდათ ნაყმევსა და ნაბატონევსა, ესე იგი: თუ ნაბატონევი ადგილ მამულისათვის გარდასახადსა და ბეგარას იმდენს ითხოვს, რომ ნაყმევი ამბობდეს ჩვეულებით ამდენი ხიზანს არ უხდია, ან მე არ მმართებია ყმობაშიო; – მაშინ ნაბატონევიცა და ნაყმევიცა ვისაც ვინ უნდა, მედიატორეს ამოირჩევენ და რასაც ეს მედიატორეები სვინიდისით განაჩენენ, ორნივე მხარენი იმ განაჩენს დაადგებიან. თუ ერთ ერთმა მხარემ მედიატორეს აღრჩევა არ ინდომა, ან ვერ მოახერხა, – მაშინ – ნაყმევის მაგიერად სოფელი დანიშნავს, – და თუ ნაბატონევმა არ ინდომა, – იმის მაგიერად – უეზდის მარშალი დანიშნავს. – შუაკაცის აღრჩევა თვით მედიატორეებს ექმნებათ მინდობილი, თუ მხარენი არ დაუნიშვნენ; და თუ ვერც მედიატორეებმა ამოირჩიეს, – უეზდის მარშალი დაუნიშნავს.

III. ემჯობინება თუ არა ორისავე მხარისათვის, რომ მუშის მაგიერად ფული გვაძლიონ გადაკვეთით?

ამის პასუხად შემდეგი ჰაზრები არის წარმოთქმული:

„თუ ფასის გადაკვეთაზე ***ბატონი და გლეხი დათანხმდებიან,*** საკმაო იქნება – ხვნისა, ფარცხვისა, მკისა და ლეწვის დროს კაცზედ 50 კ: სხვა დროს 40 კ: ურმით და კევრით მუშაობის მაგიერად 1 მანათი“.

„საჭირო არის გარდაიჭრას დღიური მუშის ფასი ისე, როგორც იმ დროს იმ სოფელში იყოს დაწესებული. თუ როგორმე ფულის მიცემაში გააცოდვილოს გლეხმა მამულის პატრონი და მუშაობა მოუცთინოს, მაშინ ფასი ერთი ორად გამოერთვას“.

„თვითან მებატონემ იცის და გლეხმა, როგორც გარიგდებიან. – წინათგარდაწყვეტით თქმა არ არის საჭირო“.

„შეიძლება ნაცვლად მუშის მოხმარებისა ფული მიიღოს მამულის პატრონმა. ფასის გადაკვეთა ემჯობინება მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც პატრონს მუშა არ დასჭირდება“.

ამ ჰაზრთაგან შეზავდება შემდგომი ორთავე მხარეთათვის სასარგებლო განწესება.

„სადაც თავისუფალი მოსახლე კაცი ისურვებს ან სადაც ადგილ მამულში პატრონს მუშა არა ჰსჭირდება, იქ ბეგარა ფულად უნდა გარდიკვეთოს; მაგრამ მანამდის წერილით მორიგდებოდნენ, გარდაკვეთილი ფული მეტი არსად უნდა იყოს იმ ფასზედ, რაც ქირად ადგილობრივ ეძლევა კაცსა, როგორც ცალიერსა, ისე საქონლიანსა და ურმიანსა. თუ მოსახლემ, წერილით მორიგებამდის, როდისმე, მეტი მეთხოვებაო, საქმე ზემორე მოხსენებულის წესით უნდა გაირჩეს; მაშინ – თუ საჩივარი მართალი აღმოჩნდა, ფულის ზომა იმ ზომაზედ უნდა იქმნეს დაყენებული, რა ზომაც კაცისა და ურმისათვის იმ ჟამად მთავრობისგან იქმნება დაწესებული; და თუ საჩივარი გამტყუნდა, მომჩივანმა ეს დაწესებული ფასი ერთი ორად უზღოს მამულის პატრონსა. აგრეთვე რომელიც ნაყმევი, წერილით მორიგებამდის და ფასის გარდაკვეთამდის, ბეგარაში ნაბატონევის გაწვევით არ გავა, – ეს ფასი ერთი ორად უზღოს“.

IV. პირველი ვადა, რომელზედაც ახლანდელი ჩვეულება შეუშლელად უნდა იყოს, რამდენი ემჯობინება?

ერთიდამ-ექვსამდე და ექვსიდამ ათ-ან თორმეტ წლამდე (1 პირი) ათი წელიწადი ანუ მეტ ნაკლები (22 პირი) ათის წლიდამ თორმეტამდინ (54 პირი) ორი წელიწადი (74 პირი) სამი წლიდამ – 5-მდე (70 პირი) 5-დამ 10 წლამდე (2 პირი) 3-5 წლადმდე (1 პირი), 5-7 წლადმდე (1 პირი).

ამ ჰაზრების დათანხმება მოგხსენდებათ შემდგომში, რა რომ მეშვიდე საკითხავის აღხსნას გავათავებთ.

V. ახლანდელს მოსამსახურეებზედ რას ვიტყვით?

განსხვავებული ჰაზრი ამაზედ არა შემოსულა რა. ჩვენში მსახურნი განკერძოებულს ხარისხს არას შეადგენენ, რადგან უმეტესი ნაწილი იმ ყმათაგან არიან ისინიცა, რომელთაც პირადი თავისუფლება ეძლევათ და ადგილ მამულისათვის ჩვეულებითი გარდასახადი ეწესებათ; მაგრამ აქ სალაპარაკოდ ჩნდება ორი საგანი: ერთი წარმოსდგება ერთის პირის ჰაზრისაგან და მეორე საზოგადო ჩვენის ახლანდელის მდგომარეობისაგან.

ხსენებულის ერთის ჰაზრით შეიძლება მებატონემ ობლები შემოიყვანოს მოსამსახურედ, თუ ნათესავებმა არ ინდომეს გამოზრდა იმათი და იმათის ხარჯის ვალდებულება არ იკისრეს. ეს ჰაზრი ამით უმეტესად არის საფუძვლიანი, რომ კაცობრივი ვალი არის არა თუ მებატონეებისა, ყოველის კაცისა, ვისაც კი შეუძლია, ობლებს უპატრონოს გამოზრდამდის და მერე დააბინავოს, ან იმათსავე ბინადრობაზედ მიაქციოს; – მაგრამ რადგან ეს ჰაზრი არა აწმყოისა, არამედ მომავლისათვის არის წარმოთქმული და მომავალშიაც ისე ბატონყმობის სამაგიერო დამოკიდებულებას არ შეეხება, როგორც საზოგადო კაცობრივს ვალდებულებასა, და თვით ვალდებულებაცა ესე იმ საზოგადო კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, რომელიც ნაყმევთ ობლების მზრუნველობაზედ იქმნება ჰსჯულდებულების წესით დადგინებული; – ამის გამო ჩვენ აქ განსახილველად გვრჩება სხვა საკითხავი, ამ ჰაზრისაგან წარმომდგარი: არიან რაოდენნიმე მებატონენი, რომელთაც უდედმამო, უსახლკა-

რო, უბინადრო ობლები ჰყავთ მსახურათა და მოახლეთა. ახალი დებულება ამ ობლებს არაფერში არ შეეხება, პირადს თავის უფლებას გარდა. ახლავე დათხოვნა ამათი მებატონეს სახლიდამ – შეუწყნარებლობა იქმნება კაცობრიობისა, რადგან ისე წარმწყმედი კაცისა არა არის რა, როგორაც უპატრონობა და უზედამხედველობა, მანამდის სრულს ასაკსა და სრულს გონებას დაადგებოდეს, – უმეტესადრე ქალი. – ვჰგონებ კეთილშიბილობისა და ქრისტიანობის ვალი გვაწევდეს, რომ სადაც ამ გვარი უპატრონო ობლები იმყოფებიან, – იქ იმათი დათხოვნისა და იმათს პატრონობაზედ ხელის აღების ნება არა გვქონდეს; ვიყოლიოთ სახლში, როგორც გვყოლიან და თავისს დროზედ, ესე იგი, რა რომ თავისს საკუთარს ბინადრობასა სახლკარობის მოკიდებას შეიძლებენ, თუ თვითანაც ისურვეს, მამრი დავაბინავოთ ხიზნობისდა გვარად და მდედრი გავათხოვოთ; და თუ სრულ ასაკოვანებმა ჩვენთან ყოფნა ან ჩვენგან ამ გვარი დაბინავება აღარ ისურვეს, მაშინ სრული ნება ექმნებათ ჩვენგან გასვლისა.

ახლა მეორე საგანს უნდა შეუბრუნდეთ: ჩვენში დიდად იშვიათად იპოვება მებატონე, რომ მოსამსახურე ქირითა ჰყავდეს, – და ვჰგონებ ერთიც არ იპოვებოდეს ისეთი, რომ მუახლე მაინც საკუთარი არა ჰყავდეს, ზოგს ყმის ოჯახიდამ გამოყვანილი და ზოგს ცალკე ნასყიდი ან ნამზითვი. უეჭველია, რომ სხვათა შორის ესენიც უნდა განთავის-უფლდნენ ჩვენის მონებისაგან, საზრუნავი ჩვენი მხოლოდ ეს არის, რომ იმათი განთავისუფლებაც იმავე შეურყევლობით მოჰხდეს, როგორც საზოგადოდ ყმებისასა ვჰფიქრობთ და სულ უმოსამსახუროდ არ დავრჩეთ, მანამდის ხელის შეწყობას მოვიხერხებდეთ და მოსამსახურეების დაქირავებას შევძლებდეთ. – რადგან ქვემოდ გვექნება, როგორც მოგახსენეთ, ლაპარაკი ვადის დაწესებაზედ პირველს მორიგებამდის; აუცილებელად საჭიროა, – რომ რასაც ვადას იქ დავაწესებთ, იმ ვადას ჩვენი მოსამსახურეებიც ექვემდებარებოდნენ, თუ თვით მებატონემ თავის ნებით უფრო ადრე არ დაითხოვა; – და თუ თვითან იმათ ისურვეს ჩვენგან გასვლა ვადამდის, რაც იმ ვადამდის დრო დარჩება წელიწადში ხუთ-ხუთი თუმანი გვაძლიონ სხვა მოსამსახურის საქირავებლად.

VI. გლეხების საკუთრებაზედ რას ვიტყვით?

ზემორე მოხსენებულის მეფე ვახტანგის კანონების ძალით, რომლითაც ყოველივე საცხოვრებელი გლეხისა ბატონს ეკუთვნის, გლეხს ნასყიდი აქვს რამე თუ სხვაგვარად შეძინებული, ბატონისა არის ყოველივე. მაგრამ სოფიზმოცა და უსამართლოებაცა ყოველივე ღმერთმა გვაშოროს. მართალია ქვეყნის ჩვეულებით და კანონთა-მებრ, ყმა თუ იყიდდა რასმე, ბატონის ნებართვით იყიდდა, და ბატონიც იმისთვის აძლევდა ნებასა, რომ კაცი გაკეთებულიყო და ბატონისათვისაც უკეთ ემსახურნა; მაშა სადამე გლეხი ამ შემთხვევაში ბატონისასვე ჰხარჯავდა, ესე იგი, ფულსა თუ საქონელსა, რომელიც ბატონს ყოველთვის ნება ჰქონდა გამოერთმია; მაგრამ უფლებაცა ესე ჩვენი ამ ჩვენს ერთმანერთის მოცილებაში დაგვითმია ჩვენის ყმებისათვის და სრულიად რომ აღარ ვეცილებით არა ვითარს მოძრავს საკუთრებაზედ, რაც უძრავი საკუთრება აქვთ შეძენილი, ისიც იმათთვის მიგვინებია, რომ ჩვენგან ამ საკუთრებისათვისაც სრულიად აღარა მოეთხოვებოდეთ-რა. აქ შევალთ ამ საკითხავის დაწვლილებითს განხილვაში მხოლოდ ამისათვის, რომ უსამართლოების მორიდებასთან ბიწიერება არა შემოგვეპაროს რა, წარმწყმედი კაცისა და მავნებელი საქვეყნო რიგისა.

თავით თვისით იგულხმების, რომ უძრავის საკუთრების სამართალი იქ დაითვლება შეუვალად, სადაც ან საფუძვლიანი შეცილება არავისგან არის, ან სადაც წერილობითი საბუთი არსებობს. თუ ჩვენ თვითან ვიტყვით სადმე, საკუთარის ჩვენის სვინიდისის შეგონებითა, რომ ამა და ამ ჩემს ნაყმევს ამა და ამ ადგილ მამულზედ არ ვეცილები და იმისს საკუთრებად აღმიარებიაო, იქ ნაყმევს, რა საკვირველია, სხვა საბუთი აღარა ეკითხება რა; და სადაც ამას არ ვიტყვით, ან ვერ ვიტყვით; ესე იგი სადაც საბუთის მოთხოვნა აუცილებელი შეიქნება, იქ დამამტკიცებელ საბუთად თუ შინაური ბარათი შევიწყნარეთ, ვინღა და რაღა გვარწმუნებს, რომ ერთის ამ გვარის ბარათის მაგიერად ასი და ათასი არ გაჩნდეს ხელ ახლად შედგენილი და გაკეთებული? კაცის გული ადვილი წარსატაცებელი არის ამ გვარს შემთხვევაში და ადვილად მიჰყვება განზრახვასა, კანონთა მიერ სასტიკად განსაპატიჟებელსა. როდესაც საქართველოში აზნაურობისა და თავადობის ღირსების დასამტკიცებელად წერილობითი საბუთი გვეთხოვებოდა,

ამ შემთხვევამ რამდენი ყალბი საბუთი დაჰბადა მაშინ, – რამდენი კაცი აღმოაჩინა ძიებამ დამნაშავედ კანონის წინაშე და ექსორია-ჰქმნა მშობელის ქვეყნიდამ; რამდენად თვით მმართებლობას დაუმძიმდა გარკვევა საქმისა და მრთელი საზოგადოება რამდენად დააბრკოლა ამ საქმემ, რომ 1830-დამ 1850-მდე ვჰშთებოდით თვითქმის ყოველნივე ჩვენს შთამომავლობითს ღირსებაზედ დაუმტკიცებელად, – ეს გვახსოვს ყოველთავე და მოეხსენება თვით მთავრობასაცა.[22] – მიუცილებელად ვჰხადით ჩვენს ვალდებულებასა, რომ ამ გვარი განსაცდელი განვაშოროთ ქვეყანასაცა და ამ ქვეყნის შვილთაცა. შესაძლებელია, რომ ამ ჩვენმა მოვალეობამ და ჰაზრმა, რომელსაც ეს მოვალეობა ქვემორე გვათქმევინებს, კერძოობითად უსამართლოება დაჰმართოს ვისმე; რადგან შესაძლებელია, რომ უბრალო შინაურის ბარათით შეძინებული საკუთრება ჰქონდეს ზოგი ერთს ჩვენს ყმათაგანსა; მაგრამ ამ გვარს უსმართლოებას ვეღარ მოვერიდებით, რადგან ერთის და ორის ზარალი არ უნდა შეაყენებდეს მრთელის საზოგადოების სარგებლობისათვის დაწესებულს განკარგულებასა და თვით ზარალიცა, თუ დაემართა ვისმე, საგრძნობელი ჩვენის ყმებისათვის არა ვისთვის იქნება, ამად რომელ ახლანდელს იმათს ყოფა ცხოვრებას არ ვეხებით და რასაც ადგილ მამულსა ჰხმარობენ, არას ვართმევთ. – ამის გამო საჭიროდ ვჰპოვებთ შემდგომს განწესებასა:

„რომელსაც ნაყმევს თავისს ყმობაშივე უძრავი საკუთრება შეუძენია რამე ისეთი, რომ ამ შენაძენზედ ან ნაბატონევი არ ეცილება, ან კანონიერი წერილი უჭირავს, სასამართლოს ადგილის ჯეროვანის წესით დამტკიცებული, ამ საკუთრებაზედ ნაბატონევს ხელი აღარა აქვს და თვითან ნაყმევს სრული ნება აქვს ისე იხმაროს, როგორც კანონიერმა პატრონმა“.

მომავლისათვის შესაძლებელია ყოვლითურთ გაადვილებულ ექმნეთ ჩვენს ნაყმევებს შეძინება ადგილ მამულებისა და ამის გამო დებულების პროეკტში ოთხიოდ მუხლი არის შეტანილი და დაფუძნებული ერთის მხრით იმ წესზედ, რომლითაც უწინ ყმები თავს დაიხსნიდნენ-ხოლმე, – და მეორეს მხრით – იმ დებულების მიხედვაზედ, რომლითაც მმართებლობის ხაზინა რუსეთში ხელს უმართავს ნაყმევებსა დაკვეთილის ადგილების შეხსნაში. –

VII. იმ ხიზნებზედ რა ითქმის, რომელნიც ყმანი არიან ერთისა და მამულსა ჰხმარობენ მეორისას?

რადგან ყოველი თავისუფალი კაცი მხოლოდ იმ ვალდებულებას ექვემდებარება, რაც ადგილ მამულის ხმარებისათვის ჰსწესდება; ამის გამო ხიზანი სახაზინოს უწყებისა, საეკკლესიოსი თუ საბატონო, ყოველივე, როგორც თავის უფალი კაცი, მარტო იმ ხარჯსა და სამსახურს უნდა ეწევოდეს, რაც ხელმწიფობისა ემართება და ადგილ მამულის პატრონისა; თავისს ნაბატონევთან დამოკიდებულება სრულიად აღარა ექმნებარა, ზნეობითს დამოკიდებულებას გარდა, რომელსაც აწარმოებს მადლობა განთავისუფლებისათვის და კეთილ განწყობილება მეზობლობითი ურთი ერთ-არს შორის.[23]

ამ საკითხავების ახსნას გარდა, ახალს დებულებაში განმარტებით მოსახსენებელი გვრჩება კიდევ ორი საგანი: ***ა) ვენახები ჩვენის ყმებისა და ბ) წესი იმათის გადასახლებისა ერთის ადგილიდამ მეორეზედ.***

ვენახებზედ

რაც ჰაზრები არის წარმოთქმული, ამითი განსხვავდებიან, რომ ზოგი კულუხს აწესებს მოსავლის მეშვიდედსა, ზოგი მეხუთედს; ზოგი მესამედსაც და ზოგი ამას ამბობს, რომ ნახევარი ყმისა იყოს ვენახი და ნახევარს პატრონისათვის შეიმუშავებდეს, იმასაც სანახევროთაო; ესე იგი პატრონს ეკუთვნოდეს მეოთხედი; ზოგი ამას ამბობს, რომ რაც ვენახი ყმისაგან არის გაკეთებული და ოფლით გაშენებული, ამ ვენახებზედ იმათის ღვაწლის სიმართლეს არ უნდა შევეხებოდეთო.

ყოველს ამ ჰაზრს თავ თავისი მიზეზები აქვს, მეტად თუ ნაკლებად საფუძვლიანი. მაგრამ რა რომ ერთხელვე ითქმის, განთავისუფლებული კაცი ადგილ მამულისათვის პატრონს იმასვე უნდა აძლევდეს, რაც უძლევია, ან რასაც ხიზანი აძლევს, ნება ყოფლობით მორიგებამდისო; თავით თვისით იგულხმება, რომ აქ აღარცა რა ვენახებზედ ითქმის იმას გარდა, რაც გადასახლების გამოისობით გვექმნება დასაწესებელი.

სწორეთ ეს საგანი გვრჩება ახლა განსაკანონებელად; ესე იგი: – გლეხების გადასახლება ერთის ადგილიდამ მეორეზედ.

საზოგადო წესითა და კანონით, თავის უფალი სახელმწიფო კაცი რომ ერთის სოფლიდამ სხვაგან გადასახლებას განიზრახავს, თავისი სოფლის საზოგადოებას ყოველი თავისი ვალდებულების ანგარიში უნდა გაუწმინდოს და მოწმობა მიიღოს, რომ იმისს გასვლას დაბრკოლება არა აქვს რა; და სადაც ესახლება, იქაური საზოგადოებისაგანაც მოწმობა უნდა ჰქონდეს, რომ ამისს იმათში ჩასახლებაზედ თანახმანი არიან. უამისოდ სახელმწიფო გლეხის აყრა-დაყრა მთელ იმპერიაში აღკრძალული არის. ეს წესი თვით მმართებლობის მიერ არის დასაცველი და, მაშა სადამე, ჩვენ ამაზედ ლაპარაკი არ შეგვეხება. ჩვენი განსასჯელი არის აქ შემდგომი სამი გარემოება:

ა) ახლავე ექმნებათ ნაყმევებს ნება აყრა-დაყრისა, თუ ვადა განწესდება რამე?

ბ) ადგილის პატრონს ექნება ნება დათხოვნისა თუ არა?

გ) როდესაც გარდასახლება მოჰხდება, რა ვალდებულება უნდა შესრულდეს გლეხსა და მეპატრონეს შორის?

ამ სამთა კითხვათაგან ***პირველის*** ასახსნელად უნდა ვჰსთქვათ, რომ სადაც თავის უფლება არსებობს თავით თვისით იგულხმება, რომ კაცს ნება უნდა ჰქონდეს, როგორც თვითან ამჯობინებს ისე იცხოვროს და ბინაც თვითან აირჩიოს. მაგრამ გარეშე-უწერელი თავის უფლება კაცისა შეუძლებელია საზოგადოობათა შორის, რადგან დამარღვეველი იქმნებოდა ყოველის მოქალაქეობითის წესისა და დაწყობილებისა; ამ მიზეზით არსად არსებობს ჰსჯულდებულება ისეთი, რომ კაცის თავის უფლებისათვის საზღვარს არ აწესებდეს, საზოგადოობათა და ხელმწიფობათა მყუდროების დასაცველად. თვით ამ ჩვენს მხარეზედაც არის ამისი მაგალითი:

1846-ში რომ ნეტარ ხსენებულმა ნიკოლაოზ I-მა აღალარებს მიანიჭა და ბეგებს დაუმტკიცა ადგილ მამულები საკუთრებად, – რა დამოკიდებულება უნდა ჰქონიყოთ ურთიერთარს შორის ახალს მემამულეებსა და იმ მამულებზედ მოსახლე კაცებსა, ამაზედ გამოვიდა დებულება 1847-ში და ამ დებულებით ვადა არის დაწესებელი 3-ს წლისა, – რომ ამ ვადამდის თავის უფალს გლეხს ნება არ ეძლევოდა ერთის ადგილიდამ მეორეზედ გარდასვლისა; ამას გარდა სახანო გვარის მამულის კაცს სრულიად აღკრძალულ-ექმნა გარდასახლება სახაზინო

მამულებზედ. – მიზეზი ამ განწესებისა, რომლითაც ესრედ შეზღუდვილ იქმნა ნება მარად თავის უფლებაში ყოფილთა კაცთათვის, იყო ორ გვარი: ჯერ – მმართებლობის სურვილი, რომ ხალხი ერთბამად არ არეულიყო, რადგან კაცობრივის ბუნებისაგან საფიქრებელი იყო, – მრავალნი მხოლოდ იმისთვის აიშლებოდნენ, რომ დამოუკიდებლობა თვისი ბეგთაგან საქმით გამოეცადნათ, და მერე – ყურად ღება მმართებლობისა ბეგთა და უმეტესადრე სახანო გვარის წევრთა მიმართ, რომ ხალხი სრულიად არ შემოსცლიყოთ და ყოვლისა საცხოვრებელისაგან დაცლილად არ დარჩენილ იყვნენ, მანამდისინ ხალხი ახალს დაწესებას არ გაიგებდა და თავისს უმჯობესს მდგომარეობას თვალით არ დაინახავდა. გვსმენია და ვიცით, რომ ხანები და ბეგები თუმცა პირველში დაჩაგრულად ჰსთვლიდნენ თავის თავსა, რადგან თვით მნებელობაცა მათი შეყენებულ იქმნა; – მაგრამ საზოგადოდ ხალხი დიაღ მალე მიჰხვდა თავისს მდგომარეობასა და თავისებურად მადლობას გამოსთქმიდა მმართებლობის მიმართ. – ახლა დამოკიდებულება იმათში ყოვლითურთ დამყუდროებული არის, თუ სხვა მიზეზი არა მიეცათ რა აღმრევი.

თუ ის საფიქრებელი იყო, რომ გარდასახლების ნების მიცემა საზოგადოობის დაწყობილებას შეარღვევდა, – მაშინ, როდესაც ბატონ ყმობა იქ არც უწინარეს არსებულა; – აქ უფრო გასაფთხილებელი არის, რომ აირევა ხალხი, თუ ახლავე აყრა-დაყრის ნება მიეცა გლეხებს, რომელნიც მარადის მონებაში იყვნენ აქამომდე; და ამ არევისაგან წარმოსდგება უწესობა, სამგვარად საწუხარი: ა) შეიშლება და დაბრკოლდება ყოველივე ანგარიში და მოქმედება მმართებლობისა; ბ) უკიდურესად გაღარიბდებიან გლეხნი, რომელნიც ასე საჩქაროთ აიშლებიან, – და უეჭველია უმრავლესი მათგანი ამ აშლაში იგულებს თავის უფლების დამოწმებასა; და გ) სრულიად დაეცემიან მებატონენი. ამ გვარი რყევა რომ წინასწარვე არ ვიფიქროთ და მმართებლობაც არ გავაფთხილოთ, დანაშაული დაგვედება მის წინაშე.

ყოვლისავე დაწესების უსამჯობინარესი ეს იქნებოდა, რომ პირველის ნება ყოფლობითს მორიგებადმდე, ესე იგი, ამ მორიგების ვადის გასვლამდე, ერთის ადგილიდამ მეორეზედ გარდასახლების ნება არავის ჰქონიყო, მაგრამ რადგან შეყენება ესე თავისუფლებითის მოქმედებისა შეუფერებელი იქნება საზოგადო სურვილისათვის, – აუცილებელად საჭირო არის ვადა დაწესდეს იმდენი მაინც, რამდე-

ნიც სათათრო ქვეყნებისათვის იქმნა დაწესებული, ესე იგი ***სამი*** წელიწადი, რომ დღიდამ ამ დებულების გამოცხადებისა, სამს წლამდინ ნება არავის ჰქონდეს, არც მებატონეს აყრისა და არც ნაყმევს გარდასახლებისა, თუ ორნივე მხარენი ნება ყოფლობით თანხმანი არ იქნებიან. ამას გარდა, თუ ჩვენც ღირსნი ვართ ამ გვარისავე უხვი მოწყალებისა, რომელიც სახანო გვარებზედ იქმნა მივლინებული და თუ თხოვნა წყალობისა ამის გაგვებედებოდეს, გულს მოდგინებით ვითხოვოთ, რომ დროდმდე ამ ვადის გასვლისა, რომელიც პირველის მორიგებით იქმნება დაწესებული, – აღკრძალულ იქმნეს სიღნახის უეზდში გადასახლება ნაყმევთა სახელმწიფოსა და საეკკლესიო ადგილ მამულებზედ; რადგან რომელთამე იქაურთ მებატონეთა გლეხნი სახელმწიფო და საეკკლესიო მამულებზედ ისე მახლობლად უსახლობენ და ეს მამულებიც ისე უხვად არის; რომ ნაყმევნი მაშინვე გადავლენ ამ ადგილებზედ და ნაბატონევნი ცხოვრების ღონის ძიებას ყოვლითურთ მოაკლდებიან, – მაშინ, როდესაც განთავისუფლებულს გლეხს მიზეზი გარდასახლებისა არა ექმნებარა ერთის მხოლოდ გამოცდის მეტი, მართლად თავის უფალნი ვართ თუ არაო; – ამად რომელ, უწინდელს მდგომარეობასთან შესადარებლად, შემსუბუქება დიდი ეძლევა და კეთილ წარმატებაცა მისი უფრო უსათუო იქნება მისს ახლანდელს ბინადრობაზედ.

მეორე საკითხავის ასახსნელად უნდა ვჰსთქვათ, რომელ ბუნებითის კანონით, პატრონს სრული თავის უფლება უნდა ჰქონდეს, როგორცა ჰსურს თავისი საკუთრება ისე მოიხმაროს; მაგრამ, იმავე კანონით, გარეშეუწერლობა თავის უფლებისა არც ჩვენთვის უნდა არსებობდეს; და ამის გამო სადამდისაც ჩვენს მამულზედ მოსახლეს გლეხებს არ ექმნებათ ნება გადასახლებისა, არც ჩვენ უნდა გვქონდეს ნება დათხოვნისა; ესე იგი დაწესებულის 3-ს წლის გასვლამდინ. მაგრამ რადგან ისეთი შემთხვევაც შესაძლებელია მოხდეს, რომ გლეხის დათხოვნა აუცილებელი იყოს; ამის გამო ზემორე მოხსენებულის ვადის გასვლამდის ნაბატონევს ნება უნდა ჰქონდეს ნაყმევის დათხოვნისა, როდესაც სოფლის ხალხი იტყვის, როგორც რიგია სასოფლო განჩინებითა, რომ ესა და ეს კაცი ამრევია ქვეყნისა და მავნებელია საზოგადო მშვიდობიანობისა და მყუდროებისათვის თავისი განსაკიცხავი ყოფა ქცევითა, ანუ თუ გაურჯელობა და დაუდევნელობა სჭირს ისეთი, რომ სოფელში მოსათმენი არ იყოს.

ამ შემთხვევას გარდა და საზოგადოდ ნებაყოფლობითს მორიგებამდის ნება არ უნდა გვექმნეს ერთის ჩვენის ადგილიდამ მეორე ჩვენსავე ადგილზედ გლეხების გადაყვანისა, თუ იმათი სურვილიც არ არის.

მესამე საკითხავის ასახსნელად უნდა ვჰსთქვათ, რომელ ქვეყნის ჩვეულებათა და ძველთა კანონთამებრ, გლეხი რომ საბატონო მამულიდამ აიყრებოდა, ნახევარს თავისს საცხოვრებელს პატრონს დაუტევებდა; და რადგან პატრონს მოძრავისაც ნახევარი ერგებოდა და უძრავისაც, საქმით თითქმის ყოველთვის ისე გამოდიოდა, რომ ყოველი შენობა ადგილის პატრონსა ჰრჩებოდა და საქონელი თუ ხორაგი – ყოველივე გლეხსა.

ამ ძირეულის ჩვეულების დასარღვევი პატივ-სადები მიზეზი არც არაფერი ამ ჟამად წარმოსდგება, რადგან, – შემდგომ პირველის ვადისა, – გლეხის ერთის ადგილიდამ მეორეზედ გადასვლა მოხდება მხოლოდ იმისი საკუთარის კეთილის ნებით, – ან – მხოლოდ ერთს შემთხვევაში – სოფლის განჩინებით; და ნაბატონევების მხრით არც იმ ვადის გასვლამდის და არც პირველს ნება ყოფლობით მორიგებაში – მიზეზი არა მიეცემათრა აყრისა. შემდგომში გადასახლება რა რიგათ და რა პირობით უნდა მოხდებოდეს ხოლმე, – ნება ყოფლობით გარიგებაში იქნება დასაწესებელი. ამის გამო რომელიც თავის უფალი მოსახლე ნაბატონევის ადგილიდამ სხვაგან გადასახლდება, – მოძრავს საკუთრებას, ესე იგი საქონელსა და ნივთეულებას ყოველსავე თვითან წაიღებს და უძრავსა, ესე იგი შენობასა და ნაშენსა, რაც იმის ადგილზედ აუგია და გაუკეთებია, ყოველსავე პატრონს დაუტევებს. მაგრამ თუ ამასთან აღმოჩნდა, რომ წამსვლელს მოსახლეს ვენახი გაუფუჭებია განზრახვით თუ დაუდევნელობითა, ესე იგი, თუ ვაზები არ გამოუწოვნია, ან დროთი აღარ შეუმუშავებია და ამით წაუხდენია; მაშინ პატრონს ზარალი უნდა უზღოს, მედიატორეების განჩინებით, თავისი მოძრავი საკუთრებიდამ.

ასე დასრულდება, როგორცა ვჰგონებ, ყოველი ჩვენი ჰაზრი ყმების განთავისუფლებისა და შემდგომისათვის ახალის დაწყობილების შესახები.

დაგვშთება ახლა სალაპარაკოდ საგანი, დიდად სამძიმო ჩვენთვის და დიდის გულ დასმით განსახილველი.

ერთდროებითად შემწეობის თხოვნაზედ

შარშანდელის 30-ის აპრილის განწესების პირველი მუხლის ძალით ფული უნდა ვითხოვოთ.

მიზეზნი, ამ თხოვნის მაიძულებელნი

ჯერ ნება მიბოძეთ, რაც ამ ფულის თხოვნაზედ ჰაზრები წარმოთქმულა, შემოკლებით მოგახსენოთ:

ორნი ამბობენ: „გლეხები აქამომდე თავს იხსნიდნენ და ახლაც შეუძლიათ თავი დაიხსნან იმ ფასით, რაც დაწესდება ჩვენის დასაკლისის შედარებით“.

სამოც და თოთხმეტნი: „რა რომ გლეხები განთავისუფლდებიან, აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამომზრდელი ძიძა. – ვალი გვმართებს მრავალი და ამ ვალის მიზეზი არის სადავო საქმეების წარმოება. არ არის ჩვენში არც ერთი გვარი, რომ თავისი უფლება ყმასა და მამულზედ სუდის წესით არ დაემტკიცებინოს: ენა არ გვესმოდა, ახალი კანონები არ ვიცოდით, ჩვეულებითი წესი მოგვეშალა, რომლითაც სადავო საქმე სახალხოდ და სიტყვიერად განიხილებოდა ხოლმე და ქაღალდების წერაში გვეხარჯებოდა თვითო არზაზედ თუ აპპელაციაზედ სამასი მანათიდამ ათასამდინ. – გზები არ გვაქვს, რომ მოსავალს ღირებული გასავალი ჰქონდეს; დრო არა გვქონია, სასოფლო მომჭივნეობა სამჯობინარად განვრცელებულ იყო, ყოველ წლივ შევიჭურვებოდით ხოლმე და რუსეთის მხედრობასთან საზოგადო მტერს ვებრძოდით; აქედამ შესდგა, რომ ვალებში ჩავსცვივდით და ახლა ამას ეს საქმე დაჰყვა და უსათუოდ ყოველი საცხოვრებელი უნდა მოგვესპოს, თუ კანონით დაწესებული ფული არ მოგვეცა ყმის სამსახურის სამაგიეროდ“. –

ერთი პირი: „პირადი უფლება მებატონესი ყმებზედ უნდა დახსნილ იქმნეს მიწებით თუ ფულით როგორც მმართებლობა ინებებს“.

ორმოც და რვანი: „არ არის არც ერთი კეთილ შობილის ოჯახი, რომ ვალებით დატვირთული არ იყოს. ეს სამძიმო მდგომარეობა წარმოსდგა ამ საუკუნეში სხვა და სხვა გარემოებისაგან და ნამეტნავად სასამართლოებში ბრძოლისაგან ჩვენს ყმებთან ანუ ურთი ერთს შო-

რის, ასე რომ გვარი არ არის, რომ თავისი ყმა და მამული დიდის ტანჯვითა და ხარჯვით არ გამოეხსნას დავისაგან და განევლოს რუსეთის მთავრობის სამსჯავროები ერთხელ ანუ ორჯელ. ესე ვალი ისე აღორძინებულია ყოველს საგვარეულოში, რომ ყოველს ოჯახს ექადის დაცემა და აოხრება. ამის გარდახდა აქამომდე არავის შეეძლო, რადგან ჩვენი მხარე, გარე მოცული კავკასიის მთის ხალხთაგან, ისეთ აღშფოთებულს განუსვენებელს მდგომარეობაში იყო 1859-მდე,[24] რომ ყოველს სახლში ვინცა ვინ ასაკოვანი იყო, დაიარაღებულნი დარაჯობდნენ თავისს სახლობას უეცრად მტრის ზედა დასხმისაგან, – და ამას გარდა მრავალნი მათგანნი უმეტესს ნაწილს წელიწადისას განატარებდნენ სამსახურში თავის სახლობისაგან განშორებულნი და ამისთანა მდგომარეობაში ნუ თუ შესაძლებელ იყო ჩვენგან გაუმჯობესობა ყმისა და მამულისა და შემოსავლით ვალების გარდახდა? ახლა, გლეხების განთავისუფლების შემდეგ, უეჭველად უარესს იწროებაში ჩავვარდებით თუ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ხელს არ აღგვიპრობს“.

ერთი: მრავალნი თავადნი და აზნაურნი სხვა და სხვა სამეფოთა და სამთავროთგან გადმოვსულვართ საქართველოში და ზოგი ყმა თან მოგვიყვანია, ზოგი აქაურს მეფეებს მოუნიჭებიათ სარწმუნოებისა და მეფობის თავდადებით სამსახურისათვის. ჩამორთმევა ყმებისა არას ოდეს მომხდარა მეფეთაგან, თუ არ ქვეყნისა და ჰსჯულის ღალატისათვის. 18 სეკტემბრის 1801-ის მანიფესტი რომ გამოგვეცხადა,[25] რომლითაც იმპერატორის სიტყვამ გვარწმუნა, რომ ყოველივე ჩვენი სამართალი, ესე იგი ჩვეულება და კანონი ხელ შეუხებლად დაჰშთებოდა, – მას მერმეთ მრავალთა ვიყიდეთცა ყმანი, სასამართლოებში დავიმტკიცეთ რუსეთის კანონთამებრ და პოშლინაცა ჯეროვანი გავიღეთ; ზოგმა ვალით იყიდა ყმა და ბევრს ეს ვალი ჯერაც გადუხდელი აქვს. – მტერი რომ გარს გვეხვია, სხვათა გაჭირვებათა შორის ესეც ჰხშირად მოჰხდებოდა, რომ ჩვენი ყმები ტყვეობაში ჩაცვივდებოდნენ და მაშინ მებატონენი დიდის წარსაგებელით, ვალით, ხშირად ადგილ მამულის დაგირავებით და ხშირად თავის გაწირვითაც, გამოიხსნიდნენ და ყოვლითურთ ხელს შეუწყობდნენ, რომ გამოკეთებულ იყვნენ როგორმე. – თვით მმართებლობამ იცის, რომ ჩვენს შორის თითქმის არ იპოვება მებატონე, რომ ყმა და მამული დაგირავებული არა ჰქონდეს ან ხაზინაში, ან პრიკაზში,[26] კერძო პირებთან და ამ ვა-

ლებს ვიხდით შეძლებისამებრ იმ შემოსავლისაგან, რაც ყმებიდამ შემოგვდის. ყმები რომ განთავისუფლდებიან, მაშინ ან ვალებით რიღათი გადავიხადოთ, ან ცხოვრება ჩვენი რაღაზედ დავაფუძნოთ. ადგილ მამულებმა რომ უხვათაც გვაძლიონ მოსავალი, უგზოობის გამო გასავალი არ ექნება; ქარხანა არა გვაქვს რა; ხელოვნება არა ვიცით რა; სხვა საცხოვრებელის ღონის ძიება არა მოგვეპოვება რა, თუ მმართებლობამ მონაწილეობა არ მიიღო ჩვენს უზომოს, მაგრამ აუცილებელს მსხვერპლში და ფულით ხელი არ გაგვიმართა. – ცალკე წარმოდგენილის აღრიცხვითა ჰსჩანს, რომ ჩვენი ყმები რომ განთავისუფლდებიან, ჩვენ მოგვაკლდება მათგან შემოსავალი კომლზედ 96 რუბლიდამ 240 რუბლამდის წელიწადში. – ვალები რათ დაგატყდათო, თუ იტყვიან, აი ამის მიზეზებიცა: 1. 1812 წლიდგან, შეგონებითა ბოროტ განმზრახთა კაცთათა, იწყეს ჩვენმა ყმებმა თავის უფლების ძიება, ზოგმა სახაზინოდ, ზოგმა საეკკლესიოდ, ზოგმა ტყვეობისა გამო; ჩვენ რომ საქმეში გამოცდილება არა გვქონდა, სასამართლოს წესი რომ არ ვიცოდით, რუსული ენა არ გვესმოდა და წერა არ შეგვეძლო, – საქმის დევნას რომ ათსა და ოცს წელიწადს უნდებოდით, – რუსული არზები და აპელაციები უნდა გვეწერინებინა, თვითან რამდენ გზის სახლს უნდა მოვშორებ-ვიყავით, ხან უეზდის ქალაქში გვეცხოვრა, ხან ტფილისში; – ხარჯი გვეწია, ქაღალდის ფულები და შტრაფები გვეხადა; – ამას ყოველსავე ფული მრავალი უნდებოდა და ფული თუ არ სესხითა და დიდის სარგებლით, სად გვეშოვებოდა? ამას გარდა მმართებლობის გამოწვევით მტერზედ გავლაშქრდებოდით ხოლმე და ცხენითა და იარაღით გამოწყობისათვის მოსამსახურეებისა და ჩვენის საგძლისათვის და ექვს თუ რვა თვეს სახლს გარეთ ყოფნისათვის ხარჯი ბევრი გვჭირდებოდა და ღონის ძიება კი არსად იყო, თუ არ იგივე ვალი. – სხვა და სხვა დროს მრავალი ამ გვარი შეგვმთხვევია კერძოთ მმართებლობის მიერ, რომელთაც აქ დასახელება უადგილო იქმნება – და ან უკეთუ მმართებლობა ყმათა ჩვენთათვის ჰზრუნავს, ნუ თუ ჩვენ შეცოდება მიგვიძღოდეს რამე, რათა არა უმეტეს გლეხთა ჩვენთვისაცა იზრუნოს“.

საბნი: „გლეხნი შეადგენენ ჩვენს უმთავრესს საცხოვრებელსა და ახლა რადგან უნდა განთავისუფლდნენ ჩვენის დამოკიდებულებისაგან, ამით გამოვითხოვთ ფულსა, რომ ამ ფულითაც არის შევიძლოთ როგორმე ცხოვრება“.

ერთი: „გლეხნი ჩვენთა წინაპართაგან და ჩვენგან არიან შეძინებულნი, ზოგნი მეფეთაგან წყალობით და ზოგნი სყიდვით; მაშა სადამე არ მიეღებისთ მებატონეთა არც ძველის კანონითა და არცა რუსის კანონით საკუთრება, თუ არ დიდის დანაშაულისათვის“.

სამოც და ცხრანი: „ჩვენის წარსაგებელში მონაწილეობის თხოვნა დიდად შემცირებული არის: ორ გვარს სარგებლობას გარდა, გლეხებისაგან და ადგილ მამულისაგან რომ შემოგვდის, – ეს უფლება გვაქვს კიდევ, რომ კომლზედ თვითო სულს შინ მოსამსახურედ გამოვიყვანთ; უმცირესი ფასი მოჯამაგირესი არის 6 თუმანი წელიწადში. – ამ ჩვენს უფლებასაც რომ ვაკლდებით ახლა პირველის კატეგორიის შემოსავალთან, ერთ დროებითაც იმდენს ფულს ვითხოვთ, რომ კომლობის ანგარიშით, წელიწადში 6 თუმანს სარგებელს გვაძლევდეს“.

ერთი პირი: „სიღარიბისა გამო ჩვენში ჰსწავლა და განათლება არ არის; უწინდელის ჩვეულების მუშაობით დღიური საზრდო არ გამოდის და ახლანდელი არ ვიცით. – ევროპიელი ოსტატი, ვისაც მცირედი ღონის ძიება გვაქვს, ფულით ვერ გვიშოვია და თუ გვიშოვია როდისმე, სხვა და სხვა ზავედენიები გაგვიკეთებია და როდესაც სხვა და სხვა მიზეზებით ჩვენის ხელიდამ გასულა ოსტატი, მაშინ აშენებული მოშლილა, გაუკეთებელი დარჩენილა და ჩავვარდნილვართ ვალში. ვისაც ღონის ძიება გვქონია ჩვენი ყმის შვილები გაგვიზდია სხვა და სხვა ხელობაში; – რომ განთავის უფლდებიან, რაც საოსტატო ხარჯი მოგვსვლია, ისიც უნდა დაგვეკარგოს. – გზები არ გვივარგა და არცა რა ვინ აკეთებს; აღებ-მიცემა ჩვენ არ ვიცით და არც ვაჭრობა ჩვენი თვისებაა; – ღონის ძიებაც რომ გვქონდეს, ამისთვის არა ვართ მომზადებული; – ჩვენი მამულები გარჩეული არ არის, როგორც სახელმწიფო მხრიდამ, აგრეთვე კერძო პირებთან და ჩვენი საკუთრება არ ვიცით. – ჩვენი სიმდიდრე არის დამოკიდებული ვენახზედ, ოთხ ფეხ საქონელზე და ურემზე, ვენახს მივსცემთ სანახევროდ, მაგრამ გავრცელება უყმოთ აღარ შეიძლება, როგორც აქამდინ ჩვენის ყმის მუშაობით უმატებდით; ურმისა და ოთხ ფეხის შენახვა, თუ თვითონ ჩვენ მეურმეთ და მწყემსად არ გავხდებით, ვერც ერთს ვერ ვიყოლიებთ, რადგანაც ჩვენში ფული არ არის; ბატონ ყმობის მოვალეობა და შიში დიდს განსხვავებას აძლევს ყმათა მოჯამაგირეებზედ, რადგანაც მწყემსად და მეურმეთ გამოგვყავს საუკეთესო ოჯახიდამ, რომელთაც შეუძლიათ ბატონის ზარალის ზღვევა, რაც იმათ ხელში მოხდე-

ბა. – სიღნახის უეზდის მებატონეთ უნდათ ბევრი მსახური და მწყემსი, რადგანაც შეზღუდულნი არიან ლეკთა და თათართაგან, რომელნიც ჩვეულნი არიან ქურდობასა და ავაზაკობასა და კახეთის მდებიარებაც აძლევს მათ დიდს შემწეობას მით, რომელ ჩვენი სოფლები დგანან ერთს მთაზე, აქეთ და იქით ორივე მხარეს აქვს ცარიელი ადგილები ძალიან გრძლად. ჩვენი მამულები რომ საღალეთ მივსცეთ ვისმე თავისუფალს კაცსა, სათქმელი შემოსავალი არ გვექნება, სიბევრის გამო სახელმწიფო და საეკკლესიო მამულებისა“.

ოთხმოც და ჩვიდმეტნი (ამათ შორის ზემორე მოხსენებულნი 69-ცა): „დრომ მოითხოვა და ყმებს თავის უფლება უნდა მიეცეს; უმსხვერპლოდ ეს არ მოხდება; მაგრამ ჩვენ არ ვჰგონებთ, რომ საზოგადო საქმისათვის მსხვერპლი მოეთხოვებოდეს მარტო ერთს ნაწილს საზოგადოებისასა და არა მრთელს საზოგადოებასა. – უსასყიდლოდ გაუქმება მებატონეების უფლებისა უსამართლოება იქმნებოდა. შრომა ყმისა სხვა არა არისრა ჩვენთვის, თუ არ სარგებელი ჩვენის თავნისა; კერძოობითმა პირმა, ან ხაზინამ, რომელსაც ფული აქვს ვისიმე, პატრონს რომ თავნი აღარ მისცეს, აქაო და სარგებელი თავნისოდენი ან თუნდაც მეტი აგიღიაო, – რა კანონიერი პასუხი იქნებოდა? საზოგადო სარგებლობა კერძოობითთა სარგებლობათაგან შეჰსდგება და დარღვევა ერთისა დამარღვეველ ექმნება მეორესაცა. არსად არსებობს უფლება ისეთი, ერთს ვისმე საკუთრებას უსასყიდლოდ ჩამოართმევდეს სხვისთვის მისაცემად. გლეხების შრომაზედ რომ უფლება მიგვიძღვის, ჩვენი ბრალი კი არ არის ესა, – კანონის ბრალია, რომელიც ამ უფლებას გვაძლევდა. ახლა – რადგან უნდა გაუქმდეს, სამაგიეროც უნდა მოგვეცეს წარსაგების შესაბამი. ყმების განთავისუფლებას ბატონების სარგებლობა კი არ ითხოვს, ხელმწიფობა ითხოვს; მაშა სადამე სიმართლეც მოითხოვს, რომ რაც ამ განთავისუფლებას მსხვერპლი უნდება, მონაწილეობა ამ მსხვერპლში ყოველმა საზოგადოობის ხარისხმა მიიღოს. თუ ხარჯი სახელმწიფო ხაზინას უმძიმს, მებატონეთათვის ხომ უფრო სამძიმო იქმნება; ამად რომელ მებატონენი ყმების განთავისუფლებით არა თუ ნივთიერებითსა საკუთრებასა ვჰკარგავთ და ჩვენს ზნეობითს მნიშვნელობასა, რაც სარწმუნოებისა და მამულისათვის მოწამეობითის სისხლის ღვრით შეგვიძენია, – ისეთს გაჭირვებაში ვჰსცვივით, რომ ათას წლოვანის გვარის წევრნი

– მოწყალეობის თხოვნით უნდა ვჰშოობდეთ არსებობის ლუკმასა ჩვენთვის და სახლეულთა ჩვენთათვის.

აღმსრულებელნი ჩვენის მხრით ხელმწიფე იმპერატორის საღვთო ნებისა, ვერ ვიფიქრებთ რომ ჩვენც არ მოგვევლინოს სახიერი ყურად-ღება მისი, და ვჰსასოებთ, რომელ საუკუნოებითი უფლება ჩვენი ისე არ გაუქმდება, რომ შემწეობა არა მოგვეცეს რა, რომელიც შეგვაძლებინებდეს ახალის წესის შეთვისებასა და ცხოვრების განგრძობასა“. –

მომხსენებლისაგან დაბოლოება ამ მიზეზებისა

თუმცა ძალიან სხარტულად და დიდის კრძალვით მოგახსენეთ ეს მიზეზები, რადგან ერთის მხრით ამას ვერიდები, რომ ამ მოხსენების გაგრძელებით თავი არ შეგაწყინოთ, – და მეორეს მხრით – რომ მცირედი რამე გარდამეტება არ წამოგვეყვედრებოდეს ვისგანმე; – მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ასე მოკლედ ხსენებისაგანაც კარგა ზრქელი ნისლი დაეხვა ჩვენს ახლანდელს მდგომარეობასა და უმეტესადრე ჩვენს მომავალსა; – უნდა აღვიაროთ, რომ სწორეთ გაჭირვებული მდგომარეობა ყოფილა ჩვენი მდგომარეობა და ამ გაჭირვებაში ისეთს დროს ვჰყოფილვართ, როდესაც ახლანდელი ჩვენი საცხოვრებელი ჩვენს ხელთ არის; როდესაც თავნი, ჩვენის ყმებისაგან შემოსავალში მდგომარე, – ჯერ ისევ ხელუხლებლათა გვაქვს, – თავნი, რომელიც გამოითქმის 42 556 307 რ. კოპეიკებით, ამად რომელ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, თვითოს კომლისაგან ერთი ერთმანერთზედ შეკეცით გამოდის ჩვენი საშუალი შემოსავალი კომლზედ წელიწადში 148 რ. $38^1/_3$ კოპ. – შემოსავალი პირველის კატეგორიისა, ესე იგი, ბატონყმური; და ეს შემოსავალი რომ სარგებლად დავითვალოთ, მაშა სადამე თავნად რომ ვაქციოთ თექვსმეტ და ორ-მესამედ გზის განმრავლებითა, შესდგება თვითო კომლზედ – 2473 რ. – და 17 208-ს კომლზედ გამოვა ზემორე მოხსენებული $42^1/_2$ მილლიონი.

როგორიღა უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა მაშინ, როდესაც ეს თავნი სრულიად აღარ გვექნება, რადგან გლეხებს განთავისუფლებასთან ყოველი ეს შემოსავალი უნდა ვაპატივოთ და, მაშა სადამე, ამათს გამოკეთებას შთამომავლობითი ჩვენი საკუთრება უნდა შევსწიროთ $42^1/_2$ მილლიონი.

ყოვლად უეჭველია, უკიდურესს გაჭირვებაში ჩავჰსცვივით! თუ არ ეს გაჭირვება, სხვა რა წარმოგვათქმევინებდა შემწეობის თხოვნასა, – ჩვენ, რომელთაც გვეკუთვნის სახელი უპირველესობისა და უმდიდრესობისა ქართველთა შორის! აღვიაროთ, ბატონებო! საქვეყნოდა ვჰსთქვათ, – რომ შემაწუხებელია ჩვენის გულისათვის, შემაძრწუნებელია ჩვენის გრძნობისათვის და ჩვენის შთამომავლობითის სახელისათვის, რომ ყმებთათვის თავის უფლების მიმნიჭებელნი, ამ სამღრთო მოქმედებას ფულის თხოვნით ვამწიკვლოვანებთ; – მაგრამ, – სწორეთ გაჭირვებული მდგომარეობა ყოფილა ჩვენი მდგომარეობა; და რაც ჩვენის პირიდამ არ წარმოითქმოდა, თუ არ მართლად უკიდურესობაში, – ამას წარმოგვათქმევინებს მხოლოდ ვალდებულება, რომ ჩვენს გაჭირვებაში პირის-პირ ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს მივმართოთ.

კანონთამებრ მისის იმპერატორებითის დიდებულებისათა უმართლოდ განთავისუფლებულის ყმისათვის ეძლევა ბატონს სულზედ 100 რ. მამრზედ და 50 რ. მდედრზედ (X ტომის I ნაწ. მუხლი 594; და 2 ნაწ. მუხლი 794).

გარდაწყვეტილებითა უმმართებლესის სენატისათა 7 აგვისტოს შარშანდელს 1862 წელსა გამოსულთა, ქუთაისის გუბერნიის სოფლის თერჯოლის აზნაურთ: ჯანელიძეთა, მხეიძეთა, ქავთარაძეთა და ჭუმბურიძეთა, ზემორე მოხსენებულის საზოგადო კანონების ძალით, მათის განთავის-უფლებულის ყმებისაგან სარგებლობის სამაგიეროდ მიეცათ მამრს სულზედ ას-ასი რუბლი. ადგილ მამულიც იმავე აზნაურებს დარჩათ საკუთრებად, პირობითა მით, რათა ნაყმევნი მათნი ადგილ მამულის ხმარებისათვის ახლა ემსახურებოდნენ ნაბატონევებს ჩვეულებისამებრ და შემდგომში იმ დებულებას ექვემდებარებოდნენ, რაც აწინდელის ბატონ ყმობის სამაგიეროდ დაწესდება.

სწორეთ ამ გვარივე გადაწყვეტილება გამოვიდა 1858 წლის ივლისის 21-ს მაიორის სოკოლოვის მემკვიდრეთ ყმების შესახები იმავე გუბერნიის იმავე უეზდში, – თუმცა ბატონების სარგებლობა ყმებისაგან იმ გუბერნიაში ბევრით ნაკლები არის ჩვენს სარგებლობაზედ, რადგან იქ მოქმედებს დებულება, ჩვენში ადგილისა არა მექონი.

ამ მაგალითათამებრ რომ ჩვენც ერთ დროებითად მოგვეცეს მამრს სულზედ ას-ასი რუბლი, – კომლზედ შეადგენს ოთხასიოდე რუბლსა და მაშა სადამე ხელის გამართვა ესე ჩვენი შეუსწორდება

მხოლოდ მას, რასაც ორისა თუ სამის წლის სარგებლობას ვაკლდებით; ესე იგი, რასაც ორისა თუ სამის წლის სარგებელს ვაკლდებით იმ თავნისაგან, რომელსაც მსხვერპლად ვჰსწირავთ ჩვენის ყმების უმჯობესს ყოფა ცხოვრებაზედ დასადგენად.

მაგრამ ეს მაგალითები წარვიმძღვანოთ ჩვენის მეფის წინაშე და გაჭირვებული მდგომარეობა ჩვენი შთავაბაროთ გულსა მისსა, რომელი ხელთა შინა ღვთისათა არს.[27]

ორი სიტყვა კიდევა: – რასაც ამითი ჩვენს ხელის გამართვას ერთმთავრის სიუხვეთგან ვთხოვთ, – ამაზედ ყოველს აქ მოხსენებულს ჰაზრებში ეს გულითადი თხოვნაც არის წარმოთქმული, რომ ჩვენს ყმებს არ მოეთხოვებოდესო. მიზეზი მრავალი არის მოყვანილი, ფრიად საფუძვლიანი და ყოვლად ღირსი სრულის პატივის დებისა. – ამ მიზეზებს დიდის რვეულიდამ შემოკლებით გამოვჰკრებ და ისე მოგახსენებთ:

დრომ ითხოვა და ყმებს თავის უფლება მოსპობილ ექმნათ; დროვე ითხოვს ახლა და თავის უფლება უნდა აღდგენილ-ექმნეთ, ხელმწიფობის სარგებლობათათვის; მაშა სადამე ხელმწიფობამ უნდა გასწიოს საჭიროცა ამისთვის ხარჯი. ჩვენი საქმე არ არის, რომ ღონის ძიება ვუჩვენოთ; ჩვენ მხოლოდ ეს უნდა ვჰსთქვათ, რომ ამ ხარჯის ნაყმევებზედ შეწერა ეგოდენვე უსამართლობა იქმნება, რაოდენ უსამაგიეროდ ჩამორთმევა იმათი ჩვენგან, – მით უმეტესად, რომელ ჩვენი ყმებიც დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან; საქვეყნო საქმეთათვის გამოწვევა და სამსახური მრავალი შეუსრულებიათ; ხარჯი დიდი მოჰსვლიათ; ვალები იმათაც დიდად აწუხებს; და თუ რასაც ახლა ჩვენ ვითხოვთ, მათ დაედვათ ვალათა, ყოვლად შეუძლებელი იქმნება გამოკეთება და მომჯობინება იმათის ყოფა ცხოვრებისა; – სხვა რომ არა ვახსენოთ რა, მარტო ზნეობითად დაითრგუნებიან ახლავე, თუ ვალი დაედვათ და ამოდენი დიდი ამაგი მათზედ მმართებლობისაცა და ჩვენიც – სრულიად ამაო იქმნება. ამის გამო უქვეშევრდომილესად ვევედრნეთ ერთმთავარსა ჩვენსა და ერთ-ხმად ვიშუამდგომელოთ, რათა ყმათა ჩვენთა თავის უფლება მინიჭებულ ექმნეთ უსასყიდლოთ.

შედგენილი ჩემ მიერ და ზემორე მოხსენებულს ჰაზრებზედ დაფუძნებული პროეკტი ახალის დებულებისა ამასთან მომირთმევია. –

[აპრილი. 1863]

დებულების პროექტი მკვიდრი-ყმობისაგან განთავისუფლებულთა გლეხთათვის საქართველოში ე. ი. ტფილისის გუბერნიაში

§ 1. ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ნებითა და საქართველოს თავადთა და აზნაურთ სურვილითა, მკვიდრი იმათი ყმები განთავისუფლდებიან ყოველის ბატონყმობის დამოკიდებულებისაგან; ყოველს საქმეში ის სამართალი ეძლევათ, რაც მთელ რუსეთის იმპერიაში თავისუფალს სოფლის მოსახლეს ეკუთვნის და ამიერიდგან დაერქმევათ ***თავისუფალი სოფლის მოსახლე***.

შესწავება:[1] რადგან ამ ყმების განთავისუფლებისათვის და უმჯობესს ყოფაცხოვრებაზედ დადგინებისათვის იმათი მებატონეები დიდს მსხვერპლსა სდებენ, რომ თავისის ჩვეულისა და კანონიერის სარგებლობისაგან უმეტესს ნაწილს აკლდებიან და ამასთან უქვეშევრდომილესადცა შუამდგომელობენ, რომ იმათმა ყმებმა თავის უფლება უსასყიდლოდ მიიღონ; ამის გამო ხელმწიფე იმპერატორი ყოვლად უმოწყალესის ყურადღების მიმვლინებელი – მებატონეების მდგომარეობასა ზედა, ძირეულთა მათთა უფლებათა, იმპერიის კანონთა და მაგალითთა ზედა; – დიდსა ამას მსხვერპლსა შინა საქართველოს თავადთა და აზნაურთასა ერთმთავრობითთა სიუხვეთაგანცა თვისთა მონაწილეობას მიიღებს; უმაღლესითა კეთილ მნებელობითა თვისითა განუწესებს მათ ერთ დროებითსა შესაწევარსა და უქვეშევრდომილესისა თხოვნისამებრ მათისა – ყმებსა მათსა თავის უფლებას მიანიჭებს უსასყიდლოსა. (უმაღლესს ნებაზედ არის დამოკიდებული, ეს შესწავება თვით ამ

დებულებაში იქმნეს შემოტანილი თუ ცალკე ბრძანებად გამოვიდეს).

სამართალი პირადის თავისუფლებისა

§ 2. თავის უფალს სოფლის მოსახლეს სრული ნება აქვს:

ა) როგორც თვითან ამჯობინებდეს, ისე განაგებდეს თავისს საშინაო და საოჯახო საქმეებსა და ნაბატონევს აღარ დაეკითხებოდეს, არც ცოლის შერთვაზედ, არც ქალის გათხოვებაზედ და არცარა სხვა ნათესავობითსა თუ მოყვრობითსა გარიგებაზედ.

ბ) ყოველს საქმეს თავისით შეუდგებოდეს, რისაც შეძლება ექმნება და რასაც თავისთვის სასარგებლოდ არჩევს: ვაჭრობასა, აღებ მიცემობასა, იჯარადრობასა და სხვა ყოველსავე სწავლასა, ოსტატობასა თუ ხელოსნობასა ნაბატონევის დაუკითხავად.

გ) ყოველს თავისს საკუთარს საშინაო თუ საგარეო საქმეებს თუ უნდა თვითან ისაქმებდეს მთავრობასთან, ან სადაც რიგი იქნება, თუ უნდა სხვას მიანდობდეს ვინც უჯობდეს.

და დ) თავისი ხმა ჰქონდეს ყოველს სასოფლო და საქვეყნო საქმეში, რაცკი ყოველ სხვა თავის უფალს სოფლის მოსახლეს ეკითხება.

§ 3. ბატონ ყმობაში რომ დამოკიდებულება იყო, იმის მაგიერად დაწესდება ამიერითგან ისეთი ნება ყოფლობითი დამოკიდებულება, რომელიც ძველის საქართველოს ჩვეულებით ხიზანსა და მამულის პატრონსა აქვსთ.

§ 4. რაც ნება ყოფლობითს მორიგებაში ერთმანერთის მოვალეობა იქმნება მოხსენებული, იმას გარდა საზოგადო კანონად დაწესდება ნაყმევთა და ნაბატონევთათვის შემდგომიცა:

ა) თუ ნაბატონევის მამულზედ მოსახლეს ნაყმევს ანუ თავისუფალს კაცსა სადავო საქმე გაუჩნდა ვისთანმე, – თუმცა ყოველს კაცს თვითონ აქვს ნება როგორც თავისთვის ამჯობინებდეს ისე ისაქმოს, – მაგრამ მამულის პატრონსაც ***ნება*** აქვს გამოესარჩლებოდეს და სიმართლის აღმოსაჩენად ხელს წარუმართავდეს; – და აგრეთვე თუ მოსახლეს, ერთსა ან რამდენსამე დამნაშაობა, ან კა-

ნონის გატეხა შესწამდათ რამე, მამულის პატრონს ***ნება*** აქვს, როგორც გამოძიებაშიც, ისე სამართლის წარმოებაშიაც იმათი მხარე დაიჭიროს, იშუამდგომლოს იმათთვის მთავრობასთან და ესარჩლებოდეს სადაც და როგორც რიგი იქნება, საქმის დაბოლოებამდის, ისურვებს ამას დაწამებული თუ არა; – აგრეთვე ყოველს სასოფლო საქმეში იფარვიდეს ყოველის უმართლო მოთხოვნილებისაგან, ზღვევისაგან, გამოწვევისაგან და სხვა იმათი დამამძიმებელის მოქმედებისაგან, როგორც კეთილს მეზობლობასა ჰმართებს და მცოდნესაგან უცოდინარის შემწეობას შეშვენის.

ბ) რომელიც თავის უფალი მოსახლე კაცი საბატონო ადგილ მამულსა ჰხმარობს, ვალი აქვს, რომ სიტყვის შეუბრუნებელად ასრულებდეს იმ განწესებასა, რაც ქვემორე 8-14 §§-ში არის მოხსენებული, – და არას ოდეს არ დაივიწყებდეს, რომ ზდილობა და პატივის ცემა ჰმართებს მამულის პატრონისა, ბატონი რომ იყო იმისი და ახლა მოსარჩლე რომ არის და მფარველი.

§ 5. რომელსაც ნაყმევს თავისს ყმობაშივე უძრავი საკუთრება შეუძენია რამე ისეთი, რომ ამ შენაძენზედ ან ნაბატონევი არ ეცილება ან კანონიერი წერილი უჭირავს სასამართლოს ადგილს ჯეროვანის წესით დამტკიცებული, – ამ საკუთრებაზედ ნაბატონევს ხელი აღარა აქვს და თვითან ნაყმევს სრული ნება აქვს ისე იხმაროს, როგორც კანონიერმა პატრონმა. –

§ 6. ამიერიდგან ნაყმევს სრული ნება აქვს ყოველი უძრავი საკუთრება კანონიერად შეიძინოს, როგორც რას შეიძლებს; ხოლო ამ შეძინების გასაადვილებელად დაწესდება ნაყმევთათვის შემდგომი კანონები:

ა) თუ ის ადგილ-მამული, სადაც ნაყმევებს ბინადრობა და მუშაობა აქვთ, გასასყიდად გახდა, – სახალხო ვაჭრობის წესითა, – რასაც უკანასკნელს ფასს შეაძლევს ვინმე, ამ ნაყმევებს ნება აქვთ იმ ფასად დაიხსნან და თავისთვის დაიმკვიდრონ.

ბ) სასამართლო ადგილებს, სადაც ეს გასყიდვა უნდა შესრულდებოდეს, ვალი აქვთ – უკანასკნელი ფასი იმ ადგილზედ მოსახლეს ნაყმევებს შეატყობინონ და ამ შეტყობინებაზედ ხელწერი-

ლი ჩამოართვან, რომ ***ოცდა ათის დღის*** გასვლამდინ მოახსენებენ იმავ სასამართლოსა, ადგილ მამულების დახსნა ჰსურსთ თუ არა.

გ) თუ დახსნის სურვილი გამოაცხადეს, ფასის მეოთხედს თვითან შეიტანენ მაშინვე, ან იმ ***ოცდა მეათე*** დღიდამ ***კიდევ მეთ-ხუთმეტე*** დღემდინ, და დანარჩენს სამს წილს, არა უგვიანეს ერ-თის თვისა, ხაზინა შეიტანს იმ ნაყმევების მაგიერად.

დ) ამ ნაყმევების სურვილზედ არის, რომ ეს ხაზინის ვალი ან ბანკის წესით გადიხადონ 26-ისა და 37-ის წლის ვადით, ანუ უფრო მოკლე ვადაზედ, როგორც თავისთვის სასარგებლოდ და სამჯობი-ნარად არჩევდნენ, ოღონდ კანონიერის სარგებლით მიუზღონ ხა-ზინასა. –

ე) ამ რიგად ადგილ მამულის დახსნის უპრიანესობა ნაყმე-ვებს იმ პირობით ეძლევათ, რომ – რაც იყიდება, – სულ დაიხსნან და არა ნაწილ-ნაწილ; და რა რომ მთლად დაიხსნიან, მერე თვითან ერთმანერთში გაინაწილონ გარიგების წერილით, რომელიც სასა-მართლოს ადგილს უნდა დამტკიცებულ-იქმნეს უპოშლინოდ;[2] ან არა და დახსნევინების არზას რომ შეიტანენ, იმაში მოიხსენიონ ბე-ჯითად, ვის რა და რა ადგილი უნდა დაუმტკიცდეს, – რომ ყოველს კაცს წერილი მიეცეს იქიდამვე, სადაც ადგილ მამული ისყიდებო-და.

ვ) კაცის ღირსების შემაგინებელი უმადურება რომ არ დას-წამდეთ ნაყმევებსა, თუ ამ რიგად შეხსნილს ადილ-მამულში ნაბა-ტონევს მოსახლობა აქვს და თავისის ოჯახის გადატანა სხვაგან, თუ არ დიდის გაჭირვებით, არ მოეხერხება, – გადატანაზედ ნაყმე-ვებმა შემწეობა უნდა მისცენ; – თუ სულ აღარსადა აქვს სამოსახ-ლო ადგილი, მაშინ იმისი სახლი და კარმიდამო დროებითად იმასვე უნდა დაუტეონ, რომ თავისთვის და ცოლშვილისათვის თავის შე-საფარებელი არ მოეშალოს. მანამდისინ ხელს შეიწყობდეს და პატ-რონებსვე დაანებებდეს, არა უგვიანეს ცხრა წლისა.

ზ) თუ ადგილ მამულის პატრონი თვით ისურვებს ან თანხმა იქმნება, რომ თავისი ადგილ-მამული ნაყმევებს დაუთმოს იმ ფა-სად, როგორც ერთმანერთში ნება ყოფლობით მორიგდებიან; – ეს ნასყიდობა ორისავე მხრის საერთო თხოვნით უნდა დამტკიცე-ბულ-იქმნეს იმავე რიგითა, რომელიც ზემორე *გ.* და *დ.* მუხლებში არის მოხსენებული. –

§ 7. ნაყმევები ხელშეუხებელად ახლანდელს თავისს ბინადრობაზედ ჰრჩებიან; – რაც თავისი საკუთრება აქვთ წინა 5-ს მუხლში მოხსენებული, სრულ საკუთრებად მათვე დარჩებათ და არც ის საბატონო ადგილ მამულები ჩამოერთმევათ, რაზედაც ახლა ბინადრობა და სარგებლობა აქვსთ, მანამდის, ამ საბატონო ადგილმამულების გამოისობით, იმ წესზედ იქმნებიან, რომელიც ქვემორე §§-ში არის დადგინებული.

§ 8. რომელიც თავისუფალი მოსახლე საბატონო ადგილ მამულზედა ჰსახლობს და ჰსარგებლობს, სახლკარობისა და კალოსაბძლის ადგილისათვის არა მოეთხოვებარა, და სახნავ-სათესისა, სავენახესი და საბალახე მიწებისა ტყისა და წყლის ხმარებისათვის პატრონს უნდა აძლიოს ღალა და კულუხი და ბეგარას ეწეოდეს ისე და იმ ზომით, როგორათაც ერთმანერთში ნება ყოფლობით მორიგდებიან; – და მანამდის მორიგდებოდნენ; – პატრონს უნდა ეძლეოდეს: ისევე და იმავე ზომით, რასაც და რა ზომითაც ხიზნები ჩვეულებით აძლევენ და ეწევიან; და სადაც ხიზანი არ არის, იქ ისევე და იმავე ზომით, რაც და რა ზომითაც განთავისუფლებულს კაცებს ყმობაში უძლევიათ და უწევიათ. ამას გარდა სხვა ყოველი საბატონო ხარჯისაგან და სამსახურისაგან ნაყმევნი სრულიად და სამარადისოდ განთავისუფლდებიან.

შესწავება. საბატონო ყმანი, თიონეთისა და მთიულეთის ოკრუგებში და ელისაბედპოლის უეზდში მყოფნი, და აგრეთვე გლეხნი, რომელნიც ტფილისის გუბერნიის მებატონეებს ეკუთვნიან და სცხოვრებენ ტფილისის გუბერნიიდამ ქუთაისისაში გადატანილს შორაპნის უეზდის, ხორაგოულის ნაწილის სოფლებში: ჩდილს, გოლათუბანს, ბეჟათუბანს, ნებოძირს, მოლითს, ზვარეს, გდეისს, ვახანს და ზედუბანს, ექვემდებარებიან ყოვლითურთ ამ დებულების ძალასა.

§ 9. თუ ნებაყოფლობით მორიგებამდის უთანხმოება მოხდა სადმე ღალისა, კულუხისა თუ ბეგრის ჩვეულებითს ზომაზედ, ორ-

ნივე მხარენი ქვეყნის ძველებურის ჩვეულებით მედიატორეების სამართლის წესით დაზავდებიან.

შესწავება. მედიატორეებს ნაბატონევიცა და ნაყმევიც თავისის ნებით აირჩევენ და თუ ერთ-ერთი მხარე უარს დაადგა, მაშინ: – თუ ნაბატონევი ადგია უარსა, – იმის მაგიერად უეზდის მარშალი დაჰნიშნავს მედიატორესა; და თუ ნაყმევი, – იმის მაგიერად სოფელი დაჰნიშნავს შუა კაცს ან მოდავენი დანიშვნენ ერთმანერთის თანხმობითა; ან მედიატორეები თუ მოდავეებმა არ დანიშნეს; და ან უეზდის მარშალი თუ მედიატორეებმა ვერ დანიშნეს.

§ 10. სადაც თავისუფალი მოსახლე კაცი ისურვებს, ან სადაც ადგილ მამულში პატრონს მუშა არა ჰსჭირდება, ბეგარა ფულად უნდა გარდიკვეთოს; მაგრამ, მანამდის ნაბატონევი და ნაყმევი ამაზედ წერილით გარიგდებოდნენ, გარდაკვეთილი ფული მეტი არსად უნდა იყოს იმ ფასზედ, რაც ქირად ადგილობრივ ეძლევა კაცსა, როგორც ცალიერსა, ისე საქონლიანსა თუ ცხენიანსა და ურმიანსა. თუ მოსახლემ წერილით მორიგებამდის იჩივლა როდისმე, მეტი მეთხოვებაო, საქმე ზემორე მოხსენებულის წესით უნდა გაირჩეს; მაშინ თუ საჩივარი მართალი აღმოჩნდა, ფულის ზომა იმ ზომამდე უნდა იქმნეს დაყენებული, რა ზომაც კაცისა და ურმისათვის იმ ჟამად მთავრობისაგან იქნება დაწესებული; და თუ საჩივარი გამტყუნდა, – მომჩივანმა ეს დაწესებული ფასი ერთი ორად უზღოს ადგილ მამულის პატრონს. – აგრეთვე რომელიც ნაყმევი, წერილით გარიგებამდის და ფასის გარდაკვეთამდის, ბეგარაში ნაბატონევის გაწვევით დროზედ არ გავა, – ეს ფასი ერთი ორად უზღოს.

§ 11. დღიდამ ამ დებულების გამოცხადებისა ***სამის*** წლის გასვლამდის არც ნაბატონევს აქვს ნება, რომ ნაყმევები აჰყაროს ან ადგილ მამულები ჩამოართვას, რაც ახლა იმათს ხელში არის; და არც ნაყმევებს – აქვთ ნება თუ ნაბატონევის ნებაც არ არის, რომ აიყარნენ, ან იმ ადგილ მამულების ხმარებაზედ ხელი აიღონ; და ამ სამის წლის განმავლობაში მამულის პატრონები და თავის უფალი

მოსახლეები ადგილ მამულის ხმარებაზედ და ამ ხმარებისათვის გარდასახადზედ ერთმანერთში ნება ყოფლობით უნდა მორიგდნენ ვადით არანაკლებ 12-ის წლისა. –

§ 12. ამ პირველს მორიგებაში ნაბატონევს ნება არა აქვს ადგილ-მამულისათვის ნაყმევს იმაზე მეტი გარდასახადი მოსთხოვოს, ესე იგი ღალა, კულუხი და მუშაობა, ან მუშაობის მაგიერად ფასი, რასაც ხიზნები აძლევენ და ეწევიან, ან რასაც თვითან ნაყმევები აძლევდნენ და ეწევოდნენ; და თუ ნება ყოფლობითი მორიგება აღარც მაშინ მოხდა, – მაშინ ზემორე § 11-ით შეყენებული ნება აყრისაცა და გადასახლებისაცა, ორთავე მხარეთათვის აღდგენილ-იქმნება და ნაბატონევის ნებით მოჰხდება გლეხის აყრა, თუ გლეხის საკუთარის სურვილითა, რაც რამ გლეხს მოძრავი საქონელი თუ ქონება გააჩნია, თან წაიღოს; უძრავი, ესე იგი შენობა და ნაშენი პატრონს დაუტეოს, მაგრამ თუ ამასთან აღმოჩნდა, რომ ვენახი გაუფუჭებია წარმავალს ნაყმევსა განზრახვით თუ დაუდევნელობითა; ესე იგი თუ ვაზები არ გამოუწოვნია, ან დროთი აღარ შეუმუშავებია და ამით წაუხდენია; – მაშინ პატრონს ზარალი უნდა უზღოს მედიატორეების განჩინებით თავისი მოძრავის საკუთრებიდამ.

> ***შესწავება.*** სიღნაღის უეზდში გადასახლების ნება სამის წლის შემდეგ ეძლევათ ნაყმევებს ერთის საბატონო ადგილმამულიდამ მეორე საბატონოსავე ადგილმამულზედ. სახელმწიფოზედ და საეკკლესიოზედ გადასახლების ნება არ ექმნებათ იმ პირველის ვადის გასვლამდის, რომელიც ნაბატონევებთან მორიგებით დაწესდება იმათის ადგილ მამულის ხმარებაზედ.

§ 13. ადგილ მამულის პატრონს სამის წლის გასვლამდის ნება აქვს თავისი ნაყმევი ადგილ მამულიდგან დაითხოვოს იმ შემთხვევაში, – როდესაც სოფლის ხალხი იტყვის, როგორც რიგია, სასოფლო განჩინებითა, რომ ესა და ეს კაცი ამრევია ქვეყნისა და მავნებელია საზოგადო მშვიდობიანობისა და მყუდროებისათვის

თავისის განსაკიცხავის ყოფა ქცევითაო, ან თუ გაურჯელობა და დაუდევნელობა ჰსჭირს ისეთი, რომ სოფელში მოსათმენი არ იყოს.

§ 14. შინა ყმები, ესე იგი მოსამსახურეები და მოახლეები, რომელნიც ოჯახებიდამ არიან გამოყვანილნი, ან რომელნიც უსახლ-კარონი და უადგილმამულონი არიან, ყოველსავე ამ დებულებას ექვემდებარებიან; ესე იგი, ამ დებულების გამოცხადებიდამ მცირე წლოვანი სრულ ასაკოვნებადმდე და სრულ ასაკოვანნი სამის წლის გასვლამდინ იმავე მებატონეების სამსახურში დარჩებიან, თუ რომ მებატონემ უფრო ადრე არ დაითხოვა სრულ ასაკოვანნი იმათის ერთგულებით სამსახურისათვის ან თავისის მიხედვით, და რა რომ ეს ვადა გათავდება, მაშინ უსახლ კარო ობლებს თავისუფლებითი ხიზნური ბინადრობა უნდა მიეცეს და სრულ ასაკოვანნი ან თავისსავე ოჯახში მიბრუნდებიან, – ან ნაბატონევისავე სამსახურში დარჩებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში კი ცალკე მორიგებით. რომელიც ოჯახიდამ ეს მოსამსახურეები გამოყვანილნი არიან, მორიგება იმ ოჯახის უფროსზედ არის დამოკიდებული პირობითა მით, რომ იმათი სამსახური ან ოჯახის გარდასახადში ჩაითვალოს ნაბატონევმა, – რაც იმის ადგილ მამულისა ოჯახს ემართება; ან არა და ჯამაგირი დაუნიშნოს მოსამსახურესა; მაგრამ ეს ჯამაგირი მეტი არ უნდა ეთხოვებოდეს ნაბატონევსა, თუ თვითან იმისი ნება არ იქნება, იმ ქირაზედ, რაც იმ ადგილის მოჯამაგირეს ეძლევა. და თუ სამის წლის გასვლამდინ თვითან სრულ ასაკოვანმა მოსამსახურემ ან მოახლემ გასვლა მოინდომა, რაც ვადამდინ დრო დარჩება, წელიწადში ხუთი თუმანი აძლიოს ნაბატონევსა.

საზოგადო შესწავება. თუ დროთი და გამოცდილებით – ამ დებულებაში ცვლილება რამე აღმოჩნდა საჭიროდ, – ცვლილება ეს შეიძლება მოჰხდეს მეპატრონეთ საზოგადო თანხმობითა.

[აპრილი-ივნისი. 1863]

საბანკო-საკრედიტო საქმე

კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიის წესდების

პ რ ო ე ქ ტ ი

§ 1

დაწესებულების ***რაობა*** განისაზღვრება იმ წესებითა და საფუძვლებით, რომლებიც წინამდებარე წესდების მე-17 პარაგრაფშია მოცემული და ითვალისწინებს უძრავ ქონებაზე კრედიტის გაცემას. ხაზინასთან დაკავშირებული ოპერაციები განხორციელდება სასესხო ფორმით და კერძო პირთა მიერ აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ***მიზანი*** დაწესებულებისა მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცედ იყოს დაცული ინტერესები, ერთი მხრივ, ხაზინისა და, მეორე მხრივ, იმ კერძო პირებისა, რომლებიც კომპანიას ანდობენ საკუთარ კაპიტალს უძრავი ქონების სახით. „საზოგადოება“, თავის მხრივ, იღებს პასუხისმგებლობას, დაგირავებული მამულის ღირებულება შეესაბამებოდეს მასზე გაცემული კრედიტის ოდენობას; მამულის მფლობელებს კი აძლევს რჩევა-დარიგებებს, რათა მათ ხელშეკრულებები და აღებული პასუხისმგებლობები დაამყარონ სწორ, კანონიერ და კეთილსინდისიერ საფუძვლებზე. –

დაწესებულებისგან მოსალოდნელია სამი სახის ***სარგებელი:***

ა) ხაზინა, რომელიც კომპანიის მიერ გარანტირებულ ფასად გირაოში მიიღებს უძრავ ქონებას, უზრუნველყოფილი იქნება როგორც საგირავნო პირობებით, ისე – უკმარობის შემთხვევაში – კომპანიის კაპიტალით. ამგვარად, თავიდან იქნება აცილებული, ერთი მხრივ, ადგილ-მამულის აღწერასა და შეფასებასთან დაკავშირებული დღეს არსებული საფრთხეები და, ამასთანავე, მოგვარდება მხარეებს შორის სხვადასხვა გარემოებით გამოწვეული

ნდობა-უნდობლობის საკითხიც. მეორე მხრივ, მხარეები მაქსიმალურად იქნებიან დაზღვეულნი წინასწარგანზრახული სიყალბეებისა და დასაგირავებელი ქონების გადამეტებული შეფასებისგან.

ბ) კერძო პირები, რომლებიც დასაგირავებელი უძრავი მამულის მფლობელებს თავიანთ კაპიტალს დაგირავებული მამულის ღირებულების თანაზომიერ ფასად ანდობენ, უზრუნველყოფილნი იქნებიან როგორც დაგირავებული მამულით, ისე კომპანიის კაპიტალით. –

გ) ასეთი საშუალებებით კომპანია გზას გაუხსნის კაპიტალის უხიფათო ბრუნვას და ამით, იმავდროულად, ხელს შეუწყობს სასოფლო და სახელმწიფო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

თვითონ კომპანიას, როგორც გირავნობის გარანტორს, მიიღებს რა ერთი კონკრეტული პირისაგან უმნიშვნელო პროცენტს, ასეთი პირების სიმრავლის შემთხვევაში შესაძლებლობა მიეცემა, იმდენად გააფართოოს თავისი საქმიანობა, რომ მიაღწიოს მიზანს – კავკასიასა და ამიერკავკასიაში დაამკვიდროს ქონების გირავნობასთან დაკავშირებული საკრედიტო საქმე, ყოველ შემთხვევაში, იმ ზომამდე მაინც, რომ უფლების ბოროტად გამოყენების ცალკეულმა შემთხვევებმა საკითხთან მიმართებით საზოგადოებაში საფუძვლიანი რყევები არ გამოიწვიოს.

§ 2

კომპანია არსდება მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე სახელწოდებით: **„კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის საკრედიტო-საგირავნო საზოგადოება“.** მისი მმართველობა შეიქმნება თბილისში.

§ 3

„საზოგადოება“ ქმნის ძირ კაპიტალს, რომლის ოდენობა იქნება 500 000 მან. ვერცხლით. საამისოდ იგი გამოუშვებს 5 000 აქციას, თითოეულს 100 მან. ღირებულებით. – ეს ძირი კაპიტალი, რომელიც „საზოგადოების“ მიერ შეფასებული მამულის ვალაუვალობის შემთხვევებისთვის იქნება განკუთვნილი, დროთა განმავლობაში შეიძლება გაიზარდოს: ან ახალი აქციების გამოშვებით,

რომლის შეძენის უფლება პირველ რიგში თავდაპირველი აქციების მფლობელებს უნდა მიეცეთ და მხოლოდ ამის შემდეგ – გარეშე პირებს, ან სპეციალური ვადიანი სესხითა და დათქმული საპროცენტო სარგებლით. არჩევანი პირველსა თუ მეორე საშუალებებს შორის, საამისო საჭიროების შემთხვევაში, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

§ 4

„საზოგადოების“ დაარსებისა და ჩამოყალიბებისთვის გაწეული შრომის საზღაურად დამფუძნებლები უსასყიდლოდ მიიღებენ როგორც თავდაპირველი, ისე, საჭიროების შემთხვევაში, ხელმეორედ გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობის მეხუთედს. ორივე შემთხვევაში მათ ეს აქციები გამოშვებისთანავე გადაეცემათ. – თუკი დამფუძნებლები გადაწყვეტენ, რომ მათთვის განკუთვნილი აქციები უსასყიდლოდ კი არ მიიღონ, არამედ დადგენილი ფასით შეიძინონ, მაშინ მიიღებენ წმინდა შემოსავლის მეხუთედს.

§ 5

აქციების გაცემა-განაწილება, აგრეთვე, აქედან მიღებული ფულის შენახვის წესი დგინდება 1857 წელს გამოცემულ სამოქალაქო კანონთა X ტომის II ნაწილის 2166-ე მუხლის საფუძველზე.

§ 6

„საკრედიტო-საგირავნო საზოგადოება“, არსდება რა განუსაზღვრელი ვადით, არ ითხოვს არც გარანტიებს, არც პრივილეგიებს, არც განსაკუთრებულ უპირატესობებს, მაგრამ მისი იმ მთავარი მიზნების განსახორციელებლად, როგორებიცაა, ერთი მხრივ, ხაზინის ინტერესების დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, მხარის საწარმოო ძალების გამოცოცხლებასა და განვითარებაში ხელისუფლებისთვის ხელის შეწყობა, „საზოგადოება“ ითხოვს: ა) მისი, როგორც სასარგებლო დაწესებულების, განსაკუთრებულ ქომაგობას; ბ) სახელისუფლებო დაწესებულებებთან ურთიერთობებისას გერბიანი ქაღალდებისა და საფოსტო გადასახადებისაგან განთავისუფლებას, და გ) ხელისუფლების შესაბამის განკარგულებას, რათა კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში არსებული უძრავი ქო-

ნება, რომლის ღირებულება „საზოგადოების“ მიერ იქნება შეფასებული და საგარანტიო მოწმობით დადასტურებული, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების გაფორმებისას ნებისმიერი სახაზინო ოპერაციის საწარმოებლად იქნეს მიღებული; ანუ ნარდად გარიგების, მიწოდება-მომარაგების, დამზადების, იჯარა-შესყიდვების, ან კიდევ სესხების გაცემისას და იმ ვადების შესაბამისად, რომლებიც აგრეთვე „საზოგადოების“ მოწმობებით იქნება განსაზღვრული. –

§ 7

კომპანიისა და აქციონერთა ვალდებულებები, უფლებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება სამოქალაქო კანონთა X ტომის II ნაწილის 2171-2173-ე მუხლების საფუძველზე.

§ 8

იმავე ტომის 2185-ე და 2186-ე მუხლების მოთხოვნათა ზუსტი დაცვით კომპანიის გამგეობა წინა წლის მუშაობის ანგარიშს აქციონერთა საერთო კრებას წარუდგენს თებერვალში.

§ 9

სარეზერვო კაპიტალის ფორმირება, საამისოდ წმინდა მოგებიდან წილის გადადება და დივიდენდების განაწილება დამოკიდებული იქნება აქციონერთა საერთო კრების დადგენილებებზე. იმ აქციონერებთან დაკავშირებით, რომლებიც არ გამოცხადდებიან დივიდენდების მისაღებად, კომპანია 2170-ე მუხლით იხელმძღვანელებს.

§ 10

კომპანიის შიდამმართველობის წესები დგინდება X ტომის 2174-2184-ე მუხლების საფუძველზე; ცალკეული განმარტებები თუ დამატებანი კი მოცემულია მომდევნო პარაგრაფებში.

§ 11

დამფუძნებლები მართავენ კომპანიას და მასთან დაკავშირებულ სამუშაოს ასრულებენ მის საბოლოო დაფუძნებამდე, ანუ მანამ, სანამ გაყიდული აქციებიდან მიღებული შემოსავლის ნახევარი არ შემოვა კომპანიაში.

§ 12

დამფუძნებლები, ვიდრე აქციონერთა საერთო კრება გამგეობას არ აირჩევს, არ განკარგავენ „საზოგადოების“ კაპიტალს და არ გასცემენ საკრედიტო მოწმობებს უძრავ ქონებაზე. პირველი საერთო კრება, ჩაანაცვლებს რა დამფუძნებლებს გამგეობით, ამასთანავე, განსაზღვრავს როგორც იმ ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობას, რომლისთვისაც საერთო კრების ნებართვა არ არის საჭირო და, ასევე, იმ თანხის ოდენობასაც, რომელიც შეუძლია დამოუკიდებლად გამოყოს უძრავი ქონებისთვის კრედიტის გასაცემად. იმ შემთხვევაში კი, როცა საკრედიტო თანხა ამ დადგენილ ოდენობას გადააჭარბებს, გამგეობა იწვევს იმ დროს თბილისში მყოფი აქციონერების საგანგებო კრებას. –

§ 13

საგანგებო კრება, რომელსაც უფლება არა აქვს თანხის ოდენობის გამო უარი თქვას კრედიტის გაცემაზე, მხოლოდ განიხილავს საქმის გარემოებებს და არკვევს, არის თუ არა საკმარისი ის მონაცემები, რომელთა საფუძველზეც „საზოგადოება“ დასაგირავებელი ადგილ-მამულის ფასს ადგენს; თუკი კრება არსებულ გარემოებებს საეჭვოდ ჩათვლის, აგზავნის საგანგებო კომისიას, რათა მან სასწრაფოდ და ადგილზევე გამოარკვიოს საკითხი, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებას კრების მიერ მისთვის მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ამტკიცებს გამგეობა. – საერთო კრება საგანგებო კრების უფლებამოსილებასაც ითავსებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩატარების დრო დაემთხვევა ერთმანეთს.

§ 14

საგანგებო კრების მოწვევის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას, ხოლო მის მიერ გაწყვეტილების მისაღებად განისაზღვრება ერთი და არა უმეტეს ორი (დღეგამოშვებით) სხდომა. –

§ 15

დირექტორების ან გამგეობის წევრების არჩევის, მათი შეცვლის, გაწეული მუშაობისთვის დაჯილდოების წესები განისაზღვრება აქციონერთა პირველი საერთო კრების მიერ; – დირექტორებისთვის გაცემული ჯილდოს ოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 6 000 მანეთს ერთ პირზე.

§ 16

დავათა გადაწყვეტის, კომპანიის დახურვისა და საქმეების ლიკვიდაციის წესები დგინდება X ტომის 2187-ე და 2188-ე მუხლების მოთხოვნათა ზუსტი დაცვით.

§ 17

საგირავნო კრედიტის გაცემა მოხდება ქვემოთ ჩამოთვლილ საფუძვლებსა და პირობებზე დაყრდნობით:

1. კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავი ქონების ნებისმიერ მფლობელს შეუძლია პირადად ან წერილობითი განცხადებით მიმართოს „საზოგადოებას“ და მიიღოს ადგილ-მამულის ღირებულების დამადასტურებელი მოწმობა მამულის დაგირავების მიზნით. ამასთანავე, არავინაა ვალდებული, აუცილებლად წინასწარვე მოიმარაგოს ამგვარი მოწმობა. „საზოგადოების“ მიზანი, როგორც ეს ზემოთაც არის განმარტებული, ის კი არ არის, მეპატრონეებს ვიღაცის თვითნებობის გამო თავიანთი ქონებისა თუ კაპიტალის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა შეეზღუდოთ, არამედ „საზოგადოების“ მიზანია შექმნას კრედიტი იქ, სადაც იგი არ არის და დაამკვიდროს ნდობის ატმოსფერო იქ, სადაც ეს საჭიროა და შესაძლებელი. –

2. ადგილ-მამულის პატრონი, როცა იგი მოწმობის გაცემის თხოვნით მიმართავს „საზოგადოებას“, განცხადებაშივე აღნიშნავს მამულის მისთვის სასურველ ფასს და „საზოგადოების“ მიერ მამულის აღწერისა და შეფასებისთვის გაწეული ხარჯების საზღაურად შემოაქვს მის მიერვე დასახელებული ფასის $^1/_4$ პროცენტი. –

3. ამის შემდეგ „საზოგადოების“ გამგეობა, თუ მამული თბილისშია, აგზავნის თავის ორ ან სამ წევრს ქონების დასათვალიერებლად და შესაფასებლად, – ან კიდევ იმავე მიზნით გამოყოფს

თავის აგენტებს, თუკი ქონება თბილისს გარეთაა. აღნიშნული პირები ადგილზევე დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე და კეთილგანწყობილ ვითარებაში განსაზღვრავენ ადგილმამულის ღირებულებას და თავიანთ მოქმედებათა შედეგების შესახებ წერილობით მოახსენებენ გამგეობას. –

4. „საზოგადოების“ გამგეობა მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მამულის ღირებულებასა და ვადას, თუ რა დროის განმავლობაში კისრულობს პასუხისმგებლობას ამ ღირებულებაზე. – გადაწყვეტილება წარედგინება მფლობელს, – ამასთანავე, მასთან შეთანხმებით გამგეობას შეუძლია მეხუთედამდე გაზარდოს ან შეამციროს თანხა და ამის შემდეგ „საზოგადოების“ სახელით გასცეს მოწმობა, რომლის მიხედვითაც ვადის ამოწურვამდე ქონების შეფასების შესახებ სათავდებო შეთანხმება არ შეიცვლება. – იმავდროულად და იმავე შეთანხმების საფუძველზე „საზოგადოება“ საკუთარ თავზე იღებს ზარალის შევსებას, თუკი დაწესებულებამ ან პირმა მოცემული მამული ნდობის საფუძველზე დადგენილ ფასად კი მიიღეს უზრუნველყოფის გარანტიად, თუმცა პასუხისმგებლობის ვადის ამოწურვამდე მოხდა მამულის ღირებულების შემცირება. მაგრამ მოწმობა არ გაიცემა მანამ, სანამ მიმღები ერთდროულად არ შემოიტანს ერთიდან სამ პროცენტამდე – ვადას გააჩნია – იმ თანხისა, რომელზედაც საკრედიტო მოწმობა გაიცემა.

5. თუკი „საზოგადოებამ“ ზარალი განიცადა არასწორი, მისივე აგენტების მიერ მამულის მეტისმეტად გაზრდილი, შეფასების გამო ან გამგეობის მიერ წინდაუხედავად გადაჭარბებული ფასის დადებით, პირველ შემთხვევაში კომპანიის დამნაშავე აგენტებს, ხოლო მეორე შემთხვევაში დირექტორებს „საზოგადოების“ წინაშე კანონის შესაბამისად დაეკისრებათ როგორც პიროვნული, ისე ქონებრივი პასუხისმგებლობა.

6. „საზოგადოება“, კისრულობს რა მოწმობით განსაზღვრულ ღირებულებაზე უშუალო თავდებობას, ამასთანავე, არ იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას არც იმაზე, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა „საზოგადოების“ მოწმობით აღჭურვილ პირს მოცემული მამული, არც ამ პირის უფლებაზე – დააგირავოს ან გაასხვისოს ეს მამული. „საზოგადოება“ აკრედიტებს ქონების ღირე-

ბულებას, მაგრამ არა საკუთრების იურიდიულ უფლებას და, ამიტომაც, არ მონაწილეობს მფლობელობასთან დაკავშირებულ იურიდიულ დავაში.

7. „საზოგადოება“ არ იღებს აგრეთვე არავითარ პასუხისმგებლობას, როცა ქონება დაზიანდება ან განადგურდება სტიქიის მიზეზით. ასეთი შემთხვევებისთვის უნდა მოხდეს არსებული წესების ფარგლებში მამულის დაზღვევა შესაბამისი სადაზღვევო საზოგადოებების მიერ. ქონების მფლობელთათვის საქმის გასაადვილებლად კომპანიის გამგეობას მხოლოდ ის შეუძლია, რომ იკისროს შუამავლობა მფლობელსა და სადაზღვევო საზოგადოებას შორის, ანუ მიიღოს მფლობელისგან დაზღვევისთვის საჭირო მონაცემები, გადასახდელი თანხა და ამ საფუძველზე მიაღებინოს მას სადაზღვევო პოლისი. –

8. თუ „საზოგადოების“ მიერ გაცემული საკრედიტო მოწმობის მქონე პირი ხაზინასთან თუ სხვა კერძო პირთან გარიგებისას მოიქცევა არაწესისამებრ და დაგირავებული ქონება ველარ აანაზღაურებს „საზოგადოების“ მიერ განსაზღვრულ ფასს, მაშინ სახელისუფლებო გადაწყვეტილების საფუძველზე მოგირავნე „საზოგადოებას“ წარუდგენს მოთხოვნას და კომპანიის სალაროდან სრულად და დაუბრკოლებლად მიიღებს კომპანიის მიერვე ქონების შეფასებისას დადგენილ თანხას, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნა წარმოდგენილი იქნება „საზოგადოების“ მოწმობით დადასტურებული ვადის გასვლამდე. ამის შემდეგ თვითონ მამული გადავა კომპანიის დროებით მფლობელობაში და იგი მას გაყიდის საკუთარი შეხედულებისამებრ; ესე იგი: ან ვადაგადაცილებული დაგირავებული მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დადგენილი წესით, ან კიდევ საბაზრო (თავისუფალი) ფასით, თუკი საჯარო ვაჭრობის ბოლო ფასი ვერ აანაზღაურებს „საზოგადოების“ მიერ ამ მამულისთვის გადახდილ თანხას პროცენტების ჩათვლით. პროცენტები კი ასეთ შემთხვევებში გამოითვლება შემდეგი წესით: ერთდროულად 3% პირგასამტეხლო და წლიური 6% თანხის გადასახდელად საკრედიტო მოწმობის წარდგენის დღიდან გირავნობის პირობით უზრუნველყოფილი ქონების გაყიდვის დღემდე. ამონაგებიდან დარჩენილი საბოლოო თანხა ქონების ყოფილ პატრონს უბრუნდება; რაც შეეხება მამულის შემოსავალს დღიდან მი-

სი დროებით საკუთრებაში მიღებიდან გაყიდვამდე, ეს შემოსავალი კომპანიის სალაროს გადაეცემა დაუბრუნებლად.

9. გადახდის უნარმოკლებული გირავნობის ასანაზღაურებელი თანხის მოთხოვნის შემთხვევაში „საზოგადოების“ გამგეობა ვალდებულია, მოგირავნეს დაკრედიტებული თანხა აუნაზღაუროს არა უმეტეს 30 დღისა. ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში თანხის სრულად გასტუმრებამდე მოგირავნე „საზოგადოებისგან“ მიიღებს შეჩერებული კაპიტალის ღირებულების პროცენტს, რომელიც გამოითვლება წლიური 6%-იდან, როგორც ეს წინა პუნქტშია მითითებული; ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის შეჩერების მიზეზი არ იქნება თვითონ მიმღები. –

10. თუ იმ პერიოდში, როცა მამული „საზოგადოების“ მფლობელობაში იქნება გადასული, ყოფილი მფლობელი მონახავს მყიდველს მე-7 პუნქტის პირობებით, მამული უნდა გაიყიდოს „საზოგადოების“ მხრიდან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

11. თუკი მამულის გირავნობა „საზოგადოების“ მიერ გაცემული საკრედიტო მოწმობის საფუძველზეა უზრუნველყოფილი, მაშინ სახაზინო ოპერაციის ან კერძო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო ყადაღა, რომელიც არსებული წესის შესაბამისად მამულს ექნება დადებული, „საზოგადოებისთვის“ იძენს წინდის ძალას.

12. საკრედიტო მოწმობის განახლება უნდა მოხდეს მხოლოდ მასში მითითებული ვადის ამოწურვის დღიდან, თუმცა ახალი ვადა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 10 წელიწადს და აუცილებლად მფლობელსა და „საზოგადოებას“ შორის შეთანხმების საფუძველზე უნდა იყოს გაფორმებული. რაც შეეხება ბაღებს, „საზოგადოების“ მხრიდან მასზე მოწმობა გაიცემა არა უმეტეს სამი წლისა და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში შეთანხმების განახლებაც უნდა მოხდეს ყოველი სამი წლის გასვლის შემდეგ.

13. საკრედიტო მოწმობა გაიცემა „საზოგადოების“ გამგეობის მიერ ფაბრიკული წესით დამზადებულ სპეციალურ ქაღალდზე, რომელიც დაიბეჭდება სახელმწიფო ქაღალდების ბეჭდვის კომისიის მიერ გაცემული განკარგულების საფუძველზე. ქაღალდის ფურცლები, თითოეული 3 მანეთის ღირებულებისა, გადაეკვრება დავთარს, რომელსაც საჭიროებისამებრ „საზოგადოების“ გამგეობის სახელზე

გასცემს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს ფინანსური დეპარტამენტი. გადასახდელი თანხა „საზოგადოების“ გამგეობის მიერ ფურცლების მიღებისთანავე იქნება ხაზინაში შეტანილი. –

§ 18

წინამდებარე წესდების ძირითადი საფუძვლების შესაბამისად აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული თითოეული ახალი განმარტება ან დამატება, აგრეთვე, ცვლილებები ცალკეულ წესებში დასამტკიცებლად წარედგინება ბ-ნ კავკასიის მეფისნაცვალს. წესდებაში ცვლილებების შეტანის ან რომელიმე წესის გაუქმების შესახებ დადგენილებას იღებს „საზოგადოების“ საერთო კრება ხმათა არა უმცირეს სამი მეოთხედისა და, შესაბამისად, კრება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად უფლებამოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ესწრება ხმის უფლების მქონეთა საერთო რაოდენობის არანაკლებ სამი მეოთხედისა. ხმის უფლება კი ენიჭება იმ აქციონერს, რომელიც ფლობს არანაკლებ 10 აქციას; ერთ პირს არ მიენიჭება 10 ხმაზე მეტი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი აქციის მფლობელია იგი ან საკუთრების უფლებით, ან კიდევ – რწმუნებულების საფუძველზე.

[2 ივნისი. 1860. ცარსკოე-სელო]

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის შესახებ

...• საფუძვლების გარკვევისას არ შეგვეძლო ასევე თამამად არ გაგვესწორებინა თვალი ჩვენი მომავლისათვის, რამდენადაც ამას წინდახედულობის უნარი მოგვცემდა და ამ გზით გვეძებნა საშუალებები, რომლებიც ჩვენ მიერ გაღებულ მსხვერპლს აგვანაზღაურებინებდა.[1] სამომავლო გზების ძიებისას თავისთავად გამოიკვეთა ერთადერთი შესაძლებლობა – ჩვენი მატერიალური დანაკარგების აღდგენის საშუალება იმ ძალაშია, რომელსაც ცოდნა იძლევა. მაშასადამე, უნდა ვისწრაფოდეთ ცოდნის შეძენისა და განათლების საქმის მოწესრიგებისაკენ. ხოლო იმისათვის, რომ ამ გზას დავდგომოდით და ჩვენი მთავრობისთვისაც მის მიერ გაღებული უზარმაზარი ხარჯის სიმძიმე ასე თუ ისე შეგვემსუბუქებინა, ყოველი ღონისძიებით უნდა გვეცადა, შეგვექმნა დამხმარე კაპიტალი, რომლითაც ყოველდღიურ გაჭირვებაში ხელს გავიმართავდით. მაგრამ როგორ უნდა შეგვექმნა იგი? ხელმწიფე იმპერატორმა, როცა თავისი ყოვლადმოწყალე მონარქიული გულისყური ჩვენს სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობას მიაპყრო, ფულადი დახმარების გაწევა ინება, რათა ჩვენთვის ძველი წესწყობილებიდან ახალზე გადასვლა შეემსუბუქებინა. სწორედ ამ გარემოებისკენ უნდა მიგვეპყრო ჩვენ თავიდანვე ყურადღება, ამ გარემოებაზე უნდა დაგვეყრდნო ჩვენი თავდაპირველი იმედი და სასოება. გაჩნდა აზრი, ბოძებული თანხიდან სპეციალური კაპიტალი შეგვექმნა. არავის არა აქვს სურვილი, მიითვისოს ეს აზრი, არავის არა აქვს პრეტენზია, თავი ამ იდეის ავტორად გამოაცხადოს. შექმნილ

• ხელნაწერი ტექსტი თავნაკლულია — პაგინაციის მიხედვით, აკლია პირველი ფურცელი.

თ. ჯ.

პირობებში იგი უნდა წარმოშობილიყო თავისთავად, ძალდაუტანებლად. ჩემ მიერ სამსახურებრივი წესით გამოთხოვილი[2] უმაღლესი ხელისუფლების ნებართვით, ეს წინადადება საგანგებო სამაზრო კრებებზე იქნა გაცხადებული. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ კრებათა დადგენილებებს არ ჰქონდა ისეთი ძალა და მნიშვნელობა, რა ძალა და მნიშვნელობაც საგუბერნიო ყრილობათა დადგენილებებს ექნებოდა. ამიტომაც ეს საქმე თავისთავად დღევანდელ ყრილობამდე გადაიდო.

აქ ვწყვეტ საუბარს საკითხის ისტორიის შესახებ, თქვენი ნებართვით გვერდს ავუვლი სხვა წვრილ-წვრილ გარემოებებსაც და გადავალ უშუალოდ თემის განხილვაზე. განხილვის დაწყებისთანავე კი აღვნიშნავ, რომ ჩვენ მუდმივად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ერთი გარემოება, კერძოდ – კანონთა მე-9 ტომის 120-ე მუხლის მიხედვით მონიჭებული გვაქვს უფლება, შევადგინოთ საკუთარი კაპიტალი და ადგილ-მამულების დაგირავების მეშვეობით გავცეთ საბანკო სესხი. ამგვარი კაპიტალის შედგენა, მოგეხსენებათ, ამ სახით იყო განზრახული: დროებით ან სამუდამოდ გადაგვედო მეხუთედი იმ თანხისა, რომელიც გლეხების სამსახურის სანაცვლოდ უნდა გვბოძებოდა – ანუ 5 მანეთი თითო სულზე.[3] ვვარაუდობდით, რომ ამ გზით ძირი კაპიტალი 340 ან 350 ათას მანეთს მიაღწევდა. სანამ კაპიტალის თანხობრივი ოდენობა განისაზღვრებოდა და მსჯელობისა და განხილვის მეშვეობით იდეაც ბუნებრივად ჩამოყალიბდებოდა, ამ პროცესში, გარდა განათლებისთვის საჭირო თანხის გაზრდისა, ჩვენი ყოფისთვის დამახასიათებელი სხვა არანაკლებ მწვავე საჭიროებებიც გამოჩნდა. ჩვენი საჭიროებები რომ გავიაზრეთ, თავიდან გადავწყვიტეთ, საკრედიტო საქმე კერძო ინტერესებზე დაგვემყარებინა, თუმცა მალევე გამოჩნდა ამ საქმის საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნების საჭიროება. მას შემდეგ, რაც იმპერიის მასშტაბით საადგილმამულო კრედიტის წესისა და ხასიათის ან, უფრო ზუსტად, მთელი ამ სისტემის, ძირეული ცვლილების საკითხი დადგა, შეუძლებელი იყო, არ გაგვჩენოდა ადვილად გასაგები სურვილი, თვითონ საზოგადოებასვე შეექმნა ისეთი დაწესებულება, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ამჟამინდელი „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულების“ ზოგიერთ ფუნქციას.[4] ეს აზრი თბილისის გუბერნიი-

დან, ბუნებრივია, ქუთაისის გუბერნიაშიც გავრცელდა და იქ, როგორც ცნობილია, ამგვარი საკრედიტო დაწესებულების შესაქმნელად გაცილებით მეტი თანხა შეგროვდა.[5]

ახლა შევუდგეთ ყველა იმ საშუალების განხილვას, რომელიც ჩვენს წრეში წარმოშობილი აზრის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას შეგვაძლებინებს. ამასთანავე, მე არ ვაპირებ ყველა წვრილმანის განსჯა-განხილვას – თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს მხოლოდ საქმის ძირითადი არსი, საფუძვლები და ის გეგმა, რომლის მიხედვითაც ეს დაწესებულება უნდა დაარსდეს. საქმე ისაა, რომ სანამ თქვენ წარმოდგენილ საფუძვლებსა და გეგმას არ დაამტკიცებთ, მანამ ცალკეულ დეტალებზე საუბარი არა მარტო ზედმეტი, არამედ შეუძლებელიც იქნება. რაც შეეხება იმ საფუძვლების განვითარებას, რომლებიც ჩვენ მიერ აქ საბოლოოდ იქნება მიღებული, ეს უკვე უნდა გაკეთდეს სამომავლოდ და უნდა აისახოს ბანკის წესდების პროექტში, პროექტის შედგენაზე მუშაობა კი შემოთავაზებული საფუძვლების მიღების შემდეგ უნდა დაიწყოს.[6] ზოგიერთი საკითხის ჩამოყალიბება, როგორც, მაგალითად, ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებული დეტალური წესების შემუშავება, ხელისუფლების მიერ ბანკის წესდების დამტკიცებამდე უნდა გადაიდოს. ამჟამად ჩვენ გვჭირდება: 1. გავარკვიოთ წრე იმ ოპერაციებისა, პროექტით გათვალისწინებულმა საკრედიტო დაწესებულებამ რომ უნდა განახორციელოს; 2. გამოვნახოთ საშუალება ძირი კაპიტალის შესაქმნელად; 3. დავადგინოთ სესხის გაცემისა და სესხის გადახდის (პროცენტებითურთ) ძირითადი საფუძვლები; 4. შევიმუშაოთ ბანკის მართვა-ადმინისტრირების ზოგადი წესი.

ამ საკითხთა გარკვევის შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთება დაწესებულების ზოგადი სახე და ჩამოყალიბდება ძირითადი საწყისები, რომელთა საფუძველზეც წესდების შემუშავება უნდა დაიწყოს. რაც შეეხება ჩემ მიერ წარმოდგენილი წინადადების არსსა და სულისკვეთებას, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული ოთხი ამოცანა უნდა გადაიჭრას, გადავწყვიტე, არ მოვრიდებოდი და იმპერიაში მოქმედი კერძო ბანკების წესდებათაგან პირდაპირ გადმომეღო ის, რაც საყოველთაოა, თუმცა, ამასთანავე, უნდა გამეთვალისწინებინა ჩვენი მხარისა და ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი თავისებურებები – ჩვენს განკარგულებაში არსებული

თავისუფალი თანხა უნდა მოხმარდეს არა იმდენად კერძო, რამდენადაც მწვავე საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას როგორც სადღეისოდ, ისე სამომავლოდაც. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადაჭრისას საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ორ გარემოებას:

1. წრე ჩვენი ბანკების ოპერაციებისა თავიდან უნდა მოიცავდეს უპირველეს სადღეისო საჭიროებებს და შემდეგ გაფართოვდეს თვითონ ამ ოპერაციების გაფართოება-განვითარების კვალდაკვალ; და

2. განზრახული ბანკი ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებულ კერძო პირთა თუ კაპიტალისტთა ჯგუფის კომერციული შემოსავლების წყაროდ კი არ უნდა გადაიქცეს, არამედ შეინარჩუნოს საერთო-საზოგადოებრივი დაწესებულების ფორმა და ხასიათი.

ორივე საკითხი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ერთმანეთისაგან განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც პირველი საკითხის მოგვარება, ე. ი. საბანკო ოპერაციების განსაზღვრა, დამოკიდებულია აუცილებელი კაპიტალის ოდენობასა და მისი შექმნის საშუალებებზე. ამაზე იქნება დამოკიდებული დაწესებულების ხასიათი და, მაშასადამე, მისი ადმინისტრირების წესიც. ამიტომაც, პირველ რიგში, სწორედ საბანკო ოპერაციების წრე უნდა იქნეს განხილული. ამ მხრივ, როგორც ზოგადად ადგილობრივი პირობებიდან, ისე ჩვენი უმთავრესი მიზნებიდან გამომდინარე – არ შეიძლება ეს არ ვაღიაროთ – საჭირო გახდება ოპერაციათა გაფართოება, მაგრამ არა მაშინვე, არამედ თანდათანობით და ბანკის ფინანსურ რესურსებთან მკაცრ შესაბამისობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოპერაციების გაფართოება მხოლოდ აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი და იმავე აუცილებლობით განისაზღვროს გაფართოების ფარგლები, რათა ეს პროცესი თვითონ დაწესებულებას არ დააწვეს ტვირთად.

შეიძლება ამთავითვე შევთანხმდეთ რამდენიმე ისეთი კონკრეტული ოპერაციის დაუშვებლობაზე, რომლებიც არ იქნება ჩვენი საჭიროებების შესაბამისი. ვთქვათ, გამოვრიცხოთ ალბათობა, ჩვენმა ბანკმა მიიღოს შერეული ხასიათი – საბანკო ოპერაციების

დროს სრულად უნდა იყოს დაცული საქმის ტერიტორიული თავისებურებები.

საკითხში უკეთ გასარკვევად მოგაწვდით ცნობებს, რომლებიც ფინანსისტებისგან მაქვს მოპოვებული.[7] საზოგადოებების მიერ, ისევე, როგორც მთავრობისაგან, დაარსებულმა ბანკებმა შეიძლება მოცემულ ტერიტორიაზე საკრედიტო ოპერაციები აწარმოონ სრული მოცულობით ან აწარმოონ საკრედიტო ოპერაციების მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრული ნაწილი. ამ ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ბანკების საქმიანობაში არსებობს ნაირგვარი გრადაციები, რომელთა მიხედვითაც ამა თუ იმ ბანკს მეტად ან ნაკლებად აქვს შერეული ხასიათი. პრაქტიკა კი უფრო მკვეთრად განასხვავებს საკრედიტო ოპერაციების ორ ტიპს. ესენია: ოპერაციები, რომლებიც სავაჭრო ორგანიზაციებთანაა დაკავშირებული და ოპერაციები, რომლებიც უპირატესად ადგილობრივ წარმოებას უკავშირდება. ამგვარი განსხვავებულობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფის ორი ტიპითაა განპირობებული. მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო პრინციპი ეფუძნება ან კურსს, ან ფასეულობებს, რომლებიც მოქმედებს ფულად ბაზარზე კერძო ვალდებულებებისა და სახელმწიფო თუ კერძო ფასიანი ქაღალდების სახით. სხვა შემთხვევაში საკრედიტო პრინციპი ეფუძნება კერძო ქონებას: მიწებს, სახლებს, საწარმოო პუნქტებს და სხვ. ერთი სიტყვით, პირველ შემთხვევაში კრედიტი პიროვნული ხასიათისაა, მეორე შემთხვევაში – სანივთო ხასიათისა. აქედან გამომდინარეობს ორი ტიპი ბანკისა: კომერციული, ანუ განაღდებაზე დამყარებული და გამსესხებელი ბანკები, რომლებშიც სესხი ქონებითაა უზრუნველყოფილი. დასასრულ, იმ ოპერაციებში, რომლებსაც ბანკი აწარმოებს, გარდა სესხის გაცემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისა, შეიძლება შედიოდეს ანაბრის მიღება პროცენტული სარგებლობისათვის ან შესანახად, თუმცა შესაძლებელია, ბანკმა უარიც თქვას ამ ტიპის ოპერაციებზე.

ასე და ამგვარად, ბანკი შეიძლება აწარმოებდეს სამი მთავარი სახის ოპერაციას და ეს გარემოება, თავის მხრივ, განსაზღვრავს კიდევაც მოცემული ბანკის ხასიათს: 1. სესხის გაცემა სანივთო უზრუნველყოფით; 2. კერძო ვალდებულებით განაღდება

და გაცემა სესხისა, რომელიც ფასიანი ქაღალდებითაა უზრუნველ-ყოფილი; 3. ანაბრების მიღება.

ამ სამი ტიპის ოპერაციებიდან ისინი, რომლებიც დაკავშირე-ბულია პირად კრედიტთან და სავაჭრო ბრუნვასთან, ცხადია, ჩვენ-თვის არ არის მისაღები და ამიტომ ისინი ჩვენ მიერ განზრახული ბანკის საქმიანობის სფეროდან თავისთავად გამოირიცხება. ჩვენი ბანკის საქმიანობა შემოისაზღვრება სამრეწველო კრედიტით, რო-მელიც ნივთიერად იქნება უზრუნველყოფილი. ასე რომ, სამომავ-ლო საბანკო ოპერაციების საქმე სწორედ ამ ფარგლებში უნდა იქ-ნეს განხილული – უნდა გადავწყვიტოთ, ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი რა საკრედიტო ოპერაციების უფლება უნდა მივანიჭოთ ჩვენს ბანკს. ამასთან დაკავშირებით ისევ ჩნდება აუცილებლობა, ყურადღება მივაპყროთ ორ არსებითი მნიშვნელობის გარემოებას:

I. აქამდე ამიერკავკასიის მხარეში საკრედიტო საქმე სპეცი-ფიკურ საწყისებზე იყო დამყარებული. 1849 წელს გარდაქმნილი „პრიკაზი“, გარდა ადგილ-მამულის გრძელვადიანი – 15-, 27- და 37-წლიანი – გირავნობისა, გირაოს საფუძველზე იმავე ვადით სესხს ქალაქის უძრავ ქონებაზეც გასცემდა: დუქნებზე, ქარ-ვასლებზე, ფასიან აბანოებზე და სხვ. იგივე „პრიკაზი“ გირაოს სა-ფუძველზევე მოკლევადიან სესხებს გასცემდა ბაღებსა თუ ნივ-თებზე, ასევე იღებდა ანაბრებს საპროცენტო შემოსავლისათვის ან შესანახად, ანუ ერთდროულად ასრულებდა ლომბარდის, სახაზი-ნო-შემნახველი და შემნახველი სალაროებისთვის დამახასიათე-ბელ ოპერაციებს. ერთი სიტყვით, „პრიკაზის“ საქმიანობის სფე-როში შედიოდა ყველა საკრედიტო ოპერაცია, რომელთა სანივთო უზრუნველყოფა ხდება და ეს, პირველ რიგში, იმით იყო გამოწვეუ-ლი, რომ მხარეში სხვა სპეციალური საკრედიტო დაწესებულება, უბრალოდ, არ არსებობდა. – ამგვარ ვითარებაში ბუნებრივად ჩნდება სურვილი, ჩვენმა ბანკმა, თუნდაც თავისი ***ტერიტორიული შემოფარგლულობის*** გამო, არა თავიდანვე, არამედ თანდათანო-ბით, განახორციელოს ის ნაირგვაროვანი საკრედიტო ოპერაციები, რომლებსაც „პრიკაზი“ ასრულებს. მანამდე კი, თავიდან, ჩვენი ბანკი მხოლოდ და მხოლოდ საადგილმამულო სესხებით უნდა შე-მოიფარგლოს.

II. მეორე გარემოებას ქმნის ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიც შემოსავლის მქონე ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი კრედიტის ხელმისაწვდომობის მხრივ დღემდე იმყოფება. საქმე ეხება გლეხობას, რომელიც მოკლებულია საშუალებას, გირავნობის რაიმე ფორმით ისარგებლოს. არადა, შემოსავლის მოცულობა მათ ამის სრულ შესაძლებლობას აძლევს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ გლეხები ხშირად მიმართავდნენ და დღესაც მიმართავენ კერძო ხასიათისა და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებულ საგირავნო საშუალებებს. აქედან წარმოიშვა გლეხების შემოსავლებთან დაკავშირებული ის სამძიმო და დახლართული ვითარება, რომელსაც, ჩვენ შორის ძველთაგანვე ჩამოყალიბებული ურთიერთობიდან გამომდინარე, საადგილმამულო კრედიტის შესახებ აზრის ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე საგანგებო ყურადღება უნდა დავუთმოთ. გლეხები – განსაკუთრებით, ღვინის მწარმოებელი გლეხები – უმეტესწილად ღვინით მოვაჭრეთა მუდმივი, ასე ვთქვათ, კაბალის ქვეშ იმყოფებიან. ვაჭრები გლეხებს სესხის სახით ყოველწლიურად აძლევენ უმნიშვნელო თანხას, რომლის სანაცვლოდაც გლეხთა მიერ მიწისა და ბაღებისგან მიღებული მოსავლის სახით პროცენტულად წარმოუდგენელ მოგებას ნახულობენ. გლეხებს კი, თავის მხრივ, თუ აქამდე ფული გამოსაღების გადასახდელად სჭირდებოდათ, ამის მერე კიდევ უფრო მეტად დასჭირდებათ გამოსაღებისა და ღალის ან გამოსყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების გამო. ასე რომ, გლეხი წლიდან წლამდე ვერ იღებს იმ შემოსავლის ნახევარსაც კი, რომელსაც მისთვის გამართული საკრედიტო სისტემის პირობებში მიიღებდა. და ეს სამწუხარო მოვლენა სამწუხარო მოვლენადვე დარჩება მანამ, სანამ მის აღმომფხვრელ საშუალებებზე არ ვიფიქრებთ. ამგვარ საშუალებათა ძიება კი, როგორც ჩანს, ჩვენი ხვედრია და – მაინცადამაინც ჩვენი ამჟამინდელი განზრახულების მეშვეობით. პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვანია გლეხებისთვისაც, მხარის საერთო ინტერესებისთვისაც, სამართლიანობის დასამკვიდრებლადაც და ჩვენს კეთილდღეობასთანაც პირდაპირაა დაკავშირებული: შეძლებული და არა გაღატაკებული გლეხის სახით მემამულეს ეყოლება იოლად საურთიერთობო და ახლობელი მეზობელი-არენდატორი, რომელიც მისთვის ყოველთვის უფრო სანდო დასაყრდენი იქნება, ვიდრე – გარედან მოსული შემთხვევითი არენდატორი. მომხმარებელი მემამუ-

ლის საკუთრებისა, მაგალითად, ტყისა, ამ ტყის უნებართვოდ მჩეხავები კი არ იქნებიან, არამედ – შეძლებული გლეხები. ფულთან დაკავშირებული თუ სხვა ტიპის გარიგებები, რომლებიც შეუძლებელია ახლო მეზობლებს, ამ შემთხვევაში, მემამულეებსა და გლეხებს, შორის არ დაიდოს ხოლმე, მემამულისათვის მით უფრო გარანტირებული იქნება, რაც უფრო შეძლებულ და უზრუნველყოფილ გლეხთან ექნება მას ეს გარიგება დადებული.

შემდეგ: გლეხის შეძლების ხარისხზე იქნება დამოკიდებული მემამულისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამ – მიწის ფასის ზრდა. საადგილმამულო რენტის ოდენობა დამოკიდებულია წარმოების განვითარებაზე, წარმოების განვითარება კი – მოთხოვნილების ზრდაზე. თავის მხრივ, გლეხის მატერიალური მდგომარეობის თუნდაც ოდნავი გაუმჯობესება მოთხოვნილებისა და საადგილმამულო ღირებულების ზრდაზე გაცილებით უფრო მკაფიოდ და თვალნათლივ აისახება, ვიდრე ის, რომ შემთხვევითმა ვაჭრებმა გლეხთა გაჩანაგების მეშვეობით გაიტანონ ადგილობრივი კაპიტალი ან ჩალის ფასად გაზიდონ მოსავალი. ამ მხრივ, თავის საცხოვრებელზე მიჯაჭვული ადგილობრივი მომხმარებლის გამდიდრება შეუდარებლად მომგებიანია ზოგადად ქვეყნისათვის და, განსაკუთრებით, მემამულისთვის, ვიდრე გამდიდრება გარედან მოსული ან მოხეტიალე სპეკულანტებისა.

ამას, რასაკვირველია, პირდაპირ მივყავართ ჩვენი ერთი უმთავრესი ეკონომიკური მიზნისკენ – მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ, თუმცა განცალკევებულ მეურნეობათა ჩამოყალიბებისკენ, რაც მოსახლეობაში სარჩო-საბადებლის თანაბარზომიერად განაწილების შესაძლებლობასაც იძლევა.

შემდეგ: თვითონ გამოსასყიდი გადასახადი და, შესაბამისად, გამოსყიდვის ქაღალდის კურსი – ამაზეც უნდა ვიფიქროთ – მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა გლეხობას ექნება ამ გადასახადის გადახდის საშუალება. დასასრულ, ახლახან განხორციელებული საგლეხო რეფორმისთვის საგრძნობი მსხვერპლი გავიღეთ და შეუძლებელია, არ გვქონდეს სურვილი, რომ რეფორმამ საბოლოო ჯამში რეალურად გაუმჯობესოს როგორც გლეხობის, ისე ჩვენი ყოფა. ეს კი შეუძლებელია ეკონომიკური სოლიდარობის გარეშე, ანუ მოცემულ შემთხვევაში გლეხობას უნდა მივ-

ცეთ ხელსაყრელი კრედიტის გამოტანის საშუალება. ამით მათ დავეხმარებით, გაისტუმრონ ვალები იმ მწარმოებლებისა, რომლებიც მათი სარჩო-საბადებლის ექსპლუატაციას ეწევიან.

დასახელებული ძირითადი საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც კრედიტი საგლეხო მიწებზეც უნდა გავრცელდეს, როგორც ქვემოთ სხვა საკითხებზე მსჯელობისას ვნახავთ, ახალი სპეციფიკური გარემოებებით უნდა შეივსოს. ამას ყველაფერს მივყავართ დასკვნამდე, რომ განზრახული საკრედიტო დაწესებულების სამოქმედო ჩარჩოები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი წოდებით არ უნდა შემოიფარგლოს. საჭიროა, მან მთელი სამიწათმოქმედო მეურნეობა მოიცვას, ანუ საჭიროა კრედიტის გაცემა ყველა საადგილმამულო საკუთრებაზე, განურჩევლად იმისა, თუ ვინ არის მისი მფლობელი. შესაბამისად, შემოღებულ უნდა იქნეს:

1. გირავნობით სესხის გაცემა ყოველგვარ შემოსავლიან მიწასა თუ ბაღებზე;

2. გირავნობით სესხის გაცემა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებზე;

3. ანაბრების მიღება.

გარკვეულწილად სწორედ ამ საბანკო ოპერაციებმა უნდა გვიკარნახოს ოდენობა იმ ძირი კაპიტალისა, რომელიც ბანკის დასაარსებლად არის საჭირო და მანვე უნდა განსაზღვროს ამ კაპიტალის შედგენის წესიც.

რაც შეეხება კაპიტალის შედგენის წესს, სანამ მოგახსენებდეთ, თუ რა მოგვეპოვება ამჟამად, რისი ქონაა კიდევ საჭირო და რისი მოპოვებაა შესაძლებელი, ვიტყვი შემდეგს: არსებული საკრედიტო დაწესებულებები ზოგადად ქმნის ორ სისტემას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკვე არსებული თუ დაარსების პროცესში მყოფი ბანკები ან საზოგადოებრივი ხასიათისაა, ან – კერძო ხასიათისა. პირები, რომლებიც საერთო სარგებლისთვის აარსებენ ბანკს, ერთიანდებიან და ურთიერთთავდებობის პრინციპზე დაყრდნობით ქმნიან სპეციალურ საზოგადოებას, უშვებენ ობლიგაციებს და ამ გზით კაპიტალისტებისგან იღებენ სესხს. ასეთ შემთხვევაში ბანკი სპეციალურად შექმნილი საზოგადოების საკუთრება ხდება, ოღონდ ამ საზოგადოებას აქვს მოცემული ბანკიდან კრედიტის გამოტანის უფლება და სესხის გამცემი კაპიტალისტების წინაშეც მხოლოდ ეს სა-

ზოგადოებაა მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებელი. ეს არის კაპიტალის შექმნის პირველი წესი. მეორე წესია, როცა ბანკს აარსებს არა მთელი საზოგადოება ან მისი რომელიმე ნაწილი, არამედ ცალკეულ კაპიტალისტთა კერძო კომპანია, რომელიც კაპიტალს აგროვებს ან ხელის მომწერების, ან აქციების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ბანკი უკვე არის კერძო დაწესებულება, რომელსაც კაპიტალისტები აარსებენ თავიანთი რისკის ფასად და ანგარიშით, რომ მოგებას საკუთრების იმ უფლების საფუძველზე მიიღებენ, რა უფლებითაც კერძო კომპანიები სარგებლობენ.

პირველ შემთხვევაში ბანკის მთავარი მიზანია, შექმნას საერთო-საზოგადოებრივი ხასიათის კრედიტი, ხოლო საკრედიტო ოპერაციების მეშვეობით კომერციული სარგებლის მიღება ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ან მას (სარგებელს) ბანკის მუშაობაში მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება. მეორე შემთხვევაში კი ბანკი კომერციული მიზანდასახულობისაა და მისი დაარსების ინიციატორ კაპიტალისტებს სარგებლის მიღების სურვილი ამოძრავებთ.

შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ბანკი იმთავითვე საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს, მოგება საზოგადოებასვე ხმარდება და ამიტომაც, შესაძლებელია, ბანკმა მსესხებლისთვის მეტ-ნაკლებად დაბალი პროცენტი დააწესოს, ამასთანავე, ბანკის მუშაობაში იგივე საზოგადოებაა თავდებიცა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ამღებიც. მეორე შემთხვევაში საზოგადოება იხდის მეტ-ნაკლებად მაღალ პროცენტს და საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებულ მთელ შემოსავალსაც საკუთრივ აქციონერები იღებენ.

თუ ზემოხსენებულ გარემოებებს კარგად ავწონ-დავწონით და გავარკვევთ, ორი სისტემიდან კაპიტალის ფორმირებისას რომელია უფრო რაციონალური, ძნელი არ იქნება დავასკვნათ, რომ ჩვენთვის უცილობლად პირველი სისტემაა ხელსაყრელი. თუმცა არსებობს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი უხერხულობა – ეს არის მსესხებელთა ურთიერთთავდებობა კაპიტალისტთა წინაშე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამგვარი უხერხულობა სინამდვილეში იმაზე უმნიშვნელოა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. როცა კერძო სააქციონერო კომპანია საკუთარი რისკის ფასად ამგვარ თავდებობას

კისრულობს, ამას გარკვეული ანგარიშით აკეთებს – წინდახედული შეფასებისა და სესხის გონივრული ოდენობის შემთხვევაში საკრედიტო ოპერაცია არათუ არ შეეხება ძირ კაპიტალს, არამედ შესაძლებელია დივიდენდის ან წმინდა მოგების მიღება. ასე იქნება ყველა შემთხვევაში, როცა სესხის პროცენტი დაგირავებული ქონებიდან მიღებული შემოსავლით დაიფარება. ეს არის სწორედ ის საფუძველი, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციის მოგებასა თუ ზარალს განაპირობებს. დაგირავებული ქონებიდან მიღებულმა შემოსავალმა ნაჭარბით უნდა დაფაროს ის პროცენტი, რომლის გადახდაც მსესხებელმა იკისრა. თუკი შესაძლებელია ამ პირობის პრაქტიკული განხორციელება, თუკი ადგილობრივი პირობები იძლევა შესაძლებლობას, ქონებიდან მიღებულმა შემოსავალმა სესხის პროცენტს გადააჭარბოს, მაშინ საკრედიტო ოპერაცია აღარ იქნება რისკის შემცველი და დამგირავებელს მძიმე ტვირთადაც არ დააწვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკრედიტო ოპერაცია თანაბრად გააჩანაგებს დამფუძნებლებს იმის მიუხედავად, დამფუძნებელი მთლიანად საზოგადოებაა, თუ – კერძო კომპანია. ამიტომაც აქ საერთოდ ზედმეტი უნდა იყოს საუბარი ამ ტიპის ოპერაციებზე.

მეორე მხრივ, თვითონ დამფუძნებლებმა უნდა იზრუნონ და მოგებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული პირობები შექმნან. ამისთვის კი საჭიროა ერთადერთი რამ – თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ზუსტად იქნეს გააზრებული და განსაზღვრული სესხის ოდენობისა და ქონებიდან მიღებული შემოსავლის ურთიერთმიმართება. ძირითადად სწორედ ამ გარემოებას ითვალისწინებს კერძო კომპანია და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ შესაძლებლობათა გადაჭარბებული გამოყენებისა და მსესხებელთა შევიწროებისაკენ უფრო კომპანიაა მიდრეკილი, ვიდრე – საზოგადოება. უფრო მეტიც, სააქციო კომპანიებთან შედარებით საზოგადოებას ამ მხრივ სხვა უპირატესობებიც აქვს – მას უკეთ ესმის, თუ რა შემოსავლის მიღება შეიძლება ამა თუ იმ ქონებისგან; იგი თვითონ ადებს ფასს და, ურთიერთთავდებობის პრინციპიდან გამომდინარე, ამაზე საკუთარი ქონებითვე აგებს პასუხს, შესაბამისად, ფასის განსაზღვრისას გამოიჩენს კიდევაც სათანადო სიფრთხილეს. კომპანია კი იძულებულია დაქირავებული დამფასებლების მეშვეობით იმოქმედოს.

ამდენად, ურთიერთთავდებობას ჩვენს შემთხვევაში არ უნდა მიეწეროს იმაზე უფრო სერიოზული მნიშვნელობა, რა მნიშვნელობაც მას სინამდვილეში აქვს. და თუ მაინც ჩავთვლით, რომ ურთიერთთავდებობა გარკვეულ უხერხულობებს შექმნის, მეორე მხრივ, განუზომლად მეტ მნიშვნელობას შეიძენს ის უხერხულობები, საზოგადოება საკრედიტო ოპერაციების კერძო სააქციო კომპანიების ხელში გადაცემით რომ წააწყდება. საპროცენტო მოგება, რომელსაც საზოგადოება საკრედიტო დაწესებულებას აძლევს, ამ დაწესებულებების აქციონერებს რჩებათ. არადა, შეიძლება საკრედიტო ოპერაციების გაფართოება, სასესხო პროცენტის შემცირება, ხოლო მოგების საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებისკენ მიმართვა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მოგება თვითონ საზოგადოებასვე დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას მოუწევს კომპანიას გადაუხადოს მაღალი პროცენტი ან მის სასარგებლოდვე იკისროს უვადო გადასახადი და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ან აზრთა შეუთანხმებლობის გამო, ან მიუხვედრელობის გამო საზოგადოება ვერ ბედავს საკრედიტო საქმის თავის თავზე აღებას. დივიდენდმა კი, ან გადასახადმა, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, საქმის რიგიანად წარმართვის შემთხვევაში შესაძლებელია ფრიად მნიშვნელოვან ოდენობას მიაღწიოს. ამასობაში რას აკეთებს სააქციო კომპანია საიმისოდ, რომ საკრედიტო ოპერაციებისგან მოგება მიიღოს? გასცემს თუ არა იგი მთელ საბრუნავ კაპიტალს საკუთარი შემოსავლიდან? აკრედიტებს თუ არა ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იძლევა თუ არა გირაოს ქვეშ საკუთარ ფულს? არა! იგი ხელმოწერებით ან აქციათა მეშვეობით აყალიბებს კაპიტალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს, დანარჩენით უშვებს ობლიგაციებს, ანუ საბრუნავი კაპიტალის უმეტეს ნაწილს ისევ იმავე საზოგადოებაში ატრიალებს სესხის სახით. ასე რომ, კომპანია კაპიტალის ამ უმეტესი ნაწილით ზუსტად ისე იღებს შემოსავალს, თითქოს ეს მისი საკუთარი ფული იყოს. საბოლოო ჯამში კომპანია აკეთებს იმავეს, რისი გაკეთება საზოგადოებასაც შეუძლია, ანუ, თავი მოუყაროს საკუთარი კაპიტალის ნაწილს, დანარჩენი გაასესხოს ობლიგაციების სახით, ხოლო სააქციო კომპანიას არც შემოსავალი უხადოს და არც – დივიდენდი.

იმდენად, რამდენადაც სააქციო კომპანია საკრედიტო დაწესებულებაზე პასუხისმგებლობას იღებს არა აქციონერთა მთელი ქონებით, არამედ მხოლოდ დაბანდებული ნაწილით, აქედან თავისთავად იხსნება გზა საკრედიტო დაწესებულების ფორმირების ***მესამე წესისკენ***, რომელიც საზოგადოებისგან არ მოითხოვს ურთიერთთავდებობას და, ამასთანავე, კრედიტის წარმოების კომპანიისეული არახელსაყრელი წესისგანაც სავსებით განსხვავებულია. – ეს ის არის, რაზეც თავიდანვე გავამახვილეთ ყურადღება და რის გარშემოც უნდა გაიმართოს ძირითადად ჩვენი მსჯელობა. ამ წესის თანახმად, ძირი კაპიტალი შეაქვს საზოგადოებას და ამ გზით იგი (კაპიტალი) იძენს საზოგადოებრივ ხასიათს, ანუ საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებს თვითონ საზოგადოება, რომელიც, თავის მხრივ, ხდება საკრედიტო დაწესებულების ბატონ-პატრონი და იოტისოდენადაც კი არ იქნება დამოკიდებული კერძო კომპანიაზე. ამასთანავე, არავითარი კავშირი არა აქვს ურთიერთთავდებობასთან, რომელიც ყოვლად გარდაუვალია იმ შემთხვევაში, როცა საკრედიტო ოპერაცია იწყება საზოგადოების სახელით, თუმცა ამ საზოგადოების მიერ შეტანილი ნაღდი ფულის გარეშე.

ასე და ამგვარად, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ ჩვენთვის პრინციპულად არახელსაყრელია, თუ საკრედიტო ოპერაციებს ხელში ჩავუგდებთ კერძო ამხანაგობებს ან კომპანიებს. შესაბამისად, ჩვენთვის უდავოდ სასურველია, ზემოაღნიშნული სამი წესიდან შევჩერდეთ უკანასკნელზე. მაგრამ არსებობს საკრედიტო ოპერაციების, როგორც წმინდა საზოგადოებრივი საქმის, წარმოებისას ზოგიერთი სერიოზული დაბრკოლება, რომელთა შესახებაც ახლავე მოგახსენებთ.

თბილისის გუბერნიის მოსახლეობა არ წარმოადგენს ერთ იურიდიულ მთლიანობას არც სამართლებრივად, არც – ფაქტობრივად. მასზე არ ვრცელდება საერობო წეს-კანონი, რომლის მიხედვითაც საშუალება ექნება, სამეურნეო საქმეებში წარმოადგენდეს ერთ პირს და, მოცემულ შემთხვევაში, ერობის სახელით შექმნას კრედიტი და დააარსოს ბანკი, როგორც საერობო დაწესებულება. რეალურად ეს მოსახლეობა დაყოფილია კლასებად, პროფესიებად, რომელთა შორის, მიუხედავად ზოგიერთი მიმართულებით საერთო ინტერესებისა, სუსტია ეკონომიკური კავშირები.

მოწყობა ბანკისა, როგორც მოსახლეობის ერთობლივი დაწესებულებისა, მოითხოვს ისეთ შეთანხმებას, რომლის გაფორმება, როგორც ირკვევა, რთულია როგორც იურიდიულად, ისე – ფაქტობრივად. ასეთ ვითარებაში შეგვიძლია ვიფიქროთ მხოლოდ და მხოლოდ წოდებრივ, ანუ სათავადაზნაურო, ბანკზე. მაგრამ მე ზემოთ პატივი მქონდა თქვენთვის მომეხსენებინა ის მიზეზები, რომელთა გამო ამ ტიპის ბანკის დაარსებაც არაერთ უხერხულობასთან არის დაკავშირებული. –

ბანკი, რომელიც კრედიტს მხოლოდ თავადაზნაურობის წარმომადგენელ მემამულეებს აძლევს, ვერ შეძლებს მკვიდრ ნიადაგზე დააფუძნოს საადგილმამულო კრედიტის გაცემის საქმე, ანუ ის, რისი მიღწევაც ჩვენ გვსურს. ამიტომაც იმპერიის საზღვრებში ყველა წმინდა წყლის საადგილმამულო ბანკი, რომელიც ან დაარსებულია, ან ამჟამად არსდება, ისწრაფვის ისეთი სისტემის შექმნისკენ, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, კრედიტი განურჩევლად ყველა სახის საადგილმამულო საკუთრებაზე გაიცეს. ის საკრედიტო ოპერაციები კი, რომლებიც ჩვენს ბანკს უნდა დაეკისროს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ვერ გასცდება სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ფარგლებს. თუკი განვახორციელებთ განურჩევლად ყველა ოპერაციას ან საადგილმამულო საკუთრებაზე ნებისმიერობის პრინციპით თუნდაც ერთი კრედიტის გაცემას დავუშვებთ და ამ დროს ჩვენ მიერ დაფუძნებული ბანკი იქნება წმინდა წყლის წოდებრივი (სათავადაზნაურო) ხასიათისა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავადაზნაურობას ჩავაყენებთ იმ სააქციო კომპანიების მდგომარეობაში, რომლებთანაც სხვა წოდებებსაც აქვთ ურთიერთობა, ანუ იძულებულვყოფთ სხვა წოდებებს, თავადაზნაურობასთან მიმართებით მოიქცნენ ისე, როგორც ზოგადად საზოგადოება ექცევა იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც მოცემული საზოგადოების ექსპლუატაციას ეწევიან; კიდევ უფრო ნათლად რომ ვთქვათ: თავადაზნაურობას ჩავაყენებთ იმ მეწარმის ყოვლად შეუფერებელ მდგომარეობაში, რომელიც სხვა წოდებათა ხარჯზე ხეირობს. თქმაც კი ზედმეტია, რომ ამგვარი როლის საკუთარ თავზე აღება არავითარ შემთხვევაში და არაფრით არ შეეფერება თავადაზნაურობის, როგორც მოწინავე წოდებრივი ფენის, ღირსებას. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება, კაპიტალის თავ-

დაპირველი ფორმირების წესმა ბანკი კერძო, კომპანიონურ დაწესებულებად და, შესაბამისად, კომპანიის საკუთრებად არ გადააქციოს.

გარემოება მაიძულებს, დავუბრუნდე ადრე დასმულ საკითხს – მონარქისგან ფულადი დახმარება იმიტომ გვებოძა, რომ ძირეულად გარდავქმნათ ჩვენი ყოფა. ამასთანავე, ეს არის ჯილდო საგლეხო ბეგარის გაუქმების გამო და ეს ჯილდო შეადგენს ორ მილიონ მანეთს. თავადაზნაურობაზე ამ თანხის გაცემის შემდეგ ხაზინაში რჩება, რამდენადაც ვიცი, 150 ათასი მანეთი. ამას გარდა, დროთა განმავლობაში ეტაპობრივი ასიგნების პროცესში ნამატმა შეიძლება მოგვცეს არანაკლებ 50 ათასი მანეთისა. მე ერთი წუთითაც არ ვიფიქრებ, რომ ჩვენ, თავადაზნაურობას, გვაქვს ამ თანხის განკარგვის ხელშეუვალი უფლება. იგი ნაწილია იმ კაპიტალისა, რომელიც შეწირულობის სახით გაიღო მთავრობამ გლეხთა ყოფის გასაუმჯობესებლად, ანუ თანხა გაღებულია როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ყოფის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, თავადაზნაურობა არ შეცდება, თუ იშუამდგომლებს მთავრობის წინაშე, რათა ეს თანხა იქცეს საზოგადოებრივ კაპიტალად და სწორედ ეს კაპიტალი დაედოს საფუძვლად განზრახულ ბანკს.

ამას გარდა, როგორც თავშივე მოგახსენეთ, სამაზრო კრებებზე გამოითქვა მზადყოფნა, ჯილდოდ მიღებული კუთვნილი თანხის მეხუთედი გადადებულიყო ბანკის დასაარსებლად. ამ გზით მიღებული თანხა დაახლოებით 340 ათასი მანეთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხარო გაუგებრობათა გამო, რომელთა შესახებ მე აქ არ ვაპირებ საუბარს – ამ საკითხის წამოჭრა ჩვენს ამჟამინდელ მიზანს დაგვაშორებს – დღეისთვის მხოლოდ 80 ათასი მანეთია შეგროვებული. ეს თანხა ამჟამად ხაზინაში სერიების, ნაწილობრივ კი მეორადი შიდასასესხო 5%-იანი მომგებიანი ბილეთების, სახითაა შენახული. დანარჩენი 260 ათასი მანეთი, როგორც ბანკის ძირი კაპიტალი, ჯერ კიდევ შეიძლება შემოვიდეს სამი საშუალებიდან ერთ-ერთის მეშვეობით. რაც შეეხება ხსენებულ სამ საშუალებას, მაქვს პატივი, მათ შესახებ დღევანდელ კრებას მოვახსენო და წარვუდგინო კიდეც განხილვისა და გადაწყვეტილებისათვის.

წარმოდგენილი სამი საშუალებიდან ერთ-ერთის გამოყენებით ბანკის დასაარსებლად შეგვეძლება შევადგინოთ კაპიტალი

540 000 მანეთის ოდენობით. აქვე გავიხსენოთ, რომ ჩვენი ბანკის მოქმედების არეალი ტერიტორიულად საკმაოდ შეზღუდულია. სახელდობრ, ეს არის თბილისის გუბერნიის ქართული მაზრები, რომლებშიც როგორც ჩვენ, ისე ჩვენს საკუთრებაში ნამყოფი გლეხები ვცხოვრობთ. პეტერბურგის საადგილმამულო-საკრედიტო საზოგადოებას, რომელსაც მთელი იმპერიის ტერიტორია უნდა მოეცვა, განზრახული ჰქონდა, ოპერაციები დაეწყო მას შემდეგ, რაც ხელმოწერების მეშვეობით საწყისი კაპიტალი 100 ათას მანეთს მიაღწევდა. ხელისუფლებამ, თავის მხრივ, ბანკის წესდების დამტკიცებამდე საჭიროდ ჩათვალა, ეს თანხა ერთ მილიონ მანეთამდე აეყვანა. ეს თანხა საკმარისად იქნა მიჩნეული გირავნობის ფურცლების გამოსაშვებად ისე, რომ მას ძირითადი კაპიტალისთვის 20-ჯერ გადაეჭარბებინა. ამგვარი ღონისძიება საკმარის საგარანტიო საფუძვლად ჩაითვალა. აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა: იქ, სადაც მილიონი მანეთი მთელი იმპერიის მასშტაბით 20-მილიონიანი საკრედიტო ოპერაციის გარანტიად ჩაითვალა, შეუძლებელია ნახევარი მილიონი საკმარისი არ იყოს წმინდა წყლის საადგილმამულო-საკრედიტო ოპერაციებისთვის და ისიც მხოლოდ ერთი გუბერნიის ოთხი მაზრის ტერიტორიულ ფარგლებში;[8] მით უმეტეს, ჩვენი განზრახულებაა გირავნობის ფურცლების მეშვეობით ამ თანხის გაზრდა არა მაშინვე, არამედ სამომავლოდ – მეტ-ნაკლებად შორეულ პერსპექტივაში და იმის გათვალისწინებით, თუ რომელი დრო რა საჭიროებას წარმოშობს. მართალია, ეს 540 ათასი დღესდღეობით მხოლოდ განზრახულებებში არსებობს, მაგრამ აუცილებელია იმ დაბრკოლებათა აღმოფხვრა, რომლებიც განზრახულებათა რეალიზაციას აბრკოლებს. ამისათვის კი ზემოხსენებული საშუალებების განხილვაა საჭირო.

540 ათასი მანეთის სარეალიზაციოდ სამი საშუალება წარმოგვიდგენია:

1. ძალაში დავტოვოთ ჩვენი თავდაპირველი გადაწყვეტილება ბოძებული ჯილდოდან მეხუთედის დაუბრუნებლად გადადების შესახებ. როგორ განვახორციელოთ ეს აზრი? – ეს უკვე მეორე საკითხია, რომლის შესახებაც საკუთარ მოსაზრებას ახლავე მოგახსენებთ. თუმცა მანამდე თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ ამ გზით შექმნილი კაპიტალი, დროთა განმავლობაში რა ოდენობი-

თაც არ უნდა გაიზარდოს იგი ნამატის მეშვეობით, უნდა დარჩეს საზოგადოების, ანუ ყველა ფენის, ხელშეუხებელ და, იმავდროულად, თავისუფალ საკუთრებად და იმავე საზოგადოებამ უნდა დაიტოვოს უფლება, ბანკის შემოსავალი თვითონვე განკარგოს საერთო სარგებლობისათვის.

ამასთანავე, საბანკო ოპერაციების წარმოებისას რაც უფრო მარტივი იქნება ანგარიშსწორების ფორმები, მით უფრო მოსახერხებელი და ადვილი იქნება ბანკის განვითარება და, შესაბამისად, მით უფრო სწრაფად, მოსახერხებლად და ადვილად დამკვიდრდება საადგილმამულო კრედიტის გაცემის საქმე, რაც ამჟამად ჩვენს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

2. მეორე საშუალება: აქაც ძალაში იქნეს დატოვებული ზემოხსენებული ჩვენი თავდაპირველი გადაწყვეტილება და ამის შემდეგ იგივე თანხა ბანკს მიეცეს ***სესხად ანაბრის სახით***. ერთი შეხედვით, ეს გზა უფრო ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც ჩვენგან მხოლოდ დროებით მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ ღირს კი იმ საქმეში, რომელიც ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, გადაწყვეტილება საფუძვლიანი აწონ-დაწონის გარეშე მივიღოთ? ამ ანაბრის სახით მოცემულ სესხს ჩვენ დავიბრუნებთ მხოლოდ მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის, ვთქვათ, 15 ან 20 წლის, განმავლობაში. მაგრამ სანამ ჩემს მძიმე სათქმელს ვიტყოდე, ნება მიბოძეთ, ესეც აღვნიშნო – ნახსენები დროის გასვლამდე ბანკმა თავისი ფუნქციები ორ ნაწილად უნდა გაყოს: ა) იმოქმედოს იმ კაპიტალის მეშვეობით, რომელიც ***დაუბრუნებლად*** ეკუთვნის, ანუ კაპიტალისა, რომელსაც მთავრობას იმპერატორის მიერ გაღებული ყოვლადმოწყალე ასიგნაციის საფუძველზე ვთხოვთ; და ბ) იმოქმედოს ***ნასესხები*** კაპიტალით, ანუ იმ კაპიტალით, რომელიც უკანვე უნდა დაბრუნდეს. ამგვარ ვითარებაში კი ადვილი წარმოსადგენია ის სირთულეები, რომლებსაც ბანკი თანხის უკან დაბრუნებამდე წააწყდება. მაგრამ, ვთქვათ, ყველა ეს სირთულე დაიძლია; ანგარიშებშიც არავითარი არეულ-დარეულობა არ მოხდა; საადგილმამულო კრედიტის საქმეს საიმედო საფუძველი შეექმნა; თუნდაც 20 წლის განმავლობაში ბანკი ფეხზე მყარად დადგა; ამ 20 წლის შემდეგ მსხვილი თუ წვრილი ვალებისგანაც გათავისუფლდა; აი, მაშინ უკვე იგი გათავისუფლდება ჩვენგანაც, ჩვენ მასზე ყოველგვარ

უფლებას დავკარგავთ, ანუ იძულებულნი გავხდებით, ნებაყოფლობით ***ავიღოთ ხელი*** ჩვენივე შრომის ნაყოფზე, ჩვენსავე მილიონებზე, რადგანაც იმ დროისათვის უკვე იქნება ეს მილიონები. ეს ყველაფერი სათქმელადაც კი მძიმეა, მაგრამ უთქმელობა ჩემი მხრიდან იქნებოდა ისევე დაუშვებელი, როგორც დაუშვებელია, მაგალითად, გაზაფხულზე, კაშკაშა დილის 10 საათზე კაცმა იფიქროს, 12 საათის შემდეგ ღამე კი არა, ისევ დილა იქნებაო.

ამის შემდეგ ერთი წუთითაც ვერ შევჩერდები საკითხზე, ჩამოთვლილი ორი საშუალებიდან რომელს მიანიჭებს უპირატესობას საგუბერნიო კრება. საქმე ისაა, რომ პირველ საშუალებას აირჩევს კრება თუ – მეორეს, საჭირო გახდება სასწრაფოდ გადასვლა შერჩეული საშუალების განხორციელების ფორმაზე, ანუ საჭირო გახდება კაპიტალის შექმნა. სრულად მაქვს გააზრებული ჩემი მოვალეობა, შემოგთავაზოთ საკითხის გადაწყვეტის ორი გზა, რომელთაგან თქვენ შეძლებთ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეარჩიოთ ყველაზე ადვილი.

თავისთავად შეიცვალა თავდაპირველი განზრახულება – გლეხთა პირადი ბეგარის სანაცვლოდ ბოძებული თანხიდან თითოეულ სულზე 5 მანეთის გადადება უკვე შეუძლებელია. ასე რომ, ორი გზიდან გვრჩება ერთი: ან შევიტანოთ ბანკში თანხა იმ ანგარიშით, რომელიც გამოსასყიდი კაპიტალის დროს არის მიღებული, ან თითოეული ჩვენგანის წილხვდომილი თანხა ჩაითვალოს ბანკიდან აღებულ სესხად და შემდეგ იგი თანდათანობით დავფაროთ იმ ოდენობებით, რა ოდენობებითაც უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი იფარება. –

აქვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: როცა აღნიშნული ჯილდო, სულზე 25 მანეთი, გაიცემოდა, მიუხედავად ბანკის დასაარსებლად მეხუთედის გადადების შესახებ სამაზრო კრებების გადაწყვეტილებისა, „პრიკაზის“ მოვალეებმა განაცხადეს, რომ მათზე რიცხული ვალების სასწრაფო სავადო გადასახდელები აქედან დაქვითვოდათ. ამ განცხადებისა და კიდევ იმ ერთ-ერთი გაუგებრობის გამო, რომელზედაც ზემოთ მივანიშნებდი, მოვალეებს ჯერ „პრიკაზის“ გადასახდელები ჩამოეჭრათ, შემდეგ კი დარჩენილი თანხიდან ბანკის სასარგებლოდ მეხუთედი დაექვითათ. ასე და ამგვარად, ნაღდი ფული, რომელიც ამჟამად ხელთა

გვაქვს, იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ამას შემომწირველები განიზრახავდნენ. ამიტომაც, 340-ათასიანი კაპიტალის შექმნისას რაიმე უსამართლობა რომ არ შემოგვეპაროს და ზოგს მეტის გადახდა არ მოუწიოს და ზოგსაც – ნაკლებისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემთხვევითი თუ გაუთვალისწინებელი გაუგებრობების მიზეზით საერთო საქმის საზარალო მოქმედებები რომ არ წავახალისოთ, გთავაზობთ, ნახსენები ორი საშუალებიდან ერთ-ერთის არჩევის შემთხვევაში დადგენილ იქნეს: იმათ, ვისაც ფული დაექვითათ, ამა თუ იმ საშუალებით შეავსონ წილხვდომილი თანხა, ცხადია, იმ დროისთვის კაპიტალზე დარიცხული პროცენტების ჩათვლით. ამ გზით უშუალოდ ჩვენგან ფორმირებულმა ძირმა კაპიტალმა და მთავრობისგან მოსალოდნელმა დახმარებამ ერთობლიობაში უნდა მოგვცეს 540 ათასი სარეალიზაციო მანეთი.

ეჭვი არ მეპარება, მოწყალეო ბატონებო, რომ ჩემგან შემოთავაზებული ორი ***საშუალებიდან*** თქვენ აირჩევთ პირველს. ამიტომაც შეიძლება არც ღირდეს ძირი კაპიტალის სხვა, ***მესამე,*** სარეალიზაციო საშუალებაზე საუბარი. მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ მაინც ვილაპარაკო მასზე, არა იმიტომ, რომ თქვენი ყურადღება საუკეთესო ვარიანტიდან სხვაზე გადავიტანო, არამედ, პირიქით, იმისათვის, რომ გაგიადვილოთ არჩევანი – სამი საშუალების შეჯერების შედეგად არჩეულ იქნეს ის ერთადერთი და საუკეთესო, რომელიც პირდაპირ მიგვიყვანს სასურველ მიზნამდე. – თვითონვე დარწმუნდებით, რომ ეს მესამე საშუალება გამოსადეგი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ უარყოფილი იქნება პირველი ორი საშუალება.

3. ეს მესამე საშუალებაა: ბანკის ძირ კაპიტალს, გარდა იმ თანხისა, რომელსაც მთავრობას ვთხოვთ, მიეცეს აქციონერული ხასიათი, ანუ მთელი სარეალიზაციო თანხა დანაწილდეს აქციებად და კაპიტალი ამ აქციათა მეშვეობით შეგროვდეს. მაგრამ რაც არ უნდა დიდი იმედი მქონდეს თქვენი მოთმინებისა და რაც არ უნდა საფუძვლიანად განვიხილო თქვენ წინაშე ამ მესამე საშუალებასთან დაკავშირებული დეტალები, არც უნარი მეყოფა და არც – საკმარისი სურვილი, შევნიღბო ის შედეგი, რომელსაც თავისთავად მივიღებთ ამ შემთხვევაში: ბანკის აქციონერული ხასიათი ეწინააღმდეგება იმას, რისი სურვილიც ჩვენ გვაქვს – დავაარსოთ საზო-

გადოებრივი ხასიათის ბანკი. ამასთანავე, თვითონ ბანკის მუშაობაც გართულდება, რამდენადაც იგი იძულებული იქნება, გამიჯნოს ოპერაციები კუთვნილი კაპიტალის ტიპის მიხედვით: თავადაზნაურობის მიერ არის იგი შეტანილი თუ – საზოგადოებისაგან აქციების მეშვეობით ამოღებული. ამასთანავე, როგორ უნდა ააწყოს სასესხო პროცენტის დაწესებისა და გადახდევინების სისტემა, ერთი მხრივ, ანაბრებისა და, მეორე მხრივ, აქციების შემთხვევებში. დასასრულ, პერსპექტივაში გარდაუვალად დავდგებით იმ ფაქტის წინაშე, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩვენ, ბანკის დამაარსებლები, დავკარგავთ ბანკზე ყოველგვარ უფლებას, ხოლო კაპიტალის ის ნაწილი, რომლის ფორმირება აქციების მეშვეობით მოხდა, აქციონერთა – საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის, ანუ კერძო საამხანაგო კომპანიის – საკუთრებად გადაიქცევა. ასე რომ, დიდად საეჭვოა, აზრი ჰქონდეს ამ, ჩვენთვის არასახარბიელო, საშუალებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის გაგრძელებას.[9]

მაშ, შევჩერდეთ იმ საჭიროებებზე, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. კერძოდ:

1. ჩვენთვისა და ჩვენი მხარისათვის აუცილებელი კრედიტის ფორმირების საქმე ხელში არ უნდა ჩავუგდოთ კერძო კომპანიას, რა სახელწოდებაც არ უნდა ჰქონდეს მას, რადგანაც ყველა სარგებელი დარჩება მასვე და არა – საზოგადოებას.

2. სავსებით უნდა გამოვრიცხოთ ურთიერთთავდებობის პრინციპი, რადგან იგი საზოგადოებას დიდი უხერხულობების წინაშე დააყენებს.

3. საჭიროა საადგილმამულო კრედიტის საქმე ისე მოეწყოს, რომ მან ხელი შეუწყოს ადგილობრივ განათლებას; და

4. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, საკრედიტო საქმე ისეთ საწყისებზე დავაფუძნოთ, რომ თავადაზნაურობისათვის უზრუნველყოფილი იყოს საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა იმ დაწესებულებაზე, რომელსაც საერთო სარგებლობისათვის თვითონვე აარსებს.

ჩამოთვლილი ოთხი პუნქტი არსებითად მოიცავს ყველაფერს, რაც შეგვიძლია ამ საქმეში ჩვენს, ასე ვთქვათ, კოლექტიურ გონს ვუსურვოთ. ყოველგვარი დაეჭვებისა და ვინმესთან დავა-კა-

მათის გარეშე შემიძლია მოგახსენოთ, რომ უმჯობესად მიმაჩნია, ზემოთ წარმოდგენილი სამი საშუალებიდან თქვენი მსჯელობის საგნად ვაქციო კაპიტალის რეალიზების პირველი საშუალება. გირჩევთ რა მთელი გულწრფელობით სწორედ მის განსჯა-განხილვას, იმაშიც დარწმუნებული ვარ, საკითხის ამგვარად გადაწყვეტა თქვენს ღირსებასაც შეეფერება და სარგებელსაც საერთოს მოიტანს.

ამის შემდეგ კი გადავალ ჩვენს განზრახულებასთან დაკავშირებულ არსებითი მნიშვნელობის მომდევნო საკითხებზე და ვისაუბრებ ისე, თითქოს თქვენ უკვე გაკეთებული გქონდეთ არჩევანი ჩემ მიერ შემოთავაზებული წინადადების სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი, რასაც ამის შემდეგ მოგახსენებთ, დაკარგავს თავის მნიშვნელობას ან, უკიდურეს შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ყველა მიმართულებით განიცადოს საფუძვლიანი ცვლილებები.

პირველ რიგში – როგორ უნდა განაწილდეს ჩვენი ბანკის მოგება?

აქვე გავიხსენოთ, რომ დასაწყისშივე მქონდა პატივი, თქვენთვის მეთქვა: ჩვენ მიერ გაღებული მსხვერპლის ანაზღაურების საუკეთესო გზა განათლების გავრცელებაა და, ამასთანავე, ვქმნით კაპიტალს, რომელსაც გაჭირვების ჟამს ჩვენთვის ხელის გამართვაც შეეძლება. მაშასადამე, ჩვენი ბანკის მოგება ორი მიზნისკენ უნდა იქნეს მიმართული: განათლების გავრცელება და კერძო საჭიროებებისათვის განკუთვნილი კრედიტის ფორმირება. ამიტომაც მოგების ერთი ნაწილი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებისთვის საჭირო ხარჯებს უნდა მოხმარდეს. ოდენობა ამ ნაწილისა, ისევე, როგორც ჩვენი ახალგაზრდობის აღმზრდელ სასწავლო დაწესებულებებში თანხის გადანაწილება, პირველ ხანებში უნდა დაეკისროს ახალშექმნილი ბანკის ადმინისტრაციას, ხოლო შემდეგ თანხა თავადაზნაურობის საგუბერნიო კრებების გადაწყვეტილებათა საფუძველზე უნდა განაწილდეს. მეორე ნაწილი უნდა შეუერთდეს ბანკის კაპიტალს და მოხმარდეს საბანკო ოპერაციების გაფართოებას, ნაწილობრივ – სასესხო პროცენტების შემცირებასა და იმ საზოგადოებრივ ხარჯებს, რომლის გასასტუმრებლად დღემდე უკიდურესად მძიმე პირობებში გვიწევს კერძო თანხების

მოკრება. მეორე კატეგორიის შემთხვევაში მოქმედებები მკაცრად უნდა დაექვემდებაროს თავადაზნაურობის საგუბერნიო კრებების გადაწყვეტილებებს იმ წესით, რომელსაც შევეხები მაშინ, როცა ბანკის ადმინისტრირების შესახებ გვექნება მსჯელობა. –

ახლა კი დგება საკითხი სესხის გაცემისა და მსესხებლის მოვალეობათა შესახებ. სათავადაზნაურო-საკრედიტო დაწესებულებათა მიერ სესხის გაცემასთან დაკავშირებით საყოველთაოდაა გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც უნდა გამოირკვეს დასაგირავებელი ქონებიდან მიღებული შემოსავალი, მოხდეს მისი კაპიტალიზაცია და გარკვეული ნაწილის სესხად გაცემა. მართალია, მიიჩნევა, რომ ამ შემთხვევაში სესხი მიწითაა უზრუნველყოფილი, მაგრამ სესხის ოდენობა და პროცენტული სარგებლის მიღება ამ მიწისგან მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული და, მაშასადამე, სესხის უზრუნველყოფის საფუძველია არა დაგირავებული ქონება, არამედ – მისგან მიღებული შემოსავალი. ამიტომაც ყველა საადგილმამულო ბანკი არსებითად საშემოსავლო პრინციპზე დაფუძნებულ ბანკს წარმოადგენს. თითქოს ძნელია განსხვავების პოვნა უზრუნველყოფის ამ ორ – მიწის ფასთან და მიწის შემოსავალთან დაკავშირებულ – შეხედულებას შორის, მაგრამ განსხვავება რეალურად არსებობს და სესხის გაცემისას ბანკმა განსხვავებული წესებით უნდა იხელმძღვანელოს იმის მიხედვით, თუ რაში ხედავს იგი სესხის ამოგების გარანტიას: დაგირავებული მამულის გაყიდვასა თუ ამ მამულის შემოსავლებში?

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მიწის ფასი მისგან მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ ზოგადადაა სწორი. კერძო შემთხვევებში ერთი და იგივე მამული განსხვავებულ ვითარებაში განსხვავებულ შემოსავალს იძლევა იმის მიხედვით, თუ რა წესები და რა საშუალებებია გამოყენებული მიწის დამუშავებისას. ამგვარ განსხვავებათა წრე კი ჩვენს პირობებში საკმაოდ ფართოა. ამიტომაც სესხის უზრუნველყოფის ორი საშუალებიდან უდავოდ უფრო სწორი იქნება შემოსავლებით უზრუნველყოფა. ამას გარდა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაგირავებული მამულის საჯარო წესით გაყიდვა, ერთი მხრივ, გამაჩანაგებელია მოვალისათვის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში არც კრედიტორისთვისაა მომგებიანი. საქმე ის არის, რომ დაგირა-

ვებული მამულის ფასი დამოკიდებულია არა მარტო მის შემოსავლიანობაზე, არამედ – და უფრო მეტადაც – გასაყიდად გამოტანილი მამულების რაოდენობაზე. თუ გასაყიდ მამულთა რაოდენობა დიდი იქნება, მოთხოვნილებისა და მიწოდების მარტივი ეკონომიკური კანონიდან გამომდინარე, ფასიც მნიშვნელოვნად დაიწევს. შესაბამისად, ადვილი შესაძლებელია, კრედიტორი, რომელსაც თავისი სასესხო ანგარიში მამულის ღირებულებაზე ჰქონდა გათვლილი, დაზარალდეს. რეალურად ეს ასეც ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე დროს გადახდისუუნარო მოვალეთა რაოდენობა მნიშვნელოვან ციფრს აღწევს. ეს საფრთხე რომ არ არსებობდეს, კრედიტორი, რომელიც თავის ანგარიშს ადგილ-მამულის ღირებულებაზე ამყარებს, წესით, უფრო მეტი ოდენობის სესხს უნდა იძლეოდეს. და ეს იმიტომ, რომ მამულის ღირებულება, თუ მხედველობაში ცალკეულ შემთხვევითობებს არ მივიღებთ, მატულობს ხოლმე. სწორედ ამგვარი სავარაუდო შემთხვევითობები და მისგან გამოწვეული საადგილმამულო ფასების მოსალოდნელი რყევები, აგრეთვე, გადახდისუუნარო მიწათმფლობელთა გარკვეული რაოდენობით წარმოშობის ალბათობა უკარნახებს კრედიტორს, პირველ რიგში, დაეყრდნოს მოვალის შემოსავალს, ხოლო მოვალის მამულის გასაყიდი ფასი განიხილოს, როგორც უკანასკნელი რესურსი.

სისტემა სესხის შემოსავლებით გასტუმრებისა უკეთ უზრუნველყოფს კრედიტორს და, იმავდროულად, მოვალისთვისაც ბევრად უფრო მომგებიანია. როცა ყურადღება მხოლოდ რეალურ შემოსავალზეა გამახვილებული, ეს სისტემა, ერთი მხრივ, მოვალეს არ მისცემს საშუალებას აიღოს ვალი, რომლის გადახდას ის ვერ შეძლებს და, მეორე მხრივ, აძლევს შესაძლებლობას, აიღოს კრედიტი, რომელიც მისი ქონებიდან მიღებული შემოსავლების თანაზომიერი იქნება. აქედან გამომდინარე და დღევანდელი ვითარების მიხედვითაც, სესხის ოდენობის განსაზღვრისას მტკიცედ უნდა ვემყარებოდეთ დასაგირავებელი მამულის რეალურ შემოსავალს. ეს კი საშუალებას მოგვცემს, სახელმძღვანელოდ მივიღოთ ორი ძირითადი პრინციპი:

1. კაპიტალიზაცია სესხის სახით გასაცემი შემოსავლის მხოლოდ იმ ნაწილისა, რომლის გადახდასაც მსესხებელი მამულის რე-

ალური შემოსავლიდან შეძლებს. ამასთანავე, კრედიტი უნდა გაიხსნას შემოსავლის ისეთი სახეებისთვისაც, რომლებიც შეიძლება მიწის ღირებულებაზე არც იყოს დამოკიდებული.

2. დაგირავებული მამული არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს დამგირავებლის ღიად გამოცხადებული სურვილის გარეშე, ხოლო ბანკს მიეცეს უფლება, ვალის, ანუ ვადით განსაზღვრული გადასახდელების, დაფარვამდე თვითონ ისარგებლოს ვადაგადაცილებული მამულის შემოსავლით.

ამ პრინციპების განხორციელება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მათი მეშვეობით:

1. შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა.

2. ბანკის მიერ გაცემული სესხი საკმარისად იქნება უზრუნველყოფილი, ხოლო მიწის მფლობელები თავს ვერ დაიტვირთავენ ისეთი სესხით, რომლის გადახდაც მათ არ შეეძლებათ და, დასასრულ,

3. იქმნება შესაძლებლობა, კრედიტი გაიხსნას წარმოების ისეთი ნაირსახეობებისთვის, რომლებიც არ იქნება მაინცადამაინც დაკავშირებული მიწის ფასსა და მიწის დაგირავებასთან; აგრეთვე, კრედიტი გაიხსნას გლეხობის შემოსავლებისა და გლეხური წარმოებისათვის.

რაც შეეხება საფუძვლებს, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა ტიპის შემოსავლებთან მიმართება უნდა განისაზღვროს, დეტალური აღწერა ასეთი საფუძვლებისა უნდა გადაიდოს ნაწილობრივ ბანკის წესდების შედგენამდე, ნაწილობრივ კი საკუთრივ ***ფასების განსაზღვრისთვის*** აუცილებელი პრინციპების შემუშავებამდე, ხოლო ამოქმედდეს ისინი, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, წესდების დამტკიცების შემდეგ.

აქვე უნდა შევეხოთ დასაგირავებელი ქონების გარკვეულ ნაწილთან დაკავშირებულ ზოგიერთ თავისებურებას. ეს თავისებურებები იმ ტიპისაა, რომ ერთ შემთხვევაში მარტივდება შემოსავლის შეფასების წესები, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება სხვა საადგილმამულო-საკრედიტო ბანკების მიერ დაწესებული საკრედიტო ფარგლების თანდათანობითი გაფართოების წახალისება. ამიტომაც როგორც ბანკის წესდების შედგენის, ასევე შეფასების წესების შემუშავებისას

აუცილებელია თავადაზნაურობის წინასწარი თანხმობა, ერთი მხრივ, ზოგიერთი მემამულური სასესხო შემოსავლის, ხოლო მეორე მხრივ, საგლეხო შემოსავლების შესახებ. მემამულურ შემოსავლებთან დაკავშირებულ პრობლემას განაპირობებს ვითარება, რომელიც საგლეხო რეფორმამ წარმოშვა. მემამულის საკუთრებაში დარჩენილი სახნავ-სათესი მიწის ფართობი დაახლოებით იმავე მოცულობისაა, რა მოცულობისაც არის მისივე გლეხების სარგებლობაში გადაცემული მიწა. სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე ბეგარის ზომა განისაზღვრება იმ საწესდებო სიგელებითა და ნორმებით, რომლებითაც მიწის ფასია კაპიტალიზებული ამ მიწის გამოსყიდვის შემთხვევაში. ამიტომაც ჩვენი საკრედიტო დაწესებულებისათვის შემდეგი გარემოებაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს: საწესდებო სიგელებსა და იმ დებულებაში, რომელიც თბილისის გუბერნიაში გლეხთა მოწყობის საკითხს ეხება, უკვე მოცემულია მასალა და საფუძვლები, რათა განისაზღვროს მემამულური შემოსავლები როგორც მიწის იმ ნაწილიდან, რომელიც გლეხებისთვისაა გადაცემული, ისე იმ ნაწილიდანაც, რომელიც საბატონო მფლობელობაშია დარჩენილი.

ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ საგანგებოდ უნდა ითქვას: ვინაიდან საწესდებო სიგელების მეშვეობით გარკვეულია გლეხთათვის გადაცემული მიწის ფართობი და მისგან მიღებული შემოსავლის ოდენობა, შესაძლებელია, საბატონო მიწის შეფასებაც იმავე ნორმებსა და საფუძვლებზე დაყრდნობით მოხდეს. ამგვარ ვითარებაში საგანგებო კომისიებს ადგილებზე აღარ დასჭირდებათ შემოსავლის უმეტესი ნაწილის სპეციალური შეფასება. შესაფასებელი დარჩება მხოლოდ მემამულის ბაღები, ტყეები და შემოსავლის ისეთი განსაკუთრებული საიჯარო წყაროები, როგორებიცაა, მაგალითად: წისქვილები, ფაბრიკები, ქარხნები და მისთანანი, ანუ ისეთი ქონება, რომელთა შეფასება ისედაც სპეციალურადაა საჭირო. ვფიქრობ, შესაძლებელია, ზემოხსენებულ საფუძვლებზე დაყრდნობით მივიღოთ საბატონო ადგილ-მამულის შეფასების შემდეგი წესი – მფლობელმა, რომელსაც სესხის აღება სურს, უნდა წარმოადგინოს:

1. მოწმობა დასაგირავებელ ადგილ-მამულზე საკუთრების უფლების შესახებ; რომ მამულს არ ადევს ყადაღა და არის თუ არა

იგი დავალიანებული, როგორც ეს მიღებულია „პრიკაზში“ მამულის დაგირავების დროს.

2. მფლობელმა ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა წარმოადგინოს დასაგირავებელი მამულის შემოსავლის საკუთარი წინასწარი შეფასება; ამასთანავე, დაურთოს საწესდებო სიგელები.

3. წინასწარივე, ოღონდ ცალკე შედგენილი, შეფასება შემოსავლებისა: ბაღებისაგან, ტყისაგან, საიჯარო წყაროებისა თუ საწარმოო ობიექტებისაგან.

საგანგებო შემოწმებას სწორედ ეს მეორე შეფასება დაექვემდებარება. ამიტომაც სასურველი იქნება შემოწმების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომლითაც, ერთი მხრივ, გარანტირებული იქნება ბანკის ინტერესები და, იმავდროულად, შეძლებისდაგვარად არც დამგირავებელს შეექმნება სირთულეები. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს ან ადგილებზევე მუდმივმოქმედი კომისიების ჩამოყალიბება, ან კიდევ ბანკის ფარგლებშივე ისეთი სააგენტოს შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ადგილზე აგენტის გაგზავნას ფასის შესამოწმებლად. პირველ ან მეორე – ანდა შეიძლება სულაც მესამე, ამათზე უკეთეს – მექანიზმზე მსჯელობა, ოღონდ ზემოაღნიშნული საფუძვლების გათვალისწინებით, უნდა მიენდოს იმათ, ვინც შეფასების წესები უნდა შეიმუშაოს. –

გადავდივართ რა ნადელის შეფასების საკითხზე, სანამ უშუალოდ შეფასების საფუძვლებს შევეხებოდეთ, ბუნებრივი იქნებოდა შეჩერება ამ თემასთან დაკავშირებულ ზოგად პრობლემაზე. სანადელო მიწა არ არის გლეხის საკუთრება და, სანამ ეს მიწა არ იქნება გამოსყიდული, გლეხმა მემამულეს ბეგარა უნდა უხადოს. გამოსყიდვის შემთხვევაში კი გლეხი ხელისუფლებისაგან გამოსასყიდი სესხით იქნება უზრუნველყოფილი. ამასთანავე, ზემოთ ჩამოყალიბებულ გარემოებათა გამო უაღრესად მნიშვნელოვანია, სანადელო მიწაზე სესხის გაცემა როგორც გლეხის, ისე მიწის მფლობელის ინტერესებშიც შედიოდეს. ამიტომაც საჭიროა გამოიძებნოს საშუალებები, რომლებიც მოხსნის ამ საკითხთან დაკავშირებულ სირთულეებს. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ სესხის მეშვეობით ნადელის გამოსყიდვის თავისებურებები თბილისის გუბერნიაში და ზოგადად ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა.

თბილისის გუბერნიაში გლეხთა მოწყობასთან დაკავშირებული დებულების მიხედვით, გამოსასყიდი სესხის გაცემა ხელისუფლების მიერ ვრცელდება მხოლოდ საკარმიდამო და სამინდვრე ნადელზე, მაგრამ არ ვრცელდება ბაღებზე, რომლებიც გლეხის შემოსავლის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს იძლევა, განსაკუთრებით – კახეთში. ბაღების გამოსყიდვის საკითხი მთლიანად გლეხსა და მიწის მფლობელს შორის ნებაყოფლობით შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც, თავისთავად ცხადია, ხელისუფლება არ შექმნის დაბრკოლებას, კარ-მიდამოსა და სახნავ-სათესზე სესხის გაცემისას გირაოდ ნადელის ის ნაწილიც მიიღოს, რომელზედაც აქამდე სესხი არ ვრცელდებოდა. დაბრკოლება შეიძლება მხოლოდ კარ-მიდამოსა და სავარგულებთან დაკავშირებულ სესხს შეეხოს და, შესაბამისად, ჩვენ საკითხის სწორედ ამ ნაწილზე უნდა ვიმსჯელოთ.

ახლა დავუბრუნდეთ თვითონ იმ საფუძველს, რის გამოც შეიძლება გამოსასყიდი მიწის გირაოში მიღებასა და, შესაბამისად, სასესხო ოპერაციას დაბრკოლება შეხვდეს. ადვილი დასანახია, რომ ყველა სირთულე დაკავშირებულია იმ სახაზინო ვალთან, რომლითაც დატვირთულია ან შეიძლება დაიტვირთოს ნადელი. ამიტომაც, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაპყროთ საკითხს – შეიძლება თუ არა ზოგადად სახაზინო ვალი იქცეს დაბრკოლებად დავალიანებული კერძო მამულის დაგირავებასა და საკრედიტო ურთიერთობისას? არსებობს გარემოებები, რომლებიც ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს იძლევა. იმ დროს, როცა ხელისუფლება იმპერიაში ახალშექმნილი საადგილმამულო ბანკების წესდებებს ამტკიცებდა, მებატონეთა მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ცნობილია, უკვე დაგირავებული იყო სახაზინო-საკრედიტო დაწესებულებებში. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, აღნიშნული დაგირავებული მამულების ხაზინიდან საადგილმამულო ბანკებში გადაგირავება მომხდარიყო.

ზუსტად ასევე, ჩვენს შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია რაიმე დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლიდა „პრიკაზში“ დაგირავებული ადგილ-მამულის ბანკში გადაგირავებას. ამასთანავე, საადგილმამულო ბანკების წესდებათა მიხედვით, გადაგირავებისთვის საჭიროა დაცვა შემდეგი პირობებისა:

1. გადაგირავება უნდა მოხდეს იმ საკრედიტო დაწესებულების თანხმობით, რომელშიც მამული უკვე არის დაგირავებული.

2. ბანკმა, რომელიც ამგვარ გირავნობას აფორმებს, უნდა იკისროს მთელი პასუხისმგებლობა იმ საკრედიტო დაწესებულების წინაშე, საიდანაც გადაგირავება ხდება, რათა ამ უკანასკნელის მიმართ არსებული ვალები სრულად იქნეს დაფარული. მამულის მფლობელს, თავის მხრივ, პირდაპირ ბანკში შეაქვს როგორც წინა დავალიანებასთან, ისე ახალ სესხთან დაკავშირებული სახდელები და ამით თავისუფლდება კიდევაც სახაზინო-საკრედიტო დაწესებულების მიერ დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან.

3. ბანკი მამულის მფლობელზე სესხს გასცემს მხოლოდ იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც დარჩება სახელმწიფო-საკრედიტო დაწესებულების წინაშე არსებული ვალის ჩამოჭრის შემდეგ.

ამგვარი საყოველთაო მიდგომა, როცა საქმე ადგილ-მამულის დაგირავებას ეხება, დასაშვებია სანადელო მიწებთან დაკავშირებითაც და იგი, ერთი მხრივ, სამართლიანიც იქნება და, მეორე მხრივ, არც ხაზინას მიაყენებს რაიმე სახის ზიანს.

სწორედ ეს არის პირდაპირი და სავსებით შესაძლებელი საშუალება, რათა პრობლემის გადაჭრისას მოიხსნას დაბრკოლებები და ვინმეს ინტერესიც არ შეილახოს. თუ ამ გზას არ დავადგებოდით, თუ დაგირავების წესთან დაკავშირებით განსხვავებულად მივუდგებოდით საკუთრებაზე მებატონისა და გლეხის უფლებებს, მაშინ ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა ზოგად კანონმდებლობასთან, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს საკუთრების მიმართ განსხვავებულ მიდგომას წოდებრივი ნიშნით და, ამას გარდა, შეილახებოდა ერთ-ერთი მხარის, გლეხობის, ინტერესები.

ზემონათქვამის საფუძველზე საჭიროა ზოგად წესად დადგინდეს, რომ ხაზინის ან სახაზინო-საკრედიტო დაწესებულების წინაშე დავალიანებული ყოველგვარი მიწა, საბატონო იქნება იგი თუ საგლეხო, დასაგირავებლად მიღებულ იქნეს: 1. იმ საკრედიტო დაწესებულების ნებართვით, რომლის წინაშეც დავალიანებულ დამგირავებელს პასუხისმგებლობა აქვს აღებული; 2. ბანკისათვის სახაზინო დავალიანებისა და მასზე პასუხისმგებლობის ერთდროულად გადაცემის პირობით.

იღებს რა საკუთარ თავზე გამოსასყიდ საფასურთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას, ბანკს არ გაუჭირდება, განსაზღვროს საგლეხო მიწის შემოსავლის ის ნაწილი, რომლის გირაოში მიღება შეიძლება ხაზინის ვალის დასაფარავად ან მებატონისათვის ბეგარის გადასახდელად. ჯერ ადრეა საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს საგლეხო შემოსავლის გირაოში მისაღები ნაწილი. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა შეფასებასთან დაკავშირებული წესები შემუშავდება, თუმცა ადგილობრივი პირობების საფუძვლიანი ანალიზი იძლევა წინასწარი ვარაუდის საშუალებას – დაუვალიანებელი ბაღებისგან მიღებული საგლეხო შემოსავლის გირაოში მიღება არ იქნება ზარალის მომტანი. ანგარიში ამ შემთხვევაში დამყარებულია შემდეგ მონაცემებზე: მებატონისთვის გადასახდელი ბეგარა განსაზღვრულია მოსავლის $^1/_4$-ით. თუ ამას მოსავლის მოწევისთვის საჭირო ამდენსავე დანახარჯს დავუმატებთ, გლეხს ბაღებიდან მიღებული სუფთა შემოსავლის სახით დარჩება ნახევარი. სხვა სანადელო მიწების შეფასებაც რეალურ ღირებულებაზე იქნება დამყარებული, ანუ გლეხს თავისუფალი განკარგვისთვის უნდა დარჩეს შემოსავლის გარკვეული ნაწილი, ხოლო დარჩენილი ნაწილი შეიძლება გირაოში იქნეს მიღებული.

რა წესითაც არ უნდა მოხდეს შეფასება და მოსავლის რა ნაწილიც არ უნდა იქნეს ჩართული ამ შეფასებაში, თავისთავად ცხადია, სესხის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს შეფასების თანხობრივ გამოხატულებას. ამ მხრივ აქაურ „პრიკაზში“ მიღებული წესები სასესხო ვადებისა და ქონების ტიპის მიხედვით განსხვავებულ მიდგომებს ითვალისწინებდა. ზოგადად უძრავ ქონებასა და მიწებზე სესხად გაიცემოდა შეფასებული ღირებულების ნახევარი შემდეგი გამონაკლისებით: ბაღების დაგირავებისას – შეფასებული ღირებულების მხოლოდ $^1/_3$ და არა უმეტეს 2 წლით; თბილისში ქვიტკირის სახლების, ფასიანი აბანოების, ქარვასლების, დუქნებისა და წისქვილების დაგირავებისას – შეფასებული ღირებულების არა უმეტეს $^3/_4$-ისა, არა უმეტეს 15 წლითა და იმ აუცილებელი პირობით, რომ ყველა ეს შენობა-ნაგებობა უნდა ყოფილიყო დაზღვეული.

ასეთი წესები, რომლებიც უკვე გამოცდილია და მას მოგირავნეებიც შეჩვეულნი არიან, შეიძლება ჩვენი ბანკისთვისაც იყოს მიღებული სახელმძღვანელოდ თუნდაც თავიდან და თუნდაც სა-

კუთრივ ბაღებთან დაკავშირებით. რაც შეეხება გადასახდელ პროცენტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ჯერ ერთი, პრინციპად ვიღებთ დაგირავებული ქონების გაუყიდველობას, მეორეც, არ ვკისრულობთ ურთიერთპასუხისმგებლობას და, მესამე, წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული მთელი შემოსავალი უნდა მივმართოთ დღეს არსებული და მომავლისათვის სავარაუდო საზოგადოებრივი საჭიროებებისა და საზოგადოებრივი სარგებლისაკენ. ამისთვის კი საჭიროა საადგილმამულო-საკრედიტო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, საბანკო ოპერაციების თანდათანობითი გაფართოება, სასესხო პროცენტების შემცირება და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული იმედების ასრულება, რის გამოც ჩვენი ისედაც მწირი შესაძლებლობების პირობებში ვწირავთ საგრძნობ მსხვერპლსა და ვიმეტებთ დაუბრუნებელ ანაბარს. –

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია სარგებლისა და გასავლების მოცულობათა დადგენა-დაწესება; აგრეთვე, პირველ ხანებშივე – ერთდროულ პრემიებთან დაკავშირებული ყველა ვითარების განხილვა ბანკის წესდების შედგენისას. სამომავლოდ კი ამგვარ მოცულობებში ცვლილებების შეტანა თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობებზე იქნება დამოკიდებული.

ამ უკანასკნელი მოსაზრებებით არსებითად ვასრულებთ საერთო-საბანკო გეგმის წარმოდგენას.

კიდევ ერთხელ ვთქვათ:

თბილისის გუბერნიის ქართული თავადაზნაურობა მხარეში საკრედიტო საქმის დაფუძნების გზას დაადგა არა კომერციული მოგების მიზნით და არა თვით საადგილმამულო სესხებით სარგებლის ნახვის განზრახვით. აზრი საკრედიტო საქმის მოწყობის შესახებ გამოხატულებაა უანგარო სწრაფვისა, ავამაღლოთ ჩვენს მხარეში განათლების დონე. ყველა ჩვენი განზრახულება იმთავითვე ამით შემოისაზღვრებოდა. შემდეგ კი მივედით სამართლიან აზრამდე: ვწირავთ რა განათლებისთვის ჩვენი მწირი შესაძლებლობების ნაწილს, ეს შენაწირი დავაბანდოთ ისეთ საქმეში, რომელიც იმავდროულად ჩვენს მატერიალურ კეთილდღეობასაც შეეწევა და ხელს შეუწყობს მთელი მოსახლეობისა და არა კერძო პირების, სპეკულანტების, გამდიდრებას. ამგვარი, ყოველგვარი კერძო კო-

მერციული ინტერესებისგან თავისუფალი, დაწესებულების ხასიათი ჩვენს – თბილისის გუბერნიის ქართველი ***თავადაზნაურობის*** – ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ მას ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებზე დავაფუძნებთ.

დასასრულ, განსახილველი დაგვრჩა ორი საკითხი:

1. სესხის გასტუმრების საშუალებები, და

2. ბანკის მართვის წესები.

აქედან პირველი საკითხის გარშემო უკვე გამოვთქვი აზრი იმ საფუძვლების შესახებ, რომელთა მიხედვითაც დაგირავებული და ვადაგადაცილებული ადგილ-მამულები საჯარო ვაჭრობით კი არ გაიყიდება – თუ, რასაკვირველია, თვითონ დაგირავებული მამულის პატრონს არ ექნება მკაფიოდ გამოვლენილი საამისო სურვილი – არამედ ასეთ მამულებს სასესხო გადასახდელების დაფარვის გზითა და ვალებისაგან საბოლოო გაწმენდამდე ბანკი მიიღებს საკუთარ გამგებლობაში.

ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ იმპერიის კანონმდებლობაში არსებობს დაგირავებულ მამულთან დაკავშირებული ვალების ზღვევინების ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, კრედიტორის ან საკრედიტო დაწესებულების დასაკმაყოფილებლად ვადაგადაცილებული მამულის გაყიდვა აუცილებელი პირობაა. ასეთ ვითარებაში ჩვენ მიერ განზრახული ფორმა ზღვევინებისა ზოგადი წესიდან გადახვევა იქნება. ამიტომაც გამონაკლისის დაშვების ნებართვისთვის უსათუოდ მოგვიწევს, საგანგებო შუამდგომლობით მივმართოთ ხელისუფლებას, რათა მან გაითვალისწინოს ჩვენს მხარეში შექმნილი განსაკუთრებული ეკონომიკური პირობები, რომლებიც ზღვევინების ზემოხსენებული წესის შემოღებას გვაიძულებს და, ამასთანავე, პატივისცემით მოეკიდოს ჩვენს განზრახულებას, საერთო-სასარგებლო საქმისთვის სამძიმო მსხვერპლი გავიღოთ.

ბანკის მართვას რაც შეეხება, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოება – მართალია, ჩვენ ბანკის საფუძვლად და შემდგომი ფუნქციონირების თვალსაზრისითაც ვიღებთ მისი, როგორც საერთო-საზოგადოებრივი დაწესებულების, პრინციპს, მაგრამ, რადგანაც იგი თბილისის გუბერნიის ოთხი ქართული მაზრის მთელი თავადაზნაურული საზოგადოების შენაწი-

რებით იქმნება, ამ საზოგადოებასვე უნდა ეკუთვნოდეს და მანვე უნდა მართოს იგი, შემოსავლებიც იმავე საზოგადოების მიერ გამოცხადებულ მიზნებს უნდა მოხმარდეს. –

ბანკის გამგებლობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების მოგვარება ძალიან ადვილი იქნება, თუ ჩვენ ახლავე შევთანხმდებით მთავარ და სავალდებულო საწყისებზე:

1. მიმდინარე პროცესების მართვა უნდა გადანაწილდეს ბანკის გამგეობასა და საგანგებო ზედამხედველ კომიტეტს შორის.

2. ბანკის ყველა ფუნქციის გარშემო საგანგებო ან მთავარი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ისევე როგორც მოგების განაწილება უნდა მიენდოს თავადაზნაურობის რიგით, აგრეთვე, საგანგებო ყრილობას. ეს უკანასკნელი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნეს ზედამხედველი კომიტეტის მიერ ხელისუფლების ნებართვით.

3. მთელი ზედამხედველი კომიტეტის შედგენა, ასევე, ბანკის მმართველის დანიშვნა უნდა მოხდეს თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობაზე და დამტკიცებულ იქნეს ხელისუფლების მიერ. გამგეობის წევრებს ნიშნავს ზედამხედველი კომიტეტი, სხვა მოსამსახურეებს – ბანკის გამგეობა.

4. ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, ბანკის მმართველი, დირექტორები და სხვა თანამდებობის პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ხელფასით. დროთა განმავლობაში ხელფასი შეიძლება დაენიშნოთ ზედამხედველი კომიტეტის წევრებსაც, რომლებსაც იმავდროულად სხვა თანამდებობის დაკავებაც შეეძლებათ გარკვეული ანაზღაურებით.

ხერსონის ბანკს, როცა იგი მუშაობას იწყებდა, ჯერ კიდევ არ გააჩნდა კაპიტალი. ამიტომაც მმართველობითი აპარატის შესანახად მთავრობისაგან 100 ათასი მანეთის სესხება მოუწია. ჩვენს ბანკს კი, რომელსაც მუშაობის დაწყებისთანავე ოპერაციების წარმოება მილიონების ფარგლებში შეეძლება, არა მარტო სესხის აღება არ დასჭირდება, არამედ არავითარ სირთულეს არ წააწყდება, მმართველობის შესანახად გამოყოს თანხა, რომლის ოდენობაც წესდების შემუშავებისას განისაზღვრება.

[მაისი. 1867]

იურიდიული თხზულებები

შენიშვნები ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილ სასამართლო წესდებათა გამოყენების შესახებ

უმაღლესი ბრძანებით 1864 წელს გამოქვეყნებულ სასამართლო წესდებაში, რომელიც პოლონეთის სამეფოსთვის იყო შემოღებული, ნათქვამია: „ვრცელი, მდიდარი და აყვავებული მხარისთვის მოქმედებაში შედის ცვლილებები, რომლებმაც ყველასთვის ადვილად სახილველი კეთილდღეობა უნდა მოიტანოს და გავრცელდეს იმპერიის სხვა ნაწილებზეც“.

ეს ცვლილებები პოლონეთში იმგვარივე საყოველთაო აღფრთოვანებით იქნა მიღებული, როგორც ეს 1868 წელს ამიერკავკასიის მხარეში მოხდა.

მაგრამ ჩვენში – ეს არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს – აღფრთოვანება გარკვეული უკმაყოფილებით შეიცვალა, სასამართლოს მდგომარეობით გამოწვეული ეს უკმაყოფილება თანდათანობით გაიზარდა, გახშირდა და ამჟამად საყოველთაო ხასიათს იძენს.

ამ უაღრესად სამწუხარო ვითარებას უნდა ჰქონდეს თავისი გამომწვევი მიზეზები – ნამდვილი თუ ფიქციური. საჭიროა ამ მიზეზთა გამორკვევა, რათა: პირველ შემთხვევაში, ვისაც ჯერ არს, მიეცეს მათი აღმოფხვრის საშუალება, ხოლო თუ ეს მიზეზები მოჩვენებითია, მათი გამოაშკარავებით სასამართლოში მოღვაწე ადამიანები, მათი ***სიმართლე*** და ***გულმოწყალება,*** დაცული იქნება არაკეთილსინდისიერი საყვედურებისგან.

ვკიდებ რა ხელს ამ საქმეს, თეორიულ მსჯელობებს კი არ გამოვეკიდები, არამედ შევეცდები, ამ ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო პრაქტიკული მოსაზრებები ჩამოვაყალიბო.

მეხსიერებით აღვადგენ ერთ კერძო ხასიათის საუბარს, რომელიც პეტერბურგის ერთ-ერთ სასტუმრო ოთახში შედგა და 1866

წლის ნოემბერში ამიერკავკასიის მხარისთვის გამოცხადებულ რეფორმას შეეხებოდა.

– ამ დღეებში ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ, – ამბობდა ერთი მაღალი თანამდებობის პირი,• – ბოლოს და ბოლოს, მიღებულია კანონის ყველა ის გამონაკლისი, რომლებსაც კავკასიის მმართველები ითხოვდნენ.

– სასურველი იქნებოდა, წარმატების მილოცვის საფუძველი მქონოდა, – ვუპასუხე მე, – მაგრამ, სამწუხაროდ, თავის შეკავება მიწევს.

– რატომ? საინტერესოა მიზეზის გაგება. თქვენ ხომ ეს უშუალოდ გეხებათ?

– ***ადგილობრივი გარემოებების*** გამო ამიერკავკასიის მხარისთვის გამუდმებით კეთდება გამონაკლისები, თუმცა თავისთავად ამ გარემოებებს არა აქვს იმოდენა მნიშვნელობა, რომ იქაური კანონმდებლობისთვის მსგავსი საგამონაკლისო ცვლილებები გამართლებული იყოს.

– მაგრამ, დამეთანხმებით: თუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ადასტურებენ ასეთი გარემოებების არსებობას, მაშინ აქ სხვა გზა არ რჩება, გარდა იმისა, რომ მხედველობაში მიიღონ ეს გარემოებები.

– სავსებით სამართლიანი მიდგომაა, მაგრამ იქაური ადგილობრივი გარემოებების ანალიზი აქ გაზვიადებულ წარმოდგენებს იძლევა. მიზეზი კი ისაა, რომ იქაურობა დღემდე რჩება terra incognita-დ[1] და ამიტომაც მეტად გაიოლებულად შეაქვთ ცვლილებები ისეთ საფუძვლებში, რომელთა შემუშავებაშიც უაღრესად სოლიდური პირები მონაწილეობდნენ.

– გმადლობთ კომპლიმენტისათვის. მე ერთ-ერთი იმათგანი გახლავართ.

– უკაცრავად, მე ეს არ ვიცოდი. მით უმეტეს, პირდაპირ შემიძლია ვილაპარაკო იმ ცვლილებებზე, რომლებიც თქვენივე შრო-

---

• აწ განსვენებული ვოიცეხოვიჩი, სამოქალაქო-საკასაციო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, შემდგომში – სახელმწიფო საბჭოს წევრი. [**ავტ.**]

მის ნაყოფში შეგიტანიათ. სასამართლო რეფორმას თქვენ, თუ არ მეშლება, ზოგად საფუძვლად დაუდეთ: არჩევითობა სამომრიგებლო ინსტიტუტსა და სისხლის სამართლის სასამართლოში, საჯაროობა და გამჭვირვალობა სასამართლო საქმეების წარმოებისას და სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა ადმინისტრაციისაგან.

– მაგრამ... თუმცა გააგრძელეთ.

– ამიერკავკასიის მხარისთვის არჩევითობის პრინციპი გვერდზეა გადადებული. მაშასადამე, სამომრიგებლო ინსტიტუტის პერსონალი ჩინოვნიკებისგან უნდა დაკომპლექტდეს; დანაშაულსაც ჩინოვნიკები დაადგენენ; მომრიგებელი მოსამართლეების დანიშვნა ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული; საჯაროობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, რადგანაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა არ იცის ის ენა, რომელზედაც სამართალწარმოება მიმდინარეობს. სასამართლო საქმეები სახელმწიფო ენაზე რომ უნდა წარმოებდეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ თუ მოსახლეობამ ეს ენა არ იცის, რა გარანტიაა, მან სწორად გაიგოს სასამართლოს მიმდინარეობა და გადაწყვეტილებები? ისეთი თარჯიმნები, ამ საქმეს ასე თუ ისე რომ შეეფერებიან, იმდენად ცოტანი არიან, რომ მხოლოდ ერთ სასამართლო პალატას თუ დააკმაყოფილებენ. მომრიგებელი მოსამართლის იურისდიქცია მეტისმეტად ფართოა; მისი ძალაუფლება იმდენად გაზრდილია, ხოლო ფუნქციები – იმდენად გართულებული, რომ მოვალეობის შესრულება ერთი პირის შესაძლებლობებს აშკარად აღემატება, რა ვითარებაშიც ან ვის მიერაც არ უნდა იყოს იგი ამ წმინდა საქმისთვის შერჩეული. საოლქო სასამართლოს მიცემული აქვს განსაკუთრებული – ამასთან, გაორებული – ხასიათი. სასამართლო პალატა ხან პალატას წარმოადგენს, ხან – სენატს, ხანაც – საოლქო სასამართლოს. თქვენ თვითონ განსაჯეთ, თუ გულწრფელი ვიქნები, განა შემიძლია მოგილოცოთ გამარჯვება, რომელიც ზოგადი დადგენილებების დარღვევითაა მიღწეული?

– თქვენ, მგონი, არც ზოგადი წესდებებით უნდა იყოთ კმაყოფილი?

– ზოგად წესდებებს მე ღრმა პატივისცემით ვეკიდები და ამ პატივისცემას იოტისოდენადაც კი ვერ შეცვლის პირადად ჩემს მოსაზრებებთან დაკავშირებული ორიოდ-სამიოდე გაუგებრობა.

– ბარემ მითხარით, რაში მდგომარეობს ეს გაუგებრობები?..

ამ შეკითხვის დასრულებაც კი ვერ მოასწრო, რომ რაღაც პაკეტი მიაწოდეს და ისიც სასწრაფოდ წავიდა...

* *
*

ცხადია, ხარვეზებს ყველგან იპოვი, – ასე ვფიქრობდი მაშინ, – მაგრამ იმედია, ის ხარვეზები, რომლებიც გვაწუხებს, თავისთავად გამოსწორდება, ანუ ამ ხარვეზებს დროთა განმავლობაში პრაქტიკა გამოასწორებს. ოღონდ საჭიროა, პირები, რომლებიც ამიერკავკასიის მხარეში სასამართლო სამსახურისთვის იქნებიან გამწესებულნი, შეეფერებოდნენ თავიანთ მაღალ დანიშნულებას. მათი განსწავლულობა თვითონ კანონის მოთხოვნითაა თითქმის გარანტირებული. მაგრამ ვითარების საღად აღქმა, საქმისა და ადამიანების მიმართ მიუკერძოებლობა, ჩახლართულ სიტუაციებში ადვილად გარკვევა და პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბება ყოველთვის არ არის განსწავლულობასთან დაკავშირებული. ამიტომაც, უეჭველია, სასამართლო ადმინისტრაცია უაღრესად წინდახედულად უნდა მოიქცეს მოსამართლეების შერჩევისას და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძენს რეფორმა მისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას.

მას მერე ჩვიდმეტი წელიწადი გავიდა.

ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, უნდა დაგროვილიყო საკმარისი ფაქტები, რომელთა საფუძველზეც ან უნდა გაბათილებულიყო მითქმა-მოთქმა სასამართლოს მოხელეთა პროფესიული შეუფერებლობის შესახებ, ან კიდევ დასაბუთებულიყო, რომ მათ დანიშნულების გზიდან გადაუხვიეს. მაგრამ ეს ფაქტები გამქრალია – მათი კვალი არც პერიოდულ გამოცემებში ჩანს, გარდა ერთეული გამონაკლისებისა, და არც – სტატისტიკურ კრებულებში. მართალია, ხანგამოშვებით ქვეყნდება ცნობები სასამართლოებში განხილული საქმეების შესახებ, მაგრამ ეს ცნობები მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებს თუ იძლევა. უნდა ითქვას, რაოდენობა განხი-

ლული საქმეებისა შთამბეჭდავია და ნათელყოფს, თუ როგორ არის სასამართლოები საქმეებით გადატვირთული. მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით ხარისხობრივ მონაცემებზე, ანუ რამდენად ხარისხიანად გაირჩევა სასამართლოებში საქმეები, რამდენად მტკიცედ იღვწიან მართლმსაჯულების მსახურნი ***სიმართლისა*** და ***გულმოწყალების*** დასამკვიდრებლად, ანდა, პირიქით – რამდენად ცალმხრივი და არაკეთილსინდისიერია მათ მიმართ გამოთქმული საყვედურები.

მაშასადამე, ოფიციალური წყაროები, საიდანაც საჭირო განმარტებებს შევიტყობთ, ჩვენთვის არ არსებობს. თუმცა სურათის წარმოდგენა ცალკეულ გარემოებათა ანალიზის მეშვეობით მაინც არის შესაძლებელი. ესენია:

1. ინდივიდუალურ-პიროვნული გაუგებრობები, რომლებიც ზოგადი წესდებებისგან გამომდინარეობს.
2. ზოგადი წესდებებიდან გადახვევები, რომლებიც სანქცირებულია ამიერკავკასიის მხარისათვის, და
3. რამდენიმე საქმე, რომლებსაც დაწვრილებით ვიცნობ იმდენად, რამდენადაც პირადად მაქვს მათში მონაწილეობა მიღებული.

მსჯელობას ამ რიგით წავიყვან. ამასთანავე, რადგანაც მე წმინდა წყლის პრაქტიკულ საკითხებს ვეხები, ვეცდები, არ გავაჭიანურო თხრობა და არ დავტვირთო ჩემი ნაწერი წესდებებიდან ამოღებული მუხლებით, არც მათი წარმოშობის დროსა და მიზეზებზე შევაჩერებ ყურადღებას. საქმესთან ახლოს მდგომი პირებისთვის და, მით უმეტეს, დანარჩენი მკითხველისთვის, სულაც არ არის საჭირო ამ მუხლების დამოწმება.

I. საერთო-სასამართლო წესდებებთან დაკავშირებული გაუგებრობები

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ის გაუგებრობები, რომლებზედაც აქ მექნება საუბარი, კერძო ხასიათისაა და პირადად ჩემი შეხედულებებიდან გამომდინარეობს. წინასწარვე ვამბობ, რომ ვადასტურებ სრულ პატივისცემას როგორც საერთოდ სასამართლო რეფორმის, ისე მისი ცალკეული მიმართულებებისადმი. გულწრფელად ვარ დარწმუნებული, რომ რეფორმაზე მუშაობისას, დაწყებული პირველი დღიდან მის დასრულებამდე, საფუძვლად

აღებული იყო წმინდა განზრახვა – მართლმსაჯულება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაფუძნებული იყოს მტკიცე ნიადაგზე. ამ ფონზე ჩემი სურვილი, გამოვთქვა კერძო ხასიათის მოსაზრებები, მიზნად ისახავს ზოგიერთი ასპექტის გაუმჯობესებას და ეს იმისთვისაც მჭირდება, რომ თვითონ ჩემი პატივისცემა ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმის მიმართ იყოს შეურყეველი.

რაც უფრო წმინდაა საქმე, მით უფრო წრფელი უნდა იყოს მისდამი მსახურება.

გადავდივარ საქმეზე.

ვფიქრობ, არ არის აუცილებელი ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული სიღრმისეული წიაღსვლები შემდეგი დასკვნის გამოსატანად: როგორც ფიზიკური, ისე მორალური ფაქტორების მიმართ თბილი სამხრეთის მკვიდრნი უფრო მგრძნობიარენი არიან, ვიდრე – ცივი ჩრდილოეთის მკვიდრნი. ამიტომაც უსამართლობა ჩვენში გაცილებით მძაფრად გამოხატულ ზნეობრივ რყევებს იწვევს, ვიდრე – ჩრდილოეთის ხალხებში. ამასთანავე, კანონში შეტანილი ესა თუ ის ცვლილება, სანამ ამ ცვლილების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა წესისამებრ შესაბამისი განკარგულებით არ იქნება დასაბუთებული, ჩვენში ადვილად იწვევს სამართლიანობის ხელყოფის განცდას. მაგრამ, სანამ ასეთი განკარგულება არ გამოცემულა, საჭიროა კი მკაცრად მოვეპყროთ ადამიანს, რომელშიც მოჩვენებითი უსამართლობა იმგვარსავე აღშფოთებას იწვევს, როგორსაც რეალური უსამართლობიდან გამომდინარე შეურაცხყოფა გამოიწვევდა?

თავს უფლებას ვაძლევ, ვისარგებლო ნებისმიერი ადამიანის უფლებით და გამოვხატო გაუგებრობებით გამოწვეული გულისტკივილი მანამ, სანამ ეს გაუგებრობები შეგნებულ უმოქმედობაში არ გადაზრდილა.

ვიწყებ რა საკითხის გარშემო მსჯელობას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დადგენილებები, საიდანაც ეს გაუგებრობები გამომდინარეობს, თავისთავად უაღრესად სოლიდურ საფუძვლებს ეყრდნობა, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ დადგენილებათა შემუშავებისას, შესაძლებელია, ვერ გაეთვალისწინებინათ ყველა ის შედეგი, რომლებიც მათ მოჰყვებოდა სხვადასხვა გარემოში,

განსხვავებული წარმოდგენებისა და შეხედულებების მქონე ფენებში.

სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული გაუგებრობები

პირველი გაუგებრობა

ჩემი უფლებების დარღვევა ან სხვა პირის მიერ ჩემი ქონების მიტაცება მაიძულებს, მივმართო სასამართლოს და მოვითხოვო ჩემი საკუთრების დაბრუნება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ვიანგარიშო სარჩელის განხილვასთან დაკავშირებული ფულადი დანახარჯი და განცხადებისთანავე ხაზინაში შევიტანო როგორც ამ თანხის შესაბამისი საბაჟო გადასახდელი, ისე თანხა სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯისთვის.

მაგრამ იმ მიზეზით, რა მიზეზმაც ჩემი სარჩელი გამოიწვია, წართმეული მაქვს ყველაფერი, რასაც მანამდე ჩემს საკუთრებად მივიჩნევდი და რაც საშუალებას მაძლევდა, აუცილებელი ხარჯი გამეწია. უკვე აღარ მომეპოვება არავითარი საშუალება და, თუ დახმარებას სხვაგან ვერ მოვძებნი, ვკარგავ უფლებას, რომელიც, როგორც სახელმწიფოს უფლებაუნარიან წევრს, მეკუთვნის – ვერ მივმართავ სასამართლოს. ხოლო თუ დახმარების ძიებას სხვაგან დავიწყებ, ანუ თუ ავიღებ კერძო კრედიტს, რომელსაც მხოლოდ უზომო სავახშო პირობებით შევძლებ, ეს კრედიტი მძიმე ტვირთად დამაწვება და გაკოტრებამდე მიმიყვანს. საზოგადოებრივი საკრედიტო დაწესებულებისთვის დახმარების თხოვნა ამაო იქნება, რადგანაც, მართალია, ასეთი დაწესებულება სესხს გაცილებით ნაკლები საპროცენტო დანამატით იძლევა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოითხოვს სესხის უზრუნველყოფას, რისი საშუალებაც მე უკვე აღარ გამაჩნია. მრჩება უკიდურესი ნაბიჯი – ვისარგებლო სიღარიბის უფლებით! მაგრამ გიფიქრიათ კი თქვენ, მკითხველო, იმ მორალურ ტანჯვაზე, რომელსაც განიცდის ადამიანი, როცა იძულებულია საჯარო სასამართლოს წინაშე ამტკიცოს თავისი სიღარიბე? უფიქრია კი ვინმეს იმაზე, რა კვალს ტოვებს ეს იმ ადამიანში, ვინც საკუთარ სიღარიბეს ამტკიცებს?

მაშ, რა მდგომარეობაში მაყენებს მე სასამართლო ხარჯების წინასწარი გადახდის აუცილებლობა? იმ მდგომარეობაში, რომ აბსოლუტურად მოჭრილი მაქვს სარჩელის შეტანის შესაძლებლობა.

კანონმდებლის სურვილი, თავი შევიკავოთ უსაფუძვლო სარჩელების შეტანისაგან, ჩემთვის სავსებით გასაგებია, თუმცა ისიც დიდად დასაძრახი იქნება, იმავე კანონმდებელს დავაბრალო, თითქოს მას სურდეს საერთოდ მომისპოს სასამართლოთი სარგებლობის უფლება ამ უფლების ფულით შესყიდვის გარეშე. მაგრამ ამასობაში ვერც ვერავინ აღკვეთს ჩვენს ბუნებრივ სურვილს:

„ვითხოვ სასამართლოს უფლებას და, თუ გავმტყუნდი, ყველა ხარჯი მერე გადამახდევინეთ, ხოლო თუ ის გამტყუნდა, ვინც ჩემი უფლება შელახა, მაშინ ხარჯი მას გადაახდევინეთ“.

ამის გარეშე მქონებელნი და უქონელნი ვერ იქნებიან თანასწორნი კანონის წინაშე.

მაგრამ თუ ზემოხსენებული სურვილი წესად იქცევა, მაშინ იგი შექმნის შეუსაბამობას სხვა არსებულ წესთან და, მაშასადამე, წარმოიშობა მეორე გაუგებრობა.

მეორე გაუგებრობა

სასამართლოს უფლების გამოსაყენებლად და სარჩელის შეტანად საჭირო თანხა მოვიპოვე. მეტს, განუზომლად მეტსაც მივაღწიე – ადვოკატი ავიყვანე. მე თვითონ სახელმწიფო ენა არ ვიცი. ამაზე, ჩვეულებრივ, მიპასუხებენ: „მერედა, ვისი ბრალია? ისწავლეთ!“ შენიშვნა საფუძვლიანია – სახელმწიფო ენა უნდა ვისწავლოთ, მაგრამ სად არის საამისო საშუალება? მხარეში არსებული ყველა სასწავლო დაწესებულება იმდენ მოწაფეს იღებს, რამდენის ***შიგ დატევასაც შეძლებენ***. ამათ გარდა, თითოეულ სასწავლებელს ჰყავს ასობით კანდიდატი, რომელთა მიღებაც ვერ ხერხდება; და კიდევ: სულ ცოტა, ათობით მაინც არიან ისეთები, კანდიდატთა შორისაც რომ ვერ ხვდებიან. და ეს ყველაფერი ეხება შეძლებულთა კლასს. მთელი მოსახლეობა რომ ავიღოთ? აქ არავითარი საშუალება არ არის ენის შესწავლისა. მაშასადამე, მე ვამბობ – არ ვიცი სახელმწიფო ენა და თარჯიმნის გარეშე თვით ჩემს ადვოკატთანაც კი ვერ ვახერხებ ლაპარაკს. ამიტომ თარჯიმანსაც უნდა

გადავუხადო. ორი-სამი წლის შემდეგ – და ეს გარემოება უაღრესად მნიშვნელოვანია იქ, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებას შეიძლება ათობით წელი დასჭირდეს – ვიმეორებ, ორი-სამი წლის შემდეგ ჩემს საქმეზე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და მეძლევა ***სააღსრულებო ფურცელი***.

სააღსრულებო ფურცელი გადაეცემა სასამართლოს ბოქაულს, მაგრამ ამ ბოქაულს ასეთი ფურცლები უამრავი დაუგროვდა. ისინი მან უნდა დაახარისხოს იმ მიმართულებების მიხედვით, რა მიმართულებებითაც მოუწევს გამგზავრება ფურცლების დასარიგებლად. შეიძლება ჩემი საცხოვრებელი ან საცხოვრებელი ჩემი მოპასუხისა არც დღეს, არც ხვალ და არც ათობით დღის განმავლობაში ბოქაულის მარშრუტში ვერ მოხვდეს. კიდევ არაერთი მეტად თუ ნაკლებად რეზონული მიზეზი გამოჩნდება ხოლმე, რომლებიც გააჭიანურებს სააღსრულებო მოქმედებებს. შესაბამისად, ბევრი რამ არის დამოკიდებული ბოქაულის ***კეთილ ნებაზე***, თუ როდის მოისურვებს იგი, ჩემს საქმეს ხელი მოჰკიდოს – ახლავე, თუ გაურკვეველ მომავალში. ჩნდება აუცილებლობა, ვედრებით მივმართო ბოქაულის კეთილ ნებას. ხოლო ამგვარი მიმართვის მიზანშეწონილობას ერთი ასეთი ფაქტი გვიჩვენებს: სასამართლოს ერთ-ერთი განყოფილების ბოქაულს, რომელიც ხაზინიდან ხელფასის სახით 600 მანეთს იღებდა, რასაც თითოეული სააღსრულებო ფურცლის მიტანის ანაზღაურება და სხვა წვრილ-წვრილი პროცენტებიც ემატებოდა, მეგობრებმა შესთავაზეს, დაეთმო თავისი ადგილი ამ მეგობრებიდან ერთ-ერთისთვის და ამის სანაცვლოდ წელიწადში 2000 მანეთს მისცემდნენ. ბოქაულმა ასეთი გარიგება წამგებიანად ჩათვალა.

შემდეგ: ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება სასამართლოს ბოქაული არასწორად მოიქცეს. მაშასადამე, წარმოიშობა ახალი საჩივარი და, შესაბამისად, ახალი წარმოება, ამჯერად – სააღსრულებო მიმართულებით. და აი, ერთმა და იმავე საქმემ კიდევ ერთხელ უნდა გაიაროს ყველა ის ინსტანცია, რომელიც სასამართლო წარმოებისას გაიარა და იმავე სახით დაუბრუნდეს იმავე ან სხვა ბოქაულს.

ასე და ამგვარად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამ ჩემგან მოითხოვა გაცილებით მეტი მისვლა-მოსვლა, ფულადი დანახარჯი, სალამ-ქალამი, ვიდრე – სასამართლო გადაწ-

ყვეტილების პროცესმა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ასეულობით სააღსრულებო ფურცელი წლობით ელოდება რეალიზაციას და გამართლებულნი ვერ სარგებლობენ სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგით.

ამგვარ ვითარებაში, რასაკვირველია, შეუძლებელია რაიმე ვთქვათ იმ წესების რაციონალურობის საწინააღმდეგოდ, რომელთა მიხედვითაც, საჭიროა სასამართლო ბაჟისა და სხვა ხარჯების წინასწარ, სარჩელის შეტანისთანავე, გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზინასაც დიდი ხნის ლოდინი მოუწევს სასამართლო ხარჯების სარეალიზაციოდ და მეც დიდხანს უნდა ველოდო საკუთარი უფლების პრაქტიკულ აღდგენას.

შეეფერება თუ არა არსებული წესი სწრაფი და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს?

მიიღწევა თუ არა კანონმდებლის სხვა მიზანიც – შეაფერხოს ჩემ მიერ უსაფუძვლო სარჩელის აღძვრა?

პირიქით, შეიქმნა სარჩელის აღძვრის წამახალისებელი სამი გარემოება: ადვოკატის ინტერესი, სასამართლოს ბოქაულის ინტერესი, ხაზინის ინტერესი. რაც მეტია პროცესი, მით უფრო ხელსაყრელი ვითარება იქმნება დასახელებულ ინტერესთა დასაკმაყოფილებლად.

სასამართლოს ფუნქციებიდან სააღსრულებო მოქმედების გამოყოფას აქვს ფრიად დამაჯერებელი და მნიშვნელოვანი საფუძველი. ადრინდელი წესი – სააღსრულებო ინიციატივები ჰქონოდა იმავე სასამართლო უწყებას, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, დიახაც რომ დასაგმობი იყო, რადგანაც თვითონ ამ წესშივე მისი ბოროტად გამოყენების არაერთ შესაძლებლობას ჰქონდა ფესვები გადგმული. ამ ფესვების მასაზრდოებელ ნიადაგს კი ქმნიდა ის გაუმჭვირვალე გარემო, რომელშიც სასამართლო პროცედურები მიმდინარეობდა. და რადგანაც სასამართლო ამჟამად დღის სინათლეზეა გამოყვანილი, ნიადაგმა დაკარგა მასაზრდოებელი ძალა და ასეთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ბოროტების ის ფესვიც არ გამხმარიყო. თითქოს გამოჩნდა ახალი, უფრო მოწესრიგებული გარემო, მაგრამ სააღსრულებო ინიციატივის ხელისუფლებისათვის გადაცემამ ვითარების ბოროტად გამოყენების კიდევ უფრო მეტი საშუალება გააჩინა. საქმე ისაა, რომ ხელისუფ-

ლება თავის მოქმედებებში არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) გაუმჭვირვალეა, ვიდრე – ადრინდელი სასამართლო, რამდენადაც ინიციატივა უკვე ერთი პირის, სასამართლოს ბოქაულის, ხელში აღმოჩნდა.

სააღსრულებო მოქმედებისას ვითარების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობამ კიდევ ერთი უხერხულობა წარმოშვა. ახალმა წესმა, ანუ სასამართლოს ფუნქციებიდან სააღსრულებო ინიციატივის გამორიცხვამ, სასამართლოს უფლებაზე არანაკლებ წმინდა უფლების, სასამართლო წესით დაცვის, პარალიზება გამოიწვია: დაცვის უფლება სააღსრულებო ფურცლის გაცემისთანავე წყდება; და ეს მაშინ, როცა ამის შემდეგ დაცვის საჭიროება კიდევ უფრო იზრდება.

აქედან გარდაუვალად გამომდინარეობს ასეთი დასკვნა:

სასამართლოს ბოქაული ღიად მოქმედი სასამართლო ხელისუფლების ორგანოა. სასამართლო ხელისუფლებას, იღებს რა გადაწყვეტილებებს, ღიადვე უნდა შეეძლოს ბოლომდე – ე. ი. სისრულეში მოყვანამდე – მისდიოს თავის გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში საკუთარი ორგანოსთვის თვალყურის დევნება და მასზე კონტროლის დაწესება სასამართლოს დააკისრებდა გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას, ვიდრე ის, რომ არ გაუწიოს კონტროლი თავისი გადაწყვეტილების შესრულებას და ღვთის ანაბარა მიატოვოს იგი.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მექნება განცდა, რომ ჩემი სამოქალაქო უფლებები სასამართლოს მიერ შესაფერისადაა დაცული.

მესამე გაუგებრობა

მესამე გაუგებრობას ჩემში წარმოშობს ის წესი, რომლის მიხედვითაც, ამა თუ იმ სასამართლო დაწესებულებას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილება უაპელაციოდ მიიღოს, ხოლო სხვებს ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია. მაგრამ რადგანაც ეს წესი უფრო მკაფიოდ ამიერკავკასიის სამართალწარმოებისთვისაა დამახასიათებელი, ამ საკითხზე მსჯელობას მეორე განყოფილებაში გადავიტან. აქ კი შევეხები მეოთხე და უკანასკნელ გაუგებრობას.

მეოთხე გაუგებრობა

სასამართლო პალატის გადაწყვეტილება ზოგადად საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება და მხოლოდ სენატში საკასაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება.

სასამართლო რეფორმის გამოცხადებამ გაგვიჩინა იმედი, რომ სამართალი ჩვენში იქნებოდა ***სწრაფი*** და, ამასთანავე, ***სამართლიანი***.

აქედან პირველი იმედის გამართლებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლო პალატის გადაწყვეტილებათა ხასიათი, რომელიც იწვევს მეორე იმედის პარალიზებას. ერთი იმედის მეორისაგან გამიჯვნას არც კანონმდებელი აპირებდა და არც ჩვენ, სასოებითა და იმედებით აღვსილები, მოველოდით ამას.

პრაქტიკა წარმოშობდა კითხვას:

გადავა თუ არა საკასაციო საჩივრით საქმე უმაღლეს ინსტანციაში, ანუ გაგრძელდება თუ არა საქმის მსვლელობა?

და ეს საკითხი ერთობ მარტივად გადაწყდა: საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს სასამართლო ინსტანციას. იგი განსაკუთრებული, ცალკე და თავისდათავად არსებული უმაღლესი დაწესებულებაა. ამიტომაც საქმის მსვლელობა სრულდება იმ მომენტში, როცა სასამართლოს მიერ მიღებული იქნება ***საბოლოო*** გადაწყვეტილება.

ამ მომენტიდანვე გადაწყვეტილება გადაეცემა აღმასრულებელს, მიუხედავად იმისა, გასაჩივრდება თუ არა იგი საკასაციო წესით.

რასაკვირველია, სხვაგვარად ვერც იქნება, რამდენადაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ***საბოლოოა***.

აქ არავითარ გაუგებრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მაგრამ გაუგებრობა, აი, სად ბუდობს:

საკასაციო სარჩელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულად, რაც ზოგჯერ ხდება კიდევაც.

ასეთ შემთხვევაში უქმდება ***საბოლოო*** გადაწყვეტილება, ინიშნება საქმის ხელახალი განხილვა და საჭირო ხდება გადაწყვეტილების თავიდან მიღება.

ასე და ამგვარად, იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც საკასაციო სარჩელის წარმოებაში მიღება გადაწყდება, ისევ განახლდება საქმე, რომელიც ადრე დასრულებულად იყო მიჩნეული. თავის მხრივ, ამ მომენტიდანვე წყდება სააღსრულებო მოქმედებები.

ახლა ვკითხოთ საკუთარ თავს: რა დროის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს სააღსრულებო მოქმედებები სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებიდან საკასაციო სარჩელის მიღებამდე?

საკასაციო სარჩელის შეტანისთვის გათვალისწინებულია ერთი ოთხთვიანი ვადა, მაგრამ არ არის განსაზღვრული არც გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოში გაგზავნის, არც საქმის საკასაციო სასამართლოში წარმოებისა და, დასასრულ, არც საკასაციო გადაწყვეტილების გამოცხადების ვადები. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საკასაციო სარჩელი პროცესუალური კუთხით ყურადღებით უნდა იქნეს განხილული იმ უწყებაში, რომელმაც ამ სარჩელის საფუძვლიანობა უნდა აღიაროს. ამის შემდეგ იმავე სარჩელის პროცესუალური მხარე, მთელი თავისი დოგმატური საფუძვლებით კიდევ უფრო მეტი ყურადღებით უნდა იქნეს განხილული საკასაციო სასამართლოს მიერ და, დასასრულ, საქმე დაიძრას და შინაგანაწესის მიხედვით, რომელშიც, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარი გავლენები მოქმედებს, მივიდეს შესაბამისი დაქვემდებარების ადგილას. ყოველივე ამის შემდეგ მივდივარ დასკვნამდე, რომ ზემოხსენებულ ორ მომენტს – ***საბოლოო გადაწყვეტილებასა*** და ***მის გაუქმებას*** – შორის დროის ხანგრძლივობა, სულ ცოტა, რვა თვე მაინც გამოვა და ეს დრო არის უკიდურესი minimum-ი.

ხომ არ ფიქრობთ, მკითხველო, რომ შესაძლებელია პალატის საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება ამ რვა თვის განმავლობაში?

– რასაკვირველია, – მიპასუხებთ, – მართალია, თქვენ მიერ წარმოდგენილი ვითარება გულისხმობს სააღსრულებო მოქმედებების უკიდურეს გაჭიანურებას, მაგრამ დაჩქარების შესაძლებლობაზეც ხომ თვითონვე მიუთითეთ? თუკი სასამართლო ბოქაულის ერთპიროვნულ უფლებასა და კეთილ ნებას წავახალისებ, შეიძლება ერთი თვეც არ დასჭირდეს, რომ თქვენ მიერ ჩემთვის წართმეული საკუთრება უკანვე დავიბრუნო; და ესეც მინდა ვიცო-

დე – რა შემიშლის ხელს, რომ ეს დაბრუნებული საკუთრება გავყიდო? ხომ არ გგონიათ, რომ დარჩენილ შვიდ თვეში ვერ მოვახერხებ, საკუთრება ფულად ვაქციო?

– არა, არა მგონია! მაგრამ თუ კასაციის შემდეგ მეორე საბოლოო გადაწყვეტილებით საკუთრება მე მომენიჭება, მაშინ ან თქვენ სად წამიხვალთ, ან – მყიდველი?

– უკაცრავად! მყიდველი პასუხს არ აგებს, იმიტომ, რომ მან ეს ქონება კანონის სრული დაცვით შეიძინა და მის უფლებას ვერავინ დაარღვევს. მე რაც შემეხება, მერწმუნეთ, ვერაფერსაც ვერ გამომრჩებით – ქონება ხომ ფულად ვაქციე, ფულს კი, ნურას უკაცრავად და, ჩემთან ვერც იპოვით.

დამეთანხმებით, მკითხველო, რომ ამგვარი რამ მართლაც შეიძლება მოხდეს.

და სადაც ამგვარი რამ შეიძლება მოხდეს, იქ მართლმსაჯულება სრულყოფილი ვერ იქნება.

ვნახეთ, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, გაუქმდეს კიდევაც და, შესაბამისად, მას მხოლოდ სახელად ჰქვია ***საბოლოო!*** დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სავსებით ლოგიკური იქნებოდა, შემუშავებულიყო, მაგალითად, ასეთი რედაქცია:

„საბოლოო გადაწყვეტილება აღსრულებისთვის გადაეცემა, თუ საამისოდ დაწესებულ ვადაში არ აღიძვრება საკასაციო საჩივარი; და თუ ამ ვადაში საკასაციო საჩივარი აღიძვრება, მაშინ – არა უადრეს საკასაციო საჩივარზე უარის თქმამდე“.

ან:

„დავის საგანს დაედოს ყადაღა საკასაციო ვადების გასვლამდე ან საკასაციო საჩივარზე უარის თქმამდე“.

როგორც ერთი, ისე მეორე რედაქცია სავსებით ლოგიკურია იმიტომაც, რომ არსებობს სხვა ისეთი სასამართლო დაწესებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ კანონიერი უფლებამოსილება, მიიღონ ***საბოლოო*** გადაწყვეტილება, მაგრამ არ გააჩნიათ უფლებამოსილება, საკასაციო ვადების გასვლამდე თავისი გადაწყვეტილება გადასცენ აღსასრულებლად. სოფლის სასამართლო ამიერკავკასიაში საბოლოო გადაწყვეტილებას თვითონ იღებს ისეთ შემთხვევებში, როცა დავის საგანი არ აღემატება ***ას*** მანეთს, ხოლო

გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიმღები მომრიგებელი მოსამართლე, ისევე, როგორც სინდისის სამედიატორო სასამართლო – ნებისმიერი თანხის შემთხვევაში. თუმცა ამ გადაწყვეტილებას მსვლელობას აძლევენ მხოლოდ ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ამ ვადაში საჩივარი არ აღიძვრება. დასასრულ, თვითონ სასამართლო პალატა თავის გადაწყვეტილებებს სააღსრულებოდ გადასცემს არა უადრეს 4 თვისა, როცა საქმე მხოლოდ მიწის გამიჯვნას ეხება.

ამას უნდა მოჰყოლოდა მსჯელობა სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული გაუგებრობების შესახებ, მაგრამ ეს სხვა, უფრო მოსახერხებელი, დროისთვის უნდა გადავდო.

II. ზოგადი საფუძვლებიდან გადახვევების შესახებ, ამიერკავკასიის მხარისთვის რომ არის დაშვებული

ა) სამოქალაქო სასამართლოს სფეროში

საკითხის გარშემო ჩემს მოსაზრებებს წავუმძღვარებ მოკლე მიმოხილვას იმ ვითარებისა, მოთხოვნილ გადახვევებს აქ რომ დახვდა.

ამ მხარის ერთმა თვალსაჩინო მმართველთაგანმა• რუსეთის იმპერიასთან შეერთების პირველ წლებშივე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე იშუამდგომლა, რათა საერთო-საკანონმდებლო ვითარება აქ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს შეხამებოდა. იგი ამბობდა, რომ ***კანონი ხალხის ზნესა და ჩვეულებებს კი არ უნდა დაუპირისპირდეს, არამედ – შეეხამოს.*** შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცა უფლება, იმპერიაში მოქმედი ზოგადი კანონები ადგილობრივ პირობებში მაშინ გამოეყენებინა, როცა ისინი არ წარმოშობდა დაბრკოლებებს.

• თავადი პავ. დიმ. ციციანოვი. 1802-1804 წწ.[2]

[ავტ.]

და აი, დღემდე მყარადაა ფესვგადგმული თავის დროზე დიდად საყურადღებო ***ადგილობრივი პირობები***, რომელთა მნიშვნელობა 78 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში საკმარისად მოძველდა.

სწორედ ამ საკითხზე უნდა გადავიდე ახლა.

მაინც რა გარემოებები უნდა მიეღოთ მხედველობაში ჩვენს მხარეში ზოგად სასამართლო წესდებულებათა გავრცელებისას? სხვაგვარად რომ ვთქვათ: მაინც რა ზნე-ჩვეულებები უნდა მოესპო ამ წესდებულებათა შემოღებას? ან კიდევ: მაინც რომელ კონკრეტულ ზნესა თუ ჩვეულებას უნდა შეხებოდნენ, როცა საერთო-სასამართლო რეფორმაში ამა თუ იმ ცვლილების შეტანას დააპირებდნენ?

დავიმოწმებ ზნე-ჩვეულების იმ განსაზღვრებას, რომელიც ეკუთვნის ჩვენი მხარის კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინო ადმინისტრატორს•• და რომელიც დაახლოებით ოცი წლის წინ ყოვლადუქვეშევრდომილესი ანგარიშის შედგენისას ამიერკავკასიის მრავალეთნიკურობისა და აქაური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ მან პირადად მითხრა.[3]

ამგვარი დამოწმება იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ხსენებული განსაზღვრება ეკუთვნის უაღრესად კომპეტენტურ და ფრიად ავტორიტეტულ სახელმწიფო პირს – ერთადერთს, რომელსაც ჰქონდა საშუალება, ჯერ კარგად გასცნობოდა ჩვენს მხარეს და მხოლოდ ამის შემდეგ გამხდარიყო იმპერატორის მეფისნაცვალი.[4] ჩვენი ამოცანის გადაწყვეტისას ასეთი ადამიანის აზრი პირდაპირ და სწორ გზაზე გვაყენებს.

ჩვენი მხარის მოსახლეობის ქრისტიანულ ნაწილზე მაშინ ითქვა: ***„მისი – ამ მხარის ხალხებიდან ყველაზე უფრო განვითარებული – მეომრული ბუნება ჩამოყალიბდა მტრებთან ბრძოლებში, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა საკუთარი რწმენისა და ხალხოსნობის დასაცავად. ამიტომაც მათს საზოგადოებრივ ყოფაში მორჩილება კანონიერი ხელისუფლე-***

•• გენერალ-ფელდმარშალი, თავადი ალ. ივ. ბარიატინსკი. 1856-1862. [ავტ.]

ბისადმი და ერთგულება მოვალეობისადმი ხასიათის ბუნებრივი გამოვლინებაა“.

ამგვარ ვითარებაში ჩამოყალიბებული მეომრული ბუნება თავისთავად განსაზღვრავს ხალხის ზნე-ჩვეულებებს და ის ხალხი, რომელსაც ასეთი ზნე-ჩვეულებები უყალიბდება, ვერასგზით ვერ მოითმენს სამართალს გაჭიანურებულს, გაუმჭვირვალეს, შეუთავსებელს მეომრული ბუნებისთვის დამახასიათებელ პატიოსნებასა და პირდაპირობასთან.

შემდეგ ითქვა: ***წინანდელ სამეფო ხელისუფალთა მიერ*** (და ეს ოც ასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა) ***სასამართლო საქმეები მოსახლეობაში გაირჩეოდა ზეპირად და აღსრულდებოდა ღიად***.

მხარის მოსახლეობის მუსლიმური ნაწილის შესახებ ითქვა: ***სასამართლო საქმეები გაირჩევა შარიათის მიხედვით, ყურანის საფუძველზე, ანდა ხალხის წეს-ჩვეულებებით განსაზღვრულ ადათზე დაყრდნობითა და ორივე შემთხვევაში – ზეპირად და ღიად***.

აქედან ცხადი ხდება, რომ ჩვენში ძველთაგანვე არსებობდა ნიადაგი სასამართლოს ისეთი სიღრმისეულად გააზრებული და სრულქმნილი ფორმების დასამკვიდრებლად, რომლებსაც ცივილიზებული მსოფლიო სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების აუცილებელ ატრიბუტებად აღიარებს. შესაბამისად, არ უნდა გაჩენილიყო ისეთი ელემენტები, რომლებიც ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების რღვევას გამოიწვევდა; ან კიდევ ისეთი ვითარება, რომელიც ღრმად გააზრებულ და დამუშავებულ რეფორმას ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების სამსხვერპლოზე მიიტანდა.

მაგრამ მსხვერპლიც შეწირულია და ცვლილებებიც – განხორციელებული. მიზეზები კი უნდა ვეძებოთ არა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებში, არამედ მის მიღმა, რადგანაც ამ შემთხვევაში ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები არაფერ შუაშია.

მოდით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფრო ახლოდან გავსინჯოთ თვითონ ზემოაღნიშნული ცვლილებები.

ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეებისთვის – ანუ ისეთი დავებისა და სარჩელებისთვის, რომლებიც 500 მანეთის ფარგლებში ექცევა, აგრეთვე, ისეთი გადაცდომებისთვის, რომლებსაც არ მოს-

დევს უფლებათა შეზღუდვა – დაწესებულია მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი. უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის დაწესებულია საერთო სასამართლო, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობისთვის – ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

თავდაპირველად ავიღოთ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი.

პირველი ინსტანცია – მომრიგებელი მოსამართლე, ერთპიროვნული მართლმსაჯულება.

მეორე ინსტანცია – მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, კოლექტიური მართლმსაჯულება.

შემდეგ – საკასაციო სასამართლო, სენატის დეპარტამენტი.

ასე და ამგვარად, ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეებისთვის განკუთვნილი სასამართლო მთლიანად გამოყოფილია საერთო სასამართლოსგან.

მომრიგებელი მოსამართლე ყველა წოდების მიერ აირჩევა სამი წლის ვადით. ვერ გაამართლებს იმედებს და მეორედ აღარ აირჩევენ. ე. ი. მისი განმსჯელი საზოგადოებრივი აზრია – საკმაოდ კომპეტენტური სამსჯავრო.

იურისდიქცია მომრიგებელი მოსამართლისა შეზღუდულია და შემოიფარგლება, როგორც ითქვა, ნაკლებმნიშვნელოვანი საქმეებით. მისი განხილვის საგანს არ წარმოადგენს არც უძრავ ქონებასთან, არც სამეურვეო, არც სანოტარო, არც საგამოძიებო, დასასრულ, არც სააღსრულებო საკითხებთან დაკავშირებული საქმეები. მიუხედავად ამისა, მომრიგებელი მოსამართლის იერარქიული ხარისხი საკმაოდ მაღალია – იგი სახელმწიფო ჩინის V კლასს მიეკუთვნება.

ეს რაც შეეხება საერთო-საიმპერიო ვითარებას.

რაც შეეხება ამიერკავკასიას...

პირველი ინსტანცია იგივეა, მაგრამ მეორე ინსტანციიდან სამომრიგებლო სასამართლო ერწყმის საერთო სასამართლოს პირველ ინსტანციას.

ხოლო საკასაციო სასამართლო ერთია და აქ მომრიგებელი მოსამართლის ფუნქცია სენატიდან სასამართლო პალატამდეა ჩამოქვეითებული.

ამგვარი სისტემის არსებობას, რასაკვირველია, ამართლებენ ტერიტორიული დაშორებულობით, თუმცა:

მომრიგებელი მოსამართლე ჩვენში აირჩევა არა ყველა წოდების მიერ და არა სამი წლით, არამედ ინიშნება ადმინისტრაციული წესითა და განუსაზღვრელი ვადით. ამდენად, საზოგადოებრივი აზრი არ არის მისი განმსჯელი და, შესაბამისად, მომრიგებელი მოსამართლის მდგომარეობას განსაზღვრავს არა საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი პატივისცემა, არამედ – მისი დამნიშნავი ხელისუფლების კეთილგანწყობა. არადა, ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი აზრის სოლიდარობა ზოგჯერ ოცნების სფეროს მიეკუთვნება.

ამ ვითარებაში მივდივართ იმ გარდაუვალ დასკვნამდე, რომ ასეთი მომრიგებელი მოსამართლის იურისდიქცია გაცილებით უფრო შეზღუდული უნდა იყოს, ვიდრე შიდა გუბერნიებში.

ამ დროს კი პირიქითაა – ჩვენში მომრიგებელ მოსამართლეს უწევს ყველა დავის განხილვა 2000 მანეთამდე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავის ჩათვლით.

მას გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება ყველა იმ საქმეზე, რომელიც მოქცეულია არა 30 მანეთის, არამედ 100 მანეთის ფარგლებში (სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რამდენადაც სოფლის სასამართლოს ჩვენში საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს ისეთ საქმეებზე, რომლებიც 100 მანეთის ფარგლებში ექცევა).

მას სამეურვეო საქმეებიც ეხება – ნიშნავს მეურვეებს და აკონტროლებს მათ, ზოგჯერ მთელი მაზრის მასშტაბითაც კი.

იყო ასეთი ფაქტი, როდესაც ერთმა ვიგინდარამ, მოხვდა რა მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე, მოხვეტა ობლებისთვის განკუთვნილი თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი და საზღვარგარეთ მოკურცხლა. ვფიქრობ, ეს არ მოხდებოდა, მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა არჩევითი რომ ყოფილიყო.

შემდეგ – ადრე მომრიგებელი მოსამართლის გარეშე ვერ აღსრულდებოდა ვერც ერთი სასამართლო გადაწყვეტილება. მომრიგებელი მოსამართლე ერთპიროვნულად განსაზღვრავდა აღსრულების წესს და, ჰქონდა რა არჩევანის უფლება, განსაზღვრავდა აღსრულების ფორმასაც – სწრაფი უნდა ყოფილიყო იგი, თუ შეთანხმებული, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო გადაწყვეტილების

მიმღები: თვითონ, საოლქო სასამართლო თუ სენატი. ახლაც, სააღ-სრულებო ფურცლის წარდგენის წესების შეცვლისა და 1879 წლის 9 მარტის წესდებულების შემდეგ, მომრიგებელი მოსამართლე საკ-მაოდ სერიოზულ სასამართლო ძალაუფლებასა და არათანაშეზო-მილ სააღსრულებო უფლებებს ითავსებს.

უფრო მეტიც – იგი თავის განყოფილებაში არის ნოტარიუ-სიც, თუკი სპეციალური ნოტარიუსი არ არსებობს. და, მაშასადამე, მომრიგებელი მოსამართლე თვითონ განიხილავს, თვითონ გადაწ-ყვეტს და თვითონვე აღასრულებს საქმეებს, რომლებიც მის მიერ-ვე მიღებული აქტებიდან გამომდინარეობს.

დასასრულ, იმავდროულად თავის განყოფილებაში იგი არის გამომძიებელი მოსამართლეც და იქ, სადაც არ არის სპეციალური გამომძიებელი მოსამართლე, მომრიგებელი მოსამართლე ან მისი თანაშემწე, ან კანდიდატი, სისხლის სამართლის დანაშაულთან და-კავშირებულ საქმეებსაც თვითონ იძიებს.

ყოველივე ამის გაკეთება, იმავდროულად, საქმეებთან და-კავშირებული მიმოწერა, ახალ-ახალი საქმეების წარმოება, საანგა-რიშგებო ქაღალდების შედგენა, ეს ყოველივე, რასაკვირველია, აღემატება ერთი პირის შესაძლებლობებს. ამიტომ ენიშნებათ მათ თანაშემწეები, თანაშემწეობის კანდიდატები, მდივნები, თარ-ჯიმნები და სხვა დანარჩენი საკანცელარიო ჩინის მქონე პირები. ერთი სიტყვით, როგორც საქმეს შეჰფერის, მომრიგებელი მოსა-მართლის გარშემო მწყობრი ბიუროკრატიული გარემოა შექმნილი.

ცხადია, ჩვენში მომრიგებელი მოსამართლე არ დგას იმაზე მაღლა და მისი მნიშვნელობა არ არის იმაზე მეტი, ვიდრე ეს ზოგა-დი წესდებულებითაა გათვალისწინებული. ჩვენში მის ფუნქციას არ ინაწილებენ საპატიო მოსამართლეები, რომელთა არსებობას, როგორც ჩანს, არ უშვებს იგივე სპეციალური ადგილობრივი პირო-ბები – ***საბრძოლო სულისკვეთების*** პატიოსან ხალხში ამგვარი რამის საჭიროება არ არისო.•

• **შენიშვნა**: ამჟამად უკვე დაწყებულია საპატიო მომრიგებელი მო-სამართლეების დანიშვნა.

[ავტ.]

ისე ხომ არ გამოდის, რომ იერარქიულ კიბეზე აქაური მომრიგებელი მოსამართლე მისთვის შეუსაბამო ხარისხშია აყვანილი?

პირიქით – აქ იგი უფრო დაბალ საფეხურზე დგას.

ადმინისტრაციული ძალაუფლების თვალსაზრისით, ნებისმიერ მაზრაში მთავარ ფიგურას ყოველთვის მაზრის უფროსი წარმოადგენდა. იგი VII კლასის მოხელე იყო და ხელფასს დაახლოებით 1800 მანეთს იღებდა.

უხერხულად იქნა მიჩნეული, მაზრის უფროსზე მაღლა მოსამართლე მდგარიყო. ეს უხერხულობა რომ აღმოეფხვრათ, მოსამართლე ერთი საფეხურით დააქვეითეს, მაზრის უფროსი კი ერთი საფეხურით დააწინაურეს. ხელფასიც თანაბარი დაუნიშნეს – დაახლოებით 2400 მანეთი. აი, რატომაა ამიერკავკასიელი მომრიგებელი მოსამართლე VI კლასის მოხელე, რაც მის პატივმოყვარეობაზე ცუდად მოქმედებს.

ერთი შეხედვით, მომრიგებელი მოსამართლის პატივმოყვარეობა იმის შეგნებას უნდა დაეკმაყოფილებინა, რომ ზოგჯერ მას უწევს, აღასრულოს სამართალი მთელი მაზრის მასშტაბით და დაამკვიდროს მშვიდობა მოსახლეობაში, რომლის რაოდენობა ასეულობით ათასს აღემატება. თუმცა ასეთი შეგნების დამთრგუნველი გარემოება ისაა, რომ მთელი მისი მოქმედების სარგებლიანობა ძირითადად სუსტ თარჯიმანზეა დამოკიდებული.

ხალხს რაც შეეხება...

კანონიერი ხელისუფლებისადმი მორჩილება საზოგადოებრივი ყოფის ჩვეულებრივი გამოხატულებაა, თვალში საცემი ჭეშმარიტებაა. მაგრამ მე ვერაფრით ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დამკვიდრდეს ნორმალური ვითარება სახალხო სასამართლოში, სადაც მოსამართლეებსა და განსასჯელებს ერთმანეთისა არ ესმით? პრობლემას აზრთა სხვადასხვაობა კი არ ქმნის, არამედ – ამ აზრების ერთმანეთისათვის გაგებინების შეუძლებლობა. ასეთ ვითარებაში, ცოცხალი სიტყვა – ყოვლად აუცილებელი ***ზეპირი*** სასამართლოსათვის – საერთოდ კარგავს ფუნქციას.

მომრიგებელი მოსამართლე, რომელმაც არ იცის ხალხის ენა და, მაშასადამე, არც ამ ხალხის დიალექტიკური ღირსებები და ნაკლულოვანებები, არც ყოფითი ცხოვრების განმსაზღვრელი ზნეობრივი საწყისები და მანკიერებები, არც მისი ხასიათი და ჩვეულებე-

ბი, არც მისი საჭიროებები და მისწრაფებები, ვერ შეძლებს შეგნებით მიუდგეს განსახილველ საქმეს – შეუძლებელია შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება იმ ელემენტების გარეშე, რომლებზედაც წარმოდგენა არა გვაქვს.

ასეთი გარემოება თავისთავად წარმოშობს საქმისადმი უაღრესად პასიურ დამოკიდებულებას და თანდათანობით ყალიბდება ჩვევა საქმეების ზერელედ და ხელაღებით გადაწყვეტისა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ახსნა-განმარტება საქმიან ენაზე გაიცემა.

რაც არ უნდა დიდი იყოს სურვილი მართლმსაჯულების ამ მიმართულების – მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის – ძლიერებისა, რაც არ უნდა საფუძვლიანი იყოს თვითონ მომრიგებელი მოსამართლის მომზადება, დროის მცირე მონაკვეთში მთელი მისი ენერგია მხოლოდ იმისკენ იქნება მიმართული, საკუთარი გადაწყვეტილების მოტივაცია იმგვარი ფორმულირებებით დაასაბუთოს, რომ ამ გადაწყვეტილებამ სააპელაციო თუ საკასაციო გადასინჯვას გაუძლოს.

თავისთავად არასწორი, არაკანონიერი, ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელი სამართლიანობის განცდის შეურაცხმყოფელი გადაწყვეტილებები – გასაჩივრებული იქნება იგი თუ არ იქნება გასაჩივრებული, რა ფორმით, წესითა თუ ვადით იქნება იგი მიღებული – ბოლოს და ბოლოს, მაინც საბოლოო გადაწყვეტილების სახეს იღებს. მოსამართლე კი იძულებული ხდება, მძაფრი განცდის გარეშე შეეგუოს მის მიერვე დარღვეულ სამართალს, როგორც ექიმი ეგუება სიცოცხლის შეწყვეტას, როცა ავადმყოფს მეცნიერული მეთოდებით მკურნალობს.

მაგრამ ექიმის შემთხვევაში სიკვდილი წყვეტს ტანჯვას, მოსამართლე კი სამართლის დამხობით ტანჯვას წარმოშობს.

ზემოთ ითქვა, რომ სასამართლო დაწესებულებები გადატვირთულია საქმეებით.

ამიერკავკასიელ მომრიგებელ მოსამართლეს ეს სხვაზე მეტად ეხება.

ამაზე მეტყვიან: აკი თქვენ თვითონ ამბობდით, რომ მას ჰყავს თანაშემწეები, თანაშემწეობის კანდიდატები, მდივნები, საქმისმწარმოებლები?

დიახ! მაგრამ თანაშემწეები მომრიგებელ მოსამართლეს კი არ ეხმარებიან, არამედ მოსამართლის სრული უფლებებით დამოუკიდებლად მოქმედებენ: ან სპეციალურ სამომრიგებლო უბნებში, სადაც მეტისმეტად ბევრი საქმეა დაგროვილი და მოსახლეობაც მრავალრიცხოვანია, ან კიდევ გამომძიებელი მოსამართლეების ფუნქციებს ასრულებენ.

თანაშემწეობის კანდიდატები, როგორც, ასე ვთქვათ, ნეოფიტები,[5] ძირითადად გამომძიებელი მოსამართლეების როლს ასრულებენ, ზოგჯერ კი – ამა თუ იმ მოსამართლის არყოფნისა თუ ამ უკანასკნელის ავადმყოფობის შემთხვევაში – დროებით ცვლიან მოსამართლეებს. ამით ისინი დამოუკიდებელ მუშაობასაც ეჩვევიან. მაგრამ თვითონ ამ თანამდებობის არსიდან გამომდინარე, მათ არავის ***დახმარება*** არ შეუძლიათ.

მდივნები? ისინი რომ არ იყვნენ, ვინ დაამყარებს ათასობით განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ საკანცელარიო წესრიგს, ვინ შეადგენს სხვადასხვა საკანცელარიო თუ სანოტარო წიგნებს?

რაც არ უნდა უნარიანი იყოს მომრიგებელი მოსამართლე, როგორი ღირსებითაც არ უნდა ეკიდებოდეს იგი თავის წმინდა საქმეს, ძალა არ ეყოფა, უზადოდ და უმწიკვლოდ აღასრულოს თავისი მოვალეობა. ათეულობით საქმე რომ გაარჩიოს და გადაწყვეტილებები მიიღოს, მას სულ ცოტა დღეში 14 საათის მუშაობა დასჭირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გონებრივი შრომაა და არა – ფიზიკური, აბსოლუტურად შეუძლებელია ადამიანმა, რომელსაც თვითგადარჩენის გრძნობა აქვს შერჩენილი, ყოველდღიურად ასეთ რეჟიმში იშრომოს. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ სხვადასხვა ცხოვრებისეულ საჭიროებას, სხვადასხვა ადამიანურ მიდრეკილებას, ინტერესს, გატაცებას – ან საქმეების გარჩევისას რაიმე უწესრიგობას დაუშვებს, ან კიდევ გადაწყვეტილების მიღებისას არაკეთილსინდისიერად მოიქცევა.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იქმნება დასაბუთებული საჩივრის საფუძველი.

ხოლო, თუ დავუშვებთ ნაირგვარი გარეშე გავლენების შესაძლებლობას, რომელთაგან თავის არიდება სასურველი უფროა, ვიდრე – შესაძლებელი, განა გასაკვირი იქნება, თუ საკუთარი ფუნქციის განხორციელებისას მოსამართლეების ქმედებებში ვიპოვით:

ან ძალაუფლების გამოუყენებლობას, ან ძალაუფლების გადამეტებას. სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი, როგორც უკვე ითქვა, არა ერთი და ორი მიზეზის გამო შეიძლება უშედეგოდ დასრულდეს, ეს ამბავი კი ბაგიდან ბაგეს გადაეცემა და უკმაყოფილებისა და საყვედურების გავრცელებასაც შეუწყობს ხელს.

მომრიგებელ მოსამართლეს მინიჭებული აქვს კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და თავისი არსით წმინდა უფლება – ***სინდისის*** საფუძველზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ნებისმიერი თანხით განსაზღვრულ საქმეზე, როცა ორივე მხარე ერთმანეთში თანხმდება.

სადაც მოსამართლის პიროვნულ სინდისს, ასე ვთქვათ, მთელი საზოგადოების სინდისი აკონტროლებს, იქ მოსამართლის მხრიდან საკუთარი უფლებების ბოროტად გამოყენება ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ როდესაც საზოგადოებრივ მსჯავრს არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მოსამართლის სინდისზე, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას არა აქვს მინიჭებული მაკონტროლებელი ფუნქცია, თქვენ თვითონ თუ წარმოგიდგენიათ, რა შემზარავი ბოროტმოქმედება შეიძლება ამან წარმოშვას?

ამგვარი ბოროტმოქმედებანი კი რეალურად არსებობს. ქვემოთ მე მოვიყვან მაგალითს, მართალია, მხოლოდ ერთ მაგალითს, მაგრამ ის, რომ ჩემთვის ერთი მაგალითია ცნობილი, სრულებით არ გამორიცხავს ალბათობას – არსებობს ჩემთვის უცნობი კიდევ სხვა მაგალითები.

წვრილმანებს არ შევეხები, ე. ი. არც ამა თუ იმ დადგენილებასთან დაკავშირებულ განსხვავებულ შეხედულებებს, არც ერთი და იმავე საკითხის განსხვავებული გააზრებით წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, დასასრულ, არც იმ გაუგებრობებს, რომლებიც ზღუდავს როგორც მომრიგებელ, ისე საერთო სასამართლოებს – არ შევეხები მათ იმდენად, რამდენადაც მთლიანის შემადგენელი დეტალების გასწორება ყოველთვისაა შესაძლებელი. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ ამიერკავკასიაში მომრიგებელი მოსამართლის დღევანდელ მდგომარეობას საჩივართა წამახალისებელი, სამთამადნო ენაზე თუ ვიტყვით, ნამდვილი საბადო განსაზღვრავს.

ამის შემდეგ გადავდივარ საოლქო სასამართლოზე.

საოლქო სასამართლო ამიერკავკასიაში თავის თავში მოიცავს ორ ისეთ დაწესებულებას და აერთიანებს ორ ისეთ საწყისს, რომლებიც რუსეთის დანარჩენ ნაწილში შეუთავსებლად მიიჩნევა.

საერთო სასამართლოს დაქვემდებარებული საქმეების ერთი ნაწილისათვის იგი პირველ ინსტანციას წარმოადგენს.

სხვა ტიპის ისეთი საქმეებისათვის, რომლებიც ზოგადი წესდებულების მიხედვით, მომრიგებელი სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება, იგი წარმოადგენს მეორე ინსტანციას.

მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ასეთი განსხვავებული ფუნქციების შესათავსებლად რაიმე გზებს ვეძებ, არამედ იმისათვის, რომ აღვნიშნო – ამ შემთხვევაშიც ***ადგილობრივ პირობებში*** არაფერია ისეთი, ზოგადი წესისაგან ასეთ ძირეულ გადახრას რომ გაამართლებდა.[6] რამდენადაც ზნე და ჩვეულებები აქ არაფერ შუაშია, ამგვარი განსხვავებულობის მიზეზი მოსახლეობის ინტელექტუალურ გარემოსთან დაკავშირებულ სფეროში უნდა ვეძებოთ.

დავუშვათ, იმ დროს, როცა აქაური მოსახლეობისთვის მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შემოსაღებად წესდებულებაში ცვლილებები მზადდებოდა, ეს აქაური მოსახლეობა ამ ცვლილებებისთვის არ წარმოადგენდა შესაფერის კონტინგენტს. დავუშვათ ეს, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე, ცოტა ხნით ადრე, არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, რეფორმას – მომრიგებელ შუამავლებად ყველგან ადგილობრივი პირები დაენიშნათ და ისინი უკლებლივ, რამდენადაც ცნობილია, სავსებით დამაკმაყოფილებლად უძღვებიან თავიანთ საქმეს. მომრიგებელი შუამავლის მოვალეობა კი მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობაზე უფრო რთული თუ არ არის, ყოველ შემთხვევაში, მეტ სიფაქიზეს, მეტ ტაქტსა და მეტ უნარიანობას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, მომრიგებელი მოსამართლეების მეტი თუ ნაკლები ნაწილი გარედან მოიყვანეს და ადგილები მათ შეავსებინეს. ამასთანავე, მათი კომპეტენტურობა შეფასებულ იქნა იმაზე გაცილებითა და გაცილებით მეტად, ვიდრე იმპერიის სხვა ნაწილებში. და თუ მათ, ასეთ ადამიანებს, მინიჭებული აქვთ უფლება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ერთპიროვნულად გადაწყვიტონ საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეები, მაშინ როგორღა ავხსნათ ის, რომ იმავდროულად მათ ჩამორთმეული აქვთ ნდობა, თავიანთი და ერ-

თმანეთის მოქმედებები ყრილობის მეშვეობით აკონტროლონ? მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას კი უაღრესად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს იმდენად, რამდენადაც იგი აზრებისა და შეხედულებების გაზიარების, შეცდომებისა და გაუგებრობების აღმოფხვრის კანონიერ საშუალებას იძლევა.

აქაური მომრიგებელი მოსამართლეები უმეტესად ჩინოვნიკები არიან. მაგრამ, ვინაიდან მინიჭებული აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების უფლება, მათზე სამოხელეო ზედამხედველობა არ ვრცელდება. შესაბამისად, ისინი მოკლებულნი არიან კოლექტიურ უფლებაუნარიანობას, ანუ ისეთ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც იმპერიის სხვა ნაწილებში არჩეული მომრიგებელი მოსამართლეები იმყოფებიან.

სისტემიდან მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ამოღება მომრიგებელ მოსამართლეებს საგანგებო, არანორმალურ მდგომარეობაში აყენებს. ხოლო მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ფუნქციების შეერთება საოლქო სასამართლოს მოვალეობებთან, ჯერ ერთი, არანორმალურია და, თავის მხრივ, თვითონ საოლქო სასამართლოს არ აძლევს საშუალებას, გაორმაგებულ მოვალეობებს თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს.

შესაძლებელია თუ არა, მოემსახურო ორ დამოუკიდებელ ნაწილად დაუნაწევრებელ მთელს, როდესაც ამ მთელის შემადგენელი ნაწილები ვითარდება განსხვავებული მიმართულებებით, განსხვავებულ პირობებში და მოითხოვს განსხვავებულ ფორმალობათა დაცვას?

ორიდან ერთია: ან ამიერკავკასიელი მომრიგებელი მოსამართლე სინამდვილეში საკუთრივ მომრიგებელი მოსამართლე კი არ არის, არამედ საერთო სასამართლოს რაღაც განსაკუთრებული ელემენტია, ან კიდევ საოლქო სასამართლო არ წარმოადგენს მომრიგებელთა ყრილობას. ყოველ შემთხვევაში, როგორც ერთი, ისე მეორე მდგომარეობა ის გამონაკლისია, რომელთა არაბუნებრიობა კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედავთ.

საოლქო სასამართლო, როგორც საერთო სასამართლოს პირველი ინსტანცია, საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ იღებს. ამის შესახებ უკვე ვისაუბრე, მაგრამ გამეორება აუცილებელი ხდება.

ამიერკავკასიის მხარეში არსებობს სასოფლო სასამართლოები, რომელთა შექმნაში არ მონაწილეობს მოსახლეობის უმაღლესი ინტელიგენცია და ისინი ინტელიგენციის გავლენის გარეშე მოქმედებენ. მიუხედავად ამისა, ამ სასამართლოებში მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ყველა იმ სადავო საკითხზე, რომელიც 100 მანეთამდე ფარგლებში თავსდება.

მომრიგებელ მოსამართლეებს უშუალოდ მმართველობითი ხელმძღვანელობა ნიშნავს და მმართველობითი ხელმძღვანელობა, რასაკვირველია, სოფლის საზოგადოებაზე უკეთაა ასეთ საქმეებში გარკვეული. ამგვარ შემთხვევაშიც მომრიგებელი მოსამართლე სადავო საკითხებზე 100 მანეთის ფარგლებში თვითონ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებები კი ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება აპელაციას.

სამაგიეროდ, იმავე საოლქო სასამართლოს, როგორც მომრიგებელთა ყრილობას, ასევე ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ამასობაში, რადგან შესაძლებელი გახდა დაწესებულიყო გრადაცია იმის შესახებ, თუ სად რა საქმე უნდა დაწყებულიყო, შესაბამისად, წარმოიშვა გრადაციის მეორე საფეხური – დაწყებული საქმეებიდან რომელი უნდა დამთავრებულიყო იქვე. ყოველივე ეს ხომ არ გააადვილებს შესაძლებლობას, შეიქმნას თუნდაც გრადაციის კიდევ ერთი, მესამე, საფეხური, როცა საოლქო სასამართლო შემოსული საქმეების გარკვეულ ნაწილზე თვითონვე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას?

აქ რაიმე დაბრკოლება არ არსებობს, თუმცა არსებობს კომბინაცია, რომლის მეშვეობითაც, როგორც ამბობენ, შესაძლებელია საოლქო სასამართლოს უარი ეთქვას ისეთ უფლებამოსილებაზე, როგორი უფლებამოსილებაც მინიჭებული აქვთ როგორც სოფლის, ისე სამომრიგებლო სასამართლოებს:

„იქ არც სარჩელების მიღება, არც აპელაცია არ არის დაკავშირებული ხარჯებთან. აქ კი, საოლქო სასამართლოში, სერიოზული ხარჯის გარეშე ვერც სარჩელებზე დაიწყებ მუშაობას და ვერც აპელაციაზე გაგზავნი საქმეებს. ასე რომ, თავისთავად ჩნდება ორი სერიოზული ინტერესი:

ზოგადი ინტერესი ხაზინისა და კერძო ინტერესი სააპელაციო ინსტანციისა.

რაც უფრო ფართო იქნება სააპელაციო უფლება, მით უფრო გაიზრდება ხაზინის ზოგადი ინტერესი.

ზემოხსენებული კერძო ინტერესი შესაძლებელია მაღალი ალბათობით დაზარალდეს იმით, რომ საქმეების ნაწილი სახსრების ნაკლებობის გამო საერთოდ არ წავა სააპელაციო ინსტანციაში. მეორე ნაწილი საქმეებისა, მართალია, გაიგზავნება აპელაციაზე და, შესაბამისად, ბაჟიც იქნება გადახდილი, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ საქმეებისა ამა თუ იმ პირობის დაუცველობის გამო მაინც განხილვის გარეშე დარჩება. აპელაციის უფლება ხომ არა ერთი და ორი პირობითაა დამძიმებული".

ასეთი დასკვნები მით უფრო სევდის მომგვრელია, რაც უფრო ვრწმუნდები, რომ მას ვერაფერს ვუპირისპირებ.

დავუშვათ, უკიდურეს შემთხვევაში, ხსენებულ დასკვნებში გამოხატული სირთულეები მოჩვენებითია და აქ ხელშესახები მაინცადამაინც არც არაფერია. მაშინ შეიძლება იმ წესების მიზანშეწონილობაც დავუშვათ, რომელთა მიხედვითაც, საოლქო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არც ერთ საქმეზე არ შეუძლია.

მაშინ ვნახოთ, როგორი ვითარების პირისპირ აღმოვჩნდებით...

ამიერკავკასიის მხარეში ხუთი საოლქო სასამართლოა, კავკასიაში – სამი.[7] სულ გამოდის რვა. სასამართლო პალატა ერთია.

ზუსტ რიცხვს, სად რამდენი საქმეა შესული, ვერსად გაიგებთ და არც არის ამის საჭიროება. ისედაც ნათელია – თითოეულ მოსამართლეს ***საქმეები თავზე აყრია***.

ავიღოთ შემცირებული რიცხვები:

თითოეული საოლქო სასამართლო – აქ საუბარი მაქვს მაინცადამაინც საოლქო სასამართლოზე და არა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე – ვიმეორებთ, თითოეული საოლქო სასამართლო დღეში გადაწყვეტს საშუალოდ ორ სამოქალაქო საქმეს, ანუ, თუ უქმეებს გამოვაკლებთ, დაახლოებით 500 საქმეს წელიწადში. რამდენადაც ამ საქმეებიდან ყველა ექვემდებარება აპელაციას, სასამართლო პალატაში, რაც არ უნდა შემაფერხებელი გა-

რემოებები აღმოჩნდეს, მხოლოდ აპელაცია შევა დაახლოებით 4000.

განა შესაძლებელია სასამართლო პალატამ, რა შემადგენლობისაც უნდა იყოს იგი, ამდენი საქმე საფუძვლიანად განიხილოს?

ამასთანავე, ისიც ცნობილია, რომ სასამართლო პალატა გაცილებით უფრო ნაკლებადაა დატვირთული, ვიდრე საოლქო სასამართლოს მოსამართლეები.

არ დავუშვებთ უხეშ შეცდომას, თუ აპელაციების რაოდენობას ერთ მეოთხედამდე შევამცირებთ. რაც არ უნდა იყოს, მოდავეთა მთელი მასის სამი მეოთხედი მაინც საგრძნობი ხარჯისა თუ სასამართლო პროცესის თანამდევი ზნეობრივი რყევების გამო ისე ტოვებს მართლმსაჯულებისაკენ მიმავალ გზას, რომ მის მისადგომებამდეც კი ვერ აღწევს.

სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომ ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერი წყობილების პირობებში მოხდეს – ადამიანთა, როგორც იტყვიან, მთელ მოდგმას ვერ გავუწევთ მეურვეობასა და ზედამხედველობას. მაგრამ ფრიად და ფრიად ხომ არ შემსუბუქდება პრობლემა, თუ სასურველი ლეგისლაციური თანამიმდევრობა იქნება დაცული?[8] დაე, საოლქო სასამართლომ, და თვით სასამართლო პალატამაც კი, თვითონვე, აპელაციის გარეშე, დაასრულოს გარკვეული ნაწილი იმ საქმეებისა, რომლებიც მათ მიერვეა დაწყებული, ანუ ისე, როგორც ეს სოფლის სასამართლოებსა და მომრიგებელ მოსამართლეებს შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში მართლმსაჯულების გარანტია შესაბამისობაში იქნება საკასაციო უფლებასთან.

მოდით, ახლა შევხედოთ იმავე საოლქო სასამართლოს, ოღონდ უკვე როგორც ***მომრიგებელთა ყრილობას***.

შერწყმა სასამართლო ინსტანციისა, რომელსაც არც ერთ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, ისეთ სასამართლო ინსტანციასთან, რომელსაც ყველა საქმეზე შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რასაკვირველია, მოუხერხებელ ვითარებას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მოუხერხებელ – კერძოდ, შერეული საქმისწარმოების – პირობებში ნებისმიერი უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად მაინც ყოვლად აუცილებელია მკაცრი და განუწყვეტელი მეთვალყურეობა, და იმის მიუხე-

დავადაც, რომ რადიკალურად განსხვავებულ მოვალეობათა შერწყმა ერთი და იმავე პირის საქმიანობას უაღრესად ართულებს, მე მაინც დავფიქრდებოდი ერთ საკითხზე:

თუკი სენატის საკასაციო დეპარტამენტი წარმოადგენს, როგორც იტყვიან, ***უკანასკნელ თავშესაფარს*** იმათთვის, ვისაც საფუძვლიანად ან უსაფუძვლოდ თავი დაჩაგრულად და ფიზიკური თუ მორალური ტანჯვისთვის გაწირულად მიაჩნიათ, მთელ სახელმწიფოში რაღა მაინცადამაინც ამიერკავკასიაში უნდა დავუკარგოთ ადამიანებს ამგვარი ***თავშესაფრის*** მოპოვების იმედი?

მე მაინც მგონია, ყველაზე სამართლიანი ის იქნებოდა, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის გადაწყვეტილების გასაჩივრება საერთოდ არ იყოს შესაძლებელი, რადგანაც ყრილობის შემადგენლობა ხალხის მიერაა არჩეული; ან, უკიდურეს შემთხვევაში, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ***გადაწყვეტილებას*** მე გავათანაბრებდი ნაფიც მსაჯულთა ***ვერდიქტთან*** – რაც არ უნდა იყოს, ***გადაწყვეტილებას*** იღებენ ის ადამიანები, რომლებიც ინტელექტუალური თვალსაზრისით შეუდარებლად უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ისინი, რომლებიც ***ვერდიქტს*** წარმოთქვამენ.

ახლა ვნახოთ ასეთი ვითარება: საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გასაჩივრდება, როცა ეს უკანასკნელი ასრულებს მომრიგებელთა ყრილობის დანიშნულებას, იმავდროულად, კანონმდებლობის მიხედვით, იმავე საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში გასაჩივრდეს, როცა იგი ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის მეშვეობით გადადის სასამართლო პალატაში, რომლის გადაწყვეტილება ისევე უცდომლად უნდა მივიჩნიოთ, როგორი უცდომელობაც მოეთხოვება სამოქალაქო საკასაციო სენატს. უნდა ვაღიარო – მიჭირს ასეთ დახლართულ ვითარებაში ორიენტირება, რათა აქედან რაიმე გამოსავალი ვიპოვო.

სენატის უფლებამოსილებით სასამართლო პალატის აღჭურვის მიზანი ასე თუ ისე გასაგები იქნებოდა, თუ ტერიტორიული სიშორის ფაქტორს გავითვალისწინებთ, მაგრამ, ამასთანავე, განსაზღვრული უნდა იყოს საოლქო და მომრიგებელ მოსამართლეთა ხელმძღვანელობის უახლოესი ადგილი. მაგრამ საკასაციო გადაწ-

ყვეტილებები არ იბეჭდება, არც ქვეყნდება, შესაბამისად, პუბლიკისგან დაფარულია და ქვედა დონის სასამართლო დაწესებულებებისთვისაც არაფრის მთქმელია – ამ გადაწყვეტილებას იგებს მხოლოდ ის მომრიგებელი მოსამართლე, რომლის გადაწყვეტილებაც კასაციის წესით შეიცვალა ან ძალაში დარჩა, ან კიდევ საოლქო სასამართლოს სამი წევრიდან ის ორი წევრი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ სააპელაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

დაზარალებულს კი ასეთი კაბინეტური სამსჯავრო იმ უკანასკნელ ნუგეშსაც უსპობს, მისი უბედურების შესახებ ვინმემ რამე წაიკითხოს და ორიოდე სანუგეშო სიტყვა მაინც უთხრას.

„კანონმდებელმა პუბლიკას მართლმსაჯულების კარი ყურთამდე გაუღო, მაგრამ ჩვენში ძველი და მკაცრად დაგმობილი გარემოებების გამო ეს კარი მაინც დახშულია“, – იტყვის გულნაკლული ადამიანი.

თუ თქვენ ყოველივე ამას დაუმატებთ ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელ შეცდომებსა თუ ნაირგვარ მისწრაფებებს, დამეთანხმებით, რომ ვითარების გამოსწორების პერსპექტივა სამომავლოდაც არ ჩანს.

აი, რა ვნებს მართლმსაჯულებას. თუ სასამართლოში არ თანაარსებობს სიმკაცრე და მოწყალება, ანუ სადაც შესაძლებელია მოვალეობისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ასეთი სასამართლო ძლიერ დაშორებულია თავის იდეალს.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ზოგადი წესდებიდან გადახვევები, რომლებიც ადგილობრივ საოლქო სასამართლოსა და პალატასთან დაკავშირებითაა დაშვებული, ნაკლებად შეესაბამება სასამართლო რეფორმის მიზანსა და სულისკვეთებას, ისევე, როგორც ეს ხდება მომრიგებელი მოსამართლეებისა და ზოგადად სამომრიგებლო ინსტიტუტთან მიმართებით.

არის თუ არა უფრო დამაიმედებელი ვითარება სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით?..

[1883]

ესკიზები სტატიისთვის „შენიშვნები ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის შესახებ“

ვიწყებ რა მსჯელობას პირადად ჩემთვის ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, თავს უფლებას ვაძლევ, არც პირთა ნამდვილი ვინაობა მივუთითო და არც – დაწესებულებათა ნამდვილი სახელწოდება. მე ვინმეს მხილება კი არ მსურს, არამედ – ახსნა-გარკვევა იმ გაუგებრობებისა, რომლებიც გვაფიქრებინებს: უმჯობესი იქნება, ჯერ საქმე კარგად აიწონ-დაიწონოს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდეს ესა თუ ის სასამართლო გადაწყვეტილება.

I

გადაწყვეტილება უნებართვო ტყისმჭრელთა სასარგებლოდ

არსებობს უმაღლესად დამტკიცებული სპეციალური წესები, რომლებიც კერძო საკუთრებაში არსებულ ტყეებს იცავს.

ხსენებული წესებისგან დამოუკიდებლად კიდევ არსებობს ერთი წესი, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე ბრალდებულიდან თითოეული ყველა შემთხვევაში პერსონალურად აგებს პასუხს თავისი დანაშაულის შესაბამისად.

ამიერკავკასიის სასამართლო პრაქტიკამ დასახელებული წესები ერთმანეთს დაუკავშირა.

ტყისმცველები ათი თუ თორმეტი ქურდის კვალს დაადგნენ; მოახერხეს, ამათგან დანაშაულის ადგილზევე რვა დაეკავებინათ და ტყის მესაკუთრისთვის ჩაებარებინათ.

ტყის მესაკუთრემ სოფლის მამასახლისის, სოფლის მოსამართლეების, მოწმეებისა და ტყისმცველების თანდასწრებითა და ასეთი ვითარებისთვის დადგენილი ***სპეციალური წესების*** გათვალისწინებით, ქურდებს ჩამოართვა ჩვენება.[1] თითოეულმა მათგანმა აღიარა, რომ, მართლაც, მესაკუთრის ნებართვის გარეშე ხეების მოჭრა და გამოზიდვა აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა, მათ ხეები უნებართვოდ მოჭრეს და გამოზიდეს. ამის შემდეგ გამოანგარიშებულ იქნა მოჭრილი და გამოტანილი ხის მასალის ოდენობა, ღირებულება და ყველა იქ მყოფმა ჩვენებას ხელი მოაწერა. საჯარიმო თანხამ გადააჭარბა იმ ოდენობას, რომლის განხილვის კომპეტენციაც სოფლის სასამართლოს აქვს. ამიტომაც ტყის მესაკუთრემ ***სპეციალური წესებით*** დადგენილი 24 საათის ვადაში ჩვენება ***სასჯელის დასადებად*** მომრიგებელ მოსამართლეს წარუდგინა.

მომრიგებელმა მოსამართლემ არაფრად ჩააგდო ***სპეციალური წესები*** და ***საჩივრის*** სამართლებრივი განხილვა დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ დაიწყო. განხილვის პროცესში გამოჩნდა კიდევ ორი პირი, რომლებიც არ იყვნენ დასახელებულნი არც ტყისმცველთა მიერ, არც ბრალდებულთა მიერ და, შესაბამისად, არც ტყის მესაკუთრეს მოუთხოვია მათგან პასუხი. მათ მოსამართლეს გამოუცხადეს, რომ თვითონაც უდევთ წილი დანაშაულში და მოითხოვენ, მსგავსად სხვა ბრალდებულებისა, სასჯელი მათ მიმართაც იქნეს გამოტანილი.

თავის მხრივ, მომრიგებელმა მოსამართლემ დაადგინა:

„რამდენადაც დანაშაული აღიარა კიდევ ორმა ისეთმა პირმა, რომლებიც საჩივარში არ არიან მოხსენიებულნი და, ვინაიდან ამა და ამ წესის მიხედვით თითოეულმა მხოლოდ საკუთარ დანაშაულზე პერსონალურად უნდა აგოს პასუხი, ტყის უნებართვოდ მჩეხავი აღნიშნული პირები ***ამოღებულ იქნენ საქმის წარმოებიდან***!!!“

დაუჯერებელია, მაგრამ მე გიყვებით ფაქტს.

აქედან გამომდინარე, როგორ უნდა დავაღწიოთ თავი აბეზარ კითხვებს:

რა უნდა დავუპირისპიროთ ტყეების ულმობელ ჩეხვას, თუ ამის ჩამდენი პირები არ დაისჯებიან?

რაღა მნიშვნელობა აქვს სპეციალური წესით ჩვენების ჩამორთმევას, თუ მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლია ამ სპეციალურად დადგენილი წესის იგნორირება?

– უნდა გაგესაჩივრებინათ მოსამართლის დადგენილება შვიდდღიან ვადაში და მაშინ ეს დადგენილება, ეჭვი არ არის, გაუქმდებოდა, – მეუბნებიან მე.

– რჩევის საპასუხოდ გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოება:

აღნიშნული დადგენილებით უკმაყოფილო პირი იმავე ან მომდევნო დღეს – ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ დადგენილების ასლს მიიღებდა – გაცივდა, ავად გახდა, მთელი კვირა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. ჩვენში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ე. ი. შვიდდღიანი ვადა გაშვებულია. გასაჩივრების უფლება დაკარგული გაქვთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ავადმყოფობის ცნობას წარადგენთ – გეტყვიან, შეგეძლო, ეს საქმე რწმუნებულის მეშვეობით მოგეგვარებინაო!.. მეორე მხრივ, მთელ მაზრაში ერთი ექიმია და იმასაც განუწყვეტლივ აქეთ-იქით სიარული უწევს. ავადმყოფი მოკლებულია საშუალებას, სდიოს და ან ექიმი იპოვოს სადმე, ან – რწმუნებული. ტყე კი ამასობაში წაღმა-უკუღმა იჩეხება – უნებართვოდ და განუკითხავად. ნადგურდება ქონება და სახელმწიფო მეურნეობასაც ზიანი ადგება, ზარალდება ახლო-მახლო მოსახლეობაც, რომელიც ამ ტყის ყოვლად აუცილებელ საჭიროებას ახლო მომავალში იგრძნობს.

თვალწინ გვიძევს მაგალითი, როცა ასეთი საქციელისთვის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობიდან ას კაცამდე არა მარტო ფულადი გადასახდელით, არამედ რამდენიმეთვიანი პატიმრობითაც კი არის დასჯილი.

ეს ხომ მთელი სოფლის გაჩანაგებაა, რომ აღარაფერი ვთქვათ თვითონ ტყის მესაკუთრის ზარალზე. და ეს ყველაფერი რისთვის? შეიძლება იმის გამო, რომ მოსამართლემ უყურადღებობა გამოიჩინა, ან კიდევ იმავე მოსამართლეს სურდა, რომელიმე ივანე ივანეს ძის ან ივანე ნიკიფორეს ძის კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

იქნება თუ არა ჩვენი მხრიდან მიუტევებელი შეცდომა, თუ ვიტყვით: არც ერთი ***არჩეული*** მომრიგებელი მოსამართლე არ მისცემს თავს იმის უფლებას, ასე ინდიფერენტულად მოეპყროს კა-

ნონს საკუთრების შესახებ საერთოდ და, კერძოდ, ტყის მესაკუთრეთა უფლებებს.[2] ან კიდევ: არჩეული მოსამართლე ხომ იოლად უნდა მიხვდეს, რომ, ადვილი შესაძლებელია, როგორც მესაკუთრე, თვითონვე ჩავარდეს ასეთ სავალალო მდგომარეობაში?

II

დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილება მოსარჩელის წინააღმდეგ

ახლო-მახლო მცხოვრებლებმა ტყის კერძო მესაკუთრისგან, როგორც ამას ადრეც აკეთებდნენ, აიღეს ხეების მოჭრისთვის საჭირო ბილეთები. ბილეთების მფლობელებს შეეძლოთ გარკვეული ვადის განმავლობაში ზოგს შეშა, ზოგსაც მშენებლობისთვის საჭირო ხის მასალა დაემზადებინა და გამოეტანა. მაგრამ ამათგან ორმოცმა პირმა ბაჟი არ გადაიხადა და ტყის მესაკუთრე იძულებული გახდა, მათ წინააღმდეგ სარჩელი შეეტანა.

მომრიგებელმა მოსამართლემ სარჩელი არ მიიღო – იგი შედგენილი იყო ერთდროულად 40 პირის წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ საჭირო იყო ამ სარჩელის შეტანა თითოეულ პირზე ცალ-ცალკე.

გარკვეული დროის შემდეგ ტყის მესაკუთრემ, თანახმად მოთხოვნისა, მოსამართლეს 40 სარჩელი წარუდგინა.

მომრიგებელმა მოსამართლემ, თავის მხრივ, საჭიროდ ჩათვალა სარჩელთა დაჯგუფება და, ამრიგად, მიიღო ოთხი საქმე, რომელთა განხილვა სარჩელის შეტანიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო.

მოსარჩელე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. მომრიგებელმა მოსამართლემ კი დაადგინა... „საქმე შეწყდეს მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო და იგი ერთიდან ხუთ მანეთამდე დაჯარიმდეს“ – იტყვის სულსწრაფი მკითხველი.•

არა: მოსამართლემ ***დაუსწრებლად გამოიტანა გადაწყვეტილება,*** რომლის მიხედვითაც, ***მოსარჩელეს*** მოპასუხეთა სასარ-

---

• ამიერკავკასიის მხარეში სამართალწარმოების შესახებ. მუხლი 1465.

[ავტ.]

გებლოდ სასამართლო ხარჯებისთვის 400 მანეთამდე ჯარიმა დააკისრა. შემდეგ მოსარჩელეს გაუგზავნა გადაწყვეტილების ასლი და მიუთითა, რომ მას (მოსარჩელეს) ***წერილობითი პასუხისთვის*** ორი კვირის ვადა ეძლეოდა...

მესაკუთრე გაოგნებულია, თუმცა ორკვირიან ვადაში შეაქვს ***წერილობითი პასუხი***.

– კი მაგრამ, თქვენ ხომ მოსარჩელე ხართ. რაღა პასუხი უნდა შემოიტანოთ დაუსწრებლად გამოტანილ გადაწყვეტილებაზე? – ეუბნება მას მომრიგებელი მოსამართლე.

– უნდა შემოვიტანო თქვენი გადაწყვეტილების თაობაზე და თქვენ მიერვე გამოგზავნილი სასამართლო უწყების საფუძველზე.

– ეს შეუძლებელია! აქ რაღაც გაუგებრობაა. მე თქვენს პასუხს ვერ მივიღებ!

– ძალა თქვენს ხელშია, მაგრამ გთხოვთ გააფორმოთ თქვენი უარი.

– ანუ?

– განსაზღვრეთ უარის საფუძველი და გამომიცხადეთ გადაწყვეტილება.

– გამოგიცხადებთ, გამოგიცხადებთ.

ამის შემდეგ ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა და დღემდე არავის არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუცხადებია.

III

აღსრულება დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილებისა მის გამოცხადებამდე

აზნაური ბულაძე საჯარო ვაჭრობის წესით ყიდულობს 20 დესეტინა სახნავი მიწის ნაკვეთს, შემდეგ კი სასამართლოს ბოქაულის თანხლებით მიდის ადგილზე, რათა იგი საკუთრებაში მიიღოს.

მაგრამ მიწის ეს ნაკვეთი არც სახელდებით, არც საზღვრებით, არც ადგილმდებარეობით იქ არ აღმოჩნდა და ორივენი უკან ბრუნდებიან. ცხადია, მათ არც არაფერი შეუცვლიათ იქ არსებული საკუთრების ფორმისა და მიწით სარგებლობის წესის შესახებ.

ბულაძე მიმართავს მომრიგებელ მოსამართლეს და უჩივის 10 ადამიანს იმის გამო, რომ ისინი, მომჩივანის აზრით, სარგებლობენ მის მიერ ნაყიდი მიწით და ბეგარას არ იხდიან.

საქმის განხილვისას დასტურდება, რომ არავითარი ასეთი მიწის ნაკვეთი ბუნებაში არ არსებობს.

საქმე საოლქო სასამართლოში გადადის, მაგრამ ამით არსებითად არაფერი იცვლება.

მიხვდა, ბოლოს და ბოლოს, ბულაძე თავის შეცდომას და ამჯერად ათიდან მხოლოდ ორ გლეხს უჩივლა იმ იმედით, რომ შემდეგ სხვებსაც უჩივლებდა.

რამდენიმე გლეხიდან ამჯერად მხოლოდ ამ ორს, უკვე მესამედ, იბარებენ მომრიგებელ მოსამართლესთან. ესენი, თავის მხრივ, იმის მოლოდინში, დაიბარებენ თუ არა მათთან ერთად სხვებსაც, ან კიდევ იმის გასაგებად, თუ რა ისეთი ახალი გარემოება გამოჩნდა, რომ უკვე მესამედ უნდა მოსწყდნენ საქმეს, გადაწყვეტენ, დაელოდონ დაუსწრებლად მიღებულ გადაწყვეტილებას და არ გამოცხადდებიან საქმის განხილვაზე (ამ ორიდან ერთი იმ დროს შემთხვევით საკანში იჯდა და მისთვის, როგორც მოპასუხისთვის, მოცემული საქმის შესახებ არც არაფერი უკითხავთ). თითქმის ორი თვის შემდეგ ეს ორი გლეხი იღებს არა დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილების ასლს, არამედ სასამართლოს ბოქაულის უწყებას – თუკი ისინი მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე შვიდი დღის განმავლობაში ბულაძეს ნებაყოფლობით არ გადაუხდიან დაახლოებით 100 მანეთს, მოხდება მათი მოძრავი ქონების აღწერა და გაყიდვა.

– როგორ? რატომ?

– „მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები, – ნათქვამია გადაწყვეტილებაში (სინამდვილეში ერთი მხარე, მოპასუხეები, არც დასწრებიან საქმის განხილვას), – მომრიგებელმა მოსამართლემ დაადგინა: ამა და ამ გლეხმა ბეგარის სახით ამდენი და ამდენი, ან კიდევ იმავე ღირებულების შემოსავალი უნდა გადაუხადოს ბულაძეს და ეს ყველაფერი აპელაციის უფლებით ეცნობოს თითოეულ მოპასუხეს...“ ანუ – დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილების ასლის ნაცვლად...

IV

მართლმსაჯულებაზე უარის ახალი ფორმა

50-იანი წლების ბოლოს დაგირავდა ერთი მამული, რომლის ყველა საზღვარი ბუნებრივი გამმიჯნავი ნიშნებით იყო აღნიშნული.

60-იანის დასაწყისში საგირავნო ვადის გადაცილების გამო დაინიშნა ამ მამულის საჯარო გაყიდვა.

მამულის ნაწილით სარგებლობდნენ თავისუფალი გლეხები – ხიზნები – და ისინი, ჩვეულებრივ, მიწის ბეგარასაც იხდიდნენ.

მომიჯნავე მამულის მფლობელმა მომრიგებელ მოსამართლესთან სარჩელი აღძრა ამ გლეხების წინააღმდეგ – ჩემი კუთვნილი მიწით სარგებლობენ, ბეგარას კი არ იხდიანო. საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ დამთავრდა.

დაგირავებული მამულის მესაკუთრემ, რომლის უფლება, მართალია, არა პირდაპირ, მაგრამ არსებითად დაირღვა, საპასუხო სარჩელი აღძრა და მომრიგებელ მოსამართლეს საკუთრების დამადასტურებელი სიგელი წარუდგინა, ამასთანავე, ამ საბუთის საფუძველზე და მასზე დაყრდნობით დარღვეული უფლების აღდგენა ითხოვა.

მომიჯნავე მამულის მფლობელმა განაცხადა, რომ იგი არც ამ სიგელის ნამდვილობაზე დავობს და იქ მითითებულ საზღვრებსაც არ აყენებს ეჭვქვეშ, მაგრამ დავის საგნად ქცეული მიწა, უბრალოდ, სიგელზე აღნიშნული საზღვრების მიღმა მდებარეობს, ეკუთვნის მას და სახელწოდებაც სხვა აქვს.

ამიტომ მომრიგებელი მოსამართლე გაემგზავრა მამულის სანახავად, გამოჰკითხა ახლო-მახლო მცხოვრებლები და, დარწმუნდა რა, რომ დავის საგნად ქცეული მიწა ***საკუთრების დამადასტურებელი სიგელით განსაზღვრულ ტერიტორიაზე*** მდებარეობს, ამ აქტის საფუძველზე დავაც სიგელის მფლობელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

უკმაყოფილო მოპასუხემ აპელაციის წესით საქმე საოლქო სასამართლოში გადაიტანა.

საოლქო სასამართლომაც, თავის მხრივ, საჭიროდ ჩათვალა მამულის ადგილზე დათვალიერება, ეს საქმე თავის ერთ-ერთ

წევრს დაავალა, მოითხოვა საამისოდ საჭირო სამგზავრო და დღიური ხარჯების წარდგენა და მისი გადახდა არა აპელანტს, არამედ ორივე მხარეს დააკისრა.

მაგრამ თანხა არც ერთმა მხარემ გადაიხადა და არც – მეორემ: აპელანტმა იმის შიშით, რომ იგი უსარგებლოდ გადაყრილი იქნებოდა; შესაძლებელია, იმის იმედითაც, რომ ხარჯს მთლიანად მეორე მხარე დაფარავდა. მეორე მხარემ კი ჩათვალა, რომ ეს ყველაფერი აპელანტის ინტერესებში შედიოდა და, შესაბამისად, ხარჯიც მას უნდა დაეფარა.

ასეთ ვითარებაში საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა: ვინაიდან სასამართლოს წევრის მივლინებისთვის საჭირო თანხა არც მოსარჩელემ გადაიხადა და არც – მოპასუხემ, საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოხდეს იმ მასალის მიხედვით, თვითონ საქმეში რომ არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, მამულის ადგილზე დასათვალიერებლად სასამართლოს წევრი აღარ უნდა გაიგზავნოს.

საბოლოოდ მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება:

„ვინაიდან მოსარჩელის მიერ ***არავითარი კანონიერი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი,*** გაუქმდეს მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილება“.

ე. ი. საოლქო სასამართლომ არაფრად ჩააგდო საქმის საფუძველთა საფუძველი – ***საკუთრების დამადასტურებელი სიგელი!*** წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არსებითი განხილვის საგნად გადაიქცეოდა და, მაშასადამე, სასამართლო პალატა საკასაციო საჩივარს უყურადღებოდ ვეღარ დატოვებდა...

V

შესანიშნავი, თუმცა შეუნიშნავ გარემოებებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება სინდისის საფუძველზე

„მომრიგებელ მოსამართლეს ნებისმიერი თანხის ფარგლებში შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სინდისის საფუძველზე, თუ ეს ორივე მხარის სურვილს გამოხატავს“.

და რა ტიპის საქმეებთან დაკავშირებით შეიძლება ამ წმინდა უფლების გამოყენება?

იყო ოჯახი, რომელიც მშობლებისა და ოთხი შვილისგან შედგებოდა.

მამა სპეკულაციებს ეწეოდა და საქმეებში ისე გაიხლართა, რომ მის საკმაოდ ღონიერ საგვარეულო მამულს საფრთხე შეექმნა.

სამაგიეროდ, უფროსმა შვილმა წარმატებას მიაღწია და ოჯახისგან დამოუკიდებლად საკმაოდ მსხვილ კაპიტალს მოუყარა თავი.

მამამ და შვილმა აწონ-დაწონეს და ასეთ კომბინაციაზე შეთანხმდნენ:

შვილი ვალებისგან საგვარეულო მამულის გასათავისუფლებლად გადადებს 300 000 მანეთს. ამის სანაცვლოდ მამა შვილს ერთპიროვნულად დაუმტკიცებს ამ საგვარეულო მამულს. დანარჩენი შვილები მემკვიდრეობით დედის საგვარეულო მამულს მიიღებენ.

ამის თაობაზე დედის გარეშე შეადგინეს წინასწარი ოჯახური – რაღაც საოჯახო ქონების გაყოფის მსგავსი – აქტი და ხელიც მოაწერეს: მამამ, შვილმა და ორმა-სამმა მოწმემ.

იმ დროისთვის არსებული მონაცემებით, დავალიანება, რომლისგანაც მამის საგვარეულო მამული უნდა გათავისუფლებულიყო, შემდეგი ვალებისგან შედგებოდა:

ხაზინისა – დაახლოებით 100 000 მან.

საკრედიტო დაწესებულებისა – 30 000 მან.

კერძო პირებისა – 40 000 მან.

კიდევ რჩებოდა სპეკულაციებით გამოწვეული 130 000 მან.

გავიდა ამ საოჯახო აქტის გაფორმებიდან შვიდი წელიწადი და ხსენებული ვალების დასაფარავად ერთი მანეთიც კი არსად შესულა.

თვითონ ეს სათანადოდ გაუფორმებელი აქტი – არსად წარდგენილი, არავის მიერ სანქციონირებული – რჩებოდა სხვებისგან დაფარულად და უმოქმედოდ. არსებული ვითარება არც კრედიტორებს აძლევდა შეშფოთების საფუძველს: ხაზინის უფლება გაცხადებული იყო, საკრედიტო დაწესებულების უფლება – გირაოში ჩადებული მამულის ნაწილით, კერძო ვალები კი მოვალეზე დადებული ყადაღით იყო უზრუნველყოფილი.

შვიდი წლის გასვლის შემდეგ წარმოიშვა ახალი კომბინაცია:

ქონების გაყოფის უმოქმედო აქტს მიენიჭოს ***პირობის*** მნიშვნელობა. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ მამის კეთილ ნებასა და შვილის თანხმობაზეა დამოკიდებული. საჭიროების შემთხვევაში რატომ არ შეიძლება ეს აქტი განხილულ იქნეს მამის პირდაპირ ვალდებულებად სრულწლოვანი შვილის მიმართ? შვილს კი, თავის მხრივ, რატომ უნდა გაუჭირდეს თანატოლთა წრეში მოძებნოს პირი, რომელსაც ანდობს სულ რაღაც 300 000 მანეთს მაშინ, როცა თვითონ ორჯერ მეტი კაპიტალის მფლობელია?

შვილი ამ პირს ხელწერილის საფუძველზე გამოართმევს 300 000 მანეთს და ვალის საგარანტიოდ გადასცემს ზემოხსენებული შვიდწლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალო უფლებას.

ამის შემდეგ მამის წინააღმდეგ სარჩელს აღძრავს არა შვილი, არამედ შვილის მევალე – გამსესხებელი და, რაც მთავარია, ორივე, ***კრედიტორი*** და ***მოვალე,*** მომრიგებელ მოსამართლეს მიმართავენ განცხადებით – სამოქალაქო სამართალწარმოების 30-ე მუხლის საფუძველზე საქმე სინდისის საფუძველზე გადაწყვიტოს.

მართლაც, რატომ არ უნდა გადაწყდეს საქმე ამ შესანიშნავი განზრახვის შესაბამისად?

მოსამართლემ თხოვნა დააკმაყოფილა და გასცა სააღსრულებო ფურცელი.

გამსესხებელმა სარჩელი სწორედ იმ საგვარეულო მამულზე შეიტანა, რომლის ვალებისაგან გასათავისუფლებლადაც იყო შედგენილი ზემოხსენებული საოჯახო აქტი. მამული საჯარო გაყიდვას დაექვემდებარა და, საბოლოოდ, მოსარჩელეს დარჩა. მამულის ახალმა მესაკუთრემ, თავის მხრივ, საკუთარ თავზე აიღო საკრედიტო დაწესებულების ვალის გასტუმრება. ხაზინა და კერძო კრედიტორები კი, რომლებიც ყადაღას გულუბრყვილოდ ენდნენ, გვერდზე დარჩნენ.

განა ცოტაა ბნელი საქმეები, ბნელ საქმეებადვე რომ რჩება?

თუმცა კომბინაცია, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, სასამართლო ხელისუფლების მიერ დროულად იქნა შემჩნეული და მას ***ნეგატიური შედეგები არ მოჰყოლია***.

მაგრამ ესეც უნდა ითქვას: შესაძლებელი ყოფილა, ძარცვო დღისით-მზისით და ლეგალური საშუალებებით, მართლმსაჯულების ეგიდითა და მისი შეურყეველი წეს-კანონების საფარველქვეშ.

VI

თავდებს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე – მოვალეს

საქმე, რომლის შესახებაც ამ მონაკვეთში მოგითხრობთ, პირველ რიგში, ჩემგან მოითხოვს, მკითხველს ვთხოვო განსაკუთრებული მოთმინება და კეთილგანწყობა, თუკი იგი ამ მონათხრობში ერთი შეხედვით ზედმეტ წვრილმანებსა და გამეორებებს წააწყდება.[3]

საუბარია ისეთ გაუგებრობაზე, რომლის თავისებურება ისაა, რომ თვით საკასაციო სენატის მიერ არის სანქციონირებული და სასამართლო პრაქტიკაში ამკვიდრებს კანონის მეტისმეტად თავისუფალ ინტერპრეტაციას. ამ ფაქტთან დაკავშირებით ვერ გავექცევი ვერც ზნეობრივ მოვალეობას – ვიდგე კანონიერების მყარ ნიადაგზე და წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი შევინარჩუნო იმის შეგნება, რომ ვეძებდი სინათლის სხივს და ვცდილობდი, მართლმსაჯულება მისთვის თავსმოხვეული უსამართლობისაგან გამეთავისუფლებინა.

კანონში ნათქვამია:

„თუკი თავდებობა განსაზღვრული ვადითაა დაწესებული, მაშინ თავდები ზუსტად ისევეა პასუხისმგებელი მთლიანად კაპიტალსა და მასზე დარიცხულ პროცენტებზე, როგორც მოვალე, თუკი ეს უკანასკნელი ვალს განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდის. მაგრამ თავდები მხოლოდ იმ შემთხვევაშია თავის ვალდებულებაზე პასუხისმგებელი, როდესაც იძულებითი გადახდევინების ვადის ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართავენ გადახდევინებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინსტანციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავდები თავისუფლდება ვალდებულებისაგან, გადაიხადოს როგორც პროცენტები, ისე თავად კაპიტალი“ (მუხლი 1560; X ტ., ნაწ. I).

ნაცვლად ამ თავისთავად ***რთული*** წესისა, სასამართლო პრაქტიკაში მისი ასეთი მარტივი გამოხატულება დამკვიდრდა:

„თავდები იძულების წესით იხდის ვალს, თუკი ეს ვალი მოვალემ არ გადაიხადა“.

ამაზე მარტივი და ნათელი სხვა რაღა უნდა იყოს? მაგრამ თუ პირდაპირ და კატეგორიულად ვიტყვით, ეს ყველაფერი ძირფესვიანად ეწინააღმდეგება თავად კანონის არსსა და მიზანდასახულობას.

– როგორ? თქვენ თვით საკასაციო სენატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიდიხართ? – მეკითხებიან მე.

– არავითარ შემთხვევაში, თუკი საკასაციო გადაწყვეტილება შესაბამისობაშია მოქმედ კანონთან! მაგრამ დიახ! და ყველა საშუალებით დიახ, როცა ამ გადაწყვეტილებით კანონი ***ირღვევა***. ასეთ შემთხვევაში მე კიდევ უფრო მეტი სითამამით მივდივარ მის წინააღმდეგ და, ამასთანავე, ვხედავ არა კანონის შეგნებულ ხელყოფას, არამედ გაუგებრობებს სასამართლოს იმ წევრებთან დაკავშირებით, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს.

– საქმეზე ვილაპარაკოთ!

– მთელ ჩვენს კანონმდებლობაში, რაც არ უნდა ადამიანური შრომისთვის დამახასიათებელი ხარვეზები აღმოჩნდეს იქ, ვერსად ვნახავთ გაკვრით მინიშნებასაც კი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება, პასუხისმგებლობა მოვალეზე ***ადრე*** თავდებს დაეკისროს. ვერსად იქნება ნათქვამი ერთი სიტყვაც კი, რომელიც გაამართლებდა იმას, რომ გვერდი ავუაროთ უშუალო, ამასთანავე, ***შეძლებულ*** მოვალეს და ვალის გადახდის ვალდებულება ***უშუალოდ*** თავდებს დავაკისროთ, თანაც ისე, რომ ამ თავდებს არაფერი ვკითხოთ. ეს წარმოუდგენელია კერძო პირებსა და ხაზინას შორის ვალდებულებით ურთიერთდამოკიდებულებაში, ან კიდევ კერძო პირებსა და იმ იურიდიული პირების დამოკიდებულებაში, რომლებიც სასამართლოში ხაზინის უფლებამოსილებით არიან წარმოდგენილნი.

– ასეთ შემთხვევაში უდავოდ ასეა, – გვეუბნებიან ჩვენ, – მაგრამ ადვილად შესაძლებელია კერძო პირთა ვალდებულებითი დამოკიდებულებისას, მაგალითად, სავაჭრო ხასიათის ურთიერთობისას.

– შესანიშნავია! მოდით, მაშინ პირდაპირ ამ ვალდებულებებზე გადავიდეთ.

ვალთან დაკავშირებული ვალდებულების უზრუნველყოფა ხდება თამასუქით, რომელიც, სხვათა შორის, თავდებობის შემთხვევაში შეიძლება ორგვარი ხასიათისა იყოს.

– აჰა! აი, ისიც: საქმის დედაარსი! თქვენ თვითონ...

– მაგრამ კეთილინებეთ და, თუ ეს თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომისმინეთ მოთმინებით, ყოველგვარი ემოციების გარეშე.

– ბრძანეთ! გისმენთ!

– ერთია უვადო თავდებობა, ხოლო მეორე – თავდებობა განსაზღვრული ვადით.

– სწორედ ამაშია მთელი არსი საქმისა.

– მოდით, გავარკვიოთ, რას ნიშნავს საქმის ***მთელი*** არსი.

ჯერ განვსაჯოთ უვადო თავდებთან დაკავშირებული ასეთი ვითარება: როდის ეკისრება მას, რომ მოვალის ვალი თვითონ გადაიხადოს?

როდესაც დასრულდება მოვალის ***მთელი*** ავლადიდების მიყიდვ-მოყიდვა და ვალი მაინც დაუფარავი დარჩება.

რა შემთხვევაში დაეკისრება ამის მერე ვალის გადახდა უვადო თავდებს?

როცა მოვალეს აღარ დარჩება არავითარი სახსარი ვალის მთლიანად და საბოლოოდ დასაფარავად.

ე. ი. უვადო თავდებს მოუწევს გამსესხებლისთვის მხოლოდ იმ თანხის გადახდა, რომელიც დაუფარავი დარჩება მას შემდეგ, რაც მოვალე სავსებით უქონელი გახდება და, ამდენად, ამოეწურება ვალის გადახდის ყოველგვარი საშუალება. ამის შემდეგ თავდებს დაკარგული აქვს ყველა შანსი, დაიბრუნოს თავისი ფული. სხვა საქმეა, თუ თავდები მოვალის გაკოტრების გამო კრედიტორს საქმის ლიკვიდაციამდე ***ნებაყოფლობით*** გადაუხდის ***მთელ ვალს.*** ასეთ შემთხვევაში თავდები იკავებს კრედიტორის ადგილს და ეპატრონება მის უფლებას უქონელი მოვალის მიმართ.

ასე და ამგვარად, იქმნება ასეთი ვითარება:

უვადო თავდებს მოვალის ნაცვლად ეკისრება პასუხისმგებლობა არა მარტო მოვალის გაკოტრებამდე, არამედ მისი ავლადიდების გაყიდვის შემდეგაც და ამის სანაცვლოდ რაიმეს მიღე-

ბა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ***მთელ ვალს*** თვითონ გადაიხდის ***ნებაყოფლობით,*** რამდენადაც მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება მისი, როგორც კრედიტორის, ჩართვა საკონკურსო მასასთან დაკავშირებულ საკითხებში.[4]

გამომდინარეობს თუ არა უდავოდ და უეჭველად ყოველივე ეს მოქმედი კანონიდან?

– სავსებით!

ახლა ვნახოთ, როგორ განისაზღვრება სხვა სახის თავდების მდგომარეობა.

პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, თუ რა ძალამ უნდა აიძულოს მოვალე, სახლების მესაკუთრეებს[5] თავისი გადახდისუუნარობა გამოუცხადოს. ასეთი რამ შეიძლება იყოს სულ ორი: პასიური ძალა, რომელიც განსაზღვრავს საკუთრივ მოვალის ნებას, რომლის მიხედვითაც იგი მოქმედებს, და მეორე – აქტიური ძალა, რომელიც ქმნის ისეთ მაიძულებელ გარემოს, მოვალეს საკუთარი ნების საწინააღმდეგო ვითარებაში რომ აყენებს.

პასიური ძალის ზემოქმედების შედეგი ის არის, რომ მოვალეს ***არ სურს*** ვალის გადახდა, აქტიური ძალის ზემოქმედების გამო კი მას ვალის გადახდა ***არ შეუძლია***.

პირველ შემთხვევაში კანონი პირდაპირ ითვალისწინებს რეპრესიულ ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობითაც მოვალეს აიძულებს ვალის გადახდას. მეორე შემთხვევაში კი ***გარემოებათა მიხედვით*** საქმე უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი შემაფერხებელი ზეგავლენებისაგან, რათა ამოღებულ იქნეს ვალი კრედიტორისაგან, თუ ის ერთია, ან თანაზომიერად კრედიტორებისაგან, თუ ასეთი რამდენიმეა. პირველ შემთხვევაში საქმეს ვერ შეაფერხებს მოვალის გადახდისუუნარობის საკითხი, მეორე შემთხვევაში კი ჯერ უნდა მოხდეს მოვალის გადახდისუუნარობის კონსტატაცია და ამის განმაპირობებელი ფაქტორები და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები.

როგორც კი ჩავხედავთ მოქმედი კანონით განსაზღვრულ და ზემოთ უკვე დამოწმებულ გარემოებას, საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულების მართებულება მყისვე ორთქლივით გაქრება:

„თავდები, გადაიხდის რა ვალდებულებით ნაკისრ ვალს, როგორც ჩვეულებრივი კრედიტორი, ხდება საკონკურსო მასის მონა-

წილე და მისი დაკმაყოფილება ხდება სხვა დანარჩენებთან თანაზომიერად“.

ახლა ვნახოთ, შეიძლება თუ არა ეჭვი შევიტანოთ შემდეგი დასკვნების სისწორეში:

თავდები განსაზღვრულ ვადაში ფარავს მთელ ვალს.

მთელი ვალის გადახდის შემდეგ იგი, როგორც ჩვეულებრივი კრედიტორი, ხდება საკონკურსო მასის მონაწილე.

ე. ი. თავდების პასუხისგებაში მიცემის მომენტში საკონკურსო მასა უკვე არსებობს. კონკურსის დაწესების მომენტი კი მაშინ დგება, როცა მოვალის გადახდისუუნარობა გამოაშკარავდება.

და როდის გამოაშკარავდება ეს?

მაშინ, როცა მოვალე თამასუქის ***გაპროტესტებისას*** გამოაცხადებს, რომ კრედიტორს ანგარიშს ახლო მომავალში გაუსწორებს, ანუ თამასუქის ზღვევინებისთვის წარდგენის მომენტში მას ***არ სურს*** ვალის გადახდა, თუ მაშინ, როცა თამასუქის ზღვევინებისთვის წარდგენისას გაირკვევა, რომ მას ***არ შეუძლია*** ვალის გადახდა?

ახლა სხვა კითხვა: როგორ გამოვარკვიოთ განსხვავებულ სტიმულთა – პასიურისა და აქტიურის – წარმოშობის მომენტები?

აი, როგორ არკვევს ამას კანონი: თამასუქი პროტესტზეა წარდგენილი. გამსესხებელი იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს ყველა თავის უფლებას, თუ ***თამასუქს ვადის გასვლიდან სამი თვის განმავლობაში წარადგენს პროტესტ ზე***.

შემდეგ დგება ***გადახდევინების*** ეტაპი.

აქ არავითარი საჭიროება არ არსებობს, ვიმსჯელოთ – პროტესტზე თამასუქის წარდგენა და შემდეგ გადახდევინება ერთიანი, დაუნაწევრებელი პროცესია, თუ თითოეული მათგანი, განსხვავებული წარმომშობი მიზეზების, მიზნებისა თუ მნიშვნელობის გამო ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული?

თუკი თამასუქი ***გადახდევინებისათვის*** წარდგენილია ***ერთი თვის*** ვადაში (ეს სხვა, საკუთრივ გადახდევინებისათვის განკუთვნილი, ვადაა), მაშინ კრედიტორი ინარჩუნებს უფლებას, ვალი თავდებს გადაახდევინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ამ უფლებას სამუდამოდ კარგავს.

თუკი მოვალე ამის – გადახდევინების დაკისრების – შემდეგაც თავს არიდებს ვალის გადახდას, იგი თავისთავად ***გაკოტრებულად*** და, შესაბამისად, ***გადახდისუუნაროდ*** ცხადდება.

ერთი წუთით აქ შევჩერდეთ.

ავიღოთ სამი მოვალე, რომლებიც ერთმანეთთან იმით არიან დაკავშირებულნი, რომ თამასუქი სამივეს მიერაა გაცემული და ხელმოწერილი. ნოტარიუსს ერთ-ერთი მათგანი შინ არ დახვდა და ამიტომ თამასუქი მეორეს წარუდგინა. მიიღო რა ამ უკანასკნელისგან ახსნა-განმარტება, რომ ყველა მისი ვალდებულება და ქონება მესამისთვის არის გადაცემული, ვადაგადაცილებული თამასუქი იმ მესამეს წარუდგინა და მისგან ასეთი პასუხი მიიღო: ***ვეცდები, კრედიტორთან ანგარიში ამ დღეებში გავასწორო***.

ნიშნავს თუ არა ეს პასუხი ირიბად ნათქვამ უარს?

არავითარ შემთხვევაში!

რა გამოსავალი რჩება ამის შემდეგ კრედიტორს?

გადახდევინების მიზნით წარადგინოს თამასუქი ერთთვიან ვადაში.

გადახდევინებისათვის თამასუქის წარდგენამდე და შემდეგ, ვალის გადახდის მოთხოვნამდე, არის თუ არა შესაძლებელი დაიწყოს საუბარი იმაზე, რომ მოვალე გაკოტრებულია?

არავითარ შემთხვევაში!

მაშ, გავაგრძელოთ ადრე შეწყვეტილი მსჯელობა.

ჩვენ შევჩერდით ასეთ საკითხზე: თუ მოვალე ***უარს ამბობს*** ვალის გადახდაზე, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას ***არ შეუძლია***, გადაიხადოს ვალი და ამის შემდეგ ირკვევა, რომ იგი ***გაკოტრებულია***.

ერთი შეხედვით, ვერაფერს ვიტყვით ამგვარი თანამიმდევრობის საწინააღმდეგოდ, რამდენადაც იგი ეყრდნობა მკაცრად განსაზღვრულ ლოგიკას და, ამდენად, აქვს სავსებით კანონიერი საფუძველი.

და აი, დგება ვადიანი თავდების პასუხისმგებლობის საკითხი.

ახლა გავავლოთ სადემარკაციო ხაზი ზემოაღნიშნულ ვითარებასა (მოვალე ვალს ვერ იხდის) და თავდებობას შორის.

უკვე გავარკვიეთ, რომ ***უვადო*** თავდები, თუკი იგი არ ისურვებს ***ნებაყოფლობით*** დაფაროს მთლიანი ვალი, ჩვეულებრივი

კრედიტორის უფლებით ხდება საკონკურსო მასის მონაწილე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: თუ იგი არ მოისურვებს, ისარგებლოს ***ვადიანი*** თავდების უფლებით, დაფაროს ვალის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დარჩება მოვალის ავლადიდების გაყიდვისა და მისი გაკოტრების შემდეგ, კარგავს გადახდილი ვალის უკან ამოღების ყოველგვარ შესაძლებლობას. დარჩენილი ვალის დაფარვას კი მას, ცხადია, აიძულებენ მას შემდეგ, რაც მთლიანად ამოიწურება კონკურსის ფუნქცია და ამით საქმე თავისთავად დასრულდება.

ვადიანი თავდები უსიტყვოდ და ულაპარაკოდ იხდის მთლიან ვალს იმ პირისას, ვისაც თავდებად დაუდგა. შემდეგ იგი ერთვება არსებულ კონკურსში და ამოიგებს იმ თანხას, რომელსაც მას განუსაზღვრავენ მოვალისაგან ამოღებული და ჩვეულებრივ კრედიტორებს შორის გადანაწილებული თანხიდან.

თუ კანონის ფარგლებს არ დავარღვევთ, ყოველივე ამის უარყოფა შეუძლებელია.

შემდგომი მსჯელობისთვის, მოდით, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ მიღებული დასკვნები:

უვადო თავდები გამსესხებლის წინაშე იმ ზომითაა პასუხისმგებელი, რა ზომითაც განისაზღვრება მოვალის მთელი ავლადიდების გაყიდვის შემდეგ დარჩენილი ვალი, ანუ იმ პირობებში, როცა კონკურსი შეასრულებს თავის ფუნქციას და შეწყვეტს არსებობას.

ვადიანი თავდები გამსესხებლის წინაშე პასუხისმგებელია მთელ თანხაზე მოვალის ავლადიდების რეალიზაციამდე, ანუ კონკურსის არსებობის პირობებში.

ამიტომაც ერთი არ მონაწილეობს კონკურსში მისი (კონკურსის) არარსებობის გამო, ხოლო მეორე მონაწილეობს კონკურსში, რამდენადაც კანონი მას (თავდებს) სხვა გზას არ უტოვებს.

ე. ი. ერთ შემთხვევაში კონკურსი ჩატარდა: განისაზღვრა უვადო თავდების გარდაუვალი პასუხისმგებლობა, ხოლო მეორე შემთხვევაში მან უნდა განსაზღვროს, თუ რა ოდენობა დაუბრუნდება თავდებს იმ თანხიდან, რომელიც მოვალის გაკოტრების გამო გადაიხადა.

აი, სადემარკაციო ხაზი ამ ორ გარემოებას შორის! – ამის შემდეგ პირველი სახის თავდებობას თავი უნდა დავანებოთ, რამ-

დენადაც აქ საკითხი სავსებით ამოწურულია და გადაწყვეტილიცაა კანონმდებლობის მეშვეობითა და სასამართლო პრაქტიკით.

რაც შეეხება მეორე სახის თავდებობას, როცა სასამართლო პრაქტიკაში აშკარად შეინიშნება მერყეობა როგორც ძველი, ისე ახალი წესების პირობებში და საკითხიც ხშირად გადის ხოლმე კანონის ფარგლებიდან, აი, რას ვიტყოდით ამის შესახებ:

კანონმდებლობას, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ საწყისებს და ამის საფუძველზე იცავს და არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს, არაფერი ესაქმება აბსტრაქტულ სამყაროსთან და ამიტომაც იგი მხედველობაში ვერ იქონიებს იმას, რაც ბუნებაში არ არსებობს.

როდესაც ვადიან თავდებს, რომელმაც მოვალის თანხა გადაიხადა, საკონკურსო მასაში ვრთავთ, ამით კანონს მხედველობაში აქვს არა ფანტასტიკის სფერო, არამედ ის, რომ ეს მასა არსებობს რეალურად, ანუ კონკურსის არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გამოაშკარავდა და შემდეგ გამოცხადდა მოვალის უქონელობა.

ასე და ამგვარად, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ნათელი გახდა თამასუქით განპირობებული ორივე ტიპის თავდებობასთან დაკავშირებული ლეგალური მდგომარეობა, დროა დავიწყოთ მსჯელობა ჩვენთვის საინტერესო მთავარ თემაზე – როგორ და რისგან წარმოიშვა ზემოხსენებული აშკარა გაუგებრობები?

გამსესხებელმა, რომელსაც ხელში უჭირავს სამი პირის მიერ ხელმოწერილი და ***ვადიანი*** თავდების ვინაობის მითითებით შედგენილი თამასუქი, გადახდისთვის განკუთვნილი ვადის ამოწურვისთანავე თავისი თამასუქი პროტესტზე წარადგინა. მიუხედავად იმისა, რომ: ა) თამასუქის არც ერთ გამცემს ჯერ ***უარი არ უთქვამს*** ვალის გადახდაზე (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნოტარიუსისათვის ნათქვამი – „ვეცდები, ანგარიში ამ დღეებში გავასწოროო“ – ჯერ კიდევ არ ნიშნავს ვალის გადახდაზე უარის თქმას), და ბ) ვინაიდან ჯერ მოვალეთა გადახდისუნარიანობასა თუ გადახდისუუნარობაზე ***სიტყვაც არსად თქმულა***, გამსესხებელმა თამასუქი გადახდევინებაზე ისე წარადგინა, რომ არც ერთთვიანი ვადის გასვლას დაელოდა, თამასუქზე იმ სამ ხელმომწერ მოვალესაც გვერდი აუარა და პირდაპირ თავდებს უჩივლა.

საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოიშვა კითხვა: კანონის იმ მუხლში, რომლის საფუძველზეც სარჩელია შეტანილი, ნათქვამია – ვადიანი თავდები მთლიან ვალზე მხოლოდ მაშინაა პასუხისმგებელი, როცა თამასუქი გადახდევინების მიზნით ერთთვიან ვადაშია წარდგენილი. ასეთ შემთხვევაში თამასუქი გადახდევინებაზე ვის წინააღმდეგ უნდა იქნეს წარდგენილი – ***მოვალისა თუ თავდებისა***?

საკითხის ასე დასმა თითქოს უადგილოა, თუმცა არც სხვანაირად გამოდის – პირველ შემთხვევაში თავდები თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რამდენადაც გადახდევინების პროცესისთვის საჭირო ერთთვიანი ვადა გასულია; მეორე შემთხვევაში კი თავდებს პასუხისმგებლობა ***გადახდისუნარიანი*** მოვალის სანაცვლოდ ეკისრება, რასაც თავისთავად სრულ აბსურდამდე მივყავართ.

საოლქო სასამართლო მივიდა დასკვნამდე: „მართალია, არაზუსტი რედაქცია სტატიისა (1560) ართულებს მასში გამოხატული აზრის გაგებას, მაგრამ საკითხის ***ყველაზე სწორი გაა ზრება*** იქნება, თუ თავდების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებისას მთავარ პირობად ავიღებთ იმას, რაც კანონის შესაბამისად არის დადასტურებული – მოვალემ თანხა არ გადაიხადა განსაზღვრულ ვადაში. ამაზე მეტყველებს პროტესტი, რომლის მიხედვითაც ჩანს, ერთი მხრივ, ვალის გადახდის მოთხოვნა მოვალის მიმართ და, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ ამ მოთხოვნაზე უარის თქმა“.

ამიტომ სასამართლომ გადაწყვიტა, მთელი ვალი თავდებს გადაახდევინოს.

მაშასადამე, სასამართლომ აღიარა კანონის შესაბამისი მუხლის ბუნდოვანება და, შესაბამისად, მასში გამოხატული აზრის არაერთმნიშვნელოვნება. კანონში დაშვებული უზუსტობა თუ ბუნდოვანება თვითნებურად კი არ უნდა განიმარტებოდეს, არამედ – სამი მიდგომიდან ერთ-ერთის მეშვეობით: კანონი უნდა განიმარტებოდეს გრამატიკული, ანუ სიტყვათა შინაარსობრივი მნიშვნელობის მიხედვით; დოგმატურის, ანუ კანონის ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტებით; ისტორიულის, ანუ კანონის განმარტებით თვითონ ამ კანონის წარმომავლობაზე დაყრდნობით. თავდებმა მიმართა ამ უკანასკნელ გზას, როგორც

სხვაზე ნაკლებად სადავოს და თავის სააპელაციო სარჩელში კანონთა სრული კრებულიდან სიტყვასიტყვით დაიმოწმა ის ტექსტი თემატურ კანონთა კრებულისა, სადავო მუხლს რომ უდევს საფუძვლად.

კანონის ხსენებულ ტექსტში კი ნათქვამია, რომ თავდებს მთელ ვალზე პასუხისმგებლობა ეკისრება მას შემდეგ, რაც თამასუქი გაპროტესტებიდან ერთი თვის განმავლობაში გადახდევინებისათვის ***მოვალეს*** წარედგინება.

მაგრამ სასამართლო პალატაში წარმოიშვა სხვა ტიპის გაუგებრობა, რომელსაც ერთადერთ საფუძვლად შეიძლება დაედოს ლიტვის სტატუტიდან გამომდინარე მოქმედი კანონები ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიებში...[6]

სხედან თუ არა მალოროსიის სასამართლოებში ქართველები, რომლებიც ვახტანგ მეფის კანონებით არიან გატაცებულნი, ეს მე არ ვიცი; ჩვენს სასამართლოებში კი სხედან მოსამართლეები, რომლებიც ზოგჯერ მალოროსიისა თუ ლიტვის კანონების მიხედვით წყვეტენ საქმეს... მაგრამ აქაური საქმეების წარმოება ლიტვის სტატუტის მიხედვით ისევე უადგილოა, როგორი უადგილოც იქნებოდა ვახტანგის კოდექსით ხელმძღვანელობა ჩერნიგოვსა თუ პოლტავაში. ამასთანავე, მშობლიური წესითა და რიგით გატაცება საერთოდ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი რამაა. ამიტომაც აიღეს და ამ შემთხვევაში საქმე ჩერნიგოვ-პოლტავურად გადაწყვიტეს, თუმცა ამაზე, რასაკვირველია, არ მიუთითეს და გადაწყვეტილების მოტივაცია ასე ჩამოაყალიბეს:

პალატამ მიიჩნია: ***ტექსტი კანონისა***, რომელიც თავდებს აქვს მოყვანილი, ***თემატურ*** კანონთა კრებულში გარკვეული ***ცვლილებებითაა*** წარმოდგენილი და ამიტომ მითითება კანონთა ***სრულ*** კრებულზე არაფრის მომცემია. ამისა და ზოგიერთი სხვა მოსაზრების გამო, რომლებიც ემთხვევა საოლქო სასამართლოს მოტივაციას, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძალაში უნდა იქნეს დატოვებული.

პალატის გადაწყვეტილება პირდაპირ ეწინააღმდეგება უმაღლესად დამტკიცებულ მანიფესტს, რომელშიც კანონთა სრული კრებულისა და თემატურ კანონთა კრებულის ურთიერთმიმართების შესახებ ნათქვამია: „სრული კრებული წარმოადგენს ყველა

კანონის ქრონოლოგიურად დალაგებულ ერთობლიობას, თემატურ კანონთა კრებულში კი სრული კრებულიდან ყოველგვარი ცვლილებისა და დამატების გარეშე ამოღებულია ცალკეული კანონები და ისინი სისტემატური სახითაა მოცემული“.

თავდებმა მანიფესტის ამგვარ განმარტებაზე დაყრდნობით წარუდგინა სენატს თავისი საკასაციო საჩივარი და არც უფიქრია, თუ პალატა დაუშვებდა თემატურ კანონთა კრებულის შესაბამისი მუხლის თვითნებურ განმარტებას და განჩინებასაც მასზე დაყრდნობით მიიღებდა.

ჩვენ აქ მხოლოდ საქმესთან დაკავშირებულ ძირითად გარემოებებს გამოვყოფთ და აღარაფერს ვამბობთ დეტალებზე, რათა, ჯერ ერთი, არ გადავტვირთოთ მკითხველის ყურადღება და, ამას გარდა, არც ის გვსურს, ჩრდილი მივაყენოთ ღრმა პატივისცემას სასამართლო სისტემაში დამკვიდრებული ახალი წესრიგის მიმართ – მით უმეტეს, ჩვენ მივუთითებთ კონკრეტული პირებისა და არა დაწესებულებების შეცდომებზე.

ამიტომაც აღარ ვუღრმავდებით საკასაციო გადაწყვეტილებას და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ იმავე საკასაციო სენატის გადაწყვეტილებით, ვადიანი თავდებობისას კრედიტორს გადახდევინების შესახებ სარჩელი ერთთვიან ვადაში უნდა წარედგინა ***მოვალის და არა მისი თავდების წინააღმდეგ*** (იხ. „იუსტიციის სამინისტროს ჟურნალი“, 1865, №9). 1870 წლის 3 ივნისს იმავე სენატმა სასამართლო პალატის გადაწყვეტილების შემდეგ წარდგენილი საკასაციო სარჩელი ძალაში დატოვა.

დავაკისროთ თავდებს პასუხისმგებლობა სანაცვლოდ ***გადახდისუნარიანი*** მოვალისა, რომლისთვისაც ჯერ მოთხოვნები არც კი წაუყენებიათ, მართლმსაჯულების კუთხით ხომ არ დაემსგავსება ასეთ შემთხვევას – დავაკისროთ თავდებს პასუხისმგებლობა დამნაშავის სანაცვლოდ მაშინ, როცა თვითონ დამნაშავეს არც უფიქრია სასამართლოსთვის თავის არიდება?

მოდით, ვიმსჯელოთ:

თუ შეცდომებისაგან დაზღვეულნი უნდა იყვნენ ის პირები, რომლებიც ქვედა დონის დაწესებულებებში მსახურობენ, მით უმეტეს, შეცდომები არ უნდა მოუვიდეთ იმათ, რომლებიც ზედა დონის დაწესებულებებში მსახურობენ. საქმე ისაა, რომ ზედა დონის

დაწესებულებები, ჯერ ერთი, გაცილებით უფრო დატვირთულია საქმეებით და, ამას გარდა, იქ გაცილებით მეტი თავისუფლებაა აზრისა და შეხედულებებისა, შეუდარებლად მეტია სურვილი შეცდომების გამოსწორებისა, გაუგებრობებისა და უყურადღებობის აღმოფხვრისა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თავდები შეძლებული მოპასუხეების მიზეზით საბოლოოდ გაკოტრდა და ეს სწორედაც რომ მართლმსაჯულების შეცდომებმა თუ უყურადღებობამ გამოიწვია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სენატის საკასაციო გადაწყვეტილებაში გაიპარა ისეთი შეცდომები, რომლებიც საქმის სათანადოდ განხილვის შემთხვევაში არაფრის დიდებით არ მოხდებოდა. კერძოდ: პალატის გადაწყვეტილებით გამოწვეულ სარჩელს დაერქვა გასაჩივრება მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის გადაწყვეტილებისა, რომელიც აქ არაფერ შუაშია; საქმესთან დაკავშირებული სამი პირიდან გადაწყვეტილებაში მხოლოდ ერთი პირი – თანაც სხვა პირი – არის დასახელებული; გადაწყვეტილებაში მოყვანილია მოტივები, რომლებიც შეუსაბამოა მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნითი გათვალისწინებისგან...

დაზარალებულს ისღა შეუძლია, თავისი მდგომარეობა იმ ფატალური გარემოებით ახსნას, რომ მისი პიროვნებისა და ქონების დაცვის უფლებით აღჭურვილმა ხელისუფლებამ იგი გააკოტრა და ეს მოხდა იმ შეცდომის გამო, პროცესუალური წესების ფორმალურმა დაცვამ რომ გამოიწვია, მაგრამ ეწინააღმდეგება კანონის არსსა და სულისკვეთებას. და ამის შემდეგ გაკოტრებულ თავდებს სხვა აღარაფერი დარჩენია, თუ არა ის, რომ ბრაჰმანი ფაკირის მოთმინებით შეეგუოს თავის მდგომარეობას.

მაგრამ ჩვენ სხვა წრესა და გარემოს მივეკუთვნებით და ფაკირებზეც და მუსლიმ ფატალისტებზეც ცოტაოდენ მაღლა მდგომად მიგვაჩნია თავი; ამასთანავე, შეგნებული გვაქვს რა საკუთარი ინტელექტუალური უპირატესობა, მშვიდად და დამჯდარი ჭკუით ვამბობთ: სასურველია, რომ მსგავსი ფაქტები, რომლებზედაც ამ ესკიზში გვქონდა მსჯელობა, ცივილიზებულ საზოგადოებაში არ გვხვდებოდეს...

VII

სასამართლოს მეშვეობით გაკოტრება მეურვისა, რომელიც ობლებს ძარცვისგან იცავდა

კიდევ ერთი ესკიზი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მცირეწლოვანი თავადის ქონებაზე საგანგებო მეურვეობა დაინიშნა.[7]

მეურვეობის პირობებში – რვა წლის განმავლობაში – თავადის შემოსავალი გაათმაგდა. ***გაათმაგდაო***, ეს, უბრალოდ, წამომცდა, თორემ სინამდვილეში ასეთი ვითარება შეიქმნა: მეურვემ ჩაიბარა მამული, რომელმაც წელიწადში 277 მანეთის შემოსავალი მოიტანა. მეურვისავე წყალობით რვა წლის განმავლობაში შემოსავალმა ჯამურად 130 000 მანეთზე მეტი შეადგინა, ე. ი. დაახლოებით 17 000 მანეთი წელიწადში. რვა წლის თავზე კი მფლობელს ჩაბარდა მამული, რომელიც წელიწადში უკვე 80 000 მანეთის შემოსავალს იძლეოდა. ხელისუფლების ზოგიერთ წარჩინებულ წარმომადგენელს ეს არ მოეწონა.

და რა მიიღო სანაცვლოდ მეურვემ?

მიუსაჯეს თავადის სასარგებლოდ 54 000 მანეთის გადახდა და სამსახურიდანაც გააძევეს!

ვფიქრობ, აქ მოყვანილი შვიდი ფაქტი სავსებით საკმარისია როგორც ჩვენი აპრიორული დასკვნების მართებულობის დასადასტურებლად, ისე ჩვენს მხარეში სასამართლო პრაქტიკის დასახასიათებლადაც.

მკითხველს კი ვთხოვთ, წარმოიდგინოს მორალური მდგომარეობა იმ ადამიანებისა, რომლებმაც ზემოხსენებული საქმეები წაიგეს. ამასთანავე, ბოროტად ხომ არ ვისარგებლებთ იმავე მკითხველის ყურადღებით, თუ ვკითხავთ: „რა ვქნათ, თუ სასამართლოს ყველა ეს გადაწყვეტილება ***ერთსა და იმავე ადამიანს*** დაატყდა თავს? უნდა დავძრახოთ კი იგი, თუ, საბოლოო გაკოტრება-გაჩანაგებით გულნატკენს, მისდა უნებურად მორალური ტკივილით გამოწვეული გმინვა აღმოხდება?..“[8]

18 მარტი, 1884 წ.

წერილი ალექსანდრე ფრენკელს

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბ-ნო რედაქტორო

ნება მიბოძეთ, თქვენ და თქვენი ჟურნალის მკითხველებს გავუზიარო ზოგიერთი მოსაზრება შესახებ თქვენივე სიტყვისა, რომელიც „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ 191-ე ნომერში გამოქვეყნდა.[1]

თქვენ ამბობთ: „გამართული სასამართლოს გარეშე სახელმწიფოში სიმშვიდე ვერ დაისადგურებს“.

თვალში საცემი ჭეშმარიტებაა!

მაგრამ სადავოდ არც ის უნდა იქცეს, თუ ვიტყვი: სასამართლო გამართულად მუშაობს იქ, და მაინცადამაინც იქ, სადაც არა მხოლოდ წეს-კანონებია უნაკლო, არამედ სასამართლო წყობილება – უკაცრავად! მინდოდა მეთქვა ***სამართალწარმოება*** – სადაც სამართალწარმოებისას ზედმიწევნითაა დაცული იმპერატორ ალექსანდრე II-ის წესდება; ანუ სასამართლო პერსონალში ვერ იპოვით რომელიმე „მამაისა“ თუ „ბათო-ყაენს“, რომელთაგანაც დიმიტრი დონელმა უნდა დაგვიხსნას.

ზოგიერთი სასამართლო მოხელე არად დაგიდევთ არც წესდების მოთხოვნებსა და არც ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელ სწრაფვას სიმართლისაკენ და, კაცი ვერ გაიგებს, ისჯებიან თუ არა დროულად ასეთი მოხელეები, დაცულია თუ არა სასამართლო მისი ღირსების ხელმყოფთაგან.

ამაზე თქვენ მეტყვით, რომ ხალხში გავრცელებულ ჭორებს სინამდვილეში საფუძველი არა აქვს, პირიქით, ***ყველა*** სასამართლო მოხელე მოწოდების სიმაღლეზე დგასო. სასამართლო მოხელეებისთვის ეს, რასაკვირველია, სასიამოვნო მოსასმენი იქნება, მაგრამ ჩვენთვის, რომლებსაც მათი საქმიანობა უშუალოდ გვეხება?!

ყველაფერი, რაც გამოვაქვეყნე „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ 148-ე, 150-ე და 183-ე ნომრებში,[2] დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა! – ძლიერ ვწუხვარ და იცით, განსაკუთრებით რატომ ვწუხვარ? იმიტომ, რომ ამასობაში აქაურ მოსახლეობაში ფეხი მოიკიდა გამონათქვამმა, რომელიც სათქმელადაც კი საშინელებაა:

„ცუდია არაფრის ქონა, მაგრამ რამის ქონა უარესია“.

აიღეთ ეს გამონათქვამი, დააკვირდით და დაინახავთ, რომ მასში შორს მიმავალი პრობლემაა გაცხადებული, [*ბევრად უფრო შორს მიმავალი, რომლისკენაც თანამედროვე სოციალისტები და კომუნისტები მიისწრაფვიან*[3]] და მერწმუნეთ, რომ იგი – ამ გამონათქვამში გამოხატული აზრი – მალე მყარად მოიკიდებს ფეხს ხალხის შეგნებაში და ჟანგივით შეჭამს მის რკინისებურ მოთმინებას. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა მკაცრი კონტროლისა და წესრიგის დამყარება, რათა გასაქანი არ მიეცეს არც ზოგიერთი მოსამართლის ყაენურ ჩვევებს, არც მათ მიერ გამოტანილ განაჩენთა აღმსრულებლებს; ისეთი განაჩენებისა, რომელთა ცალკეული შემთხვევები მე მოვიყვანე უკვე ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებიდან – თქვენი ჟურნალის ზემოდასახელებულ ნომრებში უმთავრესად ისეთი ფაქტები მოვიხმე, საკუთარ ტყავზე რომ მაქვს გამოცდილი.

მე მაშინ მამოძრავებდა ვალი საზოგადოების წევრისა და მსურდა, მოკრძალებული წვლილი შემეტანა ისეთი ვითარების შექმნაში, რომლის გარეშეც „სახელმწიფოში სიმშვიდე ვერ დაისადგურებს“. ამჟამადაც ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩემთვის ცნობილი თვალსაჩინო ადვოკატების ერთიანი ძალისხმევაც კი უძლური იქნებოდა, გაემართლებინა ის ფენომენალური ურცხვობით აღბეჭდილი მოქმედებები, რომელთა შესახებაც თქვენი ჟურნალის ფურცლებზე მოგითხრობდით.

ახლახან, 24 ნოემბერს, ჩემს ეზოში აღსრულდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მაიძულებს, დავფიქრდე საკითხზე: ნუთუ ჩვენს ცხოვრებაში ასე საფუძვლიანად აქვს ფეხი მოკიდებული ზემოხსენებულ გამონათქვამს?

ჩემი გაოცება იმდენად მძაფრია, რომ თავს უფლებას ვაძლევ, უმორჩილესი თხოვნით მივმართო უშუალოდ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ პატივცემულ და უაღრესად კომპეტენტურ რედაქციას –

მირჩიეთ, როგორ შევინარჩუნო ***სიმშვიდე*** ჩემს სამეურნეო ცხოვრებაში?

შემოთავაზებულ ფორმულირებებს მეტი სისადავე და სიცხადე რომ შევძინო, უნდა მოგითხროთ ერთი ისტორია და გადავწყვიტე, ამჯერად მოქმედი პირების სახელებიც მივუთითო.[4]

არსებობს რამდენიმე წლის წინ გამიჯნული ტყე, რომლის ნახევარი მეკუთვნის მე, ხოლო დანარჩენი 6, 12, 24 და 48 ნაწილებადაა დაყოფილი.

ამ მონაცემთა საფუძველზე იქნა მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.

აქაური მიწების გამიჯვნის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს მიერ 1884 წელს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, მოცემული მამულის გამიჯვნა-განაწილება მოწილეთა შორის წელსვე უნდა მომხდარიყო. მანამდე კი ტყის ჭრა ***აკრძალული*** იყო. საკუთარი წილის უპირატესი მოცულობის გამო ამ საკითხით სხვაზე უფრო მეტად მე ვიყავი დაინტერესებული და ამას ყველაფერს უფრო ახლოდანაც ვაკვირდებოდი, მით უმეტეს, ხსენებული ტყის გვერდით ვცხოვრობ.

მოწილეთა შორის დადებული შეთანხმება, რომლის გარეშეც გაუმიჯნავი მამულის საერთო გამგებლობა კანონით იკრძალება, არ არსებობდა და, როგორც ზემოთ ვთქვი, ტყის ჭრაც ***აკრძალული*** იყო.

მიუხედავად ამისა, ერთხელ, ამ წლის დასაწყისში, ჩემმა ტყისმცველებმა დაიჭირეს ქურდები, რომლებსაც ტყიდან 7 თუ 8 საზიდრით მუხის მარგილები გამოჰქონდათ.

მოთხოვნა, რომ ჩვენების ჩამოსართმევად წესისამებრ ჩემთან გამოცხადებულიყვნენ, ქურდებმა არ შეასრულეს, მარგილები გზაზე დაყარეს და დაიშალნენ. სანამ მათს ვინაობას გამოვარკვევდით, ნაქურდალი ჩემს ეზოში გადმოვზიდეთ და დავალაგეთ.

ამასობაში თავადმა კონსტანტინე აბაშიძემ, ტყის ოცდამეოთხედი წილის მფლობელმა, სურამის სამომრიგებლო სასამართლოში ჩემს შვილს, კონსტანტინეს, უჩივლა, თითქოს მან (ჩემმა შვილმა) ***მის*** ხალხს ***მის*** ტყეში ***მისთვის*** მოჭრილი მარგილები წაართვა. იგი წართმეული საკუთრების დაბრუნებას მოითხოვდა.

რატომ იყო სარჩელი შეტანილი ჩემი შვილის წინააღმდეგ, როცა იგი, უბრალოდ, ოჯახის წევრების მოსანახულებლად იყო ჩამოსული? მთელ აქაურ მეურნეობას პირადად მე განვკარგავ და ეს მშვენივრად იცოდნენ მოსარჩელემაც და ბ-ნმა კაფაფოვმაც, რომელიც სურამში მომრიგებელი მოსამართლის უფლებით სარგებლობდა. როგორც ეს მოგვიანებით გაირკვა, საქმე იმაზე აეწყო, რომ მე შემეძლო ყველაფერი მომეთხრო ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა, ხოლო კონსტანტინე ყიფიანი შეიძლებოდა ჩათვლილიყო გარეშე პირად და ეს გარემოება მოწინააღმდეგეს საქმის მოგებას გაუადვილებდა. ასეც მოხდა: ჩემი შვილი მალე თავის საქმეს დაუბრუნდა, ხოლო მოსამართლემ ჯერ დაუსწრებლად გამოიტანა გადაწყვეტილება, რასაც საბოლოო გადაწყვეტილება მოაყოლა – ჩამოერთვას ***მას*** (კონსტანტინე ყიფიანს) ხის მასალა და დაუბრუნდეს იგი კონსტანტინე აბაშიძეს.

24 ნოემბერს სასამართლოს ბოქაული, ბ-ნი ქარსიძე, მოწმეთა მთელი წყებითა და თავად კონსტანტინე აბაშიძის მიერ გამოგზავნილი ურმების ქარავნით შემოდის ჩემს ეზოში, ტვირთავენ ამ ურმებს ეზოში დაწყობილი ხის მასალით და მიაქვთ.

– ნება მიბოძეთ გკითხოთ, – ვეუბნები ბ-ნ ქარსიძეს, – რას ნიშნავს ეს ყოველივე?

– სისრულეში მომყავს მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილება. აი, სააღსრულებო ფურცელი!

– როგორც ამ ფურცლიდან ჩანს, გადაწყვეტილება მიღებულია კონსტანტინეს წინააღმდეგ, ჩემი სახელი კი დიმიტრია და აქ მე ვცხოვრობ.

– ჩემთვის სულ ერთია! მე გადაწყვეტილებას აღვასრულებ!

– განა მამა პასუხისმგებელია სრულწლოვანი შვილის მოქმედებაზე? (იგი დაახლოებით 35 წლისაა).

– ეს ჩემი საქმე არ არის!

– კი მაგრამ, რატომ მაიძულებთ, რომ ვიჩივლო?

– ბატონი ბრძანდებით! იჩივლეთ ვისთანაც გსურთ და რამდენიც გსურთ!

ასე და ამგვარად: მომპარეს ხის მასალა, მაგრამ წაღება ვერ მოასწრეს, ხოლო სასამართლომა თუ სასამართლოს ბოქაულმა წამართვეს ეს მასალა და მისცეს იმას, ვისაც იგი არ ეკუთვნოდა!

საიდანაც არ უნდა მიუდგეთ, არსი საქმისა ესაა! მაშასადამე, გუშინ სასამართლოს სახელით განხორციელდა ჩემი ქონებრივი უფლების პირდაპირი ხელყოფა და თანაც – სასამართლოს გარეშე.

საგონებელში ვარ ჩავარდნილი – მსგავს ვითარებაში რა გზით უნდა დავიცვა ჩემი ქონება და ვერც ვერავისთვის ვერაფერი შემისმენია.

მეორე შემთხვევაც მაშინვე მოხდა, პაუზის გარეშე: გაისტუმრა რა დატვირთული ურმები, ბ-ნმა ქარსიძემ მაშინვე გადმომცა უწყება (ნება მიბოძეთ, უწყების თარიღი და ნომერიც მივუთითო – 6 ივნისი, 1884, №309). უწყების მიხედვით, იმავე ბ-ნი კაფაფოვის გადაწყვეტილებით ვინმე ნემსაძეს სამი დღის ვადაში უნდა გადავუხადო 14 მან. და 30 კაპ.; და კიდევ – სასამართლო უწყების სასარგებლოდ მმართებს გადავიხადო 1 მან.

და მაინც, მთელი ლაზათი ამ გადაწყვეტილებისა ის კი არ არის, რომ მე არ შემეძლო, რაიმე შემეტყო ამ გადაწყვეტილების ვერც არსისა და ვერც მოტივაციის შესახებ, არამედ მთელი ლაზათი უწყებაზე ბ-ნი ქარსიძის მინაწერშია:

„გარდა დაკისრებული თანხისა, გადახდევინებული უნდა იქნეს: უწყებისა 25 კაპ., მიტანა-ჩაბარებისა 4 მან. 80 კაპ. (გზა აქეთ-იქით 14 ვერსია) და დღიური 60 კაპ“. –

და მომრიგებელი მოსამართლის მიერ ***მოსჯილ*** 15 მან. 30 კაპიკთან ერთად ქარსიძემ ***მოუსჯელი*** 5 მან. 65 კაპიკიც გადამახდევინა.

ნუ დაიზარებთ და ამიხსენით, მსგავს ვითარებაში რა შესაფერისი ტერმინოლოგია უნდა იხმაროს კაცმა?

და ასე ექცევიან ადამიანს, რომელსაც შეუძლია საქმიან ენაზე ვითარების გარკვევა სიტყვიერადაც და წერილობითაც.

აქაური მოსახლეობის უმრავლესობა კი ამგვარ შესაძლებლობას მოკლებულია. კიდევ დიდხანს დარჩება ამ მოსახლეობაში ახლახან გაჩენილი საშინელი გამონათქვამი: „ცუდია არაფრის ქონა, მაგრამ რამის ქონა უარესია“?

25 ნოემბერი. 1884 წ.
სოფ. ქვიშხეთი

დანართი

შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მეგბატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმოგაზედ

შედგენილი აპრილს 1863

1. ფულს ვითხოვთ, რა ანგარიშით და რა მიზეზებით?

2. გლეხებს ნუ გადაჰხდება ფულიო, რა მიზეზით?

3. კომლზედ მსახურის მაგიერად ვითხოვთ ფულსა თუ სხვა საფუძვლით?

4. რა მიზეზით ვესარჩლებით გლეხებსა?

5. ადგილს რა მიზეზით ვერ ვაძლევთ?

6. როგორ დავაწყოთ საქმე, რომ გლეხები გვიმადლოდნენ?

7. პირველ ვადის გასვლამდინ, რა სარგებლობა უნდა გვეძ-ლევოდეს ადგილ-მამულისაგან?

8. თუ ქვეყნის ჩვეულებას დავადგეთ, აღვრიცხოთ სად რა ჩვეულებაა თუ არა?

9. თუ ახალს დავაწესებთ რასმე, რას რის მაგიერად დავაწე-სებთ და შემსუბუქება გლეხს რაში ექმნება?

10. თუ ჩვეულებაზედ დავემყარებით ამ ჩვეულების მიხედ-ვით ნაწილ ნაწილად დავჰყოთ ქვეყანა თუ არა?

11. ჩვეულებას თუ ვადას დაუწესებთ, – ვჰთქვათ თუ არა, რომ ვადას მერმეთ ნება ყოფლობით მოვრიგდებითო?

12. თუ გლეხს ჩვეულებით მუშა ემართება, გადაკვეთილი ფასი დავაწესოთ მუშის მაგიერად თუ არა?

13. ვადის გასვლამდის გლეხს ნება ექნება გადასახლებისა და ბატონს დათხოვნისა თუ არა? როდის, რა მიზეზით და როგორ?

14. ვადა რამდენი ემჯობინება?[1]

რიცხვი და სახელები პირთა ვისიც ჰაზრი არის შემოტანილი:

1. ღენერალ ლეიტენანტი კნიაზი **ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.**

1.

გლეხები აქამომდე თავს იხსნიდნენ. ახლაც შეუძლია გლეხს თავი დაიხსნას ან ***ფასით***, რასაც მმართებლობა დააწესებს ჩვენის დასაკლისის შედარებით.

2.

თავის დასახსნელის გარდახდა შეიძლება ფულით ანუ მუშაობით.

7.

ყოველს სამსახურსა, მუშაობას და გარდასახადს ის ემჯობინება, რომ მოსავლის ნაწილი ეძლეოდეს პატრონს.

9, 10, 11.

ადგილის პატრონი მიწას ჯერ თავისთვის მოიზომავს; და რაც დარჩება, ნაწილ ნაწილად გლეხებს დაურიგებს ლიტრა ჩარექობის ანგარიშით. ლიტრად ჩავარდება 20 დღისა, ჩარექად 5-ისა სამსახური და გარდასახადი ამისდა გვარად დაწესდება. –

კულუხი – მეექვსედი.

ხეხილი და სხვა – მეათედი.

ღალა სარწყავიდამ – 2 კოდი.

ურწყავიდამ – ერთი კოდი დღიურზედ, – იმ მიწის ნახევრიდამ, რაც გლეხს ექნება.

ლიტრაზედ წელიწადში:

52 ურემი ყევარი ხარკამბეჩი.
52 მუშა.
20 ურემი პატივი.
4 ქათამი, ან 1 ინდოური ან ერთი საკლავი.
ფული 8 მანეთი.

12.

მუშის მაგიერად შეიძლება მებატონემ ობლები შეიყვანოს მოსამსახურედ, თუ ნათესავებმა არ ინდომეს გამოზრდა იმათი და იმათი ოჯახის ვალდებულება არ იკისრეს. რა რომ სრულის ასაკისა შეიქმნებიან მაშინ იმათს ბინადრობაზედვე უნდა მიაბრუნოს.

13.

რა რომ გლეხი თავს დაიხსნის, მაშინ ნება ექნება გადასახლებისა, მხოლოდ ***მოძრავი*** ქონებით, და გუბერნსკი პრისუტსტვიის დაკითხვით, მემკვიდრეობითი არენდატორი (მოიჯარადრე) ერქმევა მაშინ გლეხსა, მაგრამ ეს წოდება ამ გვარად გადასახლებას ვერას ოდეს ვერ დაუშლის.

ადგილის პატრონს გლეხის დათხოვნა შეუძლია, თუ გლეხმა ის ადგილი არ მიიღო, რასაც პატრონი შეაძლევს. –

2. კაპიტანი კნიაზი **ტიხონ ბარათოვი.**

1

იგივე ჰაზრი.[2]

6, 7, 8.

რაც ყმას კეთილშეძენილი აქვს, იქიდამ დაწესებელი ნაწილი მიეცეს რამე, რომ თავისი საკუთარი სიმდიდრე მოიპოვოს.

როდესაც ადგილები გაიმიჯნება, მაშინ ნება ჰქონდეს გლეხსა, შეისყიდოს ადრევე დაწესებულის ფასით, – თავის მებატონესაგან ადგილი, რაც ბატონსა აქვს მხოლოდ იმის მეოთხედიდამ.

3. პორუჩიკი კნიაზი **ნიკოლაი ბებუთოვი.**

6, 7, 8 9, 10.

გლეხებს სრული, შეუხებელი თავისუფლება მივანიჭოთ; და ნება მივჰსცეთ, თუ უნდოდეთ, რასაც ახლა ადგილებზედ არიან იმაზე დამკვიდრდნენ და ქირაზედ მებატონეს მოურიგდნენ; თუ არა და გადასახლდნენ სხვა თავისუფალს ადგილზედ. – აქედამ მხოლოდ ეს შესდგება, რომ მებატონესაგან გლეხები წასვლას არ ისურვებენ და არც მებატონენი ქირის ზღვევას გაუძნელებენ. –

4. **გორის უეზდიდამ. 74 პირნი:**

ღენერალ ოტ-ინფანტერიი კნ. გიორგი იასეს ძე ერისთავი.
ღენერალ ლეიტენანტი კნ. გიორგი რომანის ძე ერისთავი.
ღვარდიის შტაბს კაპიტანი კნ. გრიგოლ ერისთავი.
კნ. ალექსანდრე თარხან მოურავოვი.
პოდპოლკოვნიკი კნ. ივანე ამილახვაროვი.
როტმისტრი კნ. გიორგი ერისთავი.
ნადვორნი სოვეტნიკი კნ. გიორგი ერისთავი.
პრაპორშჩიკი კნ. ბიძინა ერისთავი.
მაიორი კნ. ელიზბარ ერისთავი.
პრაპორშჩიკი კნ. ლუკა თარხან მოურავოვი.
პორუჩიკი კნ. ივანე აბაშიძე.
პროვინციალნი სეკრეტარი კნ. ავთანდილ ბეგთაბეგოვი.
პოდპორუჩიკი კნ. დიმიტრი აბაშიძე.
პრაპორშჩიკი კნ. სოლომონ ერისთავი.
კნ. ლევან თარხან მოურავოვი.
კნ. კიაზო ერისთავი.
პოდპორუჩიკი კნ. იოსებ ჯავახოვი.
დეკანოზი აზ. პონტელეიმონ წინამძღვაროვი.
პოდპორუჩიკი კნ. დავით მაჩაბელოვი.
აზნ. ლევან აბაზაძე.
პრაპორშჩიკი კნ. კირილე ციციანოვი.
კნ. ნიკო ციციანოვი.
აზ. ივანე სულხანოვი.

კნ. ზაზა ავალოვი.
კნ. იოსებ ვეზიროვი.
პოდპორუჩიკი კნ. დავით თარხან მოურავოვი.
კნ. გიორგი ჯავახოვი.
ღუბერნსკი სეკრეტარი კნ. ალექსანდრე ციციანოვი.
აზ. მიხეილ ჯავახოვი.
კოლლეჟსკი ასესსორი ლაზარე ალხაზოვი.
ტიტულიარნი სოვეტნიკი ფავლენოვი.
აზ. ანდრია კალატოზოვი.
კოლლეჟსკი სეკრეტარი დიმიტრი მელუნეთუხუცესოვი.
პოდპორუჩიკი რამაზ ხმალაძე.
კნ. ქაიხოსრო ავალოვი.
პოდპორუჩიკი ლუარსაბ ზედგინიძე.
კნ. ალექსანდრე ჯავახოვი.
გუბერნსკი სეკრეტარი კონსტანტინე ჯავახოვი.
აზ. ზაქარია ლომაური.
კოლლეჟსკი სეკრეტარი მერაბ გაბუნია.
აზ. სოლომონ კვალიევი.
აზ. ივანე ჯავახოვი.
აზ. ზაქარია ჯავახოვი.
აზ. გრიგოლ ჯავახოვი.
აზ. ლიპორტ იონათამოვი.
აზ. მალხაზ თუხარელოვი.
აზ. გიორგი ალექსიძე.
აზ. ნიკოლოზ ჯავახოვი.
კნ. დავით ციციანოვი.
კოლლეჟსკი სეკრეტარი აზ. ლეონ მუსხელოვი.
აზ. ნიკოლოზ გვერდწითელი.
კნ. მიხეილ ფავლენოვი.
კნ. ივანე ფალავანდოვი.
კოლლეჟსკი რეღისტრატორი ივანე მაღალოვი.
აზ. ლევან მაღალოვი.
აზ. ერასტი ქარსიძე.
აზ. გიორგი ქარსიძე.
კნ. იოსებ ფავლენოვი.

პრაპორშჩიკი კნ. სოლომან ციციანოვი.
კნ. ივანე თარხანოვი.
კნ. რაჟდენ ავალოვი.
პოდპორუჩიკი ივანე ქარუმიძე.
აზ. პავლე რჩეულოვი.
კაპიტანი კნ. ალექსანდრე ერისთავი.
აზ. ქაიხოსრო შათბეროვი.
აზ. დავით ქარუმიძე.
გუბერნსკი სეკრეტარი კნ. სარდიონ ციციანოვი.
პორუჩიკი ევსტატე ფურცელაძე.
კნ. ბეჟან თარხან მოურავოვი.
გუბერნსკი სეკრეტარი დავით კვალიევი.
პოდპორუჩიკი კნ. ალექსანდრე ბაგრატიონ დავიდოვი.
პრაპორშჩიკი კნ. დავით ამილახვაროვი.
პოდპორუჩიკი კნ. მიხეილ ციციანოვი.
პრაპ. კნ. ზაქარია ციციანოვი.
კნ. დიმიტრი ჯავახოვი.

1.

იმ ანგარიშით, რაც კანონით არის დაწესებული სულზედ:

მიზეზები:

[1.] რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩვენ კარითი კარად უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამომზრდელი ძიძა.

2. ახალი წესით ცხოვრება არ შეგვიძლია უფულოდ. ვალი გვმართებს მრავალი და ამ ვალის მიზეზი არის სადავო საქმეების წარმოება. არ არის ჩვენში არც ერთი გვარი, რომ თავისი უფლება ყმასა და მამულზედ ორჯელ თუ ერთხელ მაინც არ დაემტკიცებინოს სუდის წესითა და ყოველის ინსტანციების გავლითა. ენა რომ არ გვესმოდა და ახალი კანონები რომ არ ვიცოდით, – და ამასთან ჩვეულებითი წესი რომ მოგვეშალა, რომლითაც სადაო საქმე სა-

ხალხოდ და სიტყვიერად განიხილებოდა ხოლმე, – ქაღალდებისა და არზების წერას უნდებოდა სამასი მანათიდამ ათას მანათადმდე. – ამ გვარს ხარჯთან არა გვაქვს გზები, რომ მიწის ნაყოფს ღირებული გასავალი ჰქონდეს; დრო არ გვქონია, რომ სასოფლო მომჭივნეობა სამჯობინარად განვრცელებულიყო, ყოველ წლივ შევიჭურვებოდით და რუსეთის მხედრობასთან საზოგადო მტერს ვებრძოდით; ამისთვის ვაჭრებისაგან ვალს ვიღებდით და საშინელს სარგებელს ვიხდიდით; – განსვენებულს კნიაზს ვორონცოვს რომ არ ეშუამდგომლა და პრიკაზისათვის ბანკის თვისება არ დაესაკუთრებინა ჩვენს დაღუპვას საშველი აღარ ექმნებოდა. რა რომ ამითი სული მოვიბრუნეთ ახლა ეს საქმე გაგვიჩნდა, და უნდა ყოველივე საცხოვრებელი მოგვესპოს, თუ კანონით დაწესებული ფული არ მოგვეცა, – როგორც მაგალითებიც იყო, რომ ყმებისათვის მებატონეთ სულზედ ფული მიეცა და მამული მათვე დარჩათ.

5.

ვერ ვიფიქრებთ, რომ აღალარებზედ ნაკლები სამართალი და მოწყალება ჩვენზედ მოივლინებოდეს. აღალარებს მამული მიეცათ, რომელიც გლეხებს ეკუთვნოდა და ჩვენ რაღად წაგვერთმევა რაც მარადის ჩვენი ყოფილა. – ამ მიზეზს გარდა გორის უეზდში ასე ცოტა არის საბატონო მიწა, რომ, მაგალითად, გლეხს რომ კომლზედ ორ-ორი დესეტინა მიეცეს, მებატონეებს საზრდოდ არა თუ თავისი, სახელმწიფო და საეკლესიო რაც არის, ისიც აღარ ეყოფოდათ.

6.

ჩვენს განსათავისუფლებელს გლეხებს იმ უფლებაზედ დავაყენებთ, რაც ხიზანს ეკუთვნის, და ერთმანერთში მოვრიგდებით.

5. ღენერალ მაიორი კნ. **მაკარი ჯამბაკურ-ორბელიანი.**

1.

იმ ანგარიშით, რაც მამრსა და მდედრზედ კანონით არის დაწესებული. იმავე მიზეზებით.

7, 8.

ორს წლამდინ გლეხები იმავე მდგომარეობაში დარჩნენ, რომელშიაც ახლა იმყოფებიან და ამ დროს შემდგომისათვის ბატონები და ისინი ერთმანეთში მორიგდნენ.

11.

ასე უნდა ვჰსთქუათ.

13, 14.

ორის წლის მერმეთ გადასახლების ნება უნდა ჰქონდეთ; მაგრამ სახლკარობა კი ყოველივე მებატონეს უნდა დარჩეს უსასყიდლოდ. –

6. გუბერნიის მარშალი კნ. **ალექსანდრე ორბელიანი.**

1, 2.

პირადი უფლება მებატონესი ყმებზედ უნდა დახსნილ იქმნეს მიწებით თუ ფულით, როგორც მმართებლობა ინებებს.

5.

ადგილი ბატონის საკუთრება არის და მის ნებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული.

6, 7, 8, 9, 10, 11, 12.

ჯერ გლეხებს მოქალაქობის ღირსება უნდა მიეცეს; მერე სოფლის მართვა დაწესდეს და სახალხო სამართალი; და ბოლოს მებატონესა და გლეხს ნება ჰქონდეთ, ერთმანერთში ნება ყოფლობით მორიგებისა, თუ ვისად ირიცხებოდეს ის მამული, სადაც გლეხს გაუკეთებია რამე; და ვინც ნება ყოფლობით ვერ მორიგდებიან, – იმათთვის ერთხელ დაწესდეს სამარადისოდ: რამდენი რა უზღოს ან გლეხმა ბატონს მიწისათვის, ან ბატონმა გლეხს მისის ნაშრომისათვის. –

7. საზოგადოობის სეკრეტარი კნ. **ამილბარ მაღალოვი.**

6, 7, 8.

გლეხის სამსახური და გარდასახადი გადაკვეთით დაწესდეს. მამრს 50 წლისას და მდედრს 40-სას ნუღარა მოეთხოვებარა და თავისს ოჯახში თავისუფალნი იყვნენ ბატონისაგან.

9.

ახალს დაწესებას აღრიცხავს.

13, 14.

როდესაც გადასახლდება, ყოველი უძრავი ადგილის პატრონს უნდა დაუტევოს უსასყიდლოდ.

8. ტფილისის უეზდიდამ. მაიორი კნ. **ზურაბ რატიევი.**

3, 4.

ორს კომლზედ ერთი მსახური ვიანგარიშოთ და თვითოზედ ვითხოვოთ წელიწადში 7 თუმანი მამრზედ და სამი თუმანი მდედრზედ.

9.

ახალს დაწესებას აღრიცხავს.

11.

ხიზნად იდგნენ იმავე მამულებზედ ვადით.

12.

თუ ფასის გადაკვეთაზედ ბატონი და გლეხი დათანხმდებიან, – საკმაო იქნება – ხვნისა, ფარცხვისა, მკისა და ლეწვის დროს კაცზედ 50 კოპ. სხვა დროს 40 კ. ურმითა და კევრით მუშაობის მაგიერად 1 მანეთი.

13.

ვადის შემდეგ გლეხი რომ გადასახლდება სახლკარი და მამული რაც მებატონეს ეჭირება აიღოს და დანარჩენი სხვა იმავე ბატონის მამულზედ მცხოვრებმა გლეხებმა შეისყიდონ, რადგან ყოველი მასალა მებატონეს მამულიდამ არის მოხმარებული. –

14.

ერთიდგან ექვსადმდე და ექვსიდამ ათ ან თორმეტ წლადმდე. –

9. **თელავის უეზდიდამ. ცხრა პირნი:**

ღენერალ-მაიორი კნ. ივანე შალიკოვი.
სტატსკი სოვეტნიკი კნ. დიმიტრი ჯორჯაძე.
კნ. სფირიდონ ჯანდიერი.
ალექსანდრე ჯორჯაძე.
გუბერნსკი სეკრეტარი დიმიტრი მგალობელოვი.
პოლკოვნიკი კნ. დავით ქობულოვი.
კნ. ილია ჭავჭავაძე.
– დავით მაყაევი.
– ნიკოლოზ ჭავჭავაძე.

1, 2, 3, 4, 5, 6.

1. საბატონო გლეხთ მიეცეთ თავისუფლება ყოვლის პირადის სამსახურისა და დამოკიდებულებისაგან. 2. აღიწეროს დაწვრილებით ის დანაკლისი და გარემოება, რომელშიაც შევლენ მებატონენი პირადის გლეხთ სამსახურის მოშლისაგან და ეთხოვოს მთავრობას შემწეობა ფულითა. 3. მამული, რომელშიაც გლეხთა აქვთ ბინადრობა, ესე იგი: სახლკარი, სხვა და სხვა მოშენობა, ვენახი და სახნავი დაჰშთეს ხელშეუვალ საკუთრებად მებატონეთა. 4. განთავისუფლებულთ გლეხთ დაშთეთ ნება დროებით სარგებლობისა იმავე სახლკარით, ვენახით და საბლის მამულის სახნავით, რომელიც დღეს უჭირავს ხელში. 5. რაც ვადა დაწესდება, იმ ვადამდის გლეხს არ მოეშალოს თავისი ბინადრობა და ზემო ხსენებულის მამულის ხმარება. –

7. 8.

ამ გლეხებს უნდა დაედოთ გადაკვეთილის ხარჯის გაღება სასარგებლოდ მებატონეთა, ესე იგი დაეწესოთ ხარჯი: ბინადრობისა, ვენახისა, სახნავისა, ტყისა და საძოვრის ხმარებაზედ.

10.

მეშვიდეს მუხლში არის მოხსენებული.

11.

როდესაც დაწესებული ვადა გავიდეს, მებატონეს უფლება ჰქონდეს ისე მოურიგდეს იმისს მამულზედ მდგომარეს გლეხსა, როგორც ენებოს და თუ გლეხებმა მებატონის მოთხოვნილება არ მიიღონ, მაშინ დაუტეონ მისი მამული.

12.

რაც წესი დაიდება იმ წესმა უნდა იმოქმედოს 10 ანუ მეტ ნაკლების წლის ვადით.

10. **სიღნაღის უეზდიდამ. ცამეტნი პირნი:**

სტატსკი სოვეტნიკი კნ. იასე ანდრონიკოვი.
კოლლეჟსკი სოვეტნიკი კნიაზ დიმიტრი ჯორჯაძე.
შტაბს კაპიტანი კნ. იოსებ ჯორჯაძე.
– გიორგი ჯორჯაძე.
კოლლეჟსკი რეგისტრატორი კნ. ალექსანდრე [ჯორჯაძე].[3]
პოდპორუჩიკი [კნ. ჯორჯაძე].[4]
პოდპორუჩიკი აზ. ზაალ წინამძღვაროვი.
სტატსკი სოვეტნიკი კნ. რამაზ ანდრონიკოვი.
ღენერალ მაიორი კნ. შალიკოვი (2).
კნ. იაკობ ჩერქეზოვი.
– ივანე ჩერქეზოვი.
– რამაზ ჩერქეზოვი.
– დავით მალცევი.

1, 2, 3, 4, 5.

იგივე აზრი.

7.

იგივე აზრი.

10.

იგივე აზრი.

14.

იგივე აზრი.

11. **თელავის უეზდიდამ. 48 პირნი:**

ღენერალ მაიორი კნ. ლეონ ჩოლაყაევი.
– სფირიდონ ჭავჭავაძე.
როტმისტრი კნ. კიაზო ერისთავი.
კნ. დავით ერისთავი.
– ტატო მაყაევი.
– ალექსანდრე ჩოლაყაევი.
– გულბათ ჭავჭავაძე.
– იოსებ ერისთავი.
– ალექსანდრე ჯანდიერი.
– ალექსანდრე ჩოლაყაევი.
პოლკოვნიკი კნ. რევაზ მაყაევი.
ტიტულიარნი სოვეტნიკი კნ. რამან მაყაევი.
კნ. ივანე მაყაევი.
– ვასილ მაყაევი.
– ბეგირ მაყაევი.
– გრიგოლ მაყაევი.
– სვიმონ მაყაევი.
კაპიტანი კნ. ბიძინა ჩოლაყაევი.
კნ. ოთარ ჩოლაყაევი.
– რამან მაყაევი.
– გიორგი ჭავჭავაძე.

– დავით ჭავჭავაძე.
მაიორი კნ. სოლომან ჭავჭავაძე.
კნ. ათანასე ვახვახოვი.
კნ. გიორგი ვახვახოვი.
– რევაზ ვახვახოვი.
– ალექსანდრე ვახვახოვი.
პორუჩიკი კნ. მიხეილ ყარალოვი.
კნ. გიორგი ყარალოვი.
– რამან ჭავჭავაძე.
პოლკოვნიკი კნ. გიორგი ჯანდიერი.
პორუჩიკი კნ. გიორგი ჯანდიერი.
პრაპორშჩიკი კნ. ალექსანდრე ჯანდიერი.
კნ. დიმიტრი ჯანდიერი.
– გიორგი ჭავჭავაძე.
პრაპორშჩიკი ლევან ჭავჭავაძე.
აზნ. ქაიხოსრო გოგნიევი.
– ალექსანდრე გოგნიევი.
– ზაქარია გოგნიევი.
კნ. მიხეილ ქობულოვი.
– გლახა ბაბადიშევი.
პრაპორშჩიკი კნიაზ სოლომან ვახვახოვი.
კნ. ზურაბ ტუსიევი.
აზნ. ნიკოლოზ ნათალოვი.
კოლლეჟსკი რეღისტრატორი ივანე აბელოვი.
აზნ. ბესარიონ აბელოვი.
– იაკობ კობიევი.
– ნიკოლოზ ყოდალოვი.

1.

არ არის მრთელს კახეთში არც ერთი კეთილ შობილის ოჯახი, რომ დატვირთული არ იყოს პრიკაზის ვალითა, ან გარეშე პირთაგან დიდის სარგებლით ნასესხები ფულითა. ეს სამძიმო მდგომარეობა წარმოსდგა ამ საუკუნეში; სხვა და სხვა გარემოებამ შეგვაიწროვა და ნამეტნავად სასამართლოებში ბრძოლამ ჩვენს ყმებთან, ანუ თუ ურთიერთარს შორის, ასე რომ არ არის ჩვენში არცა

ერთი გვარი, რომელსაც თავისი ყმა და მამული დიდის ტანჯვით და ხარჯით არ გამოეხსნას დავისაგან და არ განევლოს რუსეთის მთავრობის სამჯავროებში ერთხელ ანუ ორჯელ.

ეს ვალი ისე აღორძინებულია ყოველს საგვარეულოში, რომ თვითეულს ოჯახს ექადის დაცემა და აოხრება. ამის გარდახდაც არავის შეეძლო აქამომდე, რადგანაც მხარე ჩვენი, გარემოცული განძვინებულთა ჩვენზედ ველურთა კავკასიის შვილთაგან, ასეთს აღშფოთებულს და განუსვენებელს მდგომარეობაში იყო 1859-მდე,[5] რომ თვითოეულის სახლის ყოველნი ჰასაკოვანნი წევრნი მამრნი, დაიარაღებულნი დარაჯობდნენ თავის სახლობას უეცრად მტრის ზედა დასხმისაგან; – უნდა ვსთქვათ ესეცა, რომ მრავალი მათგანნი უმეტესსა ნაწილსა წელიწადისასა განატარებდნენ სამსახურში, თავისს სახლობათაგან განშორებულნი და ამისთანა მდგომარეობაში ნუ თუ შესაძლებელი იყო ჩვენგან გაუმჯობესობა ყმისა და მამულისა და იქიდამ შემოსავლით ვალების გარდახდა? ამისთანას განნირულებითს მდგომარეობაში მყოფნი ჩვენ, გლეხების განთავისუფლების შემდეგ, უეჭველია, უარეს იწრობაში ჩავვარდებით, რადგან მოვაკლდებით სხვა და სხვას იმათს სამსახურსა და გამოსაღებსა, და აგრეთვე მოსამსახურეებსა და მუახლეებსა, თუ ყ[ოვლა]დ მოწყალე ხელმწიფე ხელს არ აგვიპყრობს ამაში.

2.

მდგომარეობა კახეთისა დაღესტნის დამშვიდებადმდე შესაძრწუნებელი იყო. გლეხნიცა ერთობ თავის მებატონეებთან გარდაითმენდნენ მოუსვენებელს ცხოვრებას, როგორც კერძოობითად თავისს სახლებში მტრისა გამო, ეგრეთვე საზოგადოდცა ხელმწიფის სამსახურში. 1830 წლიდგან დაწესდა კახეთში ქართული მხედრობა, სახელწოდებით ქართული ქვეითი მილიცია, რომელიც იყო შემდგარი 500-ის კაცისაგან თ[ავად]თა და აზ[ნაურთ] სოტნებისა[6] და ურიადნიკების დაწყობით. თუმცა ეწოდებოდა ქართული ქვეითოსანი მილიცია,[7] მაგრამ 1845-ს აძლევდა იმ 500 კაცს მხოლოდ ორი უეზდი კახეთისა, თელავი და სიღნახი; იჭერდნენ ქირით ბადლებს 15-დამ 20 რუბლამდინ თვეში, რაიცა შეადგენს (თვითოზედ წელიწადში 200 რუბლის ანგარიშით) 100 000 რუბლსა, 15 წელიწადში 1 500 000 რუბლსა. – უბადრუკნი გლეხნი აიღებდნენ პურსა და

ღვინოზედ ვალებსა სომხებისაგან და აძლევდნენ თამასუქებსა; ამასთანავე არ მოსდიოდათ მოსავალი შეუმუშავებლობისა გამო, რადგანაც აკლდათ ხელი და ვეღარ მუშაობდნენ არა თუ მხოლოდ თავისს მამულებსა, ა[რამე]დ მებატონეებისასაცა; – ვალის გარდაუხდელობით იწერდნენ ზედვე სარგებლის სარგებელსა და ამ გვარად პური და ღვინო იმათი გამოუხსნელად იყო მოვახშეთ ხელში და რავდენითამე წლით წინათვე ჰყიდდნენ პურისა და ღვინის მოსავალსა. ამ მდგომარეობაში იყო და დღესაც არის კახეთი. ზემოხსენებულს მილიციას გარდა კახელებს ჰყავდათ სხვა და სხვა ადგილებში: ალაზნის გაღმა, ბეჟანიანში, რამდენიმე ასი კაცი და გამოღმაცა ლინიებზედ ეგრეთვე ასასობით სხვა და სხვა მხარეზედ საბრძოლველად იგზავნებოდნენ როგორც სხვათა უეზდთაგან ქვეითნი თუ ცხენოსანნი, ეგრეთვე მრთელის კახეთისაგანაცა და ამისათვის ეგრეთვე იღებდნენ ვალებსა და უწინდრებდრებდნენ პურსა და ღვინოსა დიაღ მცირე ფასად. გარდა ამისა რავდენი სხვა და სხვა ბეგარა ედვა გლეხკაცობას, სახელმწიფოს თუ საბატონოს დაწესებულს გარდასახადს გარდა, რაიცა ყოველივე ესე ცნობაში აქვს თვით მთავრობასაცა. ყოველი ესე შეწუხება, გარდათმენილი კახეთისაგან, ნამეტნავად დროდგან დაწესებისა აქ კორდონის ლინიისა, სადაცა ამ მცირეს სივრცეზედ ტრიალებდა შვიდი ათასიდგან რვა ათას კაცამდინ, რუსის მხედრობა, ცხადად ჰსჩანს მიწერ-მოწერისა გამო კორდონის უწყებისა სამოქალაქო მმართებლობასთან სხვათა და სხვათა მოთხოვნილებათა ზედა, აღსასრულებელთა კახელებისაგან. აი პატივ-საცემელნი მიზეზნი, რომელთა გამოცა არ უნდა მიეჩემოს გარდასახდელად უკიდურესს სიგლახაკეში მყოფს კახეთის გლეხკაცობას ის ფული და თუ წინააღმდეგ კაცობრიობისა გლეხთა დასტვირთვენ ამ გარდასახადს ფულსა, მაშინ უეჭველად მოხდება იმათსა და მებატონეთა შ[ორი]ს დიდი უსიამოვნობა და განხეთქილება; აღსდგება მოუწყვეტელი საჩივარი საჩივარზედ, რომლითაც დასასრულ თვით მთავრობაც ბეზარს მოვა და თითქმის არ ექნება ღონის ძიება მოკვეთისა. ამითი ჯეროვანის პატივისა და თავის მოყვარების დამვიწყებელთ თავი უნდა გაუყადროთ ჩვენ იმათ, ვინც აქამომდე იყვნენ ჩვენდამი მონებრივის მორჩილებისა და ბატონყმურის პატივისცემის საზღვარში და სამსჯავროში თუ მოსამართლეს პირთან მოვექცეოდეთ და ვებაასე-

ბოდეთ, როგორც გარეშე მოვალესა და ამასაცა ვიქმოდეთ თვინიერ საქმის წარმატებისა, რადგანც ღონის ძიება არა ოდეს არ ექმნებათ იმათ ჩვენის დაკმაყოფილებისა. ამისთანას მოთხოვნილებით და ძალის დატანებით უნდა განვამწარებდეთ იმათაც, რომელნიც დღევანდელ დღედმდე გვიმზერდნენ ჩვენ, როგორც მზრუნველ მამებს და თვით სასიკვდილოთაც მზათ იყვნენ, რომ თავი შემოეწირათ ჩვენთვისა. –

3.

საქართველოს ჩვეულება გვაძლევს უფლებასა, რათა თვითოეულის კომლიდგან გამოვიყვანდეთ ერთსა მსახურსა. – რადგანაც ახლანდელ დროში ერთის მოჯამაგირის ფასი არის წელიწადში 50 და 60 რ. ამისთვის მოგვეცეს თვითოეულს კომლზედ ეს ფული მოსამსახურის ფასად, რაოდენმე შესამსუბუქებელად ჩვენის ყოფა ცხოვრებისა კერძობის გამო მაინც. –

5.

ღეოღრაფიული მდგომარეობა კახეთისა ასე შეიწროებულია ნამეტნავად თელავის უეზდისა, და ისე მცირე მამულები არის, რომ მაღლითგან თვალის გარდამვლებს წარმოედგინება კახეთი ერთბაღად, გაშლილად იწროს ღელეში ალაზნისა და აქა-იქ გარდასერილად მცირე ველებითა და ეს მცირე სივრცე რომ განვანაწილოთ, ან ჩვენთვის რაღა დარჩეს და ან იმათ რა ერგოსთ გამოსადეგი. ერთის სიტყვით კახეთი ისე შეიწროებულია თავისის სამზღვრებით და სახნავ სათესითა, რომელ მრავალნი მებატონეთაგანნიცა, მამულის უქონელობით, ღალითა ჰხვნენ საეკლესიო მიწებსა. ამისთანა ხელის გამართვა ურთიერთში და იოლად წასვლა აქამდინ დიაღ ადვილი იყო მეზობლობისა გამო, ასე რომ მრავალი მებატონენი თავიანთის გლეხებითურთ ჰსარგებლობდნენ მეორე მებატონეს მამულითგან ან საეკკლესიო და სახელმწიფო მამულებითგან მუქთად; მარა შემდეგ ბატონ-ყმობის დასრულებისა, ცხოვრების ღონისძიებათა გამო შეიწროებულთა მებატონეთა რაღა დაჰშთებისთ, თუ არ ის, რომ მტკიცედ მოეჭიდნენ იმ მცირეს მამულებსა, სახნავსა თუ ტყესა და აღარავის გააწეწინონ და ააოხრებინონ, ნამეტნავად როდესაც ყოველი მამულ-დედული განისაზღვრება მეჟევის

კომისიისაგან[8] და ყველას ეცოდინება თავისი საკუთრება – ნაგლეჯი მიწა და იმითი უფრო მაგრა მოეჭიდება და დაიცავს ყველა თავისს საკუთრებას, რომ ვეღარც საეკკლესიო მამულებიდამ ისარგებლებენ უფულოდ და ვეღარც სახელმწიფოდამ, როგორც აქამდინ სარგებლობდნენ შეუძლებელნი და მრავალნი უმამულო მებატონენი, რაიცა ცხადად ჰსჩანს ეხლავე დაწესებულთა სახელმწიფო ლესნიჩებთა გამო.[9] ამისთანა თან და თან მოქადულს ჩვენდა ცხოვრების შეიწროებაში, გასაჭირად ექმნებათ არსებობა და შეუვიწროვდებათ ცხოვრების გზა მებატონეთა და არა გლეხთა, რ[ომე]ლთაც მაშინ თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო მამულებიდამაც. ამის გამო მებატონემ რომ განუნაწილოს კიდეც ყმებსა თავისი საკუთრება – მიწა, მაშინ შეიძინებს იმდენს მტერს და მოჩხუბართ პირთა, რამოდენს კომლსაც განათავისუფლებს ყმობითგან, გაჩნდება დაუდგრომელი ჩივილი მამულის გამოისობით, ასე რომ მთავრობა თვით მიწერ-მოწერასაც ვეღარ აუვა, არამც თუ მოჩივარნი მოესწრნენ საქმის დაბოლოებასა. ამას გარდა ის მცირე ნაწილი, მიცემული გლეხისადმი, სულ დააფოლებს დანარჩენს მებატონის მამულსაცა და გლეხი აღარავინ გაივლის მებატონის მამულში შესამუშავებლად. მაშინ რა საკვირველია უღონომ, მცირე შემძლებელმა მებატონემ უნდა სრულებით ხელი აიღოს დანაშთენის მამულისაგანაც და იმავე გლეხს ამ ახალს თავის მომიჯნავეს და მოძმეს, მისცეს ის სულ უბრალოდ ფასად და საუკუნოდ გამოესალმოს მამაპაპეულს სამკვიდრებელსა! ეს ჯიბის ფული მალე გამოელევის არა რაისამე ხელობის მცოდნეს და სამსახურის შემძლეს ნაპომეშჩიკარს გვამს,[10] და მაშინ მის მეტი რაღა დარჩება, თუ არა ესე, რომ აიღოს სამგზავრო კვერთხი და შეუდგეს ბედის წერის გზას და იტანტალოს არსების პურის მოსაპოებლად! აი საჩინო საგანი, რომელზედაც უნდა იყოს მიქცეული ყოველივე ჩვენი ყურადღება და რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი და შვილთა ჩვენთა წყარო ცხოვრებისა და კეთილ-დღეობისა! ამას რომელნიმე პედანტნი მსუბუქად, უსაფუძვლოდ და ფრანტულად ყოველისავე მიმომთქმელნი პირნი, რომელთაც არა რად უღირსთ ამ გვარი ლაპარაკი თავიანთ თავის გამომჩვენებლობისათვის საზოგადოობაში, რადგან თვითქმის არა რაისამე მექონნი, ამით არა რას ჰკარგვენ, ადვილად განჰსჯიან ვითამც მოყვასნი კა-

ცობრიობისანი და მლიქვნელობენ სასიამოვნოდ მმართებლობისა საჩინოთა პირთა, მდაბიოთა აღაღადებენ და მშობელსა მამულსა ჰღალატობენ. –

6.

გლეხნი, რა საკვირველია, მადლობელნი უნდა იყვნენ თავისუფლების მიღებითა, ამ ძვირფასის ნიჭითა, რომელიცა ჰქონდათ იმათ მიხდილი რამდენსამე საუკუნესა და დამონავებულ იყვნენ ჩვენდა მეფეთა ჩვენთაგან დიდთა სამსახურთათვის წინაპართა ჩვენთა და მათის სისხლის დათხევისათვის მამულის გულისათვის და მრავალნი მათგანნი თვით ახალს დროებაში, მოსყიდულ არიან დიდის საფასით მრავალთა პირთაგან, რ[ომე]ლთაცა დიდის ღვაწლით შეძინებული ფული წარუგიესთ იმათ მოპოებაზედ და რ[ომე]ლთამე მოუსყიდნიეს ისინი ნავალების ფულითაცა. ეს თავისუფლება აძლევს მათ აღურიცხველს ღონის ძიებას გაუმჯობესებისათვის იმათის ყოფა ცხოვრებისა და დაუბრკოლებლად აღრჩევისათვის იმა ცხოვრებისა, რ[ომე]ლიცა მოიწადინონ და ნუ თუ არა საგრძნობელ იყოს ეს მათთვის და დასამადლებელ? ამა თავის უფლებისათანა, არ მოუშლით ჩვენ იმათ, რისაცა უძრავისა და მოძრავისა მამულისა მქონებელნი არიან, ათს ანუ თორმეტს წლამდინ, თავისუფლების გამოცხადების შემდეგ. ამ პაემანის გასვლამდინ იმას შეუძლია გულ დამშვიდებით ნელნელა მოემზადოს და ხელი გაიმართოს ყოვლის ფრივ შემდგომის ყოფაცხოვრებისათვის, ასე რომ თუ აქ აღარ მოინდომოს დარჩენა და გარდასვლა მოუხდეს იმას სხვას მამულზედ და თავის მებატონიდგან გასვლა, მაშინ ის ყოვლის ფრით გამზადებული და – ასე ვჰსთქვათ, გამზითული, შეუწუხებლად წავიდეს სადაც ჰნებავდეს, – მაგრამ ისე რომ არც მებატონე აზარალოს მამულის წახდენით და თუ მიუცილებლად ჰსურდეს იქიდამ აყრა, მაშინ ერთის წლის წინათ შეატყობინოს იმას თავისი განზრახვა, რომ აღარა ჰსურს იქ ცხოვრება, რათამცა ამ წლიურის ვადის გამდინარებაში, მამულის პატრონმან იპოვნოს იქ დასასახლებლად, იმის სამაგიეროდ, სხვა გლეხი, რომ ის მამული არ დარჩეს შეუმუშავებლად და არ აუოხრდეს და მაშინ ნება ჰქონდეს იმას ნამუსიანად და თვინიერ უსიამოვნებისა გამოეთხოვოს და წავიდეს; ჩააბაროს რა პატრონს ის მამული წაუხდენელად

და უნაკლულოდ იმავე სიით, რომლითაცა მიეღოს მამული და თუ თავისის კარგის კაცობით გაეკეთებინოს რამე და შეეძინოს მამულისათვის სიით ჩაბარების შემდეგ, მაშინ თანახმად ურთიერთ შ[ორი]ს დაწესებულის პირობისა, მორიგდნენ ისინი. აი მოსამადლიერებელი გლეხებისა და შესაფერი კაცობრიობისა.

7, 8, 9.

რა რომ გლეხს თავისუფლება მიეცემა, მაშინ პირველ დაწესებულის ვადის გასვლამდინ მამულის პატრონს უნდა ჰქონდეს ისევ ის სამსახური, რაც აქამდინ ჰქონია, გარდა პირადის სამსახურისა, სახელდობრ: მსახურისა და მოახლისა, საქვრივოსი, საჩექმესი, სააღაპოსი, საქორწილოსი, გასამყრელოსი, შესამყრელოსი, წლიურისა ანუ საჭიროებისა გამო ფულის შეწერისა, ღვინისა და ვოდკის სალამათისა, საქონლის სალამათისა, თავის გასამტეხლოსი; გარდა ეგრეთვე ძღვენებისა: საახალწლოსი, საახალწლო შეშისა, სააღდგომოსი, ახლის ნუგბრისა, ყოველის მიწის მოსავლისა, კალოს ძღვნისა და საჭირისუფლოს ძღვნისა. ყოველივე ესე ეპატივება და მამულის სამსახური ძველის ჩვეულებით მოვა ცნობაში, ვენახის პატრონმა კულუხი, ხვნისათვის ღალა, ბალახისათვის, ტყისა და წყლის ხმარებისათვის ბეგარა, ურმით, მუშით, როგორც და რაშიც უმსახურნია ყოველსავე ამაში ერთმანერთში მორიგდებიან ასე, რომ არც ერთს მხარეს სამდურავად სათქმელი არა ჰქონდეს რა. მამულის პატრონს ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ გლეხნი მამაპაპით, ძველის დროებითგან იყვნენ ჩვენნი და შეადგენდნენ სახლისა ჩვენისა შვილთა და მამაპაპათგან ჩვენთა იყვნენ ზრუნვილ, როგორც შვილნი და ახლაც უნდა ვიგულოთ ისინი შვილებად და მონაწილეებად. ყოველისავე ჩვენს ბედნიერებასა და უბედურებაში, ვიქონიოთ თვალ წინ იმათი ჩვენზედ სამსახური და ჭირნახულობა, – და ამის მიხედვით რაოდენ შეიძლებოდეს, შევამსუბუქოთ იმათი სამსახური და მადლიერ ვჰყოთ ისინი. აი რას უნდა ჰსცდილობდეს კეთილი მამულის პატრონი, თუ არა თვით თავისს თავს აზარალებს. ამ პირველს შემთხვევაში ისე უნდა განისაზღვროს ჯერეთ სამსახური და სხვა არა დაწესდება რა ახალი არა რომლისამე მხრისათვის სამჯობინარო და შემდეგ დროება

აღმოაჩენს ყოველსავე ნათლად, რაიცა ახალი იქმნება შემოსატანი და ძველი შესამოკლებელი ან გასაუქმებელი.

10.

გლეხისაგან სამსახურის გაწევა მებატონესადმი, შემდეგ მათის განთავისუფლებისა, შეუძლებელიღა არის ძველის ჩვეულებისამებრ. ეს ჩვეულება დაწესებულ იყო ჩვენთა მამაპაპათაგან დროებით, მიხედვისამებრ სხვა და სხვათა გარემოებათა და შემთხვეულებათა, ასე რომ რომელთამე გლეხთა რომლისამე წარჩინებულის სამსახურისათვის, განათავისუფლებდნენ ზოგიერთის სამსახურისაგან და ააზატებდნენ შვილით შვილად, სხვით და სხვითა პატივსადებელითა მიზეზითა. ყოველს სამსახურს აღასრულებდნენ, ეგრეთვე სხვისა და სხვის ვითარების მიხედვით ერთის მხრის გლეხთა, განსხვავებულად იმსახურებდნენ მეორეს კერძოს გლეხთაგან და ოდესმე ჰსცვლიდნენ ამ სამსახურსაცა და ერთსა მეორის ანგარიშში ჩააყენებდნენ და ამ სახით დროთ გარემოებათ და შემთხვეულებათ მიხედვითა განისაზღვრებოდნენ და ურთიერთთა შ[ორი]ს განსხვავდებოდნენ გლეხთ სამსახურნი; მაშასადამე, აწმყოს ჩვენს მდგომარეობაში შემდეგ გლეხთ განთავისუფლებისა ჩვენის ბატონყმობიდამ და მის მიერ სხვათა და სხვათა სამსახურთა და გასაღებთაგან, სამსახურიცა გლეხთა, შემდეგ ვადისა უნდა დაწესდეს ჩვენის მდგომარეობის და საჭიროების მიხედვით სრულიად ახალს საფუძველზედ. –

11.

მამულის პატრონს უნდა მიეცემოდეს იმისს ადგილში დამყარებულთა გლეხთაგან ის, რაც რიგი არის თავისუფალის კაცისაგან გასაღები მიხედვისამებრ ქვეყნის ჩვეულებისა. ესე წესი უნდა დაიცვებოდეს მხოლოდ პირველის ვადის გასვლამდინ დაურღვევლად, ასე რომ მამულის პატრონს ნება არა ჰქონდეს ამ ჩვეულებით დაწესებულის სამსახურის შეცვლისა, და რა რომ გავიდეს ეს პაემანი, მაშინ, როგორც წინა მუხლში მოვიხსენეთ, სრულიად ახალს საფუძველზედ უნდა დაწესდეს გლეხების სამსახური, რა საკვირველია მამულის პატრონის და გლეხთა სრულიადის ურთიერთა შ[ორი]ს თანხმობითა და სიამოვნითა. –

12.

გლეხისათვის ბევრით სამჯობინარო არის თავისის მუშით უშველოს მამულის პატრონსა, ვიდრე მუშის ფული აძლიოს, რაიცა ყოველთვის გასაჭირი იქნება მისთვის და ძნელადაც აღსასრულებელი. ეგრეთვე მამულის პატრონისათვისაც სასარგებლო არის ესე, ამისათვის, რომ გულ დამშვიდებული იქნება რომ თავისს დროზედ მუშა იდგება იმისს სამუშაოზედ და ყოველთვის საძებნელად და გასაჭირად აღარ ექნება საქირავებელის მუშის დაჭერა. – ორისავე მხარისათვის სასარგებლო იქნება ესე, თუ კი გლეხი სინიდისიანად მოიქცევა და ყოველთვის თავისს დროზედ მუშა ეყოლება მებატონის სამუშაოზედ; მაგრამ ჩვენი გლეხები ისე დაზარმაცენულნი არიან მებატონის სამსახურზედ, რომ მანამ დღე კარგათ არ გატყდება და საუზმის დრო არ მოატანს, არ მივლენ სამუშაოდ და რაკი ბატონ ყმობა აღარ იქნება და თავისუფალნი იქნებიან, მაშინ იქნება დღეც გააშუადღეონ და მაშინ მივიდნენ და რაც იმუშაონ, ისიც უგულოთ და ჯაბრით. ამისათვის საჭირო არის გადაიჭრას დღიური მუშის ფასი. ისე, როგორც იმ დროს იმ სოფელში იყოს დაწესებული და თუ მართლად გლეხმა იცუღლუტოს და თავის დროზედ არ მივიდეს სამუშაოდ მებატონის საქმეზედ, მაშინ გამოერთვას იმას მუშის ფული. თუ როგორმე ფულის მიცემაში გააცოდვილოს გლეხმა მამულის პატრონი და დასცაროს იმისი მუშაობა, მაშინ ერთი ორად გამოერთვას იმას ის ფასი. –

13.

მამულის პატრონსა და გლეხსა შ[ორი]ს უნდა იყოს ვადა დაწესებული ორისავე მხრის თანხმობით და კანონიერს პირობის ქაღალდზედ დაწერილი. ამ წერილის ძალით თავისუფალს გლეხს, ნება არ უნდა ჰქონდეს სხვაგან გარდასახლებისა ვადის გასვლამდის, უკეთუ იმ ქაღალდის პირობის მუხლნი მტკიცედ დაცულ იქმნებიან მამულის პატრონისაგან და თუ ის პირობაები დაირღვნენ იმისაგან, მაშინ თუ მოინდომებს გლეხი იქიდგან აყრას შეუძლიან გადავიდეს, სადაც ჰსურდეს ვადის გასვლამდინ; ეგრეთვე თუ იმ პირობაებს დაარღვევს გლეხი, მაშინ მამულის პატრონს შეუძლიან დაითხოვოს ის თავისის მამულიდამ და ვინც უნდოდეს იმის მაგიერად, ის დააყენოს იქა. თუ ორისავე მხრით პირობა მტკიცედ აღ-

სრულდების, მაშინ ვადის გასვლამდის არც მამულის პატრონს შეეძლოს გლეხის დათხოვნა და ვერც გლეხი გამოვიდეს იქიდამ. თუ ვადის გასვლის შემდეგ გლეხმა აღარ მოიწადინოს იქ დარჩენა, მაშინ ვალდებულია ისი, მანამ ვადა გავიდოდეს, როგორც ვჰსთქვით მეექვსე მუხლში, უკანასკნელი წლის წინეთ შეატყობინოს მამულის პატრონს, რომ აღარ ჰსურს იქ დგომა, რომ იმით დრო ჰქონდეს მამულის პატრონს იმის სამაგიეროდ სხვა გლეხის შოვნისა და იქ დასახლებისა, რომ მამული უქმად არ დარჩეს და არ იზარალოს.

14.

ამ პირველს არევდარევაში, ვინემ დრო დაამშვიდებს ყოველსავე და წესიერებაში მოიყვანს, და ან ერთი და ან მეორე მხარე შეეჩვევა ამ მძიმეს საქმეს, პირველი ვადა, რაც შესაძლოა, გრძელი ჰსჯობს დაწესდეს, – ***ათის*** წლიდამ თორმეტამდინ.

12. გორის უეზდიდამ. თ-დი **დავით ციციანოვი.**

1.

ფულის თხოვნა შეგვიძლია შემდგომთა მიზეზთა გამო:

1) რადგან ჩვენ მრავალნი თავადნი და აზნაურნი გარდმოვსახლებულვართ სხვა და სხვა სამეფოთა და სამთავროთაგან,[11] თვით საქართველოს მეფეთ თხოვის გამო, განძლიერებისათვის სამეფიოსა მათისა და დაცვისათვის მართლ მადიდებელთ სარწმუნოებისა და მეფეთაგან აღთქმითა, უკეთუ წინაპარნი ჩვენნი მოაკლდებოდნენ ყმათა და მამულთა გარდმოსახლებისა გამო პირველთა მათთა სამკვიდროთაგან, მაშინ იგინი უბოძებდნენ საქართველოსა შინა მომატებით; ხოლო ოდეს წინაპარნი ჩვენნი გარდმოსულან, მათ მოჰყოლიან თვისნივე ყმათაგანნი, აზნაურნი და გლეხნი, და დასახლებულან, უმსახურნიათ მეფეთა და მამულისათვის; აწ კითხვა ჯერ არს: როდესაც საქართველოს მეფეთ არა ვითარიმე კანონი არა აქვნდათ ამ გვართა ყმათა მიხდისა; მაშ აწ რუსეთის იმპერატორს, რომელსაც არა რაიმე მოუცია და ჩვენ არც ხლმით დაუპყრივართ, არამედ ჩვენის ნებით შევსულვართ მფარველობასა და მონების ქვეშე, – რა სიმართლე ექმნება, თვინიერ

ჯილდოს ანუ ფასის მოცემისა ყმათა ჩვენთა განთავისუფლებისათვის? –

2) წინაპარნი ჩვენნი როდესაც მოსულან საქართველოდ, მეფეთაგან მიმძლავრებიათ მტერთა მამულნი და ყმანი და თვისდა საკუთრებად დაუპყრიათ, – მაშინ წინაპართა ჩვენთა ძლიერებითა თვისითა და სისხლის დაღვრითა განუძვიათ მტერნი და დაუპყრიათ ყმანი და მამულნი იგი, შემდგომ მეფეთაც ღრამატით დაუმტკიცებიათ და მოუშლელობისათვის მათისა მათთა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან ფიცით და შეჩვენებით შეკრულან, რომელნიც იხილვებიან თვით საქართველოს მეფეთა ღრამატათაგან და ისტორიისაგან საქართველოისა. –

3) საქართველოს კეთილშობილთ გამოჩინებულთა სამსახურისათვის წინაშე მეფეთა თვისთა, რომელნიცა დროთა მტერთ ზედ დასხმისათა, შეუწირავთ თავნი თვისნი ერთისაგან სახელისა და გვარისა ერთ ჟამს რავდენთამე პირთა, მათთა მემკვიდრეთ მეფეთაგან ჰბოძებიათ ვითარცა ნიშანი განმასხვავებელი, ყმანი და მამულნი, რომელთაც საქართველოს მეფენი თვინიერ საკუთარის მეფისა და სარწმუნოების ორგულებისა, სხვისა რომლისამე შეცოდებისათვის ვერ მიხდიდნენ: აწ რა შეცოდება მიგვიძღვის თვინიერ სამაგიეროს მოცემისა, მიგვეხადნენ ესე ვითარის ღვაწლით მოპოებულნი ყმანი? –

4) როდესაც საქართველო შეაერთა რუსეთსა მეფემან გიორგი XIII-მან და შემდეგ გიორგის აღსასრულისა, ოდეს ღენერალ კნორრინგმან განმხსნელმან საქართველოსა შინა რუსეთის მმართებლობისამან გამოუცხადა საქართველოს მეფეთ მოხელეთა აღხოცა მათ მიერ ნაქონების სახელოისა, მაშინ იქმნა საქართველოს თავადთა და აზნაურთა შორის რყევა და ამბოხი, განიზრახვიდნენ რომელ რუსეთი უთუოდ შეეხებოდა სხვათაცა მათთა სამკვიდრებელთა; ისურვეს უარის ყოფა რუსეთის მფარველობისა და მონებისა; გარნა კურთხეულმან ალექსანდრე I-მან 1801 წელსა სეკტემბრის თთუეში გამოსცა უმაღლესი მანიფესტი თვისი, დასამყუდროებელად კეთილშობილთა ჩვენთა, რომელსაცა შინა განაცხადა, „რომელ კეთილშობილნი საქართველოსანი დაჰშთებიან ყოვლისავე სახით და მდგომარეობითა მით, რომლითაცა იყვნენ უკანასკნელის მეფის გიორგის დროს“. – ამან უკვე უმაღლესმან მანი-

ფესტმან ვითარცა უტყუელმან წინდმან საქართველოს კეთილშობილთამან, განაღვიძეს მათ შორის სურვილი ყმათა შეძინებისა, ამისთვის მოისყიდნეს ყმანი, მისცნეს არა მცირედნი ფასნი და ნასყიდობის წერილთ სასამართლოს ადგილთაგან შესასრულებლად პოშლინა;[12] ხოლო რომელთაცა არა ჰქონდათ ხელათ თეთრი, აიღეს ვალი, ვითარცა დღევანდლადმდე მრავალთა პირთა გარდუხდელად აძევსთ: ნუ თუ სიმართლე იქმნება ყმანიც წაერთვათ და ვალიც მათზედვე დაჰშთეს? –

5) მებატონეთა ყმათა თვისთა მდგომარეობის წარსამართებელად მიგვიცია არა მცირედნი მამულნი უღალოდ; რომელთაცა არა ჰყოლიათ პირუტყვნი თვისდა სამუშაოდ, დროსა საჭიროებისასა საზრდელი, გამოსაზრდელად თავისა თვისისა და სახლეულთა მათთა, მოსამსახურეთათვის ცხენი, იარაღი, გაგვითარხნებია სახლობანი მათნი ყოვლისაგან გამოსაღებისა და სათხოვრისა, ამით და ესე ვითარის შემწეობითა მებატონეთა თვისთათა, გლეხნი მიწევნილ არიან ესე ვითარის მდიდარის ცხოვრებისა მიმართ, რომელ მრავალნი მათგანნი უმდიდრეს არიან მებატონეთა თვისთა ზედან. –

6) უკეთუ გლეხთაგანი ვინმე მტერთაგან იქმნებოდნენ წარყვანილ, მებატონენი დაუზოგველად სიცოცხლისა თვისისა, მეცადინეობდნენ საშუალობითა მახვილისათა განთავისუფლებასა მათსა; ხოლო ოდეს ესე ვითარის საშუალობით ვერ უსწრებდნენ გამოხსნასა მათსა, მაშინ მოიხმარებდნენ თეთრსა სახსრად მათდა; ხოლო რომელთაც არ შეჰხვდებოდათ ხელად თეთრი დააგირავებდნენ ანუ განსყიდდნენ საკუთართა ნივთთა ანუ მამულთა და მით გამოიხსნიდნენ ტყვეთა მათ; დროსა მტერთა მიმართ დევნისასა განთავისუფლებისათვის ტყვედ წაყვანილთა მათ, მრავალნი მათგანნი თვით იქმნებოდნენ მსხვერპლად მათდა: ჰზრდიდნენ ყმათა თვისთა ობოლთა, არა მცირედის მას ჟამის მიხედვისამებრ შესანიშვნელის წარსაგებელითა. –

7) თვით მმართებლობა დარწმუნებული არის, რომელ საქართველოს კეთილშობილნი კნინღა გამოურიცხველად არიან შთაფლულნი გარდუხდელთა ვალთა შინა; ყმანი და მამულნი მათნი არიან გირაოდ, ზოგნი პოდრიადებში,[13] ზოგნი პრიკაზში[14] და ზოგნი კერძოობითთ პირთან; ამათ ვალების გარდასახადს თავნს თუ სარ-

გებელს სცდილობენ გლეხთაგან შესახვედრის შემოსავლით. – ოდეს გლეხნი განთავისუფლდებიან, მიუცილებლად ყოველნი იგი შემოსავალნიც მოისპობიან; მაშ უნდა ვჰსთქვათ: რაით უნდა გარდვიხადოთ ეს ვალები? შეუძლიანთ გვითხრან – მამულითაო; ჩვენი მამული რომ არ არის იმისთანა მოსავლის მომცემი, როგორადაც სხვანი კერძონი? ეს მამულის შემოსავალი ჩვენის ცხოვრებისათვისაც არ არიან საკმაონი. – არა, – ვალი ამითი არ გარდიხდება; ჩვენ არა გვაქვს არა ვითარიმე ქარხანა, არ ვუწყით სხვა და სხვა ხელოვნებანი, რომლითაც მოვიპოვოთ სხვანი ღონისძიებანი ცხოვრებისანი, უკეთუ ნაცვლად გლეხებისა არ იქმნება დაჯილდოება ჩვენი მმართებლობის მიერ. –

8) მამულთა ჩვენთა ზედა არიან დავანი კერძოდ ხაზინისა, ეკკლესიისა და მომიჯნავეთა პირთაგან, რომელნიცა ჰსწარმოებენ სასამართლოთა ადგილებთა შორის, ვინ უწყის რათამცა სადაონი ესე მამულნი დაგვშთნენ ჩვენ და არა მოდავეთა; ამისთვის ჯერ არს ვიფიქროთ, – რომ არ დაგვშთნენ, რით უნდა ვიცხოვროთ, ანუ ვალი რით გარდვიხადოთ; ყმა ჩვენ აღარ გვეყოლება და მამული. – ამისთვის რვათა ამათ პუნკტთა შინა მოხსენებულ მიზეზთა გამო გვაქვს ჩვენ კადნიერება ყმათა მაგიერ თეთრის თხოვნისა: უმეტეს ამისთვის რადგან თვითოეულს გლეხს ჩვენგან განთავისუფლებისა გამო დაჰშთება მათის გამოსაღებისაგან 316 რუბლიდგან ვიდრე 588 რუბლამდის, ვითარცა იხილვების ცალკე აღრიცხვისაგან. ხოლო კეთილშობილთაგან ვალების აღების მიზეზნი არიან თვით მმართებლობა: ა) ამისთვის, რომელ 1812 წლიდგან მცნებითა ბოროტ განმზრახთა კაცთათა, იწყეს ყმათა ჩვენთა ძიება თავისუფლებისა, ზოგთა სახაზინოდ, ზოგთა საეკკლესიოდ და ზოგთა ტყვეობისა გამო.

ესე ვითარის დავისა გამო ჩვენგან საქმეში გამოუცდელობისა და სასამართლოს წესის უცნობლობისა მ-რ, სადაცა განგრძობილ იყო ათსა, თხუთმეტსა და ოცსა წელსა საქმე, პირის პირ მათ საჩივრებთა რუსულს ენაზედ პასუხებისა და აპელლაციის არზების დასაწერად გორსა და ტფილისს ჩვენდა სასიარულოდ და მუნ სამყოფად და მოსახმარისად, შტრაფებისა[15] და ქაღალდის ფულის გარდასახადად და მრავალ ჟამს განვრცელებულის და სასამართლოსაგან დაუბოლოებელის საქმეების გამო, იძულებულ იყვნენ

აეღოთ ვალად სხვა და სხვათ პირთა და ადგილთაგან არა მცირედის სარგებლით; ბ) მმართებლობისაგან მიწვევისა გამო პირის პირ მტერთა და ლაშქრობათა შინა ცხენთა და იარაღთა, მოსამსახურეთა და საკუთართა თვისთა საზრდოთათვის სასყიდლად, სადაცა დავჰყობდით 6 თთვეს და თითქმის რვასაც, ყოველთა ამათ სახმარებთათვის სხვა არა რაი ღონის ძიება აქვნდათ თვინიერ ვალის აღებისა; ამათ და სხვათა მოუცილებელთა საჭიროებათა გამო შემთხვეულთა სხვა და სხვას დროს კერძოდ მმართებლობისა მიზეზთაგან, რომლისა დასახელებით გამოცხადებას აწ ვრაცხთ უადგილოდ შთავჰსცვივდით გარდუხდელთა ვალთა შინა, რომლისა გარდახდას ველით საშუალობითა ყმათა ჩვენთა; კეთილ-გულის-ხმიერება ითხოვს განვჰსაჯოთ, უკეთუ მმართებლობა ჰზრუნავს გლეხთათვის და მათის მდგომარეობისა წარმართვისათვის, მაშ რა შეცოდება გვაქვს კეთილშობილთა, რათა არა უმეტეს გლეხთა ჩვენთვისაცა იზრუნოს.

შ ე ს წ ა ვ ე ბ ა: ფულს რომ ვითხოვთ, ვისაც ვალი გვმართებს, იმ ვალების გარდასახდელად, პირ და პირ ხაზინამ მისცეს და რაც დაგირავებული მამულები არის დღესვე განთავისუფლდეს და დაშთეს მებატონეთ განკარგულებაში, რომლისაც შემოსავლით ვიცხოვროთ; ხოლო რომელთაც ვალი არა გვმართებს, იმათ პირდაპირ მიეცეს ფული.•

2.

გლეხთ გარდაჰხდებათ ფული თუ თვით ხაზინა მოგვცემს, ეს ჩვენგან არც სათქმელი არის და არც საფიქრებელი, მხოლოდ ჩვენი თხოვა ეს არის, რომ პირველ პუნქტში მოხსენებულთ მიზეზთა გამო გლეხის სამაგიეროდ ფული მოგვცენ: უკეთუ ამისთვის გვსურს თქმა გლეხებს ნუ გარდაჰხდებათო, ვითომ ხაზინამ ერთიან ხელში მოგვცეს ფული, ჯერ ამისი თქმა ვჰგონებ ადრე არის; ჯერ დაგვინიშნონ და შემდგომ ბევრს მიზეზს ვიპოვით ერთიან მოცემისას. –

• მსახურსა და მუახლეს აფასებს კნ. დ. ციციანოვი 40 მანეთად.

დიმ. ყიფიანის შენიშვნა.

3.

კანონი და ჩვეულება საქართველოსი არაოდეს არ აღუკრძალავს მებატონეს რაოდენიც ჰსურს მუახლე და მსახური გაიყვანოს ანუ მრთლად სახლობაცა; ამ გვარის უსაზღვროს უფლებისათვის ჰსთქვა ჰსჯულსა თვისსა მეფემან ვახტანგ: მებატონეს ყმაზედ სულამდის ხელი მიუწვდებაო: არა თუ მართლად ამისთვის, რომ მებატონემ ყმას სული ამოჰხადოს, როგორათაც მრავალთ გაიგონეს ეს ჰსჯული. რაც გლეხს განთავისუფლებით ბატონის ხარჯი მოაკლდება, ვჰგონებ ის უმეტესი სათქმელი არის, მაშ იმის მაგიერი ფული მოგვცენ. –

4.

ვინ იტყვის ამას ანუ ჩვენ რა ვალი გვაქვს ამის თქმისა; გვეუბნებიან გლეხნი თქვენნი აღარ არიანო, განთავისუფლდნენო; უკეთუ ეს ასე არის, მაშ რა თანამდებობა გვაქვს მაგის დაწვლილებაში შესვლისა და სხვის სარჩლისა: უკეთუ ამისთვის გვსურს, რომ ამისთანას გლეხის მოსარჩლეობით ჩვენთან დარჩეს და ჩვენის მამულიდგან არ გავიდეს, ეგ ფიქრი სრულიად ამაო არის; მაინც კი ამას გვეტყვიან, გლეხი რომ თქვენი აღარ არის და არ იცით თქვენთან დაჰშთებიან თუ არაო, მაშ რა ვალი გაქვსთ მაგისთანა თხოვნისაო; ამ გვარის უადგილოს თხოვნით არამაც მმართებლობას ჩვენი თხოვაები დაუმძიმდეს სხვათა შემთხვევათა შორის. –

5.

ვერ მივჰსცემთ მამულს გლეხთ შემდგომთა მიზეზთა გამო:

1) გლეხნი ჩვენნი ჰსდგანან ესოდენ ახლოს ჩვენთა სახლთაგან, რომელთა შორის არა დაშთომილ არს ადგილი უმეტეს 15-ის ანუ ვჰსთქვათ 20-ის საჟენისა, მრთლად სოფლის ადგილი უჭირავსთ მათ; როდესაც გლეხთ ესე ადგილები გაესაკუთრებათ, მაშინ აღარ მიჰხედვენ მებატონეს და ყოვლის საძაგელებით აღავსებენ, გაუშვებენ პირუტყვთა და რაიცა მახლობლად ჩვენის სამყოფისა ბაღი ანუ ბოსტანი გვექმნება, აღაოხრებენ, რომლისაგანაც წარმოსდგება თითქმის საყოველ დღეო შფოთი და უსიამოვნობა.

2) უკეთუ ვისურვებთ სხვათა ადგილთაგან გლეხის მოყვანას, აღარ გვექმნება საკმაო ადგილი მათის დასახლებისა და ახალ-

თა მათ მოყვანილთ გლეხთა და მუნ მდგომთ ექმნებად თვით უმცირედის მიზეზის გამო დიდი შფოთნი, რომელნიც იძულებულ იქმნებიან აიყარნენ და სხვაგან წავიდნენ.

3) ოდეს გლეხს აქვს საკუთრებად სახლკარი, მაშინ ის მებატონის ხარჯის ძლევას არ მოინდომებს, რადგან ახლოსვე არის სახელმწიფოც, საეკკლესიო და მრავალთა გლეხთაგან ნასყიდნი მამულნი, ესოდენი, რომელ მეპატრონეთაც სამყოფად ექმნებათ და გლეხსაც; მაშინ გლეხი უთუოდ დაიჭერს იმ მამულს სახნავად და აღირჩევს მისთვის მხოლოდ ღალის მიცემას, ვიდრემდის მებატონის მამული დაიჭიროს და იმისთვის სხვა და სხვა გვარი სამსახურები აძლიოს; – ამის გამო მებატონე მოაკლდება ყოველსავე ცხოვრების გზას და მამულიც დარჩება უქმად.

4) გამოცდილებით ვიცით და თვალითაც გვიხილავს, როდესაც ხიზანი კაცი მებატონეს მამულზედ მოვა, ვიდრემდის ან სახლს იყიდდეს ანუ სახნავს მამულს, მანამდის ბატონს ისე ემსახურება, როგორადაც საკუთარი თავისი ყმა, რა სახლკარის ადგილი და სახნავი მიწა (თუცა საკმაოც არ იყოს) დაისაკუთრა, თუმცა მებატონის მამულითაც ჰსარგებლობდეს, გარე მიიქცევა იმ სამსახურიდგან, რომელიც ადრე უძლევია; ესრეთვე უნდა ვიფიქროთ განთავისუფლებულთა გლეხთათვისცა.

5) მრავალნი არიან მებატონეთაგან განთავისუფლებულნი ყმანი, რომელთაც მამული არ გაჰყოლიათ, – დაჰშთენილან იგინი მებატონის მამულზედ? – არც ერთი. აღურჩევიათ მწირსა და უნაყოფოს ადგილზედ ცხოვრება, ოღონდ კი თავის ნაბატონარს განშორებულიყვნენ.

6) გამოცდილებით ვიცით, რომელ ქართველნი გლეხნი არიან ფრიად ძვირის მომხსენნი პირველთა თვისთა მებატონედ ყოველთა მიმართ, ესრეთ, რომელ უკეთუ მათგანი ვინმე მამულით განთავისუფლებულან, რომელისამე უნებლიეთის მიზეზით მათს მამულს როგორმე შეჰხებიან, – მაშინ მებატონენი სასიკვდილოთაც არ დაუზოგავთ და ზოგთ კიდეც მოუკლავთ.

7) ზემორეც მოვიხსენეთ, ჩვენ მამულებზედ რომ დავები არის, ის მამულები ბოლოს მოდავეთ რომ დაჰშთეს, გლეხებსაც მამული მივჰსცეთ, მაშინ ჩვენ რაღა დაგვშთება სანუგეშო? – ვჰსთქვათ გლეხის სამაგიეროდ ხაზინამ ფული მოგვცეს, ამ ფულს

ხომ ვალი წაიღებს, მამულიც აღარ გვექმნება, – მერე რაღა არის ჩვენი სანუგეშო? და

8) მრავალნი და უფრო მეტნი კეთილშობილნი არიან, რომელთაც დიაღ მცირე მამული აქვსთ და ზოგთ სრულებით მარტო ერთის სახლკარის მეტი არა აქვთ და იმ მცირედის მამულით ყმანიც ცხოვრებენ და თვითანაც დიდად ღარიბულად, – წარმოვიდგინოთ ამისთანა მებატონისაგან არა თუ რავდენისამე დღიურისა, არამედ თვით ერთის დღის მიწის დათმობაც როგორი საგრძნობელი დასაკარგავი იქმნება. ყოველთა ამათ ზემორე აღწერილთა მიზეზთაგან არ შეგვიძლია არა რაისამე მამულის დათმობა. –

6.

გლეხის მომადლიერება არც გვინდა და არც გვითქვამს ამისათვის, რომ უკეთუ გლეხნი განთავისუფლდებიან ჩვენთა ყმობათაგან ჩვენ რა ვალი გვაქვს მათთვის ზრუნვისა და ან რითი უნდა მოვიმადლიეროთ გლეხნი? გლეხთ მოვიმადლიერებთ მაშინ, როდესაც ჩვენ მათ დაუთმობთ სახლსა და კარს, რომელზედაც დღეს დგანან და მამულს, ეგრეთვე განვათავისუფლებთ ყოველსავე გამოსაღებისაგან. წარმოვიდგინოთ, რომლითაც გლეხთათვის მებატონეთ თავისუფლება მიუციათ უმამულოდ, თუმცა ღა მცირედის ფასითაც, გინა უფასოდ, ერთი მათგანი დამდგარაღა პირველს მებატონესთან? – არც ერთი. მაშა სადამე გლეხის მომადლიერება იქმნება ამით, მივჰსცეთ მათთა საკუთრებად მამულიც, სახლკარიც და თავის უფლებაც და არა რაიმე ეთხოვებოდეს, თვითონ უნდა გემსახუროს, უნდა არა: აი ამით მოვიმადლებთ გლეხთა: უკეთუ სვინიდისით განვჰსჯით, ჩვენ გვმართებს მომადლიერება ჩვენის თავისა და ჩვენის ცოლისა და შვილისა, რომელთაც არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზედ დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხვრის დევნა და არც სხვაგან მოჯამაგირედ დადგომა, რომელთაგანაც უცხონი ვართ და უცოდინარნი, რომელთათვისაცა მხილებულ ვიქმნებით თვით სვინიდისისა ჩვენისაგან; ხოლო გლეხი მარადის მზა არის ყოველთა ამათ საგანთა ტვირთვად და არც არა ვისგან დაიძრახება, რადგან ის შობილა ამ გვარის მდაბიო ცხოვრებისათვის და სიყრმითგანვე აღზრდილა ამისთანა ცხოვრებაში. გარდა ამისა, როგორ შეიძლება

გლეხიც მადლობელი ვამყოფოთ და ჩვენი თავიცა? ორის მოჩივრის გამართლება ვჰგონებთ შეუძლებელი იქმნება, უთუოდ ერთი მათგანი იქმნება მტყუანი; ან ჩვენის თავის სარგებლობა უნდა დავიცვათ; ანუ გლეხებისა, უკეთუ მართლად გვსურს მათი მომადლიერება; მაგრამ დიდს ხანს დაჰშთებიან ის გლეხნი ჩვენი მადლიერნი? – არა ოდეს. – მაშ ის ჰსჯობს ჩვენი თავი მოვიმადლოთ და დღიური საზრდელი ვიქონიოთ. – მაგრამ უკეთუ გლეხი თავის უფლების გამოცხადების შემდგომად არ აიყრება და ჩვენს სამსახურში დარჩება, რა საკვირველია სახლკარიც და მამულიც ისევ ისე ეჭირებათ, როგორც დღეს უჭირავთ; აქ ცხადი არის, სხვა რა არის მოსახერხებელი? – თუ რომელსამე მებატონეს ჰსურს, საზოგადო ჰსჯულად კი ნუ დაიდება, იმას შეუძლიან თვისგან განთავისუფლებულს გლეხს რაოდენიც მამული ჰნებავს აჩუქოს და გლეხი მოიმადლიეროს; ვადას თვით გლეხი და მებატონე, როდესაც გარიგდებიან, ისინი დააწესებენ, წინათ დაწესება ვადისა შეუძლებელ არის. –

7.

რა საკვირველია ჩვენის ქვეყნის ჩვეულებრივს ხიზნურს მაგალითს უნდა დავადგეთ; ამისთვის არ ანთავისუფლებენ გლეხს მებატონის მფლობელობისაგან, რომ ბატონ ყმური სამსახური აღარ იყოს; ვადა გლეხებს უნდა მიეცესთ, უკეთუ გლეხი და მებატონე ვერ მორიგდეს შემდგომად თავის უფლების გამოცხადებისა სამსახურზედ, მაშინ ორი წელიწადი ჰქონდეს ვადა; ამ ორს წლამდის იქავ და იმავ სახით იდგეს, მებატონეს არ შეეძლოს დათხოვნა; მაგრამ გლეხმაც ისევ ის სამსახური უნდა აძლიოს, რაც განთავისუფლებამდის ეძლიოს მებატონისათვის; ესევე ორის წლის ვადა უნდა იყოს მოსამსახურეთა და მოახლეთათვისაცა, ვიდრემდის მებატონე სხვათ იშოვნიდეს. –

8.

ჩვეულება ხიზნისა თუ ყმისა სხვა და სხვა მხარეს სხვა და სხვა გვარი არის, არა თუ მარტოდ საქართველოს კერძოებში, არამედ თვით კეთილშობილ გვარშიაც; ამისთვის რაც ჩვენს გვარში ძველთაგანვე ჩვეულებრივი ხარჯები არის ან ის ხარჯები როგორ ჰფასობენ ცალკე არის მოხსენებული; ანუ რომელნიც მათგანნიც

ხიზან კაცთაც ჰმართებს: ერთის სიტყვით ხიზანი განსხვავდება ჩვენთა ყმათაგან მხოლოდ ამით: ვერ გამოვართმევთ ღალას გარდა პურის, ვერ შევაწერთ ფულს, ვერ გამოვართმევთ საჩექმეს, საქვრიოს და ვერც გასამყრელოს; გარდა ამისა ყოველსავე სამსახურს აღასრულებენ თანასწორ ყმათა ჩვენთა. –

9.

დაწესება ახლისა რაისამე არა რაი იქმნება, თვინიერ ჩვეულებისამებრ მოხსენებულთა; მხოლოდ ახალი ეს თუ იქმნება, რათა ნაცვლად პირადის სამსახურისა, დანიშნულის ფასისამებრ მოგვცენ თეთრად; მაგრამ ეს ჩვენსა და გლეხის მორიგებაზედ უნდა იყოს დამოკიდებული, რომელნიც რომლის მიცემას სასარგებლოდ დავინახავთ და შესაძლოდ; გლეხს რაც შემსუბუქება ექმნება, შემდგომს მუხლებში იხილება. –

10.

არა ოდეს საქართველოში არცა ხარჯი, არც წონა და არც საწყაო და არც გლეხის ბეგარა ერთი და ერთგვარი არა ყოფილა; როდესაც მამულ ადგილი არ არის ერთგვარი და თანასწორის მოსავლის მომცემი, ზოგი მწირი არის და ზოგი ნაყოფიერი, მაშა სადამე ხარჯი და გამოსაღებიც ერთ გვარი არ იქმნება. როდესაც ამ სახით განთავისუფლდება ბატონისაგან ყმა, როგორც ერთმანერთში მორიგდებიან ის ხარჯი უნდა მისცენო, ყოველს მებატონესაც და გლეხსაც ეცოდინებათ თვისის ქვეყნის ჩვეულება და იმ ხარჯს დააწესებენ თანხმობით; უკეთუ მებატონე მომატებულის თხოვას დაუწყებს, გლეხს ხომ ორის წლის ვადა აქვს, ორს წელიწადს თუ დარჩა იქვე იდგება და იმასვე მისცემს რაც უძლევია, შემდეგ აიყრება და წავა, სადაც ნება აქვს; მაშ ან ახალის წესების დადება რა საჭირო იქმნება, ანუ სოფლებისა თუ უეზდების ზოლებად დაყოფა. ბევრს სხვა და სხვა დაწვლილებაებს რომ გამოუდგეთ, ამ ჩვენს თხოვნას ხომ ისე განუხილველად არ გარდაჰსწყვეტენ, უთუოდ განხილვაში შევა, ვაი თუ იმათ სამძიმოდ დაინახონ და სხვა დიდი რამ საზარალო დასწერონ და დაამტკიცონ, ისევ მოკლედ და პირდაპირი თქმა და დაწერა ემჯობინება. –

11.

ეს ჰაზრი ასე რომ ვჰსთქვათ, თუმცა გორის უეზდისათვის შესამატი იქმნება, მაგრამ ***კახეთისათვის*** საზარალო არის; იქ ჩვეულებრივი სამსახური დიაღ უბრალო და მცირე არის; იქმნება იმათში ისეთი მორიგება მოჰხდეს, რომ მომატებული დაჰსდვან რამე; აქაურს გლეხს როდესაც მამული არ დარჩებათ შეუძლებელია მომატებული ხარჯი არ მისცეს: ჩემის ჰაზრით ამაზედ იმასვე ვიტყვი, რაიცა ითქვა 10 პუნკტში. –

12.

ზოგთათვის საჭირო არის მუშა და ზოგთათვის არა; ამაზედ თვითან მებატონემ იცის და გლეხმა, როგორც გარიგდებიან, წინათ გარდაწყვეტით თქმა არ არის საჭირო. უკეთუ გლეხი არ გამოვა, მისთვის უნდა გარდაჰხდეს ადგილობითის მთავრობისაგან პირობის დარღვევისათვის; და უკეთუ რამდენჯერმე ურჩებას ჰყობს პირის პირ მებატონისა და შეკრულებას გარდაჰხდება, რომელიც ურჩება უნდა დამტკიცდეს მოწმით და გამოძიებით, ნება ექმნება მებატონეს თვისის ადგილიდგან ორის თთვის განმავლობაში გააგდოს ის გლეხი (რა საკვირველია ამ გვარები ყოველივე პირობაში იქმნება მოხსენებული). ვჰგონებ ამ საგანზედ რაისამე გარდაწყვეტილის თქმა არ იყოს საჭირო. –

13.

ვადის შესრულებამდის არც გლეხს უნდა ჰქონდეს ნება წასვლისა და არც მებატონეს დათხოვნისა, თვინიერ 12 მუხლში მოხსენებულთ მიზეზთა, ანუ შემთხვეულთა რომელთამე წინააღმდეგ ჰსჯულთა გარემოებათა. –

14.

ვადა არის დანიშნული პირველს შემთხვევაში ***ორი*** წელიწადი, ხოლო შემდეგ მებატონეს და გლეხზედ დამოეკიდება. –

13. კოლეჟსკი ასესსორი კნ. **სულხან ბეგთაბეგოვი.**

1.

გლეხნი შეადგენენ ჩვენს უმთავრესს საცხოვრებელსა და ახლა რადგან იგინი უნდა განთავისუფლდნენ ჩვენის დამოკიდებუ-

ლებისაგან და მის გამო ჩვენ უნდა მოვაკლდეთ დიდსა საცხოვრებელსა, ამის ანგარიშით ახლა ვითხოვთ ფულს, რომ იმ ფულითაც არის შევიძლოთ როგორმე ცხოვრება. –

2.

ეს ფული გლეხებს კი არ უნდა გადაჰხდეს, ხაზინიდგან უნდა მოგვეცეს იმ მიზეზით, რომ აწ საბატონო გლეხნი ნაკლებს სახაზინო გამოსაღებს აძლევენ ვიდრე სახაზინო გლეხნი; ხოლო ოდესაც ეს საბატონო გლეხნიც სახაზინოდ შეირაცხებიან, მაშინ ისინიც მსგავსად სახასო გლეხთა მეტს გამოსაღებს მისცემენ ხაზინას და მით აღუდგენენ ხაზინას იმ ფულსა, რაც ეხლა ჩვენ მოგვეცემის. –

3.

ფულის მოთხოვნა კანონით მიგვიძღვის, ხოლო მსახურის გამოყვანა ჩვეულებით იყო და რადგან ახლა გლეხნი უნდა განთავისუფლდნენ მათ მაგიერ უთუოდ ფული უნდა მოგვეცეს ესოდენი, რომ იმ ფულის სარგებლით მოსამსახურის დაქირავება შეიძლებოდეს. –

4.

ეს ფული გლეხებს ნუ გადაჰხდებაო ამ მიზეზით ვამბობ, რომელიც 2 პუნკტში აღმიწერია და მასთანავე ესეც უნდა ვჰსთქვათ, რომ გლეხთ არ ექმნებათ შეძლება რომ ფული თვით მოგვცენ. –

5.

ადგილ-მამულს ამ მიზეზით ვერ ვაძლევთ, რომ სივიწროვე გვაქვს და თვით ჩვენთვის სახნავ-სათესად არის საჭირო. –

6.

გლეხნი იმითაც მადლიერნი იქმნებიან, რომ თავის უფლებას მიიღებენ საუკუნოდ და საშვილიშვილოდ და აღარ იქმნებიან მონობას ქვეშე, მათ შეუძლიათ სახლკარობაც და სახნავსათესიც იქონიონ ვითარცა აწინდელთ ხიზანთა, როგორც მოგვირიგდებიან ვადით ანუ უვადოთ. –

7.

იმ ვადის გასვლამდინ ის სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს იმ ადგილ-მამულიდგან, რასაც დღეს ხიზნები გვაძლევენ, ესე იგი: დღიურზედ 2 კოდი პური ანუ ღალა მეექვსედი მოსავლისა; ვენახიდგან მეექვსედივე კულუხი მოსავლისა; აგრეთვე ხეხილიდგანაც; კომლზედ 40 მუშა წელიწადში და 3 ძღვენი. –

8.

ადგილობრივი ჩვეულება ის არის, რაც 7 პუნკტში ჰსწერია. –

9.

იმ ჩვეულებას დავადგებით, რაც აქ 7 პუნკტში ჰსწერია. –

10.

დიდად სამჯობინო იქმნება რომ მხარე და მხარე დაწესებული იყოს სამსახური გლეხთაგან ადგილ მამულის პატრონისათვის. –

11.

საკმაო იქმნება, რომ ადგილ-მამულისათვის პატრონს ის სარგებლობა ეძლეოდეს, რასაც ყოველი თავის უფალი კაცი აძლევს მამულის პატრონს ქვეყნის ჩვეულებით. –

12.

თუ ამ ჩვეულებით გლეხს მუშის მოხმარება ემართება, მაშინ შეიძლება, რომ ნაცვლად მუშის მოხმარებისა მამულის პატრონმა ფული მიიღოს. –

13.

თუ ვადა იქმნება დაწესებული, მაშინ გარდასვლა და გარდმოსვლა გლეხისა უნდა პირობაში გამოცხადდეს; ხოლო თუ ვადა არ იქმნება, მაშინ თავისუფალ კაცს ნება აქვს გარდასახლებისა როდესაც კი ისურვებს. –

14.

ვადა თუ დაწესდება ჰსჯობს 5 წლითგან 10 წლამდე. –

14. ღენერალ მაიორი **კონსტანტინე მამაცოვი.**

1, 2, 3, 4, 5.

ეს აზრი გაუქმებული არის და დახეულ თვით მისის აღმატებულების სურვილით.

6.

გლეხების ყოფა ცხოვრების კეთილ-წარსამართავად, შემდეგ განთავისუფლებისა, მოუცილებლად საჭირო არის რომ გლეხს მიწა ჰქონდეს; თუ არა თავისუფლება უმიწო გლეხისა იქმნება მხოლოდ ქაღალდით და არა საქმით. – იმ ევროპის სახელმწიფოებს გარდა, სადაც ბატონ ყმობა ხალხთ აღრეულობისაგან გაუქმებულა, სხვაგან ყოველგან ეს საქმე მშვიდობიანად გათავებულა; ესე იგი ყოველგან მმართებლობას უწყვია და მებატონეებს; და ყოველს შემთხვევაში ამაზედ შეთანხმებულან, რომ გლეხს განთავისუფლების შემდეგ, ადგილ მამულის საკუთრება ჰქონიყო, თუმცა სხვა და სხვა სახით კი მისცემია გლეხს საკუთრება ესე; მაგალითად: ოსტზეის გუბერნიებში დაწესებულა სერვიტუტი,[16] რომელსაც მმართებლობა საბატონო მამულების ნაწილზედ შეაწერს გლეხთათვის სასარგებლოდ (Baureland). პოლშაში უპაემნო ანუ სამარადისო კონტრაკტი, რომლითაც გლეხი საბატონო ადგილით ჰსარგებლობს (чинш[17]). პრუსსიაში დახსნა, ანუ ვალდებულება მებატონესი, ფასით დაახსნევინოს გლეხს ნაწილი თავისი მიწისა. – რუსეთში ვალდებულება მებატონესი ფასით დაახსნევინოს გლეხს უსადბა მისი (კარმიდამო). ხოლო დახსნა მიჭრილის მიწისა მინებებული არის გლეხებისა და მებატონის დათანხმებაზედ. ამ სხვა და სხვა გვართა ბატონ ყმობის საქმის გარდასაწყვეტთა წესთაგან, უკეთესად აღმოჩნდა პრუსსიის წესი. იქაც რომ ყმები ისეთნივე ადგილ მამულის მოსაკუთრენი იყვნენ როგორც ჩვენში არიან, – იქ ბატონ ყმობის საქმე იწყეს 1807-ში და სრულიად დააბოლოვეს 1810-ში, ასე რომ ორივე მხარე ბატონებიცა და გლეხებიც კმაყოფილნი დარჩნენ. – ოსტზეის გუბერნიებში და პოლშაში კი ამ საქმის დაბოლოვებამ ბატონებიც დაჰსჩაგრა და ყმებიც. – რუსეთში საქმის დასაბოლოებლად პრუსსიის წესი იყო მიღებული, მაგრამ –

ნახევრობით; ესე იგი: – მხოლოდ უსადბის დახსნევინება დაედვა თანამდებობად მებატონეთა და არა მიწისა, რაც გლეხს მიეჭრება; – ეს მათს ნებაზედ არის მიგდებული. ამ მიზეზით ბატონ ყმობის საქმე რუსეთში ითვლება დაწყებულად და ჯერედ დიაღ გაუთავებლად. თუმცა დიდად ვჰრცელს რუსეთის სამფლობელოში განთავისუფლებულს გლეხებს ყოველთვის შეუძლიათ საკმაო თავისუფალი მიწები იშოვონ, მაგრამ მაინც მრავალთ განათლებულთ მებატონეთა ჰსურთ, რომ პრუსსიის წესი სრულებით იყო რუსეთში მიღებული; ესე იგი ვალად დადგინებულ ექმნესთ მებატონეთა უსადბას გარდა გადაჭრილი მიწებიც დაახსნევინონ გლეხებსა, – ამ საქმის დაუყოვნებელად დაბოლოვებისათვის. მე ვჰგონებ ურყეველად შეიძლებოდეს ჩვენგან უმთავრეს დასაწყისი პრუსსიის წესისა ჩვენშიაც შემოვიტანოთ, ჩვენს ყოფაცხოვრებასათან შეთანხმებით. სადაც კი ბატონ ყმობის საქმე მმართებლობას დაუბოლოვებია, ყოველს სახელმწიფოში ამასა ცდილან, რომ გლეხები მემამულედ გაეხადნათ, რომ შემდგომში ამითი დაბრკოლებულიყო უზომო განმრავლება უადგილ მამულო, უბინაო კაცებისა, პროლეტარიებისა, რომელნიც მარადის მავნებელ-არიან ქვეყნის მშვიდობიანობისათვის, და მაზარალებელ ხელმწიფობის ეკონომიისათვის. რაოდენი გაფთხილება ჰმართებს ქვეყანასა, რომ პროლეტარიობა არ დამკვიდრდეს, მრავალნი საქმენი ამტკიცებენ ევროპაში მომხდარნი. რამდენი სისხლი დათხეულა მამულის პატრონებისა პროლეტარიებისაგან, – ანგარიში არ არის და ბევრს ევროპის ქვეყნებში კიდევაც არ დამცხრალან ამ გვარის აღრეულობისაგან. – იმ მდიდარს ანგლიაშიაც, რომლისაც მოქალაქეობითი დაწყობილება სამაგალითოდ უჩანს დედამიწასა (ევროპას), პროლეტარიობა ისეთ გამჯდარ სნეულებად არის ქვეყნისათვის გადაქცეული, რომ იქნება სულაც ვეღარ მოხერხდებოდეს განკურნება, თუ ქვეყანა არ შეინგრა როგორმე. ანგლიას მისი უბინაო და გლახაკი მოქალაქეების გამოსაზრდელად ხარკათ აწევს ოცდა ათი მილიონი მანათი წელიწადში. – საქვეყნო ეკონიმიისათვის პროლეტარობა ამითი არის სავნებელი, რომ გლეხი სხვის მამულს მხოლოდ იმდენად შეიმუშავებს, რომ თავისი თავი და ცოლშვილი გამოჰკვებოს როგორმე; რადგან დიდი ნაწილი თავისი ნაღვაწისა და ნაჭირნახულევისა მამულის პატრონს უნდა აძლიოს, – და სხვის მამულის გაკეთებას,

გაუმჯობესობას არ ინდომებს და თუ ინდომა, ვერ მოახერხებს. – ანგლიის არენდატორებს (იჯარადრებს) მაგალითად აქ ვერ შემოვიტანთ, რადგან იქ გლეხი, მანამდის მამულს იჯარით აიღებდეს, ჯერ სხვა საშვალობით რითიმე ან განმსჯელობით ფულსა შოულობს და ცოტა ფულით (იქ ცოტათი და აქაურის გლეხისათვის კი დიდითა) იჯარით იღებს მიწას მამულის პატრონისაგან, და მასაც კი უნდა ჰქონდეს შეძლება, რომ სახლკარობა გაუწყოს თავისს იჯარადარს, იმისს მოჯამაგირეებს, იმისს საქონელსა და მოწყობილებასა. ანგლიაში არენდატორი დიდს სავაჭრო ადგილებს შუა იმყოფება და ყოველთვის შეუძლია გაყიდვა მიწის მოსავლისა. მაგრამ მაინც ხშირად მოჰხდება ხოლმე რომ პირველი ჭირნახულის მოუსვლელობა გაანადგურებს და დააგლახაკებს არენდატორსა. ამის გამო ამბობენ, რომ საქვეყნო ეკონომიაში არენდატორობა არ ვარგიაო, იმდენი სარგებლობა არ არის ქვეყნისათვის, რაცა ზარალიო. – შეიძლება ამით, შემოგვიბრუნონ კიდევ სიტყვა გლეხთათვის მიწის მიცემაზედ, რომ ჩვენში არიან ხიზნებიო, რომელთაც არა თუ ნაკლებობა არ აწუხებს, ზოგნი შეძლებულნიც არიანო. ამის პასუხად შეიძლება ესა ვჰსთქვათ, რომ ჩვენში ახლა ხიზანი ბევრით უფრო ნაკლებია საბატონო კაცზედ. ახლა ხიზანი სადაც არჩევს იქ დაიქირავებს მიწას და ძალიან იეფათ; მაგრამ მაინცა ცდილობენ შესყიდვით დასაკუთრებასა. როდესაც გლეხები განთავისუფლდებიან და ასიოდ ათასი სული მიემატება ხიზნების რიცხვსა, მაშინ მიწის შოვნაც გაძნელებული იქმნება იმათთვის და ფასიც მოიმატებს მიწისა და გამოვა, რომ თავისუფლება იმათთვის ტყვეობაზედ უარესი იქმნება. – ამ წერილის სიმოკლის გამო არ შემიძლია ახლა აღვრიცხო ყოველი ზნეობითი და ნივთიერებითი გაჭირვება, რაც ქვეყანას უადგილ მამულო კაცების გამრავლებისაგან დაემართება. –

არ უარს ვჰყოფ, რომ მეფე ვახტანგის სასტიკი კანონით ყოველი უძრავი საცხოვრებელი ყმისა ეკუთვნის ბატონს; მეორეს მხრით ვერც იმასა ვყოფთ უარსა, რომ საბატონო ყმანიც ისეთნი ძირეული მოსაკუთრენი არიან, როგორც მებატონენი და თავის საკუთრებას ჩვენი გლეხები თავ განწირულობით ეკიდებიან. ამას გარდა დიდად დამსახურებულნი არიან თავისს ბატონებთან; ყოველივე რომ ვიანგარიშოთ, იმ სურვილს ვერსად წაუვალთ, რომ მება-

ტონეებმა სულ გრძელება იხმარონ და არ გააუადგილ მამულონ ის გლეხები მაინცა, რომელთაც თავისი მიწა აქვთ ახლა. რაც ახლა აქვთ, იმისი ერთი დაწესებული წილი მიეცეთ სამოსახლოთა და საკალო საბძლეთი დასახსნელად. არა თუ სამართლიანი იქმნება ესე, ვალიც არის ყოველის მებატონესი. (დასახსნელი წილი უნდა დაწესდეს ყოველს უეზდში და ყოველს უჩასტკაში[18] ცალ-ცალკე; მაგალითად: საშუალო შეძლების გლეხისათვის საკმაო იქნება – ხიდისთავის უჩასტკაში 5 დღისა; სურამისაში 7 დღისა და აგრე სხვაგან. მე ამას მაგალითად ვამბობ; თორემ დაწესება ადგილობრივ უნდა მოახდინოს კომმისიამ, რომელშიაც იქმნებიან მებატონე, გლეხი და მმართებლობის პირი ვინმე). რა რომ ყოველგან გლეხისათვის შესასყიდი წილი დაწესდება, მაშინ რაც იმას გადარჩება, ბატონის მიწას მიემატება. იმ გლეხებთ, რომელთაც ახლა თავისი საკუთრება არა აქვთ რა და ხიზნათა დგანან, თავისუფლება მიეცეს უადგილ მამულოდ. საბატონო ყმანი უნდა გავჰყოთ სამნაირად: 1) ყმანი, რომელთაც დაწესებულის ოდენი მიწა აქვსთ, ან მეტი. ამათ შესასყიდათ მიეცეს მხოლოდ დაწესებული და მეტი საბატონოდ ჩამოერთვას. 2) ყმანი, რომელთაც დაწესებულის ოდენი არა აქვთ. ამათ თავისუფლება მიეცეს რაცა აქვთ იმისი შეხსნით, რომ ბატონს ვალი არა ჰქონდეს მომატებისა, რადგან თუ ეს მიწა საკმაო იყო მისთვის ყმობაში, თავისუფლებაში უფრო გაუადვილდება ხელის გაქნევა და შრომის სარგებლობა. 3) ყმანი, რომელთაც თავისი სულ არა აქვთ. ამათ თავისუფლება მიეცეთ უადგილ მამულოდ, რადგან ჩვენებურს მებატონეებს მიწის მიცემა არ შეუძლიანთ; და თუ შეუძლია ვისმე, ფასით შეასყიდვინოს ამ გვარს გლეხს ადგილი, ეს მისს ნებაზედ უნდა იყოს. ამ სამსავე შემთხვევაში ვისაც ახლა სამოსახლო ადგილი და კალო საბძელი აქვს, უნდა დათმობილ ექმნეს ფასით. რომელსაც საბატონო კაცს ვენახი აქვს, შუაზედ გაეყოს, ნახევარი იმას მიეცეს უსასყიდლოდ და ნახევარი დაჰრჩეს ბატონს, ამ მიზეზით, რომ ჩვენს გორის უეზდში ჩვეულება არის, თუ სავენახე ადგილს გასაშენებლად მისცემენ ვისმე, ნახევარი გამშენებლის საკუთრება უნდა იყოს. ზოგიერთს ყმას წყალობად მიუღია ვენახი, უფრო ხშირად სავენახე ადგილი, და ზოგს უყიდნია კიდეცა გაშენებული ან გაუშენებელი. (ეს ჩემი ჰაზრი შეეხება მხოლოდ გორის უეზდს). ცალკე უნდა დაწესდეს რა სამსახუ-

რი ემართებათ გლეხებს მებატონის ტყისა და საძოვრისათვის. თუ ჩვენი ბატონ ყმობის საქმე ამ გვარად დაბოლოვდა, მაშინ მებატონეებს თავისს საბატონო თუ სახასო ადგილებს გარდა დარჩებათ კიდევ, რაც მეტი გამოვა გლეხებისათვის დაწესებულის ზომაზედ. გლეხთაგან უმეტესს ნაწილს დასაწესებელს ზომაზედ მეტი უჭირავს, მაშა სადამე საბატონო ადგილებს ამითი ბევრი შეეძინება, მებატონეებს ფული ექნებათ, მიწების სამაგიეროდ გლეხთაგან მიღებული; ამ ფულით შეიძლებენ ახლანდელი სასოფლო მომჭივნეობა, ვალდებულს და უნაყოფოს ყმების შრომაზედ დაფუძნებული, ახალს მომჭივნეობაზედ შეჰსცვალონ, რომელიც ნაქირავებს შრომაზედ და უფრო სასარგებლოზედ იქნება დაფუძნებული. გლეხები, მეტადრე რომელთაც თავისი ადგილები ჰქონიათ, თუმცა რამდენსამე მოაკლდებიან, მაგრამ მიწა მაინც ექნებათ, ფასით დახსნილი. დაბოლოვება ამ გვარის დახსნილობისა უნდა მინებებულიყოს მმართებლობისა და მებატონეების შეთანხმებაზედ. – მებატონეების საქმეა სამართლიანი და სვინიდისიერი დაფასება მიწებისა და მმართებლობის საქმეა პირ და პირი და დაუყოვნებელი ანგარიშის გაწმენდა მებატონეებთან მიწების შესახსნელის ფულითა. – მმართებლობას შეუძლია ეს ფული დიდის ხნით გაჰბორჯოს[19] და შეიბრუნოს გლეხებისაგან წვრილ წვრილის გარდახდევინებით, და რაოდენ შესაძლო იყოს შემსუბუქებით. სამართალი მოითხოვს, რომ მამულების შესახსნელად მებატონეთაგანაც იყოს მსხვერპლი რამე რუსეთის მაგალითისამებრ. – საფიქრებელია, რომ მებატონეებს გაძნელებულად ეჩვენება გლეხთათვის ნაკვეთ ნაკვეთებით მიჩენა ადგილებისა და უფრო გახშირებულს მიწების დაგლეჯას მოერიდებიან შიგა და შიგა. მაგრამ ეს საქმეც, რომ არ ჩამოგვარდნიყო, ჩვენი მიწები მაინც ყოველგან დაგლეჯილია და ერთი ერთმანერთში გადარეული და დავა დარაბა მრავალი მიჯნებზედ. საჩივრების დასაბოლოვებლად და სამართლიანის საზღვრების განსამტკიცებელად უსაცილო საჭირო არის კომმისია; და გამმიჯნავს კომმისიას, რომელიც ახლა მოქმედებაში არის, შეუძლია გლეხთათვის დაწესებულის მიწების გადაჭრაცა. ამ საქმის დროით შესრულებისათვის უნდა მმართებლობასა ვჰსთხოვოთ, რომ კომმისიამ ან უსასყიდლოთ მიუჭრას გლეხებს მიწები, ან შემსუბუქებით რაოდენიც შეიძლებოდეს ხარჯისა. – უკანასკნელ ვიტყვი, –

რომელსაც კაცს ადგილ მამული არ გააჩნია, იმას არც ბედნიერება ესიამოვნება ქვეყნისა, არც უბედურება შეაწუხებს, მშობელს ქვეყანაში ფეხის მოსაკიდებელი თუ არა გააჩნია, უცხოა ქვეყნისათვის, უბინადრო, უდედულ მამულო და კოსმოპოლიტი. –

15. აზნაური **როსტომ მუსხელოვი.**

1.

გლეხნი შეადგენენ უმთავრესს ჩვენს საცხოვრებელსა და ახლა რადგან უნდა განთავისუფლდნენ და ჩვენ უნდა მოვაკლდეთ დიდსა სარგებლობასა, ამის ანგარიშით ახლა ვითხოვთ ფულს, რომ იმითიც არის შევძლოთ როგორმე ცხოვრება.

2.

ეს ფული გლეხებს კი არ უნდა გადაჰხდეს, ხაზინიდგან უნდა მოგვეცეს ამ მიზეზით, რომ აწ საბატონო გლეხნი ნაკლებს სახაზინო გამოსაღებს აძლევენ, ვიდრე სახაზინო გლეხნი.[20]

3.

ფულის თხოვნა კანონით მიგვიძღვის; ხოლო მსახურის გამოყვანა ჩვეულებითი იყო და ახლა რადგან გლეხნი უნდა განთავისუფლდნენ, მათ მაგიერ უთუოდ ფული უნდა მოგვეცეს ესოდენი, რომ იმ ფულის სარგებლით მოსამსახურის დაქირავება შეიძლებოდეს.

4.

იმ მიზეზით, რომელიც 2 პუნკტში არის მოხსენებული და არც გლეხთ ექნებათ შეძლება, რომ ფული იმათ მოგვცენ.

5.

იმ მიზეზით ვერ ვაძლევთ, რომ სივიწროება გვაქვს და თვით ჩვენთვის არის სახნავ სათესად საჭირო.

6.

გლეხნი იმითიც დიდი მადლიერნი იქმნებიან, რომ თავის უფლებას მიიღებენ საუკუნოდ და საშვილი შვილოდ და აღარ იქმნები-

ან მებატონეების მონობის ქვეშე; მათ შეუძლიანთ სახლ კარობაც და სახნავ-სათესიც იქონიონ, ვითარცა აწინდელთა ხიზანთა, როგორც მოგვირიგდებიან, ვადით ანუ უვადოთ.

7.

ამ ვადის გასვლამდინ ის სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს იმ მამულითგან, რაც გარემო ჩვენი მესამზღვრეების მამულზედ სარგებლობა დაწესდება, ესე იგი დღიურზედ 2 კოდი და 2 ჩანახი, გაკეთებულს ყანაზედ ნახევარ გამოსავალი წელინადში ერთის კომლიდამ 80 მუშა, 3 ძღვენი, 3 ურემი შეშა.

8.

ჩვეულება ის არის, რაც 7 პუნკტში ჰსწერია.

9.

იმ ჩვეულებას დავადგებით, რაც 7 პუნკტში ჰსწერია.

10.

დიდათ სამჯობინარი იქნება, რომ მხარე და მხარე დაწესებული იყოს სამსახური გლეხთაგან მამულის პატრონისადმი. –

11.

საკმაო იქნება რომ ადგილ მამულისათვის პატრონს ის სარგებლობა ეძლეოდეს, რაც 7 პუნკტში გვითხოვნია.

12.

თუ ჩვეულებით მუშის მოხმარება ემართება, – შეიძლება მუშის მაგიერად მამულის პატრონმა ფული მიიღოს.

13.

თუ ვადა იქნება დაწესებული, გადასვლა და გადმოსვლა გლეხისა უნდა პირობაში გამოცხადდეს და თუ ვადა არ იქნება, მაშინ თავის უფალ კაცს ნება აქვს გადასახლებისა, როდესაც ისურვებს. –

14.

ვადა ემჯობინება 5 წლიდამ 10 წლამდინ.

16. აზ. **ელიაზარ თულაევი.**

1.

ფული თუ არ მოგვეცა, ცხოვრება ჩვენი შეუძლებელი იქნება და როგორც დამწვარი სანთელი გაჰქრეს ისე გაჰქრება ჩემი ცხოვრება, რადგანაც ჩემი ცხოვრება დამოკიდებული არის მათს მუშაობაზედ და სამსახურზედ; ფულიც რომ მომეცეს მაშინაც ძნელი იქნება ცხოვრება ამისათვის, რომ რაკი გლეხი კაცი განთავისუფლდება, მაშინ აღარ მიმუშავებს და აღარცა რას მომცემს და იმ ფულით უნდა ვჰქირაობდე მოსამსახურეს, მუშას და ვალს ვაძლევდე და თან და თან გაქრება ის ფულიც და ჩემი ცხოვრებაც და იმ ფულით იქნება რამდენსამე წელიწადს ვიცოცხლო და მერე კი უეჭველად გაქრება.

2.

ამ მიზეზით, რომ ჩვენს გლეხებს უღიათ ყოველი სახელმწიფო ხარჯი მომატებით სახელმწიფო ყმებზედ, თვინიერ ბატონის სამსახურისა და მეორეც საზოგადო კანონი არის რომ ახალს განთავისუფლებულს გლეხს რამდენსამე წელიწადს განათავისუფლებენ ხარჯიდამ.

3.

ფულის თხოვნაზედ ეს სიმართლე მიგვიძღვის, რომ ჩვენი ცხოვრება შეუძლებელია უიმისოდ; არავითარი შემოსავალი და ნუგეში ცხოვრებისა არა არის რა, რადგანაც ყოვლის ფრით მწირი ქვეყანა არის ჩვენი თვინიერ ღარიბულის დღიურის ცოვრებისა არა შეიძლებარა მოვაგვაროთ ცხოვრების მიზეზი. –

4.

გლეხების ფულის გადუხდელობაზედ გამოსარჩლების მიზეზი 2-ს პუნკტში არის მოხსენებული და რა საკვირველია უნდა ვჰსთქვათ, რომ რავდენი ტანჯვა გაუწევიათ ჩვენ გლეხებს სახელმწიფოდ.

5.

ამ მიზეზით ვერ ვაძლევთ, რომ იმათ რომ ის ადგილ მამული მივსცეთ, მაშინ ჩვენ უნდა ავიყარნეთ და გარდავსახლდეთ. ამისათვის, რომ ჯერ არის და ვიწროებაში ჩავჰსცვივით და მეორე ჩვენი უკანასკნელი ცხოვრება და იმედი ისღა არის მაშინ, როდესაც ყოველი საუკეთესო მამული იმათ უჭირავთ იმათის დიდის სამსახურისათვის და ახლა რომ იმათ მივჰსცეთ, ჩვენ სრულიად მშივრები დავრჩებით და უნუგეშონი.

6.

ამათი მომადლიერება უკეთესი რაღა უნდა, როდესაც განთავისუფლდება გლეხი დიდის სამსახურისაგან, მაშინ ყოველი უკანასკნელი მუშა მდიდარი იქნება ჩემზედ, ასე რომ, ყველას ექნება ფული: დღეში აიღებს ორ აბაზს და თვითონ სამჯერ ღვინოს დალევს და პურსა და საჭმელს სჭამს საკმაოდ, საღამოზედ მივა შინ, 1 აბაზი ცოლშვილს ეყოფა პურად დღეში და ერთი აბაზი ისე დარჩება, არც ერთს დღეს არ მოსცდება; კვირაობით უფრო ბევრს იშოვნის, ან გაგზავნის ვინმე, ან წყალს მოუტანს ვისმეს და ამ გვარებით ყოველს დღეს ფულს იშოვნის და მე არც ერთი არ შემიძლიან; ახლანდელს სახლკარობას არ მოუშლი, თუ კარგათ მასიამოვნებს დროებით ვადას მივსცემ 3 წლიდამ 5 წლამდის და იმისთვის დიდი მადლობა ჰმართებს გლეხსა. –

7.

ამ ვადის გასვლამდის უნდა გვემსახუროს ისე როგორც ხიზანი, რომელიც იქვე უდგია გვერდით; ხიზანი ყოველს მებატონესა ჰყავს და თავთავისი ჩვეულება აქვთ.

8.

ხიზნის ჩვეულებას უნდა დავადგრეთ; ხიზანი ყოველგან არის და ყოველგან სხვა და სხვა ჩვეულებაა. მთის კაცი ისე ემსახურება როგორც მემკვიდრე მამულისდა გვარად რამდენი უჭირავს და სამსახურიც გადაწყვეტილი აქვთ, ყოველი ფერი საჩუქარი, ბეგარა, მუშა, ქერი, ძღვენი, ხის იჯარა, კალოს გვა, ჯარში გაყოლა, ბეგრის ცხენი, საქორწილო, სააღაპო შეძლებისამებრ; ერ-

თის სიტყვით, ყოველს ბატონ ყმურს სამსახურს ასრულებს, ამასთან მთის მამული რომ ბეითალმნათ დარჩეს[21] ვინც მოჰხნავს $^1/_3$ ბატონისა არის; ვინც გასთიბავს თივაც ისე; – ბარის კაცი ხიზანი უმკის, უბარავს, ძნას მოუტანს, გაულეწს, ძღვენს მიართმევს, ღალას აძლევს ზოგან $^1/_3$-ს ზოგან $^1/_4$-ს და მინდვრის მიწაზედ საზოგადოდ გარდაწყვეტილია $^1/_6$-დი; თუ ვენახს მზას მივცემ ხიზანს, მაშინ ნახევარი ჩემია გამოსავალი და $^1/_2$ იმისი. ხიზნური ჩვეულება დიდი ხნის დაწესებულია და ვერავინ იტყვის უარსა, თუ უნდა ემსახურება, თუ უნდა სხვაგან წავა. ამ ხიზნურს ჩვეულებას რომ დავადგრეთ ის ემჯობინება მებატონესათვისაც და გლეხებისათვისაც ვადამდის, და ვადის შემდეგაც ვჰგონებ ასე დარჩება. –

9.

ახალს ჩვეულებას ვერას დავადგრებით ამისთვის, რომ თუნდა მსუბუქიც იყოს მაინც გლეხ კაცს სხვა რიგათ ეჩვენება ახალი ჩვეულება; ამის მეტი არა იქნებარა რომ ხიზანს საკულუხოდ ვენახს არავინ მისცემს, ე. ი. მეექვსედად; ვენახებზედ უნდა დაწესდეს ან ნახევარი, ან მესამედი მაინც; აქამდინ ვჯერდებოდით კულუხსა, რომ დიდი სამსახურები მიუძღოდათ, ე. ი. გაყიდვა, დაგირავება, მუახლე, გოგო, მსახური საქორწილო, სააღაპო, პურის შეწერა, ღვინის შეწერა, ფულის შეწერა და მსგავსნი ამათი რამდენი სამსახური და ამისთვის კულუხს მსუბუქად ვართმევდით; ახლა რაც მძიმე სამსახური იყო, აღარც ერთი არ გვექნება და შემსუბუქებათაც ეს კმარა.

10.

ჩვეულებას უნდა დავადგრეთ, ყოველგან თავთავისი ჩვეულება არის ხიზნისა და ეს ჩვეულება ადრიდგანვე მებატონემაც იცის და გლეხმაცა და ყველა იტყვის, რადგან ძველია და არა ახალი და ასე უნდა ითქვას, რომ სადაც რა ჩვეულება არის ის სამსახური გადიხადონ ხიზნური; მაშინ რაღა საჭირო იქნება დაყოფა უეზდისა და მამულებისა. –

11.

ყველას ალაგს რაც ჩვეულება არის ხიზნური ისე უნდა ემსახურნენ ბატონსა ან მამულის პატრონსა; პატრონს ნება არ უნდა ჰქონდეს ამ ჩვეულების შეცვლისა ვადამდის და ვადის შემდეგ როგორც მორიგდებიან ერთმანერთში.

12.

გლეხ კაცს რომ მუშა ემართება, თუ არ მინდა, რომ ვამუშაო, ფასი უნდა გადაეკვეთოს ნაკლებად, ე. ი. მკაში რომ 2 აბაზათ ღირდეს, მე ექვს შაურს უნდა დავჯერდე, რომ ის სიხარულით წავიდეს სხვაგანა იმუშაოს, რომ 2 შაური იმასა რჩება დღეში, მაშინ საღი იქმნება და თუ ასე არ იქნა, მეტყვის მამუშავეო, ფული არ მაქვსო. ეს მუშაობა სხვა და სხვა დროს არის და ვისაც ფული უნდა მუშის მაგიერად ნაკლებს უნდა დასჯერდეს; თუ პატრონს მუშა არ დასჭირდება, მაშინ გლეხ კაცთან უნდა მოილაპარაკოს და ნაკლებ დასჯერდეს და ისე მორიგდნენ, ან სხვას ათხოვოს; ამაზედ გლეხი უარს ვერ იტყვის; თუ გლეხი არ მოვიდა სამუშაოდ მაშინ ერთი სამად უნდა გადაჰხდეს მუშის ფასი, ამისათვის რომ მე იქნება იმ დღეს ერთი კაცი როგორ მიღირს. –

13.

დაწესებულს ვადამდის გლეხ კაცს არ უნდა ჰქონდეს ნება გადასახლებისა, თუ მებატონე საქმეს არ გაუჭირვებს ჩვეულების ზევით; აგრეთვე მებატონეს არ უნდა ჰქონდეს ნება გადაასახლოს კაცი თუ უმორჩილო არ იქნება დაწესებულს ჩვეულებაზედ; ამისთვის არ უნდა ჰქონდეს არც ერთს მხარეს ნება, რომ ვადამდის ორივე მოიშლება საქმიდამ.

14.

ვადა კმარა 3-5 წლამდინ. მანამდის ყოველი კაცი თავის საქმეს დაიჭერს, ან მორიგდებიან და ან ერთმანერთს მოჰშორდებიან.

17. აზნაური **ივანე სულხანოვი.**

1.

ფულს ვითხოვთ საკუთრებისათვის, რადგან გლეხნი ჩვენთა წინაპართაგან არიან შეძინებულნი, ზოგნი სყიდვით და ზოგნი მეფეთაგან წყალობით ბოძებულნი; მაშა სადამე არ მიეღებისთ მებატონეთ არცა ძველისა კანონითა და არცა ახლისა განათლებულის რუსის კანონით საკუთრებანი თუ არ დიდის დანაშაულისათვის. –

2.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლად განთავისუფლებულნი გლეხნი არ იქნებიან უსარგებლონი ხაზინისა, რომელნიც კიდეც საკუთარს ქონებას, გინა კუთვნილებას ხაზინისას შეადგენენ (ვითა სახელმწიფო გლეხნი). თუ სასარგებლოდ არ დაენახა მთავრობას, არც ჩვენა ვნახავდით ამ გვარს მაგალითებს, რომ საბატონო გლეხნი მრავალნი სახაზინოდ მიიღეს და მებატონეთ ფული მისცეს ნაცვლად გლეხთა. აი მიზეზი, რომლითაც ვამბობთ, ფული გლეხთ ნუ გარდაჰხდებათო. –

3.

დიაღ მოგვიძღვის სიმართლე კანონითაცა და ჩვეულებითაც როგორათაც მსახურის გამოყვანისა, ეგ სახეთაც მუახლისაცა თვითოეულის კომლიდგან, რომელიც პირველს ყმობის დაწყებითგან იყო და არის დღესაცა, ნაცვლად ამისა შეიძლება ფული მოგვეცეს და თუ არ შეიწყნარება, მაშინ გლეხთა მდგომარეობა ემჯობინება ჩვენსას. –

4.

თუ დავესარჩლებით გლეხებსა, რომ ფული ნუ გარდაჰხდებათო, რა საკვირველია მეტი არ იქნება გამოვაცხადოთ რაოდენი სამსახური გაუწევიათ გლეხთა სხვა და სხვა გარდასახადით სახელმწიფოდ, საბატონოს გარდა; ამით უმეტეს გვექმნება სიმართლე დაფარვისა, რადგანაც მრავალს გარდასახადს იხდიდნენ რამდენსამე წელიწადში და იყვნენ ამაებით ფრიად დატვირთულნი. –

5.

ადგილ მამული ჩვენია და ჩვენთა წინაპართაგან ნასყიდობით შეძინებულია; ამაზედ თვით გლეხთაც ეჭვი არა აქვსთ; ამისათვის ვერას ვაძლევთ გლეხთა დასაკუთრებით; თუმცა წინააღმდეგი ამისი ბევრი ცხოველი მიზეზი გვაქვს დამარღვეველნი, მარამ არ გვინდა მოვიღოთ, რადგანაც ამ საგანზედ ლაპარაკი წინააღმდეგათ გვიჩანს და თანხმობა ჩვენგან არა ვითარს შემთხვევაში არ შეიძლება. –

6.

გლეხების მომადლიერება ამ სახით შეგვიძლია, რომელიც საკმაოც იქნება მათთვის: 1. არ მოეშალოთ ახლანდელი სახლკარობა და რაც ჩვენი ადგილ მამულები უჭირავთ დღეს იმათვე მივაჩემებთ დროებით, რომელთ გარდასახლება არ შეგვეძლება უმიზეზოთ; ხოლო ვადის შემდგომ ჩვენი მამული და სახლ კარი ჩვენი იქნება, ამასთანავე გარდასახადი, რომელიც მათთვის კიდევ სამძიმო იყო, ე. ი. ფულით გარდასახადი და სხვანი კიდევ გვექმნება ხვედრი მზრუნველობა მათის კეთილ მდგომარეობისა და წარმატებისათვის, რათა განვრცელდეს მათში ჩვენივე მზრუნველობით მუშაობა, ახლანდელისა სხვა და სხვა ახლის სასარგებლო საგნების შემოტანისა, ეგრეთვე სწავლა წიგნისა და ხელობისა მათის შვილებისათვის, ერთის ლექსით ვიზრუნავთ, რომელიც დღემდის არ გვიზრუნვია და თითქმის ვალდებულად შევიკვრით აღვასრულოთ ზემოთქმული ჩვენი უნაკლულოდ.

7.

რა საკვირველია, როდეს გლეხნი განთავისუფლდებიან ვადის გასვლამდინ დავადგებით ჩვენის ქვეყნის ჩვეულებას, ე. ი. ხიზნების მაგალითს, რომ ადგილ მამულისა და სახლ კარისათვის გვეძლეოდეს ხიზნებთაგან ჩვეულებრივ ადგილობრივის მიხედვით სად როგორი სასარგებლო მამულია.

8.

რაკი დავადგებით ამ ჩვეულებას, რა საკვირველია საჭიროდ იქნება გამოცხადდეს და აღიწეროს სად რა ჩვეულება არის მამუ-

ლისა და ადგილის მიხედვით, მარამ ვაი თუ მთავრობამ სამძიმოდ დაინახოს, რადგანაც ხიზნის მაგალითი ცხადია, რა საჭიროა ჩვენთვის აღწერა; აუწერლობა თუ მოხერხდება ის ემჯობინება.

9.

ჩვენ ვადგებით ვადამდისინ ჩვეულებასა, რომლითაც ცხადია რომ დიდი შემსუბუქება ეძლევათ გლეხთა და თუ ვადის შემდგომ ენებებათ ორთავე მხარეთ, მაშინ ნება ექნებათ ახალის წესის დაწესებისა.

10.

ამაზედ პასუხს არა ვრაცხთ, რადგან შემდგომს მუხლში მოხსენებული აზრი საკმაო არის ჩვენთვის პასუხად.

11.

საკმაო არის დიდად მხოლოდ თუ ვერ მორიგდნენ ვადის შემდგომ მამულის პატრონი და გლეხი, პირველს ნება ჰქონდეს დათხოვნისა და მეორეს წასვლისა.

12.

ემჯობინება ფასის გადაკვეთა მხოლოდ ამ შემთხვევით როდესაც საჭირო იყოს მებატონეთათვის მუშათ მოიხმაროს და როდესაც არ იყოს საჭირო ფასი მიიღოს, რადგანაც ზოგთა არა აქვსთ საჭიროება მუშის მოხმარებისა და ზოგთა აქვსთ, ეგ სახედ გლეხთაცა როდესაც ფულის მიცემა არ შეეძლოთ, მუშით გადიხადონ. –

13.

უკეთუ თავისუფალს გლეხს ნება ექმნება გარდასახლებისა ვადამდისინ, მაშ მამულის პატრონსაც ნება ექმნება დათხოვნისა; ესეცა ვსთქვათ: უკეთუ სამყოფი მამული არ ექნება, ეგრეთვე მომართულობა, მაშინ მხოლოდ ნება ექმნება მონახოს სამჯობინარო საცხოვრებელი ადგილი; ეგრეთვე მებატონეს ნება ექმნება მაშინ დათხოვნისა თუ არ იმუშავებს მამულ ალაგსა როგორათაც რიგი არის; მაშინ როგორათაც მებატონე ეგ სახედ გლეხიც მოაკლდება სარგებლობასა; ამისათვის გვქონდეს ნება გარდასახლებისა;

ვჰგონებ გლეხთათვის ეს უმეტესი სასარგებლო იყოს, ვიდრე მებატონესი. –

14.

ვადა ჩვენთვის მოკლე ემჯობინება, – 5 წლიდამ 7 წლამდე; მეტი კი სამძიმო იქნება. –

18. ღენერალ-ლეიტენანტი კნ. **ივანე მალხაზის ძე ანდრონიკოვი.**

1.

სიღნაღის უეზდის მებატონეთ უნდათ ბევრი მსახური და მწყემსი, რადგანც ვართ შემოზღუდულნი ლეკთ და თათართაგან, რომელნიც არიან ჩვეულნი ქურდობას და ავაზაკობასა და ჩვენი მამულის მდებარეობაც აძლევთ მათ დიდ შემწეობას მით, რომელ ჩვენი სოფლები დგანან ერთ მთაზე, აქეთ და იქით ორივე მხარეს აქვს ცარიელი ადგილები ძალიან გრძლად.

მეურმეები გვინდება ბევრი ჩვენის საკუთარის ურმებისათვის, რომელსაც ვხმარობთ შინ და უფრო საქირავებლად, ***რადგან ყველანი ვართ ოთხ-ფეხი საქონლის მეპატრონენი,*** რომელიც სხვა უეზდებში ძალიან ცოტაა ეს საგნები, უყმოდ ვერც ურმებს და ვერც საქონელს ველარ ვიყოლიებთ.

ვენახები გვაქვს ვრცლად და ჩვენი უკანასკნელი საცხოვრებელიც ეს არის.

ჩვენი მამულები რომ ვისმე მივჰსცეთ თავისუფალ კაცს საღალეთა სათქმელი შემოსავალი არ გვექნება სიბევრისა გამო სახელმწიფო და საეკკლესიო მამულებისა, და სხვა უეზდებში ღალით და იჯარით დიდ ფასად აძლევენ გარეშე პირთ.

ჩვენ ყმებს უმამულოდ თავს ვახსნევინებდით, რომლისათვისაც გვაძლევდნენ თავის დასახსნელად დიდ ფულს და მამულები ჩვენა გვრჩებოდა.

როდესაც მეკომური კაცი ამოგვიწყდებოდა, მაშინ მისი უძრავი და მოძრავი ბეითალმანი მამული დარჩებოდა საბატონოდ და მის გაუთხოვარ ასულს გამოვიყვანდით მუახლეთ, – თუ არ ამ შემთხვევით მუახლეს ვერ ვიშოვნიდით თუ არ ძალიან ძვირ ფასად. –

მთავრობამ ინება თავად მაჩაბლიანთ ყმების ოსების განთავისუფლება,[22] რომელშიაც მებატონეთ გაუჩნდათ საშვილის-შვილო პენსია, და მამულებიც მებატონეთ დარჩათ და ამისათვის ყმებში ვითხოვთ ფულს. –

2.

ყმებს გაუჭირდებათ დაწესებული ფული თავის დასახსნელათ, რომელიც დააბრკოლებს სახელმწიფო და საბატონოს ხარჯის გაწევას, და ამისთვის ვითხოვთ ხაზინის შემწეობას, რომ ყმამ შეიძლოს მოვალეობისამებრ თვისისა სახაზინო და საბატონოს ხარჯის გაწევა, და ეს არის დამოკიდებული მთავრობაზედ, როგორც ინებებს მეც თანახმა ვიქმნები, მხოლოდ მოგვეცეს დაწესებული ფასი. –

3.

ჩვენ გვაქვს ნება, რომ თვითო კომლითგან თითო მსახური გამოვიყვანოთ, რომელ კომლშიაც ერთს მუშაზე მეტია, და ამის მაგიერად მოჯამაგირე რომ დავიჭიროთ ეღირება წელიწადში ექვსის თუმნიდამ თორმეტ თუმნამდინ და სხვა რის მიზეზით ვითხოვთ ყმაში ფულს 1. მუხლშია.

4.

თუმცა ყოველივე დებულება ძველთადგანვე არის, მაგრამ მებატონეს აქვს უფლება საქართველოს ჰსჯულით და ჩვეულებით, რომ სურვილისამებრ თვისისა იმსახუროს, ამისათვის სამსახური არ არის ერთ ნაირი, მაგალითებრ აი, როგორც მე, მუშაობის, მსახურის და მწყემსის გამოყვანის მეტს ჩემს ყმებს არაფერს გარდასახადს არ ვართმევ, რადგან ჩემთვის უფრო სასარგებლოდ ვჰხედავ.

სახელმწიფო გასაღები და სახელმწიფო სამსახური:

ა) პოდატის ფული,[23] ბ) ფოშტის ფული, გ) ფოშტებში ზემსკის სტრაჟის ფული[24] და დ) ფოშტების ეტაპინის ურმების ფული[25] ესენი ყოველივე სჩანს გუბერნსკის პრავლენიაში[26] და კაზიონის პალატაში.[27]

სახელმწიფო საბატონო ბეგარა და გადასახადი არ შეედარებოდა მოუწყვეტელს სამხედრო მთავრობის მოთხოვნებას დასაც-

ველად კახეთის გრანიცებისა[28] ლეკთაგან, სადაც იყვნენ რაოდენიმე ასობით თოფ იარაღიანი კაცნი, გარდა ამისა ცხენიანი და ქვეითი დრუჟინებში[29] და ურმების ბეგარა, ზამთარში ტყის კაფა, ბევრჯერ ერთს დროს შეხვდებოდა სამი თანამდებობის აღსრულება ერთს კომლს, რომელიც უმეტესი ნაწილი უნდა დაეჭირა ჯამაგირით; ამ ზემოხსენებულს სამხედრო სამსახურში თითქმის ორ კომლზედ თითო კაცი გადიოდა, და მდევრობაში ქუდზედ კაცი; განსხვავებულად ოსმალოს ომიანობის დროს ვისაც კი თოფის აღება შეეძლო სრულიად ქუდზედ კაცი სამსახურში იყვნენ და ყოველს ამ შემთხვევაში მებატონეებს მონაწილეობა ჰქონდათ და ამისთანა მოუცლელობამ და ხარჯმა ამდენს ვალში ჩააგდო მებატონენი და გლეხნი, რომ იმედი არ არის გადახდისა და ამომდე გაუჭირდათ რომ გლეხთ დაუტევეს თავისი მამაპაპეული სახლკარობა და ცოლ შვილით გადიფანტნენ სხვა და სხვა უეზდებში, არის მისთანა სახელმწიფო და საეკკლესიო რომ თითო სოფლიდამ სამოცამდე კომლი გადასახლებულიყვნენ.

როდესაც ღმერთმა მოგვხედა და დაღისტანი დამშვიდდა და განვთავისუფლდით ***მოუთმენელის ხარჯის*** მოცდენისა და აკლებისაგან, მისს შემდგომ ვიწყევით ყოველი შენობა და ვადიდებდით ღმერთს ჩვენს განმათავისუფლებელს, მოველოდით რათა ჩვენი სიღარიბით მდგომარეობა შეგვეცვალა, ამ დროს გამოგვეცხადა ჩვენი ყმების განთავისუფლება, რომლითაც შევდივართ უმეტესს უბედურებაში და მით გვეკარგება დღიური საზრდო. ამ ზემო ხსენებულის მიზეზებისა გამო გლეხ კაცმა რომ გაიღოს დაწესებული ფული ვაი თუ ხელმწიფის და მებატონის სამსახური ვერ შეიძლონ, თორემ როგორც ნებავს მთავრობას, ჩვენ ყოველნი თანხმანი ვიქმნებით და საიდამაც ჰნებავდეს ფული მოგვცეს. –

5.

სიღნაღის უეზდში ორნაირი მიწებია: ***პირველი*** საკომლო, რომელსაც ჰქვიან საბლის მამული ძველთაგანვე გაყოფილი და გლეხ კაცების ხელთ, მებატონეთ აქვთ თავთავისი ხოდაბუნები. –

ეს მიწები მდებარეობს მთაში სოფლების მახლობლათ, წყლიან, ტყიან, გრილს ადგილებში; გლეხთ ზოგთ უჭირავთ დიდი საკომლო და ზოგს პატარა, ამ მიზეზით, რომ ზოგს თავის მებატონეს ჩამოურთმე-

ვია, ზოგი მეკომური გამრავლებულა და ერთი საკომლო რაოდენიმე ნაწილად გაუყვიათ, ეს მამულები არის სხვა და სხვა მებატონის ყმების მიწაში, ასე არეული რომ მებატონემ არამც თუ არ იცის სად რომლისა არის, არამედ რიცხვიც არ იცის, ვის რაოდენი მამული უჭირავს, ზოგი ერთს ყმებში ახლაც დავებია მიჯნებზედ და კუთვნილობაზედ, და ამაში თანა ზიარია მებატონეც, მომატებულად ობლისა და ამოწყვეტილი საკომლოდამ ბევრი ეკარგებათ მებატონეთ, ზოგიერთს ძლივ მთხრობლით პოულობენ, და რაკი ყმა ჩამოერთმევა საბლის მამული ანუ ღალა დაედება, მაშინ უფრო გამრავლდება დავა და ბევრი მამულიც დაიკარგება, რადგანაც გლეხი თავისად აღარ გამოელის, ამ შემთხვევაშიდაც ვითხოვთ მთავრობის ყურადღებასა, რომ საბლის მამული ისრე გაერთებით მქონდეს შემოფარგლული, როგორათაც სათემოები რაოდენიმე ნაწილი გაყოფილია და ყველამ ვიცოდეთ ჩვენი საკუთრება. მეორე არის რომელსაც ეწოდება ***სათემო,*** ვის-სად ჰსურს თავის მებატონის წილში ბატონის ნება დართვით ყმა თავისუფლად ჰსარგებლობენ. რაც უნაყოფო მიწები გვაქვს ჩვენ ანდრონიკაანთ გავიყავით კანონიერის წესით და ყოველმან ვიცით რაოდენი დესეტინა ვის სად გვაქვს, ეს მიწები მდებარეობს მდ. იორის გაღმა და გამოღმა რაოდენიმე ათასი დესეტინა, მომატებული ამ ადგილებისა არის უწყლო, უტყეო, სიცხისა და სიშორისა გამო საძნელოა ზაფხულში იქ სარგებლობა, ამითი ჰსჩანს რაც კარგი მამულები არის გლეხკაცებს უჭირავსთ და თუ მათ ხელ აღებით მივეცით, ჩვენ უნაყოფო მიწები დაგვრჩება, და თუ არ მივეცით, ვაი თუ საბატონო სოფლები დაგვიცარიელდეს, რადგანაც გადასახლებლად ადგილები ახლოს აქვთ სახელმწიფო და საეკკლესიო სოფლები, სადაც ადვილად იშოვნიან, გარდა ცარიელის ალაზან გაღმის სახელმწიფო მამულებისა და გამოღმა თუქურმიშას, რომელიც მათ განზრახვა ეხლაც ჰსჩანს, ამაში უნდა აღმოვირჩიოთ, ან კარგი მამულები უნდა მივსცეთ და ანუ სოფლები ვერანათ გავხადოთ და შეიქმნეს ჩვენი მთა და ბარი ქურდების და ავაზაკების ბუდედ და რაოდენიმე მებატონენი პატრონნი ათასობით დესეტინებისა დავრჩეთ მარტოკანი. უკეთუ სიღნაღის უჩასტკის საუკეთესო სახელმწიფო სოფლის ანაგის მცხოვრებთ გააკეთეს ვენახები და წისქვილები ალაზანს გაღმა, და ახლა უმეტეს სამოცის კომლისა განუზრახამთ იქ გადასახლება, რა საკვირველია რომ მებატონის მამულზედ ღალით დადგომას გლეხნი აღარ მოინდო-

მებენ. ქართული ანდაზაა თუნდ მკვდარი და თუნდ შინ მოუსვლელიო. ამისათვის სიღნაღის უეზდის კეთილ შობილთ განსხვავებულად დიდი ფიქრი უნდათ ამისთანა მდგომარეობაში. რა ქნან და ან რა რიგი გამოცდილი კაცი აღმოირჩიონ ჩვენის მდგომარეობის გამომხატველად, და თუ რომ ამაზედ მთავრობა შემწეობას არ მოგვცემს, ჩვენი შვილი შვილები ჩვენ საფლავებს წყევლას და გინებას დაუწყებენ.

ამბობენ ყმას თვისი ჭირნახული არ წაერთმევაო. უკეთუ მათ მიუძღვით სიმართლე, არც მებატონეთ უნდა დაეკარგოთ თვისი ჭირნახული; ასე რომ სისხლის დანთხევით და განსხვავებულის სამსახურისათვის საქართველოს მეფეებს უწყალობებიათ ჩვენის მამაპაპისათვის საშვილი შვილოთ ყმა და მამული, რომელნიც ყოფილან სჯულისა და სამეფოს დაცვის მიზეზნი, ვიდრე რუსეთის მხედრობის მოსვლამდენ, რაოდენი საუკუნეა. ჩვენს მამაპაპათ და ჩვენის ამოწყვეტილის გლეხის ბეითალმანი, სახლ-კარობა, ვენახი და მიწაწყალი მიგვიცია ჩვენის ყმებისათვის.

გაუყრელი ყმა რომ გარდაცვლილა უძეოთ, მისი წილი ვენახი გაგვიყვია მის მოძმეთაგან, აგრეთვე უძრავი და მოძრავი ქონება და მიგვიცია ჩვენი ყმებისათვის. ჩვენგან ნასყიდი ვენახები მიგვიცია ჩვენის ყმებისათვის. რუსეთის მთავრობის დროს ზოგიერთს გვიყიდნია ყმა და მამული და სიმართლე იქმნება, რომ განთავისუფლებულს ყმას მიეცეს ჩვენგან ის ვენახები, რომელიც დღეს მათ უჭირავსთ და თუ ამის გამოძიებაში შევალთ, მაშინ ეს გაგრძელდება და ბატონ ყმობაში წინააღმდეგობის მეტი არა გამოვარა. ამისთვის უფრო სამჯობინარი და სამართლიანი იქმნება, რომ ჩვენ დავრჩეთ ჩვენი მამულის სრულიად მეპატრონენი. რადგანაც არიან სხვა უეზდებში მისთანა მამულის მეპატრონენი რომ მათი ყმები გარდასახლდნენ მებატონესათვის უფრო სასარგებლო იქმნება. –

უკეთუ ყმას მიეცემა ნება ვისაც ჰსურს გადასახლება, ანუ დარჩენა თვისსავე უწინდელს ადგილზედ, ესე იგი რომელიც კარგი მამულები არის დარჩნენ და უღონო სოფლები კი დააცალიერონ არც ეს იქმნება სამართლიანი, თუ იმათ ეს ნება ექმნებათ. მებატონეს უფრო მიუძღვის სიმართლე, რომ თუ არა ჰსურს თვისის მამულიდამ ყმა დაითხოვოს და თუ არა მთავრობამ ასეთი განკარგულება მოახდინოს, რომ ვერც გლეხი დაიძრას თვისის მამულიდამ და ვერც მებატონემ შეიძლოს მათი აყრა, ორივე მხარენი მთავრობამ დააკმაყოფილოს

და ჩვენ რა რიგათაც ვეცდებით შეძლებისამებრ, ჩვენის ყმების დაკმაყოფილებას გუბერნიის კეთილშობილთ შეკრებილების დროს ტფილისში გამოვაცხადებთ. –

6.

ჩვენი ყმების სამსახური სჩანს ცალკე ქვემორე ამისა, და ახლა ჩემის მხრით დიდათ შეუმცირე, და მამულის მიცემას შევიძლებთ თუ არა, კეთილშობილთ შეკრების დროს ტფილისში გამოვაცხადებთ, სასარგებლოდ ყმებისა, რაიცა იქმნება თვით მთავრობაც ცხადად დაინახამს, მაგრამ ესეც უქმი იქნება, თუ მთავრობა შემწეობას არ მოგვცემს ამით, რომ ჩვენს ყმათ გამოერთვათ ერთი მანეთი ზემსკის პოვინნოსტი,[30] რომ ამ ორი მანეთის მეტი ჩვენს ყმებს ფულათ აღარა გამოერთვას რა სახაზინოს მხრიდამ და დანაშთენი: ბაქოს, ერევნის და დერბენდის გუბერნიებს შესწერდეს, რადგანაც სამი გუბერნიისათვის არა იქმნებარა, ამისთანა მცირედი ფულის მომატება, რადგანც ჩვენს უეზდში საბატონო ყმანი ძალიან ცოტანი არიან, რომელიც ცხადათ ჰსჩანს კომერალნიის აღწერაში და ნატურალნის პოვინნოსტი მეოთხედი კომლზედ შესწერდეს ჩვენს ყმებს და სამი წილი კახეთის უეზდის სახელმწიფო და საეკკლესიო სოფლებს ვინაიდგან არაფერი სამძიმო არ იქნება ხალხთათვის, რომელიც ჰსჩანს გუბერნსკის პრავლენიის საქმეებში მათი სახელმწიფო ბეგარა.

რაც ფულის გადასახადი ერთმევათ ეხლა საეკკლესიო გლეხთ სახელმწიფო გლეხსაც ის გამოერთოს, უკეთუ სახელმწიფო და საეკკლესიო საძოვარს მიწებზე საბალახეს ართმევენ სახნავზედაც ღალა გამოერთოთ, რომ ჩვენმა ყმებმა დაინახონ სახელმწიფო გლეხის გადასახადის მომატება, უამისოდ რაც უნდა მსხვერპლი შევსწიროთ ჩვენს ყმებს მაინც არ დადგებიან საბატონოს სოფლებში, რადგანც ყოველნი ადვილად იპოვნიან თავისუფალს მამულებს სახელმწიფო და საეკკლესიო სოფლებში თვისის ნათესავების შემწეობით. ტფილისის უეზდში მეც მაქვს ერთი კარგი საკუთარი სოფელი, მაგრამ მაზედ არას ვამბობ რადგანც მისი მდგომარეობას დიდი განსხვავება აქვს აქაურს ყმა და მამულზე, ასე რომ აქ რაკი ყმა ჩამოგვერთმევა და მათს მუშაობას დავჰკარგავთ, მამულების შემოსავალი ცხადათ ჰსჩანს რა იქნება ზიარის უჩასტკაში და უნდა მივეცეთ საუკუნო სიგლახაკეს. –

რადგან ჩვენ დიდის წარსაგებელით ხარჯსა და ბეგარას დიდათ შეუსუბუქებთ და მთავრობაც ამ შემწეობას მოგვცემს მაშინ იმედი არის, რომ გლეხნი მომადლიერებულნი შეიქმნებიან და დარჩებიან თვის თვის ადგილას.

7.

ჩემი სურვილი არის, რომ გლეხნი დარჩნენ ჩემს მამულზედ, და რაც დღეს მათ უჭირავთ საუკუნოთ მათ დარჩეთ და იმ მამულის სამსახურს საუკუნოდ ძალიან შეღავათიანათ დავადებთ, მაგრამ ამბობენ, რომ ეს არ შეიძლებაო თუ არ ვადითო, ამისათვის ჩვენც ვთქვით, რომ ვადით მივცემთ ჩვენს მამულს, რაც დღეს მათ უჭირამთ. –

ხიზანი, ხიზნობა, სახიზარი, დახიზვნა, გახიზვნა და შეხიზვნა:

ხიზანი შევიწროებული ცოლშვილიანი კაცია. მტრობიანობის დროს მთაში მაგარს ადგილს დაჰხიზვნიდნენ თავის ცოლ შვილს და თვით მტრის საომრად გამოვიდოდნენ. ამისათვის ძველადგანვე დარჩენილა, რომ გლეხნი თვისს ჯალაბობას ანუ ცოლ შვილს ეხლაც უწოდებენ ხიზანს და იმ ადგილს ანუ სიმაგრეს, სადაც იხიზნებოდნენ – სახიზარს. – გლეხნი ამბობენ ამა და ამ ხიზნობის დროს დავბადებულვართო. –

გაჭირვებული გლეხი მეძიებელი მფარველობისა, როდესაც შემწეობას მოითხოვს, გეტყვის თქვენ შემოგხიზნივარო. – დიდი შესაყარის ჭირის გარიდებას უწოდებდნენ გახიზვნას, უმამულო გლეხი შეეხიზნება მემამულეს. – სიღნაღის უეზდში სახელმწიფო და საეკკლესიო სოფლები დიდ მამულიანი ბევრია და მებატონისა ცოტა, ამისათვის მხვნელ მთესველნი გლეხნი საღალეთ საბატონო მამულზედ არ უნდა იყვნენ, გარდა თათრებისა; მე ამითი უფრო ვჰგონებ, რომ ჩემოდენი ყმა და მამული არა ვისა ჰყავს ჩვენს უეზდში და ღალით არცარავინ მყოლია, არცარავინ მყავს გარდა თათრებისა და თუ არიან ტაბარუკათ, ჩვენს ყმებს მცირედი ქირით თვის ეზოში უდგათ. ჩვენში ამისთანა უმამულო გლეხს უწოდებთ ტაბარუკს. ტაბარუკს და ხიზანს ეს აქვთ განსხვავება, რომ ტაბარუკნი უფრო ვაჭრობას და სხვა და სხვა ხელობას მისდევენ და არა ხვნა თესვას, სახელმწიფო ხარჯს კომერალნიის აღწერით აძლევენ, მაგრამ, რადგანც რქიანი მუშა სა-

ქონელი არა ჰყავთ, სახელმწიფო ბეგარას არ ეწევიან ძველის ჩვეულების მიხედვით, სწორე ხიზანნი არიან ქართლში და თათრების სოფლებში ყველგან ტფილისის გუბერნიაში, რადგანაც იქ სახელმწიფო და საეკკლესიო მამულები საკმაო არ არის და მებატონეთ შეჰხიზვნიან უმამულო მხვნელ მთესველნი ხიზანნი და საღალეთ მათს მამულში ჰხვნენ, ამითი შეიძლება თქმა, რომ სიღნაღის უეზდში საბატონო მამულს საღალეთ არავინა ჰხვნენ თუ არ საბლის მამულს, ესე იგი საკომლოს, იმასაც მათივე მახლობელი მეზობელი ძალიან ცოტას, რომელიც არის ყმების ხელთ ძველადგანვე გაყოფილი გარდა საბატონო ხოდაბუნებისა.

უწინდელს დროს ტაბარუკს, ესე იგი უმამულო კაცს და მემკვიდრე გლეხს დიდი განსხვავება ჰქონდათ, რადგანც ტაბარუკი ერთის სოფლიდამ მეორე სოფელში ადვილად გადავიდოდა და ახლა კომერალნიის აღწერამ უფრო სიერთე მისცა ტაბარუკს და მემკვიდრე გლეხს. –

ბევრნი არიან მებატონეთაგან თავ დახსნილნი, რომელთაც თვისს მამაპაპეულს საკომლოზედ ხელი აუღიათ, ანუ მებატონეს არ მიუყიდნია და რომელთაც მათგანს უსურვიათ საბატონოს სოფელში დასახლება სხვა და სხვა მებატონეთაგან უყიდნიათ მიწები და მაზედ დასახლებულან. –

ამისათვის ჩვენს ყმებს უნდა გადეწყვიტოთ ფულზედ ყოველივე საგნების მოსაცემი, რომ ერთმანერთში აღარაფერი სალაპარაკო და საჩივარი იქმნეს. რასაც დავაწესებთ ცალკე ქვემორე ამისა ჰსჩანს.

ამისათვის იძულებულნი ვიყავით თქმად, რომ სახლ კარობას ადგილ-მამულებს რაც უჭირამთ სულ იმათ მივაჩემებთ დროებით.

8.

რაც ჩვეულება ყოფილა ჩვენს უეზდში ყმის გადასახადისა და სხვა და სხვა სამსახურისა, ქვემორე ამისა ცალკე ჰსჩანს.

9.

რაც სამსახური აძევსთ ჩვენს ყმებს ქვემორე ამისა ცხადად არის მოხსენებული და ახლა სამაგიეროდ მისა ძალიან შემსუბუქებას მივცემთ და ყოველი საგნების მაგიერად ფულათ გადუწყვეტთ. უკეთუ უწინდელს ჩვეულებითს გადასახადს და ბეგარას რამეს გა-

მოვართმევთ, მაშინ ყოველთვის მოუწყვეტელი საჩივრები იქნება, როგორათაც საწყაოზედ, ეგრეთვე ავ-კარგობაზედ და უფრო კიდევ მუშაობაზედ და ამითი აშკარათ გამოჩნდება შემსუბუქება გლეხკაცის სამსახურისა. –

10.

უწინდელი ჩვეულება ყოველივე უნდა შეიცვალოს და ახალი წესი ეს უნდა დაიდვას, რომ ყოველი ფრისათვის ფული გამოერთოს გლეხთა მებატონის სასარგებლოდ, რომ მათში საჩივარი აღარა მოხდესრა გარდა კარგის მეზობლობის მეტი. –

საენდრონიკო სოფლები თვისის ბოლოებით განიყოფება ორს პოლოსად,[31] ერთი უკანა მხრის პოლოსა, რომელზედაც ვილა-პარაკე სამხრეთის კერძოთ იორის მდინარის გაღმა და გამოღმა; მეორე არის წინამხრის პოლოსა ჩრდილოეთის კერძოთ მდინარის ალაზნის გაღმა.

სიღნახის უეზდი სდგას ერთს მთაზედ და ორივეს მხრით დასახლებულს სოფლებს აქვთ თავთავისი მიწა-წყალი ერთს მხარეს სიგრძეზედ, და რომელს სოფელს ეკუთვნის იმ სოფლის ბოლოს უწოდებენ და გამოღმა ვიდრე კავკასიის მთის პირველ წვერამდინ, ამ წინა მხრის საენდრონიკო სოფლები არიან: ვეჯინი და გურჯაანი, წყლიანი, ტყიანი, ხეხილიანი და ჩინებული ვენახებით და საუკეთესო კახური ღვინით.

საბლის მამულს და სათემოს ის განსხვავება არა აქვს, რაც უკანა მხარის სოფლებს, განსხვავებულად ალაზნის გაღმა მამულებს, სადაც არის საშენებელი ჩინებული ტყე და მოსახმარისი სხვა და სხვას მასალისათვის მრავალი რიგი ხე, სათიბი, საძოვარი და სარწყავი სახნავები. სხვაგან მთელს საენდრონიკოში სარწყავი წყალი არა გვაქვს, მრავალი წყარო და მთელ საენდრონიკო მიწებზე უპირატესი და ყოვლითურთ ნაყოფიერი, რომელიც არის საცხოვრებელი ჩვენი და ჩვენის ყმებისა, იმითი გვაქვს ვენახები სახლ კარობა და ყოველივე ჩვენი სიმდიდრე, რომელსაც გვედავება ხაზინა და ამ მიზეზისა გამო ყმებზედ ვეღარა გვითქვამსრა, ამისათვის, რომ ჩვენი კეთილ საიმედო ისღა დაგვრჩენია და თუ ის აღარ გვექნება, რაღაზედ უნდა შევაწუხოთ მთავრობა, ყმა და მამული-

დამ ცარიელი დავრჩებით. და ამ დავის მიზეზით დავბრკოლდით ჩვენს პრედპოლოჟენიის[32] დაწერაზე ყმების თაობაზე.

უკანა მხარის სოფლები: 1. მელანი, 2. ფხოველი, 3. ქოდალა, 4. ზიარი, 5. აგრამ დარჩიეთი და 6. შიბლიანი. ამათ ყველას განეყოფებათ ხარჯი თვის თვისს მდგომარეობაზედ წინამხრის სოფლებს მეტობით, რადგანაც არის 1-ლი ხარისხოვანი და ყოველი სოფლის მცხოვრებნი განიყოფებიან მეკომურნი ხუთს ხარისხოვნად: წინა კაცი, შუა კაცი, ბოლოს კაცი, ღარიბი და საწყალი. ამათი გასაღები ცალკე ქვემორე ამისა ჰსჩანს ძველის ჩვეულებით, და ახლა დაწესებულის ფულზედ ცხადათ დაინახება განსხვავება, რასაც წესზედ დავაყენებთ ჩვენს ყმებს. –

გარდა ზემოხსენებულის სოფლებისა ჩვენ თავადთა ანდრონიკოვთა გვაქვს თათრის სოფლები უკანა მხარში მდინარის იორის სოფლები გაღმა და გამოღმა სახელდობრ: 1. დუზაგრამი, 2. წიწმატიანი, 3. თულარი, 4. ლამბალო და 5. ქეშელო.

ზოგიერთ ჩვენგანს გვაქვს სოფლები ტფილისის უეზდში ბორჩალოს უჩასტკაში და ამისათვის, რასაც იქაურს თათრებზედ განწესებას მოახდენენ აქაც ის იყოს.

მხოლოდ ჩემი სურვილი არის, ჩემს ყმებს აქაც იქაც ფულზე გადუწყვიტო ყოველივე გადასახადი და სამსახური, როგორც ახლა დაასახლა ჩემმა შვილმა[33] ბორჩალოს უჩასტკაში თვის მამულზედ სახელმწიფო ყმანი თათარი და მე საუმჯობესად ვჰრაცხ ჩვენ და ჩვენი ყმები თათრები, როგორც ზიარის უჩასტკაში აგრეთვე ბორჩალოში თითონ მოვრიგდეთ, რადგანც თითო კარგი სოფლები მაქვს აქ თელარი და ბორჩალოში ლაჯბადინი ორივე ჩემი საკუთარი, აქაც და იქაც მყვანან ხიზნები. –

11.

ყოველნი თავისუფალნი მხვნელ-მთესველნი გლეხნი დგანან თავთავის სახელმწიფო და საეკკლესიო მამულებზედ; სიღნაღის უეზდში მრავალი მამულები არის სახელმწიფო და საეკკლესიო და მებატონეთ ძალიან ცოტა. ამისათვის თავის უფალი კაცი არ ისაჭიროებს საბატონო მამულის სარგებლობას.

ძალიან საეჭვოა, აქაური ყმა დადგეს ვადით, გარდა თათრისა, რადგანც ყველანი ცდილობენ საშვილი შვილოს საცხოვრე-

ბელს, რომელიც არის ვენახები, ანუ რა გულით უნდა შეიმუშაონ და განავრცელონ, რადგანც ის არ მოელის თვისს საუკუნოდ, კიდეც რომ გახდნენ ვადით თანახმანი უეჭველია წაუმხდარი არ მორჩება ვენახები და მებატონისათვისაც დიდი დასაკლისი იქმნება და ვადის შესრულებამდინ გლეხს და მებატონეს შუა მოუწყვეტელი დავა იქმნება და სხვა და სხვა საქმეები უნდა შესდგეს და ამაზედ ურთიერთსა შორის წინააღმდეგობა ჩამოუვარდებათ, ამისათვის გლეხნი და მემამულენი განშორდებიან ურთიერთს ზარალით. –

ვენახები, რომელიც კარგათ გაკეთებულია იჯარით ვინც მისცემს ორს წილს პატრონი აიღებს ყურძნის გამოსავალს და მესამედი იჯარადრისაა, და თუ ვენახი აბეჩხარია, მაშინ სანახევროა. ყოველივე შემუშავება და სასმელ საჭმელი იჯარადრისაა, მხოლოდ დაკრეფა და დაწურვა გამოსავლის წილადობაზეა.

12.

არამც თუ მუშის ფული, არამედ ყოვლის საგნების მაგიერ უნდა გამოერთვათ ფასი.

13.

ვისთვისაც საჭირო იქნება და არ იქნება მუშა, ჩემის ჰაზრით მაინც ისე ჰსჯობიან, რომ პატრონმა ფული გამაართვას. არც გლეხს და არც პატრონს ვადამდისინ ნება არ უნდა ჰქონდეს გადასახლებისა და რაიცა მათში დაწესებული იქმნება მთავრობამ ძალ დატანებით აღასრულებინოს ორივე მხარეს, მარამ ეს საჭიროა რომ ვადით მოხდეს.

14.

ჩემი ჰაზრით ვადით დაყენება სრულიად უსაფუძვლოა, ამასაც დაუმატებ რაც საზოგადო ჰაზრია ცხადად ჰსჩანს სხვა და სხვა უეზდის კეთილშობილთ ***პრედპოლოჟენიეში*** და დანაშთენი რაც მხოლოდ შეეხება ჩვენს უეზდს ცალკე განხილულ და გადაწყვეტილ იქმნას მთავრობიდამ, რადგანც ჩვენ ვითხოვთ მის მოწყალებას და მფარველობას, რომელიც მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული ჩვენი ვედრების შესრულება, რადგანც აშკარაა რაკი გლეხს ნება ექნება უეჭველად იქ აღმოირჩევს ცხოვრებას რაც მისთვის საშვი-

ლი შვილოდ სამჯობინარია და რასაკურველია მისთვის კარგი იქ-ნება ორს ვერსტზედ სხვა უღალო სახელმწიფო და საეკლესიო სოფლებში გადასახლდეს, ზოგი ზედ სიძეთ და ზოგი ბეითალმან მამულზე.

რადგანც მათი აღმატებულება დიმიტრი ივანიჩი ყიფიანი უფრო საჭიროდ რაცხს პასუხები არა თუ რაოდენისამე პირთაგან, არამედ ყოვლის მებატონისაგან, რომ მას ჰქონდეს უკეთესი იქნება საქმისათვისაო, ამისათვის შეძლებისამებრ შემიდგენია როგორც ვიცი.

19. სიღნაღის უეზდიდამ. სამოც და ცხრა პირნი:•

ღენერალ-ლეიტენანტი კნ. რევაზ ანდრონიკოვი.
შტაბს-კაპიტანი დიმიტრი ანდრონიკოვი.
კნ. დიმიტრი აბხაზოვი.
პრაპორშჩიკი კნ. დონიკე ანდრონიკოვი.
კნ. ივანე ანდრონიკოვი.
პრაპორშჩიკი კნ. ზაქარია ანდრონიკოვი.
კნ. გიორგი ანდრონიკოვი.
– ანდრონიკოვი.[34]
– ალექსანდრე ანდრონიკოვი.
პრაპორჩიცა ქვრივი კნ. ბაბე ანდრონიკოვისა.
– ზურაბ ანდრონიკოვი.
– ზაქარია ანდრონიკოვი.
– ილია ანდრონიკოვი.
კოლეჟსკი რეღისტრატორი კნ. ზაქარია ანდრონიკოვი.
– ალექსანდრე პაატას ძე ანდრონიკოვი.
– დიმიტრი აბაშიძე.
პრაპორშჩიკი კნ. გიორგი ანდრონიკოვი.

• საბუთში ასეა. უნდა იყოს „шестидесяти шести“ (როგორც რუსულ, ისე ქართულ ტექსტში ჩამოთვლილია 66 თავად-აზნაური).
შ. ჩხეტიას შენიშვნა (ჩხეტია 1950: 173).

– სვიმონ აბაშიძე.
პოდპორუჩიკი კნ. ალექსანდრე ვაჩნაძე.
– ზაქარია ვაჩნაძე.
პოდპორუჩიკი კნ. ნიკოლოზ ვაჩნაძე.
–
_ [35]
– ალექსანდრე ვაჩნაძე.
კნ. მიხეილ ვაჩნაძე.
– იოსებ ვაჩნაძე.
– რევაზ ვაჩნაძე.
– სვიმონ ვაჩნაძე.
– ზურაბ ვაჩნაძე.
– გრიგოლ ვაჩნაძე.
– ივანე ვაჩნაძე.
– გიორგი ვაჩნაძე.
– სვიმონ ვაჩნაძე.
– ზაქარია ვაჩნაძე.
– ზაალ ვაჩნაძე.
– დავით ვაჩნაძე.
– იოსებ ვაჩნაძე.
პრაპორშჩიკი კნ. რევაზ ვაჩნაძე.
– გიორგი ვაჩნაძე.
– ლუარსაბ ვაჩნაძე.
– ნიკოლოზ ვაჩნაძე.
– ადამ ვაჩნაძე.
– ალექსანდრე ვაჩნაძე.
– დიმიტრი ვაჩნაძე.
აზ. კონსტანტინე გიჯიმყრელი.
– დავით გიჯიმყრელი.
კნ. ალექსანდრე ჯანდიეროვი.
პრაპორშჩიკი აზ. დავით ფირადოვი.
– ფირად ფირადოვი.
კნ. ალექსანდრე ზურაბის ძე ჯანდიეროვი.
– დიმიტრი ჯანდიერი.
– ლუარსაბ ჯანდიერი.

აზ. ზაალ წინამძღვაროვი.
კნ. ილია ავალოვი.
– ასლან ავალოვი.
– დიმიტრი ავალოვი.
პორტუპეი იუნკერი კნ. სოლომონ ვაჩნაძე.
პოდპორუჩიცა ქვრივი კნ. ეფემია ვაჩნაძე.
კნ. ეკატერინე დიმიტრი ვაჩნაძის ასული.
პრაპორშჩიკი აზ. ყარამან ნაცვალოვი.
პრაპორშჩიკი აზ. ლუარსაბ ნაცვალოვი.
აზ. მალაქია ნაცვალოვი.
პრაპორშჩიკი აზ. ბარამ ნაცვალოვი.
პორუჩიცა ქვრივი სალომე ნაცვალოვისა.
პრაპორშჩიკი კნ. ზურაბ აბაშიძე.
კაპიტანი კნ. ალექსანდრე ანდრონიკოვი.
– ივანე ანდრონიკოვი.
– მიხეილ ანდრონიკოვი.

1.

კანონთა მიერ დაწესებულ არის ფასი, ცალკე სულზედ და ცალკე მამულზედ. – მოპოებულნი ამა კანონთა ძალით, გარდა სამსახურისათვის, ჰყვანან ნასყიდნი ყმანი მებატონეთ უმამულოთ და დაუსახლებიათ მამულზედ, მიუღიათ კანონიერნი აკტნი დაურღვეველის უფლებისა მათ მფლობელობასა ზედა და 4% ხაზინაში მიცემით გარდა სხვა ხარჯისა კუპჩის[36] მიღებისათვის და განკვეთილებისათვის ამა შეძინებულისა ყმათა და მამულისა მოსვლიათ დიდი ხარჯი, ნუ თუ არ იქმნება უსამართლოება, რომელ ახალთა კანონთა სრულიად მოსპონ ეს ფასი, სისხლით ნაშოვნის საკუთრებისა? თვითოეულთა საყმო არს მოპოებული ჩვენთა მამა-პაპათაგან მოწამებრივის სისხლის ღვრით სამსახურისათვის მამულისა, ანუ ნასყიდი დიდის ღვაწლით და შრომით შეძინებულის ფულით და შეადგენს ჩვენსა თავნსა. შემოსავალი ვითარცა მამულისა, ეგრეთვე შრომა და სამსახური პირადი არს მხოლოდ სარგებელი ჩვენის თავნისა და შემდეგ შეძინებისა, ამა ჩვენთა საკუთრებათა არა რაიმე გვაქვს მითვისებული უკანონოდ.

მმართებლობა წარმოადგენს ინტერესსა მთლად ყოველთა წოდებათა, ყოველთა ხარჯის მძლეველთა ხაზინასა შინა, მაშა სა-

დამე ყოველივე ხარჯი საზოგადოს სარგებლობისათვის უნდა იყოს მისს ანგარიშსა ზედა. რადგან განთავისუფლება გლეხთა საჭირო არის არა მხოლოდ ერთთა მებატონეთათვის, არამედ მრთელისა სახელმწიფოსათვის, მაშა მრთლად სახელმწიფომ (ესე იგი ყოველთა მძლეველთა ფულისა ხაზინასა შინა) უნდა მიიღოს მსხვერპლსა შინა მონაწილეობა. – უადვილეს და მართლ მსაჯულებრივ არს მსხვერპლ-შეწირვა საზოგადო სარგებლობისათვის ყოველთა წოდებათაგან, ვიდრე ერთისაგან. – უკეთუ ამ გვარსა მსხვერპლსა რიცხვენ ფრიად შესანიშნავად და უდიდესად ხაზინისათვის (ესე იგი ყოველთა წოდებათათვის და მას შინა მებატონეთაცა), მაშ უმეტეს უძნელესს და უსამართლოება არ იქნება გარდახდეს ეს მსხვერპლი მარტო მებატონეთა? მსხვერპლ შეწირულება მებატონეთაგან ჯერ არს გარნა თანასწორ სხვათა წოდებათა, უმეტეს მისთვის, რომელ მსხვერპლ შეწირულება მათთვის უძნელეს არს, ვიდრე სხვათა წოდებათათვის მრავალთა მიზეზთა გამო.

თუმცა გლეხთა განკვეთილებისაგან მებატონეთათვისაცა წარმოსდგების სარგებლობა, მაგრამ ჯერედ დიდ ხანს უნდა იყვნენ მისნი მლოდნელნი, ხოლოდ პირველად მსწრაფლ აღუჩნდებიან მრავალ გვარნი დაბრკოლებანი და ზარალნი, რომელიცა მიიყვანს მათ უკანასკნელსა განწირულებასა შინა. სხვათა წოდებათათვის გლეხთა განთავისუფლებითგან აღმოსჩნდება მხოლოდ მსწრაფად სარგებლობა და შეძინება, თვინიერ ყოვლისა სიძნელისა და ზარალისა. მებატონეთ სოფლის სახლოსნობა მოითხოვს ახალთა თავნთა საქმეთათვის, შეცვლა დამოკიდებულის შრომისა მიუცილებლად წარმოადგენს ჯერედ საქმის არევასა, რომელიცა შეაყენებს შრომით წარმოებასა და მოაკლებს შემოსავალთა.

არა არს ეჭვი, რომელ ახალნი დრონი, ზნეობითი კანონი და სარგებლობა სახელმწიფოსი მოითხოვს გლეხთ განთავისუფლებასა მებატონეთ უფლებისაგან. მიუცილებელ და საჭირო არის განღვიძება და განძლიერება შრომათა, წინად განზრახვათა და წინად მიღებულებათა სოფლის სახლოსნობასა შინა, და ამა ყოველსავე შეავიწროებს და მოაკვდინებს უფლება ყმათა ზედა; გარნა ესე მიზეზნი არ მოსპობენ მებატონეთ უფლებათა, რომლისაცა შეცვლა ჯერ არს შეისყიდოს შესაფერის მისაგებელითა ანუ სამაგიეროთი. – ამისათვის საჭირო იქმნება ფრიად შესანიშნავი ხარჯი, გარნა ყოველს შემთხვევათა შინა ესე მიუცილებელ არს. – ჩამორთმევა მე-

ბატონეთაგან უფლებისა თვისთა საკუთრებათა ზედა თვინიერ სამაგიეროსი ესოდენ არს საზარალო შრომათათვის ერთა, ვითარცა უფლება ყმათა ზედა და უსაშინელეს არს სახელმწიფოსათვის. – ვითარცა მაგალითი უსასყიდლო (даровой) ანუ უღირსად შეძინებისა, ეგრეთვე მაგალითი საკუთრებათ ჩამორთმევისა, თვინიერ სამაგიეროსი, შეაყენებენ ყოველთა წოდებათა შორის ხალისსა შრომისადმი, მოსპობენ ნდობათა და რწმუნებათა საზოგადოებისადმი, დაამდაბლებს შრომის მოყვარებათა და დაამცირებს ყოველთა გამჭრიახობათა და განღვიძებათა. –

ჩვენთა მამაპაპათაგან შეძენილი საკუთრება დაბეჭდილ არიან არა ერთ გზის თვითოეულთა მათთა ჩამომავლობათაგან, მსგავსისავე თვისთა მამა-პაპათ სისხლის ღვრით, იმავე გვარად ღვაწლისა და მსხვერპლ შეწირვით და იმავე ერთგულებით მამულისა და სარწმუნოების დაცვისათვის. – დროიდგან საქართველოს შესვლისა რუსეთის მფლობელობასა ქვეშე, მიუძღვისთ საქართველოს კეთილ შობილთ, ესრეთნი ერთგულებრივი სამსახურნი მისის იმპერატორებითის დიდებულებისადმი, რომელნიც, თვით საკუთრად ესენიც ღირს ჰყოფენ მისის უმაღლესისას მოწყალებასა. – ამისთანა ყმა და მამული თითქმის ერთობ საქართველოს კეთილ შობილთა აქვსთ შესყიდული არა ერთ გზის, არ არის კახეთში თითქმის არც თუ ერთი ოჯახი კეთილ შობილისა, რომელიცა აღტვირთულ არ იყოს პრიკაზის ვალითა და გარეშე პირთა დიდის სარგებლით ნასესხების ფულითა. ამის მიზეზნი არა ვართ თვით ჩვენ, ესე სამძიმო მდგომარეობა ჩვენი წარმოსდგა აწმყოს საუკუნეში, სადაც სხვა და სხვა გარემოებამ შეგვაიწროეს ჩვენ და ნამეტნავად სასამართლოებში ბრძოლამ ჩვენ ყმებთან და ურთიერთაშორის, ასე რო არ არის ჩვენში არც ერთი გვარი, რომელსაცა თავისი ყმა და მამული დიდის ტანჯვით და ხარჯით არ გამოეხსნას დავისაგან და არ განევლოს რუსეთის სამსჯავროებში ერთხელ ანუ ორჯელ. – ეს ვალი ესრეთ აღორძინებულია თვითოეულს საგვარეულოსა შინა, რომ თვითოეულს ათასის წლის ოჯახსა ექადის დაცემითა. ამის სარგებლის გადახდაც არა ვის შეეძლო აქამომდე, რადგან მხარე ჩვენი გარე მოცვილი განძვინებულთა ჩვენზედ ველურთა კავკასიის შვილთაგან ისეთს აღშფოთებულს და მოუსვენებელს მდგომარეობაში იყო დაყენებული, მონიჭებამდე ჩვენდა სიმშვიდისა და მყუდროებისა ქველის მოქმედებრივსა ღვაწლითა მის

ბრწყინვალების კავკასიის ნემესტნიკისა, რო თვითოეულსა სახლსა ყოველნი ასაკოვანნი წევრნი მამრნი და თოფის ამღებელნი დარაჯობდნენ თავიანთ სახლობას მტრის უეცარის დაცემისაგან. – უნდა ვსთქვათ ესეცა, რომ მრავალი მათგანნი უმეტეს ნაწილთა წელიწადთა განატარებდნენ სამსახურში თავიანთ სახლობათაგან მოშორებულნი (ესე მოყმენი იყვნენ ამ დროს განთავისუფლებულნი ყოვლის ფრის საბატონო სამსახურისაგან) და ამისთანა მდგომარეობაში ნუ თუ შესაძლებელი იყო ჩვენგან გაუმჯობესობა ყმისა და მამულისა და იქიდგან შემოსავლით ვალების გადახდა. წინადვე დავკარგავდით ვალში ჩვენთა ყმათა უკეთუ ბრწყინვალეს დარბაისელს კარის კაცს განსვენებულს ვარანცოვს არ დაეწესებინა ბანკი.[37] –

შეუძლებელ არს სრულის ერთის ხელის დარწმუნებით არ დავჰსდგეთ იმ ჰაზრზედ, რომ გლეხთ კითხვა არამც თუ გვაკარგვინებს ჩვენსა უფლებასა და მნიშვნელობასა მოპოებულსა დღევანდელ დღედმდე მოწამებრივის სისხლის ღვრით მამულისა და სარწმუნოებისათვის, გარნა შთაგვაგდებს განწირულსა სიგლახაკესა შინა და შვილნი ათასის წლის ოჯახთა მიუცილებელად უნდა შეიქნენ ლუკმის მთხოვნელნი დღიურად და თვისთა ცოლ-შვილთა გამორჩენისათვის.

ყოველი გვარი ცვლილება გაუმჯობესობისათვის უნდა მოხდეს თვინიერ ძალოვნებისა და ფიცხელის ზომიერებისა და თვინიერ შერყევისა და აღრევათა.

გაუმჯობესობასა თანა გლეხთა წოდებისა აქვს თვით მახლობელი დამოკიდებულება მებატონეთ, რომელთათვისცა ამასთანავე სიმართლით სათანადო არს მიღებულ იქმნეს ზომიერება მათის გაუმჯობესობისათვისაცა, და უკეთუ მდგომარეობა მათი, რომლისამე შემთხვეულებით არ შესაძლებელ იქმნება გაუმჯობესდეს, მაშინ მაინც არ უნდა მიყვანილ იქმნეს უარესობასა შინა, იმა საზოგადო რჯულიერებით, რომელ კეთილ-მოქმედებას ჯერ არს აქვნდეს საფუძვლად კეთილივე და არა შეუფერებელი დაკლება და ზარალი ვისიმე. –

ყოველივე ესე და რჯულებრივი თვისება ჩვენთა უფლებათა, გვაძლევენ სიმართლესა მოვითხოვოთ სამაგიერო ჩვენთა რაოდენთავე საუკუნეთ უფლებათ შეცვლისათვის, ვასრულებთ რა ამა სათნოიანსა კეთილ ნებულებასა მისის იმპერატორებითის დიდე-

ბულებისასა ვსასოებთ მას ზედა რომელ იგი არ იქმნება ჩვენზედ ნაკლებ მოწყალე ვითარცა სხვათა ქვეშევრდომთა ზედა თვისთა, – და გაუმჯობესობისა თანა გლეხთა წოდებათა, წოდება კეთილშობილთა, რომელნიცა ერთობ სხვათა დიდებულთა თანა მისთა შეადგენს მტკიცესა საფუძველსა მისის ძლიერებისასა, ღირს შეიქმნება უმაღლესის მისის მოწყალებისა და სისხლით მოპოებული უფლება მებატონეთ თვისდა საკუთრებათა ზედა არ მოესპობათ თვინიერ შესაფერის დაჯილდოებისა. –

2.

თვითოეულად და მომატებულად საზოგადოება სახელმწიფოს შემადგენელი, მოვალე არს მზრუნველობისა და კეთილ დღეობისათვის სხვათა, მაშა სადამე ჯეროვნად უნდა იყოს ამ ფულის გამოღებაში მიიღონ მონაწილეობა მთლად ერთობ წოდებათა სახელმწიფოს შემდგენელთა. – მოყმე, რომელსაცა დროს მოთხოვნილებით წართმევია თავის უფლება კანონთა მიერ, მაშა სადამე დროსავე მოთხოვილებით თავის უფლება მათი უნდა შესყიდულ იქნეს на счет законодательной власти.[38] – პასუხის გება მოქმედებისათვის მართებლობისა, ჯერ არს ეკისროს ერთობ ერსა და მეორედ მისთვის, რომ შეცვლა მებატონეთ უფლებათა არის სასარგებლოდ ყოველთა. При посредстве государственного финансового оборота[39] ადვილად შეიძლება აღსრულება სამაგიეროს მიცემისა მებატონესადმი და ამ შემთხვევაში, არავინ იქმნება მსხვერპლად არავის ინტერესებისათვის. –

მაშა სადამე ჯეროვნად უნდა იყოს ამ ფულის გამოღებაში მიიღონ მონაწილეობა მრთლად ერთობ წოდებათა სახელმწიფოს შემადგენელთა; გარნა ამას თვით მმართებლობა ჩვენზედ უკეთ საფუძვლიანათ და სიმართლით გამოიკვლევს და განაგებს. –

3.

კეთილ-შობილნი მოთხოვნილებისა შემწეობითა მმართებლობისა მიერ აღმოვაჩენთ ზომიერებრივსა სურვილსა და დავნიშნავთ უმცირესსა რიცხვსა დაჯილდოებისასა სამაგიეროდ ჩვენთა უფლებათა (За право на личность крестьян), რომლისათაცა შესაძლებელ იქმნება განგვეშოროს უდიდესნი სიძნელენი ახალსა ჩვენსა მდგომარეობასა შინა გარდა ზემო აღნიშნულთა ორთავე

გვართა შემოსავალთა ესე იგი პირათიდისა და მამულისა ჩვენ გვაქვს უფლება გამოვიყვანოთ თვითოეულის კომლიდგან თვითო პირი მსახურად. მოქმედებისა თანა ამა უფლებისა ჩვენგანი არა ვსაჭიროებთ მოჯამაგირეს და უკეთუ საჭიროებამაც მოითხოვოს თუმცა თვით ფასი მოჯამაგირისა არა ფრად შესანიშნავ არს მაინც არ შეიძლება დაჭერა მოჯამაგირისა მუშად ნაკლებ 6 თ. წელიწადში და ჩვენ ვითხოვთ მოგვეცეს მსგავსად დაუბრუნებელის ხარჯისათვის მისაგებელი ანუ სამაგიერო უფლებათათვის ჩვენისა პირადობასა ზედა ესრეთ სათავნო, რომელმანცა მოგვცეს კომლის რიცხვზედ ექვსი თუმანი. –

5.

რომ ვერ ვაძლევთ ჩვენ გლეხთა მამულსა ეს არის წარმოსდგების ერთის მხოლოდ ჩვენის სურვილით. ღეოღრაფიული მდებიარობით სიღნაღის უეზდი განიყოფა ძველადგანვე ორ მხარედ: წინა მხრად და უკანა მხრად და ამა სახელითვე იწოდებიან ეს მხარენი. თვითოეული ამა მხარეთა თანახმად ალაგობრივთა პირობაებათა განიყოფებიან ორ ზოლად, [1.] ერთი ცნობილი ზოლი არის სასოფლო და სავენახეები, ამ ალაგსა ზედა ერთ გოჯამდე არის ვენახები და შიგ დასახლებულნი ჩვენნი მოყმენი. აქედგან მხოლოდ გვაქვს ნაწილი შემოსავლისა ძველადგანვე წესდებულებით და დადებული ღონე მუშაობისა (ესე იგი ბეგარა ქვევითი და ურმით) თანახმად ჩვენის რჯულიერებრივის უფლებისა მამულზედ. ესე შემოსავალი არის სრული ჩვენი შუამავლობა დიდის დაზოგვით, მრავალის ნაკლულების მიღებით დღიურად გამორჩენისათვის ჩვენთა სახლობათა. უკეთუ არ იდგეს აწმყოს დროსა შინა მაღალი ფასი ღვინისა აქამომდე მცირედიღა ყმა და მამული დაჰშთებოდა გაუსყიდავი პრიკაზის ვალში. 2. ერთს საჟენსაც გარედ ზოლის სამძღვრისა არ შეიძლება არც დასოფლება უწყლოებისა და არა მრთელისა ჰაერისა მიზეზით და არცა მიწის თვისებით შეიძლება აღშენება ვენახისა, რომელიცა ესრე მხოლოდ ერთი აქვს კახეთს შუამავლობა მოპოებისათვის დღიურის ხარჯისა და მეორე ზოლი, რომელიც არის სახნავ-სათესად და საძოვრად დადებული ესრედ შევიწროებული და მცირედ არს რომ თვით მრავალნი მებატონეთაგანნი მამულის უქონლობით არიან შეიწროებულნი ესრეთ რომ ერ-

თი ერთმანერთში მესამედს და მეოთხედს გამოსავალზედ ქირაობენ სახნავს მიწებსა. –

ერთის სიტყვით კახეთი ისე შეიწროებულია და ისე მცირე მამულებია, რომ მაღლიდგან დამხედავს წარმოუდგება კახეთი ერთს ბაღად, იწრო ღელეები ალაზნისა და აქა იქი გადასერილი მცირე ველებითა. აქაც რაოდენი მონაწილე იქმნება სახელმწიფო და საეკკლესიო ხალხი. საბატონო გლეხნი მრავალნი არიან სახელმწიფო და საეკკლესიო მამულზედ მდგომნი და ესე მცირე სივრცე რომ გაინაწილოს და უკეთუ სულზედაც მიეცეს დღიური სახნავი, მაშინაც შეჰხვდება მებატონეს მამულის სყიდვა გლეხთა-თვის მისაცემად და ესრედ წვრილი ნაჭერ-ნაჭერად გაყოფა წარმოადგენს ესრეთ ნაჭერ-ნაჭერად ჭერილობასა, რომლისაცა არ შესაძლებელ იქმნება სასარგებლოდ მოხმარება სოფლის სახლოსნობასა შინა და დაჰბადებს ესოდენთა დავათა და ჰშფოთთა, რომლიდგანაც წარმოსდგება დიდი სიმძულვარე ორთავე წოდებათა შორის, რომ მმართებლობა ვერ შემძლებელ იქმნება გაუვიდეს არამც თუ მოჩივარნი მოესწრენ საქმის დაბოლოვებას; გარდა ამისა ფრიად მცირედ მებატონეთ თუმცაღა დარჩეთ მამული ესრეთ ერთმანერთში არეულ დარეული იქმნება, ესრედ მცირედ მცირედ ნაჭრად, რომ არავითარი სოფლის სახლოსნობისათვის უსაჭირესნი მოწყობილებანი მცირედიცა არ მოთავსდებიან, არამც თუ მებატონის სახლოსნობისათვის არც გლეხთათვის სახერხოდ. თვით გლეხნი განთავისუფლებულნი არ დაიკვეთენ დანარჩენს მამულსა იმა მიზეზით, რათა დარჩეთ მათ მუქთად, ვინაიდგან დარწმუნებულნი იქმნებიან, რომელ გარეშე კაცი არაოდეს არ მოვა ამგვარად განაწილულს და დასახლებულს ალაგსა მამულის დასაკვეთად და მეორე უკეთუ სასარგებლოც იქნება გარეშე კაცისათვის საბატონო მამულის დაკვეთა ესრეთ მიყოლა აქვსთ გლეხთ ურთიერთისადმი, რომ ერთმანერთის თავაზით არ აიღებენ საბატონო მამულს. ამ გვარის მამულის განწილვის შემდეგ ამ მიზეზით განთავისუფლებულნი გლეხნი ცხადად დაინახვენ, რომ უკეთუ თვით არ დაიკვეთოს დარჩება უეჭველად მებატონის მამული, უკეთუ არა საკუთრებად სამუდამოდ მუქთათ მის სარეგებლობაში. ალაგობრივი განხილვა და გაცნობა კახეთისა სოფლის ანუ მამულის მართებლობის მიხედვით ცხადად და ფრიად ადვილად აღმოაჩენენ გარდა აქა აღნიშნულთა მიზეზთა სხვათა მრავალ გვართა სრულიად პატივ სადებთა მიზეზთაცა, რომლითაც დაინახება შეუძლებლობა მამულის მიცემისა და

არამც თუ მამულის მიცემა გლეხთათვის განავრცელებს და მოიყვანს წარმატებასა შინა სოფლის სახლოსნობასა, რომელსაცა მოველით ბატონ-ყმობის უფლების შეცვლით, არამედ სრულიად მოსპობს ყოველს შუამავლობას წარმატებისადმი და ესრედ ესე ყოველი დაგვაყენებს ამ ჰაზრზედ, რომ სოფლის სახლოსნობის განვრცელებისა და განლვიძებისათვის შრომათა და რათა მებატონენიცა არ შევიდნენ უკანასკნელს განწირულებაში, ჯერ არს ანუ სრულებით მიცემა სახლ-კარისა და მამულთა, რაიცა დღეს არს მათს სარგებლობაში, ანუ უნდა მიიღონ მხოლოდ პირადი თავის უფლება. მისყიდვა მარტო სახლკარობისა და მის ქვეშე მდებიარე ალაგისა შეუძლებელ არს; ვჰსთქვათ უკეთუ მოყმეთ მიეცეთ სრულიად მამული რაითაცა სარგებლობენ რა საკვირველია ეს უნდა შესყიდულ იყოს კანონიერის დაფასებით და უნდა დაფასდეს თანახმად კანონთა მიერ მიღებულის ნორმით და თითო კომლის ჭერილობა ერთი ერთმანერთზედ საშუალოს ფასით შეადგენს რამდენსამე ათასს რუბლსა მამულის ფასსა. უკეთუ მმართებლობა თვით იკისრებს ვალის გადაჰხდას ამ შემთხვევაშიაც უსარგებლოა მათთვის ვინაიდგან მოპოებული მუქთად საცხოვრებელი არის საზარალო განლვიძებისათვის ერთა შრომისადმი, – ერთი მხოლოდ კეთილ შრომით მოპოებული საკუთრება მიიყვანს სოფლის სახლოსნობას წარმატებისადმი (к прогрессу) და მით ერთა მტკიცეს კეთილდღეობისადმი და უკეთუ დაედოსთ მოყმეთ ეს ვალი ან ვინ უნდა გადიხადონ და ან ჩვენ როდის უნდა მივიღოთ (უკეთუ ერთის თუმნიდგან ხუთ მანეთამდის დაედოს ვალი გლეხსა არ ძალუძს იმ ფასის მოშორება თვინიერ მებატონის შემწეობისა და უნდა იყოს მოხარჯე საშვილი შვილოდ ვაჭართა, რომელნიცა იღებენ უზომოს და დაუჯერებელს სარგებელს; ამათგან არ არიან თავის უფალნი არც საეკკლესიო და არც სახელმწიფო გლეხნი) შეუძლებელ არს ერთად მიღება, მაშა რა გვარიცა მაღალი ფასი მოგვეცეს ჩვენის საკუთრებისათვის, ჩვენ არ მოგვიპოებს არა ვითარსა შუამავლობასა ჩვენის ცხოვრებისადმი. უკეთუ არ მოგვეცემა ერთად ანუ ფრიად მოკლეს ხანში ორსა და სამს წელიწადს მაინც და უკეთუ კიდეც მივიღოთ ფასი ერთად მაშინ უნდა შევიქმნეთ ვაჭარნი ანუ გადავსახლდეთ უმამულობით იმ მიზეზით, რომ დაგვრჩება ჩვენი სახლკარობა შემოზღუდვილი ბრიყვთა და გათამამებულთა თავის უფლობის მიღებით გლეხთა მიერ და მათ მამულებით მაშა სადამე, ყოველს შემთხვევაში რომლის მხრიდგანაც განვიხილავთ და შევამოწმებთ ალაგობრივთა

პირობაებთა და მოთხოვნილებათა გლეხთ განკეთილებისათვის სიადვილით შესვლისათვის ახალსა მდგომარეობასა შინა ორთავე წოდებათაგან განღვიძებისათვის წინად მიღებულებათა სოფლის სახლოსნობასა ანუ მამულის მმართებლობასა შინა და დაფუძნებისათვის კეთილ შრომის მოყვარეთა გლეხთა შორის, საფუძვლიანი სიმართლე და სარგებლობა იქმნება მიიღონ გლეხთ მხოლოდ პირადი თავის უფლება. В противном случае, желая им сделать многое отдаляем их в ущерб других от того к чему они приготовляются достигнуть.[40]

თვით გლეხთაგან გვესმის, უკეთუ გვეძლევა თავის უფლებაო და მამული კი უნდა შევისყიდოთ მაშ უნდა გვქონდეს უფლებაცა, რათა ჩვენის ნებით შეგვეძლოს მოპოება მამულისა უკეთუ შრომითა ჩვენითა შევისყიდებთ მამულს მაშ უნდა გვქონდეს ნება არა კანონის წესდებულების დავალებით და ძალ დატანებით შევისყიდოთ მამული, არამედ უნდა გვქონდეს ნება თავისუფლად მოპოება იმა მამულისა, რომელსაცა ვისურვებთ და სადაცა. აი Фაკტი წარმოთქმული გლეხთაგანცა, რომელიცა მსახურებს დასამტკიცებელად, რომ მამულის შესყიდვა კანონის წეს დებულების დავალებით არ არის სასარგებლო. –

6 (7)

საგანი განკეთილებისა ანუ გაუმჯობესობისა მივა შესრულებისადმი მაშინაც, უკეთუ დაწესდება ერთიცა მხოლოდ რა გვარიმე დასაწყისი მისდამი და ესრეთ პირველი დასაწყისი გაუმჯობესობისადმი მოყმეთ მდგომარეობათა არს მონიჭება მათდამი თავის უფლებისა. –

მიღებისამებრ თავის-უფლებისა გლეხთ ეძლევათ მოქალაქობა ესრეთი უფლება, რომლისაცა მოპოება არ შეეძლოთ არა ვითარისამე ფასითა. – განვიმეორებთ, იგინი მოიპოვებენ აწმყოს დროსა ერთის მხოლოდ კაცობრიობის მიხედვით იმ გვარსა უფლებასა, რომელიცა უმაღლეს არს რა ყოვლისა ფასისა მსახურებს სრულს შუამავლად მათის გაუმჯობესობისადმი და მქონენი თავის უფლებისა და სრულისა მოცალეობისა შემდეგ თვით არიან თავიანთ მდგომარეობის განკეთილების მოვალნი.

თვით კეთილმყოფნი კანონნი ვერ მისცემენ კაცსა კეთილ დღეობასა და მშვიდობასა უკეთუ გარჯითა თვისთა თვით არ აღიშენებს თავისა თვისისათვის კეთილ მდგომარეობასა.

უფლება საკუთრებასა ზედა უნაკლულოება და სავსება მოიპოვება და განმრავლდება ერთითა მხოლოდ მოუწყვეტელის და დაუმცირებელის შრომითა კეთილ გონიერებრივისა მოხმარებითა ღონეთა და შუამავლობითა დამზოგველობით პატიოსნის შრომის მოყვარებით და ცხოვრებითა შიშსა შინა ღვთისათა. მაშა სადამე განკეთილება თვისთა მდგომარეობათა დამოკიდებულ არს მათს კეთილ გონიერებრივისა შრომასა და ეგრეთვე მმართებლობრივთა დამყარებულთა წესიერებათა ზედა რომელნიცა ნამდვილად მიიყვანენ მათ კეთილ დღეობისადმი და სხვათა წოდებათაცა. –

უფლებათა ჩვენთა დამყარებულთა ძველთა ჟამიდგან აქვნდა თანა დართულ მამობრივიცა მზრუნველობა ჩვენი ჩვენთა მოყმეთა კეთილ დღეობისათვის, საჭიროება მათი შეადგენდა საჭიროებასა ჩვენსა და ორნივე წოდებანი თითქმის ერთსა ოჯახსა და სახლობასა. – მათში ვჰხედავდით არა დატყვებულთა მონათა ჩვენთა, არამედ შემუშავებულთა საზოგადო მზრდელთა ჩვენთა მამულთა და ესრეთვე იგინი ჰხედვიდენ ჩვენში არა შემაწუხებელთა და შემავიწროებელთა, არამედ მფარველად თვისთა და დამცველად საერთო სამშობლო მამულისა და იგინი სრულიად მგრძნობელნი მადლობისა შეუცვლელად დაშთებოდნენ სრულს ერთ-გულებითს ჩვენთვის თავ დადებით. – რადგან დაცვითა ამ გვარ დამოკიდებულებათაგან წარმოსდგების ჩვენთა მოყმეთა დიდი სარგებლობა და გაადვილება ამა მძიმისა საქმისა შესრულებისათვის თანახმად მმართებლობის განზრახვათა და ჩვენის სურვილისაცა რათა ახლად განთავისუფლებულთა გლეხთა მტკიცედ და შეუვიწროებელად განემზადოს თავის უფლის შრომით თვისი მყობადი სოფლის სახლოსნობა და ჩვენცა არა შევიდეთ სიგლახაკეში თანახმად მისის იმპერატორებითის დიდებულებისა სათნოანის კეთილ ნებულებისა აღვიარებთ რა უარ ყოფასა ჩვენსა ბატონ-ყმურსა უფლებასა ზედა, ჩვენ არ შეუდგებით ერთსა მხოლოდ ამა მათდამი პირათიდის თავის უფლების მიცემაზედა. –

ყმათა ჩვენთა გაუმჯობესობისათვის მიენიჭებათ მოქალაქეობა და მათსა შრომასა ზედა არა ვისმეღა ექმნება უფლება მაშ უნდა მივიღოთ ჩვენც ესრეთი მდგომარეობა, რომელმაცა მოგვცეს ღონის ძიება რათა ჩვენცა ძალ გვედვას სოფელს სახლოსნობა თვინიერ მათის დამოკიდებულისა მას შინა მონაწილეებისა.

შეუძლებელ არს შესრულება ამისი თვინიერ მსხვერპლ შენწირვითა: წარსაგებლითა ჩვენთა და წარსაგებელითა მმართებლობისათა და განსაზღვრებისათვის ამა მსხვერპლისა სათანადო არს მივხედოთ ძველადგანვე დაარსებულთა უფლებათა ჩვენთა საკუთრებათა ზედა. –

საკუთრება ჩვენი ცხადის ჰაზრით ზემო აღნიშნულთა კანონთა შეიცლება ორ გვართა უფლებათა შინა:

1. უფლებასა შინა პირადობასა ზედა ჩვენთა ყმათა ზედა.

2. სრულსა უფლებასა შინა სრულიად მამულის და საცხოვრებელსა ზედა რისაცა არიან დღეს მქონენი ყმანნი ჩვენნი.

უფლება ჩვენი რჯულებრივი (юридический) შემოფარგულ არს ფრიად ვრცლად ამა უფლებათა წესთა შინა დაწესებულან სამსახურნი პირადითი. –

უფლება ჩვენი რჯულებრივი მამულზედ არ განსაზღვრებულ არს, ესე მეორე გვარი უფლება საკუთრებისა აძლევდა და აძლევს მებატონესა მეორე გვარს შემოსავალს მამულისას. ვინც უნდა ყოფილიყო და იყოს შემმუშავებული მამულისა მფლობელმა მისმა უნდა მიიღოს საკუთრად ძველადგან ჩვეულებითა დადებული ყოველსა ალაგსა შინა ნაწილი მოსავლისა და ეგრეთვე დადებული ღონე მუშაობისა. –

ზომანი ამა ნაწილისა და ამა ღონეთა განსხვავდებოდნენ და არიან განსხვავებულნი ამისთვის რომელ დამოკიდებულ იყო რა ალაგობრივთა პირობაებთა მიწის თვისებათა და მის მდებიარობით შორად ანუ ახლოს სოფელთა და ქალაქთა ქვეყანისა და დროს მოთხოვნილებათა ზედა ყოველთვის განისაზღვრებოდა თანახმად ამა ადგილობრივთა პირობაებთა და მოთხოვნილებათა და ერთ გვარნი დებულებანი შეიცვლებოდნენ მეორეთი და რომელნიმე სრულიად აღიხოცებოდნენ.

უმაღლესის მანიფესტით 1801 წელსა, რომლითაცა სხვათა შორის ბრძანებულ არს: „დარჩნენ ყოველნი ქართველნი იმა მდგომარეობით ვითარცა იყვნენ დროსა უკანასკნელი მეფის გიორგისას და ამისთვის რა გვარიცა დებულება არსებობდნენ დროსა ამას დაჰშთნენ შეუცვალებელად აწმყოს დროდმდე გამოცხადებიდგან ამა მანიფესტისა“. – ამა მხედველობით თვით თავით თვისით აღინიშნების მსხვერპლი, რომელიცა უნდა შევსწიროთ ჩვენის მხრივ განკეთილებისათვის ჩვენთა მოყმეთა და განვათავისუფლებთ რა

ყმობრივის მოვალეობიდგან ჩვენ პირველად ავხსნით მათგან პირველ გვარსა ჩვენსა შემოსავალსა, ესე იგი პირადითსა გამოსაღებთა (личная повинность. გამოსაღები ესე აღრიცხულ არიან აქა თანა დართულებასა შინა), რათა მოყმეთა ჩვენთა უადვილესად დამშვიდებულის კეთილ-გონიერებრივის შრომით მიიღონ შუამავლობა აღშენებისადმი მყოობადის თვისთა კეთილ-მდგომარეობათა, არ შევდგებით არცა ამა აღნიშნულთა მსხვერპლთა ზედა და ჯერედ დაუტევებთ თავის უფალსა მათსა სარგებლობასავე შინა სრულებით მამულსა, რომელიცა უჭირავსთ აწმყოს დროსა შინა და მასთან სარგებლობასაცა საძოვრისა და ტყეთა ამა ძველადგანვე წესდებულებათა რა გვარადცა მიღებულ არს შემუშავება მამულისათვის თავის უფალთა გლეხთაგან (ხიზანთაგან ესე წესნი აღნიშნულ არიან აქა თანა დართულებასა შინა). საკუთარი მფლობელთ მამული, ესე იგი ერთისა მხოლოდ საზოგადოთ ალაგობრივის პირობებითა რათა ეხლანდელნი ზომანი მოსავლისა ნაწილთა და მუშაობისა ღონეთა დაჰშთნენ შეუცვლელად განვლადმდე სამის წლიდგან ხუთადმდე, და შემდეგ ამა ვადის შესრულებისა შეშველდნენ იგინი მხოლოდ თავიანთი მიხედულობით თვინიერ ყოვლისა შუამავლობისა ერთისა მხოლოდ ნება ყოფლობის მორიგებით და დათანხმებით მიწის მფლობელთა თანა. –

ყოველს მხრიდგან საქართველოს მდგომარეობა საჭიროება მებატონეთა და მათ მამულთ მოთხოვნილებანი გვმსახურებენ დასარწმუნებელად ყოველთა, რომელ მოთხოვილება მებატონეთა მიერ გამოსაღებისა გლეხთაგან მამულის სარგებლობისათვის იქმნება ფრიად ზომიერი და არა შესავიწროებელ ვადის განმავლობასა შინა. შემდეგცა თვითოეული ჩვენთაგანნი არ დაივიწყებს წინად დამოკიდებულებასა თვისსა თავის მოყმესთან და ცხადათ ჰსჩანს, რომელ არს მემამულეთათვის დიდი სარგებლობა და მოითხოვს კეთილ შობილება და კაცობრიობა, რათა რაოდენიცა შეიძლებოდეს შევამსუბუქოთ იმათი სამსახური და მადრიელ ვჰყოთ გლეხნი. წინააღმდეგ ამისა ყოველი კეთილ შობილი აზნევს თვით თავსა თვისსა. –

გლეხნი მიღებისა თანა თავისუფლებისა ამა ძვირფასის ნიჭისა, რომელიცა მოღებულ ჰქონდათ იმათ რავდენსამე საუკუნესა და დამონავებულ იყვნენ ჩვენდა ფრიად დიდთა სამსახურთათვის წინაპართა ჩვენთა და მათის სისხლის დათხევისათვის მამულის გულისათვის და მრავალნი თვით ახალს დროებაში შესყიდულ არი-

ან დიდის ფასით და მრავალთა პირთაგან, რომელთაცა არა მცირეს ღვაწლით შეძინებული ფული წარუგიესთ იმათ მოპოებაზედ და რომელთემიცა შეუსყიდნიესთ იგინი ნავალების ფულითა მიიღებენ ნებასა დაუბრკოლებელად აღმორჩევისათვის იმ გვარის ცხოვრებისა (род жизни), რომელსაცა თვით მოიწადინებენ.

ამა თავის უფლებასთანა არ მოეშლებათ ჩვენგან იგი ჭერილობა მამულისა, რისაც უძრავის და მოძრავის და საცხოვრებელის მქონებელნი არიან ***ათს*** ანუ ***თორმეტს*** წლამდის თავის უფლების გამოცხადების შემდეგ. ამ პაემანის გასვლამდის შეუძლიანთ გლეხთ გულ დამშვიდებით ნელ ნელა მოემზადნენ და ხელი გაიმართონ ყოვლის ფრით მყობადის ცხოვრებისათვის, ასე რომ თუ იქ აღარ მოინდომონ დარჩენა და გარდასვლა მოუხდესთ სხვის მამულზედ მაშინ სრულებით, ესე ვჰსთქვათ, გამზითული შეუწუხებელად წავა სადაც ჰნებავდეს თანახმად დადებულის პირობისა. რადგან ამ ვადის წარმავალობაში გლეხი უნდა შეიმუშავებდეს ჯერედ მამულს, ვითარცა ჯერ არს, რათა მებატონე არ აზარალოს მამულის წახდენით და თუ მიუცილებელად ჰსურდეს იქიდგან აყრა და ვეღარ მორიგდეს ადრინდელს მებატონესთან, მაშინ ერთის წლის წინად შეატყობინოს მამულის მფლობელს თავისი განზრახვა, რომ აღარ ჰსურს ცხოვრება, რათა ამ დროს განმდინარეობაში მამულის პატრონმა იშოვნოს იქ დასაყენებელად იმის სამაგიეროდ სხვა გლეხი, რათა არ დაჰშთეს მამული შეუმუშავებელად და არ აოხრდეს. მაშინ ნება ჰქონდეს იმას ნამუსიანად და თვინიერ უსიამოვნებისა გამოეთხოვოს და წავიდეს, ჩააბაროს რა პატრონსა ის მამული უნაკლულოდ იმ სიით, რომლითაცა მიიღოს. და უკეთუ თავის კეთილ-შრომით გაეკეთებინოს და შეეძინოს რამ მამულისათვის სიის ჩაბარების შემდეგ, მაშინ თანახმად ურთი ერთა შორის დაწესებულის პირობისა, მორიგდნენ იგინი. აი დასამადლებელი მოყმეთა და შესანიშნავი მმართებლობისა მიერ მსხვერპლ-შეწირულებანი სასარგებლოდ ჩვენთა მოყმეთა და შესაფერი კაცობრიობისა. –

8.

გლეხთაგან სამსახურის გაწევა მებატონისადმი შემდეგ ვადის შესრულებისა შეუძლებელიღა არის ძველის ჩვეულებისამებრ იმა მიზეზთა გამო, რომელნიცა აღნიშნულან ზემო მუხლში, მხო-

ლოდ პირველს შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სამსახური და არა დაწესდეს რა ახალი არა რომლისამე მხრისათვის და შემდეგი დროება აღმოაჩენს ყოველსავე ნათლად, რაიცა ახალი იქმნება შემოსატანი და ძველი შესამოკლებელი ანუ გასაუქმებელი და შემდეგ ვადის შესრულებისა ჩვენის საჭიროების და მდგომარეობის მიხედვით ერთი ერთმანერთში ნება ყოფლობის მორიგებით დაწესდება სამსახური გლეხთაგან მამულის სარგებლობისათვის ახალსა საფუძველსა ზედა. რადგან დროებით ვაგდებთ გლეხთ სარგებლობასავე ქვეშე მამულსა და ვითხოვთ სამსახურსა მათგან ვითარცა ხიზანთაგან თანახმად ძველთაგანვე დაწესებულის ჩვეულებითა დაინიშნოს ზოლები უეზდისა და აღინიშნოს სამსახური სადა ვითარის წესიერებით არის, რათა ჩვენ ბეჯითათ ვიცოდეთ და მთავრობამაც რომელ მხარეზედაც რაგვარი წესი არის სამსახურისა გლეხთაგან. –

ესე წესი უნდა დაიცვებოდეს მხოლოდ პირველის ვადის გასვლადმდე (в продолжение переходного состояния) დაურღვეველად ასე, რომ მამულის პატრონს ნება არ ჰქონდეს ამა ჩვეულებით დაწესებულის სამსახურის შეცვლისა და რა გავიდეს ეს პაემანი მაშინ როგორც ზემო მუხლში მოვიხსენიეთ სრულიად ახალს საფუძველზედ უნდა დაწესდეს გლეხების სამსახური მამულის პატრონის და გლეხთ სრულიადის ურთიერთა შორის თანხმობით და სიამოვნებით.

აწმყო მდგომარეობა კახეთისა ესრეთ არს რომელ გლეხისათვის ფრიად სამძიმო არის ფულის შოვნა და ამისთვის ბევრით სამჯობინარო არის მისთვის რათა თავისი მუშაობით გარდაიხადოს მამულის პატრონის ვალი უკეთუ გლეხი სინიდისიანათ მოიქცევა და ყოველთვის თავის დროზედ მუშა ეყოლება მამულის პატრონის სამუშაოზედ; მაგრამ ჩვენნი გლეხნი ისე არიან დაზარმაცებულნი მებატონის სამსახურში რომ დანიშნულს დღეს შუადღის შემდეგ მოვა ანუ მეორე დღეს სამუშაოდ და რაკი ბატონ ყმობა აღარ იქმნება და თავისუფალნი იქმნებიან მოვლენ და რასაც იმუშავებენ ისიც უგულოდ და ჯაბრით, ამისათვის საჭირო არის გადაჭრა დღიურად მუშის ფასი ისე როგორც ფასობდეს მუშა და თავის დროზედ არ მოვიდეს სამუშაოდ მებატონის საქმეზედ მაშინ გამოერთვას იმას მუშის ფასი და თუ ფულის მიცემაში გააცოდვი-

ლოს მამულის პატრონი, დასცაროს იმის მუშაობა, ერთი ორად გამოერთვას ის ფასი.

9 (10)

ყოველს მხარეს აქვს თვისი დრო სიყრმისა და სრული წლოვანებისა. სრული წლოვანება მისი იცნობება და განისაზღვრება (определиться) საზოგადოების ნიჭიერების და თვისების ნიშნებით, რომელნიც აღმოაჩენენ საზოგადოების შეძლებასა კმა ყოფილ ჰყონ თვისნი საჭიროებანი თვინიერ მმართებლობის შუამავლობისა და არ იქმნება დამოკიდებული სხვაზედ, ცხად არს საქართველო, რომელ ხანში შეინიშნება აწმყოს დროსა. –

ყოველსავე მხარესაცა აქვს თვისი განსაკუთრებითი და ბუნებითი დამყარებული დროთა მოთხოვნილებათაგან განსხვავებანიცა: ზნეობაში, საჭიროებაში, მოთხოვნილებაში, მიდრეკილებათა, ნიჭიერებათა, თვისებათა და სხვათა. უკეთუ მხარე ესე შემოიზღუდოს იმ გარემოებით, რომელნიცა იქმნებიან შეუფერებელნი ამ განსხვავებათა, შეუძლებელ არს მისი გამოსვლა ყრმობიდგან, რომელიც მოითხოვს მოუწყვეტელსა მზრუნველობასა და შემწეობასა. –

შეუძლებელ არს მიბაძვა ცხოვრებაში იმა ერისა, რომელსაცა აქვს უმაღლესი ხარისხი განათლებისა. მით უკეთუ მივიღებთ მათგან მხოლოდ ერთსა ანუ მეორესა ფორმასა, რომელიც არის რეზულტატი ცნობილთა ძალთა, მცენარე, მქონე თვისთა საკუთართა ფერსვთა. გარნა თუ დავიწყებთ ამ ფერსვთაგან მივიღებთ საფუძველთა შესაფერსა იმა ალაგისა, სადაცა გვსურს აღზრდა ამა მცენარეთა. ჩვენ ვნახავთ რომ მისი მოქმედება (его влияние) მისი შედგომილებანი ანუ ბოლო (его последствие) არსებობასა შინა (в сущности) იქმნება ერთი და იგივე.

თანხმობრივნი მოქმედებანი და მეცადინეობანი კერძოთ პირთა ყოველთაგან გაუადვილებენ მმართველობათა ძნელთა მისთა აღმოჩინებათა (трудную задачу его), მსწრაფლ და მტკიცედ განავრცელებენ ერსა შინა, დაჰბადებენ შუამავლობათა და დააკმაყოფილებენ, მისი საჭიროებანი აღრზდიან სრული წლოვანებისადმი და მიიყვანენ გონიერებრივს არსებობისადმი. რაოდენ შენაწევრებულ და მრავლობით იქმნება მოთხოვნილებანი საზოგადოებისა და მისი აღმოჩინებანი (его задача) ეგოდენ მომატებულად არიან საჭირონი მოთავენი მოქმედნი (деятели) მათის გარჩევისა და გადაწყვეტისათ-

ვის და ვის უწინარეს შეხვდება და ერგება ეს მოვალეობა თუ არა თვითვე წევრთა საზოგადოებისათა. მაშა სადამე, ესე დასაწყისნი მიგვიყვანენ იმა დამტკიცებისადმი ანუ დაბოლოებისადმი (приведут к тому заключению), რომ საჭირო არს დაცვა კეთილ თანხმობისა ამა ორთა წოდებათა შორის და დამყარება მათში დამოკიდებულებათა შეძლებისამებრ თანასწორ სასარგებლოდ ორთავე წოდებათა და ამისათვის საჭირო და სასარგებლო არს არ მოესპოთ შუამავლობა მოქმედებისათვის ამა ასპარეზსა ზედა ამა ორთა წოდებათაგან მათ, რომელნიც ბედს დაუნიშნავს და დროს დაუმტკიცებია წინად მოვალეობა, რათა მსახურებდნენ მოქმედებითა თვისთა მაგალითად და სახელ-მძღვანელოდ წარმატებისადმი.

ყოველივე ესე დაგვამყარებს მტკიცედ იმ საფუძვლიანსა ჰაზრზედ, რომ გლეხთ კითხვა იქმნება სასარგებლო და მართლ-მსაჯულებრივი შესრულდეს ჩვენ მიერ მიღებულთ დასაწყისთა ზედა, ესე იგი: 1. მოყმეთ მიეცესთ პირადითი თავისუფლება; 2. მებატონეთ სამაგიერო (за право наличность); 3. ვერ მივსცემთ მამულს და ვერცა სახლკარობას (усадьбу) შესყიდვით; 4. დავაგდებთ გლეხთა დროებით სარგებლობასავე შინა იმა მამულთ და ყოველს საცხოვრებელს, რომლისაცა დღეს არიან მექონნი, თანახმად წესთა ძველებურის სამსახურისა; 5. ჩვენ სასარგებლოდ მათთა არ მოვთხოვთ სამაგიეროს პირათიდის სამსახურისათვის; 6. შემდეგ ვადის შესრულებისა ჩვენ თვით მოვრიგდებით ურთიერთმანერთის თანხმობით, თვინიერ გარეშე შუამავლობისა და დასასრულ უკეთუ მმართებლობა მიუცილებლად ინებებს რაოდენისამე მამულის ანუ სახლ კარობის მიცემასა, ჩვენ არ ძალ-გვიძს დათმობა არცა ერთისა გოჯისა მამულისა და სახლ-კარობის მიცემისა. – ამ შემთხვევაში მივსცემთ სრულიად მამულს რაიცა დღეს არს მათს სარგებლობაში და სახლ-კარობასაც და ჩვენ მოგვეცეს კანონიერის დაფასებით ფასი მმართებლობისა მიერ და ჩვენ სრულებით არ გვქონდეს გლეხთან არცა მცირედი ვითარიმე დამოკიდებულება.

11, 12

რადგან ყმა თავისუფლდება მებატონეთაგან, მაშ უნდა მიიღოს მან ნება ყოფლობაცა თავისუფლად შრომისათვის. – სრული სარგებლობა შრომისა წარმოსდგება არა დაწესებულის დამოკიდებულებით, არამედ, მით, რომ მუშას აქვნდეს ნება აიღოს ანუ არა

სამუშაო, შეეძლოს თვის ნება ყოფლობით მორიგება ზომაზედ სამუშაოსი და მის ფასზედ და შეცვლა ზომისაცა სამუშაოსი და ფასისაც შრომისათვის თვისისა.

გადაკვეთილი მუშაობის მოვალეობა და გადაკვეთილი ზომა სამუშაოსი, უეჭველად მოითხოვენ ძალ დატანების ზომიერების მიღებასა და ესე არ იქმნება საჭირო, უკეთუ გლეხი თვისის ნება ყოფლობის მორიგებით რა ზომის სამუშაოს რა ფასად იკისრებს შესამუშავებელად. –

კანონით დაწესებული და გადაწყვეტილი მოვალეობა მუშაობისა ესრეთვე შეავიწროებს გლეხთა და მის შრომასა ვითარცა ყმური მოვალეობა დამოკიდებულება ბატონ ყმათა შორის და ორგანიზაცია სოფლის სახლოსნობისა განსაზღურებულნი კანონით რა გვარადაც უწარჩინებულესად გინდა იყოს მოფიქრებული და შემდგარი მოაკვდინებენ კერძოთ წინად განზრახვათა და წინად მიღებულებათა და ამ შემთხვევაში საძნელო იქმნება ნება ყოფლობით მორიგება ყოველი მმართებლობითი (административный) განკარგულება აღმოსჩნდებიან ანუ გვეჩვენებიან არა სასარგებლოდ ანუ ერთის და ანუ მეორეს მხარესა და რადგან არ იქმნებიან მორიგება ნება ყოფლობით წარმოადგენენ დაბრკოლებასა და სიძნელესა აღსრულებასა შინა. – კანონით დაწესებული მოვალეობა უთუოდ მოითხოვს რათა იყოს გადაკვეთილი ზომაცა სამუშაოსი (ეს მხოლოდ სათანადო არს დროებით, ესე იგი ჩვენ ვამბობთ, რომ გლეხნი დარჩნენ რამდენსამე წელსა და ამა ჩვეულებით და ამავე მამულის ჭერილობით и потому допущение урочного положения полезно только для переходного состояния[41]) და გადაკვეთილი ზომა სამუშაოსი სოფლის სახლოსნობასა შინა არა არს შესაძლებელი სასარგებლოდ მოსამსახურებელად შემდეგთა მიზეზთა გამო: თვით მცირე ალაგთა სივრცეთა შინა სხვა და სხვა გვაროვნობა მიწის თვისებათა, წესნი მისის შემუშავებისა, განაფუძრება, რომელსაცა მიუცილებლად მოითხოვს ზოგი ერთი ალაგი, სიმრავლით მოყვანა მოსავლისა და ღირსება ამისი განშორებული სოფლიდგან, საქონლის ყოლა, გზანი და სიშორე ალაგთა სადაცა გაისყიდებოდეს მოსავალი და თვით ჰაერის თვისებაცა განასხვავებენ ანგარიშსა გადაკვეთით სამუშაოს დაწესებასა. – უმეტეს შემთხვევათა შინა გადაკვეთით სამუშაო რა გვარადცა წმინდად იყოს გაანგარიშებული და სრულის სიმართლით შემდგარი არ შესაძლო არს მისი აღსრულება при обязательных и урочных положениях, хотя бы они были проверены

представителями обоих сторон.[42] – Без свободных и личных отношений нет добросовестности в исполнений[43] და ამისათვის გადაკვეთილი დებულება (урочное положение) უნდა იყვნენ მიღებულნი ხოლოდ საფუძველად ნება ყოფლობის მორიგებითა, რომელიცა სახელ მძღვანელოდ სჩანდეს გადაკვეთილი ზომა სამუშაოსი.

ჯერ არს დამყარდეს ბუნებითი თავის უფლება დამოკიდებულებისა რომელიცა დარღვეულ არს ყმობით და არ შეიცვალოს იგი ახლის შევიწროებით. Во всяком случае законное определение обязанностей крестьян не может заменить освобождение их и потому отнесено и правительством только к срочно обязанному или переходному состоянию крестьян.[44] მმართებლობას არ შეუძლიან შევიდეს ვრცელის სოფლის სახლოსნობის მოთხოვილების და საქმეთ განხილვათა შინა და ვერც ძალ უძს წინად დანახვა და გაჩხრეკა მრავალთა სხვა და სხვა გვართა შემთხვევათა მას შინა, მხოლოდ ერთისა ნება ყოფლობის მორიგებით შესაძლო არს დაწესდეს და განისაზღვრნენ ურთიერთა შორის სიმართლით მოვალეობანი და პირობანი სასარგებლოდ ორთავე მხარეთათვის ვინაიდგან შემდგარ იქმნებიან ნება ყოფლობის მორიგებით თანახმად ორთავე მხარეთ საჭიროებათა და სხვა და სხვა ალაგობრივთა მოთხოვნილებათა შესაფერად (соответственно) სხვა და სხვა ალაგთა დებულებათა და ჩვეულებათა და თანახმად შრომისა რა გვარსაცა მოითხოვს სამუშაო. – აგრეთვე დაკვეთა მამულისაცა ჯერ არს იყოს ნებაყოფლობის მორიგებით. –

უნდა ყოველთა მიეცეს ნება თავისუფლად მოიპოვონ ღონის ძიება მოხმარებისათვის თვისთა ღონეთა და შუამავლობათა. ყოველი თვით შეასრულებს ამასა უკეთესად თავისა თვისისათვის და სასარგებლოთ სხვათაცა. თვითოეულმან თვით უკეთ უწყის თვისი საჭიროება, უწყის რისა შემძლებელ არს და რა არს მისთვის სასარგებლო (что сообразнее с его средствами). მაშა სადამე თვით უკეთ აღმოარჩევს შესაფერად თვისის ნიჭიერებისა რა გვარად მოიხმაროს თვისი ღონე და რა გვარად თვისი შრომა. При взаимно свободных отношениях землевладельцев и крестьян сельская промышленность будет предоставлена ея естественному ходу.[45] – Ни какое поправительство, ни какое придуманное направление не заменят ей этой свободы.[46]

არა ვითარი წესდებულება და მფარველობა არა ვითარიმე გარ-ჩეული და გაანგარიშებული გზა (направление) ვერ იქმნებიან სამაგიე-რონი და ვერ დაიჭერენ ალაგსა ნება ყოფლობით მორიგებისასა. –

აღსრულება ურთიერთა მოვალეობისა დაიცვება (обеспечивается) მხოლოდ მით, რომ შეეძლოსთ განშორდნენ ერთმანეთს და აქვნდეთ უფლება მებატონეს მამულითგან გლეხის დათხოვნი-სა და გლეხისა გარდასვლა სხვა ალაგსა იმა შემთხვევათა შინა ოდეს არ დაცულ იქმნებიან პირობანი და წარმოსდგება მისგან უსიამოვნება. ესრეთ არს ყოველსა აღებ-მიცემობასა შინა (в промышленности во всяких сделках) და ესრეთ ჯერ არს იყოს სოფ-ლის სახლოსნობასა შინა. –

არა ვითარი პოლიციური ზედა მხედველობა და ძალდატანე-ბა ვერ გადასწყვეტენ და დააბოლოებენ დაბრკოლებათა და სიძნე-ლეთა, რომელიცა ადვილად და სამართლად განირჩევა და დაბო-ლოვდება ნება ყოფლობის შეკრულებით ერთის მხრიდგან იმ მიზე-ზით, რომ არს მისთვის მიუცილებელად საჭირო მუშა და ამღები მამულისა, მეორისათვის – მიწა და ფული, პოლიციური ძალ დატა-ნება და გამორთმევა (взыскание), შეიძლება იყოს მხოლოდ დროე-ბით, საჭიროა რათა ვსცდილობდეთ მუდმისად ნება ყოფლობით აღსრულდებოდეს ურთიერთარს შორის მოვალეობა გაუმჯობესო-ბისათვის მდგომარეობათა. –

ყოველნი საფუძველნი მიგვიყვანენ ჩვენ ამა მტკიცეს დარ-წმუნებისადმი, რომელ კეთილ დღეობისათვის ორთავე წოდებათა უმჯობეს არს იქმნეს ნება ყოფლობით მორიგება. –

შემდეგ ვადის შესრულებისა საქმე ესე ფრიად ვრცელი და მრავალ გვაროვანი არა ესრეთ ადვილ არს გასარჩევად და საფუძ-ვლიანად სასარგებლოდ და დასაბოლოებელად ვითარცა ჰფიქრო-ბენ ზოგიერთნი, რომელთაცა ანუ სრულებით არ უწყიან პირობანი და მოთხოვნილებანი აწმყოს დროს მიხედვით ჩვენი ქვეყნისა სივ-რცე სოფლის სახლოსნობისა, საჭიროება და მოთხოვნილება მას შინა. საქმე ესე შემდეგ შესრულებისაცა სრულის სიმართლით და სასარგებლოდ წარმოადგენს დიდთა სიძნელეთა და დაბრკოლება-თა დროდმდე და იქმნების უსარგებლო უკეთუ არ დაჰშთებიან გლეხნი ვადით აწმყოს მდგომარეობასა შინა. –

13.

მამულის პატრონისა და გლეხთა შორის დაწესებული ვადა უნდა იყოს ორსავე მხრით თანხმობით კანონიერად შემდგარი ამ წერილის ძალით თავის უფალს გლეხს ნება არა ჰქონდეს სხვაგან გადასახლებისა ვადის გასვლამდის უკეთუ იმ წერილის მუხლნი მტკიცედ იქმნებიან დაცულნი მამულის პატრონისაგან და თუ ის პირობაები დაირღვნენ იმისაგან, მაშინ თუ მოინდომოს გლეხმა იქიდგან აყრა შეუძლიან გადვიდეს სადაცა ჰსურდეს ვადის გასვლამდის. – ეგრეთვე თუ იმ პირობაებს დაარღვევს გლეხი, მაშინ მემამულეს დაითხოვოს ის თავის მამულისაგან. იქ თუ ორსავე მხრივ პირობანი მტკიცედ აღსრულდების და თუ ვადის გასვლის შემდეგ გლეხმა არ ინდომოს იქ დარჩენა, მაშინ ვალდებულ არიან მანამ ვადა გავიდოდეს, როგორც ვსთქვით ესე ზევით, უკანასკნელის ერთი წლის წინად შეატყობინოს მემამულეს, რომ აღარ ჰსურს იქ დგომა მას, რათამცა დრო ჰქონდეს მამულის პატრონს იმის სამაგიეროდ სხვა გლეხის შოვნისა და იქ დასახლებისა, რომ მამული მუქთად არ დარჩეს და არ აზარალოს მებატონე და უკეთუ მებატონის სოფლის სახლოსნობის საჭიროებამ მოითხოვოს გლეხისაგან იმ მამულის გამორთმევა, მაშინ ჰქონდეს მას სრული უფლება ჩამორთმევისა უწინარეს – და მებატონე მოვალეა აგრეთვე ერთის წლის წინად შეატყობინოს ეს გლეხს კაცსა. –

14.

რათა დროსა ამა ცვლილების დაწყებისა და ახალთ წეს დებულებათა არ მოხდენ არევ-დარევანი ვითარიმე მიუხვედრელობა გლეხთა შორის და არ წარმოსდგეს უწესობა მათგან და გართულთა ამას შინა არ დაუტეონ თვისი მოვალეობა და მამულის შემუშავება ვიდრე დროება დაამშვიდებს ყოველსავე და ორივე მხარენი შეეჩვევიან ამა ახალსა და მძიმე საქმესა პირველი ვადა – სამი წლიდგან ხუთს წლადმდე. –

20. **თელავის უეზდიდამ 12 პირნი:**

მაიორი გიორგი ანდრონიკოვი.
აზ. კონსტანტინე ანდრონიკოვი.

პოდპორუჩიკი იოსებ ანდრონიკოვი.
აზ. აქაზ ანდრონიკოვი.
აზ. ზაქარია ანდრონიკოვი.
აზ. თამაზ ანდრონიკოვი.
აზ. რამაზ ანდრონიკოვი.
აზ. ივანე ანდრონიკოვი.
სამსახურში მყოფობის გამო გიორგი ანდრონიკოვისა ხელს აწერს
    დედა მისი თინია ანდრონიკოვისა.
აზ. ნინა ანდრონიკოვისა.
აზ. გიორგი ანდრონიკოვი.
პრაპორშჩიკი ივანე ანდრონიკოვი.

იმ დროიდგან როდესაც განსჯისათვის ბატონ-ყმობის საგანზედა დაიწყო კრება თელავის უეზდის კეთილ შობილთა, ჩვენ ყოველ კრებაში მივდიოდით და მოვისმენდით ყოველსავე საშუალებასა გაუმჯობესობისათვის ყმების ყოფა ცხოვრებისა, რომელსაცა წარმოსთქვამდნენ კეთილშობილნი თვისთა ჰაზრთა შინა, – და დასასრულ შევედით იმ დაბოლოებულ ჰაზრში, რომ მარტივ ჩვენ ადრონიკოვთათვის იმ კრებაში გამოხატულ ღონისძიებათაგან არა არს გამოსადეგი არცა ერთი, რამეთუ ადგილობრივისა და ნივთიერებითის ჩვენის მდგომარეობისა გამო, ეგრეთვე ვალდებულობისა გლეხთა ჩვენთა მიწის შემუშავებისა, ღირსებისა და ფასისა მიწის მოსავალთა, და თვისებათა გამოსაღებისა და ბეგარისა ჩვენის ყმებისა გამო, – ჩვენ, მცხოვრებთა თანა სხვა ამავე უეზდის ადგილებშია, შევადგენთ ცხადს განსხვავებასა. – ამისათვის გავჰბედავთ მოხსენებას შემდგომთა:

1. სოფელი ***ოჟიო,*** რომელშიაც ჩვენ ვსცხოვრებთ, დახშულ არს თვით იწრო მიწის საზღვრებში და არ მიუდგება იმ პირობაებს, რომელნიცა გამოიხატებოდიან კრებათა შინა კეთილ შობილთა, რამეთუ ჩვენს გარდა, რომელნიცა შევადგენთ სხვა და სხვა სახლობათა, რიცხვით 11 კომლთა, ამ სოფელში შარშანდელი აღწერით – საეკკლესიო ყმების გარდა – საკუთარნი ჩვენდა კუთვნილნი კომლნი ირიცხვებიან 61; და მის მახლობელ სოფელ ***ხორხელში,*** თვინიერ სხვა უწყებათა ყმებისა, ჩვენნი არიან 11 კომლი. სულ ორსავე სოფელში ირიცხვება ჩვენს კუთვნილებად 72 კომლი, და როგორათაც ჰსჩანს ჩვენის ჰოქმე-

ბიდგან, სრულიად ადგილ-მამული არის 13 საკომლო.• პირველ სოფელში 10 საკომლო რომლიდგანაც ჩვენ აზნაურთ გვიჭირამს 2 და 8 ყმებთა ჩვენთა – 61 კომლსა; მეორეში 3 საკომლო, რომელიც უჭირავსთ ყმებთა ჩვენთა – 11 კომლსა. – აქედგან ჰსჩანს რომელ საზოგადოთ ჩვენ აზნაურთა ერთობ 83 კომლთ ყმათა ჩვენთა-თანა გვიჭირამს ადგილ მამული მხოლოდ ცამეტი საკომლო და სრულიად არა გვაქვს საკმაო საძოვარი და ტყე, რომელსაც გვაძლევენ ჩვენნი მეზობელნი; რასაკვირველია არა უსასყიდლოდ; ამისათვის მიუცილებლად ჩვენ ვეკუთვნით ხარისხსა მცირე მამულიან მებატონეთა და განვსხვავდებით სხვათაგან თელავის უეზდში. –

2. ჩვენ გვაძევს სახელმწიფო და კერძოობითი ვალი ვიდრე 30 ათას მანათამდე, რომლისაცა გარდახდა ყოველთვის გვიძნელდება; ხოლო არსობა ჩვენი დაემოკიდება ჩვენის ვენახების შემოსავალსა, უდიდესს პირადს გამოსაღებსა ჩვენის გლეხებისასა და ღვინის ხარჯსა გლეხების ხელში მყოფის ვენახებისაგან, საკუთარის ჩვენის დაწესებით. წინააღმდეგ ამისა ჩვენი ყმები ჩვენზედ უფრო უკეთესს მდგომიარობაში არიან, რადგან იმათ თითქმის ვალი არა აქვსთ და ყურად საღებელია ესეცა, რომ თავიანთი ნაღდი ფული აქვსთ გაცემული ფარულად. –

მაშა სადამე, ზემორე მოყვანილის მდგომარეობისამებრ, შესაძლო არსღა ჩვენზედ იმა კანონთა, რომელთ საფუძველთა ზედა დამყარებულ არს რუსეთში გაუმჯობესობა გლეხთა ყოფა ცხოვრებისა, გინა იგი წინადადებულებანი, რომელნიცა გამოითქმებოდიან კრებაშია? უკეთუ რუსეთის მაგალითით მივანდობთ გლეხთა გამოხსნის უფლებით, მარტოდ კარ მიდამო მიწებისა, მაშინ ვენახები, შემადგენელნი მათთან ერთობისა, აღარ იქმნებიან მტკიცე საკუთრებად მებატონისათვის; და თუ მივანდობთ მას სრულიად მას, რაიცა შეადგენს საკომლოსა, ზემორე აღნიშნულისა, მაშინ გლეხნი არა თუ დაგვისწორდებიან ქონებით, არამედ გადაგვაჭარბებენ კიდეცა. ხოლო მყოობადობა მათი გარდაემატება სარგებლობით ჩვენს მყოობადობას, ვინაიდგან ჩვენს,

---

• საკომლო, ადგილობრივისა და სიმრავლის მიხედვით, ძველის კახეთის ჩვეულებით შეადგენს 30-დგან 60 დღის სახნავამდენ, ანუ 15-დგან 30 დესეტინა მიწამდენ და გამოიხატვის თავით თვისით რაოდენობასა, რომელიც არის მიცემული თვითოეული კომლისათვის დროსა პირველთაგან დასახლებისასა. ამ საკომლოს რიცხვში იგულების ეგრეთვე ვენახებიცა. —

არა ერთგვარ სიცოცხლეში, იმათ არ ეჭირებათ შეეჩვივნენ შრომასა შესამუშავებელად თვისთა ნაწილთა, მაშინ როდესაც ყმების ჩამორთმევის შემდეგ ჩვენ იძულებულ ვიქმნებით მივემართნეთ ნებითი ქირაობის შრომასა, რომელშიაც შეგვემთხვევა სიძნელე, ამისთვის, რომ მემკვიდრე მცხოვრებთ ჩვეულება არ აქვსთ დაუდგნენ მუშად, რადგან თვითვე უჭირთ მუშა და ამის გამო ყოველივე სამუშაო უნდა დავამყაროთ იმ მუშებზედ, რომელნიც სხვა უეზდებიდამ მოდიან არა ყოველთვის თავის დროზედ. – ხოლო რაც შეეხების შინაურს მსახურსა ძნელია იმათი მოპოება, ნამეტნავად მდედრისა სრულიად შეუძლებელია. და თუ ვექვემდებარნეთ კრებაში წარმოთქმულს პირობაებსა, ესეც უსარგებლო იქნება არა თუ მარტო ჩვენთვის, არამედ გლეხთათვისცა. – ***პირველად*** ამისთვის, რომ უკეთუ ადგილ მამული და ვენახები ექმნებათ ისევ მებატონეთა და გლეხნი დავალებულ იქმნებიან ძლევად მისთვის მიწის მოსავლის ნაწილისა, გინა სხვა ხარჯისა, ამ შემთხვევაში იმედი არ იქმნება, რომ გლეხმა აღასრულოს ეს მოვალეობა ბეჯითად და კეთილ სინიდისიანად, ამისათვის, რომ იგი როგორათაც თავისუფალი კაცი არა დამოკიდებული მებატონის უფლებაზედ, ყოველთვის იპოვის ღონის ძიებას სხვა და სხვა მიზეზებისა გამო გააცოდვილოს მებატონე შემოსავლის მიღებაში და რადგან ვენახები თავის საკუთრებათ არ ეგულება – გაცუღლუტდება ვაზის მოვლაში და აღაოხრებს ვენახსა, რათა ამისთანა ღონის ძიებით მებატონეს ხელი ააღებინოს მისგან მცირე ფასის მიცემით; ამასთანავე გადაემტერება მას და საჩივრებს ბოლო აღარ ექნება, რომლითაც გაიტანჯება, როგორათაც მებატონე, ეგრეთცა გლეხი. – ***მეორედ*** ვენახის სარგებლობა, არა საკუთარის სამართლით, არ მისცეს გლეხს თავის უფალს ქონებასა და არც გაუმჯობესებს მისს ყოფა ცხოვრებასა, მოაკლებს ნდობასა, რომლითაც ჰსარგებლობენ კახეთში გლეხნი თავიანთი ვენახების დახათრიჯამებით, სრულიად დაეცემა და აღარ ექმნება შეძლება თავი დააღწიოს სიმჭიდროებისაგან. – ამასთანავე როგორათაც სხვის საკუთრების მუშას, ჩამოუვარდება თავის სახლობასთან განხეთქილება, შვილნი მამისაგან და ძმა ძმისაგან ხელს აიღებენ, შეიქნებიან მოწრწენი[47] და შრომის მოყვარეობა მათში სრულიად აღიხოცება, აღარც საკომლის განწილვა მოხდება, რადგან მებატონე მამულის ნაჭერნაჭერად დაყოფას აღარ იყაბულებს და ამოწყვეტილი ყმების ობლები დაჰშთებიან უზრუნველ, მათი ვენახები ჯეროვანის შეუმუშავებლობით აოხრდებიან და ამით მებატონე მოაკლდება შემოსავალსა. –

ამ გვარ საქმის მდებარეობაში, რომლიდგანაცა ვიჭვნეულობთ, რომ მყოობადი დამოკიდებულება ჩვენ შორის იყოს მტკიცე, ჩვენ თანახმად ჰაზრთა ყმათათა სამუდამო სიმტრეს, ვამჯობინეთ მოსვენება, ასე რომ მათ ერთად სახლკარობისა და წისქვილის ადგილებთან დაუთმოთ იმათი ვენახებიცა, რომელნიცა არიან სოფლის ხაზშია და ამისთვის მოგვეცეს ფასი, როგორიცა არსებობს ჩვენს ქვეყანაში, რომლისა მაგალითად მივიღოთ ახლანდელი მამულის ფასი თან და თან მაღლა აწეული და აღებ მიცემის მორიგება გლეხთა შორის ერთმანერთთან კეთილნებაყოფლობითის დათანხმებით. –

აღნიშნული დაფასება უნდა მოხდეს ცალკე დანიშნულის კომმისიისაგან თანა დასწრებით თვით მებატონისაცა. –

მხოლოდ ამისთანა ღონის ძიებით მოვესწრობით, როგორათაც ჩვენ, ეგრეთვე ჩვენნი ყმანიცა, ამა მდგომიარობისა უკეთეს დაბოლოებასა, უკეთუ მმართებლობა არ უარ ჰყოფს მისცეს გლეხთა შემწეობა, რომ იმათ მაგიერად მოგვეცეს ჩვენ ღირეული ფასი გაშვებულის მათდა მამულისათვის და გარდაჰხდა მათგან ამა ვალისა დაეწესოს განკვლადებულის ვადით. ხოლოდ გასაადვილებელად ამა მორიგებისა, ჩვენ ასე ვჰფიქრობთ, რომ რაც მამულისათვის ფული გვერგება ანგარიშით, – შეგვირიცხონ ჩვენ პრიკაზის ვალში, რადგან სრულიად ჩვენნი ყმანი და მამული იქ დარიგებული არიან[48] და როდესაც ყმანი განთავისუფლდებიან, შევლენ-რა სახაზინო სოფლის საზოგადოობასა შინა, არ გაუძნელდებათ, სოფლის თავდებობით შეტანა პრიკაზში ამა ვალისა ყოველ წლივ და ბეჯითად. ხოლო რომელთა წყაროთაგანაც შეუძლიანთ მათ ვალის გარდახდა, ამის განმარტებას ვაცხადებთ ამასთანავე დამატებაში. –

ამასთანავე ზედ დავრთამთ, რომ ამ წესთან საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ჩვენ გლეხების ვალის პასუხის მიცემა არ შეგვიძლია, რადგან ეს ვალი აუღიათ მათ თავიანთ საკუთარის საჭიროებისათვის; თუმცა ჩვენ ვაძლევთ კიდეცა ნებასა ფულის პატრონთა, რათა ესესხებინათ ჩვენთა ყმათათვის, მაგრამ იმისთვის ვაძლევდით, რომ შემდგომში არ შეგვძლებოდა დაბრკოლება მათი, გარდაეხადათ თვითვე ეს ვალი, ესეც უნდა ვჰსთქვათ, რომ ჩვენი ყმები უფრო თავიანთ მონათესავეთ ესესხებოდნენ ტყუილათ, რათა იმითი იძულებულ გვყონ შემსუბუქებად ბეგარის გარდახდისა, ისეთი შემთხევვაც ბევრჯერ ყოფილა, რომ თვით ჩვენ ძალ დატანებით აგვიღებინებია ვალი, რათა შეიძინონ სახნავი მიწა, რომელიც საკმაო არ ჰქონიათ და ამისათვის იგინი

ვიდრე ამ ვალის გარდაწყვეტამდე თავის უფალი იქმნებოდნენ ღვინის გამოსაღებისაგან (კულუხისაგან). ამისთანა შეძინების ღონისძიება ძველადგანვე არის შემოღებული და აქედგან არის შემდგარი ის ძირეული რჯული, რომ თუ ყმა ბატონისაგან გავიდეს იმის შეძინებული უძრავი ქონება სრულიად დარჩება ბატონს და მოძრავისაგან ნახევარი. –

იმ პატივ საცემთა მიზეზთა გამო, რომ ჩვენში ძვირია მუშის ხელი და ამისთვის ფრიად დიდის სიძნიადით შეგვიძლიან ხვნა-თესვა და რათა ამაში შემწეობა გვქონდეს გლეხთაგან, ჯერ არს სიმართლით და თანახმად ძირეულის კანონისა, იმათი სახნავი მიწები, რომელიც საკომლოში რგებიათ ან თვით შეუძინებიათ დაშთნენ ჩვენზედვე და იმათ დაედვათ ვალად ღალისა, გინა სხვა სამსახურისა გაწევა ამ მიწებისათვის, უფროღა მისთვის რომ ერთბაშად შესყიდვა ამეებისა მათთვის საძნელო იქმნება. – მუშა პირუტყვს გაუშვებთ სასარგებლოდვე გლეხთა, ხოლო შეუბმელი პირუტყვისაგან, ცხვრისა და ღორისაგან, ჯერ არს გვეძლიოს ნახევარი ჩვეულებისამებრ მაშინ, როდესაც იმათ ეყოლებათ მრავალი. – თუ საკმაო ტყე გვექმნება უნდა მივსცეთ გლეხებს ცალკე დაწესებულის ხარჯის მოთხოვილებით და თუ არ გვექმნება, უნდა ისარგებლონ მეზობლების ტყიდგან, როგორც აქამომდე იყო. – ამ გვარსავე პირობას დავადგებით ჩალისა და საძოვრის სარგებლობაზედ. – თუ გლეხებზედ დარჩომილი ხარჯი აღმოჩნდება, უნდა დავალებული იყვნენ გარდაიხადონ, და გაქცეული გლეხებისათვის, მოხდეს ძებნა დასაკმაყოფებელად ჩვენდა, უკეთუ მმართებლობისაგან დაწესდება კმა ყოფილება პირადის თავისუფლებისათვის. –

დამატება:

საშუალობა და ღონის ძიება განთავისუფლებულთ მკვიდრის ყმობისაგან გლეხთა, რომლითაც შეუძლიანთ ვალის გარდახდა საკუთრებად შეძინებულის სახლკარობისა და ვენახებისათვის: – მაგალითად თუ გლეხის ვენახსა აქვს სივრცე ერთის დღის სახნავისა, კარგს მოსავლიან წელიწადში გამოუვა ოთხი საპალნე, ან ერთი ურემი, რომელიც თვით მცირე დაფასებით ეღირება 100 მანათი, ბუთილკა[49] 5 კაპიკი; საშუალო მოსავალში გამოუვა ორი ნაწილი ურმისა და მოუსავლობაში ერთი ნაწილი, – ჭაჭისათვის ყოველს ამ შემთხვევებში ჩავაგდოთ ათი მანათი და ვენახის დათესილობისა და თივისათვისაც კიდევ 10 მანათი.

ეს ძრიელ დაბალი ფასები ძრიელ დაბალი ღვინის დიდ მოსავალშიაც არის; ხოლო მცირე მოსავალში ფასები მაღლა იწევა და ღვინის თვისებისდა გვარად, რომელიც დაემოკიდება პატრონის გარჯილობაზედ ურემი ფასობს 500 მანათად; მაშა სადამე საშუალობა თვით ნაკლების კაცისა ვენახიდგან ცხადია. თვინიერ ამისა გლეხსა აქვს შემოსავალი ხეხილიდამ, ვითარ: მსხლისა, ვაშლისა, და კაკლისა, თვითოეულიდან 5-დამ 15 მანათამდინ; თუთის ნერგისაგან, თუ ასამდინ ხე უდგია, მიიღებს ნახევარ ფუთს აბრეშუმსა, რომელიც თვით მცირე დაფასებით ეღირება 35 მანათი და თუ არა ყოვლის ხიდგან 20 კ-დამ 50 კოპეიკამდინ. სრულიად ამ სახლის მომჭივნეობაზედ საკმაო არის ერთი პატრონი ერთის მცირე წლოვანის თანაშემწით და ორის დედაკაცით; და თუ სახლში იმათ გარდა კიდევ იპოვება ორი მუშა, შეუძლიანთ მოიმუშაონ წელიწადში 60 მანათი თვითოეულმა და თუ ამისთანა პატრონს ეყოლება სამ უღელი შესაბმელი საქონელი ორი უღლით შეიძინებს წელიწადში 100 მანათამდინ თეთრი ფულით. –

აქედგან გამოვა, რომ გლეხის საშუალობა თვით საშუალო დაფასებით შემოსავლისა საკმაოდ დიდია და არ გაუძნელდება გამოხსნა ხსენებულის მამულისა. –

21. **იასე ანდრონიკოვი.**

მე ვარ ერთი უცოლშვილო ობოლი კაცი, ჩემი სათხოვარი ეს არის რომ ოცდა ორი კომლი კაცი არის პრიკაზში შეტანილი გირაოთ თავიანთის მამულით, სახლით და კარით, ათას სამას ოც თუმნათ არის დაფასებული; რაც გამიტანია პრიკაზიდგან ის გამამირიცხოს და დანარჩენი მიბოძოს, რომ მე ჩემს გლეხებთან სრულიად საქმე აღარაფერი არა მქონდეს ძმობისა და სიყვარულის მეტი. –

აპრილი 1863.

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის ნაწერები ბატონყმობისა და საბანკო-საკრედიტო საქმის შესახებ, აგრეთვე, იურიდიული თხზულებები.

ტომში შეტანილი გვაქვს ტექსტი „შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ შედგენილი აპრილს 1863“, რომელიც ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა მიერ დიმ. ყიფიანისადმი გაგზავნილ პასუხებია საგლეხო რეფორმის შესახებ. ვინაიდან ეს 21 „ჰაზრი“ დიმ. ყიფიანის მიერ მექანიკურად კი არ არის შეკრებილ-გადმოცემული, არამედ კლასიფიცირებული და შეჯერებულია, საჭიროდ მივიჩნიეთ იგი დიმ. ყიფიანის თხზულებებისთვის დანართის სახით დაგვემატებინა (უფრო ვრცლად წინამდებარე ტომში ტექსტის შეტანის მოტივაციის შესახებ იხ. აქვე, გვ. 464).

დიმ. ყიფიანის ნაწერები ხშირად არ იბეჭდებოდა, ამიტომ ***„ნაბეჭდში“*** მითითებული გვაქვს არა მხოლოდ პირველნაბეჭდი და ავტორის სიცოცხლეში გამოცემული ტექსტები, არამედ – ჩვენთვის ცნობილი პუბლიკაციებიდან უკლებლივ ყველა.

ე. წ. პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს ტექსტის ხელნაწერის, პუბლიკაციის, სათაურის, თარიღისა და დაწერის ადგილის, ავტორისეული ხელმოწერის შესახებ. როცა ეს მონაცემები ტექსტში არ არის (ვთქვათ, ტექსტი დაუსათაურებელია ან დაუთარიღებელია და სხვ.), ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მითითება პასპორტში გამოტოვებულია და აუცილებელ განმარტებებს შენიშვნებსა და კომენტარებში ვიძლევით. როცა მითითებული არ არის ***„ნაბეჭდი“***, ეს იმას ნიშნავს, რომ ***ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე პირველად წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება***.

ტექსტების ერთი ნაწილი დათარიღებულია ავტორის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კვლევით დადგენილ თარიღს ვუთითებთ კვადრატულ ფრჩხილებში. დაწერის თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მაშინაც, როცა საკითხის გარშემო არ მოგვეპოვება რაიმე ხელმოსაჭიდი მონაცემი და მას (ტექსტს) ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. სათანადო მონაცემები – ტექსტი პირველნაბეჭდის მიხედვით თარიღდება თუ თარიღი კვლევით დგინდება – შენიშვნებსა და კომენტარებშია მოცემული. თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, მოგვყავს ორივე მონაცემი.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (Წ, Ჲ, Ჯ, Ჭ, Ჩ; აგრეთვე – Უ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად „თერგდალეულთა“) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, უკვე აღარ ხმარობდა. **წინამდებარე გამოცემაში ძველი ასოები შეცვლილია და სიტყვები ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვითაა გადმოცემული** (ქᲣᲬყნის – ქვეყნის, ძᲣᲬლი – ძველი, ჩᲣᲬნი – ჩვენი, გვაქᲣს – გვაქვს და სხვ.).

დიმ. ყიფიანის თხზულებებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები. მაგალითად: ყოფაცხოვრება/ყოფა-ცხოვრება/ყოფა ცხოვრება; ადგილმამული/ადგილ-მამული/ადგილ მამული; სახლკარობა/სახლკარობა, სახლ კარობა; გადასახადი/გარდასახადი; ერთმანეთი/ერთმანერთი და სხვ. ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. უნიფიკაციაზე უარის თქმა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ დიმ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საქმეში და სასურველია, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში მისი მონაწილეობის კვალი არ წაიშალოს.

არქაული ან იშვიათად ხმარებული სიტყვები წინამდებარე ტომში შესულ თხზულებებში ხშირად არ გვხვდება. ამიტომაც მოიხსნა ტომისთვის ლექსიკონის დართვის საჭიროება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ასეთ სიტყვებს შენიშვნებსა და კომენტარებში განვმარტავთ.

შენიშვნებსა და კომენტარებში არ ვიძლევით მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებებს, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ტფილისი, Тифлис, Москва, Санкт-Петербург და სხვ.); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“, „Закавказье“ და სხვ.).

ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ა

ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში (გვ. 11-91)

ხელნაწერი:

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 4. აღწ. I. საქმე №1277. ფ. 87-170.

ნაბეჭდი:

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე". [ტ.] 4. 1948, გვ. 49-99.

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 49-99.

სათაური:

Доклад правителя дел Совета относительно крепостного права в Грузии, Имеретии и Гурии и определения отношений между крестьянами и помещиками [საბჭოს საქმეთა მმართველის მოხსენება საქართველოში, იმერეთსა და გურიაში ბატონ-ყმობისა და გლეხებსა და მებატონეებს შორის დამოკიდებუ-ლების შესახებ].

თარიღი: 27 ოქტომბერი, 1847.

ხელმოწერა: Правитель дел совета **Кипиани** [საბჭოს საქმეთა მმართველი **ყიფიანი**].

ვიმეორებთ შ. ჩხეტიას პუბლიკაციას, თუმცა ხელნაწერზე დაყრდნობით შეგვაქვს მცირეოდენი ცვლილებები (შ. ჩხეტიასთან არ არის აღნიშნული ხელნაწერში დიმ. ყიფიანის მიერ ხაზგასმული

სიტყვები თუ მონაკვეთები და ამ მხრივ ხელნაწერისეული ვითარება ჩვენ კურსივით აღვადგინეთ; ერთი-ორგან დავაბრუნეთ პუბლიკატორის მიერ, როგორც ჩანს, მექანიკურად გამოტოვებული ცალკეული სიტყვა თუ მოკლე მონაკვეთი...).

საბუთის პირველი ფურცლის (r) აშიაზე დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერია (რუსულ ენაზე): „მოსმენილია საბჭოს სხდომებზე 1847 წლის 27 და 30 ოქტომბერს, 3, 19 და 27 ნოემბერს“.

საკითხის გარშემო არსებული დოკუმენტური მასალა (ვარიანტულად განსხვავებული მონაკვეთები, ცალკეულ პირთა მიერ მიწოდებული ცნობები და სხვ.) იხ. ჩხეტია 1950: 326-370; აგრეთვე, ხეც. დიმ. ყიფიანის არქივი:

1. საქ. №324 – თბილისის გუბერნიის მაზრების უფროსებისა და მოსამართლეების მიერ საგუბერნიო სამმართველოში წარდგენილი ცნობები მებატონეთა და ყმათა ურთიერთობის შესახებ. 1840-1842. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 22.

2. საქ. №325 – ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში. 20.VII, 1842. რუსულ ენაზე. ფ. 22 (თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: თ[ავად] მ[იხეილ] ბ[ირთველის ძე] თუმ[ანიშვილისაგან]).

3. საქ. №326 – მოხსენებითი ბარათი მთავრობის ღონისძიებათა შესახებ ბატონყმური ურთიერთობის გასარკვევად საქართველოში. 10.XII, 1843. (2 ეგზემპლარად). პირველი ეგზემპლარი ხელმოუწერელი ავტოგრაფია; მეორე კი უცნობი ხელითაა ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 70.

4. საქ. №358 – დებულება ქართველ მემამულეთა და გლეხთა შესახებ ვახტანგ მეფის კანონთა და ძველი ადათ-წესების მიხედვით. [1840-იანი წწ.]. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 12.

5. საქ. №359 – მებატონეთა უფლების შესახებ, გააძევონ გლეხები საცხოვრებლიდან. [1840-იანი წწ.]. ავტოგრაფი. თავნაკლული. რუსულ ენაზე. ფ. 5.

6. საქ. №362 – ცნობები მებატონეთა და ყმათა ადრე და ნაწილობრივ ახლაც არსებული ურთიერთმიმართების შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში. [1840-იანი წწ.]. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 18.

7. საქ. №364 – მოხსენებითი ბარათი ამიერკავკასიის მხარეში მებატონეთა და გლეხთა ურთიერთობის შესახებ. [1840-იანი წწ.]. ავტოგრაფი. შავი. ხელმოუწერელი. ბოლონაკლული. რუსულ ენაზე. ფ. 12 (შ. გოზალიშვილის მიერ შეცდომით დათარიღებულია 1864 წლით – გოზალიშვილი 1951: 73).

8. საქ. №365 – მოსაზრებები ამიერკავკასიელი გლეხებისა და მათი მებატონეების ურთიერთობისა და გლეხებზე მებატონეების ძალაუფლების შესახებ. [1840-იანი წწ.]. ავტოგრაფი. შავი. ხელმოუწერელი. რუსულ ენაზე. ფ. 52 (შ. გოზალიშვილის მიერ შეცდომით დათარიღებულია 1860-იანი წლებით – გოზალიშვილი 1951: 75).

ავტორის მიერ ტექსტში დამოწმებული ოფიციალური მიმოწერის ასლები იხ. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 4. აღწ. I. საქ. №1277. ფ. 18-82, 195-198.

წინაისტორია საკითხისა, რომელსაც დიმ. ყიფიანის წინამდებარე მოხსენება ეხება, იხ. ჩხეტია 1950: LVII- LXII.

[1] (გვ. 11) **„საბჭოში“** კავკასიის მთავარმმართველობის საბჭო იგულისხმება. როცა ეს ტექსტი იწერებოდა, დიმ. ყიფიანი აღნიშნული საბჭოს საქმეთა მმართველი იყო [1845 წლის 28 სექტემბრიდან იგი მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი იყო (ყიფიანი 29: 92). 1846 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული კანცელარია გაუქმდა, მის ნაცვლად შეიქმნა მთავარმმართველობის საბჭო, დიმ. ყიფიანი ამ საბჭოს საქმეთა მმართველად დაინიშნა (ყიფიანი 29: 92) და ამ თანამდებობაზე მან 1857 წლის 9 აპრილამდე იმსახურა (ყიფიანი 29: 105)].

[2] (გვ. 12) **„ქართველი შინაყმების აღწერას...“** – დედანში: **Ревизия** (ჩხეტია 1950: 49), რაც იმ დროს, გარდა ამ სიტყვის გავრცელებული მნიშვნელობისა (გადახედვა, გადასინჯვა, შემოწმება), მოსახლეობის საყოველთაო აღწერასაც ნიშნავდა: „**Ревизия** – ... В 18 и первой половине 19 вв. перепись сельского и городского населения для учёта и исчисления подушной подати“ (უშაკოვი 1939:

1308); „**Ревизия** – აღწერა ქუეყანისა, საზოგადოობათა“ (ჩუბინაშვილი 1973: 411).

[3] (გვ. 12) **„ახალი საფინანსო სისტემის შემოღებისთვის უნდა მოემზადებინა ნიადაგი“** – საუბარია ე. წ. „განის რეფორმაზე“. ბარონი პავლე განი 1830-1840-იან წწ. ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელმაც ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობითი, სამართალწარმოების, ფინანსური და სხვ. მიმართულებით რეფორმირების პროექტი შეიმუშავა. განის რეფორმაში იგნორირებული იყო ადგილობრივი პირობები (სამართლებრივი ტრადიცია, ეთნოფსიქოლოგიური გარემო და სხვ.), ამიტომ მან გამოიწვია როგორც მოსახლეობის (გურიის 1841 წ. აჯანყების ჩათვლით), ისე მმართველი წრეების უკმაყოფილება, ვერც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ სპეციალურად დანიშნული კომისიის რევიზიას გაუძლო და ყოველივე ამან საბოლოოდ პროექტის ავტორის კარიერა შეიწირა – 1847 წელს იგი სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს [პ. განის მიერ შედგენილი რეფორმის პროექტის შესახებ იხ.: ჩხეტია 1950: LVII-LIX; ორჯონიკიძე 1992: 161-168, 173; ყიფიანი 1930: 61-62, 85-87; ყიფიანი 1990: 75-76, 101-103; ბერძნიშვილი 1980: 41-42; სხვათა შორის, პ. განის პროექტის შესახებ საქართველოში 1837 წელს ნამყოფ ინგლისელ მოგზაურს, რიჩარდ უილბრაჰამს, უწერია: „ბარონი ჰაანი კავკასიაში იყო გამოგზავნილი რევიზიით და შექმნა თავისი ადმინისტრაციული მმართველობის პროექტი. მისი ბიუროკრატიული შემოქმედების შედეგად გამოიცა „1840 წლის 10 აპრილის დებულება“, რომლის თანახმადაც კავკასია რუსეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებს ემორჩილებოდა. მაგრამ ეს ავანტიურისტული წამოწყება სკანდალურად და მეფის მთავრობისათვის სამარცხვინოდ ჩაიშალა. უკვე 1842 წელს ნიკოლოზ I იძულებული გახდა ეს დებულება გაეუქმებინა“ – უილბრაჰამი 1990: 20).

[4] (გვ. 15) **„1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესად დამტკიცებულ დებულებაში წერია...“** – ხსენებული **„დებულების“** შესახებ იხ.: ჩხეტია 1940: 28-31; ბერძენიშვილი 1965: 258-260 (დედნის პუბლიკაცია იხ.: აქტები 1866: 437-438; ბუტკოვი 1869: 488-494).

[5] (გვ. 16) **„აზატია დამბადებელისაგან ... გინდა და არა იქ იყაო“** – ეს მონაკვეთი, რომელიც დიმ. ყიფიანის ტექსტში რუსულ ენაზეა (ჩხეტია 1950: 52), ჩვენ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრე-

ბულის ი. დოლიძისეული პუბლიკაციიდან გვაქვს გადმოღებული (იხ. სამართლის ძეგლები 1963: 286). მოგვიანებით (1880-იან წწ.) დიმ. ყიფიანს საკითხის შესახებ უწერია: „საქართველოს მეფე ვახტანგის კანონები, რომლებითაც ადგილობრივ მთავრობას ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა ეხელმძღვანელა, არ იყო რუსულ ენაზე გადათარგმნილი და მხოლოდ 25 თუ 30 წლის შემდეგ გადათარგმნეს და დაურიგეს მთავრობის პირებს, – ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რას სჩადიოდნენ ყველა ის ტიტულიარნი სოვეტნიკები, რომელთ ხელში იყო ხალხის ბედი, რომელთაც ამ ხალხისა არა ესმოდათ-რა და თვით ხალხსაც იმათი არა ესმოდა-რა“ (ყიფიანი 1990: 140-141).

[6] (გვ. 16) **„სომხეთსა და თრიალეთში...“** – დედანში: „...в Сомхетии и Триалетах“ (ჩხეტია 1950: 52). „სომხეთში“ აქ უნდა იგულისხმებოდეს ***„სომხითი“*** – გვიანდელი შუა საუკუნეების ქვემო ქართლის პროვინცია.

[7] (გვ. 19) **„ეს საქმე მთავარმართებელმა ვერ დაასრულა“** – „მთავარმართებელში“ აქ იგულისხმება ალექსი ერმოლოვი, რომელიც 1827 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გაიწვია კავკასიიდან და, ჩანს, ამიტომაც ვერ დაასრულა მან „ეს საქმე“.

[8] (გვ. 23) **„ვურთავთ... სისტემატიზებულ მონაცემებს“** – აქ ნახსენები „სისტემატიზებული მონაცემები“ იხ. ჩხეტია 1950: 100-108 (ხელნაწერი იხ. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 4. აღწ. I. საქ. №11277. ფ. 1-17).

[9] (გვ. 29) **„...მინიჭებოდა რევიზიის ძალა“** – „რევიზია“, როგორც ზემოთ ითქვა (კომენტ. 2), იმ დროს მოსახლეობის საყოველთაო ***აღწერასაც*** ნიშნავდა (სულადი გამოსაღების აღრიცხვით).

[10] (გვ. 37) **„ამ მოსაზრებებს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობებდა“** – „კავკასიის კომიტეტი“ („Кавказский комитет“), როგორც საგანგებო უწყებათაშორისი ორგანო, კავკასიასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად პეტერბურგში ნიკოლოზ I-ის ინიციატივით 1840 წელს დაარსდა. მას უშუალოდ იმპერატორი აკომპლექტდებოდა შემდეგი შემადგენლობით: სამხედრო, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, სახელმწიფო ქონების, იუსტიციის მინისტრები, აგრეთვე, ტახტის მემკვიდრე. „კომიტეტში“ განიხილებოდა ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება აღემატებოდა

როგორც კავკასიის ხელისუფლების, ისე იმპერიის ცალკეული სამინისტროების უფლებამოსილებას. სპეციფიკური დატვირთვა „კავკასიის კომიტეტმა“ შეიძინა კავკასიაში მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის მმართველობის დროს, როცა იგი არსებითად მეფისნაცვლის წარმომადგენლობით ორგანოდ იქცა. 1882 წელს გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტი და შემოღებულ იქნა ადრე არსებული პოსტი მთავარმართებლისა; პარალელურად, „კავკასიის კომიტეტიც“ გაუქმდა (მოკლე ცნობები „კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. Комитет кавказский – ბროკჰაუზი-ეფრონი 1895: 838).

[11] (გვ. 47) **„პლაკატურ პასპორტს...“** – დედანში: „**Плакатный паспорт“** (ჩხეტია 1950: 72), რომელიც გამოსაღების გადამხდელი ფენის წარმომადგენლებზე (გლეხები, ვაჭარ-ხელოსნები...) წინასწარ განსაზღვრული ვადით (ძირითადად – ერთი წლით) სამაზრო მმართველობის მიერ გაიცემოდა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სხვაგან (ერთი გუბერნიიდან სხვა გუბერნიაში, გარკვეულ პირობებში ერთი მაზრიდან სხვა მაზრაში, გამონაკლის შემთხვევაში – საზღვარგარეთ) წასვლის უფლებას იძლეოდა.

[12] (გვ. 48) **„თრიალეთში 12 წელი იცხოვრა“** – ვახტანგის სამართლით, „თრიალეთზე, ქართველის ბატონის სახასოში, თორმეტის წლის წასული რომ მოვიდეს, [ძველ ბატონს] აღარ მისცემენ“ (სამართლის ძეგლები 1963: 531). ამ კატეგორიის გლეხებზე შეღავათი იმიტომ იყო დაწესებული, რომ თრიალეთი ქართლის განაპირა მხარე იყო და იქ გადახვეწილი გლეხი შემოსეულ მტერს პირველი უხვდებოდა (ჩხეტია 1950: XVII).

[13] (გვ. 50) **„სხვადასხვა უწყებაში ჩარიცხვა...“** – სხვადასხვა უწყებაში (ведомство) ჩარიცხულებში იგულისხმებიან სახელმწიფო (ანუ სახაზინო), საეკლესიო და საბატონო გლეხები.

[14] (გვ. 56) **„შუამავლობა... დაეკისროთ სახაზინო საქმეთა სტრიაფჩებს“** – სიტყვას **„სტრიაფჩი“** (რუს. „Стряпчий“) სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. **აქ:** სასამართლო მოხელე, „ვაქილი, მეოხი, მოსაქმე ანუ მოლაპარაკე სხვის მაგიერად სასამართლოში“ (ჩუბინაშვილი 1973: 529).

[15] (გვ. 69) **„გავიგონეთ, რომე ქრისტიანე ვინმე დატყუევდაო ... თუ ამისგან უფროს ხანს დაიჭერ, იქმნები უსჯულო და**

ურწმუნო“ – ეს მონაკვეთი, რომელიც დიმ. ყიფიანის ტექსტში რუსულ ენაზეა (ჩხეტია 1950: 85), ამოღებული გვაქვს „ვახტანგის კანონთა“ ი. დოლიძისეული გამოცემიდან (სამართლის ძეგლები 1963: 142). სიტყვები „უსჯულო და ურწმუნო“ დიმ. ყიფიანის თარგმანში ასეა – „...**законопреступник**“ („**Законопреступник:** სჯულის გარდამავალი, უსჯულო“ – ჩუბინაშვილი 1971: 329).

[16] (გვ. 71) **„...თვით მოქალაქეებისაც კი – მფლობელობაში იმყოფებოდნენ“** – „მოქალაქეში“ აქ იგულისხმება თბილისის მცხოვრები, რომელიც ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა („მოქალაქეებად იწოდებოდნენ მხოლოდ მკვიდრი თბილისელები, ძირითადად სამეფო-სახასო ვაჭრები და ხელოსნები, რომლებსაც ქალაქში ჰქონდათ უძრავ-მოძრავი ქონება და ამ ქონების ფლობის საფუძველზე ქალაქის დავთარში იყვნენ აღრიცხულნი“ – თბილისის ისტორია 1990: 370).

[17] (გვ. 75) **„თუ ხელმწიფემა და ანუ თავადმა გაგზავნოს ვინმე საქურდლად ... თავისი თავი თვითან უნდა დაიხსნას“** – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის „სომხური ნაწილის“ მოცემულ (424-ე) მუხლს ვიმოწმებთ გამოცემიდან: სამართლის ძეგლები 1963: 387. დიმ. ყიფიანის ტექსტში სიტყვა „საქურდლად“ ასეა თარგმნილი **„...на добычу“** (ჩხეტია 1950: 89; „**Добыча:** ნაშოვარი, საშოვარი, საპოვარი // ... ნატაცები“ – ჩუბინაშვილი 1971: 255).

[18] (გვ. 79) **„სისტემატიზებული ამონაწერის მე-5 თავში გვაქვს მოცემული“** – აქ ნახსენები „სისტემატიზებული ამონაწერი“ იხ. ჩხეტია 1950: 104-107.

[19] (გვ. 80) **„უკანონო მფლობელები ამ გლეხებს ან გაყიდდნენ, ან მოქმედების თავისუფლებას მიანიჭებდნენ“** – იმერეთის მმართველის (იმ დროს იმერეთის სამმართველოში გურიაც შედიოდა), გენერალ იაკიმ ესპეხოს, ამ გადაწყვეტილებაში ესპეხოს მდივნის (28.VI, 1837-16.I, 1839), ვოლოგდის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული დიმიტრი ყიფიანის, წვლილი, უნდა ვიფიქროთ, განმსაზღვრელი მნიშვნელობისა იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ესპანელმა ი. ესპეხომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1818 წელს, ცუდად იცოდა რუსული ენა, ცუდად იცნობდა აქაურ (ზოგადად – რუსულ) გარემოს, მათ შორის, კანონმდებლობას და გადაწყვეტილებების მიღება არსებითად დიმ. ყიფიანისთვის ჰქონდა მინდობილი. ამის

შესახებ დიმ. ყიფიანს თავის „მემუარებში“ უწერია: „არც ადმინისტრატიულს, არც სასამართლოს საქმეებში არავინ არ იყო ხელმძღვანელი, რასაც დავსწერდი, წაუშლელი იყო“ (ყიფიანი 1990: 28). „არ შეიძლებოდა... არ შემშინებოდა იმ უფლებისა, 22-23-ის წლის ყმაწვილ-კაცს რომ ჩამივარდა ხელში“, ამიტომო, დასძენს დიმ. ყიფიანი, „მინდოდა გავქცეოდი იმ უფლებას, მე რომ [ესპეხომ] ხელში ჩამიგდო“ (ყიფიანი 1990: 28-29).

[20] (გვ. 84) **„კავკასიის ოლქში ასეთი გლეხები გადასახლებულ იქნენ თავ-თავიანთი ოჯახებით...“** – „კავკასიის ოლქში“ აქ იგულისხმება ჩრდილოეთი კავკასია. 1785 წელს დაარსებული კავკასიის ***გუბერნია*** 1822 წლის აგვისტოში გადაკეთდა კავკასიის ***ოლქად*** და მასში შევიდა ყიზლარის, გეორგიევსკის, მოზდოკის, სტავროპოლისა და ალექსანდროვსკის მაზრები. 1847 წლის მაისში კავკასიის ოლქს სტავროპოლის გუბერნია ეწოდა.

[21] (გვ. 88) **„მიხეილ სიმონის ძე“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1844-1854) მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.

[22] (გვ. 90) **„განვსაზრეთ ჩვენ აღსრულება სურვილისა მეფისა გიორგისა ... დატკბებოდნენ თავისუფლებითა და წარმატებულებითა საფარველსა ქვეშე ჩვენსა“** – პავლე I-ის „უმაღლესი მანიფესტის“ ეს მონაკვეთი, რომელიც დიმ. ყიფიანის ტექსტში რუსულ ენაზეა, ჩვენ ამოღებული გვაქვს გამოცემიდან: იოსელიანი 1936: 231.

[23] (გვ. 90) **„თვითოეული დარჩების უპირატესობათა თანამდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებელად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან“** – ციტატა ალექსანდრე I-ის „უმაღლესი მანიფესტიდან“, რომელიც დიმ. ყიფიანთან რუსულ ენაზეა, ჩვენ ამოღებული გვაქვს გამოცემიდან: იოსელიანი 1936: 238 („უპირატესობათა თანამდგომარეობა თვისისათა“ აქ ***წოდებრივი პრივილეგიების*** შენარჩუნებას, ხოლო „...საკუთრისა თვისისა“ ***საკუთრების ხელშეუხებლობას*** ნიშნავს).

[24] (გვ. 90) **„მანიფესტისთვის დართულ უმაღლეს დადგენილებაში, რომელიც საქართველოს შინაგან მმართველობას ეხება“** – იგულისხმება ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის დებულება ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს ტერიტორიული და ადმინისტრაციულ-მმართველობითი მოწყობის შესა-

ხებ (Постановление внутренного в Грузии управления, Высочайше утвержденное в 12-й день сентября 1801 года, в Москве). დედნის პუბ-ლიკაცია იხ. აქტები 1866: 437-438 (დიმ. ყიფიანის მიერ დამოწმებუ-ლი ციტატა იხ. აქტები 1866: 438).

თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ (გვ. 92-110)

ხელნაწერი:

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 4. აღწ. I. საქმე №1277. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 171-194 [ორიოდე არაარსებითი ხასიათის რედაქციული ცვლილებით იმეორებს შავ ვარიანტს, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. (დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №363. ავტოგრაფი. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი. რუსულ ენაზე. ფ. 19)].

სათაური: О нуждах дворянского сословия.

ხელმოწერა:

Тифлисский Губернский Предводител Дворянства, Генерал-Майор, Князь **Джамбакуриан-Орбелианов** [თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, გენერალ-მაიორი, თავადი **[ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანი**].

Генерал-Лейтенант, Князь **Иван Багратион-Мухранский** [გენერალ-ლეიტენანტი, თავადი **ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი**].

Генерал-Майор, Князь **Г. Эристов** [გენერალ-მაიორი, თავადი **გ[იორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთოვი**.

Действительный Статский Советник **Д. Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი**].

Статский Советник, Князь **Г. Багратион-Мухранский** [სამოქალაქო მრჩეველი, თავადი **გ[იორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი**].

Полковник, Князь **К. Тархан Моуравов** [პოლკოვნიკი, თავადი **კ[ონ-სტანტინე თარხან მოურავოვი**].

ტექსტი (შავიც, გადათეთრებულიც) ავტოგრაფულია (შავი ვარიანტი ნასწორებიც დიმ. ყიფიანის ხელითაა). ამდენად, ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს (1857 წლის აპრილიდან დიმ. ყიფიანი მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის საბჭოს წევრი იყო, კავკასიის ადმინისტრაციაში 20-წლიანი გამოცდილება ჰქონდა, ზედმიწევნით ერკვეოდა როგორც მმართველობით სისტემაში, ისე ადგილობრივ პირობებსა და ვითარებაში, კერძოდ, თავადაზნაურობასთან დაკავშირებულ პრობლემებში და სავსებით ბუნებრივია, რომ მეფისნაცვალმა სწორედ მას მიმართა იმ საკითხის შესახებ, რა საკითხსაც ტექსტი ეხება). რაც შეეხება გადათეთრებულში დართულ სხვა პირთა (გარდა ავტორისა) ხელმოწერებს (უკლებლივ ყველა ხელრთვა ავტოგრაფულია, ფ. 194), მოტივაცია ადვილად გასაგებია – თითოეული ხელის მომწერი სტატუსითა თუ გავლენით სოლიდური ფიგურა იყო ამიერკავკასიის მმართველობაში და, შესაბამისად, მათი ხელმოწერა მეფისნაცვლისთის წარდგენილ ტექსტს კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობასა და მნიშვნელობას მიანიჭებდა.

ხელნაწერში (შავშიც, გადათეთრებულშიც) ადრესატი ამ ფორმითაა მითითებული: Его Сиятельству Господину Наместнику Его Императорского Величества на Кавказе, Генерал-адъютанту Князю Александру Ивановичу Барятинскому [მის ბრწყინვალებას, კავკასიაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფისნაცვალს, გენერალ-ადიუტანტს, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის].

ტექსტს ვათარიღებთ მასშივე მოცემული ერთი მონაცემის მიხედვით: დიმ. ყიფიანის თქმით, **„ახლა, როცა „პრიკაზის“ ამოქმედებიდან 8 წელიწადზე მეტი გავიდა“**; „პრიკაზი“ კი, მართალია, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1848 წლის მაისში დაამტკიცა, მაგრამ პრაქტიკულად მუშაობას 1849 წლის 1 თებერვლიდან შეუდგა (იხ. ქვემოთ, კომენტ. 13). ასე რომ, დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი ***დაწერილი უნდა იყოს 1857 წელს***.

აქვე უნდა გავასწოროთ ჩვენი ერთი ადრინდელი შეცდომა:

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დიმ. ყიფიანის ერთი თავნაკლული ნაწერი (პაგინაციის მიხედვით, ცხრაფურცლიანი ხელნაწერის ბოლო ორი ფურცელი; დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №323. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი), რომელსაც დიმ. ყიფიანისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში შეევ-

ხეთ, როგორც არასრულად მოღწეულ ცალკე თხზულებას (ჯოლოგუა 2002: 198-202). მოგვიანებით კი გაირკვა, რომ სინამდვილეში ეს ხელნაწერი დიმ. ყიფიანის მიერ ალ. ბარიატინსკისთვის წარდგენილი წინამდებარე ტექსტის ის მონაკვეთია, რომელშიც ავტორი განათლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობს.

[1] (გვ. 92) **„თქვენი ბრწყინვალების სურვილი იყო...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1856-1862) ალ. ბარიატინსკი.

[2] (გვ. 92) **„ადგილ-მამულებში ზოლმიწიანობის აღმოფხვრა“** – **„ზოლმიწიანობა“** – დედანში: **Чересполосность** (**Чересполосица**: ... ზოლმიწიანობა – რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983: 833); როცა პირის/მეურნეობის კუთვნილი მიწები სხვა მესაკუთრეთა მიწებს შორის ცალკეულ ნაკვეთებად (ზოლებად) არის შერეული.

[3] (გვ. 94) **„ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ გამოაქვეყნონ დაწვრილებითი ცნობები...“** – ყოველკვირეული რუსულენოვანი გაზეთი „Закавказский вестник“ („ამიერკავკასიის მაცნე“) 1838-1855 წწ. გამოდიოდა თბილისში (1844 წლიდან რედაქტორობდა პლატონ იოსელიანი; 1845-1846 წწ. გამოიცემოდა გაზეთის ოფიციალური ნაწილის ქართული დუბლიკატი „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“); 1856 წლიდან გაზეთი შეერწყა თბილისშივე გამომავალ გაზეთს „Кавказ“ და ამის შემდეგ (1856-1867) პერიოდულად გამოიცემოდა როგორც „Кавказ“-ის ოფიციალური საინფორმაციო დამატება.

სხვათა შორის, 1838 წლის 30 აპრილს ახალდაარსებული „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორად დაინიშნა ჯერ კიდევ იმერეთის მმართველის, გენერალ ი. ესპეხოს, მდივნად მყოფი დიმ. ყიფიანი, რომლის ნამსახურობის სიაში ვკითხულობთ: „ინფანტერიის გენერლის, გოლოვინის, განკარგულებით 30 აპრილიდან 9 ივნისამდე გამწესებული იყო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მდივნად და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორად, მაგრამ დატოვებულ იქნა მდივნად იმერეთის მმართველთან...“ (ყიფიანი 29: 88-89). საკითხის კვლევამ გვიჩვენა, რომ დიმ. ყიფიანი, მართალია, ოფიციალურად ითვლებოდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორად, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ფორმალური მხარე იყო. სინამდვილეში იგი ხელს არ აწერდა გაზეთს, ფიზიკურადაც არ იმყოფებოდა თბილისში

და, ამდენად, გაზეთის გამოცემაში მონაწილეობა არ მიუღია (საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2002: 99-101).

[4] (გვ. 99) **„სოფლის ჩვეულებრივი ობივატელების კლასს შეერწყას“ – „ობივატელი“** (сельский обыватель) აქ სოფლად მცხოვრებს (კერძოდ, გლეხს) ნიშნავს [Сельские обыватели (крестьяне; дореволюц.) – უშაკოვი 1938: 738].

[5] (გვ. 103) **„საგანგებო დებულება *დაცული მამულების* შესახებ“** – XVIII-XIX სს. რუსულ კანონმდებლობაში ადგილ-მამული, როგორც საკუთრება, იყოფოდა სამ კატეგორიად: 1. საგვარეულო (Родовое); 2. დაცული (Заповедное); 3. მაიორატი (Майоратное; ეს არის „მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვითაც, უძრავი ქონება მთლიანად ერგება უფროს ვაჟს ან გვარის უფროს მამაკაცს“ – ქეგლ 1958[ბ]: 22).

მეორე კატეგორიაში მოქცეული ***დაცული მამული (Заповедное имение)*** აქ ნიშნავს საერთო-საგვარეულო მამულის იმ ნაწილს, რომელიც საშვილიშვილოდ გადაეცემოდა უფროს შვილს და რომელზედაც, კანონის მიხედვით, არ ვრცელდებოდა მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებული გავრცელებული ფორმები: ანდერძით სხვაზე გადაცემა, გასხვისება... („Заповедный: აღკრძალული...“ – ჩუბინაშვილი 1971: 343).

[6] (გვ. 104) **„ნებისმიერ კეთილგანმზრახველ მემამულეს“** – „კეთილგანმზრახველი“ (დედანში: „...благомыслящий помещик“) აქ ნიშნავს „...მეფის თვალსაზრისზე მდგომს, თვითმპყრობელობის ერთგულს“ (ქეგლ 1958[ბ]: 1124; „Благомыслящий: კეთილგანმზრახი... – ჩუბინაშვილი 1971: 65).

[7] (გვ. 104) **„ისიც საეჭვოა, მისი ანაზდეულად გაუქმება მოხდეს“** – იმ დროს, როცა ეს ტექსტი იწერებოდა, რუსეთის იმპერიაში (მათ შორის, საქართველოშიც) დაწყებული იყო მზადება საგლეხო რეფორმისთვის. ამ ფონზე 1857 წელს გრ. ორბელიანს (როგორც მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარეს) და დიმ. ყიფიანს (როგორც იმავე საბჭოს წევრს) მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისგან დავალებული ჰქონდათ, მოემზადებინათ ნიადაგი საგლეხო რეფორმის გასატარებლად. დიმ. ყიფიანის თქმით, საამისოდ მომზადდა კიდევაც სპეციალური პროექტი, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა

(თვითონ პროექტის რაობა და დაცულობის ადგილი ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ). საკითხის გარშემო დიმ. ყიფიანს თავის „მემუარებში“ უწერია: „[ალ. ბარიატინსკის] სურდა, გლეხთა რეფორმა იმ თავითვე დაეწყო, და სწორედ ეს საქმე ჩააბარა თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, რომელსაც ჩემთან ერთად უნდა დაემუშავებია პროექტი და წარედგინა... ჩვენ წარვუდგინეთ თ-დს ბარიატინსკის ჩვენი მოსაზრებანი 1858 წლის დამდეგს; იმან მოიწონა და იმედი ჰქონდა გაატარებდა, მაგრამ შემდეგში უყურადღებოდ დასტოვეს“ (ყიფიანი 1990: 67-68). ვფიქრობთ, დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი წინ უნდა უსწრებდეს ხსენებულ პროექტს.

[8] (გვ. 105) **„დებულება კავკასიის კომიტეტისა...“** – „კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. აქვე (გვ. 402-403).

[9] (გვ. 106) **„სამიჯნო სკოლაში“** – იგულისხმება „კავკასიის სამიჯნო სკოლა“, რომელიც თბილისში 1846 წლის სექტემბერში დაარსდა, პრაქტიკულად კი მუშაობას 1847 წლის მარტიდან შეუდგა. სასწავლებელი „ამზადებდა მომიჯნეებსა და მიწისმზომელთა თანაშემწეებს. ის გათვალისწინებული იყო 50 კაცისათვის, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობიდან. ღებულობდნენ ყმაწვილებს 12 წლიდან 16 წლის ასაკამდე... მოწაფეები ცხოვრობდნენ პანსიონში, სახელმწიფო ხარჯზე და სწავლის დამთავრების შემდეგ... ვალდებული იყვნენ ემსახურათ კავკასიაში არანაკლებ 10 წლისა“ (თავზიშვილი 1974: 274). 1873 წელს „კავკასიის სამიჯნო სკოლა“ მიწისმზომელთა თბილისის სასწავლებლად გადაკეთდა.

[10] (გვ. 106) **„დედაქალაქების უნივერსიტეტებსა...“** – 1712-1918 წწ. რუსეთის დედაქალაქი იყო სანქტ-პეტერბურგი, თუმცა მოსკოვს შენარჩუნებული ჰქონდა „მეორე დედაქალაქის“ სტატუსი და იმპერატორების კორონაცია მოსკოვში ტარდებოდა.

[11] (გვ. 106) **„ხაზინის ხარჯზე ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტშიც იზრდებიან“** – „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი“ თბილისში 1830 წელს დაფუძნებული „მცირეწლოვან კეთილშობილ ქალწულთა პანსიონის“ ბაზაზე დაარსდა 1840 წელს, პრაქტიკულად კი მუშაობას 1842 წლის სექტემბრიდან შეუდგა. ეს არ ყოფილა „ინსტიტუტი“ თანამედროვე მნიშვნელობით (უმაღლესი განათლების კერა). იგი იყო ე. წ. დახურული ექვსწლიანი სასწავლებელი პანსიონითურთ, რომელშიც ასწავლიდნენ ელემენტარულ საგნებს [საღვთო

სჯული, რუსული და ფრანგული ენები და ლიტერატურა (მსურველთათვის: ქართული და სომხური ენები), არითმეტიკა, ხატვა, მუსიკა, ხელსაქმე და სხვ.]. ისწავლებოდა აგრეთვე არისტოკრატიული და სახელმწიფო მოხელეთა ოჯახებიდან გამოსული გოგონებისათვის აუცილებელი ეტიკეტი და ევროპული მანერები. განკუთვნილი იყო 80 ქალიშვილისთვის, რომელთაგან 60 სწავლობდა ხაზინის, 20 კი საკუთარი ხარჯით. დაიხურა 1918 წელს („ინსტიტუტზე" იხ.: თავზიშვილი 1974: 265-266; ქსე 1975: 389).

[12] (გვ. 108) **„მსგავსად წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეებისა..."** – „წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი" 1846 წელს დააარსა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ" და ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის მეუღლე ელისაბედ ბრანიცკაია-ვორონცოვა, რომელიც 1845-1854 წწ. თავმჯდომარე იყო ხსენებული „საზოგადოებისა", წევრები კი იყვნენ იმდროინდელი ქართველი არისტოკრატიის გამორჩეული წევრები: ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა, მანანა ორბელიანი, ელენე ერისთავი, ნინო ჭილაშვილი-ყიფიანი (დიმ. ყიფიანის მეუღლე) და სხვ. (იხ.: შესაბამისი წლების „Кавказский календарь"; აგრეთვე: გოცაძე 1954: 321; „საქველმოქმედო საზოგადოებამ" 1847 წელს ანალოგიური სასწავლებელი ქუთაისშიც დააფუძნა – თავზიშვილი 1974: 266). „საქველმოქმედო საზოგადოების" მთავარი მიზანი იყო საქართველოში (ზოგადად კავკასიაში) ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობა, ამ საქმის კოორდინაცია და სპეციალურად ქალებისთვის განკუთვნილი სასწავლებლების დაარსება (ქალთა სწავლების ხელშემწყობი საქველმოქმედო საზოგადოება უფრო ადრეც არსებობდა და 1841 წ. 2 აპრილიდან 1844 წ. 14 თებერვლამდე მისი ოფიციალური მდივანი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი დიმ. ყიფიანი იყო – ყიფიანი 29: 90).

რაც შეეხება უშუალოდ „წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელს" (ჰქონდა დახურული ტიპის პანსიონი; მოგვიანებით ქალთა გიმნაზიად გადაკეთდა), იგი ექვსწლიანი იყო (ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, არითმეტიკას, გეოგრაფიას, გალობას, ცეკვას და სხვ.) და, წესდების მიხედვით, გამიზნული იყო „კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების მოსამზადებლად" (თავზიშვილი 1974: 267). ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „წმ. ნინოს სასწავლებლის" დასაარსებლად

დიმ. ყიფიანს „დიდათ უშრომია“, წესდებაც თვითონ შეუდგენია, დასამტკიცებლად მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვისთვის წარუდგენია და სასწავლებლის გახსნაზე სიტყვაც წარმოუთქვამს (ჭიჭინაძე 1892: 24).

[13] (გვ. 109) **„ამიერკავკასიის „პრიკაზიდან“ აღებულ სესხზე...“** – „პრიკაზი" („Закавказский приказ общественного призрения“; „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება“), მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსებული საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება, როგორც ზემოთ ითქვა, იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1848 წ. მაისში დაამტკიცა, ოფიციალურად კი 1849 წ. 1 თებერვალს გაიხსნა. „პრიკაზი“ ითვალისწინებდა თავადაზნაურობის მიერ უძრავი ქონების დაგირავებას, ხოლო აღებული სესხით – მამულების უკეთ მოწყობას. ინიციატივის გაცხადებული მიზანი იყო, თავადაზნაურობას თავი დაეღწია მევახშეების უზომო პროცენტებისა და მიწების მასობრივი გაყიდვისაგან. ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმა „პრიკაზში“ სესხად აღებული ფული გაფლანგა და საბოლოოდ გაჩანაგებული დარჩა („პრიკაზზე“ იხ. გუგუშვილი 1956: 265-307).

[14] (გვ. 110) **„სასესხო მოცულობა 3 მილიონამდე გაიზარდა“** – დედანში: „...ссуды его возвысились до 3-х миллионов“. ეს მონაკვეთი ტექსტის შავ ვარიანტში ასეა: „...обороты его возвысились до 8 миллионов“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №363, ფ. 19).

მუსლიმთა უმაღლესი წოდების უფლებების შესახებ (გვ. 111-127)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №372. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 16 [იქვეა (იმავე ნომრით) ტექსტის შავი, მცირეოდენი რედაქციული სხვაობებით. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. იმავე თარიღითა და ხელრთვით. ფ. 12].

სათაური: Мнение члена совета Кипиани по делу о правах высшего Мусульманского сословия.

თარიღი: 25 აგვისტო, 1861.

ხელმოწერა: Член совета **Кипиани** [საბჭოს წევრი **ყიფიანი**].

დიმ. ყიფიანს ამიერკავკასიის მუსლიმთა უმაღლეს წოდებასთან დაკავშირებულ საკითხებზე წინამდებარე ტექსტის შედგენამდეც უმუშავია. კერძოდ, მას კავკასიის მთავარმართებელ ალ. ნეიდგარტისგან 1844 წლის 8 თებერვალს ოფიციალურად დაევალა მუსლიმთა უმაღლესი ფენის უფლება-მოვალეობების მოსაწესრიგებელ ღონისძიებათა პროექტის შემუშავება (ყიფიანი 29: 92; კიდევ უფრო ადრე, 1843 წ. 17 მარტიდან, დიმ. ყიფიანი საქმეთა მმართველი იყო იმ კომიტეტისა, რომელსაც აღალარების საქმე უნდა მოეწესრიგებინა – ყიფიანი 29: 92).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშივე, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია „მუსლიმთა საკითხთან“ დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტური მასალა:

1. საქ. №110 – დიმ. ყიფიანის მიერ ფრანგული ენიდან თარგმნილი ალ. ბარიატინსკის თხზულება („Перевод с французского сочинения Кн. А. И. Барятинского“), რომელშიც კავკასიის მეფისნაცვალი მსჯელობს ისლამიზმთან დაკავშირებულ საფრთხეზე და მიიჩნევს, რომ ამ საფრთხეების გასანეიტრალებლად საჭიროა ამიერკავკასიის მუსლიმთა უმაღლესი საერო ფენის („аристократия“) ცხოვრების მოწესრიგება, მათთვის პრივილეგიების მინიჭება და ამ გზით რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის მიმართ მათი ნდობისა და ერთგულების მოპოვება. შავი. ავტოგრაფი. დაუთარიღებელი. რუსულ ენაზე. ფ. 10.

2. საქ. №369 – მიხ. პოზენის მოხსენებითი ბარათი რუსეთის სამხედრო მინისტრისადმი აღალარების საჩივრის შესახებ („Записка по жалобам агаларов на постановление, лишившее их пользования доходами и повинностями с жителей деревень в их управлении находившихся“). შავი. თარიღი: V, 1842. ფ. 9; საბუთში მინისტრის გვარი არ არის მითითებული [ამ დროს (1832-1852) რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი იყო ალ. ჩერნიშოვი].

3. საქ. №370 – აღალარების საქმის მომწესრიგებელი კომიტეტის წევრისა და საქმისმწარმოებლის, პოლკოვნიკ ივანე ნატროშვილის, მოხსენებითი ბარათი აღალარების უფლებათა შესახებ. თარიღი: 22.VI, 1842. რუსულ ენაზე. ფ. 38.

4. საქ. №371 – დებულება მემამულეებისა და ყმების ურთიერთობის შესახებ ამიერკავკასიის მუსლიმურ პროვინციებში. თარიღი: 20.IV, 1847. ნაბეჭდი. ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ფ. 14.

5. საქ. №373 – Записка о Бакинских беках [მოხსენება ბაქოელი ბეგების შესახებ]. დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელნაწერი. შავი. უთარიღო. რუსულ ენაზე. ფ. 4.

6. საქ. №374 – Краткий обзор дела о беках и агаларах [ბეგებისა და აღალარების საქმის მოკლე მიმოხილვა]. უმეტესად დიმ. ყიფიანის ხელით ნაწერი. შავი. უთარიღო. რუსულ ენაზე. ფ. 29.

7. საქ. №375 – Первая часть проекта резолуции по бекскому делу [პირველი ნაწილი რეზოლუციის პროექტისა ბეგების საქმის შესახებ]. უცნობი ხელით ნაწერი. უთარიღო. რუსულ ენაზე. ფ. 24.

რაც შეეხება იმას, თუ რა შედეგი გამოიღო მუსლიმთა უმაღლესი წოდების უფლებების შესახებ დიმ. ყიფიანის პოზიციამ, ამ საკითხზე მას თავის „მემუარებში“ უწერია: „საქმის განხილვას საბჭოში თვრამეტი სხდომა მოუნდა. იმათში უკანასკნელზე სმიტენის აზრს შერჩა მხოლოდ ივ. ალ. ბარტოლომეი; დანარჩენი ყველანი უკვე ჩემს მხარეზე იყვნენ... გადაწყვეტილება რომ გამოცხადდა, ბარტოლომეი მომიბრუნდა შემდეგი ტკბილი სიტყვებით:

„მუსლიმანთათვის ასეთი თავის გამოდება ***საკადრისი*** არ არის!“

– უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა და წასვლა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის მუსლიმანთა სასარგებლოდ... არა თუ საკადრისი არ არის, პირდაპირ ***უზნეობაა***!“ (ყიფიანი 1990: 79).

საკითხისა და მის გადაწყვეტაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ. აგრეთვე: ყიფიანი 1930: 61-64; ყიფიანი 1990: 76-80; ჯორჯაძე 1989: 435-438; ხუნდაძე 1936: 115-120; ორჯონიკიძე 1992: 190-193.

[1] (გვ. 111) **„ვორონცოვსა და კავკასიის კომიტეტს შორის“** – „კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. აქვე (გვ. 402-403).

[2] (გვ. 114) **„ომისა და სახელისუფლებო ცვლილებების გამო ... სანამ მმართველობის სათავეში ალექსანდრე ივანეს ძე არ მოვიდა“** – **„ომში“** რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. (ე. წ. „ყირიმის“) ომი იგულისხმება, **„სახელისუფლებო ცვლილებებში“** – ჯერ მიხეილ ვორონცოვის წასვლა მეფისნაცვლის პოსტიდან (ავადმყოფობის გამო დატოვა კავკასია). 1854 წელს ვორონცოვი ნიკოლოზ მურავიოვმა შეცვალა, 1856 წელს კი კავკასიის მეფისნაცვლად და ჯარების მთავარსარდლად ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი დაინიშნა.

[3] (გვ. 116) **„სასწრაფოდ გამოეყვანა შიშისა და გაოგნების მდგომარეობიდან...“** – ახალმა რუსულმა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის მუსლიმთა უმაღლეს ფენას (აღალარები, ბეგები, მელიქები...) ჩამოართვა მიწები, რომლებსაც ისინი 1810-იან წლებამდე სხვადასხვა ფორმით განკარგავდნენ და ეს მიწები ხაზინას გადასცა. დიმ. ყიფიანის ტექსტში საუბარია იმ „შიშსა და გაოგნებაზე“ (და, შესაბამისად, უკმაყოფილებაზეც), აღნიშნულმა მოვლენამ მუსლიმთა უმაღლეს ფენაში რომ გამოიწვია.

[4] (გვ. 126) **„ვორონცოვსა და... ლადინსკის საყვედური კი არ ეკუთვნით, არამედ მთავრობამ სათანადოდ უნდა დააფასოს მათი ღვაწლი“** – ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი (1845-1847), გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ლადინსკი მიხ. ვორონცოვის მმართველობის პირველ წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის მუსლიმთა უმაღლესი ფენის საქმეების მოწესრიგებაში. ამის თაობაზე ა. ჯორჯაძეს უწერია: „ლადინსკი იმ აზრისა იყო – და ვორონცოვიც ეთანხმებოდა ამაში, რომ დაქვეითებულ [ანუ: დაქვემდებარებულ – თ. ჯ.] ქვეყნებში მთავრობა არისტოკრატიაზედ უნდა ეყრდნობოდეს და ამ არისტოკრატიის საშუალებით განაგებდეს ხალხის სვე-ბედს. და იქ, საცა არისტოკრატია წოდებად არ არის ჩამოყალიბებული, საჭიროა... ამგვარ წოდების შექმნა. ეს მოსაზრება ედვა მ. ვორონცოვის პოლიტიკას, როდესაც იგი ჰქმნიდა მუსულმანთა პროვინციებში წოდებრიობას...“ (ჯორჯაძე 1989: 435; იხ. აგრეთვე: ორჯონიკიძე 1992: 190-192).

[5] (გვ. 126) **„უკანასკნელ ომშიც კი, როცა აქაური მუსლიმები ჩვენს მხარდამხარ იბრძოდნენ ერთმორწმუნეების წინააღმდეგ“** – ავტორი აქ, ჩანს, გულისხმობს ე. წ. „ყირიმის ომს“ და, კერძოდ, ბრძოლას ყარსის გარშემო (1855 წ. ივნისი-ნოემბერი), სადაც ამიერკავკასიელმა მუსლიმებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს რუსეთის ჯარს.

ბატონ-ყმობა (გვ. 128-132)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №334. უცნობი ხელით ნაწერი. ქართულ ენაზე. ფ. 5.

ნაბეჭდი:

ა. ჯორჯაძე. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის ხასიათი). „სახალხო გაზეთი“, 20 იანვარი, 1913, №802.

ა. ჯორჯაძე. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მატიანე). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989, გვ. 465-469.

ს. ხუნდაძე. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936, გვ. 134-138.

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 4. 1948, გვ. 110-113.

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 110-113.

Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия, ч. II. Тбилиси: Архивное управление при совете министров Грузинской ССР. 1960, გვ. 537-540.

ი. ასათიანი. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. თბილისი: მეცნიერება. 1994, გვ. 20-24.

სათაური: ბატონ-ყმობა.

თარიღი: 30 აპრილი, 1862 წ.

გარდა აქ წარმოდგენილი ტექსტისა, რომელიც ხელმოუწერელია, აწერია ***„პირი“*** და ყველა მონაცემით ტექსტის საბოლოო ვარიანტია, საქმეში კიდევ ორი ხელნაწერი დევს:

ა) ქართულ ენაზე. შავი. კოტე ყიფიანის ხელით ნაწერი. დაუსათაურებელი. ხელმოუწერელი. დათარიღებული 1862 წლის 30 მარტით, თუმცა თარიღი გადახაზულია და 1862 წლის 30 აპრილითაა შეცვლილი. ფ. 2 (სწორედ ეს ხელნაწერი აქვთ გამოქვეყნებული შ. ჩხეტიასა და ი. ასათიანს).

ბ) რუსულ ენაზე (მცირეოდენ შემოკლებული. შავი. დაწყებულია უცნობი ხელით, თუმცა უმეტესი ნაწილი დიმ. ყიფიანის ავტოგრაფია. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი. ფ. 2); პირველ გვერდზე დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერია: „К отв. 4 янв. 1862. Князю Сол. Ив. Андроникову“ („პასუხ. 4 იანვ. 1862. თავად სოლ. ივ. ანდრონიკოვს“).

კოტე ყიფიანის ხელით ნაწერ ტექსტს ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი საბოლოო ვარიანტისგან განასხვავებს მცირეოდენი, არაარსებითი ხასიათის სწორებები, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, დიმ. ყიფიანს უნდა ეკუთვნოდეს; ამასთანავე, ტექსტს წინ უძღვის შესავალი მონაკვეთი, რომელიც გადახაზულია:

„საზოგადო ჩვენი სურვილი არის: ყმებს თავისუფლება მიეცეს, ჩვენ სამაგიერო ფული მოგვეცეს და ადგილ-მამული ჩვენ დაგვრჩეს.

ეს სურვილი რომ შეწყნარებით მოვასმენინოთ, განვამართლებინოთ და აღსრულება განვაადვილებინოთ, მგონია, ასე გვიჯობდეს ლაპარაკი“.

შემოკლებულად და ჩვენეული დასათაურებით („საზოგადო ვალი ერთის ოჯახის შვილებისა“) ჩვენ ადრე რამდენჯერმე გავიმეორეთ შ. ჩხეტიასეული პუბლიკაცია (ყიფიანი 1995: 61-64; ყიფიანი 2003: 264-268). იქვე მივუთითეთ, რომ ესაა **„სიტყვა წარმოთქმული თავადაზნაურობის ყრილობაზე საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით“** (ყიფიანი 1995: 61; ყიფიანი 2003: 264). ეს რომ მართლაც შეიძლებოდა საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა ყოფილიყო, შემდეგმა გარემოებამ გვაფიქრებინა:

დიმ. ყიფიანის მიერ წინამდებარე ტექსტში აღძრულ საკითხებზე 1862 წ. აპრილში იმსჯელა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საგანგებო ყრილობამ და 30 აპრილს შეიმუშავა საგლეხო რეფორმის პრინციპები, რომლებსაც საფუძვლად დიმ. ყიფიანის ტექსტში ჩამოყალიბებული მიდგომა უდევს:

„საზოგადოთ მებატონეთ კრებამ ბატონყმობის საქმის დასაბოლოებლად განაწესა საფუძვლად შემდგომნი მუხლნი:

1. ჩვენს ყმებს თავისუფლება მიეცეთ; ჩვენ სამაგიეროდ ფული მოგვეცეს.

2. რაც ახლა ჩვენს მამულზედ სახლ-კარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილ-მამული უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა, თუ საბალახეს, თუ წყალს ჰხმარობენ, ყოველსავე ამას მათვე მივაჩემებთ მხოლოდ პირობითა ამით, რომ მიწის შემოსავალი გვეძლეოდეს და ბეგარას ასრულებდენ ქვეყნის ჩვეულებისამებრ.

3. ეს ჩვეულება შეუშლელად დარჩეს ჩვენსა და მათს შორის დროდმდე; რა რომ ეს დრო გავა, მაშინ შემდგომისათვის ჩვენ ერთმანეთს მოურიგდეთ. ჩვენ როგორც პატრონნი მიწისა და ისინი როგორც თავისუფალნი კაცნი, თუ დათანხმება არ მოხდა, სრული ნება აქვთ მაშინ გადასახლებისა და ჩვენც მათი დათხოვნისა“ (ჩხეტია 1950: 114; იხ. აგრეთვე: ყიფიანი 1990: 106**).**

ანალოგიური ვარაუდი აქვს გამოთქმული ს. ხუნდაძესაც: „ჩვენ ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს დიმ. ყიფიანის სიტყვა წარმოთქმული [1862 წ.] 30 აპრილის სხდომაზე. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ დ. ყიფიანი ერთ ადგილას ამბობს: „ბატონმა იოანემაც (ალბად ივ. მუხრანსკიმ – ს. ხ.) წარმოსთქვაო“ (ხუნდაძე 1936: 134).

ასეა თუ ისე, საკითხი ისევ ვარაუდების სფეროში რჩება და, სანამ დოკუმენტურად არ დადასტურდება, ძნელია დარწმუნებით მტკიცება – არის თუ არა ეს ტექსტი ხსენებულ ყრილობაზე (ან სადმე სხვაგან) ***წარმოთქმული სიტყვა***. ამიტომაც შეგვაქვს იგი ამ ტომში და არა წინამდებარე ათტომეულის შესაბამის განყოფილებაში – ***„საჯარო სიტყვები“***.

[1] (გვ. 128) **„აღსასრულებელად უმაღლესის ნებისა ხელვჰყოფთ ახლა ამ ჩვენს მკვიდრს მოწყობილებასა შესაშლელად“** – იგულისხმება 1861 წლის მარტის დასაწყისში ცენტრალური ხე-

ლისუფლების მიერ კავკასიის ადმინისტრაციისთვის, კერძოდ, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისთვის, მიცემული ოფიციალური დავალება აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმის მოსამზადებლად მუშაობის დაწყების შესახებ (იხ. ჩხეტია 1950: 3).

[2] (გვ. 129) **„ბატონმა ივანემაც წარმოსთქვა...“** – აქ უნდა იგულისხმებოდეს გენერალ-ლეიტენანტი **ივანე მუხრანბატონი** (ბაგრატიონ-მუხრანსკი). იგი წევრი იყო ხელისუფლების მიერ თბილისში დაარსებული ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც რეფორმის მომზადებისათვის საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია და ამ კომიტეტში მოგვიანებით დიმ. ყიფიანიც იქნა შეყვანილი (ჩხეტია 1950: 3).

ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ (გვ. 133-192)

ხელნაწერი:

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 221. აღწ. I. საქმე №12. ფ. 12-104. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე [ორ სვეტად მოცემულია ქართული (მარცხნივ) და რუსული (მარჯვნივ) პარალელური ტექსტები].

ნაბეჭდი:

ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 4. 1948, გვ. 102-269.

ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 102-269.

Сельское хозяйство и аграрные отношения. т. 2 (Отмена крепостного права). Составил П. В. Гугушвили. Тбилиси: Издательство ТГУ. 1950, гв. 28-117.

Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия, ч. II. Тбилиси: Архивное управление при совете министров Грузинской ССР. 1960, გვ. 591-626. [რუსულ ენაზე].

სათაური:

ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ [რუსული ტექსტის სათაური: Доклад дворянству Тифлисской губернии об улучшении быта помещичьих крестьян].

ხელმოწერა:

Действительный Статский Советник **Д. Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი**]. ორივე სვეტს ერთი ხელმოწერა აქვს.

ტექსტს თარიღი არ უზის. შ. ჩხეტიას თავისი პუბლიკაციის დასაწყისში იგი დათარიღებული აქვს 1863 წლის აპრილით (ჩხეტია 1950: 182), თუმცა ტექსტისთვის დართულ შენიშვნაში პუბლიკატორს საკითხის გარშემო თვითონვე შეაქვს ბუნდოვანება: „დაწერილია არა უგვიანეს 1863 წლის 27 აპრილისა, როდესაც ეს საბუთი პირველად განხილულ და ხელმოწერილ იქნა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა შეკრებაზე, ხოლო საბოლაოდ საბუთი ამ სახით გაფორმებულია 1863 წ. 7 ივნისს, როდესაც ის უკანასკნელად განხილულ და ხელმოწერილ იქნა გორის მაზრის თავადაზნაურთა შეკრებაზე“ (ჩხეტია 1950: 269; იქვეა მასალა სიღნაღის, თელავის, გორის, თბილისის მაზრებში ჩატარებული „შეკრებილებების“ შესახებ იქაური თავადაზნაურობის თანხმობის დამადასტურებელი ხელმოწერებით – ჩხეტია 1950: 280-290). უნდა ითქვას, რომ გვიანდელი განხილვების შედეგები გვიანდელ ტექსტებშია ასახული და, ჩვენი დაკვირვებით, ამ მხრივ ცვლილებები დიმ. ყიფიანის წინამდებარე მოხსენებას არ შეხებია. ამასთანავე, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, 1863 წლის 30 მარტით დათარიღებული ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, მარტის ბოლოს დიმ. ყიფიანს უკვე დასრულებული ჰქონია „მასზე დაკისრებული შრომა“ (გუგუშვილი 1950: 117), თუმცა ჩვენ არ ვიცით, ეს დასრულებული „შრომა“ რა სახით იყო ტექსტუალურად „გაფორმებული“.

ასე რომ, ვფიქრობთ, გაზიარებულ უნდა იქნეს შ. ჩხეტიასეული თავდაპირველი მოსაზრება და წინამდებარე ტექსტი **1863 წლის აპრილით უნდა დათარიღდეს**.

ვინაიდან შ. ჩხეტიასა და პ. გუგუშვილს თავიანთ პუბლიკაციებში შეტანილი აქვთ ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ცვლილებები, აგრეთვე, გვხვდება რამდენიმე ლაფსუს კალამი, რომელთაგან ზოგიერთი ცვლის მონაკვეთის შინაარსს, აქ **ტექსტი უშუალოდ ხელნაწერიდან გადმოგვაქვს**.

გარდა ძირითადი (საბოლოო) ტექსტისა, ხელთა გვაქვს მოხსენების 2 ვარიანტი:

ა) **Доклад дворянству Тифлисской губернии об улучшении быта помещичьих крестьян**. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №339. შავი. ავტოგრაფი. დიმ. ყიფიანის მიერვე ნასწორები და ხელმოწერილი (Д. С. С. Кипиани). რუსულ ენაზე. დაუთარიღებელი. ფ. 74. ძირითადი ტექსტისგან არსებითი ხასიათის შინაარსობრივი განსხვავებები აქ არ არის.

ბ) **ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ შეკრებილებისადმი მოხსენება დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის დიმიტრი ყიფიანისა ბატონყმობის საქმეზედ.** ქლსმ. №14751-ხ. ფ. 22. უცნობი ხელით ნაწერი. ქართულ ენაზე. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი. მცირეოდენი შემოკლებებით. ბოლონაკლული [ტექსტი წყდება თავის – „აი რამდენს სხვა და სხვა მიზეზებს ამბობენ“ (ქლსმ ვარიანტში – „რა და რა მიზეზი მოჰყავთ“) ბოლო მონაკვეთზე]. როგორც ჩანს, ეს არის ტექსტის თავდაპირველი ვარიანტი, რადგანაც ერთგან (ფ. 22), იქ, სადავ ავტორი იმოწმებს „ვახტანგის სამართლის“ მუხლებს, გვერდით (აშიაზე) იმავე ხელით მიწერილია: „231 სლა, 232 სლბ, 234 სლდ, 248 სმწ, 250 სნ, 260 სᲂ – ესენი აკლია“. ძირითად ტექსტში ეს მუხლები (გარდა მუხლისა – 250 სნ) შეტანილია. ერთგან (თავი – „ფეოდალიზმი“. ფ. 24) სქოლიოში ჩატანილია განმარტებები, რომლებიც არ არის ძირითად (საბოლოო) ტექსტში. ჩვენ ამ განმარტებებს სათანადო ადგილას (აქვე, კომენტარებში) ვიმოწმებთ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №336. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი. ფ. 1) დაცულია დიმ. ყიფიანის მიერ თეზისებად ჩამოწერილი მოსაზრებები. ამ ჩანაწერში ასახულია წინამდებარე მოხსენებაში ჩამოყალიბებული ძირითადი პოზიციები და სულისკვეთება და, უნდა ვიფიქროთ, იგი ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე ან პირველ ხანებში (1862 წელს) იქნება დაწერილი:

„ასე დავსწეროთ:

1. რა რომ ფული მოგვეცემა, იმ დღითგანვე განვათავისუფლებთ ყმობისაგან და ყოველს ყმურის ვალდებულებისაგან ჩვენს ყმებსა.
2. ამას გარდა, რაც ახლა სახლკარობა აქვთ, არ მოუშლით და რაც ჩვენი ადგილ-მამულები უჭირავთ, იმასაც მივაჩემებთ.
3. რასაც ჩვენს ტყესა, საძოვარსა და წყალსა ჰხმარობენ, ისიც იხმარონ.
4. ამ ორის საგნისათვის ის სარგებლობა გვაძლიონ, რაც ქვეყნის ჩვეულებით გვერგება ყოველის თავისუფალის კაცისაგან.
5. ეს ჩვეულება დაჰშთეს ჩვენგან შეუშლელად, თუ არ ერთმანერთთან დათანხმებითა, ვადამდის და რა რომ ვადა გათავდება, მაშინ ერთმანეთს მოურიგდებით“.

[1] (გვ. 134) **„...მოისმინა მაშინ სამოქალაქო გუბერნატორისაგან“** – იგულისხმება **კონსტანტინე ორლოვსკი**, რომელიც 1860-1876 წწ. (გარდაცვალებამდე) თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი იყო.

[2] (გვ. 135) **„უმაღლესისა ამის ნებისა აღსასრულებლად ... ღენერალ-ფელდმარშალმა საჭიროდ ჰპოვა“** – „ღენერალ-ფელდმარშალში“ იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1856-1862) **ალექსანდრე ბარიატინსკი**.

[3] (გვ. 135) **„უეზდებში გახსნილ იყო უეზდის კომიტეტები და ტფილისში საშუაგულო (ცენტრალნი) კომიტეტი“** – მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი 1861 წლის 29 მარტს სწერს ა. კრუზენშტერნს: „საჭიროდ მიმაჩნია ა[მიერ]-კავკასიის ყველა მაზრაში, სადაც კი ბატონყმობა არსებობს, შეიქმნას სამაზრო კომიტეტები,

ხოლო თბილისში – ცენტრალური კომიტეტი. სამაზრო კომიტეტების თავმჯდომარეებად იქნებიან ადგილობრივი (ე. ი. სათანადო მაზრის) თავადაზნაურთა წინამძღოლები, წევრებათ კი იმავე თავადაზნაურთა მიერ არჩეული დეპუტატები; ხოლო ცენტრალური კომიტეტი უნდა შესდგეს თქვენი თავმჯდომარეობითა და შემდეგი პირების მონაწილეობით: ტაინი სოვეტნიკი ფადეევი, გენ.-ლეიტენანტი ბაგრატიონ-მუხრანსკი, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი ორლოვსკი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთი წინამძღოლი ორბელიანი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სტარიცკი და ა-კავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზის მმართველი ბოგდანოვ-კალინსკი; საქმეთა მმართველის თანამდებობის შესრულებას ცენტრალურ კომიტეტში ვავალებ სტატსკი სოვეტნიკ თუმანოვს“ (ჩხეტია 1950: 3). შ. ჩხეტიას მიხედვით, „ეს შემადგენლობა შემდეგ შეიცვალა. უკანასკნელად ცენტრალურ კომიტეტში შედიოდნენ: ბარონი ა. ნიკოლაი (თავმჯდომარე), ივანე მუხრან-ბატონი, დიმიტრი ყიფიანი, რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი მუხრან-ბატონი, ანდრია ფადეევი, იაგორ სტარიცკი, იული ვიტე, დავით ჭავჭავაძე, კონსტანტინე ბოგდანოვ-კალინსკი, კონსტანტინე ორლოვსკი, ნიკოლოზ ბარანოვსკი და მიხეილ თუმანიშვილი. ეს უკანასკნელი ითვლებოდა კომიტეტის საქმეთა მმართველად“ (ჩხეტია 1950: 3-4).

[4] (გვ. 136) **„წერილობითაც ვჰკითხავდი უფალს მარშლებს“** – თბილისის გუბერნიის ცალკეული მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლები („მარშლები“) ამ დროს იყვნენ: თბილისისა – **ზაალ (ტატო) დავითის ძე ბარათაშვილი**; გორისა – **ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი**; თელავისა – **გრიგოლ რევაზის ძე მაყაშვილი** (ასრულებდა წინამძღოლის მოვალეობას; ამ თანამდებობაზე პირველად აირჩიეს მოგვიანებით, 1864 წლის თებერვალში); სიღნაღისა – **სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი**.

[5] (გვ. 136) **„მოვახსენე უფალს ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელს“** – აქ და ქვემოთ („ნამესტნიკის-მაგიერი“, „ნამესტნიკის მოადგილე“) იგულისხმება **გრიგოლ ორბელიანი**, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის („ნამესტნიკის“) საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა 1859 წლის 9 თებერვალს (ცაიშვილი 1947: 353). ალ. ბარიატინსკის კავკასიაში არყოფნისას გრ. ორბელიანი მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა.

[6] (გვ. 138) **„ყოველივე ესე ვაცნობე უფალს გუბერნიის მარშალს“** – იგულისხმება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1858-1864 წწ. **ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი** (1864 წლის თებერვალში იგი ამ თანამდებობაზე დიმ. ყიფიანმა შეცვალა).

[7] (გვ. 141) **„მაისის 23 რისხვა მომადგა მაშინდელის მთავრობისა ერთის სხვა საქმისათვის...“** – სამეგრელოს სამთავრო სახლის ინტერესთა დაცვის გამო ალ. ბარიატინსკის ინიციატივითა და იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით დიმ. ყიფიანი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან და საერთოდ სახელმწიფო სამსახურიდან 1862 წლის 21 ივნისს დაითხოვეს [საკითხის გარშემო იხ.: ყიფიანი 1990: 70-75; ჯორჯაძე 1989: 443-453; ბოროზდინი 2007: 52-68; ფურცელაძე 2007: 76-77; დოკუმენტური მასალა იხ.: ყიფიანი 29: 108; ჩხეტია 1950: 120-122; იქვეა (ჩხეტია 1950: 296-297) დიმ. ყიფიანის ბარათი გენერალ პეტრე ლადინსკისადმი, რომელშიც ბარათის ავტორი ადრესატს სწერს – სამსახურიდან დამითხოვესო და, სხვათა შორის, ამასაც აღნიშნავს: „მე გადადგომაზე არც მიფიქრია, დამითხოვეს ჩემი სურვილის გარეშე; უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გამაძევეს სამსახურიდან“. იმავე წერილში დიმ. ყიფიანი ამბობს: „ბარ[იატინსკის] გულისწყრომამ სამსახური კი დამაკარგვინა და მისი რამდენიმე დამქაშიც აღძრა ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ამან საზოგადოების თვალში ჩემი სახელი იმ სიმაღლეზე აზიდა, რომელზედაც მე ვერც ვიოცნებებდი. ადამიანი მაშინაა უბედური, როდესაც საზოგადოების პატივისცემას კარგავს, მე კი ამ ამბით პატივისცემა შევიძინე. რაც შეეხება ცხოვრების სახსარს – ჩვენი ქვეყანა ინგლისი არაა; აქ შიმშილით არავინ კვდება!“].

რაც შეეხება დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენებ ***„23 მაისს“***, აქ მას მხედველობაში აქვს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, ა. კრუზენშტერნის, 1862 წლის 23 მაისის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომლითაც წერილის ავტორი ადრესატს ატყობინებს – 26 აპრილს მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისგან (მეფისნაცვალი ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მის მოვალეობას კი გრ. ორბელიანი ასრულებდა) ასეთი შინაარსის წერილი მივიღე – გაკვირვებული ვარ იმით, რომ ჩემი ბრძანება ყიფიანის [გადაყენების] შესახებ აქამდე არ შესრულებულა; გადაეცით თავად ორბელიანს, რომ ყიფიანის ნაცვლად საბჭოში დაუყოვნებლივ შეიყვანოს სტა-

რიცკი (ჩხეტია 1950: 120). ხსნებული 26 აპრილის წერილი ალ. ბარიატინსკისა გამოქვეყნებული აქვს ა. ზისერმანს: „ვერ დაგიმალავთ ჩემს მცირეოდენ გაკვირვებას იმის გამო, რომ ჩემი ბრძანება ყიფიანის შესახებ აქამდე არ შესრულებულა. გთხოვთ აცნობოთ თავად ორბელიანს, რომ მის ადგილზე საბჭოში დაუყოვნებლივ დანიშნოს სტარიცკი. ყიფიანს შეუძლია ეძებოს სამსახური სადაც მოისურვებს, მაგრამ სანამ მე კავკასიაში ვარ, იგი იქ სამსახურს ვერ იშოვის“ (ზისერმანი 1891: 61). უფრო ადრე, 1861 წლის 10 აგვისტოს, ალ. ბარიატინსკი ბერლინიდან თბილისში სწერს ა. კრუზენშტერნს: „ყიფიანი ვერ დარჩება საბჭოს წევრად. შესთავაზეთ მას ჩემი სახელით, სამსახური კავკასიის გარეთ შეარჩიოს“ (ზისერმანი 1891: 58). სხვათა შორის, ხელისუფლების ნების წინააღმდეგ და ეკატერინე დადიანის (ზოგადად სამეგრელოს სამთავრო სახლის) სასარგებლოდ დიმ. ყიფიანის მოქმედების მოტივაციისა და შედეგების შესახებ ა. ზისერმანს იქვე უწერია:

„მთავრის მეუღლე დადიანს მოუწია, დაეტოვებინა თავისი საზაფხულო რეზიდენცია გორდი და პეტერბურგში გამგზავრებულიყო. ზრუნვა თავის კერძო ინტერესებზე მან მეფისნაცვლის საბჭოს წევრს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ ყიფიანს გადააბარა. ყიფიანი კი, შესაძლოა, გადაჭარბებული გულმოდგინების, შესაძლოა, დამოუკიდებლობის განყენებული იდეის გამო, ოპოზიციაში ჩაუდგა მეფისნაცვლის განკარგულებებსა და [ქუთაისის გუბერნიის] ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც ბრძოლა გამოუცხადა. ამასობაში გართულებული ავადმყოფობის მიზეზით ფელდმარშლის საზღვარგარეთ ყოფნაც გაგრძელდა და ამან გააჩინა ეჭვი, საერთოდ დაბრუნდებოდა თუ არა იგი კავკასიაში. ისარგებლეს რა ამით, სცადეს სამეგრელოს საქმეები სულ სხვაგვარად გადაეწყვიტათ – პეტერბურგში, კავკასიის კომიტეტში, ყიფიანმა მოასწო ამ საქმეში მონაწილე მთავარი პირებისა და თვით ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვის გადაბირება. საქმე ხელმწიფეს წარუდგინეს და დაამტკიცებინეს კიდევაც ისეთი სახით, რომელიც მთლიანად ცვლიდა მეფისნაცვლის განზრახულებას“ (ზისერმანი 1891: 15)

[8] (გვ. 143) **„რიცხვი ამ საქმეზედ ორას ორმოცთა პირთა მიერ წარმოთქმულის სხვა და სხვა ჰაზრებისა არის 21“** – ეს „ჰაზრები“, ისევე, როგორც ზემოთ ნახსენები „14 კითხვა“ იხ. აქვე, წინამდებარე ტომის „დანართი“ – „შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას

ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ“.

[9] (გვ. 144) **„1801 წლის მანიფესტები“** – იგულისხმება პავლე I-ის მიერ 1800 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი (თბილისში 1801 წლის იანვარში ჩამოტანილი) და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტები, რომლებითაც უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი და აქ რუსეთის უშუალო მმართველობა მყარდებოდა („მანიფესტებისა“ და მათდამი დიმ. ყიფიანის დამოკიდებულების შესახებ იხ.: ყიფიანი 2016[ბ]: 407-409; ყიფიანი 2017[ბ]: 256).

[10] (გვ. 151) **„ცხადის და მტკიცეს კანონებით მიგვიძღოდა ამაზედ სამართალი“** – ქლსმ-ში დაცულ ზემოდასახელებულ ვარიანტში ამ ადგილას დასმულია სქოლიოს ნიშანი, სქოლიოში კი ვკითხულობთ: „ერთი ყმა რომ რამდენისამე ბატონის გასაყოფად დარჩებოდა, იმდენ ნაწილად გაჰკვეთდნენ, რამდენიც ბატონი იქნებოდა და ისე გაინაწილებდნენ. ამ გვარი მაგალითი უფრო ისპანიაში მომხდარა“ (ქლსმ. №14751-ხ. ფ. 24).

[11] (გვ. 151) **„ყოვლის თავისის ბუნებითის თვისებითურთ“** – ქლსმ-ში დაცულ ზემოდასახელებულ ვარიანტში ამ ადგილას დასმულია სქოლიოს ნიშანი, სქოლიოში კი ვკითხულობთ: „ფეოდალური კანონი ამბობდა ევროპაში: „პირი მიწისა, წყალი ზედ მდინარე, ნაორძი• მასზე მცენარე, განძი ქვეშე მდებარე, ჰაერი ზედ დამტრიალე, სხივი მზისა მისი მანათობელი, ყოველივე შეუცვალებელად ეკუთვნის პატრონსაო“ (ქლსმ. №14751-ხ. ფ. 24).

[12] (გვ. 152) საქართველოში ფეოდალიზმის დამკვიდრებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა პოზიტიური და ნეგატიური მხარეების შესახებ დიმ. ყიფიანის შეხედულებები, გარდა წინამდებარე ტომში შესული მასალისა. იხ. აგრეთვე: ყიფიანი 2016[ბ]: 110-134; ყიფიანი 2017[ბ]: 11-21, 222-223.

[13] (გვ. 153) **„დაწვლილებით არის აღრიცხული: ჯერ თვით მმართებლობის მიერ 1841-ში, *ჩვენდა უცნობლად და დაუკითხავად*“** – ავტორს, ჩანს, აქ მხედველობაში აქვს მთავარმმართველო-

---

• **ნაორძი** – ამოზრდილი, აღმოცენებული [**ორძილი, ორძილობა (ორძის):** ზრდა, მოზარდობა მცენარეთა... – ჩუბინაშვილი 1961: 324; **ორძ-:** ამოზრდა – აბულაძე 1973: 334].

თ. ჯ.

ბის საბჭოს 1841 წლის 13 მარტის დებულება, რომლის საფუძველზეც შეგროვდა ცნობები საქართველოში არსებული ბატონყმობის ფორმისა და მებატონეთა და გლეხთა შორის ურთიერთობის წესების შესახებ და „ამან ხალხში ერთობ არაკეთილსასურველი განწყობები შექმნა“ (იხ. წინამდებარე ტომში შესული ტექსტი „ბატონყმობის შესახებ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში“ – გვ. 22-23).

[14] (გვ. 153) **„...მამულის სარგებლობას გარდა, 148 რ. 38$^{1}/_{3}$ კ. ამ ანგარიშში არის ფასიცა მოსამსახურესი“** – ქლსმ-ში დაცულ ზემოთ მითითებულ ვარიანტში რიცხვები განსხვავებულია: „უკიდურესად დაკნინებული ფასი რომ დავსდვათ ყოველს საგანს ყმის სამსახურისა და გარდასახადისას, შეჰსდგება წელიწადში ბატონის შემოსავალი უღარიბესის ყმისაგან 115 მანათი და უმდიდრესისაგან 239 მ. 80 კოპ. აქ ბეჯითის ანგარიშისათვის ერთი საშუალი ზომა უნდა მივიღოთ რამე; მაგალითად, როგორც პრიკაზში დასაგირავებლად 9 ხარისხად არიან ჩვენი ყმები გაყოფილნი, აქაც რომ ამდენადვე ხარისხად დავითვალოთ და 115 რუბლიდამ 239 რუბლამდის ავიდეთ, ერთი ერთმანერთზედ შეკეცით და მერე ცხრათ გაყოფით გამოვა წლიური სარგებლობა ბატონისა ყმისაგან, ესე იგი ყმისაგან, მამულის სარგებლობას გარდა, 177 რუბ. 40 კოპ. ამ ანგარიშში არის ფასიც მოსამსახურესი“ (ქლსმ. №14751-ხ. ფ. 28).

[15] (გვ. 153) **„უფროსი ერთად ადგილ-მამულის თვისებაზედ და რაოდენობაზედ არის დამყარებული“** – „უფროსი ერთად“ აქ ნიშნავს: ***უპირატესად, უმეტესად*** [„**უფრო**, **უფროსად**, **უფროს** – უმეტესად; **უფროსი** – უპირატესი ანუ უდიდესი (ჩუბინაშვილი 1961: 388)].

[16] (გვ. 154) **„პუდი“** – ფუთი (რუს. Пуд).

[17] (გვ. 155) **„...აზნაურებითი“** – აქ: თავისუფალი („**აზნაური:** თავისუფალი“ – ორბელიანი 1965: 45; „**აზნაურება:** თავისუფლება, არავისი მონება“ – ჩუბინაშვილი 1961: 133; „**აზნაური... აზნაურობითი**: თავის უფლობითი“ – ჩუბინაშვილი 1984: 12).

ერთ თავის ადრინდელ თხზულებაში (1853 წ.) „აზნაურის“ („აზნაურულის“, „აზნაურებითის“) შესახებ დიმ. ყიფიანს უწერია: „ეს სიტყვა [აზნაური] ქართველებში ოფიციალურ ენაზე სოციალურ ფენას, აზნაურს, ნიშნავს, ხოლო ქართულ ლიტერატურაში კეთილშობილებას ან, უკეთ ვთქვათ, თავისუფლების კეთილშობი-

ლურ ბუნებას გამოხატავს: თავისუფალი მეცნიერებანი, მშვენიერი ხელოვნებანი აზნაურულად იწოდებიან. ასე, მაგალითად, ენის თეორია (რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკაზე) – შესაძლოა, იმიტომაც, რომ იგი მხოლოდ უმაღლესი განათლების პროგრამაში შედიოდა – იწოდებოდა თავისუფალ ხელოვნებად ანუ აზნაურულ მოძღვრებად“ (ყიფიანი 2016[ბ]: 107).

[18] (გვ. 156) **„სასოფლო მომჭივნეობა“** – დიმ. ყიფიანი სიტყვას „მომჭივნეობა“ აქ და სხვაგან **„მეურნეობის“** მნიშვნელობით ხმარობს (**„სასოფლო მომჭივნეობა“** = სასოფლო/სოფლის მეურნეობა).

[19] (გვ. 164) ზოგადად დიმ. ყიფიანი საქართველოში სოფლის მეურნეობის ევროპეიზაციის მხურვალე მხარდამჭერი იყო და ამ მიმართულებით იგი „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ფარგლებში პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ეწეოდა (იხ. დიმ. ყიფიანის მოხსენება „საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების გზების შესახებ“ – ყიფიანი 2017[ბ]: 22-33, 230-233). რაც შეეხება წინამდებარე მოხსენებას, მის დაწერამდე, ჩანს, დიმ. ყიფიანი გასცნობია ევროპულ გამოცდილებასა და სათანადო ლიტერატურაც დაუმუშავებია (იხ. აქვე, კომენტ. 10, 11). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მისი ჩანაწერი – „ბოკლიდან“ [დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №336. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ხელმოუწერელი. დაუთარიღებელი. ფ. 2; დაწერილი უნდა იყოს 1862 წელს (არაუგვიანეს 1863 წლის აპრილისა), როცა დიმ. ყიფიანი წინამდებარე მოხსენებაზე მუშაობდა]:

„**ბოკლიდან**.

ინგლისსა და შოტლანდიაში რენტა, რომელსაც მიწის მფლობელი მიწით სარგებლობის გამო იხდის, შეადგენს მთლიანი შემოსავლის მაქსიმუმ $^1/_4$-ს; საფრანგეთში – საშუალოდ დაახლოებით $^1/_3$-ს; ინდოეთში რენტის minimum-ი, კანონის მიხედვითაც და ადათითაც, საერთო შემოსავლის $^1/_2$-ია. – გვ. 56.

„ჩვენ თვითონ ავშლით ხოლმე მტვერს და მერე ჩივილს ვიწყებთ – თვალებს გვიბრმავებსო“ (ბერკლის ნაშრომიდან. ტ. I. გვ. 74) – [გვ.] 123.

გამოცდილებამ, სიბრძნის ამ საფუძველთა საფუძველმა, სავსებით დაადასტურა, რომ რეფორმის ის პოლიტიკა, რომელსაც ჰერცოგი ველინგტონი მთელი სიცოცხლის გან-

მავლობაში ეწინააღმდეგებოდა, იყო არა მარტო პრაქტიკული და სასარგებლო, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელიც; – დადასტურდა ისიც, რომ ხალხის სურვილის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომელსაც – ვენის კონგრესიდან მოკიდებული – მისდევდა ყველა სახელმწიფო, გარდა ინგლისისა. შედეგი ამგვარი პოლიტიკისა გამოვლინდა სახალხო ვნებათაღელვათა საშინელ აფეთქებებში, რომლებიც გადაიზარდა მძვინვარებაში – დაამხო ამაყად მდგარი ტახტები, გაანადგურა სამეფო ოჯახები, დააქცია წარჩინებული გვარეულობები და გააჩანაგა დიდებული ქალაქები. – გვ. 149.

სახელმწიფო ვერ გაუწევს მფარველობას ვერც ვაჭრობას, ვერც სხვა ინტერესებს და ამით ვერ მიაყენებს ზიანს ვერც წარმოების სხვა სფეროებს, ვერც სხვა ინტერესებს; და თუ მფარველობა ყოვლისმომცველია, ამით ყველა ზარალდება. – [გვ.] 157.

La question du servage en Russie [„ბატონყმობის შესახებ რუსეთში“] – ვოლოვსკი (ცნობილი ეკონომისტი), „Revue des deux Mondes“ [„ორი სამყაროს მიმოხილვა“], 1858 წ. ივლისის, აგვისტოსი და სექტემბრისა.

ძირითადი იდეა: გლეხთა პირადი თავისუფლება, – და მიწის საკუთრების უფლების მინიჭება მებატონესთან ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძვლზე.

P. S. რუსეთში გრაფი შუვალოვი, პასკევიჩი, აპრაქსინი – ესენიც ამ აზრისანი არიან“.

[20] (გვ. 166) ავტორის მიერ სქოლიოში ჩატანილი ეს წინადადება დედანში რუსულ ენაზეა.

[21] (გვ. 167) პ. გუგუშვილის პუბლიკაციაში ამ მონაკვეთს დართული აქვს პუბლიკატორის შემდეგი კომენტარი: „იმისათვის, რომ ხიზნების მდგომარეობაში ყმათა გადაყვანის მიზანშეწონილობა დაესაბუთებინა და ხიზნობის მასობრივი ხასიათიც წარმოეჩინა, ამასთანავე, ხიზნობის, როგორც მიწით სარგებლობის სასურველი ფორმა რომ ეჩვენებინა, დ. ყიფიანმა ხიზანთა რიცხვში შეიყვანა: განჯის (ელიზავეტპოლის) მაზრის (ეს მაზრა მაშინ თბილისის გუბერნიაში შედიოდა) სოფლის მოსახლეობა, აგრეთვე, თბილისის მაზრის ის მოსახლეობა, რომელიც აღალარების მიწაზე ცხოვრობდა. ამ საშუალე-

ბით მან ხიზანთა რაოდენობა 14 685 კომლამდე გაზარდა, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი – ხიზნები – რაოდენობრივად მხოლოდ 2 523 კომლით ნაკლებნი იყვნენ, ვიდრე ყმები (ამ უკანასკნელთა რაოდენობამ შეადგინა 17 208 კომლი). სინამდვილეში კი, ოფიციალური ცნობების მიხედვით, ხიზანთა საერთო რაოდენობა თბილისის გუბერნიაში 1861 წლისთვის შეადგენდა 5 989 კომლს: თბილისის მაზრაში – 2 341 კომლი, გორის მაზრაში – 1544 კომლი, თელავის მაზრაში – 749, სიღნაღის მაზრაში – 349, თიანეთის ოლქში – 895 და მთიულეთის ოლქში – 60“ (გუგუშვილი 1950: 694).

[22] (გვ. 179) **„1830-დამ 1850-მდე ვჰშთებოდით თვითქმის ყოველნივე ჩვენს შთამომავლობითს ღირსებაზედ დაუმტკიცებელად...“** – საქმე ეხება 1818 წელს დაწყებულ პროცესს რუსული ხელისუფლების მიერ საქართველოს თავად-აზნაურთა წოდებრივი ღირსების დამტკიცებას შესახებ. ამ საკითხზე დიმ. ყიფიანს თავის „მემუარებში“ უწერია: „საქართველოს თავად-აზნაურთ ავტორიტეტულად განუმარტეს, რომ პეტერბურგში სენატის გეროლდიის წინაშე ვინც ვერ დაამტკიცებდა სადეპუტატო საკრებულოს მეშვეობით თავის თავადობის ან აზნაურობის ღირსების უფლებას, ის მოხარკე წოდებაში იქნება გადარიცხულიო. ეს, მაშინდელი მსოფლმხედველობით, არ შეიძლება საშინელ მუქარად არ მოსჩვენებოდათ და არ მოენდომებინათ მისი თავიდან აცილება, რა საშუალებითაც უნდა ყოფილიყო. და აამუშავეს ყოველი ღონისძიება: თუ თხოვნები, თუ ფული, რაც კი გააჩნდათ, თუ ძველებური ოქრო-ვერცხლის სამკაული ოჯახისა, ოღონდ კი როგორმე მიეღოთ წერილობითი საბუთი; გამოამზევეს გაყვითლებული დოკუმენტები; განვითარდა მათი ფალსიფიკაციის დანაშაულობა“ (ყიფიანი 1990: 44).

ყალბი დოკუმენტების გამოსავლენად 1830 წელს დაარსდა სპეციალური კომისია, ხოლო „1844 წ. გამოვიდა მითითება, რომლითაც სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებაზე დაყრდნობით შემოღებულ იქნებოდა ისეთი წესი, მართლა რომ სპობდა ყალბი სიგელების შედგენას შემდეგში, მაგრამ ს რ უ ლ ი ა დ შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ ხ დ ი დ ა თავადობის ან აზნაურობის ჩამომავლობის დამტკიცებას ისეთ გვარიშვილებისათვისაც კი, როგორიც არიან ერისთავები, ამილახვრები, აბაშიძეები, ანდრონიკაშვილები და მრავალი სხვები“ (ყიფიანი 1990: 44-45).

ეს ხანგრძლივი და ქართველი თავადაზნაურობისათვის მეტად მტკივნეული პროცესი მხოლოდ 1850 წელს დასრულდა. ერთ თავის ადრინდელ ტექსტში დიმ. ყიფიანს ამის შესახებ უწერია: „ეს რთული საქმე – ახალი უმაღლესი ხელისუფლების მიერ ქართველ თავადთა და აზნაურთა წოდებრივი უფლებების გაცნობა-დამტკიცება – 1818 წელს დაიწყო, ხოლო დასრულდა იგი 1850 წელს და დასრულდა ისე, როგორც ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესთა პატივისცემასა და ხელისუფლების ღირსებას ეკადრებოდა. ასე დაგვირგვინდა ეს საქმე საქართველოში: ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში“ (ყიფიანი 2016[ბ]: 135).

[23] (გვ. 180) ხიზანსა და ხიზნობასთან დაკავშირებით წინამდებარე მოხსენებაში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს ავსებს და აზუსტებს დიმ. ყიფიანის მიერ საგლეხო რეფორმის კომიტეტის სხდომაზე 1864 წლის 26 მაისს წარმოთქმული სიტყვა (იხ. ჩხეტია 1950: 316-321; გუგუშვილი 1950: 210-214), რომლის სრული ქართული თარგმანი მოგვიანებით წინამდებარე ათტომეულის შესაბამის განყოფილებაში („საჯარო სიტყვები“) შევა. აქ კი „სიტყვის“ ცალკეულ (არსებითი მნიშვნელობის) მონაკვეთებს დავიმოწმებთ:

„რუსეთში ურთიერთობა მებატონესა და გლეხს შორის გამოიხატებოდა გადასახადის ორი ტიპით: оброк [ღალა] და барщина [ბეგარა].

ჩვენთანაც გადასახადი ორგვარია: პირადი, რომელიც ბატონყმური დამოკიდებულების წესიდან გამომდინარეობს და ნატურალური – გამომდინარე ადგილ-მამულით სარგებლობის წესიდან.

რუსეთში პირადი და ადგილ-მამულით სარგებლობის მხრივ „ობროკი“ და „ბარშჩინა“ იმდენადაა ერთმანეთში შერეული, რომ შეუძლებელი ხდება მათ შორის მიჯნის დადება. „ობროკი“ კი დარჩა „ობროკად“ და „ბარშჩინა“ – „ბარშჩინად“, მაგრამ მათ შორის სხვაობას მხოლოდ ნადელის მოცულობა განსაზღვრავს.

ჩვენთან პირიქითაა – ერთი გადასახადი მკვეთრად განსხვავდება მეორისაგან და, რადგანაც პირადი გადასახადი სავსებით უქმდება, რჩება მხოლოდ ადგილ-მამულის გადასახადი. ვინაიდან ადგილ-მამულის გადასახადის სამი კატეგორიიდან [ღალა, კულუხი, ბეგარა] რჩება მხოლოდ ბეგარა, ანუ შრომის

გადასახადი და ისიც უქმდება, შესაბამისად, პირად გადასახადთან ერთად ადგილ-მამულის გადასახადიც უქმდება.

ასე და ამგვარად, ირკვევა, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში მიღებულ წესს ჩვენთან სულ სხვა ნიადაგი ხვდება და აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია ყოველგვარ „ობროკსა“ თუ ყოველგვარ „ბარშჩინაზე“ – ისინი მხოლოდ პირად გადასახადთანაა დაკავშირებული, ანუ იმასთან, რაც ჩვენთან ისედაც აღმოფხვრილია.

გამოდის, რომ შიდა გუბერნიებში მებატონეები, კაცმა რომ თქვას, არაფერს – ან თითქმის არაფერს – კარგავენ; ჩვენ კი ვკარგავთ უმეტეს ნაწილს იმ შემოსავლისას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში კანონიერად მიიჩნეოდა და ქართველი თავადაზნაურობის მატერიალური არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. უმეტეს ნაწილსო, იმიტომ ვამბობთ, რომ ადგილ-მამულის გადასახადი გაუქმებული პირადი გადასახადის მხოლოდ მეხუთედს შეადგენს.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გვსურს საქმის სამართლიანად გადაწყვეტა, ჩემი აზრით, სამიდან ერთ-ერთ გზას უნდა დავადგეთ:

1. ან: გადავიყვანოთ ყმები ხიზანთა მდგომარეობაში და უცვლელად დავტოვოთ საქართველოში ამ უკანასკნელთა უძველესი დროიდანვე დამკვიდრებული უფლებები. ასეთ შემთხვევაში, პირადი გადასახადის სანაცვლოდ მემამულეებს უნდა მიეცეთ ყოვლადმოწყალე ხელმწიფე იმპერატორის ნებით განსაზღვრული თანხა.

2. ან: კომიტეტის შეხედულებისამებრ, დაწესდეს ნადელი და გადასახადის ოდენობად განისაზღვროს ***მოსავლის ნახევარი*** მიწის მფლობელთა სასარგებლოდ. ხოლო პირადი გადასახადის სანაცვლო ანაზღაურება მოხდეს წინა მუხლის მიხედვით.

3. ან: კომიტეტის შეხედულებისამებრ დაწესებული ნადელიდან მიწის მფლობელს მიეცეს მოსავლის მესამედი; ამასთანავე, შეუნარჩუნდეს უფლება კომლიდან ერთი მოსამსახურის აყვანისა, ან კიდევ – უფლება „ობროკისა“ მოსამსახურის აყვანის სანაცვლად. ფულადი გასამრჯელოს მიცემა კი, რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს იგი, ასეთ შემთხვევაში იქნება გამოხატულება მონარქის მიერ ქართველი თავადაზნაურობის სასარგებლოდ გაღებული განუზომელი წყალობისა“.

ხიზნობის შესახებ დიმ. ყიფიანის გვიანდელი (1883 წ.) თვალსაზრისი იხ. ყიფიანი 2017ᵊ: 106-113, 328-330.

[24] (გვ. 186) **„...აღშფოთებულს განუსვენებელს მდგომარეობაში იყო 1859-მდე“** – ამ წელს (26 აგვისტოს) თავის უკანასკნელ თავშესაფარში, ღუნიბში, შამილი ჩაბარდა მეფისნაცვალ ბარიატინსკის (ეს მოვლენა ვრცლად აქვს აღწერილი ა. ზისერმანს – ზისერმანი 1890: 283-296). ამით „კავკასიის ომის“ აქტიური ფაზა დასრულდა და საქართველოში ჩრდილოკავკასიელთა პერიოდული რბევა-თარეშიც აღიკვეთა (ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა წინააღმდეგობის ცალკეული კერები, ხოლო საბოლოოდ ეს ხანგრძლივი და სისხლიმღვრელი ომი 1864 წელს რუსეთის სრული და უპირობო გამარჯვებით დასრულდა).

[25] (გვ. 186) **„18 სეკტემბრის 1801-ის მანიფესტი რომ გამოგვეცხადა...“** – ჩანს, აქ ლაფსუს კალამია. უნდა იყოს: **„12 სეკტემბრის...“**

[26] (გვ. 186) **„თითქმის არ იპოვება მებატონე, რომ ყმა და მამული დაგირავებული არა ჰქონდეს ან ხაზინაში, ან პრიკაზში“** – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №336. რუსულ ენაზე. ფ. 1) დაცულია საბუთი – „ამონაწერი „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულების“ [„პრიკაზის“] 1863 წლის 21 იანვრის პასუხიდან (№287)“, რომელიც სანდო ცნობებს იძლევა საკითხის შესახებ:

„1. 1863 წლის მონაცემებით დაგირავებულია თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხები – 4 316 კომლი, რომელთაგან მამრობითი სქესისაა 16 863, ხოლო მდედრობითი სქესისა – 12 951. მათი მიწებისა და ბაღების აღწერის საფუძველზე ამ კომლების საბოლოო შეფასებაა 1 968 550 მან.; ხოლო თბილისის გუბერნიის მებატონეთა მიერ დაგირავებული დასახლებული და შემოსავლიანი მამულები 4 880 734 მანეთად არის შეფასებული. 2. ზემოხსენებული მამულების დაგირავების შემდეგ გადასახდელი ვალი 1863 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგენს 1 662 940 მანეთს“.

[27] (გვ. 192) ინიციატივა გლეხთა გათავისუფლების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ საბოლოოდ წარმატებით დასრულდა. იმპერატორ ალექსანდრე II-ის 1864 წლის 13 ოქტომბრის რესკრიპტით თითოეულ გათავისუფლებულ მამრობითი სქესის გლეხზე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას 25 მა-

ნეთი მიეცა, ამისთვის სახელმწიფო ხაზინიდან 2 მილიონი მანეთი გადაიდო, საბოლოო ანგარიშით კი ნაბოძებმა თანხამ 1 840 000 მანეთი შეადგინა [კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ 1865 წლის 26 მარტს დამტკიცებული წესები კომპენსაციის გაცემისა იხ. ჩხეტია 1950: 470-477; ნაბეჭდი ეგზემპლარი („Правила о порядке выдачи помещикам Тифлисской губерний денежного вознаграждения за личные повинности крестьян“) იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №354. 6 გვ.].

დებულების პროეკტი მკვიდრი-ყმობისაგან განთავისუფლებულთა გლეხთათვის საქართველოში ე. ი. ტფილისის გუბერნიაში

(გვ. 193-200)

ხელნაწერი:

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 221. აღწ. I. საქმე №12. ფ. 105-116. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე.

ნაბეჭდი:

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 4. 1948, გვ. 270-280.

შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 270-280.

Сельское хозяйство и аграрные отношения. т. 2 (Отмена крепостного права). Составил П. В. Гугушвили. Тбилиси: Издательство ТГУ. 1950, გვ. 118-129.

სათაური:

დებულების პროეკტი მკვიდრი-ყმობისაგან განთავისუფლებულთა გლეხთათვის საქართველოში ე. ი. ტფილისის გუბერნიაში.

ხელმოწერა:

Действительный Статский Советник **Д. Кипиани** [ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი**].

ხელნაწერში და შ. ჩხეტიას პუბლიკაციებში ტექსტი პარალელურადაა წარმოდგენილი ორ სვეტად – ქართულ და რუსულ ენებზე. რუსული ტექსტის სათაურია: Проект положения об освобожденных из крепостной зависимости крестьянах в Грузии, т. е. в Тифлисской губернии. ხელმოწერა (Деиствительный Статский Советник **Д. Кипиани**) ორივე სვეტისთვის საერთოა.

საბუთი დაუთარიღებელია. შ. ჩხეტიას აზრით, ტექსტი „დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1863 წლის 27 აპრილისა, როდესაც ეს პროექტი, მოხსენებასთან ერთად, პირველად მოსმენილ იქნა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა შეკრებაზე. საბოლოოდ კი დოკუმენტი (თავადაზნაურთა შეკრებებზე გამოტანილი დადგენილებითა და ხელის მოწერით) გაფორმებულია 1863 წლის 7 ივნისს, როდესაც ის უკანასკნელად მოხსენდა გორის მაზრის თავადაზნაურთა შეკრებას“ (ჩხეტია 1950: 290).

დებულების პროექტს დედანში მოსდევს დიმ. ყიფიანის ხელით ნაწერი ცნობები ცალკეულ სამაზრო შეკრებებში (სიღნაღი, თელავი, თბილისი, გორი) პროექტის განხილვის შესახებ (ეს ცნობები ისევე, როგორც **პროექტის წინამდებარე ძირითადი ტექსტი, უშუალოდ ხელნაწერიდან გადმოგვაქვს**). თითოეულ ცნობას ახლავს შეკრებებზე დამსწრე პირთა ხელმოწერები:

ა) „1863 წელსა აპრილის ოც და შვიდსა დღესა. სიღნახის უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებამ მოისმინა და დაწვლილებით განიხილა მოხსენება ესე უფალის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ყიფიანისა და ამ მოხსენების საფუძვლებზედ შედგენილი პროეკტი დებულებისა და განაწესა: ყოველი ამ მოხსენებაში და პროეკტში მოყვანილი საფუძვლები აღგვიარებია დაწერილად თანახმად კეთილშობილთ საზოგადო სურვილისა, მაგრამ დავმატებთ შემდგომსაცა გარემოებასა: რომელნიც თათრები ჩვენს მამულებზედა ჰსცხოვრებენ, იმათი საქმე, უფროსი ერთად საქონლის შენახვა და მოვლა არის და გადასახლების დროს თუ ეს საქონელი სულ იმათ დაჰნებდა, დამარღვეველი წინააღმდეგობა იქმნებოდა ძველებურის ჩვეულებისა, რომლითაც ნახევარი ყოველთვის ადგილის პატრონსა ჰრგებია. ამის გამო შეკრებილება საჭიროდ ჰპოვებს, რომ ჩვეულება ესე შეუშლელად დაცულ-იქმნეს და ეს ჰაზრი დაჰმატდეს §12-ს პროეკტისას, რომელზედაც ყოველმა ამ

შეკრებილების წევრმა ხელი მოვაწეროთ და ორივე აკტი ნამდვილად წარვადგინოთ მთავრობისადმი“ (ფ. 116-117; ხელმოწერები იხ. ჩხეტია 1950: 281-282).

ბ) „ჩყიგ [1863] წელსა აპრილის ოცდაათს დღესა თელავის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოობამ მოისმინა დაწვლილებით მოხსენება ესე და პროეკტი უფლის ყიფიანისა და გამოუცხადებს ამით სრულს თანხმობასა თვისასა“ [ფ. 119; ხელმოწერები იხ. ჩხეტია 1950: 283].

გ) გორის უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებამ მოისმინა 11, 13 15 და 17 მაისს 1863 წელსა, მოხსენება უფლის დიმიტრი ყიფიანისა და შედგენილი მის მიერ დებულების პროეკტი და განაწესა შემდგომი: 1) რადგან შეკრებილება ესე სასარგებლოდ ჰპოვებს ორთავე მხარეთათვის რომ ნაყმევს გარდასახადი ადგილ მამულისათვის ჩვეულებით მოეთხოვებოდეს ნებაყოფლობით მორიგებამდის საჭირო არს, რომ § 8 დებულებისა ისე გარკვევით დაიწეროს, რომ საქმით ეს საზოგადო ჰაზრი აღსრულებაში არ დაბრკოლდებოდეს და უთანხმოება არა გამოდიოდესრა, ამის გამო § ესე დაიწეროს იმ გვარად, რომ რაც ადგილ მამულისათვის გარდასახადი და სამსახური ყმას მმართებია, ანუ ფულადი მახტა, ანუ კოდის პური იგივე ემართოს ჩვეულების შეუშლელად და ნება ყოფლობით მორიგებამდის; 2) რადგან უპირატესობის მიცემა გლეხთათვის ადგილ მამულის შეხსნისა იმ შემთხვევაში როდესაც ტორგით• იყიდება მამული, შესაძლებელია მავნებელ ექმნეს თვით ტორგის მნიშვნელობასა და საგანსა, ამის გამო § 6 მუხლნი ა. ბ. და გ დაწერილ იქმნეს პროეკტში ისე, რომ გლეხებს თუ დარჩათ საზოგადო ტორგის წესით გასასყიდი ადგილ-მამული მაშინ იმ შემთხვევაში ის შემწეობა ეძლეოდეთ, რაც მესამესა და მეოთხეს მუხლში არის მოხსენებული; 3) რადგან სამის წლის განმავლობაში ნაბატონევიცა და ნაყმევიც ერთმანერთში ნებაყოფლობით უნდა მორიგდნენ, – ნებაყოფლობა ესე ორსავე მხარესი არ უნდა შეიწროვდებოდეს არავითარის მაიძულებელის ვადითა, და ახლავე განსაზღვრებელის პირობითა, რადგან იძულება ესე დამარღვეველ ექმნება თვით ნება-

• **ტორგი** (რუს. Торг) — ვაჭრობა. აქ: საჯარო ვაჭრობა.

თ. ჯ.

ყოფლობასა, ამის გამო §§ 11 და 12 ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ არც ვადა განისაზღვრებოდეს მორიგებისათვის და არც პირობა, თუ არ ერთმანერთის დათანხმებითა და 4) გორის უეზდში არიან რამდენნიმე მებატონენი, რომელთაცა ყმათ ჰყავთ ურიანი და სომეხნი. ეს ყმები ვაჭრობას ადგანან და არა ხვნა და თესვასა და სარგებლობაცა მათგან მებატონეებს შეუდარებლად მეტი აკლდებათ; ამის გამო შეკრებილება საჭიროდ ჰპოებს რათა სიღნაღის უეზდში თათრებისათვის დაწესებული პირობა მოძრავის ნახევრის ჩამორთმევისა ნაბატონევის სასარგებლოდ ამ ვაჭრებისა სომეხთა და ურიათათვისცა დაწესებულ იქმნეს როდესაც საბატონო ადგილმამულს დაუტევებენ და გადასახლდებიან და ამას გარდა მართებლობის წინაშე ვშუამდგომლობთ, რომ ამ ყმების სამსახურის სამაგიეროდ სხვა გლეხებისათვის დაწესებულს ზომაზედ ერთი ორად მეტი მიეცეს მათს ნაბატონევებსა; უეზდის მარშალს მიენდობა რათა ბეჯითი რიცხვი საბატონო სომხებისა და ურიებისა დაუყოვნებლივ წარუდგინოს მთავრობასა“ (ფ. 121; ხელმოწერები იხ. ჩხეტია 1950: 285-288].

დ) „1863 წელსა მაისის თვრამეტსა დღესა თფილისის უეზდის მებატონეთ მოისმინეს მოხსენება და პროეკტი უფ. ყიფიანისა და საჭიროდ ჰპოვეს დამატება იგივე, რაც სიღნახისა და გორის უეზდის მებატონეებს დაუმატებიათ“ (ფ. 125; ხელმოწერები იხ. ჩხეტია 1950: 288-289].

ე) „1863 წელსა ივნისის 7 დღესა, ქვემორე ხელის მომწერთა გორის უეზდის მებატონეთა – მოისმინეს მოხსენება ესე და პროეკტი უფალის ყიფიანისა და ეთანხმებიან 11, 13, 15 და 17 მაისის ამავე უეზდის მებატონეთა განცხადებასა“ (ფ. 128; ხელმოწერები იხ. ჩხეტია 1950: 289-290].

ხეც-ში დაცულია ფრაგმენტი ტექსტისა სამაზრო „შეკრებილებების“ თაობაზე – ცნობები თელავისა და გორის სამაზრო ყრილობებზე პროექტის განხილვის შესახებ (ხელმოწერების გარეშე).

ცნობა „გორის უეზდის კეთილშობილთ შეკრებილების“ შესახებ [„11, 13 15 და 17 მაისს 1863 წელსა“] არსებითად იგივეა, რაც ძირითად ტექსტში (მხოლოდ პირველი და მეორე პუნქტებია გადანაცვლებული), ხოლო რაც შეეხება თელავის მაზრის „შეკრებილე-

ბის“ გადაწყვეტილებას, აქ ტექსტი განსხვავებულია; კერძოდ, 30 აპრილის დასკვნისათვის 10 მაისის შეკრების მონაწილეებს რამდენიმე ახალი პირობა დაუმატებიათ (ვიმოწმებთ სრულად):

„1863 წელსა მაისის ათსა. ქვემორე ხელის მომწერნი თელავისა უეზდის მებატონენი ეთანხმებიან წინმოხსენებულს აპრილის 30-ის განწესებასა, მაგრამ საჭიროდ ჰპოვებენ შემდგომსა პროეკტის დამატებასა:

§ 5. შესაცილებელი არ უნდა იყოს ისეთი საკუთრებაცა ნაყმევისა, რომელიც შეძენილი აქვს როგორმე ნაბატონევის მამულის საზღვარს გარეთ.

§ 6. მუხლი ბ. როგორც კერძო პირთ სარგებლობისათვის, ისე უმეტესად ხაზინის სარგებლობის დასაცველად, გუბერნიის პროკურორს დაედვას ვალად, ტორგის დაბოლოება დაუყოვნებლივ ეცნობებოდეს ხოლმე ნაყმევებსა.

– მუხლი ზ. 9 წლის მაგიერად დაწესდეს 2 წელიწადი.

§ 10. და თუ აღმოჩნდა, რომ ნაბატონევი ღალას, კულუხსა ან ბეგარას იმაზედ უმეტესს ითხოვს რაც ჩვეულებით ერგება, მაშინ აღარც ის მიეცემა, რაც ერგებოდა.

§ 11. ერთის ადგილიდამ მეორეზედ გადასახლება პირველის სამის წლის გასვლამდის შეიძლება მაშინ, როდესაც ორივე მხარენი თანხმანი იქნებიან“ [საქ. №336, ავტოგრაფი, შავი, ქართულ ენაზე (თელავის „შეკრებილების“ ნაწილი – ქართული და რუსული პარალელური ტექსტები), ხელმოუწერელი, დაუთარიღებელი, ფ. 2].

ხეცა-ში დაცულია დიმ. ყიფიანის ჩანაწერი, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს „დებულების პროეკტის“ შესახებ:

„1862 წლის 30 აპრილს თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობამ გლეხთა საკითხის გადასაწყვეტად განაწესა შემდეგი საფუძვლები *(ისინი ჩამოყალიბებულია ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მიერ 14 პარაგრაფად):*

1. გლეხებს მიენიჭოთ თავისუფლება – *ამ პუნქტს ეძღვნება §§ 1 და 2*;

   ბეგარის სანაცვლად ვითხოვოთ ფული – *პროექტში ეს შეტანილია § 1-ის შენიშვნაში.*

2. რაც ჩვენს მიწაზე სახლ-კარი, აგრეთვე, მიწები, ტყე, საბალახო და წყალი აქვთ, მათს სარგებლობაშივე დარჩეს, ოღონდ იმ პირობით, რომ გვაძლევდნენ შემოსავალს მიწით სარგებლობისათვის და ეწეოდნენ ბეგარას ქვეყნის ჩვეულების მიხედვით – *ეს პუნქტი გამოხატულია §§-ში 3, 7, 8 და 10.*
3. ეს ჩვეულება ჩვენსა და იმათ შორის ძალაში დარჩება გარკვეულ დრომდე; ვადის გასვლის შემდეგ მივალთ ნებაყოფლობით შეთანხმებამდე: ჩვენ, როგორც მიწის მფლობელები და ისინი, როგორც თავისუფალი ადამიანები – *ეს პუნქტი გამოხატულია §§-ში 11, 12 და 13.*

ამას გარდა, დებულების პროექტი შეიცავს დადგენილებებს, რომლებიც არ არის მითითებული 3 ძირითად პუნქტში:

§ 4. მიწის მფლობელთა ***უფლების*** შესახებ, დაიცვან ყოფილი ყმები სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ საქმეებში.

§ 5. ნაყმევთა ***უფლების*** შესახებ, თავისუფლად განკარგონ თავიანთი უძრავი საკუთრება.

§ 6. მომავალში ნაყმევთათვის უძრავი საკუთრების შეძენის გაადვილება.

§ 9. მიწის მფლობელთა და თავისუფალ მოსახლეთა შორის შეთანხმების მიღწევის საშუალებების შესახებ.

და § 14. შინაყმების შესახებ.

პროექტი განხილულია თავადაზნაურობის სამაზრო შეკრებებზე: 1863 წლის 27 და 30 აპრილს; 11, 13, 15, 17 და 18 მაისსა და 7 ივნისს. ხელმოწერილია ამ შეკრებებზე დამსწრე 536 თავადისა და აზნაურის მიერ (სიღნაღი – 91; თელავი – 73; გორი – 271; თბილისი – 101). –

გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი

გენერალ-ადიუტანტს, თავად [გრიგოლ] ორბელიანს, გენერალ-ლეიტენანტს, თავად [ივანე] მუხრანბატონს, გენერალ-მაიორს, თავად [დავით] ჭავჭავაძეს არც 1862 წლის 30 აპრილის განწესებისთვის, არც დებულების პროექტისთვის ხელი არ მოუწერიათ. ამათგან არც თავად ორბელიანს, არც თავად ჭავჭავაძეს არც 30 აპრილამდე, არც მას მერე არავითარი აზრი არ გამოუთქვამთ.

გენერალ-ლეიტენანტმა, თავადმა [გიორგი რევაზის ძე] ერისთავმა და კიდევ დაახლოებით ერთმა ათეულმა პირმა 30 აპრილის განწესებას ხელი მოაწერეს, მაგრამ მისგან გამომდინარე პროექტისთვის ხელი არ მოუწერიათ. –

ერთი სიტყვით: ყველა იმ თავადიდან და აზნაურიდან, რომლებიც 8 შეკრებას ესწრებოდა, ხელი არ მოაწერა 16-მა, ხელი მოაწერა 536-მა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №346. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 2; ტექსტი დაუთარიღებელია – იგი დაწერილი უნდა იყოს 1863 წ. 7 ივნისის, ანუ „ბოლო შეკრებილების“, შემდეგ ახლო ხანებში).

გარდა ზემოაღნიშნული საბუთებისა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საკითხთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე ტექსტი:

1. „დებულების პროეკტი მკვიდრი ყმობისაგან განთავისუფლებულთა გლეხთათვის საქართველოში, ე. ი. ტფილისის გუბერნიაში“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №340. შავი, ქართულ ენაზე, ნასწორები დიმ. ყიფიანის მიერ, ფ. 9; ახლავს მინაწერი აშიაზე – „6 экземпляров. გასწორებულია 22 მარტს § 10, 12, 14 და 15“).

2. „Проект положения об освобожденных из крепостной зависимости крестьянах в Грузии, т. е. в Тифлисской губернии“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №345. რუსულ ენაზე, ნაწერი უცნობი ხელით და ნასწორები დიმ. ყიფიანის მიერ, ფ. 10; ახლავს დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერი: „Сверен с подлинником 26 мая 1863“ [„შეჯერებულია დედანთან 26 მაისს 1863“]).

დასასრულ, იქვეა დაცული კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, ბარონ ალ. ნიკოლაის, მიმართვა (1865 წ. 13 მაისი; №278) დიმ. ყიფიანისადმი იმის შესახებ, რომ იგი (დიმ. ყიფიანი) ბატონყმობის გაუქმების პროექტში მონაწილეობისათვის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის წარდგინებით იმპერატორის მიერ 1864 წლის 17 აპრილს დაწესებული ოქროს მედლითაა დაჯილდოებული [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №30. რუსულ ენაზე. ფ. 1; იქვეა დიმ. ყიფიანის მინაწერი: „Медаль получил“ („მედალი მივიღე“)].

[1] (გვ. 193) **„შესწავება“** – აქ: შენიშვნა (ტექსტის რუსულ ვარიანტში: Примечание [შენიშვნა] – ჩხეტია 1950: 270); „**შესწავება** – შენიშვნა, შემცნევა“ (ჩუბინაშვილი 1961: 422).

[2] (გვ. 196) **„უპოშლინოდ“** – ბაჟის გარეშე (რუს. Пошлина – ბაჟი).

ს ა ბ ა ნ კ ო - ს ა კ რ ე დ ი ტ ო ს ა ქ მ ე

კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიის წესდების პროექტი (გვ. 203-212)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №266. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 6.

სათაური:

Проект устава Компании на акциях для кредитования недвижимых имуществ в Кавказском и Закавказском крае.

ტექსტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტოგრაფია. იგი ხელმოუწერელი და დაუთარიღებელია. იქვეა (№266) საქმესთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე საბუთი: ა) დიმ. ყიფიანის ხელით დაწერილი თხოვნა მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისადმი თბილისში კერძო სააქციო-საკრედიტო კომპანიის დაარსების შესახებ; ბ) მისივე ავტოგრაფული წერილი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ ვ. ინსარსკისადმი იმავე საკითხის შესახებ; გ) მისივე ავტოგრაფული წერილი კომპანიონ ალ. ონიკაშვილისადმი იმავე საკითხის შესახებ (მათ ქვემოთ დავიმოწმებთ). ყველა ეს ტექსტი დათარიღებულია 1860 წლის 2 ივნისით, ყველგან მითითებულია დაწერის ერთი და იგივე ადგილი (ცარსკოე-სელო), აკინძულია (წინამდებარე პროექტთან ერთად) ერთ რვეულად და არსებითად

წარმოადგენს ერთ საქმეს. შესაბამისად, დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი პროექტი სააქციო-საკრედიტო კომპანიისა ***უნდა დათარიღდეს 1860 წლის 2 ივნისით,*** ხოლო დაწერის ადგილად მიეთითოს ***ცარსკოე-სელო.***

იქვეა დაცული კიდევ ერთი ტექსტი (№267) რუსულ ენაზე, იმავე სათაურით (შავი. დიმ. ყიფიანის მიერ ნასწორები. დაუთარიღებელი. ხელმოუწერელი. ალ. ბარიატინსკის, ვ. ინსარსკისა და ალ. ონიკაშვილისადმი მიწერილი ტექსტების თანდართვით. ერთ რვეულად აკინძული. ფ. 6). როგორც ჩანს, ეს არის თავდაპირველი ვერსია წინამდებარე „პროექტისა“.

დიმ. ყიფიანი, როგორც სამეგრელოს სამთავრო სახლის მეურვე, 1860 წლის აპრილიდან 1861 წლის ზაფხულამდე პეტერბურგსა და ცარსკოე-სელოში, ეკატერინე დადიანსა და მის შვილებთან, იმყოფებოდა (იხ. დიმ. ყიფიანის წერილები მეუღლის, ნინო ყიფიანისადმი – ქლსმ. №№14779-14830-ხ). ერთხანს იქვე იმყოფებოდა ალ. ონიკაშვილი, რომელიც ეკატერინე დადიანის გარემოცვის წევრი იყო [ალ. ონიკაშვილი 1860 წ. ივნისში პეტერბურგიდან თბილისშია წამოსული (იხ. დიმ. ყიფიანის წერილი მეუღლისადმი – ქლსმ. №14786-ხ. ფ. 4), იმავე წლის ნოემბერში კი პეტერბურგშია დაბრუნებული (ქლსმ. №14813. ფ. 2)]. სწორედ პეტერბურგსა და ცარსკოე-სელოში ყოფნისას გაუჩნდა დიმ. ყიფიანს თბილისში კერძო სააქციო-საკრედიტო კომპანიის დაარსების იდეა, თუმცა პრაქტიკულად ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა – თბილისში მას ენთუზიაზმის გარეშე შეხვდნენ (მიზეზების შესახებ იხ. ქვემოთ დამოწმებული ალ. ონიკაშვილის წერილი დიმ. ყიფიანისადმი). გამორიცხული არ არის, იდეის ინიციატორი საქმის წარუმატებლობაში ალ. ონიკაშვილის „დამსახურებასაც“ ხედავდა. 1860 წლის 29 ნოემბერს დიმ. ყიფიანი მეუღლეს სწერს: „ონიკოვი კარგა ხნის ჩამოსულია, მაგრამ არ ვნახულობ. მას ეყო სითამამე, კნეინასთან [ეკატერინე დადიანთან] შეხვედრისას ჩემთან ისე მოსულიყო – ჩამოსვლიდან მეექვსე დღეს! – და ხელიც ისე გამოეწოდებინა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ხელი მეც გავუწოდე, მაგრამ იმედი მაქვს, მეორედ ამას აღარ იზამს. თუ იგი თავის ბრალს არ აღიარებს და ჩემ წინაშე თავს ვერ გაიმართლებს, არც

მისი ნახვა მინდა და არც – მასთან საქმის დაჭერა“ (ქლსმ. №14813-ხ. ფ. 2-3).

საკითხის ისტორიისთვის აქვე სრულად მოგვყავს დიმ. ყიფიანის თხოვნა ალ. ბარიატინსკისადმი, აგრეთვე, მისივე წერილები ვ. ინსარსკისა და ალ. ონიკაშვილისადმი (ყველა – რუსულ ენაზე):

I

ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს

თ ხ ო ვ ნ ა

კერძო და სახელმწიფო საქმეებში ხაზინის ნაირგვაროვან ოპერაციებსა და კერძო პირთა წამოწყებებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენში მატერიალური კეთილდღეობის დამკვიდრებისთვის თქვენ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა წარმატება, მხარის საწარმოო ძალების გამოცოცხლება, პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში წარმატების იმ ხარისხის მიღწევა, რომლისკენაც მთავრობა ისწრაფვის, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების შეუფერხებელი სრულყოფა და წინმსვლელობა შეუძლებელია მანამ, სანამ სახელმწიფოს უმთავრესი კაპიტალი – უძრავი ქონება – და მისი ნამდვილი ღირებულება არ იქნება სათანადოდ დაფასებული და სანამ იგი არ იქნება დაზღვეული ისეთი შემთხვევითობებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ტიპის რყევებსა და შეფერხებებს იწვევს. უძრავ ქონებას, როგორც უმნიშვნელოვანეს კაპიტალს, უნდა მიენიჭოს სიცოცხლისუნარიანობა და წარმოებითი შესაძლებლობები.

ამისათვის გადავწყვიტეთ, თბილისში დავაარსოთ უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანია და დარწმუნებულიც ვართ, ჩვენ მიერ შედგენილი წესდება კომპანიისა პირდაპირ მიგვიყვანს იმ შედეგებამდე, რომლებიც თვითონ მთავრობას სურს და მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრის კი-

დევაც ამ საქმეში დღემდე არსებულ დაბრკოლებებსა და სირთულეებს.

ჩვენს წამოწყებაში არ ვითხოვთ არც გარანტიებს, არც პრივილეგიებს, არც სხვა სახის უპირატესობებს. ჩვენ ამ სასარგებლო საქმეში ვითხოვთ მხოლოდ თანხმობასა და ქომაგობას; ვითხოვთ, ამ სრულიად ახალ საქმეში ვიმოქმედოთ ისე, რომ წესდებაში ჩამოყალიბებულ მნიშვნელოვან მიზანთა განხორციელებისას არ აღმოვჩნდეთ კონკურენციის პირობებში, უკიდურეს შემთხვევაში, პირველი ოცი წლის განმავლობაში მაინც. კონკურენტულ გარემოში ჩვენ ვერ ვხედავთ წარმატების შანსს.

წარმოგიდგენთ კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავ ქონებაზე კრედიტის გამცემი კომპანიის წესდების პროექტს. იგი შედგენილია ჩვენ მიერ და ეყრდნობა ამიერკავკასიის სამოქალაქო კოდექსის 1857 წლის გამოცემას (ტ. 10, ნაწ. II, მუხლი 2191). მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ, მოქმედი წესით მთავრობისაგან ჩვენს სახელზე გამოითხოვოთ ნებართვა, რათა შესაძლებელი გახდეს ხსენებული წამოწყების განხორციელება.

2 ივნისი 1860. ცარსკოე-სელო.

(ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №266. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

II

ბ-ნ ინსარსკის

მოწყალეო ხელმწიფეო,

ვასილ ანტონის ძევ, –

ამ წერილით, თქვენო აღმატებულებავ, გეახლებათ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკოვი. იგი როგორც საკუთარი, ისე ჩემი სახელითა და დამფუძნებლის უფლებით შემოგთავაზებთ ერთ მნიშვნელოვან წამოწყებას, რომელიც ჩვენ

გვაქვს ჩაფიქრებული. – არჩევანი თქვენზე იმიტომ შეჩერდა, რომ გიცნობთ, გენდობით და მჯერა თქვენი უნარიანობისა.

მანამ, სანამ მთავრობის, ჩვენი მხარისა და საკუთრივ ჩვენთვის სასარგებლო წამოწყებაში ჩემი რიგით მესამე, მაგრამ არსებითად სრულუფლებიანი, ამხანაგი გახდებოდეთ, პირადად მოუსმინეთ მეორე თანამონაწილეს, ბ-ნ ონიკოვს, წაიკითხეთ ამ საქმის შესახებ წერილობითი მონათხრობი, რომელსაც იგი წარმოგიდგენთ. თუ დარწმუნდებით, რომ კარგ ადამიანად მიმაჩნიხართ და მხოლოდ ამიტომ გთავაზობთ თანამშრომლობას, მიიღეთ ამ საქმეში მონაწილეობა, ხოლო ბ-ნი ონიკოვი ჩათვალეთ თბილისში ჩემს მონაცვლედ. – იმასაც მოგახსენებთ, რომ ბ-ნ ონიკოვს აქვს ჩემი თანხმობა, დამფუძნებელთა რიგებში მივიღოთ კიდევ ერთი (არაუმეტეს!) წევრი, ხოლო თუ ვინ უნდა იყოს იგი, ამაში თქვენ შეგიძლიათ ერთმანეთში მოილაპარაკოთ და შეთანხმდეთ.

იმედი მაქვს, არ დამტოვებთ პასუხის გარეშე, რომლის მოლოდინშიც, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა და ერთგულება.

თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე

დ. ყიფიანი

2 ივნისი 1860. ც[არსკოე]-სელო.

(ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №266. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

III

ალექსანდრე ონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსანდრე ნიკოლოზის ძევ,

გადმოგცემთ რა ამიერკავკასიისა და კავკასიის მხარეში ჩვენ მიერ დასაარსებლად განზრახული უძრავი ქონების საააქციო-საკრედიტო კომპანიის წესდების პროექტს, შედგენილს ჩემ მიერ, ამასთანავე, მოწყალეო ხელმწიფეო, გთხოვთ

ყურადღებით წაიკითხოთ იგი და, თუ დარწმუნდებით, რომ დაცულია პირადად ჩვენ შორის შეთანხმებული ყველა გარემოება, თბილისში ჩასვლისთანავე თანადამფუძნებლის უფლებით მონაწილეობა შესთავაზეთ კიდევ ორ პირს (არაუმეტეს!), რომელთაგან ერთი მე უკვე დაგისახელეთ, ხოლო მეორის ვინაობაზე ჩემგან დასახელებული პირი და თქვენ ერთმანეთში უნდა შეთანხმდეთ. ამის შემდეგ ერთობლივად მოაწერეთ ხელი თხოვნას და იგი პროექტთან ერთად წარუდგინეთ ბ-ნ კავკასიის მეფისნაცვალს. ამას გარდა, გაძლევთ უფლებას, თხოვნას ჩემ ნაცვლადაც მოაწეროთ ხელი და ეს წერილი, როგორც რწმუნებულების დასტური, თან დაურთოთ წარდგენილ თხოვნას. –

საქმესთან დაკავშირებულ საკითხებში გიცხადებთ ნდობას, ამას გიდასტურებთ წინამდებარე წერილით და თქვენს მომავალ გადაწყვეტილებებს დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

სრული პატივისცემითა და ერთგულებით, მაქვს პატივი, ვიყო თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე

დ. ყიფიანი

2 ივნისი 1860. ცარსკოე-სელო

(ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №266. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

დასასრულ, აქვე შემოკლებით ვიმოწმებთ დიმ. ყიფიანისადმი ალ. ონიკაშვილის წერილს, გაგზავნილს თბილისიდან პეტერბურგში 1860 წლის 22 ივლისს:

„გუშინ წინ ქალები წავასხი კიკეთს და იქიდან გამოვლაზედ მიველ ინსარსკისთან, მიუტანე შენი წიგნიც და პროეკტიც. ხვალ აღუთქვი მისვლა და ვნახოთ რას იტყვის, ეს კი მითხრა, რომ კნიაზს არ უყვარს სამსახურის კაცების გარევა კერძოობითს საქმეშიო და როდესაც ვუთხარ, რომ მანდ [პეტერბურგში – თ. ჯ.] არც ერთი მინისტრი არ არის, რომ პრედსედატელი [თავმჯდომარე] არ იყოს რომელიმე კომპა-

ნიისა, მაშინ თანაწარხდა• და აღმითქვა შაბათს, ესე იგი ხვალ, პასუხის მოცემას. –

ირაკლიმ•• უარი სთქვა, რადგანც იმედი არა აქვს, რომ სასარგებლო იყოს. – ესეც კი უნდა გითხრა, რომ იქ ოხრად და ბნელათ არის და სოფლის მამულებისაც ძალიან ძნელია დაგირავება, რადგანც нелегко представить заверения начальства, что имение предоставить та кому-то [ძნელად წარმოსადგენია უფროსობის დარწმუნება, მამული ვინმეს გადასცენ], უამისოთ არც კომპანიას შაუძლიან მისცეს მოწმობა, და თუ მოწმობის აღება შაეძლება, მაშინ უჩვენოთაც შაუძლიან აღება ზალოგოვის [საგირავნო] მოწმობისა. – Главное препятствие заключается в справках [მთავარი დაბრკოლება ცნობებია]. – ეხლა აქაც კამიტეტია შემდგარი პომეშჩიკების [მემამულეების] მამულებზედ რომ იპოვონ ღონისძიება, რა გვარათ დაფასდეს მამულები და თუ ესეც კამიტეტმა გაუადვილა, მაშინ სრულებით საჭირო აღარ იქნება ჩვენი კომპანია“ [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1559. ფ. 2; წერილს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: 2 Августа; ე. ი. მას ეს წერილი პეტერბურგში 2 აგვისტოს მიუღია).

• **თანაწარხდა** – დათანხმდა (სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას დიმ. ყიფიანი თავის სხვა ტექსტებში; მაგალითად, თბილისის გუბერნიის მაზრათა წინამძღოლებისადმი 1864 წლის 31 აგვისტოს მიმართვაში: „რასაც უეზდის შეკრებილება დააწესებს, მეც სიხარულით თანაწარვხდები“ – ყიფიანი 2017ᵃ: 243).

•• ეს უნდა იყოს **ირაკლი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი**, რომელიც 1850-იან წწ. დეპუტატთა საკრებულოს წევრია (იხ. დიმ. ყიფიანის 1857 წ. 28 ივნისის წერილი ირაკლი მუხრანბატონისადმი დეპუტატთა საკრებულოს მუშაობის შესახებ – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №177).

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის შესახებ (გვ. 213-244)

ხელნაწერი:

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 394. აღწ. 1. საქმე №1772. ფ. 1-36. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. თავნაკლული [აკინძულ საქმეში პირველი ფურცელი აკლია].

სათაური: О банке дворянства Тифлисской губернии.

ხელმოწერა:

Губернский предводитель дворянства **Д. Кипиани** [გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი **დ. ყიფიანი**].

ხელნაწერი დაუთარიღებელია. იგი მოხსენების სახით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე დიმ. ყიფიანმა წაიკითხა 1867 წლის 6 მაისს (დროება 1867[ა]). ამ მონაცემზე დაყრდნობით ტექსტს **ვათარიღებთ 1867 წლის მაისით**. სრულად **იბეჭდება პირველად** (შემოკლებული შინაარსი ვრცელი ციტატების ჩართვით გადმოცემულია წიგნში – ასათიანი 1994: 52-65).

ხელნაწერი ტექსტი სრულდება დიმ. ყიფიანის ხელითვე დაწერილი ბოლო მონაკვეთით (ფ. 33; რუსულ ენაზე):

„საგუბერნიო ყრილობამ ერთხმად გადაწყვიტა:

მოიწონოს წარმოდგენილი გეგმა საზოგადოებრივი ბანკის დაარსების შესახებ; წარმოდგენილი გეგმის საფუძველზე წესდების შესამუშავებლად შეადგინოს საგანგებო კომიტეტი და მას დააკისროს:

განსაკუთრებული საფუძვლიანობით განიხილოს საკითხი – მიღებულ იქნეს თუ არა პრინციპი დაგირავებული მამულის გაუყიდველობის შესახებ, თუ დაგირავებული მამული გაიყიდოს უკიდურეს შემთხვევაში და, კერძოდ, რა უნდა იყოს ეს უკიდურესი შემთხვევა; და მეორე, რა საშუალებით შეუმსუბუქონ ერისთოვების გვარს ძირი კაპიტალის შექმნაში მონაწილეობა; ამასთანავე, წესდება წინამდებარე ოქმთან ერთად წარედგინოს ხელისუფლებას უმაღლესად დასამტკიცებლად;

და, დასასრულ, აღიძრას შუამდგომლობა იმავე ხელისუფლების წინაშე გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის წინადადების განსახორციელებლად საჭირო სპეციალური ნებართვების შესახებ“.

ამ მონაკვეთს მოსდევს ყრილობის მონაწილეთა თანხმობის დამადასტურებელი ხელმოწერები (ფ. 34-36). სია იხსნება მოხსენების ავტორის, დიმ. ყიფიანის, ხელმოწერით. ხელის მომწერთა შორის, გარდა ქართულ თავადაზნაურულ გვარეულობათა წარმომადგენლებისა (ანდრონიკაშვილები, ბარათაშვილები, ერისთავები, ვაჩნაძეები, ვახვახიშვილები, ორბელიანები, ციციშვილები, ჭავჭავაძეები და სხვ.), არიან სომხებიც (ზ. ავთანდილოვი, ი. არწრუნი, გ. ყორღანოვი და სხვ.). სულ 150 ხელმოწერაა [რაოდენობა ხელნაწერშივე დაუთვლია (და დაუნომრავს კიდევაც) უცნობ პირს, თუმცა მას შეცდომა მოსვლია და 149 ხელმოწერა დაუთვლია. სინამდვილეში, როგორც ითქვა, ტექსტს 150 ხელმოწერა ახლავს].

აქვე სრულად ვიმოწმებთ დიმ. ყიფიანის მოხსენების შესახებ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას:

„4 მაისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შეიკრიბა და ფიცი მიიღო. ამას შემდეგ ტფილისის გუბერნატორმა გახსნა შეყრილობა. ამ ჟამათ ვისწრაფით ვაცნობოთ მკითხველებს სასიამოვნო ამბავი კრების უმთავრესს გადაწყვეტილებაზედ. 6 მაისს საღამოზედ შეყრილობა იყო ბანკის თაობაზედ. გუბერნიის მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა წაიკითხა თავისი პროეკტი ბანკის დაფუძნებაზედ. თავად-აზნაურობამ მოისმინა ეს პროეკტი და შემდეგი გადაწყვეტილება დასდვა:

„გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ ერთი ხმით [ანუ: ერთხმად – თ. ჯ.] მოიწონა მისგან მოსმენილი პლანი საზოგადოებითის ბანკის დაფუძნებაზედ. ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა: უნდა ამოირჩიოს განსაკუთრებითი კამიტეტი, რომელმაც უნდა შეადგინოს წესდება და ამ წესდების შედგენაში იმან ხელმძღვანელათ უნდა მიიღოს ის საფუძვლები, რომელნიც პლანში არიან გამოცხადებულნი. კამიტეტმა განსაკუთრებითი ყურადღებით უნდა განიხილოს შემდგომი საგნები: 1) ბანკში დაგირავებული მამული გაუყიდველი უნდა დარჩეს, თუ ის უნდა გაიყიდოს უკიდურესს შემთხვევაში და სა-

ხელდობ, რა რიგ შემთხვევაში? 2) თავად ერისთავების გვარს რა ზომით უნდა შეუმსუბუქდეს მონაწილეობის მიღება ბანკის თავი-კაპიტალის შედგენაში?• წესდება და ეს პროტოკოლი მთავრობას უნდა წარედგინოს უმაღლესის დამტკიცების გამოსათხოვნელათ; ამასთანავე თანხმობა უნდა გამოვითხოვოთ იმ განსაკუთრებით საგნებზედ, რომელნიც გუბერნიის მარშლის წინადადებაში მოხსენებულნი იყვნენ".

ზემოხსენებულის კამიტეტის შესადგენათ კრებამ ამოირჩია შემდეგნი პირნი: გენერალ-ადიუტანტი, გენერალ ოტინ-ფანტერი გრ. ორბელიანი საპატიო პრეზიდენტის წოდებით. იმას ხმა ექნება, გარნა ვალდებული არ იქნება, რომ ყოველთვის კამიტეტში დაესწროს. დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დიმ. ყიფიანი, რომელიც იქნება კამიტეტის თავსმჯდომარე. წევრებათ იქნებიან: გენერალ-ლეიტენანტი ი. ანდრონიკაშვილი, ლ. მელიქიშვილი, მ. ლორის-მელიქოვი და სენატორი, ტაინი სოვეტნიკი გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ესენი შეირიცხებიან საპატიო წევრებათ და კამიტეტში მხოლოდ მაშინ დაესწრებიან, როცა ტფილისში იქნებიან. ნიადაგ წევრებათ, რომელნიც კამიტეტში უნდა იმყოფებოდნენ, თუ სამსახურის მოვალეობამ არ დაუშალა, ამოირჩიეს შემდეგნი პირნი: გენერალ-ლეიტენანტები: გ. ერისთავი, ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რ. ანდრონიკაშვილი, გენერალ-მაიორები: დ. ჭავჭავაძე, ის. თუმანოვი, ვ. ორბელიანი, იერ. არწრუნი, კ. მამაცაშვილი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები: მ. ჭილაშვილი, ზ. ავთანდილოვი, მ. თუმანოვი, იასე ანდრონიკაშვილი, რ. ანდრო-

---

• დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით, თუ რამ წარმოშვა ერისთავების გვარისთვის ამგვარი „შემსუბუქების" აუცილებლობა. არ გამოვრიცხავთ, მიზეზი ის იყოს, რომ ყმათა გათავისუფლების სანაცვლოდ მიღებული ფულიდან, ვასილ მაჩაბლის ცნობით, ერისთავებს მეხუთედი არ დაუთმიათ და, შესაბამისად, ბანკის დასაარსებლად საჭირო თავდაპირველი კაპიტალის შექმნაშიც არ მიუღიათ მონაწილეობა. კერძოდ, ვ. მაჩაბელი წერს: „მთელ ერისთვიანთში მარტო ერთმა ბიძაჩემმა გიორგი ერისთავმა („მამამზედ" წოდებულმა) გაიმეტა თავისი ხვედრი, დანარჩენებმა თავიანთი ფული უბრალოდ მიფლანგ-მოფლანგეს" (მაჩაბელი 1912; მაჩაბელი 2007: 128).

თ. ჯ.

ნიკაშვილი, დიმ. ჯორჯაძე, იოს. მამაცაშვილი, სტატსკი სოვეტნიკები: ნ. ჭავჭავაძე და ვ. გურამიშვილი. უეზდებიდგან ამოირჩიეს შემდეგნი წევრნი: ტფილისის უეზდიდგან: გაბ. სულხანიშვილი და ვ. თულაშვილი; გორის უეზდიდგან: იოს. ციციშვილი და ა. ზუბალოვი; თელავის უეზდიდგან: ილ. ჭავჭავაძე და დიმ. მგალობლიშვილი; სიღნაღის უეზდიდგან: გ. ანდრონიკაშვილი და ზ. ვაჩნაძე. ამას გარდა ყველა უეზდის მარშლები, რადგანც თავის წოდებით კამიტეტის წევრებათ ირიცხებიან, უნდა დაესწრნენ იქ, როცა ტფილისში იქნებიან და ან როცა საჭიროებისაგამო მათ დაიბარებენ“ (დროება 1867[ა]).

ლიტერატურა დიმ. ყიფიანის მოხსენების შესახებ იხ.: ასათიანი 1979: 31-59; ასათიანი 1994: 19-65; თელია 1989: 11-26; შველიძე 1967: 31-34; ლიტერატურა ზოგადად დიმ. ყიფიანის საბანკო შეხედულებათა და პრინციპთა შესახებ იხ.: ჯორჯაძე 1989: 490-506; ხუნდაძე 1936: 152-177; უთურაშვილი 1989: 97-113; პოლემიკა დიმ. ყიფიანსა და ი. ჭავჭავაძეს შორის თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკრედიტო პოლიტიკის გარშემო (ტექსტები) იხ. ყიფიანი 2017[ე]: 102-105, 321-327; ყიფიანი 2017[ვ]: 114-128, 330-336; ჭავჭავაძე 1955: 260-269; ჭავჭავაძე 1956[ბ]: 349-371, 384-418; დიმ. ყიფიანის წინამდებარე მოხსენებასთან, მისი საერთო ხელმძღვანელობით შემუშავებულ წესდებასთან, ზოგადად საბანკო საქმესთან დიმ. ყიფიანის მიმართების შესახებ ლიტერატურა (მათ შორის, მემუარული ტექსტები) იხ. აგრეთვე: საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 252-253, 284-285; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 24-26, 45-47, 68-71, 73-79, 82-84, 91-95, 127-133, 137, 164-169, 336, 345-346, 368, 378, 397; საშვილიშვილო მოკავშირე... 2011: 84-89.

[1] (გვ. 213) **„ჩვენ მიერ გაღებულ მსხვერპლს აგვანაზღაურებინებდა“** – „მსხვერპლში“ აქ იგულისხმება ბატონყმობის გაუქმება და ამ რეფორმით თავადაზნაურობისთვის მიყენებული ზარალი („მსხვერპლის“ რაობასა და შინაარსზე ვრცლად იხ. წინამდებარე ტომში შესული ტექსტები დიმ. ყიფიანისა: „ბატონ-ყმობა“, „ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ“; აგრეთვე, დანართი – „შეკრება ოც და ერთის

ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ“).

[2] (გვ. 214) **„ჩემ მიერ სამსახურებრივი წესით გამოთხოვილი...“** – დიმ. ყიფიანი ამ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) ხელმეორედაა არჩეული [პირველად აირჩიეს 1864 წ. 16 თებერვალს (ყიფიანი 29: 81), მეორედ – 1867 წლის 4 მაისს (დროება 1867[ბ]). ალექსანდრე II-მ ამ თანამდებობაზე დაამტკიცა იმავე წლის 18 ივნისს (დროება 1867[ბ])].

[3] (გვ. 214) **„დროებით ან სამუდამოდ გადაგვედო მეხუთედი იმ თანხისა ... 5 მანეთი თითო სულზე“** – „გლეხების სამსახურის სანაცვლოდ“ ნაბოძები ფულიდან ძირითადად ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისთვის მეხუთედის გადადების წინადადებით დიმ. ყიფიანმა, როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლმა, საზოგადოებას ჯერ კიდევ 1864 წელს ორჯერ (31 აგვისტოსა და 9 ნოემბერს) მიმართა (ყიფიანი 2017[ზ]: 36-38, 240-243).

[4] (გვ. 214) **„საკუთარ თავზე აიღებდა ამჟამინდელი „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულების“ ზოგიერთ ფუნქციას“** – ავტორს მხედველობაში აქვს ე. წ. „პრიკაზი“ („Закавказский приказ общественного призрения“), რომლის შესახებ იხ. აქვე, კომენტარი ტექსტისა „თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ“ (გვ. 412).

[5] (გვ. 215) **„ქუთაისის გუბერნიაშიც გავრცელდა და იქ ... გაცილებით მეტი თანხა შეგროვდა“** – ქუთაისის საკრედიტო ბანკის დაარსების გადაწყვეტილება იმერეთის თავადაზნაურობის ყრილობამ 1866 წლის 6 აპრილს მიიღო [ვრცლად იხ. დროება 1866; პეტერბურგში 1875 წლის ნოემბერში დამტკიცდა (მესხი 1875; მესხი 1963[ა]: 162-163), პრაქტიკულად კი 1876 წლის აპრილში დაარსდა (მესხი 1876; მესხი 1963[ბ]: 200-216). ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შესახებ იხ. შველიძე 1967: 44-235].

[6] (გვ. 215) **„პროექტის შედგენაზე მუშაობა კი შემოთავაზებული საფუძვლების მიღების შემდეგ უნდა დაიწყოს“** – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შესამუშავებლად, როგორც ეს „დროების“ ზემოთ დამოწმებულ პუბლიკაციაშია (დროება 1867[ა]) მითითებული, 1867 წლის 6 მაისს შეიქმნა საგანგებო („განსაკუთრებითი“) კომიტეტი, რომლის თავმჯდომა-

რედ თავადაზნაურობის ყრილობამ დიმ. ყიფიანი აირჩია. კომიტეტმა დიმ. ყიფიანის საერთო ხელმძღვანელობით 1867-1870 წწ. ხუთი თავდაპირველი თუ შესწორებულ-გადაკეთებული წესდება შეადგინა, მაგრამ ხელისუფლებამ არც ერთი არ დაამტკიცა. ამის შემდეგ დიმ. ყიფიანი არსებითად ჩამოშორდა საბანკო საქმეს (ი. ჭავჭავაძის ფაქტობრივი ხელმძღვანელობით 1874 წელს შედგენილი ახალი წესდება, რომლის საფუძველზეც ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო იხ.: დროება 1874; ასათიანი 1979: 133-155; ასათიანი 1994: 357-384; ლიტერატურა დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი წესდების შესახებ იხ. ასათიანი 1994: 66-99; თელია 1989: 26-34; შველიძე 1967: 35-37). აღსანიშნავია, რომ ახალდაარსებული ბანკის პირველი საგანგებო სხდომა (1875 წ. 28 იანვარი) დიმ. ყიფიანის ღვაწლის აღნიშვნითა და მისთვის „მადლობის შეწირვით“ დაიწყო („თავად-აზნაურობის წინამძღოლის, თ. რევაზ ანდრონიკაშვილის წინადადებით მთელმა კრებამ ერთხმად განაცხადა მადლობის შეწირვა უფ. დ. ი. ყიფიანისა, რომელმანც ამდენი იღვაწა ჩვენი ბანკისთვისაო“ – დროება 1875).

[7] (გვ. 217) **„მოგაწვდით ცნობებს, რომლებიც ფინანსისტებისგან მაქვს მოპოვებული“** – მასალებში არ ჩანს, ბანკის გეგმაზე მუშაობისას რომელი ფინანსისტებისგან მიიღო დიმ. ყიფიანმა ხსენებული „ცნობები“, ხოლო წესდების პროექტის შედგენისას მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუს ფინანსისტებთან (ი. ჟუკოვსკი, ნ. ვოდოვი) და ამ საქმეზე პეტერბურგშიც იმყოფებოდა (ჯორჯაძე 1989: 497-500; ხუნდაძე 1936: 163; თელია 1989: 26-28; ასათიანი 1994: 83-87; უთურაშვილი 1989: 104).

[8] (გვ. 228) **„...მხოლოდ ერთი გუბერნიის ოთხი მაზრის ტერიტორიულ ფარგლებში“** – იგულისხმება თბილისის გუბერნიის თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრები.

[9] (გვ. 232) **„დიდად საეჭვოა, აზრი ჰქონდეს ... საკითხებზე მსჯელობის გაგრძელებას“** – მოგვიანებით ბანკის წესდების პროექტზე მუშაობისას „დიმ. ყიფიანმა საგრძნობლად გადაუხვია თავის ძველ პოლიტიკას და ... რუსეთის ფინანსისტების ზეგავლენით შეუდგა პაიებზე აგებულ სააქციონერო საზოგადოების დაარსებას“ (ხუნდაძე 1936: 164; იხ. აგრეთვე: ჯორჯაძე 1989: 499-501; თელია 1989: 27; ასათიანი 1994: 87-94).

ი უ რ ი დ ი უ ლ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ ი*

შენიშვნები ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილ სასამართლო წესდებათა გამოყენების შესახებ (გვ. 247-277)

ნაბეჭდი:

ჟურნ. „Юридическое обозрение“. 30 ივნისი, 1883, №118, გვ. 257-262; 7 ივლისი, 1883, №119, გვ. 289-292; 14 ივლისი, 1883, №120, გვ. 305-313; 4 აგვისტო, 1883, №123, გვ. 385-388; 11 აგვისტო, 1883, №124, გვ. 409-412.

სათაური:

Заметки по поводу применения судебных уставов к Закавказскому краю.

ხელმოწერა: Д. И. Кипиани.

ვათარიღებთ პირველნაბეჭდის მიხედვით, თუმცა ცალკეული ნაწილები ტექსტისა ავტორს უფრო ადრე, 1870-იან წლებში, დაუწერია. 1883 წლის 8 მაისს „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ ***გამომცემელი*** ალ. ფრენკელი დიმ. ყიფიანს ატყობინებს – ჟურნალი ჩემს ხელში გადმოდის (ამ დროიდან ალ. ფრენკელი იმავდროულად გამოცემის ***რედაქტორიც*** ხდება) და თქვენთან თანამშრომლობის იმედი მაქვსო, რაზედაც დიმ. ყიფიანი უპასუხებს: „შემოთავაზების პასუხად ამ დღეებში გაახლებთ ჩემს ჩანაწერებს ამიერკავკასიის მხარეში სასამართლო წესდებათა გამოყენების შესახებ. მხოლოდ ჯერ უნდა გადავხედო, რადგანაც ისინი დაახლოებით 9-10 წლის წინ მაქვს დაწერილი და ისიც – ფრაგმენტულად“ (ჩხეტია 1947: 382; დედანი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1659. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

---

* დიმ. ყიფიანის იურიდიულ თხზულებათა თარგმანის წაკითხვისა და სასარგებლო რჩევებისთვის მადლობას მოვახსენებთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. **თედო ნინიძეს**.

თ. ჯ.

[1] (გვ. 248) **„დღემდე რჩება terra incognita-დ“** – Terra incognita (ლათ.): უცნობი/გამოუკვლეველი მიწა/მხარე.

[2] (გვ. 261) **„თავადი პავ. დიმ. ციციანოვი. 1802-1804 წწ.“** – ჩანს, აქ ლაფსუს კალამია. სინამდვილეში პავლე ციციანოვი საქართველოს მთავარმმართველი იყო 1802-1806 წლებში.

[3] (გვ. 262) **„დაახლოებით ოცი წლის წინ ყოვლადუქვეშევრდომილესი ანგარიშის შედგენისას...“** – დიმ. ყიფიანის მიერ 1859 წელს შედგენილი ერთი ასეთი „ყოვლადუქვეშევრდომილესი“ (ე. ი. იმპერატორისთვის წარსადგენი) ანგარიში (1857-1858 წლებისა) და მასთან დაკავშირებული მასალა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №198. დიმ. ყიფიანის ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 185; კავკასიის მეფისნაცვლის პოსტზე ალ. ბარიატინსკის მუშაობის 1857-1859 წწ. ანგარიშის პუბლიკაცია იხ. აქტები 1904: 1275-1394.

[4] (გვ. 262) **„კარგად გასცნობოდა ჩვენს მხარეს და მხოლოდ ამის შემდეგ გამხდარიყო იმპერატორის მეფისნაცვალი“** – მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი კავკასიაში ჯერ კიდევ 1830-იანი წლებიდან მსახურობდა; კერძოდ: 1835 წელს, სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, იგი უშუალოდ იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ კავკასიაში, ყაბარდოს ეგერთა პოლკში, იქნა გამწესებული, მაგრამ მალე დაიჭრა და პეტერბურგში დააბრუნეს. 1845 წელს იგი პოლკოვნიკის ჩინით ისევ კავკასიაშია; მონაწილეობდა დარღოს, ანდის, გერგებილისა და სხვ. ბრძოლებში. ამის შემდეგ იბრძოდა ე. წ. „ყირიმის ომის“ კავკასიის ფრონტზე (განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქურუქ-დარასთან გამართულ ბრძოლაში) და ა. შ.; 1856 წლიდან კი ალ. ბარიატინსკი კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალია.

[5] (გვ. 269) **„ასე ვთქვათ, ნეოფიტები...“** – ნეოფიტი (ბერძ. neophytos), აქ: ახალბედა, გამოუცდელი.

[6] (გვ. 271) სასამართლო წესდებებში ***„ადგილობრივი ვითარებით“*** განსაზღვრული ცვლილებები უმართებულოდ მიაჩნდა ილია ჭავჭავაძესაც (იხ. მისი: ცხოვრება და კანონი, წერილი VI და VII; ჭავჭავაძე 1956ᵃ: 71-98).

[7] (გვ. 274) **„...კავკასიაში – სამი“** – იგულისხმება ჩრდილოეთი კავკასია.

[8] (გვ. 275) **„...თუ სასურველი ლეგისლაციური თანამიმ-დევრობა იქნება დაცული?“** – ***ლეგისლაციური/ლეგისლატიური*** ნიშნავს ***საკანონმდებლოს*** (ჩუდინოვი 1910).

ESKIZEBI STATIISTVIS „SENISHVNEBI AMIERKAVKASIASHI SASAMARTLO REPORMIS SESAKEB“ (გვ. 278-300)

ნაბეჭდი:

ჟურნ. „Юридическое обозрение“. 26 იანვარი, 1884, №148, გვ. 103-107; 9 თებერვალი, 1884, №150, გვ. 168-171; 27 სექტემბერი, 1884, №183, გვ. 93-102.

სათაური: Эскизы к „Заметкам о закавказской судебной реформе“.

თარიღი: 18 მარტი, 1884.

ხელმოწერა: Димитрий Кипиани.

ტექსტს, რომელიც არსებითად წინა წერილის გაგრძელებას წარმოადგენს, სქოლიოში დართული აქვს ასეთი შენიშვნა: „См. [იხ.] „Юридическое обозрение“, №№118, 119, 120, 123, 124“.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში (საქ. №87. რუსულ ენაზე. გადაწერილი კოტე ყიფიანის ხელით. ფ. 7), დაცულია წინამდებარე ტექსტის VII და VIII თავების ხელნაწერი, რომელსაც ძირითადად (არაარსებითი ხასიათის რედაქციული ცვლილებებით) მიჰყვება ნაბეჭდი, გარდა ბოლო მონაკვეთისა, რომლის შესახებაც იხ. აქვე, კომენტ. 8.

იქვეა (საქ. №88) დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი იურიდიული თხზულების ხელნაწერი, რომელიც უთარიღოა, დაწერილია 1884 წლის შემდეგ და არ არის დასრულებული: „Новейшии эскиз. Мировой судья с компасом в руках“ („უახლესი ესკიზი. მომრიგებელი მოსამართლე კომპასით ხელში“). ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 4. ამ უკანასკნელი თხზულების ქართული თარგმანი ანალოგი-

ურ (ბოლონაკლულ) ტექსტებთან ერთად სამომავლოდ შესაბამის ტომში შევა.

[1] (გვ. 279) **„...ჩამოართვა ჩვენება“** – დედანში: „отобрал... сказку“. „Сказка“ აქ ნიშნავს ოფიციალურ ჩვენებას [**Сказка:** – Официальное показание... (იხ. ტ. ეფრემოვას „რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ https://gufo.me/dict/efremova/%D1%81% D0% BA% D0%B0%D0%B7%D0%BA%D0%B0 (25.X.2018)]

[2] (გვ. 280-281) **„არც ერთი *არჩეული* მომრიგებელი მოსამართლე არ მისცემს თავს იმის უფლებას...“** – ავტორი აქ უბრუნდება წინა წერილში („შენიშვნები ამიერკავკასიის მხარისთვის განკუთვნილ...“) აღძრულ საკითხს იმის შესახებ, რომ, განსხვავებით საერთო-საიმპერიო ვითარებისაგან, ამიერკავკასიაში მომრიგებელ მოსამართლეებს კი არ ***ირჩევდნენ,*** არამედ სამომრიგებლო ინსტიტუტი ადმინისტრაციის მიერ ***დანიშნული*** ჩინოვნიკებით იყო დაკომპლექტებული. ამასთანავე, მომრიგებელ მოსამართლეებად არა ***ადგილობრივი*** (და, ამდენად, მეტი ნდობით აღჭურვილი და საქმითაც უფრო დაინტერესებული) პირები, არამედ ***„გარედან მოყვანილი“*** ჩინოვნიკები ინიშნებოდნენ.

[3] (გვ. 288) **„საქმე, რომლის შესახებაც ამ მონაკვეთში მოგითხრობთ ... ერთი შეხედვით ზედმეტ წვრილმანებსა და გამეორებებს წააწყდება“** – ტექსტის ამ მონაკვეთში საუბარია შემდეგ ფაქტზე: 1867 წელს კარდანახელმა თავადებმა, მამა-შვილმა დიმიტრი და ალექსანდრე (კოხტა) აბხაზებმა, მოსკოვში მცხოვრები ვაჭრისგან, გიორგი ფორაქაშვილისგან, 35 225 მანეთი ისესხეს, მაგრამ დათქმულ ვადაში ვალი ვერ გადაიხადეს. ამასობაში ვექსილი თბილისელი ვაჭრის, ილარიონ ფორაქაშვილის, ხელში გადავიდა. მევალე-მოვალეებმა თავდებობა დიმიტრი ყიფიანს სთხოვეს და დაითანხმეს კიდევაც, მაგრამ აბხაზებმა ვალის გადახდა ვერც ამის შემდეგ შეძლეს, ი. ფორაქაშვილმა კი თავდებს (დიმ. ყიფიანს) უჩივლა. ეს საქმე იმით დამთავრდა, რომ 1869 წლის 1 აპრილს თბილისის სასამართლო პალატამ დ. ყიფიანს ი. ფორაქაშვილის სასარგებლოდ 32 222 მანეთის გადახდა დააკისრა. ამის შემდეგ დიმ. ყიფიანმა სცადა, ვალი სასამართლოს გზით უშუალოდ აბხაზებისგან ამოეღო, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა (ხეც. დიმ. ყიფიანის

არქ., საქ. №654). მატერიალურად ისედაც შევიწროებული ოჯახი ამ ვალმა საბოლოოდ გატეხა წელში – დიმ. ყიფიანს მოუხდა თავისი ადგილ-მამულის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა ან დაგირავება, სიცოცხლის ბოლომდე ექვითებოდა პენსიის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვ. (დიმ. და ალ. აბხაზებზე, ფორაქაშვილზე, ზემოთ აღნიშნულ ვალთან დაკავშირებულ გარემოებებზე, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ჯორჯაძე 1989: 539-541; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 28-29, 77, 107-109, 113-115, 181-182, 314-316, 405; დოკუმენტური მასალა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №654. ფ. 139).

რაც შეეხება აბხაზებს, მათ 350 000 მანეთად ღირებული მამული საჯარო ვაჭრობით („ტორგით“) ვალებში გაეყიდათ და იგი ნაპოლეონ ამატუნს დარჩა. ამას გარდა, აბხაზებს ვალებშივე გაეყიდათ 120 000 მანეთად ღირებული ჩითახევის თუჯის ქარხანა, რომელიც სოლომონ შაბუროვმა იყიდა, აბხაზების საოჯახო ძვირფასეულობას კი საბოლოოდ ალექსანდრე ტერ-ასატუროვი დაეპატრონა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №654. ფ. 135; ჯორჯაძე 1989: 540).

[4] (გვ. 291) **„...მისი, როგორც კრედიტორის, ჩართვა საკონკურსო მასასთან დაკავშირებულ საკითხებში“ – საკონკურსო მასა**: მოვალის ქონება, რომლისკენაც შესაძლოა მიმართულ იქნეს ზღვევინება საკონკურსო წარმოების პროცესის დროს [http://translate.voov.me/Words/bankrupt%20estate (25.X.2018)].

[5] (გვ. 291) **„სახლების მესაკუთრეებს...“** – იგულისხმებიან პირები, რომლებიც კომერციული მიზნით აშენებდნენ ან იძენდნენ სახლებს (ძირითადად – ქალაქებში), შემდეგ კი ამ სახლებს სხვადასხვა ვადითა და პირობებით აქირავებდნენ ან აგირავებდნენ, ან კიდევ არენდით გასცემდნენ (მათს უფლება-მოვალეობებზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი 1893: 3). XIX ს. თბილისში ეს გავრცელებული პრაქტიკა იყო. თვითონ დიმ. ყიფიანი, რომელსაც 1850-იანი წლების შემდეგ თბილისში საკუთარი ჭერი არ ჰქონია, სხვადასხვა დროს ცხოვრობდა: 1855 წელს კომენდანტის (ამჟამად გრიბოედოვის) ქუჩაზე, შიოევის სახლში, 1861 წელს – კუკიაზე, პოლკოვნიკ მარკოზოვის სახლში, 1872 წელს – „არსენალის [ამჟამად ზუბალაშვილების] ქუჩაზე, [ალ.] ჭავჭავაძის ქუჩის მახლობლად, ფუღინო-

ვის სახლებში, სადაც უწინ მეჟევჩიკების შკოლა იყო“ და სხვ. (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 359).

[6] (გვ. 297) **„საფუძვლად შეიძლება დაედოს ლიტვის სტატუტიდან გამომდინარე მოქმედი კანონები ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიებში...“** – იგულისხმება ლიტვის დიდი სამთავროს ფეოდალური სამართლებრივი კოდექსები 1529, 1566 და 1588 წლებისა, რომლებიც შეიცავდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, აგრეთვე, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ და პროცესუალურ ნორმებს. XIX საუკუნეში ლიტვის სტატუტები ედო საფუძვლად მალოროსიის (თანამედროვე უკრაინის) ჩერნიგოვისა და პოლტავის გუბერნიების სამოქალაქო სამართალწარმოებას.

[7] (გვ. 300) **„მცირეწლოვანი თავადის ქონებაზე საგანგებო მეურვეობა დაინიშნა“** – ტექსტის ეს მონაკვეთი ეხება შემდეგ ფაქტს: დიმ. ყიფიანი დაქვრივებული ეკატერინე დადიანის თხოვნითა და მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის დავალებით 1859 წელს დაინიშნა სამეგრელოს სამთავრო სახლის ქონებისა და სამთავრო ტახტის მემკვიდრის, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის (მინგრელსკის), მეურვედ (მეურვეობა 1867 წლამდე, ნიკო დადიანის სრულწლოვანებამდე, გაგრძელდა). საბოლოოდ ეს საქმე ნიკო დადიანის საჩივრით დამთავრდა და სასამართლომ დიმ. ყიფიანს მომჩივნის სასარგებლოდ 113 ათასი მანეთის გადახდა დააკისრა (შემდგომში ვალი 54 000 მანეთამდე ჩამოუყვანეს).

წყაროები და ლიტერატურა მეურვეობის, მათ შორის, სამეგრელოს სამთავრო სახლის ინტერსთა დაცვის გამო 1862 წელს სახელმწიფო სამსახურიდან დიმ. ყიფიანის დათხოვნის შესახებ იხ.: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№376-509; ყიფიანი 1868; ყიფიანი 1869; ყიფიანი 1990: 70-75, 80-96; ყიფიანი 2017[ო]: 69-71, 283-284; ავალოვი 1871; ჯორჯაძე 1989: 443-453; ხუნდაძე: 1936: 84-88; უთურაშვილი 1989: 54-81; ჩხეტია 1950: 120-122, 296-297; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 29-30, 52-68, 76-77, 128, 182-183, 189, 295-296, 339-340, 350.

[8] (გვ. 300) **„უნდა დავძრახოთ კი იგი, თუ, საბოლოო გაკოტრება-გაჩანაგებით გულნატკენს, მისდა უნებურად მორალური ტკივილით გამოწვეული გმინვა აღმოხდება?..“** – ხელნაწერში [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №87. კოტე ყიფიანის ხელით გადაწე-

რილი. სათაური: „Поручитель более должник, чем сам должник (ნაბეჭდში: Поручитель более ответствен, нежели сам должник). ფ. 7] ეს მონაკვეთი ასეა: „უნდა დავძრახოთ კი იგი [თავდები], თუ, საბოლოოდ გაკოტრებულ-გაჩანაგებული, წამოიკვნესებს: „დამიხსენით, კეთილო ადამიანებო, ყველაზე საშინელი უსამართლობისაგან – სასამართლოს მხრიდან ძარცვა-გლეჯისაგან“.

წერილი ალექსანდრე ფრენკელს (გვ. 301-305)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №801. ნაწილობრივ (ფ. 1r-v-2r) სხვა (უცნობი) ხელით ნაწერი, ნაწილობრივ (ფ. 2r-4r) დიმ. ყიფიანის ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4 (ხელნაწერისა და ნაბეჭდის თარიღი და დაწერის ადგილი ემთხვევა ერთმანეთს).

ნაბეჭდი: ჟურნ. „Юридическое обозрение“. 13 დეკემბერი, 1884, №194, გვ. 460-464.

სათაური: Письмо в редакцию [წერილი რედაქციას].

თარიღი და ადგილი: 25 ნოემბერი. 1884 წ. სოფ. ქვიშხეთი.

ხელმოწერა: Димитрий Кипиани.

ნაბეჭდ ტექსტს დართული აქვს (გვ. 464) ჟურნალის რედაქტორის, ალ. ფრენკელის, მინაწერი**:**

„ფაქტები, ცხადია, სამწუხაროა, მაგრამ, ჩვენი აზრით, როცა სარჩელის შესახებ საკუთარი შვილისგან (სანამ იგი წასული არ იყო) შეიტყობდა, დ. ი. ყიფიანს შეეძლო პროცესში ჩართულიყო მესამე დაინტერესებული პირის სახით და ყოველი ღონე ეხმარა საკუთარი უფლების დასაცავად. ბ-ნ ყიფიანს არც ახლა აქვს დაკარგული საამისო შესაძლებლობა. რაც შეეხება ნემსაძის საქმეს, რასაკვირველია, სასამართლოს ბოქაულის სასარგებლოდ 6 მანეთის გადახდა მაშინ, როცა მოსამართლის მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხა 15 მანეთს არ აღემატე-

ბა, საზარალოცაა და უსამართლოც. შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ამგვარი გარემოებები უკვე მოქცეულია ყურადღების არეში და განზრახულია: გაიზარდოს სასარჩელო ბაჟი და ორივე მხარე გათავისუფლდეს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული შემდგომი ხარჯისაგან (უწყების გადაცემა და სხვ.). იქნება თუ არა ასეთი სისტემა ადრინდელზე უკეთესი, ამას დრო და გამოცდილება გვაჩვენებს“.

ხელნაწერში ადრესატისადმი მიმართვის ფორმაა არა ***„მოწყალეო ხელმწიფეო, ბ-ნო რედაქტორო“*** (Милостивый Государь, Г. Редактор), არამედ – ***„მოწყალეო ხელმწიფეო, ალექსანდრე სამოილის ძევ“*** (Милостивый Государь, Александр Самойлович). ამას გარდა, ხელნაწერ ტექსტს დართული აქვს (ფ. 4r) ავტორისეული ***„დამატება“,*** რომელიც ნაბეჭდში არ არის და რომელსაც აქ სრულად ვიმოწმებთ:

„ძვირფასო ალექსანდრე სამოილის ძევ,

სიჩქარეში დამავიწყდა თანდართულ სტატიაში მეხსენებინა: ბ-ნ კაფაფოვს გავუგზავნე საჩივარი ქარსიძეზე, თუმცა იმედი არა მაქვს, რომ ეს საჩივარი შესმენილი იქნება. საქმე ისაა, რომ კაფაფოვი თავად კონსტანტინე აბაშიძის ღვიძლი ძმისწულის მეურვეა და, შესაბამისად, წარმოადგენს სოლიდარულ მხარეს – იგი წარმომადგენელია უფლებისა მამულის ოცდამეოთხედ წილზე.

თუ საამისო საჭიროებას დაინახავთ, დაუმატეთ ეს გარემოება ჩემს სტატიას, მაგრამ, ასე იქნება თუ ისე, უმორჩილესად გთხოვთ, სტატია დაბეჭდოთ შეუმოკლებლად“.

დასათაურება ჩვენია.

[1] (გვ. 301) **„...თქვენივე სიტყვისა, რომელიც „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ 191-ე ნომერში გამოქვეყნდა“** – იგულისხმება ალ. ფრენკელის მიერ 1884 წლის 20 ნოემბერს „კავკასიის იურიდიული საზოგადოების“ („Кавказское Юридическое Общество“) სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა (სხდომა მიეძღვნა ალექსანდრე II-ის

მიერ განხორციელებული სასამართლო რეფორმის 20 წლისთავს). ალ. ფრენკელმა მიმოიხილა საკითხი, თუ რა ვითარება შექმნა ამიერკავკასიის სამართალწარმოებაში 1861-1863 წწ. შემუშავებულმა და ალექსანდრე II-ის მიერ 1864 წელს დამტკიცებულმა ახალმა საიმპერიო სასამართლო წესდებამ.

[2] (გვ. 302) **„ყველაფერი, რაც გამოვაქვეყნე „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ 148-ე, 150-ე და 183-ე ნომრებში“** – აქ და ქვემოთ **(„...ცალკეული შემთხვევები მე მოვიყვანე ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებიდან“**) იგულისხმება წინამდებარე ტომში შესული თხზულება დიმ. ყიფიანისა – „ესკიზები სტატიისთვის „შენიშვნები ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის შესახებ“.

[3] (გვ. 302) ***„ბევრად უფრო შორს მიმავალი, რომლისკენაც თანამედროვე სოციალისტები და კომუნისტები მიისწრაფვიან“*** – ჩვენ მიერ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ეს ფრაზა („...гораздо дальше, того, к чему стремятся современные социалисты и коммунисты“) არის ხელნაწერში (ფ. 2r), თუმცა არ არის ნაბეჭდში. უნდა ვიფიქროთ, იგი ტექსტიდან რედაქციის მიერაა ამოღებული. ჩვენ ხელნაწერისეული ვითარება აღვადგინეთ.

[4] (გვ. 303) **„გადავწყვიტე, ამჯერად მოქმედი პირების სახელებიც მივუთითო“** – ზემოთ (კომენტ. 2) მითითებულ ტექსტში დიმ. ყიფიანი რეალურ ფაქტებზე კი მსჯელობს, მაგრამ მონაწილეთა სახელები შეცვლილი აქვს და ამას საგანგებოდ აღნიშნავს კიდევაც: „ვიწყებ რა მსჯელობას პირადად ჩემთვის ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, თავს უფლებას ვაძლევ, არც პირთა ნამდვილი ვინაობა მივუთითო და არც – დაწესებულებათა ნამდვილი სახელწოდება“ (იხ. აქვე, გვ. 278).

დ ა ნ ა რ თ ი

შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ (გვ. 306-392)

ხელნაწერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №342. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 36.

ნაბეჭდი:

პ. გელეიშვილი. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. თბილისი: 1914, გვ. 99-200.

პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). თბილისი: სახელგამი. 1941, გვ. 389-470.

Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия, ч. II. Тбилиси: Архивное управление при совете министров Грузинской ССР. 1960, გვ. 626-663. [რუსულ ენაზე].

სათაური:

შეკრება ოც და ერთის ჰაზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონ-ყმობაზედ შედგენილი აპრილს 1863.

თარიღი: აპრილი 1863.

ტექსტი ხელმოუწერელია. აკინძულია რვეულად, რომელიც დაყოფილია გრაფებად. კითხვების გამეორება რომ არ დასჭირვებოდა, შემდგენელს თითოეული გრაფის თავზე მიწერილი აქვს კითხვები (სულ 14 კითხვაა. იხ. აქვე, გვ. 306-307), რომლებსაც შესაბამის გრაფაში მოსდევს პასუხები.

იქვეა (საქ. №343) ქართული ტექსტის შავი. ავტოგრაფი. დაუსათაურებელი. დაუთარიღებელი. ხელმოუწერელი. ფ. 24.

იქვეა (საქ. №344) ტექსტის რუსული თარგმანის შავი [Свод 21 мнения, выраженного 240 лицами из владельцев Тифлисской губернии по крестьянскому делу]. უცნობი ხელით ნაწერი, ნასწორები დიმ. ყიფიანის მიერ. დაუთარიღებელი. ხელმოუწერელი. ფ. 40 (ტექსტი

რვეულადაა აკინძული, შემოკრული აქვს ფურცელი, რომელსაც დიმ. ყიფიანის ხელით აწერია „ბატონ-ყმობის საქმე“); პუბლიკაცია რუსული ტექტისა (Перевод. Свод двадцати одного мнения двухсот сорока грузинских помещиков по крестьянскому вопросу, составлен в апреле 1863 г.) იხ.: ჩხეტია 1948: 137-182; ჩხეტია 1950: 137-182.

„ოც და ერთი ჰაზრის...“ „გამოთხოვნის“ მოტივაციასა და ისტორიაზე იხ. აქვე – „ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ“, გვ. 139-143.

ტექსტის დღემდე არსებულ პუბლიკაციებში გვხვდება მნიშვნელოვანი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ცვლილებები, ცალკეული უზუსტობანი (მათ შორის, გვარების დაწერილობაში), ბევრგან სიტყვები შემოკლებულია და სხვ.; ამიტომაც ტექსტი აქ ***უშუალოდ ხელნაწერიდან გადმოგვაქვს***.

„ოც და ერთი ჰაზრი...“, როგორც ეს ზემოთ („ტექსტისათვის“) გვაქვს მითითებული, დიმ. ყიფიანს მექანიკურად კი არა აქვს შეკრებილი და გადმოღებული, არამედ თავად-აზნაურთა პასუხები მის მიერ გამოკრებილი, შეჯერებული და დამუშავებულია („ამ ჰაზრების გარჩევას, ერთი ერთმანერთთან შეტოლებას და შეთანხმებას, თავით თვისით იგულხმების, რომ დროც ბევრი მოუნდებოდა და შრომაცა. ახლა ყოველივე გამოკრებილი არის, თავმოყრილი, შეკონებული...“ – იხ. აქვე: „ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ“, გვ. 143). ამას გარდა, წინამდებარე ტექსტი: ა) იძლევა საინტერესო და სანდო მასალას საკითხის გარშემო დიმ. ყიფიანის შეხედულებათა თუ პოზიციათა წყაროების დასადგენად; ბ) შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას რეფორმისწინა ქართლ-კახეთის სოციალური ვითარების (ფენათა სამართლებრივი და ადათით განსაზღვრული ურთიერთმიმართების), თავადაზნაურობის მატერიალური მდგომარეობის, განწყობებისა და სხვ. წარმოსადგენად. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ, იგი დიმ. ყიფიანის თხზულებათა წინამდებარე ტომში დანართის სახით შეგვეტანა.

[1] (გვ. 307) აქ პ. გუგუშვილს თავისი პუბლიკაციის სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა:

„ამ სახითაა ჩამოყალიბებული ეს 14 კითხვა „შეკრებაში“. მაგრამ ეს კითხვები რამდენიმედ უფრო გაშლილადაა მოცემული იმ ბარათებში (ანკეტებში), რომლებიც დ. ყიფიანმა დაუგზავნა მემამულეებს. მაგალითად, ალექსანდრე [დავითის ძე] ორბელიანისათვის გაგზავნილ ბარათში ეს კითხვები შემდეგი სახითაა მოცემული:

„ყოველი ჩვენი სხვადასხვა აზრი ერთს სურვილზედ ტრიალებს: გლეხები ისეთს მდგომარეობაზედ დავაყენოთ, რომ ჩვენ გვიმადლოდნენო.

ამ სურვილზედ დამყარებულნი ვანბობთ: ყმებს პირადი თავისუფლება მივსცეთ; სამაგიეროთ ფული ვითხოვოთ და ადგილმამული ჩვენსავე კუთვნილებაში დარჩესო. – ზოგსა და ზოგს კიდევ სხვადასხვა აზრი გვაქვს, – უნდა დავათანხმოთ ახლა ერთმანეთს ლაპარაკი; უნდა კარგად მოვიფიქროთ ყოველივე, რაც ამ საქმეზედ სათქმელი გვქონდეს და ყოველივე შინაურულად ვაცნობოთ, ვისთვისაც დაწერა მიგვინდვია.

ამ საქმის ასახსნელად და კარგად გამოსარკვევად განმარტება მრავალი დაგვჭირდება, მაგალითად:

1. ფულს რომ ვითხოვთ, რა ანგარიშით ვითხოვთ?

2. გლეხებს ნუ გადახდება ეს ფულიო, რომ ვითხოვთ, რა მიზეზით ვითხოვთ?

ამ ორის კითხვის ასახსნელად უნდა ვსთქვათ:

3. კანონით თუ ჩვეულებით, სიმართლე მიგვიძღვის თუ არა კომლზედ ერთი მსახური გამოვიყვანოთ, რომ ამის სამაგიეროთ ვითხოვოთ ფული, სადაც ეს მიზეზი გამოსდგება, იქ სხვა რა ვსთქვათ საფუძვლიანი?

4. ეს ფული გლეხებს ნუ გარდახდებაო რომ ვანბობთ, რა მიზეზით ვესარჩლებით გლეხებს? ივარგებს თუ არა? რომ გამოვიკვლიოთ და ავხსნათ, რა ხარჯი გაუწევიათ რამდენსამე წელიწადში, – სხვადასხვა გამოსაწვევის მიზეზით, მილიციისათვის თუ სხვა და სხვა საქვეყნო საქმეებისათვის, – საბატონო და სახელმწიფო დაწესებულს გარდასახადს გარდა?

ადგილ-მამული ჩვენია, ამაზე ეჭვი არ არის; მაგრამ დასაკუთრებით რომ ვერას ვაძლევთ გლეხებსა ჯერ ეს უნდა ვსთქვათ.

5. რა და რა მიზეზით არ ვაძლევთ, თუ ვერ ვაძლევთ? და მერე –

6. იმათი მომადლიერება რომ გვინდა, როგორღა უნდა მოვახერხოთ?

ახლანდელს სახლკარობას არ მოუშლითო, ვანბობთ და რაც ჩვენი ადგილმამულები უჭირავთ სულ იმათვე მივაჩემებთ დროებითაო; მაშ რამეთი ვადას ვაწესებთ?

7. ამ ვადის გასვლამდის რა სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს იმ ადგილმამულისაგან?

ქვეყნის ჩვეულებას ან ხიზნების მაგალითს დავადგეთ, თუ არა?

8. თუ ამ ჩვეულებას დავადექით – სად, რა და როგორი ჩვეულება არის სახელდობრ გამოუცხადოთ და აღვრიცხოთ თუ არა? რომ ვინ იცის თუ მომავალში სალაპარაკოდ გაგვიხდა რომე გარჩევა არ გაჭირდეს.

9. თუ ჩვეულებას ვერ დავადგებით, მაშინ ახალს დავაწესებთ რასმე; რა რის მაგიერად უნდა დავაწესოთ ახალი, რა მიზეზით და შემსუბუქება რაში ექნება მაშინ გლეხსა?

10. ჩვეულებაზედ დავემყარებით თუ ახალს წესს დავადგენთ რასმე, რა რომ ან ერთსა და ან მეორეს განმარტებით აღვრიცხავთ, – ემჯობინება თუ არა, რომ სადაც ერთნაირი და ერთი ზომის სამსახური და გარდასახადი არსებობს, ან დაწესდება, ის ადგილები დასახელებით ერთად მოვიხსენიოთ და ამისათვის ქვეყანა, გინა უეზდი, ზოლებად დავყოთ ან სხვა გვარად როგორმე, რომ ჩვენც ბეჯითად ვიცოდეთ და მთავრობამაც, ამა და ამ სოფლებში, ან ამა და ამ მხარეზედ ეს წესია და ამა და ამაზედ ესაო.

11. თუ ამას საჭიროდ არ ვეძიებთ, მაშ საკმაო იქნება თუ არა, ასე რომ ვსთქვათ: „ადგილ-მამულისათვის პატრონს ის სარგებლობა უნდა ეძლეოდეს, რასაც ყოველი თავისუფალი კაცი აძლევს მამულის პატრონსა ქვეყნის ჩვეულებითა, და პატრონს ნება არ ექნება ამ ჩვეულების შეცვლისა ვადამდის; –

და რომ ვადა დასრულდება მაშინ გლეხნიცა და მემამულენიც ერთმანეთში მორიგდებიან ნებაყოფლობით“.

12. თუ ამ ჩვეულებით გლეხს მუშის მოხმარება ემართება ემჯობინება თუ არა, რომ მუშის მაგიერად ფასი გვაძლიოს?

თუ ბატონს მუშა არ დასჭირდება მაშინ რა ვქნათ და თუ თავისუფალი გლეხი არ გამოვიდა, მაშინ რა?

13. დაწესებულს ვადამდის თავისუფალს კაცს ნება ექნება გარდასახლებისა თუ არა? პატრონსაც ნება ექნება დათხოვნისა თუ არა?

რა და რას შემთხვევაში, რა და რა მიზეზებით და როგორ?

14. ვადა მოკლე ემჯობინება თუ გრძელი პირველს მორიგებამდის და სახელდობრ რამდენი ხნისა?

შიგა და შიგ სხვა კითხვაც წარმოსდგება კიდევ განსამარტებელი და მოსაფიქრებელი და უნდა წარმოსთქვათ ყოველივე, რომ მოსალაპარაკებელი გულში აღარა დაგვრჩეს რა“ (გუგუშვილი 1941: 396-398).

[2] (გვ. 308) **„იგივე ჰაზრი“** (ქვემოთ: **„იგივე აზრი“**) – აქ და ქვემოთ: ნიშნავს იმას, რომ ავტორი იმეორებს წინა ავტორის მოსაზრებას; მოცემულ შემთხვევაში ტიხონ ბარათოვი იმეორებს ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მოსაზრებას.

[3] (გვ. 316) **„კოლლეჟსკი რეგისტრატორი კნ. ალექსანდრე [ჯორჯაძე** – გვარი (ჯორჯაძე) არ არის ქართულ ტექსტში, თუმცა მითითებულია რუსულ ტექსტში (ჩხეტია 1950: 143)].

[4] (გვ. 316) **„პოდპორუჩიკი [კნ. ჯორჯაძე“** – გვარი (ჯორჯაძე) არ არის ქართულ ტექსტში, თუმცა მითითებულია რუსულ ტექსტში (ჩხეტია 1950: 143).

[5] (გვ. 319) **„აღშფოთებულს და განუსვენებელს მდგომარეობაში იყო 1859-მდე“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე – „ტფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ“, კომენტ. 24 (გვ. 433).

[6] (გვ. 319) **„სოტნებისა“** – ასეულებისა (რუს. Сотня – ასეული).

[7] (გვ. 319) **„ეწოდებოდა ქართული ქვეითოსანი მილიცია“** – მილიცია (ლათ. militia – მხედრობა) – მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში ფორმირებული არარეგულარული (მათ შორის, მოხა-

ლისეებისაგან შემდგარი) სახალხო ლაშქარი (მილიციელი = სახალ-ხო მოლაშქრე).

[8] (გვ. 321-322) **„მეჟევის კომისიისაგან“** – მიწების გამმიჯნა-ვი კომისიისაგან (რუს. Межевание, межевать – გამიჯვნა, მიჯნის გავლება).

[9] (გვ. 322) **„ლესნიჩებთა გამო“** – ტყის მცველთა გამო (რუს. Лесник – ტყის მცველი).

[10] (გვ. 322) **„ნაპომეშჩიკარს გვამს“** – ნაბატონარ პირს / ყო-ფილ მებატონეს (რუს. Помещик – მემამულე, ბატონი).

[11] (გვ. 327) **„გარდმოვსახლებულვართ სხვა და სხვა სამე-ფოთა და სამთავროთაგან“** – იგულისხმება ტრადიციული წარ-მოდგენა საქართველოს წარჩინებულ გვარეულობათა უცხოური წარმომავლობის შესახებ (მაგალითად, ორბელიანები/ჯამბაკურ-ორბელიანები თითქოს წამოსულნი იყვნენ „ადგილით კერძოით ჩი-ნეთისა, რომელ არს კიტაია...“, ამილახვრები – „იტალიიდგან“, ci-ციშვილები – „ურიასტანიდგან“, აბაშიძეები „აბაშით, რომელ არს ეთიოპია“ და სხვ. (ბაგრატიონი 1997: 18, 19, 23).

[12] (გვ. 329) **„პოშლინა“** – ბაჟი (რუს. Пошлина - ბაჟი).

[13] (გვ. 329) **„ზოგნი პოდრიადებში“** – სანარდო სამუშაოზე (რუს. Подряд – ნარდად მუშაობა).

[14] (გვ. 329) **„ზოგნი პრიკაზში...“** – „პრიკაზის“ შესახებ იხ. აქ-ვე, „თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ“, კომენტ 13, გვ. 412.

[15] (გვ. 330) **„შტრაფებისა“** – ჯარიმებისა (რუს. Штраф – ჯა-რიმა).

[16] (გვ. 340) **სერვიტუტი –** სხვისი ქონებით სარგებლობის უფ-ლება გარკვეულ ფარგლებში... (ჭაბაშვილი 1989: 455; იხ. აგრეთვე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=24169 (25.X.2018)

[17] (გვ. 340) **„Чинш“** – პოლ. Czynsz: ფეოდალურ ევროპაში (მათ შორის, პოლონეთში) მიწის მფლობელისთვის ნატურით ან ფულით გადახდილი ფიქსირებული ღალა.

[18] (გვ. 343) **„ყოველს უჩასტკაში“** – ყოველ [ადმინისტრაცი-ულ] უბანში [რუს. Участок – უბანი (ამ შემთხვევაში – ტერიტორი-ულ-ადმინისტრაციული ერთეული)].

[19] (გვ. 344) **„ეს ფული დიდის ხნით გაჰბორჯოს“** – ვალად გასცეს (**ბორჯი:** ვალი, долг – ჩუბინაშვილი 1984: 114).

[20] (გვ. 345) პ. გუგუშვილის პუბლიკაციაში როსტომ მუსხელოვის პასუხს (გუგუშვილი 1941: 431) შეცდომით ებმის ელიაზარ თულაევის პასუხის II პუნქტი (გუგუშვილი 1941: 433).

[21] (გვ. 349) **„...ბეითალმნათ დარჩეს“** – უპატრონოდ დარჩეს (**ბეითალმანი**: უპატრონო ქონება – სამართლის ძეგლები 1963: 756; **ბეითალმალი**: ოხრად, უპატრონოდ დარჩენილი მამული, ნამკვდრევი – ჩუბინაშვილი 1984: 103-104; **ბეითალმანი**: უმემკვიდროთ ამოწყვეტილი კაცის დარჩენილი ქონება – გრიშაშვილი 1997: 49).

[22] (გვ. 355) **„მაჩაბლიანთ ყმების ოსების განთავისუფლება“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე – „თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ“, გვ. 105.

[23] (გვ. 355) **„პოდატის ფული“** – ფულადი გამოსაღები (რუს. Подать – გამოსაღები).

[24] (გვ. 355) **„ფოშტებში ზემსკის სტრაჟის ფული“** – ფოსტის საერობო დაცვის გადასახადი (რუს. Земский – საერობო, ერობისა; Стража – დაცვა, გუშაგობა).

[25] (გვ. 355) **„ფოშტების ეტაპნის ურმების ფული“** – ურმებით საფოსტო გადაზიდვების გადასახადი (რუს. Перевозка по этапу).

[26] (გვ. 355) **„გუბერნსკის პრავლენიაში“** – საგუბერნიო მმართველობაში (რუს. Правление – მმართველობა, გამგებლობა).

[27] (გვ. 355) **„კაზიონის პალატაში“** – სახაზინო პალატაში (რუს. Казённый – ხაზინისა, სახაზინო, სახელმწიფო; Казённая палата – სახაზინო პალატა).

[28] (გვ. 356) **„...გრანიცებისა“** – საზღვრებისა (რუს. Граница – საზღვარი).

[29] (გვ. 356) **„...დრუჟინებში“** – მოლაშქრეთა რაზმებში (რუს. Дружина – [მოლაშქრეთა] რაზმი).

[30] (გვ. 359) **„ზემსკის პოვინნოსტი“** – საერობო ბეგარა (რუს. Земский – საერობო, ერობისა; Повинность – ბეგარა).

[31] (გვ. 362) **„...ორს პოლოსად“** – ორ ზოლად (რუს. Полоса – ზოლი).

[32] (გვ. 363) **„პრედპოლოჟენიის...“** – აქ: განზრახულების (რუს. Предположение – განზრახულება, ვარაუდი).

[33] (გვ. 363) **„დაასახლა ჩემმა შვილმა“** – იგულისხმება გვარდიის შტაბ-როტმისტრი არჩილ ივანეს (იოანეს) ძე ანდრონიკაშვილი.

[34] (გვ. 365) **„ანდრონიკოვი“** – საბუთში (არც ქართულ ტექსტში, არც – რუსულში) სახელი არ არის მითითებული.

[35] (გვ. 366) აქ ერთმანეთის მიყოლებით დასმულია ორი ტირე, თუმცა ვინაობა არ არის მითითებული.

[36] (გვ. 367) **„კუპჩის...“** – ნასყიდობის ქაღალდი (ნასყიდობის წერილი, ნასყიდობის სიგელი; რუს. Купчий).

[37] (გვ. 370) **„ვარანცოვს არ დაეწესებინა ბანკი“** – მიხ. ვორონცოვის მიერ დაარსებული „ბანკის“ („პრიკაზის“) შესახებ აქვე, გვ. 412.

[38] (გვ. 371) **„...на счет законодательной власти“** – საკანონმდებლო ხელისუფლების მეშვეობით.

[39] (გვ. 371) – **„При посредстве государственного финансового оборота“** – სახელმწიფო ფინანსების [სახელმწიფო/ხაზინო ფინანსური ანაზღაურების] მეშვეობით.

[40] (გვ. 375) **„В противном случае, желая им сделать многое отдаляем их в ущерб других от того к чему они приготовляются достигнуть“** – წინააღმდეგ შემთხვევაში, სურვილი მათთვის ბევრის მინიჭებისა სხვების საზარალოდ, მათვე განაშორების იმისაგან, რისი მოპოვებისთვისაც ემზადებიან.

[41] (გვ. 383) **„...и потому допущение урочного положения полезно только для переходного состояния“** – და ამიტომაც დაშვება გარდაკვეთილი დებულებისა [განსაზღვრული სამუშაოს დაწესებისა] სასარგებლო იქნება მხოლოდ გარდამავალი პერიოდისთვის.

[42] (გვ. 383-384) **„...при обязательных и урочных положениях, хотя бы они были проверены представителями обоих сторон“** – სავალდებულო და გარდაკვეთილი დებულების პირობებში, თუნდაც ისინი ორივე მხარის წარმომადგენელთა მიერ იყოს შემოწმებული (გასინჯული).

[43] (გვ. 384) **„Без свободных и личных отношений нет добросовестности в исполнений“** – ძალდაუტანებელი და შინაურული ურთიერთობის გარეშე საქმე კეთილსინდისიერად ვერ გაკეთდება.

[44] (გვ. 384) **„Во всяком случае законное определение обязанностей крестьян не может заменить освобождение их и потому отнесено и правительством только к срочно обязанному или переходному состоянию крестьян“** – ყოველ შემთხვევაში, გლეხობისთვის დაკისრებულ მოვალეობათა კანონის მეშვეობით განსაზღვრა ვერ ჩაუნაცვლებს მათ თავისუფლებას და ამიტომ არის მთავრობის მიერ შემოღებული გლეხთათვის ვადიანი ან გარდამავალი მდგომარეობა.

[45] (გვ. 384) **„При взаимно свободных отношениях землевладельцев и крестьян сельская промышленность будет предоставлена ея естественному ходу“** – მიწის მფლობელთა და გლეხთა თავისუფალი (ძალდაუტანებელი) ურთიერთობის შემთხვევაში სასოფლო წარმოებას ბუნებრივი გზით განვითარების საშუალება მიეცემა.

[46] (გვ. 384) **„Ни какое поправительство, ни какое придуманное направление не заменят ей этой свободы“** – ვერავითარ ძალდატანება, ვერავითარი ხელოვნურად მოგონილი გარემოება ვერ გასწევს [სასოფლო წარმოებაში] ამ თავისუფლების მაგივრობას.

[47] (გვ. 389) **„შეიქნებიან მოწრწენი“** – წრწოლა/ძრწოლა შეიპყრობთ (?); აქ: მაწანწალებად იქცევიან/წანწალს დაიწყებენ (?).

[48] (გვ. 390) **„შეგვირიცხონ ჩვენ პრიკაზის ვალში...“** – „პრიკაზის ვალის“ შესახებ იხ. აქვე – „ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ შეკრებილებისადმი ბატონ-ყმობის საქმეზედ“, კომენტ. 26, გვ. 433

[49] (გვ. 391) **„ბუთილკა“** – ბოთლი (რუს. Бутылка); აქ: ლიტრი/ლიტრიანი.

დ ა მ ო წ მ ე ბ ა ნ ი

ავალოვი 1871: Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112,967 р. 14 к. Составил А. Авалов. Тифлис: Типография Меликова и К^0. 1871.

აბულაძე 1973: აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: მეცნიერება. 1973.

ასათიანი 1979: ასათიანი ი. თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება (1864-1875 წწ.). თბილისი: მეცნიერება. 1979.

ასათიანი 1994: ასათიანი ი. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. თბილისი: მეცნიერება. 1994.

აქტები 1866: Акты, собранные Кавказской археографической комиссиею. т. I. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1866.

აქტები 1904: Акты, собранные Кавказской археографической комиссиею. т. XII. Тифлис: Типография канцелярии Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе. 1904.

ბაგრატიონი 1997: იოანე ბაგრატიონი. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის). რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი. თბილისი: დიალ. 1997.

ბერძენიშვილი 1965: ბერძენიშვილი ნ. საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. // ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II. თბილისი: მეცნიერება. 1965.

ბერძნიშვილი 1980: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ბოროზდინი 2007: ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1893: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. кн. 21, т. XI. Санкт-Петербург: Типо-Литография И. А. Ефрона. 1893.

ბროკჰაუზი-ეფრონი 1895: Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. кн. 30, т. XV[a]. Санкт-Петербург: Типо-Литография И. А. Ефрона. 1895.

ბუტკოვი 1869: Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. II. Санкт-Петербург: Тип. Императорской Аакадемии Наук. 1869.

გოზალიშვილი 1951: დიმიტრი ყიფიანის არქივი. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა, შ. ჩხეტიას რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1951.

გოცაძე 1954: გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.

გრიშაშვილი 1997: გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა. თბილისი: სამშობლო. 1997.

გუგუშვილი 1941: გუგუშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. I. თბილისი: სახელგამი. 1941.

გუგუშვილი 1950: Сельское хозяйство и аграрные отношения. т. 2 (Отмена крепостного права). Составил П. В. Гугушвили. Тбилиси: Издательство ТГУ. 1950.

გუგუშვილი 1956: გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II. თბილისი: სახელგამი. 1956.

დროება 1866: ტფილისი, 22 აპრილს. „დროება“, 22 აპრილი (4 მაისი), 1866, №8.

დროება 1867ᵃ: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზედ. „დროება“, 19 (31) მაისი, 1867, №20.

დროება 1867ᵇ: კეთილშობილთ კენჭის-ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში. „დროება“, 16 (28) ივნისი, 1867, №24.

დროება 1867ᵃ: უმაღლესი ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში. „დროება“, 11 (23) აგვისტო, 1867, №32.

დროება 1874: წეს-დება თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა. „დროება“, 19 ივლისი, 1874, №432; 26 ივლისი, 1874, №433; 2 აგვისტო, 1874, №434.

დროება 1875: თფილისის თავად-აზნაურობის ბანკი. „დროება“, 29 იანვარი, 1875, №13.

ზისერმანი 1890: Зиссерман А. Д. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879. т. II. Москва: 1890.

ზისერმანი 1891: Зиссерман А. Д. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879. т. III. Москва: 1891.

თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. // გ. თავზიშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ი. ბოცვაძის რედაქციით. ტ. I. თბილისი: განათლება. 1974.

თბილისის ისტორია 1990: თბილისის ისტორია. ტ. I (თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე). ტომის რედაქტორები: მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა. თბილისი: მეცნიერება. 1990.

თელია 1989: თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბილისი: განათლება. 1989.

იოსელიანი 1936: იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაცია. 1936.

მაჩაბელი 1912: ვასილ მაჩაბლის მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ (ნაწყვეტი „ჩემი თავგადასავალიდან“). გაზ. „თემი“, 5 ნოემბერი, 1912, №96.

მაჩაბელი 2007: მაჩაბელი ვ. ჩემი თავგადასავალი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

მესხი 1875: მესხი ს. ქუთაისის ბანკის დამტკიცება. „დროება“, 3 დეკემბერი, 1875, №137.

მესხი 1876: მეკენჭე [მესხი, სერგეი]. თავად-აზნაურთა საერთო კრება ქუთაისში – ბანკის საქმის თაობაზე. „დროება“, 30 აპრილი, 1976, №42; 7 მაისი, 1976, №45; 12 მაისი, 1976, №46; 21 მაისი, 1976, №49.

მესხი 1963ᵃ: მესხი ს. ქუთაისის ბანკის დამტკიცება. // ს. მესხი. თხზულებანი (სამ ტომად). შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით. ტ. II (1875-1878). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.

მესხი 1963ᵇ: მეკენჭე [მესხი, სერგეი]. თავად-აზნაურთა საერთო კრება ქუთაისში ბანკის საქმის თაობაზე. // ს. მესხი. თხზულებანი (სამ ტომად). შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე შენიშვნებით და კომენტარებით. ტ. II (1875-1878). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.

ორბელიანი 1965: ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი ქართული. // ს.-ს. ორბელიანი. თხზულებანი (ოთხ ტომად). ტ. IV_1. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1965.

ორჯონიკიძე 1992: ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის პირველი ნახევარი). თბილისი: მეცნიერება. 1992.

რუსულ-ქართული ლექსიკონი 1983: რუსულ-ქართული ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია ქ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1983.

სამართლის ძეგლები 1963: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ.

თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1963.

საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. I. თბილისი: ლომისი. 1997.

საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

საშვილიშვილო მოკავშირე... 2011: საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... III. თბილისი: ნეკერი. 2011.

უთურაშვილი 1989: უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.

უილბრაჰამი 1990: რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ. თბილისი: მეცნიერება. 1990.

უშაკოვი 1938: Толковый словарь русского языка. Под редакцией Д. Н. Ушакова, т. II. Москва: Государственное издательство иностранных и национальных словарей. 1938.

უშაკოვი 1939: Толковый словарь... т. III. Москва: 1939

ფრენკელი 1884: О влиянии судебных уставов на Кавказе (Речь А. С. Френкеля, произнесенная 20 ноября 1884 г. в торжественном собрании Кавказского Юридического Общества). „Юридическое обозрение“. 22 ნოემბერი, 1884, №191, გვ. 341-349.

ფურცელაძე 2007: ფურცელაძე ა. ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

ქეგლ 1958ᵃ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. IV. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1958.

ქეგლ 1958ᵇ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. V. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1958.

ქსე 1975: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1975.

ყიფიანი 29: დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია (1831-1864 წწ.). ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29. რუსულ ენაზე. ფ. 35.

ყიფიანი 1868: [Кипиани Д.] Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани. Тифлис: Типография Меликова и К^0. 1868.

ყიფიანი 1869: ყიფიანი [დიმ.]. სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი. [ტფილისი]: კერესელიძის სტამბა. 1869.

ყიფიანი 1930: ყიფიანი დიმ. მემუარები. ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.

ყიფიანი 1990: ყიფიანი დიმ. მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: საქართველო. 1990.

ყიფიანი 1995: ყიფიანი დიმ. საზოგადო ვალი ერთის ოჯახის შვილებისა. // დიმ. ყიფიანი. რა ხალხია ქართველები? შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები და ბოლოსიტყვა დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ლომისი. 1995.

ყიფიანი 2003: ყიფიანი დიმ. საზოგადო ვალი ერთის ოჯახის შვილებისა. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელნი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. XX (ტომის შემდგენელნი: ა. ბაქრაძე, თ. ჯოლოგუა. თ. ჯოლოგუას რედაქტორობით, შენიშვნებითა და ბოლოთქმით). თბილისი: ნაკადული. 2003.

ყიფიანი 2016ᵃ: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. I (პოეზია. პროზა. თარგმანები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყიფიანი 2016ᵇ: ყიფიანი დიმ. ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. I. თბილისი: არტანუჯი. 2016.

ყიფიანი 2017ᵃ: ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II (პუბლიცისტიკა. ლიტერატურული წერილები. საისტორიო თხზულებები). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლო-

გუამ. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017ბ: ადგილ-მამულის მდგომარეობისათვის საქართველოში. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017ბ: „საზოგადოების“ მიზანთა განხორციელების გზების შესახებ. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017დ: ყიფიანი დიმ. ხიზანთა საკითხი. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017ე: ყიფიანი დიმ. ბანკის საქმეზედ. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017ვ: ყიფიანი დიმ. პასუხი ილია ჭავჭავაძეს. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017ზ: ყიფიანი დიმ. საზოგადოობისა და ქვეყნის მომავლისათვის. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

ყიფიანი 2017თ: ყიფიანი დიმ. პასუხი ვლადიმერ მიქელაძეს. // დიმ. ყიფიანი. თხზულებანი... ტ. II თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

შველიძე 1967: შველიძე ნ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (1864-1921 წწ.). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1967.

ჩუბინაშვილი 1961: ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1961.

ჩუბინაშვილი 1971: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1971.

ჩუბინაშვილი 1973: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.

ჩუბინაშვილი 1984: ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.

ჩუდინოვი 1910: Чудинов А. Н. Словарь иностранных слов, вошедших в состав русского языка. http://rus-yaz.niv.ru/doc/foreign-words-chudinov/index-203.htm#203 (1.VII.2018).

ჩხეტია 1940: ჩხეტია შ. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801-1840 წწ.). აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე. VIII. 1940.

ჩხეტია 1947: ჩხეტია შ. მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 3. 1947.

ჩხეტია 1948: ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 4. 1950.

ჩხეტია 1950: ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950.

ცაიშვილი 1947: ცაიშვილი სოლ. გრიგოლ ორბელიანის ნამსახურებითი სია. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I. თბილისი: 1947.

ჭაბაშვილი 1989: უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შეადგინა მ. ჭაბაშვილმა. თბილისი: განათლება. 1989.

ჭავჭავაძე 1955: ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა (1883 წელი, მაისი). // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. V (საქართველოს მატიანე). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

ჭავჭავაძე 1956ᵃ: ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი (1877-1881). // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. VI. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1956.

ჭავჭავაძე 1956ᵇ: ჭავჭავაძე ი. ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი (პოლემიკა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან). // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. VII (წერი-

ლები სახალხო მეურნეობის საკითხებზე). თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1956.

ჭიჭინაძე 1892: ზ. ჭ. [ჭიჭინაძე, ზაქარია]. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სტამბა წიგ[ნის] გამ[ომცემელ] ქარ[თველთა] ამხანაგობისა. 1892.

ხუნდაძე 1936: ხუნდაძე ს. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936.

ჯოლოგუა 2002: ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.

ჯორჯაძე 1913: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე). „სახალხო გაზეთი“, 1913, №№794-797, 799-811, 813.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნებისა და მოღვაწეობის მატიანე). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი:

ავტ. – ავტორი.
აზ. (აზნ.) – აზნაური.
არქ. – არქივი.
აღწ. – აღწერილობა.
ბ. (ბატ.) – ბატონი (თავაზიანი ხსენების ან მიმართვის ფორმა).
ბერძნ. – ბერძნული/ბერძნულ ენაზე.
გაზ. – გაზეთი.
თ. – თუმანი (ათი მანეთი, ათი რუბლი).
თ. (თ-დი) – თავადი.
იხ. – იხილე.
კ. (კაპ.) – კაპიკი.
კნ. – კნიაზი, კნიაჟნა, კნეინა (თავადი; თავადის ქალი; თავადის ცოლი).
კომენტ. – კომენტარი.
კოპ. – კოპეიკი/კაპიკი; – იხ. აგრეთვე: **კ. (კაპ.)**
კრბ. – კრებული.
მამრ. – მამრობითი.
მან. – მანეთი.
მუხ. (მუხლ.) – მუხლი (იურიდიული ტერმინი).
ნაწ. – ნაწილი.
პერს. – პერსონაჟი.
პოლ. – პოლონური/პოლონურ ენაზე.
პრაპ. – პრაპორშჩიკი.
პროფ. – პროფესორი.
ჟურნ. – ჟურნალი.
რ. (რუბ.) – რუბლი.
რუს. – რუსული/რუსულ ენაზე.
საქ. – საქმე.
სეა – საქართველოს ეროვნული არქივი.

სსრ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სსრ შსს – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ტ. – ტომი.

უფ. – უფალი (თავაზიანი მიმართვის ან ხსენების ფორმა).

ფ. – ფურცელი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქლსმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

შენიშვნ. – შენიშვნა.

შტ. კაპ. – შტაბს-კაპიტანი.

წგნ. – წიგნი.

ხ. – ხელნაწერი.

ხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Дореволюц. – Дореволюционный (რევოლუციამდელი).

ДСС (Д.С.С.) – Действительный Статский Советник (ნამდვილი სამოქალქო მრჩეველი).

К – Копейка (კაპიკი).

Р – Рубль (რუბლი/მანეთი).

Собр. зак. – Собрание законов (კანონთა კრებული).

ССР – Советская Социалистическая Республика (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა).

Т. – Том (ტომი).

ТГУ – Тбилисский государственный университет (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

Тип. – Типография (ტიპოგრაფია/სტამბა).

Ч. – Часть (ნაწილი).

Н – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი.

r – რექტო (წიგნის ან ხელნაწერის პირველი, კენტი, გვერდი).

v – ვერსო (წიგნის ან ხელნაწერის მეორე, ლუწი, გვერდი).

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი:

პირთა:•

ა

აბაზაძე ლევან – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 309

აბაშიძე დიმიტრი ლევანის ძე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია, 1844 წ. ხელს აწერს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ყოველთვიური ჟურნალის „სინათლე“ პროგრამას (გორის მაზრაში მცხოვრებ მოღვაწეთა განზრახვა ჟურნალის დაარსებისა ვერ განხორციელდა) – 309

აბაშიძე დიმიტრი ივანეს ძე – კახელი მემამულე (სიღნაღის მაზრიდან) – 365

აბაშიძე ზურაბ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 367

აბაშიძე ივანე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1844 წელს ხელს აწერს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ყოველთვიური ჟურნალის „სინათლე“ პროგრამას (გორის მაზრაში მცხოვრებ მოღვაწეთა განზრახვა ჟურნალის დაარსებისა ვერ განხორციელდა) – 309

აბაშიძე კონსტანტინე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), დიმ. ყიფიანთან ერთად ფლობდა საზიარო ტყეს, რომელიც არაერთხელ ქცეულა დავის (მათ შორის, სასამართლო დავის) საგნად – 303, 304, 461

• პირთა საძიებელში ბიბლიური, ლეგენდარული და ლიტერატურული პერსონაჟების სახელებიცაა შეტანილი.

აბაშიძე სვიმონ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366
აბაშიძეები – თავადური საგვარეულო იმერეთში, ქართლში, კახეთსა და აჭარაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ იმერეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში – 430, 468
აბელიშვილი (აბელოვი) ბესარიონ – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318
აბელიშვილი (აბელოვი) ივანე – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) სამოქალაქო ჩინი აქვს – 318
აბულაძე ილია (1901-1968) – ქართველოლოგი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მის სახელს უკავშირდება კავკასიის ალბანელთა ანბანის აღმოჩენა – 426, 472, 475
აბხაზი ალექსანდრე (კოხტა) (1838-1913) – კახელი (კარდანახელი) მემამულე, ი. ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი (თბილისის გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში ერთად სწავლობდნენ), ილიაზე მოგონების ავტორი – 457, 458
აბხაზი (აბხაზოვი) დიმიტრი (1813-1868) – კახელი (კარდანახელი) თავადი, ალექსანდრე (კოხტა) აბხაზის (1838-1913), მამა. 1862 წელს დიმ. აბხაზი საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით ბარათებს სწერს დიმ. ყიფიანს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№950-952) – 365, 457, 458
ანდრონიკოვები – იხ. **ანდრონიკაშვილები (ანდრონიკოვები, ენდრონიკაშვილები)**
ავალიშვილი (ავალოვი) ალექსანდრე – ავტორი წიგნისა „Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112,967 р. 14 к. (Тиф.: 1871) – 459, 472; იხ. აგრეთვე: **Авалов А. С.**
ავალიშვილი (ავალოვი) ასლან – კახელი მემამულე (სიღნაღის მაზრიდან) – 367
ავალიშვილი (ავალოვი) დიმიტრი – კახელი მემამულე (სიღნაღის მაზრიდან) – 367
ავალიშვილი (ავალოვი) ზაზა – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ავალიშვილი (ავალოვი) ილია – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 367

ავალიშვილი (ავალოვი) რაჟდენ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 311

ავალიშვილი (ავალოვი) ქაიხოსრო – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ავთანდილოვი (ავთანდილაშვილი) ზაალ (ზაქარია) (1813-დაახლ. 1868) – სახელმწიფო მოხელე, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), დიმ. ყიფიანის ახალგაზრდობის მეგობარი (1830-იან წწ. დასაწყისში ერთად მასწავლებლობდნენ თბილისის გიმნაზიაში), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ქ. პერმში), „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ გაერთიანებული რედაქციის რედაქტორის, პლატონ იოსელიანის, მოადგილე (1845-1846), კავკასიის მეფისნაცლის საბჭოს საქმეთა მმართველი (1865 წლიდან), თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კომიტეტის წევრი (1867) – 449, 450

ალექსანდრე I (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი (1801-1825; ტახტზე ავიდა სასახლის კარზე დაგეგმილი და განხორციელებული გადატრიალების შემდეგ). 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და ქართლ-კახეთში რუსეთის უშუალო მმართველობა დაამყარა. 1820-იან წწ. იგი მისტიციზმმა შეიპყრო, რამაც წარმოშვა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, იმპერატორი მართლაც 1825 წელს კი არ მოკვდა (ტაგანროგში), არამედ მალულად დატოვა ტახტი და ციმბირის ერთ-ერთ მონასტერში ბერად აღიკვეცა, მისი პეტერბურგში ჩამოსვენება და დაკრძალვა კი სინამდვილეში მისტიფიკაცია იყო – 90, 145, 328, 405, 426, 455

ალექსანდრე II (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი (1855-1881), მსოფლმხედველობით კონსერვატორი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, განეხორციელებინა ლიბერალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი (მათ შორის სამხედრო, სასამართლო, 1861 წ. საგლეხო, საცენზურო, თვითმმართველობის...) რეფორმები, რის გამოც რუსეთის ისტორიაში შესულია ეპითეტით – „გან-

მათავისუფლებელი“. 1881 წ. 1 მარტს ალექსანდრე II მოკლეს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით (მკვლელობის დღეს აპირებდა მსვლელობა მიეცა მიხ. ლორის-მელიქოვის მიერ შემუშავებული რუსეთის კონსტიტუციის პროექტისთვის) – 301, 424, 433, 452, 461, 462

ალექსანდრე ივანეს ძე (I) – იხ. **ბარიატინსკი ალექსანდრე**

ალექსანდრე ივანეს ძე (II) – იხ. **ჩერნიშოვი ალექსანდრე**

ალექსანდრე სამოილის ძე – იხ. **ფრენკელი ალექსანდრე**

ალექსი მიხეილის ძე (1629-1676) – რუსეთის მეფე (1645-1676), სჯულმდებელი (1649; დამატებები: 1667, 1669, 1676 წწ.). მისი „სჯულდების“ მიხედვით, მებატონეს შეეძლო, გაქცეული ყმა განუსაზღვრელი ვადით ეძებნა – 74

ალექსიძე გიორგი – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ალხაზაშვილი (ალხაზოვი) ლაზარე – ქართლელი მემამულე (გორის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის ასესორია (Коллежский асессор) – 310

ამატუნი ნაპოლეონ (1839-1899) – თბილისელი ვექილი (1862 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი), თბილისის საბჭოს ხმოსანი 1870-იან წწ.; 1884 წ. მწვავე პოლემიკა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან საადგილმამულო ბანკის საკითხზე – ბანკი სომხების დისკრიმინაციას ეწევაო. 1897 წ. თბილისის საკრედიტო საზოგადოების ფულის გაფლანგვისთვის „ყოველივე ღირსების ჩამორთმევა“ და საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში გადასახლება მიესაჯა – 458

ამილახვარი (ამილახვაროვი) დავით – ქართლელი თავადი, 1863 წ. პრაპორშჩიკია – 311

ამილახვარი (ამილახვაროვი) ივანე (1819-1874) – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან). 1863 წ. პოდპოლკოვნიკია (გარდაიცვალა პოლკოვნიკის ჩინით; სამხედრო განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული), პოეტი; დაცულია (H-73) მის მიერ 1844 წ. შედგენილი ავტოგრაფული ხელნაწერი კრებული („შეკრება ლექსთა“, I ნაწილი), რომელშიც რუსეთში (ძირითადად პეტერბურგში) დაწერილი ლექსებია შესული – 309

ამილახვრები – თავადთა საგვარეულო ქართლში, საამილახოროს მფლობელნი. გვარი წარმომდგარია ამილახორის სამოხელეო

თანამდებობიდან. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „...შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გვარი, განა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით“ – 430, 468

ამირაჯიბი (ამირაჯიბოვი) დავით – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან); 1843 წ. პრაპორშჩიკია – 35

ანდრონიკაშვილები (ანდრონიკოვები, ენდრონიკაშვილები) – თავადური საგვარეულო. ლეგენდის მიხედვით – ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე კომნენოსის შთამომავალნი, კახეთში XII საუკუნის II ნახევარში დამკვიდრებულნი. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში ენდრონიკაშვილი კახეთის თავადთა ნუსხაშია შეყვანილი – 357, 363, 387, 430, 449

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) (I) – კახელი თავადი – 78

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) (II) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 365, 470

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ალექსანდრე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ალექსანდრე ივანეს ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. კაპიტანია – 367

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ალექსანდრე პაატას ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 365

ანდრონიკაშვილი არჩილ (1834-1864) – სამხედრო პირი (შტაბ-როტმისტრი; თავი ისახელა ბაშკადიკლარის ცნობილ ბრძოლაში), გენერალ-ლეიტენანტისა და კავალერიის გენერლის, ივანე (იოანე) ანდრონიკაშვილის ვაჟი – 470

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) აქაზ – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვისა) ბაბე – კახელი მემამულე (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკის ქვრივია – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) გიორგი (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან); 1867 წ. აირჩიეს იმ კომიტეტის წევრად, რომელსაც თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება უნდა შეემუშავებინა – 365, 451

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) გიორგი (II) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) გიორგი (III) – კახელი მემამულე (თელავის მაზრიდან), 1863 წ. მაიორია – 386

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) გიორგი (IV) – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) გიორგი (V) – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) დიმიტრი – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. შტაბს-კაპიტანია – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) დონიკე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ზაქარია – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ზაქარია აბელის ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ზაქარია თომას ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ზაქარია იესეს ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) სამოქალაქო ჩინი აქვს – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ზურაბ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) თამაზ – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვისა) თინია – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) იასე – კახელი მემამულე – 392

ანდრონიკაშვილი იასე ადამის ძე (1814-1892) – სასამართლოს მაღალჩინოსანი. საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник). 1830-იან წწ. მონაწილეობდა თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა მიერ ხელნაწერი ჟურნალის „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“) გამოცემაში (აქვეა შესული მისი რამდენიმე მცირე ზომის პროზაული ტექსტი), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1887 წ. თბილისში ზეიმით

აღინიშნა მისი სამსახურებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. თანამედროვეთა შორის ცნობილი იყო უმწიკვლო პიროვნული და სამსახურებრივი რეპუტაციით („არც ერთხელ სასწორი სამართლისა მის ხელში არ გამრუდებულა!“ – ნათქვამია გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში). გარდაიცვალა თბილისში. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ვერის წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში – 316, 450

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე (II) – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე (III) – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე იოსების ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 367

ანდრონიკაშვილი ივანე (იოანე) მალხაზის ძე (1798-1868) – გენერალ-ლეიტენანტი (1850), კავალერიის გენერალი (1868), თბილისის სამხედრო გუბერნატორი და გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის მმართველი (1849-1856), ელენე ერეკლე II-ის ასულის (1753-1784) შვილიშვილი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს. ივანეს მამა, მალხაზ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილი (1773-1822), იბრძოდა რუსების წინააღმდეგ, რის გამოც ერთხანს ლტოლვილობაშიც იყო სოლომონ II-სთან ერთად. ი. ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში მიიღო სამხედრო განათლება, ერთხანს სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე, რის გამოც დედამ, რუსეთის მოძულე მარიამ (მაია) არჩილ ბატონიშვილის ასულმა (1775-1854), დასწყევლა შვილი, დატოვა ოჯახი და ანჩისხატს შეაფარა თავი (იქვეა დაკრძალული). ი. ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ., აგრეთვე, „კავკასიისა“ და „ყირიმის“ ომებში. მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსმალთა წინააღმდეგ ჩატარებული ბრწყინვალე ოპერაცია ახალციხესთან (1853 წ. 14 ნოემბერი). გარდაიცვალა

1868 წლის 19 სექტემბერს მშობლიურ სოფელ ქოდალოში, იქ-ვეა დაკრძალული. ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში დაცულია დიმ. ყიფიანის ბარათები ი. ანდრონიკაშვილისადმი (№№668-674) და ი. ანდრონიკაშვილის ბარათები დიმ. ყიფიანისადმი (№№899-906) – 354, 450

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ილია – კახელი თავადი (სიღ-ნაღის მაზრიდან) – 365

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) იოსებ – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) კონსტანტინე – კახელი აზნა-ური (სოფ. ოჟიოდან) – 386

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) მიხეილ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 367

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვისა) ნინა – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან), 1863 წ. პოდპოლკოვნიკის მეუღლეა – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) რამაზ – კახელი აზნაური (სოფ. ოჟიოდან) – 387

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) რამაზ ივანეს ძე (1813-1885) – კახელი თავადი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действи-тельный статский советник), ერთხანს მუშაობდა კავკასიის მთავარსამმართველოში ჩინოვნიკად, თუმცა სამსახურს თავი დაანება და გურჯაანში, თავის საგვარეულო მამულში, დამ-კვიდრდა. სხვადასხვა ხასიათის ტექტებს აქვეყნებდა გაზეთ „კავკაზში“ – 316, 450-451

ანდრონიკაშვილი რევაზ (1818-1877) – გენერალ-ლეიტენანტი (სამ-ხედრო განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული); ნიკ. ბა-რათაშვილის სიყრმის მეგობარი; თბილისის გუბერნიის თავა-დაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1870-1877 წწ. (ამ პოს-ტზე დიმ. ყიფიანი შეცვალა; რ. ანდრონიკაშვილმა წარუდგინა იმპერატორ ალექსანდრე II-ს ადრესი თბილისში კადეტთა კორ-პუსის გახსნის თხოვნით, რასაც ილია ჭავჭავაძის ცნობილი „გამოცანები“ და „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მეორე ტალღა მოჰყა). დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 365, 423, 450, 453

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) სოლომონ (1812-1871) – სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1847-1871 წწ., პოლკოვნიკი, რევაზ ანდრონიკაშვილის (1818-1877) ძმა, მსხვილი კახელი (ბაკურციხელი) მემამულე და მრეწველი (აბრეშუმის ფაბრიკა ჰქონდა გამართული). ხელნაწერთა ცენტრში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№916-926) დაცულია სოლ. ანდრონიკაშვილის ბარათები დიმ. ყიფიანისადმი – 417, 423; იხ. აგრეთვე: **Андроников С. И.**

აპრაქსინი ვ. – რუსული არისტოკრატული გვარეულობის წარმომადგენელი; მონაწილეობდა 1861 წ. რუსეთის საგლეხო რეფორმის ჩატარებაში – 429

არწრუნი იერემია (1804-1877) – გენერალ-მაიორი (დაიბადა ოსმალეთში – ქ. ვანში. 9 წლისა იყო, მისი მშობლები თბილისში რომ გადმოსახლდნენ); თვალსაჩინო სომეხი ჟურნალისტის, პუბლიცისტის, კრიტიკოსის, გაზეთ „მშაკის“ (1872-1920) დამაარსებლისა და რედაქტორ-გამომცემლის, გრიგოლ არწრუნის (1845-1892), მამა; რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „კავკასიის ომის“ (1817-1864) მონაწილე. 1866-1868 წწ. იყო თბილისის ქალაქის თავი (მოურავი). 1875 წ. დეკემბერში ქალაქის თავის არჩევნებზე ი. არწრუნის კანდიდატურაც იყო წარდგენილი, მაგრამ დიმ. ყიფიანმა ერთი ხმით აჯობა. გარდაიცვალა თბილისში და აქვე, ვერის სომხურ სასაფლაოზე, დაკრძალეს – 449, 450

ასათიანი იოველ (1907-2002) – მეცნიერი-ეკონომისტი, XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 416, 417, 451, 448, 451, 453, 472

აღბუღა I *ჯაყელი* – სამცხის ათაბაგი, საქართველოს ათაბაგ-ამირსპასალარი XIV სს. II ნახევარში, სჯულმდებელი, შეადგინა სამართლის წიგნი („აღბუღას სამართალი“), რომელიც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშია შეტანილი – 15

ახალკაცისშვილი – ქართლელი გლეხი – 78

ბ

ბაბადიშევი გლახა – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318

ბაგრატიონი იოანე – იხ. **იოანე ბაგრატიონი (იოანე ბატონიშვილი)**

ბაგრატიონ-დავითაშვილი (ბაგრატიონ-დავიდოვი) ალექსანდრე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 311

ბაგრატიონ-მუხრანსკი – იხ. **მუხრანბატონი (მუხრანსკი)**

ბათო-ყაენი (1208-1255) – მონღოლი ხანი (ყაენი), ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი, ოქროს ურდოს დამაარსებელი – 301

ბარათაშვილები – თავადური საგვარეულო, რომლის ფუძემდებლად მიიჩნევა ბარათა ქაჩიბაიძე (XV ს.); სომხით-საბარათიანოს სარდლები; სამფლობელოს ცენტრი – სამშვილდე. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში ბარათაშვილები ქართლის თავადთა ნუსხაში არიან შეყვანილნი – 449

ბარათაშვილი ზაალ (ტატო) – 1860-იანი წწ. დასაწყისში იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“), ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის, მოადგილე და თბილისის მაზრის „მარშალი“; ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანის მეუღლის, ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანის (1807-1873), ძმა – 423

ბარათაშვილი (ბარათოვი) ტიხონ – ეს უნდა იყოს ისტორიკოსი, ფოლკლორისტი და სამხედრო პირი **სულხან ბარათაშვილი** (1821-1866), რომელსაც შინაურები და ახლობლები **ტიხონს** ეძახდნენ და ხშირად საკუთარ თავსაც ამ სახელით მოიხსენიებდა. მცირე შთამომავლობითი მამული ჰქონდა თბილისის მაზრის სოფ. მარაბდაში; 1866 წ. 13 აგვისტოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა სოხუმში. იქვე, სოხუმის წმ. გიორგის ეკლესიის შესასვლელ კარებთან, დაკრძალეს, თუმცა მოგვიანებით ეკლესია გააფართოვეს და საფლავიც ეკლესიის შიგნით მოექცა – 308, 467

ბარანოვსკი ნიკოლოზ (1829-1878) – საიდუმლო მრჩევლი (Тайный советник), სენატორი (1876 წლიდან), 1856-1876 წწ. მსახურობდა თბილისში, 1860-1863 წწ. იყო თბილისის ვიცე-გუბერნატორი, აქტიურად მონაწილეობდა საგლეხო, სასამართლო და სამოქალაქო მმართველობის რეფორმების ჩატარებაში – 423

ბართოლომეი (ბარტოლომეი) ივანე (1813-1870) – რუსი სამხედრო პირი (გენერალ-ლეიტენანტი) და მეცნიერი (ენათმეცნიერი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმიზმატი; საქართველოდან გატანილი მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია გადასცა ერმიტაჟს), პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1856 წლიდან). წლების განმავლობაში მსახურობდა კავკასიაში (ჩაჩნეთი, აფხაზეთი, სვანეთი, თბილისი), ემსახურებოდა ზოგადად კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს რუსიფიკაციის იდეას და ამ საქმეში ჯაშუშობასაც არ თაკილობდა; „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ დავალებით შეადგინა „სვანური ანბანი“ („Лушну анбан. Сванетская азбука“ – ტფ.: 1864); „აფხაზური ანბანისა“ (ტფ.: 1866) და „ჩეჩნური ანბანის“ (ტფ.: 1866) შემდგენელი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია სოლოლაკის ამაღლების ეკლესიაში – 414

ბარიატინსკი ალექსანდრე (1815-1879) – კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი (1856-1862), იმპერატორ ალექსანდრე მეორესთან დაახლოებული პირი. 1859 წლის 25 აგვისტოს დაატყვევა შამილი, რისთვისაც მიიღო გენერალ-ფელდმარშლობა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. 1862 წ. ავადმყოფობის გამო გადადგა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან. გარდაიცვალა ჟენევაში, საიდანაც გადაასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს საგვარეულო სამარხში, კურსკის გუბერნიის სოფელ ივანოვსკოეში. იქვეა დაკრძალული მისი მეუღლეც – ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანი-ბარიატინსკაია (1836-1899; ელისაბედი იყო ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ძმისწული) – 114, 262, 407, 408-410, 413, 415, 419, 422-425, 433, 441-443, 455, 459; იხ. აგრეთვე: **Барятинский А. И.**

ბაქრაძე აკაკი (1928-1999) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლიტერატურული-, თეატრალური- და კინოკრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 416, 477, 480

ბებუთოვი ნიკოლოზ (ნიკოლაი) (1839-1904) – სამხედრო პირი, გენერალ-მაიორი (მიენიჭა 1894 წ.), ინფანტერიის გენერლისა

და ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალრის, ვასილ ბებუთოვის (1791-1858), ვაჟიშვილი, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის მონაწილე – 309

ბეგთაბეგოვი ავთანდილ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პროვინციალური მდივნის (Провинциальный секретарь) ჩინი აქვს – 309

ბეგთაბეგოვი სულხან – ქართლელი თავადი (გორიდან), 1863 წ. კოლეგიის ასესორის (Коллежский асессор) ჩინი აქვს; ამის ქალიშვილს, დარია ბეგთაბეგოვას, 1849 წ. ლექსი უძღვნა გიორგი ერისთავმა („კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას“) – 337

ბეჟუაშვილი ბეგო – ფილოლოგი, საქართველოში დისიდენტური მოძრაობის წევრი („ჰელსინკის ჯგუფის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი წევრი), შემდგენელი (გ. მურღულიასთან ერთად) კრებულისა „მსოფლიო ლიტერატურა. რჩეული მოთხრობები“ (ტ. 1-11. თბ.: 2007-2018) – 4

ბერიაშვილი გლახა – კახელი (თელავის მაზრიდან) გლეხი – 28

ბერიაშვილი თევდორე – კახელი (თელავის მაზრიდან) გლეხი – 28

ბერკლი ჯორჯ (1685-1753) – ირლანდიელი ფილოსოფოსი, მისიონერი, კლოინის (ირლანდია) ეპისკოპოსი (1734 წლიდან) – 428

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1894-1965) – ისტორიკოსი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951-1957), ძირითადად იკვლევდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 401, 472

ბერძნიშვილი მაქსიმე (1889-1967) – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი). მისი თაოსნობით დაარსდა პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემები: „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, „წიგნის მატიანე“, „გაზეთის მატიანე“. იკვლევდა საქართველოს როგორც ძველ, ისე XIX ს. ისტორიას – 401, 472

ბოგდანოვ-კალინსკი კონსტანტინე (1815-1871) – ფინანსისტი, ბანკირი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), 1840-იან წწ. მეფისნაცვალმა მიხ. ვორონცოვმა ოდესიდან მოიწვია თავისი კანცელარიის თანამშრომლად და სამუდამოდ აქ დარჩა (წარმოშობით პოლტავის

გუბერნიიდან იყო), „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამ-ზრუნველო დაწესებულების“ („პრიკაზის“) მმართველი (1850-1860-იანი წწ.), სიცოცხლის ბოლო წლებში განაგებდა კავკასი-ისა და ამიერკავკასიის სამედიცინო ნაწილს. გარდაიცვალა თბილისში 1871 წ. 24 ნოემბერს – 423

ბოკლი ჰენრი ტომას (1821-1862) – ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი, ავტორი მონუმენტური ნაშრომისა „ცივილიზა-ციის ისტორია ინგლისში“ – 428

ბოროზდინი კორნილი (1828-1896) – რუსი მწერალი, მემუარისტი, სახელმწიფო მოხელე, საქართველოში მსახურობდა 1853-1867 წწ.: ჯერ ეკატერინე დადიანის მდივნად და შვილების აღ-მზრდელად (1853-1856), შემდეგ – სენაკისა (1856-1861) და თე-ლავის (1861-1865) მაზრების უფროსად, საგლეხო საქმეთა სა-გუბერნიო საკრებულოს წევრად (1865-1867). ამის შემდეგ ცხოვრობდა ჯერ მოსკოვში, 1870 წლიდან – პეტერბურგში. დაკრძალულია პეტერბურგში, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავ-რაში – 424, 473

ბოცვაძე იოსებ (1914-1981) – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტე-რატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი. შეად-გინა, წინასიტყვით, შენიშვნებითა და კომენტარებით გამოსცა სერგეი მესხის „თხზულებანი“ (I-III. თბ.: 1962-1964) – 474, 475

ბრანიცკაია-ვორონცოვა ელისაბედ – იხ. **ვორონცოვა ელისაბედ**

ბროკჰაუზი ფრიდრიხ არნოლდ (1772-1823) – გერმანელი გამომ-ცემელი, რომელმაც დააარსა საგამომცემლო ფირმა „ბროკჰა-უზი“ და რომლის მიერ გამოცემული „ბროკჰაუზის ენციკლო-პედია“ საფუძვლად დაედო ბროკჰაუზ-ეფრონის რუსულ ენ-ციკლოპედიას (1890-1907) – 403, 458, 473; იხ. აგრეთვე: **Брок-гауз Ф. А.**

ბულაძე (პერს.) – 282, 283

ბუტკოვი ვლადიმერ (1818-1881) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტის წევრი; სენატორისა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემი-ის აკადემიკოსის, კავკასიის ისტორიის შესახებ მნიშვნელოვა-ნი ნაშრომების ავტორის, გენერალ-ლეიტენანტ პეტრე გრი-გოლის ძე ბუტკოვის (1775-1857), შვილი; პეტერბურგში არსე-

ბული „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მმართველი (1845 წლიდან) და ხელმძღვანელი 1860-1865 წწ. –425

ბუტკოვი პეტრე (1775-1857) – სამხედრო პირი (გენერალ-ლეიტენანტი), ისტორიკოსი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник; 1856 წლიდან), სენატორი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი კავკასიის ისტორიის შესახებ – 401, 473; იხ. აგრეთვე: **Бутков П. Г.**

გ

გაბუნია მერაბ – ქართლელი მემამულე (გორის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის მდივნის (Коллежский секретарь) ჩინი აქვს; მსახიობ ნატო გაბუნიას (1859-1910) მამა – 310

განი (ჰაანი) პავლე (1793-1862) – ბარონი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და „კავკასიის კომიტეტის“ წევრი, 1830-1840-იან წწ. ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელმაც ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობითი, სამართალწარმოების, ფინანსური და სხვ. მიმართულებით რეფორმირების პროექტი შეიმუშავა. „განის რეფორმა“ შეუფერებელი აღმოჩნდა ადგილობრივი პირობებისთვის, გამოიწვია როგორც მოსახლეობის, ისე მმართველი წრეების უკმაყოფილება, ვერც ნიკოლოზ I-ის მიერ სპეციალურად დანიშნული კომისიის რევიზიას გაუძლო და ყოველივე ამან მისი კარიერა შეიწირა (1847 წ. დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან) – 12, 13, 16, 40, 41, 57, 58, 64, 401

გაწერელია აკაკი (1910-1994) – ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. გამოირჩეოდა მეცნიერული ინტერესების მრავალმხრივობით. დიდი ამაგი დასდო XIX ს. ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი...) თხზულებების (მათ შორის, ეპისტოლური მემკვიდრეობის) შესწავლისა და გამოცემის საქმეს – 474

გელეიშვილი პეტრე (1870-1938) – მკვლევარი, პუბლიცისტი (ძირითადი ფსევდ. „ყარიბი“), პოლიტიკური მოღვაწე (საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული

პარტიიდან); შეეწირა ბოლშევიკურ რეპრესიებს (დახვრიტეს 1938 წ. 17 მარტს) – 463

გვერდწითელი ნიკოლოზ – ქართელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

გიორგი V *ბრწყინვალე* (გარდ. 1346) – საქართველოს მეფე 1318-1346 წწ.; დიპლომატიური ნიჭისა და პოლიტიკური მოქნილობის მეშვეობით მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი, ეკონომიკურად დაუძლურებული და პოლიტიკურად დაშლილი ქვეყნისგან ძლიერი, გამთლიანებული და ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნა. გიორგი V-ის მიერ განხორციელებულ რეფორმათა შორისაა მისი ინიციატივით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის (მთიულეთისთვის) შემუშავებული სამართლის წიგნი („ძეგლის დადება“, „ძეგლისდება“), რომელიც ქართული სამართლის ისტორიის ღირსშესანიშნავ ძეგლად მიიჩნევა (ჩართულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში) – 15

გიორგი XII (გიორგი XIII) (1746-1800) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე [ძე ერეკლე II-ისა და ანა დედოფლისა (ზაალ აბაშიძის ასულის)]. 1800 წელს ფიზიკური დაუძლურებით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო სისუსტითა და სამეფო კარზე აშლილობით გაწამებულმა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს მიმართა „სათხოვართა პუნქტებით“, რომლითაც თმობდა გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრებაში და ქვეყანას ფაქტობრივად რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა, ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთი არ გააუქმებდა ქართლ-კახეთის ტახტს და არ მოსპობდა მასზე გიორგი XII-ის პირდაპირ შთამომავალთა უფლებას. ადრინდელ წყაროებსა თუ ლიტერატურაში იხსენიება როგორც გიორგი XIII. მიზეზი ამისა კი ის არის, რომ ქართლის მეფე გიორგი XI (1651-1709) ტახტზე ორჯერ ავიდა: 1676 და 1703 წლებში – 90, 144, 328, 377, 405, 474

გიჯიმყრელი დავით – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან) – 366

გიჯიმყრელი კონსტანტინე – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან) – 366

გოგია რევაზ – ფილოლოგი, ისტორიკოსი, მთარგმნელი (გ. კ. ჩესტერტონი, ვ. გარშინი...), ავტორი ნაშრომისა „პონტოელი ბერძნები საქართველოში“ – 4

გოგნიაშვილი (გოგნიევი) ალექსანდრე – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318

გოგნიაშვილი (გოგნიევი) ზაქარია – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318

გოგნიაშვილი (გოგნიევი) ქაიხოსრო – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318

გოზალიშვილი შალვა (1909-1993) – ფილოლოგი, ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 400, 473

გოლოვინი ევგენი (1782-1858) – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ცალკე კორპუსის სარდალი (1837-1842). 1840-იან წწ. მისი სახელი ეწოდა თბილისის მთავარ ქუჩას, რომელიც 1918 წლიდან რუსთაველის სახელობისაა – 13, 22, 34, 36, 40, 41, 55, 56-59, 63, 64, 77, 80, 81, 85, 408

გოცაძე მიხეილ (1919-1984) – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა XIX ს. საქართველოს ისტორიას. ავტორი წიგნისა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ (I. თბ.: 1954) – 411, 473

გრიბოედოვა ნინო – იხ. **ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო**

გრიბოედოვი ალექსანდრე (1795-1829) – პოლონური წარმოშობის (გრჟიბოვსკი) რუსი მწერალი და დიპლომატი, მასონური ლოჟის „Du Bien“ ერთ-ერთი დამფუძნებელი (1817), რუსეთის ელჩი (მინისტრ-რეზიდენტი) ირანში (1828-1829), მეუღლე ნინო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა; 1829 წ. 30 იანვარს რუსეთის პოლიტიკით აღშფოთებულმა ბრბომ თეირანში რუსეთის საელჩოს თანამშრომლები ამოხოცა და გრიბოედოვიც ამ თავდასხმას შეეწირა. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე – 458

გრიქურაშვილი – ქართლელი გლეხი – 68, 73, 74

გრიშაშვილი იოსებ (1889-1965) – პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 469, 473

გურამიშვილი ვახტანგ (1821-1894) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, 1845-1846 წწ. მთარგმნელად მსახურობდა გაზეთში „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“, შემდეგ სამოხელეო გზას გაჰყვა, 1870-იან წწ. ელიზავეტპოლის ვიცე-გუბერნატორია, გარდაიცვალა თბილისში 1894 წ. 30 აგვისტოს, „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში იგი დახასიათებულია, როგორც „მტკიცე პატიოსნების კაცი და ერთგული მამულიშვილი თავისი ქვეყნისა“ („ივერია“, 2.IX, 1894, №186); მოგონება („თ. ვახტანგ გურამიშვილი“) უძღვნა ა. წერეთელმა – 451

გუგუშვილი პაატა (1905-1987) – მეცნიერი (ეკონომისტი, სოციოლოგი, ქართული წიგნისა და ჟურნალისტიკის მკვლევარი), აკადემიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“ (ტ. I-VII, თბ.: 1949-1984) – 412, 420, 421, 429-431, 463, 465, 467, 469, 473, 474; იხ. აგრეთვე: **Гугушвили П. В.**

გურგენიძე – ქართლელი თავადი – 78

გუჩუა ვიქტორ (1914-1985) – ისტორიკოსი. ძირითადად იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 474

დ

დადიანი დავით – იხ. **დავით დადიანი**

დადიანი ეკატერინე – იხ. **ეკატერინე დადიანი**

დადიანი ლევან – იხ. **ლევან დადიანი**

დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1867 წ. იანვარში ნებაყოფლობით თქვა უარი მთავრის უფლებებზე, რასაც სამეგრელოს სამთავრო ტახტის გაუქმება მოჰყვა), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, დამფუძნებელი წევრი „ქშწ-კგ საზოგადოებისა“, რომელსაც 1885 წელს უმდიდრესი და უძვირფასესი ბიბლიოთეკა შესწირა; 1886 წ. მისი კანდიდატურა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ წარდგენილი იყო ბულგარეთის მთავრის თანამდებობაზე, მაგრამ იმ

დროს ბულგარეთში გავრცელებული ანტირუსული სულის-კვეთების გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა; გარდაიცვალა პეტერბურგში, საიდანაც ჩამოასვენეს სამშობლოში და მარ-ტვილის ტაძარში დაკრძალეს – 459; იხ. აგრეთვე: **Мингрельский Н. Д.**

დავით დადიანი (1813-1853) – სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წწ. (1840-1846 წწ. თანამმართველი იყო მამასთან, ლევან V დადი-ანთან, ერთად, ხოლო 1846-1853 წწ. ერთპიროვნულად განა-გებდა სამეგრელოს სამთავროს); გენერალ-მაიორი, მწიგნო-ბარი და ბიბლიოფილი. ჰქონდა ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა უძვირფასესი ბიბლიოთეკა, რომელიც მისმა შვილმა, ნიკო და-დიან-მინგრელსკიმ (1847-1903), „ქშწ-კგ საზოგადოებას“ შეს-წირა; ენერგიულად ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს მმართველობითი სისტემისა და საზოგადოებრივ-კულტურუ-ლი ცხოვრების ევროპეიზაციას, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. გარდაიცვალა გორდის სასახლეში. დაკრძა-ლულია მარტვილის ტაძარში – 67, 68

დავითულიანი – იმერელი გლეხი – 54

დათიევები – ქართლელი გლეხები – 77

დიმიტრი I (*დონელი*) (1350-1389) – მოსკოვის დიდი მთავარი (1359-1389), მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაც-ხილი; 1380 წელს კულიკოვოს ველზე სასტიკი მარცხი აგემა ოქროს ურდოს ბეგლარბეგს, მამაის – 301

დოლიძე ისიდორე (1915-1982) – იურისტი, სამართლის ისტორი-კოსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1957-1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1960-1966), სამეცნიერო აპარატის თან-დართვით შეადგინა „ქართული სამართლის ძეგლების“ რვა-ტომეული (თბ.: 1963-1985) – 402, 404, 475

დონელი – იხ. **დიმიტრი I** (*დონელი*)

დუმბაძე მამია (1915-1990) – ისტორიკოსი. იკვლევდა შუა საუკუნეე-ბის საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულ-ტურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 474

ე

ეკატერინე II (1729-1796) – რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წწ., „განათლებული აბსოლუტიზმის“ მიმდევარი; რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთი, რამაც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება განაპირობა, 1783 წ. ერეკლე მეორესთან გააფორმა მფარველობითი ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“) – 37

ეკატერინე დადიანი (1816-1882) – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი (პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფული კრებული, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება); სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით დაინტერესებულმა რუსეთის ხელისუფლებამ 1857 წ. ეკატერინე დადიანი „მიიწვია“ პეტერბურგში, საიდანაც მხოლოდ 1868 წელს, სამთავროს გაუქმების შემდეგ, შეძლო დაბრუნება. „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში. 1859-1867 წწ. მისი ქონება-მამულებისა და მცირეწლოვანი ძის, სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის, ნიკო დადიანის (მინგრელსკის) (1847-1903), მეურვე იყო დიმ. ყიფიანი – 425, 442, 459

ერეკლე (ირაკლი) II (1720-1798) – კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე. საქართველოს ისტორიული მტრებისაგან უკიდურესად შევიწროებულმა, მას მერე, რაც ევროპაში ვერ იპოვა მოკავშირე, სამეფოს ბედი დაუკავშირა რუსეთს – 1783 წ. გააფორმა „გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი“. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 90

ერივანსკი – იხ. **პასკევიჩი ივანე**

ერისთავები (ერისთოვები) – სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გამგებლობიდან ტრანსფორმირებული თავადური გვარი, რომელიც გავრცელდა როგორც აღმოსავლეთ (ქსნისა, არაგვისა...), ისე დასავლეთ (გურიისა, რაჭისა...) საქართველოში – 98, 430, 448-450

ერისთავი (ერისთოვი) – ქართლელი თავადი – 78

ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე (1811-1883) – პოლკოვნიკი, ფლიგელ-ადიუტანტი, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი 33 წლის განმავლობაში, ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ძმა; ჰქონდა კულტურული ინტერესები – 1844 წ. იგი ხელს აწერს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ყოველთვიური ჟურნალის „სინათლე“ პროგრამას (გორის მაზრაში მცხოვრებ მოღვაწეთა განზრახვა ჟურნალის დაარსებისა ვერ განხორციელდა). მეუღლესთან, მართა სოლოღაშვილთან (1825-1856) და 1878 წელს პარიზში გარდაცვლილ 28 წლის ვაჟიშვილთან, გიორგისთან, ერთად დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 311, 423

ერისთავი ბიძინა (1800-1876) – ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილისა (1763-1838) და რევაზ (რომან, რომანოზ) ერისთავის (1753-1814) ვაჟი; 1826-1827 წწ. იბრძოდა რუსეთ-ირანის ომში, რის გამოც კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ი. პასკევიჩმა პრაპორშჩიკის სამხედრო ჩინი უბოძა; 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (რვა თვის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა პოლიციის მეთვალყურეობა დაუნიშნეს); თავიდან ცხოვრობდა მამისეულ სოფელ ოძისში, ძმებთან გაყრის შემდეგ კი მას ერგო სოფელი რეხა; ეპიტაფიის მიხედვით, გარდაიცვალა 1876 წ. 17 სექტემბერს; მეუღლესთან, თამარ იოსების ას. მელიქიშვილთან, ერთად დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 309

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის (დაარსდა 1850 წ.) პირველი ხელმძღვანელი, ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი, 1832 წლის შეთქმულების წევრი. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 309

ერისთავი გიორგი იასეს ძე (1759/1769-1863) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი (მეტსახელადაც „სენატორს“ ეძახდნენ), უმამაცესი მეომარი და შესანიშნავი ორატორი, ორთოდოქსი მონარქისტი, რომელმაც საფლავში ჩაიტანა რუსეთის მონარქიული ტახტისადმი განუზომელი ერ-

თგულება; ავტორი ლექსებისა და თეოლოგიურ-მორალისტური ხასიათის თხზულებისა „მამისაგან შვილის დარიგება“ („ცისკარი“, 1862, №10); დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 309

ერისთავი გიორგი ივანეს ძე (1820-1882) – ქართლელი (გორელი) თავადი, პოლკოვნიკი, სხვა გიორგი ერისთავებისაგან რომ განესხვავებინათ, მეტსახელად „მამამზეს“ ეძახდნენ – 309, 450

ერისთავი (ერისთოვი) გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე (1812-1891) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), 1829 წლიდან უნტერ-ოფიცრის ჩინით მსახურობდა ფინეთის პოლკში, მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში (მათ შორის, ვარშავის აღებაში); 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს არხანგელსკში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით, თუმცა 1840 წელს კაპიტნის ჩინით დააბრუნეს სამშობლოში); 1840-1851 წწ. მონაწილეობდა „კავკასიის ომში“; 1852 წელს იყო კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი და მართავდა თერგისა და ყუბანის მხარეს (სხვა გიორგი ერისთავებისაგან რომ განესხვავებინათ, სიცოცხლის ბოლომდე მეტსახელად „ატამანს“ ეძახდნენ); 1858-1861 წწ. იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი... გამოირჩეოდა ქველმოქმედებითა და კულტურტრეგერული ინტერესებით (მისი ხარჯით დიმ. ბაქრაძემ 1885 წ. გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, კასპში დააარსა სასოფლო სკოლა, იყო ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე 1878 წ. დაფუძნებული „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა“, უფრო ადრე წევრი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და მეთაურობით 1842 წ. დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ და სხვ.); გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ოძისში, საგვარეულო სამარხში – 35, 309, 406, 440, 450; იხ. აგრეთვე: **Эристов Г. Р.**

ერისთავი გრიგოლ (1814-1888) – პოლკოვნიკი, ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ძმა, პოლონელ ალექსანდრა ვოლსკაიაზე (დაბ. 1826) დაქორწინებული [ან: **ერისთავი გრიგოლ ივანეს (იოა-**

ნეს) ძე (1819-1876), გვარდიის პოლკოვნიკი, დაკრძალულია იკორთაში) – 309
ერისთავი დავით – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317
ერისთავი ელენე (1815-1888) – 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილის, ლუარსაბ ორბელიანის (1794-1835), ასული, პოლკოვნიკ ზაქარია ერისთავის (1814-1850) მეუღლე (სანამ ეკატერინე ჭავჭავაძეს შეირთავდა, დავით დადიანის ტრფობის საგანი ელენე ორბელიანი იყო), „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრი – 411
ერისთავი (ერისთოვი) ელიზბარ (1809-1871) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, თუმცა შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და ფინეთში გაგზავნეს რიგით ჯარისკაცად), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი. მრეწველი (1840-იან წწ. ძმასთან, დიმიტრი ერისთავთან, ერთად ატენის ხეობის სოფ. ღვარებში დააარსა მინის ქარხანა, რომელშიც ბოთლები და სხვა ჭურჭლეული მზადდებოდა. ქარხანა ელიზბარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მალე დაიხურა); სიცოცხლის ბოლო წლებში იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (ამჟამად მისი საფლავი დაკარგულია) – 309
ერისთავი იოსებ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317
ერისთავი კიაზო – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. გვარდიის შტაბს-როტმისტრია; წყაროების მიხედვით, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა – 309
ერისთავი კიაზო (გიორგი) გიორგის ძე (1821-1909) – კახელი თავადი (თელავის მაზრის სოფ. ქისტაურიდან), გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 („ყირიმის) და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე. გარდაიცვალა ქისტაურში – 317
ერისთავი სოლომონ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 309
ერმოლოვი ალექსი (1777-1861) – ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, მნიშვნელოვანი ფიგურა ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში, საქართველოს მთავარ-

მართებელი 1816-1827 წწ., ხოლო 1816-1826 წწ. – კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (ორივე თანამდებობაზე ი. პასკევიჩმა შეცვალა). დეკაბრისტებთან მეგობრული და კეთილმოსურნე ურთიერთობის გამო მას არ ენდობოდა ნიკოლოზ I. ძირითადად სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იმპერატორმა ა. ერმოლოვი გადააყენა ჯერ მთავარსარდლობიდან, შემდეგ – მთავარმართებლობიდან (1827 წლის 27 მარტს გაიწვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს). საქართველოს მართვისას ა. ერმოლოვი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაციის ძალადობრივი მეთოდებით – 11, 12, 18, 44, 402

ესპეხო იაკიმ (იეკიმ, აკიმ) (1792-1847) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, წარმოშობით ესპანელი (გრანადიდან); 1818 წ. ჩაირიცხა რუსეთის არმიაში; რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ., რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. და „კავკასიის ომის“ მონაწილე. 1837 წლის მარტში დაინიშნა იმერეთის მმართველად, საიდანაც გენერალურ შტაბში გადაიყვანეს. 1847 წ. დაინიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ, თუმცა ამ თანამდებობაზე დიდხანს ვერ დაყო, იმავე წლის 30 ნოემბერს ქუთაისშივე გარდაიცვალა – 80, 404, 405, 408

ეფრემოვა ტატიანა – რუსი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი – 457

ეფრონი ილია (დაბ. 1847) – გამომცემელი, დამაარსებელი საგამომცემლო ფირმისა „ბროკჰაუზი-ეფრონი“, რომელმაც რუსულ ენაზე გამოსცა „ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია“ (1890-1907) – 403, 458, 473; იხ. აგრეთვე: **Ефрон И. А.**

З

ვარანცოვი – იხ. **ვორონცოვი მიხეილ**

ვასილ ივანეს ძე – იხ. **სმიტენი ვასილ**

ვასილკოვსკი სერგეი (გარდ. 1845) – უკრაინული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოხელე. დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1838 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიაში: მთავარმართებლის საგანგებო

დავალებათა მოხელედ, საქართველო-იმერეთის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად, მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორად; დიმ. ყიფიანის ინიციატივით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი – 13

ვაჩნაძე ადამ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე ალექსანდრე (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 366

ვაჩნაძე ალექსანდრე (II) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე ალექსანდრე გიორგის ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პორუჩიკია – 366

ვაჩნაძე გიორგი – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე გიორგი გურგენის ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე გრიგოლ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე დავით – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე დიმიტრი – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს – 366

ვაჩნაძე ეკატერინე – კახელი თავადის ქალი (სიღნაღის მაზრიდან) – 367

ვაჩნაძე ეფემია – კახელი თავადის ქალი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკის ქვრივია – 367

ვაჩნაძე ზაალ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 366

ვაჩნაძე ზაქარია (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე ზაქარია (II) – თავადი სიღნაღის მაზრიდან. 1867 წ. აირჩიეს იმ კომიტეტის წევრად, რომელსაც თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება უნდა შეემუშავებინა – 366, 451

ვაჩნაძე ზაქარია ივანეს ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე ზურაბ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე ივანე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე იოსებ (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე იოსებ (II) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ვაჩნაძე ლუარსაბ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 366
ვაჩნაძე მიხეილ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366
ვაჩნაძე ნიკოლოზ (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 366
ვაჩნაძე ნიკოლოზ (II) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 366
ვაჩნაძე რევაზ ქაიხოსროს ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366
ვაჩნაძე რევაზ იოსების ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 366
ვაჩნაძე სვიმონ გიორგის ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366
ვაჩნაძე სვიმონ ივანეს ძე – კახელი თავადი(სიღნაღის მაზრიდან) – 366
ვაჩნაძე სოლომონ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პორტუპეი-იუნკერია – 367
ვაჩნაძეები – ფეოდალური საგვარეულო საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეს გვარი არის „უწარჩინებულესი და შემძლებელი“. მათი სამფლობელო („სავაჩნაძო“) მდებარეობდა კარდანახსა და თელავს შორის – 449
ვახვახიშვილები – თავადური გვარი კახეთში. საბუთებში იხსენიება XV ს. ბოლოდან. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, „ესენი იყვნენ პირველ სამცხის თავადნი ვახვახად წოდებულნი, მეფობასა დიმიტრისასა, წელსა 1294-სა. ხოლო უკანასკნელ მოვიდნენ კახეთსა შინა თელავს და დასახლდენ მუნ...“ – 449
ვახვახიშვილი (ვახვახოვი) ათანასე – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან); ეს უნდა იყოს თელაველი მოსამართლე ათანასე ვახვახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) პაპა დედის მხრიდან – 318
ვახვახიშვილი (ვახვახოვი) ალექსანდრე – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318
ვახვახიშვილი (ვახვახოვი) გიორგი – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318
ვახვახიშვილი (ვახვახოვი) რევაზ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318

ვახვახიშვილი (ვახვახოვი) სოლომან – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 318

ვახტანგ VI *(ვახტანგ სჯულმდებელი)* (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლის მეფე (1716-1724), პოეტი, მეცნიერი. იბრძოდა ირანის გავლენის შესუსტებისა და ქვეყნის მმართველობითი ცენტრალიზაციისათვის. 1708-1709 წწ. თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის წიგნთა კრებული, რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა. 1724 წ. დახმარების იმედით გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ადრინდელ წყაროებში ასეც იხსენიება: ვახტანგ მეხუთე („მეხუთე ვახტანგი“) – 13, 15, 16, 23, 31, 41, 48, 51, 57, 58, 69, 71, 73, 77, 90, 91, 101, 145, 152, 154, 178, 297, 332, 342, 399, 401-404, 421, 475

ვეზირიშვილი (ვეზიროვი) იოსებ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ველიამინოვი ალექსი (1785-1838) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ჯარების შტაბის უფროსი და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი 1816-1827 წწ.; უშუალოდ ხელმძღვანელობდა იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების ჩახშობას, მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის ომში“ – 27

ველინგტონი (უელინგტონი) ართურ უელსლი (1769-1852) – ინგლისელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, „ნაპოლეონის ომების“ მონაწილე, ფელდმარშალი, დიდი ბრიტანეთის არმიის მთავარსარდალი (1827-1852), დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1828-1830, 1834) – 428

ვიტე იული (1814-1868) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორი (1857-1868), რუსეთის ისტორიაში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და რეფორმატორის, სერგეი ვიტეს (1849-1915), მამა – 423

ვოდოვი ნიკოლოზ (გარდ. 1879) – რუსი ფინანსისტი, რომელსაც დიმ. ყიფიანთან ერთად მონაწილეობა აქვს მიღებული თბილი-

სის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შედგენაში; თვალსაჩინო ფიგურა რუსეთის „საიმპერატორო დამოუკიდებელ ეკონომიკურ საზოგადოებაში“ – 453

ვოიცეხოვიჩი ალექსი (1805-1881) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე (სახელმწიფო საბჭოს წევრი 1872 წლიდან) – 248

ვოლოვსკი ლუის (1810-1876) – პოლონელი ეკონომისტი, იურისტი და პოლიტიკოსი; 1836 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა, დარჩენილი სიცოცხლე საფრანგეთში გაატარა და იქვე გარდაიცვალა – 429

ვორონცოვა (ქალიშვილობის გვარი – **ბრანიცკაია) ელისაბედ** (1792-1880) – პოლონელი გეტმანისა და რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერლის, ქსავერი ბრანიცკის (1731-1819), ასული, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) მეუღლე (ჯვარი დაიწერეს 1819 წ. 20 აპრილს). საქართველოში ყოფნისას ეწეოდა საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობას. თბილისში 1846 წ. დაარსებული „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ ხელმძღვანელი, თბილისშივე ჰქონდა სალონი, რომელშიც ორშაბათობით თბილისის რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა; ალ. პუშკინის ტრფობის საგანი, პოეტის ლექსებისა და სასიყვარულო ბარათების ადრესატი, რამაც (ძირითადად) გამოიწვია მიხ. ვორონცოვის აგდებული დამოკიდებულება პოეტისადმი და, აქედან გამომდინარე, პუშკინის გამანადგურებელი ეპიგრამები მიხ. ვორონცოვზე – 411

ვორონცოვი (ვარანცოვი) მიხეილ (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა). მიიჩნევდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება იმპერიის ძლიერების წყარო იყო და არა – მისი სისუსტის მაჩვენებელი. ამიტომაც, თუ ერთი მხრივ, ზრუნავდა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასიმილირებაზე, იმავდროულად, ხელს უწყობდა ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას

– 88, 105, 110, 111, 113, 119, 125, 126, 312, 370, 403, 405, 411, 412, 415, 470

ზ

ზ. ჭ. – ზაქარია ჭიჭინაძისა ფსევდონიმი – 480; იხ. აგრეთვე: **ჭიჭინაძე ზაქარია**

ზედგინიძე ლუარსაბ – მემამულე გორის მაზრიდან; 1844 წელს ხელს აწერს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ყოველთვიური ჟურნალის „სინათლე“ პროგრამას (გორის მაზრაში მცხოვრებ მოღვაწეთა განზრახვა ჟურნალის დაარსებისა ვერ განხორციელდა); 1863 წ. პოდპორუჩიკია – 310

ზისერმანი არნოლდ (1824-1897) – გერმანული წარმოშობის რუსი სამხედრო ისტორიკოსი, მემუარისტი, კავალერიის პოლკოვნიკი; 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში (თბილისში), „კავკასიის ომის“ მონაწილე, ფელდმარშალ ალ. ბარიატინსკის მემატიანე – ავტორი სამტომიანი წიგნისა „Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879“ (т. 1-3. 1888-1891) – 425, 433, 474; იხ. აგრეთვე: **Зиссерман А. Д.**

ზუბალაშვილები – ძმები ლევან (1851-1914), სტეფანე (1860-1904), პეტრე (1862-1903) და იაკობ (1876-1941) ზუბალაშვილები, ქართველი მრეწველები და მეცენატები – 458

ზუბალაშვილი (ზუბალოვი) ალექსანდრე – მემამულე გორის მაზრიდან, 1867 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს – 451

თ

თ. ჯ. – 11, 213, 415, 426, 436, 446, 449, 450, 454; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

თავზიშვილი გიორგი (1902-1963) – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 410, 411, 474

თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი, თარხნიშვილი) ალექსანდრე (1812-1874) – ქართლელი თავადი (გორის მაზრის სოფ. ახალქალაქიდან), 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, პოლკოვნიკ დავით თარხნიშვილის, ძე; ალექსანდრე 1827 წელს დიმ. ყიფიანთან ერთად სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში – 309

თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი) ბეჟან – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 311

თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი) დავით – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 310

თარხნიშვილი (თარხანოვი) ივანე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 311

თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი, თარხნიშვილი) კონსტანტინე (1811-1869) – გენერალ-ლეიტენანტი (1865 წლიდან), რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829), „ყირიმის“ (1853-1856) ომების მონაწილე, შემახისა და ბაქოს სამხედრო გუბერნატორი (1850-1860-იანი წწ.). „ამან ჩაიყვანა ჰაჯი-მურადი ზაქათალაში 1851 წლის თებერვალში“ (ა. გაწერელია). გარდაიცვალა ერთაწმინდაში, დაკრძალულია ქართლის სოფ. ახაქალაქში, საგვარეული სამარხში – 406; იხ. აგრეთვე: **Тархан Моуравов К. Д.**

თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი) ლევან – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 309

თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი) ლუკა – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 309

თელია ავთანდილ – მკვლევარი. ავტორი წიგნისა „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ (თბ.: 1989) – 451, 453, 474

თვარაძე რევაზ (1928-2006) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი (უ. ფოლკნერი, მ. ლერმონტოვი, ა. ბლოკი და სხვ.), ჟურნალისტი (გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი 1967-1968 წწ.), მემუარისტი – 477

თულაშვილი (თულაევი) ელიაზარ – ქართლელი აზნაური, 1863 წ. პოდპორუჩიკია – 347, 469

თულაშვილი ვახტანგ (1834-1910) – პუბლიცისტი, პედაგოგი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქშნ-კგ საზოგადოების“ დამაარსებელთაგანი (1904 წლიდან – საპატიო წევრი), თვალსაჩინო ფიგურა იმ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში პატრიოტული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინებასა და განვითარებას (ჟურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.) – 451, 476

თუმანიშვილი (თუმანოვი) ისააკ (1803-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადო მოღვაწე. რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „ყირიმის“ (1853-1856) ომების მონაწილე, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი, გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი – 450

თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ (1818-1875) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, 1830-იან წწ. თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული ჯგუფის ხელმძღვანელი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთი ავტორი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 399, 423, 450

თუხარელი (თუხარელოვი) მალხაზ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ი

ივანე – იხ. **მუხრანბატონი (მუხრანსკი) ივანე**

ივანე ივანეს ძე (პერს.) – 280

ივანე ნიკიფორეს ძე (პერს.) – 280

ინგოროყვა პავლე (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზო-

გადო მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში პარლამენტის) წევრი – 479

ინსარსკი ვასილ (1814-1882) – სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მემუარისტი (მისი საინტერესო მოგონებები ქვეყნდებოდა „რუსკაია სტარინასა“ და „რუსკი არხივში“); ძალზე დაახლოებული იყო ალ. ბარიატინსკისთან (ახალგაზრდობაში ბარიატინსკის კურსკის მამულის მოურავი იყო) და ამ უკანასკნელის კავკასიის მეფისნაცვლად დანიშვნის შემდეგ მას საქართველოში ჩამოჰყვა. იყო ალ. ბარიატინსკის კანცელარიის დირექტორი (1857-1862); 1862 წ. დატოვა კავკასია და რუსეთში დაბრუნდა. 1866-1872 წწ. იყო მოსკოვის ფოსტის დირექტორი – 441-444, 446

იოანე ბაგრატიონი (იოანე ბატონიშვილი) (1768-1830) – გიორგი XII-ის ძე, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი, განმანათლებელი, ავტორი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებისა „კალმასობა“ („ხუმარსწავლა“) – 468, 472

იონათამიშვილი (იონათამოვი) ლიპორტ (ლიპარიტ) – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

იოსელიანი პლატონ (1809-1875) – მეცნიერი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი), ჟურნალისტი, გამომცემელი, ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი; ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებით ეკუთვნოდა „მამების“ თაობას – 405, 408, 474

ირაკლი – იხ. **მუხრანბატონი ირაკლი**

ირაკლი II – იხ. **ერეკლე II**

იუსტინიანე I (482-565) – ბიზანტიის იმპერატორი (527-565), გაატარა არაერთი მნიშვნელოვანი, მათ შორის, სამართლებრივი რეფორმა, კერძოდ, რომაული სამართლის საფუძველზე ჩაატარა სამართლებრივი კოდიფიკაცია (Corpus juris civilis) – 15

კ

კალატოზიშვილი (კალატოზოვი) ანდრია – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

კამპენგაუზენი ბალთაზარ (1772-1823) – ბარონი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მმართველი (1823) – 12

კაფაფოვი ნ. – მომრიგებელი მოსამართლე სურამში. გამოირჩეოდა კანონის უპატივცემულობით, პატივმოყვარეობითა და ძალაუფლების წყურვილით („დროება“, 1881, №266) – 304, 305, 461

კაცელაშვილი ზურაბ – რედაქტორი და გამომცემელი წიგნისა: იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის) (თბ.: 1997) – 472

კეკელიძე კორნელი (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი. ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის კვლევას. საქართველოს გასაბჭოებამდე იყო სასულიერო მოღვაწე (დეკანოზი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი). დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში – 1, 482

კერესელიძე ივანე (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. „ცისკრის“ რედაქციაში მასთან სტუმრობა აღწერილი აქვს ალ. დიუმას თავის „კავკასიაში“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 477

კვალიაშვილი (კვალიევი) დავით – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან), 1863 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს – 311

კვალიაშვილი (კვალიევი) სოლომონ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

კისელიოვი პავლე (1788-1872) – გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, გრაფი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ქონების მინისტრი (1837-1856), რუსეთის ელჩი საფრანგეთში (1856-1862); აქტიურად უჭერდა მხარს საგლეხო რეფორმას (ბატონყმობის გაუქმებას) – 38, 42

კნორინგი (კნორრინგი) კარლ (1746-1820) – გენერალ-ლეიტენანტი, ბარონი, საქართველოში მდგარი რუსული ჯარების პირველი მთავარსარდალი (1799 წლიდან) და სამოქალაქო საქმეთა მმართველი (1801-1802) – 328

კობიაშვილი (კობიევი) იაკობ – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318

კრუზენშტერნი ალექსი (1813-1887) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომის მონაწილე, 1850 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, 1856 წლიდან – დირექტორი, 1858 წლიდან ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას. სახელმწიფო სამსახური შეწყვიტა საკუთარი ნებით (1863) მთავარსამმართველოს უფროსის თანამდებობაზე – 135, 422, 424, 425

კუსრაშვილი რუსუდან – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თხზულებათა, აგრეთვე, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონის შემდგენელი – 473

კუტაისოვი პავლე (1780-1840) – ქართული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე (ბაბუამისი ქუთაისელი იყო, გვარად **კიკიანი**), გრაფი, სენატორი (1809 წლიდან), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1837 წლიდან), მალტის ორდენის საპატიო კომანდორი, 1830 წ. სენატორ ე. მეჩნიკოვთან ერთად შეადგინა ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციულ რეფორმის პროექტი, რომელიც რუსეთის იმპერიაში სამხრეთ კავკასიის (პირველ რიგში, საქართველოსა და ქართველი ხალხის) სრულ ასიმილაციას ითვალისწინებდა („სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით გადავაქციოთ ამიერკავკასია და რუსეთი ერთ მთლიან ორგანიზმად, ვაიძულოთ ადგილობრივი მოსახლეობა, ილაპარაკონ, იაზროვნონ და გარემოებები აღიქვან რუსულად“) – 19, 44, 79, 83

ლ

ლადინსკი პეტრე (1784-1865) – უკრაინული წარმოშობის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი (1845-1847; კავკასიაში მსახურობდა 1803 წლიდან); 1847 წ. ავადმყოფობის გამო გავიდა სამსახურიდან და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა თავის მამულში, სოფ. პეტროვსკოეში (ქერჩთან), იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული; კავკასიიდან წასვლის შემდეგ დიმ. ყიფიანს ხშირად სწერდა წერილებს, რომლებშიც ჩანს პ. ლადინსკის პატივისცემა როგორც ადრესატის, ისე საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ – 36, 37, 40, 126, 415, 424

ლევან V დადიანი (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი (1805-1840; უშუალოდ ოდიშის მართვას 1811 წლიდან შეუდგა), სამთავრო ტახტი სიცოცხლეშივე გადასცა თავის მემკვიდრეს – დავით დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა; მხარს უჭერდა რუსეთის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში – 64

ლეონ VI *ბრძენი* (866-912) – ბიზანტიის იმპერატორი მაკედონელთა დინასტიიდან (886-912); 890 წ. გამოსცა კანონთა კრებული „ბასილიკები“ („სამეფო კანონები“) და 100-ზე მეტი ნოველა (საკანონმდებლო დადგენილებები) – 15

ლეონიძე გიორგი (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „საფირონისა“ (1916; გამოვიდა ერთი ნომერი) და გაზეთ „ბახტრიონის“ (1922-1923) რედაქტორ-გამომცემელი. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გიორგი ლეონიძის სახელობისა), ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ და სხვ. – 1, 482

ლომინაძეები – იმერელი მებატონეები – 78

ლომაური ზაქარია – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ლომთათიძე ქეთევან (1911-2007) – ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1953-1963, 1975-1987 წწ.) – 475

ლონგინოვი ნიკოლოზ (1780-1853) – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი; რუსეთის იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь) და დროებითი (1840 წ.) ხელმძღვანელი – 60, 61

ლორის-მელიქოვი მიხეილ (1825-1888) – გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წწ. – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა ფაქტობრივი შეფი (სარგებლობდა ალექსანდრე II-ის განუსაზღვრელი ნდობით, რამაც იმპერატორის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ცენტრალურ ფიგურად აქცია); „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ილია ჭავჭავაძისა („კიდევ გამოცანები“) და აკაკი წერეთლის („ჩვენი მიხაკა“) გამანადგურებელი სატირის ობიექტი; ალექსანდრე II-ის მკვლელობის (1881) შემდეგ გადადგა თანამდებობიდან, საერთოდ ჩამოშორდა სახელმწიფო სამსახურს და დარჩენილი წლები ძირითადად უცხოეთში გაატარა; გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში, დაკრძალულია თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში – 450

მ

მალცევი დავით – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 316

მამაი (1335-1380) – ოქროს ურდოს სარდალი, ბეგლარბეგი (1361-1380), 1380 წელს მოსკოვის დიდმა მთავარმა, დიმიტრი დონელმა, კულიკოვოს ველზე გაანადგურა მისი ლაშქარი – 301

მამაცაშვილი იოსებ (1810-1874) – საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს ვიატკაში (სასჯელს ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა). სამშობლოში დაბრუნებული (1836 წ. მარტი) ი. მამაცაშვილი გორში დამკვიდრდა და დიდხანს იმსახურა მაზრის მოსამართლედ. ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный тайный советник) ჩინი. მისი ოჯახი

კულტურულ-ლიტერატურული ინტერესების მქონე ქართველ მოღვაწეთა (დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი, დ. მუსხელიშვილი, ა. ფურცელაძე და სხვ., აგრეთვე, რუსი პედაგოგი სიმონოვიჩი) თავშესაყარი იყო. ი. მამაცაშვილის წრეში დაიბადა ფართო პროფილის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც საბოლოოდ „ქშწ-კგ საზოგადოების“ დაარსებით დასრულდა – 451

მამაცაშვილი (მამაცოვი) კონსტანტინე (1818-1900) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, „კავკასიის ომის“ მონაწილე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები სიყრმის მეგობარ ნ. ბარათაშვილზე); თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან („დროება“, „ივერია“ და სხვ.); გამოუქვეყნებელი დარჩა ვრცელი მოგონებები (14 რვეული, 1025 გვერდი), რომელიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცხოვრების შესახებ 1837 წლიდან 1860-იან წლებამდე. ხელნაწერი ამ მოგონებებისა („Записки генерала Константина Мамацева, начатые 23 июня 1862 года“) დაცულია პეტერბურგში, „პუშკინის სახლში“. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 340, 450

მარი ნიკო (1864-1934) – ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, ავტორი ჰიპოთეზისა, რომლის მიხედვით, ქართველური ენები ენათესავება სემიტურ ენებს და მიეკუთვნება იაფეტურ ენათა ოჯახს – 479

მარკოზოვი ივანე (დაბ. 1810) – სამხედრო პირი (გენერალ-მაიორი 1869 წლიდან), „კავკასიისა“ და „ყირიმის“ ომების მონაწილე, ინფანტერიის გენერლისა და სამხედრო ისტორიკოსის, ვასილ მარკოზოვის (მარკოზაშვილის) (1838-1908), მამა – 458

მასკულაშვილი – ქართლელი გლეხი – 78

მაღალაშვილი (მაღალოვი) ამილბარ – ქართლელი თავადი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს მდივანი (1860-იანი წწ.); 1888 წ. თებერვალში მისი მამული გორში, რომელიც ამ დროისთვის „მიხეილ თარხნიშვილის მზრუნველობაშია“, საჯარო ვაჭრობით („ტორგით“) გაიყიდა მევალეების

დასაკმაყოფილებლად და ეს მამული გლეხობამ შეიძინა („ივერია“, 19.II, 1888, №38) – 310, 314

მაღალაშვილი (მაღალოვი) ივანე – ქართლელი მემამულე (გორის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) სამოქალაქო ჩინი აქვს – 310

მაღალაშვილი (მაღალოვი) ლევან – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

მაყაშვილი (მაყაევი) ბეგირ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317

მაყაშვილი (მაყაევი) გრიგოლ – კახელი თავადი, 1863 წ. თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) მოვალეობას ასრულებს, 1864-1867 წწ. კი – წინამძღოლადაა არჩეული, აქვს კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) სამოქალაქო ჩინი – 317, 423

მაყაშვილი (მაყაევი) დავით – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 315

მაყაშვილი (მაყაევი) ვასილ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317

მაყაშვილი (მაყაევი) ივანე – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317

მაყაშვილი (მაყაევი) რამან (რომან) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. ტიტულარული მრჩევლის (Титулярный советник) ჩინი აქვს – 317

მაყაშვილი (მაყაევი) რამან (რამაზ) დავითის ძე (1806-1888) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317

მაყაშვილი (მაყაევი) რევაზ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. პოლკოვნიკია – 317

მაყაშვილი (მაყაევი) სვიმონ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან). შესაძლებელია, ეს ის **სვიმონ მაყაშვილი (მაყაევი)** იყოს, რომლის ლექსები XIX ს. შედგენილ არაერთ ხელნაწერ კრებულშია შეტანილი, 1854 წ. ივნისში დაწერილი ერთი მისი ლექსი კი ივ. კერესელიძის „ცისკარშია“ გამოქვეყნებული (გარემოებათათვის კავკასიის მთისა. „ცისკარი“, 1859, №9, გვ. 16-21) – 317

მაყაშვილი (მაყაევი) ტატო – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან). ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1860, №9, გვ. 139-140) გამოქვეყნებული აქვს წერილი, რომელშიც წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ცისკრის“ გამოწერა დაავიწყდა, მაგრამ ეს სიძუნწით კი არა, „მხოლოდ ზარმაცობით და დაუდევნელობით“ მოუვიდა – 317

მაჩაბელი (მაჩაბელოვი) გიორგი – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან). 1843 წ. პრაპორშჩიკია – 35

მაჩაბელი (მაჩაბელოვი) დავით (1814-1873) – პოეტი, მთარგმნელი, ბიბლიოფილი, ს. დოდაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე თბილისის გიმნაზიაში (გიმნაზიის დაამთავრების შემდეგ ჯერ სამოქალაქო, შემდეგ კი სამხედრო უწყებებში მსახურობდა, პოდპორუჩიკის ხარისხიც მიიღო, 1839 წ. კი თავი დაანება სამსახურს და მშობლიურ თამარაშენში დამკვიდრდა); დაახლოებული იყო შეთქმულთა წრესთან, თუმცა ამ ფაქტით საგამომძიებლო კომისია სერიოზულად არ დაინტერესებულა; ლექსებს ძირითადად ჟურნალ „ცისკარში“ აქვეყნებდა. მასვე ეკუთვნის პოემა „მთიული“, რომელშიც რუსების მიერ 1837 წ. ადლერის კონცხის აღებაა აღწერილი; გამოქვეყნებული აქვს წერილი „ქართველთა ზნეობა. I. გალობა“ („ცისკარი“, 1864, №5, გვ. 49-73), რომელშიც ჩამოყალიბებულია საყურადღებო მოსაზრებები ქართული გალობის მრავალხმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; 1873 წ. 10 ოქტომბერს მოკლეს საკუთარ სახლში, ცხედარი კი დაწვეს. მკვლელობის მიზეზზე არსებობს ორი ძირითადი ვერსია: ძარცვა და მიტოვებული ცოლის შურისძიება – 309

მაჩაბელი ვასილ (1845-1918) – იურისტი (ნაფიცი ვექილი), საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის ძმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრის, გიორგი მაჩაბლის (1885-1935), მამა. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან, თუმცა ილიასა და ივანე მაჩაბლის ცნობილმა კონფლიქტმა ვასილ მაჩაბლისა და ილიას მეგობრული ურთიერთობაც გააფუჭა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 450, 475

მაჩაბლები (მაჩაბელოვები) – ქართლის ფეოდალური (შემდეგ – თავადური) საგვარეულო, სამაჩაბლოს მფლობელები – 105, 355, 469

მგალობლიშვილი (მგალობელოვი) დიმიტრი – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან), 1863 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს; 1867 წ. არჩეულ იქნა იმ კომიტეტის წევრად, რომელსაც თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება უნდა შეემუშავებინა – 315, 451

მეკენჭე – სერგეი მესხის ფსევდონიმი – 475; იხ. აგრეთვე: **მესხი სერგეი**

მელაძე ნანა – ისტორიკოსი, გამომცემელი წიგნისა „რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში“ (თბ.: 1990) – 476

მელიქიშვილი ლევან (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი და კავალერიის გენერალი, რუსეთის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (1859 წლის 25 აგვისტოს მონაწილეობდა შამილის უკანასკნელი თავშესაფრის, აულ ღუნიბის, აღებასა და იმამის დატყვევებაში), დაღესტნის ოლქის მმართველი (1877-1880; თემირ-ხან-შურაში დააარსა სკოლა პანსიონითურთ), კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოადგილე (1880 წლიდან), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1882 წლიდან); ნ. ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობარი, თბილისის გიმნაზიელთა იმ ჯგუფის წევრი, რომელიც 1835-1836 წწ. უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ (1879) დამფუძნებელი წევრი – 450

მელიქიშვილი (მელიქოვი) სტეფანე (1841-1887) – გაზეთ „დროების“ გამომცემელი (1866-1883), პუბლიცისტი, მესტამბე. მთელი თავისი ავლადიდება შესწირა „დროების“ გამოცემას და, მატერიალურად უკიდურესად შევიწროებული, კომერციული მიზნით წავიდა შუა აზიაში, სადაც (აშხაბადში) თავი მოიკლა – 472, 477; იხ. აგრეთვე: **Меликов С. Г.**

მესხი სერგეი (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, კულტურისა და განათლების პოპულარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-

1881 წწ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი); თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული კულტურის ისტორიაში. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ რიონში – 452, 475; იხ. აგრეთვე: **მეკენჭე**

მეჩნიკოვი ევგრაფი (1770-1836) – რუსეთის სენატის წევრი, 1830 წელს სენატორ პ. კუტაისოვთან ერთად შეადგინა ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციულ რეფორმის პროექტი, რომელიც რუსეთის იმპერიაში საქართველოსა და ქართველი ხალხის სრულ ასიმილაციას ითვალისწინებდა – 19, 44, 70, 76, 79, 83

მეღვინეთუხუცესიშვილი (მეღუნეთუხუცესოვი) დიმიტრი (1815-1878) – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), მწერალი (პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი), ისტორიკოსი, თეატრალური რეჟისორი, არქეოლოგი (თანამშრომლობდა მარი ბროსესთან), სასამართლოს მოხელე (Коллежский секретарь). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ხიდისთავში (გორთან) – 310

მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) – იხ. **დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

მიქელაძე ვლადიმერ (1856-1926) – პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „დავიწყებული მწერალი“, „ვლ. კულაშელი“ და სხვ.), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – 478

მიხეილ ნიკოლოზის ძე (***რომანოვი***) (1832-1909) – რომანოვთა სამეფო ოჯახის წევრი (დიდი მთავარი), გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; კავკასიის მეფისნაცვლობიდან ოფიციალურად გათავისუფლდა 1881 წ. 23 ივლისს, ხოლო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მანამდე, 14 ივლისს, დაინიშნა. 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). მისი მმართველობის დროს დამთავრდა რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად (1817-1864 წწ. „კავკასიის ომი“). შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების განვითარების მიმართ, თუმცა მიზანმი-

მართულად ცდილობდა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის რუსიფიკაციას – 434, 440

მიხეილ სიმონის ძე – იხ. **ვორონცოვი მიხეილ**

მოსე – ებრაელთა ბიბლიური წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და სჯულმდებელი (წინასწარმეტყველად მიიჩნევენ როგორც იუდეველები, ისე ქრისტიანები და მუსლიმები) – 15

მურავიოვი ნიკოლოზ (1794-1866) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856); მტრულად იყო განწყობილი თავისი წინამორბედის, მიხ. ვორონცოვის, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო კურსისადმი, სურდა კავკასიაში ჯერ კიდევ ერმოლოვის დროინდელი ნახევრად გასამხედროებული მმართველობის აღდგენა, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება არ დასცალდა (1856 წლის ივლისში ალექსანდრე II-მ გადააყენა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან და გაიწვია კავკასიიდან) – 415

მუსხელიშვილი (მუსხელოვი) ლეონ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის მდივანია (Коллежский секретарь) – 310

მუსხელიშვილი (მუსხელოვი) როსტომ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 345, 469

მუხრანსკი – იხ. **მუხრანბატონი**

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) გიორგი (1821-1877) – ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა (1764-1840) და სახლთუხუცეს იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1757-1800) შვილიშვილი, დაწინაურებული სახელმწიფო მოხელე: საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი; 1872 წ. თბილისში გამოსცა ბროშურა – „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ [„ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“ (1873 წ. გამოიცა პეტერბურგშიც, ხოლო 1877 წ. – პარიზში, ფრანგულ ენაზე)]. ავ-

ტორმა სცადა, დაესაბუთებინა გაბატონებული ერების მიერ მცირერიცხოვან ერთა სრული ასიმილაციის ისტორიული კანონზომიერება, რასაც ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი, ს. მესხი და სხვ.) უმნვავესი რეაქცია მოჰყვა. გარდაიცვალა 1877 წ. 13 იანვარს, პარიზში. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 406, 423, 450; იხ. აგრეთვე: **Багратион-Мухранский Г. К.**

მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე (იოანე) (1812-1895) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1885-1891), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 129, 307, 406, 418, 419, 423, 439, 450, 467; იხ. აგრეთვე: **Багратион-Мухранский И. К.**

მუხრანბატონი ირაკლი (1813-1892) – თავადაზნაურობის საკრებულოს წევრი, ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა (1764-1840) და სახლთუხუცეს იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1757-1800) შვილიშვილი, გიორგი (1821-1877) და ივანე (1812-1895) მუხრანბატონების ძმა – 447

მხეიძეები – იმერეთში (თერჯოლის მაზრა) მცხოვრები აზნაურები – 191

ნ

ნათალიშვილი (ნათალოვი) ნიკოლოზ – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318

ნატროშვილი ივანე – სამხედრო პირი (1842 წელს პოლკოვნიკია), აღალარების საქმის მომწესრიგებელი კომიტეტის წევრი და საქმისმწარმოებელი – 414

ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) ბარამ – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 367

ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) ლუარსაბ – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 367

ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) მალაქია – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 367

ნაცვლიშვილი (ნაცვალოვისა) სალომე – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პორუჩიკის ქვრივია – 367

ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) ყარამან – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 367

ნეიდგარტი ალექსანდრე (1784-1845) – ავსტრიული წარმოშობის რუსი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური (1842-1844). მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მმართველობის სამხედრო რეჟიმიდან სამოქალაქო სისტემაზე გადასვლაში; დიმ. ყიფიანის ინიციატივით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) წევრი – 13, 27, 35, 67, 68, 86, 111, 413

ნემსაძე – 1880-იან წწ. ტაშისკარის ქვის კარიერის საქმეზე დავა ჰქონდა კონსტანტინე (კოტე) ყიფიანთან – 305, 460

ნიკოლაი ალექსანდრე (1821-1899) – შვედური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, სენატორი და სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь). სხვადასხვა წლებში იყო მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე; მთავარი ფიგურა იმ რეფორმების პრაქტიკული განხორციელებისას, რომლებიც მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1862-1881) კავკასიაში გაატარა; მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა. ალ. ნიკოლაი გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში; მეუღლესთან ერთად დაკრძალულია მშობლიურ ქ. ვიბორგში – 423, 440

ნიკოლოზ I (**ნიკოლოზ პავლეს ძე**) (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიის მიმდევარი, თუმცა მის მიერვე წახალისებულმა ბიუროკრატიამ იმპერატორის აბსოლუტიზმი ბიუროკრატიული ტირანიით შეცვალა. თანამიმდევრული რუსიფიკატორი. გარდაიცვალა პეტერბურგში 1855 წლის 18 თებერვალს [მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსია ბანალურია – გაციება, რომელიც მწვავე ფორმის ციებ-ცხელებითა და სიკვდილით დასრულდა. თუმცა გავრცელებული იყო არაოფიციალური ვერსიაც – „ყირიმის ომში“ (1853-1856) განცდილი კატასტროფული მარცხით დათრგუნვილი იმპერატორის დაბეჯითებული მოთხოვნით პირადმა ექიმმა, ნიკ. მანდტმა, შხამი დაალევინა] – 105, 181, 401, 402, 407, 412

ნინიძე თედო – იურისტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1989-1990), გენერალური პროკურორი (1992-1993), იუსტიციის მინისტრი (1993-1998), ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი (1988-1992) – 454

ნინო (წმ.) – ქართველთა განმანათლებელი (დაახლ. IV ს. პირველი მესამედი), მოციქულთასწორი, წარმოშობით კაპადოკიელი. აღესრულა სოფელ ბოდინში/ბოდში (ამჟამად ბოდბე). იქვეა დაკრძალული – 108, 411

ო

ონიკაშვილი (ონიკოვი) ალექსანდრე (გარდ. 1885) – მწიგნობრის, კალიგრაფისა და იოანე ბატონიშვილის მდივნის, ნიკოლოზ ონიკაშვილის, შვილი; გრ. ორბელიანის ლექსის ადრესატის („დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“) ძმა; 1832 წ. შეთქმულების მასალების მიხედვით, ალ. ონიკაშვილი და მისი კიდევ ერთი ძმა, სოლომონი, მინიმუმ, შეთქმულების კურსში არიან; „კავკასიის ომის“ მონაწილე, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ბიბლიოფილი – 441-446

ორბელიანები (**ორბელიანოვები, ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები, ჯამბაკურ-ორბელიანები**) – ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში (გვარის ფუძემდებლად მიიჩნევა ორბელ ბარათაშვილი – XVI ს. I ნახევარი) – 98, 449, 468

ორბელიანი (ჯამბაკურიან-ორბელიანი) ალექსანდრე (გარდ. 1869) – მანანა ორბელიანის (1808-1870) ვაჟი, გენერალ-მაიორი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1856-1864 წწ. (ამ პოსტზე დიმ. ყიფიანმა შეცვალა). ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა პეტერბურგში, სადაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამალაში ირიცხებოდა ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით. გარდაიცვალა 1869 წლის დეკემბერში იალტაში. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 313, 406, 423, 424, 465; იხ. აგრეთვე: **Джамбакуриан-Орбелианов А. Д.**

ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის მონაწილე (იცავდა „მამების“ პოზიციას), 1832 წლის შეთქმულების წევრი [მიესაჯა გადაყვანა „პირველი ლინიის“ (მოიცავდა ტერიტორიას ყუბანიდან თერგის შესართავამდე) ქვეით კორპუსში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით]. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 409, 410, 423, 424, 425, 439, 450, 479

ორბელიანი ვახტანგ (1812-1890) – პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (თავიდან მიუსაჯეს სიკვდილი – „ოთხად განკვეთა“, შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და კალუგაში გადაასახლეს). იყო „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზო-

გადოების“ დამფუძნებელი წევრი. 1850-იან წლებში დიდი ამაგი დასდო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 450

ორბელიანი ლუარსაბ (1794-1835) – კავალერიის მაიორი; მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ., რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. და „კავკასიის ომში“; 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი (აჯანყების ღამეს მის სახლში უნდა გამართულიყო ბალი, რომელზედაც რუსებსა და მათ თანამდგომ ქართველებს გაანეიტრალებდნენ). შეიყვანეს „დამნაშავეთა“ III კატეგორიაში, გადასცეს სამხედრო სასამართლოს და, როგორც მნიშვნელოვან ფიგურას „ბოროტგანმზრახველთა“ შორის, მიუსაჯეს ოთხად განკვეთა, თუმცა 1834 წლის ივნისში ნიკოლოზ I-ის შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლეს პატიმრობიდან – 68

ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) მამუკა (მაკარ) (1800-1871) – გენერალ-მაიორი; მონაწილეობდა 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის, 1828-1829 და 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომებში; იბრძოდა აგრეთვე შამილის წინააღმდეგ; 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა სამხედრო სამსახური „მალოროსიულ ყაზახთა პოლკში“). 1840-იან წწ. იგი განჯის მაზრის უფროსი იყო და ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფები პოეტის საბედისწერო გადაწყვეტილებას (განჯაში წასვლას – ნაცვლად კახეთისა, სადაც ნ. ბარათაშვილი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ იყო დანიშნული) მამუკას ინიციატივას მიაწერენ (მ. ორბელიანი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელსაც 1847 წელს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულის გამოცემა და პოეტისთვის ძეგლის დადგმა ჰქონდა განზრახული, თუმცა განზრახვა ვერ განხორციელდა). გარდაიცვალა 1871 წლის 29 ოქტომბერს თბილისში. დაკრძალულია სიონის ტაძარში – 312

ორბელიანი მანანა (1808-1870) – საზოგადო მოღვაწე. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობა დაუწესეს). 1840-იან წლებში თბილისში ჰქონდა ლიტერატურული სალონი, რომელშიც დაიბადა და ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული

თეატრისა და გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დაარსების იდეა. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 411

ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725) – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე. 1713-1716 წწ. ვახტანგ VI–ის დავალებით (მოკავშირეთა მოპოვების დიპლომატიური მისიით) იმოგზაურა ევროპაში (საფრანგეთი, იტალია...), თუმცა ეს მისია უშედეგოდ დამთავრდა. ევროპაში ყოფნისას მიიღო კათოლიკობა, რამაც მის მიმართ საქართველოს სასულიერო წრეების მწვავე აგრესია გამოიწვია. გარდაიცვალა მოსკოვში და იქვეა (ვსესვიატსკოეში) დაკრძალული – 427, 475

ორლოვსკი კონსტანტინე (1810-1876) – პოლონური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი („Тайный советник“). თვალსაჩინო ფიგურა კავკასიის ადმინისტრაციაში. სხვადასხვა წლებში მსახურობდა მთავარსამმართველოს კანცელარიაში, ერევნის მაზრის მოსამართლედ, ერევნის გუბერნატორის მრჩევლად... 1860 წ. დანიშნეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ამ თანამდებობაზე; დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი; „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა“ და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ წევრი. მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა არაერთ ქართველ მოღვაწესთან (დიმ. ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი და სხვ.) – 422, 423

ორჯონიკიძე ეთერ (1927-2007) – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა „რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში. XIX ს. პირველი ნახევარი“ (თბ.: 1992), „ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები“ (თბ.: 1999) – 401, 414, 415, 475

პ

პავლე I (1754-1801) – რუსეთის იმპერატორი (1796-1801). გიორგი XII-ის „სათხოვართა პუნქტებზე“ დაყრდნობით 1800 წლის 18 დეკემბერს გამოსცა მანიფესტი, რომლის თანახმადაც, უქმდებოდა ბაგრატიონთა ტახტი და ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის უშუალო მმართველობაში გადადიოდა, თუმცა ეს განზრახვა პრაქტიკულად ვერ განახორციელა (1801 წლის 12 მარტს სასახლის კარის შეთქმულებას ემსხვერპლა) – 89, 144, 405, 426

პანკრატიევი ნიკიტა (1788-1836) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიიდან მთავარმართებელ ივ. პასკევიჩის წასვლის შემდეგ და ახალი მთავარმართებლის, ბარონ როზენის, მოსვლამდე აქ განლაგებულ ჯარების კორპუსს მეთაურობდა და, ფაქტობრივად, საქართველოს მმართველადაც ის ითვლებოდა; რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომების მონაწილე, მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის ომში“ – 29

პასკევიჩი თედორე (1823-1903) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, ფელდმარშალ ივანე პასკევიჩის (1782-1856) შვილი. მონაწილეობდა რუსეთის 1861 წ. საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენაში – 429

პასკევიჩი ივანე (1782-1856) – უკრაინული წარმოშობის (პოლტავიდან) რუსი გენერალ-ფელდმარშალი (1829 წლიდან), კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831); ერევნის აღებისათვის მოპოვებული ჰქონდა გრაფ ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები; თვალსაჩინო ფიგურა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში, ხოლო მანამდე, უნგრეთის 1848-1849 წწ. რევოლუციის ჩახშობისას, რუსეთის არმიას სარდლობდა; რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ წინ აღუდგა ქართველი მაჰმადიანებისაგან დაცლილ ჯავახეთში დასავლეთ საქართველოდან ქართული მოსახლეობის გად-

მოყვანის ინიციატივას და იქ ოსმალეთიდან გადმოსული სომხები ჩაასახლა. გარდაიცვალა ვარშავაში. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს სოფელ ივანოვსკოეში (ყოფილი დემბლინი) – 19

პერვოვი – საქართველოს საგუბერნიო პროკურორი (1830-იანი წწ.) – 29

პეროვსკი ლევ (1792-1856) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი 1841-1852 წწ., არქეოლოგიური ნივთებისა და ძველი მონეტების თვალსაჩინო კოლექციონერი (კოლექცია მოგვიანებით ერმიტაჟს გადაეცა) – 88

პეტრე ანტონის ძე – იხ. **ლადინსკი პეტრე**

პოზენი მიხეილ (1798-1871) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), 1840-1842 წწ. წევრი იყო სპეციალური კომიტეტისა, რომელიც ამიერკავკასიის გარდაქმნა-მოწყობის საკითხებზე მუშაობდა, 1843-1845 წწ. კი ხელმძღვანელობდა იმპერატორ ნიკოლოზის I-ის კანცელარიის დროებით განყოფილებას, რომელშიც ამიერკავკასიასთან დაკავშირებული საქმეები იყრიდა თავს; აქტიურად მონაწილეობდა 1861 წ. რუსეთში განხორციელებულ საგლეხო რეფორმაში (ბატონყმობის გაუქმებაში) – 413

ჟ

ჟორჟოლაძეები – იმერელი აზნაურები – 53

ჟუკოვსკი იული (1833-1907) – რუსი ფინანსისტი, პუბლიცისტი, სენატორი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), რუსეთის სახელმწიფო ბანკის მმართველი (1889-1894); რუსულ პრესაში („სოვრემენნიკ“, „ვესტნიკ ევროპი“...) აქვეყნებდა სტატიებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ საკითხებზე – 453

რ

რატიშვილი (რატიევი) ზურაბ (1819-1891) – ქართლელი თავადი (თბილისის მაზრიდან), გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 („ყირიმის“) და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ივ. კერესელიძის ლექსის ადრესატი (თ[ავად] ზურაბ რატიშვილს. „ცისკარი“, 1869, №4, გვ. 62-63; ავტორი ხაზს უსვამს ლექსის ადრესატის პატრიოტულ სულისკვეთებასა და გლეხობისადმი კეთილ დამოკიდებულებას) – 314

როზენი გრიგოლ (1782-1841) – ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, ბარონი, მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური 1831-1837 წწ. (უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ). 1837 წლის ნოემბერში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გაიწვია კავკასიიდან და საერთოდ ჩამოაშორა სამხედრო სამსახურს. კავკასიიდან წასვლის შემდეგ იყო რუსეთის სენატის წევრი. დაკრძალულია მოსკოვში, წმ. დანიელის მონასტერში – 19, 22, 30, 47, 50, 52-56, 58, 64-66, 72, 74, 79, 80, 84

რუსიშვილ-ყორჩიბაშევი (რუსიევ-ყორჩიბაშევი) თედო – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 27, 28

რჩეულიშვილი (რჩეულოვი) პავლე – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 311

ს

სანიკიანი – იმერელი გლეხი – 78

სმიტენი ვასილ (1807-1866) – კავკასიაში (თბილისში) ჩინოვნიკად მსახურობდა 1833 წლიდან, შემახის ვიცე-გუბერნატორი (1846 წლიდან), კავკასიის მთავარმმართველობის (1859 წლიდან – მეფისნაცვლის) საბჭოს წევრი (1857 წლიდან), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник) – 114, 115, 117, 123, 124, 414

სოკოლოვი – იმერეთში (თერჯოლის მაზრა) მცხოვრები სამხედრო პირი (მაიორი) – 191

სოლომონ II (1772-1815) – იმერეთის მეფე (1789-1810). რუსეთის ჯერ აგრესიულმა დიპლომატიურმა კურსმა, შემდეგ კი პირდაპირმა სამხედრო აგრესიამ აიძულა, დაეტოვებინა სამშობლო და 1810 წ. მაისში ახალციხის საფაშოში გადახვეწილიყო. იმავე წლის ზაფხულში დაბრუნდა იმერეთში და სამეფოს აღდგენის მიზნით ხალხი ააჯანყა, თუმცა დამარცხდა და ისევ ახალციხეს შეაფარა თავი. გარდაიცვალა ტრაპიზონში, იქვე (ბერძნული ეკლესიის გალავანში) ემარხა 1990 წლამდე. ამჟამად მისი ნეშტი გელათშია გადმოსვენებული – 44, 49, 52

სტარიცკი ეგორ (1825-1899) – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1879 წლიდან), სენატორი, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე (1850-1870), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1862 წელს, როცა დიმ. ყიფიანი სამსახურიდან დაითხოვეს, მის ადგილზე ე. სტარიცკი დანიშნეს); აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის მხარის სასამართლო რეფორმების შემუშავება-განხორციელებაში; სიცოცხლის ბოლო წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე – 423-425

სტრეკალოვი სტეფანე (1782-1856) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный тайный советник), სენატორი, თბილისისა (1828-1831) და ყაზანის (1831-1841) სამხედრო გუბერნატორი – 69, 70

სტროგანოვი ალექსანდრე (1795-1891) – გრაფი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი (1839-1841), ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი (1854-1863) და სხვ. – 58, 61, 81

სულხანიშვილი გაბრიელ (1835-1879) – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტი. ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი. ერთხანს მიიჩნეოდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთ ავტორად, თუმცა კვლევებით ეს არ დადასტურდა – 451

სულხანიშვილი (სულხანოვი) ივანე – ქართველი აზნაური (გო-

რის მაზრიდან) – 309, 351

ტ

ტერ-ასატუროვი ალექსანდრე – თბილისელი კომერსანტი – 458
ტორმასოვი ალექსანდრე (1752-1819) – კავალერიის გენერალი, გრაფი, მოსკოვის მასონთა სამხედრო ლოჟის „მინერვა“ წევრი და მდივანი, საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდალი 1809-1811 წწ. თეიმურაზ ბატონიშვილის დახასიათებით, „კაცი მძვინვარე, ამპარტავანი და უწყალო“. გარდაიცვალა მოსკოვში – 31
ტუსიშვილი (ტუსიევი) ზურაბ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318

უ

უთურაშვილი იოსებ (1915-1999) – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „დიმიტრი ყიფიანი“ (თბ.: 1989) – 451, 453, 459, 476
უილბრაჰამი რიჩარდ (1811-1900) – ინგლისელი სამხედრო პირი (პოლკოვნიკი) და მოგზაური; 1837 წ. შემოდგომაზე (2 სექტემბერი-31 ოქტომბერი) იმყოფებოდა თბილისში (აქ ყოფნა დღიურის ფორმით აღწერა წიგნში „Travels in the Transcaucasian Provinces of Russia and along the Southern Shore of the Lakes of Van and Urumiah, in the Autumn and Winter of 1837. London: 1839) – 401, 476
უშაკოვი დიმიტრი (1873-1942) – რუსი ენათმეცნიერი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მისი საერთო რედაქციით გამოიცა „რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ოთხტომეული (1935-1940 წწ.) – 400, 409, 476; იხ. აგრეთვე: **Ушаков Д. Н.**

ფ

ფადეევი ანდრეი (1789-1867) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე და მემუარისტი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), 1841-1846 წწ. იყო სარატოვის გუბერნატორი, 1846 წელს მიხ. ვორონცოვმა მოიწვია ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრად და ამის შემდეგ სამუდამოდ აქ დარჩა. 1860-იან წწ. აქტიურად მონაწილეობდა საგლეხო რეფორმის ჩატარებაში. გარდაიცვალა თბილისში და აქვე, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის ეზოში, არის დაკრძალული – 423

ფავლენიშვილი (ფავლენოვი) იასე – ქართელი თავადი (გორის მაზრის სოფ. ტყვიავიდან), 1863 წ. ტიტულარული მრჩევლის (Титулярный советник) სამოქალაქო ჩინი აქვს. ეს ის **იასე რომანის (რამანის) ძე ფავლენიშვილი** უნდა იყოს, რომელიც ვორონცოვის მმართველობის დროს ბორჯომის დიამბეგი (მსაჯულ-მოსამართლე) იყო (ნაკვესი. „ივერია“, 28.I, 1886, №21) – 310

ფავლენიშვილი (ფავლენოვი) იოსებ – ქართელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ფავლენიშვილი (ფავლენოვი) მიხეილ – ქართელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ივანე – ქართელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ნიკოლოზ (1790-1855) – თვალსაჩინო ფიგურა კავკასიის ხელისუფლებაში, „ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი“ (Действительный статский советник; 1831 წლიდან), 1832 წ. შეთქმულების გამცემის, იასე ფალავანდიშვილის, ძმა. 1832-1838 წწ. ნ. ფალავანდიშვილი იყო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1837 წ. ნოემბრიდან 1838 წ. მარტამდე ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას. ამის შემდეგ გავიდა სახელმწიფო სამსახურიდან და ტაბახმელაში დასახლდა). 1850-იანი წწ. დასაწყისში მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის თხოვნით იგი კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სამსახურს: ჯერ მეფისნაცვლის განსაკუთრე-

ბულ დავალებათა მოხელედ (1851 წლიდან), შემდეგ – მეფის-ნაცვლის საბჭოს წევრად; რუსეთის ხელისუფლებას ემსახურა არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ სამხედრო სფეროშიც: პ. ციციანოვის მხარდამხარ იბრძოდა ბაქოს მისადგომებთან (1806), ვოლონტიორად იყო საფრანგეთში (1815), ჩრდილოეთ კავკასიაში მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვთან ერთად დალაშქრა ხასან-სუ (1826) და სხვ.; გამოირჩეოდა წიგნიერებით, იშვიათი მეხსიერებით, დიპლომატიური და ორატორული ნიჭით; დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული არა მარტო კავკასიის მმართველ წრეებში, არამედ ქართველ არისტოკრატიასა და ამიერკავკასიის მუსლიმთა მაღალ ფენებში. 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, გამარჯვების შემთხვევაში ნ. ფალავანდიშვილისთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა შეეთავაზებინათ (მოსაზრება, თითქოს იასე ფალავანდიშვილი ძმამ აიძულა – გაეცა შეთქმულება, დოკუმენტურად არ დასტურდება) – 47, 50

ფირადოვი დავით – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 366

ფირადოვი ფირად – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ფორაქაშვილი (**ფორაქოვი**) **გიორგი** – მსხვილი ვაჭარი, შთამომავლობითი საპატიო მოქალაქე (Потомственный почетный гражданин). წყაროების მიხედვით, 1880-იან წწ. გაკოტრების პირასაა – 457

ფორაქაშვილი (ფორაქოვი) ილარიონ – მსხვილი ვაჭარი, შთამომავლობითი საპატიო მოქალაქე (Потомственный почетный гражданин). ამის ხელში იყო გადასული ვექსილი დიმიტრი და ალექსანდრე აბხაზების ვალისა, რომლის გასტუმრებაც დიმიტრი ყიფიანს მოუხდა – 457, 458

ფრენკელი ალექსანდრე – იურისტი (ნაფიცი ვექილი), ჟურნალისტი, ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი; 1887 წ. გამოსცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის რუსული თარგმანი (დიმ. ბაქრაძის რედაქციით). თბილისში გამომავალი ჟურნალის, „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ (1881-1886), გამომცემელი (1881-1883) და რედაქტორ-გამომცემელი (1883-1886), გაზეთ „კავკაზსკოე ობოზრენიეს“ რედაქტორ-გამომცემელი

(1887-1888) – 7, 301, 454, 460-462, 476; იხ. აგრეთვე: **Френкель А. С.**

ფურცელაძე ანტონ (1839-1913) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე, თანამშრომლობდა როგორც ქართულ (ივ. კერესელიძის „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“ და სხვ.), ისე რუსულ პრესაში (ფსევდონიმები: „ქერელი ბექა“, „ზურაბ მოენიძე“, „თავხედი“ და სხვ.). დაკრძალულია მშობლიურ სოფელ მერეთში (გორთან) – 424, 476

ფურცელაძე ევსტატე – ქართელი მემამულე (გორის მაზრიდან), 1863 წ. პორუჩიკია – 311

ფულინოვი – თბილისელი კომერსანტი – 458-459

ქ

ქავთარაძეები – იმერეთში (თერჯოლის მაზრა) მცხოვრები აზნაურები – 191

ქართლოსი (ეთნარქი) – 90

ქარსიძე – სასამართლოს ბოქაული სურამში – 304, 305, 461

ქარსიძე გიორგი – ქართელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ქარსიძე ერასტი – ქართელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ქარუმიძე დავით – ქართელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 311

ქარუმიძე ივანე – მემამულე გორის მაზრიდან, 1863 წ. პოდპორუჩიკია – 311

ქობულაშვილი (ქობულოვი) დავით (1813/1816-1870) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), გენერალ-მაიორი (1863 წ. პოლკოვნიკია), რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომისა და „კავკასიის ომის“ მონაწილე, ყაბარდოს ოლქის უფროსი (1862-1865) – 315

ქობულაშვილი (ქობულოვი) მიხეილ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318

ღ

ღლონტი ალექსანდრე (1912-1999) – ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, იკვლევდა ქართული ენისა და მისი დიალექტების, ლექსიკოლოგიის, ონომასტიკისა და სხვ. საკითხებს – 478

ყ

ყარალაშვილი (ყარალოვი) გიორგი – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318

ყარალაშვილი (ყარალოვი) მიხეილ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. პორუჩიკია – 318

ყიფიანი დიმიტრი (1814-1887) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, თეატრალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვოლოგდაში), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამაარსებელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882)... მოკლეს გადასახლებაში (სტავროპოლში). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 2-4, 141, 142, 304, 365, 395, 396, 398-402, 404-431, 433-438, 440-455, 457-460, 462-465, 473, 475-477, 480; იხ. აგრეთვე: Кипиани Д. И.

ყიფიანი კონსტანტინე (კოტე) (1849-1921) – მსახიობი, თეატრის თეორეტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ქართული პროფესიული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელი. მისი, როგორც თეატრის თეორეტიკოსის, ნააზრევი მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული თეატრალური აზროვნების ისტორიაში. ქართულ და რუსულ პრესაში („დროება“, „ივერია“, „ფასკუნჯი“, „თემი“, „კავკაზსკი ვესტნიკ“, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“...) აქვეყნებდა პუბლიცისტურ და კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, ორიგინალურ და ნათარგმნ მხატვრულ ნაწარმოებებს, რეცენ-

ზიებს; იყო ქართველ „სამოციანელთა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო შეხედულებების ერთგული მიმდევარი და დამცველი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 303, 304, 417, 456, 459

ყიფიანი ნინო – იხ. **ჭილაშვილი-ყიფიანი ნინო**

ყოდალოვი ნიკოლოზ – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 318

ყორღანოვი გაბრიელ (1806-1879) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), „კავკასიისა“ და „ყირიმის“ ომების მონაწილე, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი (მისი ხარჯით თბილისში დაარსდა მუსიკალური სკოლა, ბიბლიოთეკები და სხვ.), თბილისის საპატიო მოქალაქე – 449

ყორჩიბაშევი – იხ. **რუსიშვილ-ყორჩიბაშევი**

შ

შაბუროვი სოლომონ – თბილისელი კომერსანტი და მრეწველი, თბილისის ამქართა აჯანყების (1865) მონაწილე – 458

შალიკაშვილი (შალიკოვი) ივანე (1813-1866) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), გენერალ-მაიორი, „კავკასიისა“ და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომების მონაწილე – 315

შალიკაშვილი (შალიკოვი) სიმონ (სვიმონ) (1808/1811-1863) – კახელი თავადი, მამული ჰქონდა გურჯაანში, გენერალ-მაიორი, დაიღუპა ზაქათალაში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაკრძალულია ვეჯინში – 316

შამილი (1797-1871) – ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეთაური რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში (ეროვნებით – ავარიელი). 1834 წლიდან – იმამი. მიურიდიზმზე დაყრდნობით შექმნა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი. 1859 წ. 26 აგვისტოს თავის უკანასკნელ თავშესაფარში, ღუნიბში, ჩაბარდა კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის. დარჩენილი წლები რუსეთში (ძირითადად კალუგაში) გაატარა. 1866 წ. მიიღო რუსეთის ერთგულქვეშევრდომობა (верноподданство). გარდაიცვალა მედინაში. დაკრძალულია იქვე, ალ-ბაქიას სასაფლაოზე – 433

შანიძე აკაკი (1887-1987) – ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, ფოლკლორისტი (ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, ქართული დიალექტოლოგია, ეპიგრაფიკა, რუსთველოლოგია, არმენისტიკა, ალბანოლოგია...), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი – 479

შატბერაშვილი (შათბეროვი) ქაიხოსრო – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 311

შერემეტევი ვასილ (1795-1862) – რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1843-1847; ცოტა ხნით – სამინისტროს მმართველის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი), სახელმწიფო ქონების მინისტრი (1856-1857), ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник; 1857 წლიდან) – 87

შველიძე ნოდარ (1928-1980) – ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (1864-1921 წწ.) (თბ.: 1967) – 451-453, 478

შინჯიკაშვილი – კახელი გლეხი – 78

შიოევი (გარდ. 1862) – თბილისელი კომერსანტი (1862 წელს გრ. ორბელიანი თბილისიდან პეტერბურგში სწერს დიმ. ყიფიანს: „მოკვდა შიოევი და დარჩა 12 ათასი თუმანი“) – 458

შუვალოვი პეტრე (1819-1900) – მსხვილი მიწათმფლობელი, მრეწველი, გრაფი, პეტერბურგის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1857-1862), ხლმძღვანელობდა რუსეთის 1861 წლის საგლეხო რეფორმის მოსამზადებლად პეტერბურგში შექმნილ სპეციალურ კომიტეტს – 429

ჩ

ჩერნიშოვი ალექსანდრე (1785-1857) – გრაფი, გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი (1832-1852; აქტიურად იყო ჩართული ქართველთა 1832 წლის შეთქმულების გამოძიებაში), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1848 წლიდან), „კავკასიის კომიტეტის“ თავმჯდომარე (1840-1856) – 37, 413

ჩერქეზიშვილი (ჩერქეზოვი) იაკობ – კახელი თავადი (სიღნაღის

მაზრიდან) – 316
ჩერქეზიშვილი (ჩერქეზოვი) ივანე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 316
ჩერქეზიშვილი (ჩერქეზოვი) რამაზ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 316
ჩილიაევი – იხ. **ჭილაშვილი (ჩილიაევი) იაგორ (გიორგი)**
ჩიქობავა არნოლდ (1898-1985) – ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი. მისი საერთო რედაქციით გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I-VIII. თბ.: 1950-1964) – 476
ჩოლაყაშვილი (ჩოლაყაევი) ალექსანდრე – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317
ჩოლაყაშვილი (ჩოლაყაევი) ალექსანდრე გრიგოლის ძე (1812-1875) – კახელი თავადი (ახმეტიდან) – 317
ჩოლაყაშვილი (ჩოლაყაევი) ბიძინა – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. კაპიტნის ჩინი აქვს – 317
ჩოლაყაშვილი (ჩოლაყაევი) ლევან (ლეონ) (1803-1864) – კახელი მემამულე (თელავის მაზრის სოფ. ლალისყურიდან), გენერალ-მაიორი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, სხვადასხვა წლებში იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქისა და თელავის მაზრის უფროსი. დაკრძალეს მის მიერვე აგებულ ლალისყურის ამაღლების ეკლესიაში [1864 წელს ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1864, №10, გვ. 134-138) გამოქვეყნდა „შესხმა, თქმული ლალისყურის ამაღლების ეკლესიასა შინა, დღესა მეორმოცესა, საფლავსა ზედა ღენერალ-მაიორის და კავალერის თავადის ლევან ედიშერის-ძის ჩოლაყაევისასა, კზ[27]-ს აგვისტოსას ჩყ҃ დ [1864]-ს წელსა, მღვდლის ირადიონ ელიოზოვის მიერ“] – 317
ჩოლაყაშვილი (ჩოლაყაევი) ოთარ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317
ჩუბინაშვილი დავით (1814-1891) – ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის პოპულარიზატორი რუსეთსა და ევროპაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე (1855-1871). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვეა დაკ-

რძალული – 427, 469, 479

ჩუბინაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1788-1845) – ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ქართული სიძველეების მკვლევარი. 1825-1837 წწ. მსახურობდა პეტერბურგში. 1845 წ. იმოგზაურა პალესტინაში (აღწერა ჯვრის მონასტრის სიძველეები, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერი, გადმოიღო რუსთველის პორტრეტი და სხვ.). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვე, სმოლენსკის სასაფლაოზეა დაკრძალული – 401, 403, 404 409, 426, 427, 441, 478

ჩუდინოვი ალექსანდრე (1843-1908) – რუსი მწერალი, ჟურნალისტი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, განმანათლებელი – 456, 479; იხ. აგრეთვე: **Чудинов А. Н.**

ჩხეტია შალვა (1899-1978) – ისტორიკოსი, არქივმცოდნე, საზოგადო მოღვაწე; დიდი ამაგი დასდო დიმ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევას – 11, 12, 365, 398-404, 416-421, 423-425, 431, 434-437, 441, 454, 459, 464, 467, 473, 479; იხ. აგრეთვე: **Чхетия Ш. К.**

ც

ცაიშვილი სოლომონ (1900-1957) – ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი. იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 423, 479

ციციანოვი პავლე (1754-1806) – ინფანტერიის გენერალი, საქართველოს მთავარმმართველი 1802-1806 წწ. [მისი პაპა – პაატა (პავლე) ზაზას ძე ციციშვილი – ვახტანგ VI-ის ამალის წევრი იყო, ასე მოხვდა რუსეთში და იქვე დარჩა სამუდამოდ; ქართული წარმოშობისა (ბაგრატიონ-დავითაშვილთა გვარიდან) იყო პავლე ციციანოვის დედაც – ელისაბედ დავიდოვა]. წინაპართა სამშობლოში ჩამოსული პ. ციციანოვი ენერგიულად შეუდგა საქართველოს რუსიფიკაციას: რუსეთში გადაასახლა მარიამ დედოფალი, დარეჯან დედოფალი, დავით, ვახტანგ, ფარნაოზ, იულონ ბატონიშვილები... სისხლში ჩაახშო 1804 წლის მთიანე-

თის აჯანყება; ამასთანავე, გარკვეული წესრიგი შეიტანა მმართველობის სისტემაში, გაიყვანა ან მოაწესრიგა გზები, დაამყარა საფოსტო კავშირები, აღადგინა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურებული სტამბა, თბილისში დაა-ფუძნა კეთილშობილთა სასწავლებელი და სხვ.; მიაღწია შთამ-ბეჭდავ სამხედრო წარმატებებს – დაიმორჩილა განჯის, შა-ქის, ყარაბაღის, შირვანის სახანოები, შურაგელის სასულ-თნო... დაიღუპა 1806 წლის 8 თებერვალს ბაქოს მისადგომებ-თან; ერთხანს ბაქოში, სომხურ ეკლესიაში, იყო დაკრძალული; 1811 წ. მისი ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და განსაკუთრებუ-ლი პატივით დაკრძალეს სიონის ტაძარში – 261, 455

ციციშვილები – ფეოდალური საგვარეულო ქართლში, ტაოელ ფა-ნასკერტელთა ჩამომავლები. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედ-ვით, „...მცხეთის დასავლით და მტკვრის სამხრით [მკვიდ-რობს] ციციშვილი, რომელი ძველადვე მოვიდა ფანასკეთი-დამ“. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, „ამათნი წინა-პარნი არიან ურიასტანიდგან მოსრულნი... ესენი მოვიდნენ დაეშენ-ნენ ახალციხის ნაწილსა ადგილსა შინა, ფანასკენტად წოდე-ბულს“ – 449, 468

ციციშვილი (ციციანოვი) – ქართლელი თავადი – 77

ციციშვილი (ციციანოვი) ალექსანდრე – ქართლელი თავადი (გო-რის მაზრიდან), 1863 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს – 310

ციციშვილი (ციციანოვი) დავით – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310, 327, 331

ციციშვილი (ციციანოვი) ზაქარია – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია; შესაძლებელია, ეს იყოს 1832წლის შეთქმულების მონაწილე პრაპორშჩიკი **ზაქარია დავითის ძე ციციშვილი** (დაბ. 1806), რომელიც საგამომძიებ-ლო კომისიამ ჯერ მე-7 კატეგორიის დამნაშავედ ცნო, შემდეგ კი, 1833 წ. აგვისტოში, სასჯელისგან გაათავისუფლა. ზ. დ. ცი-ციშვილი მონაწილე იყო რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ., აგრეთვე, „კავკასიის“ ომებისა – 311

ციციშვილი იოსებ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 451

ციციშვილი (ციციანოვი) კირილე (1814-1892) – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 309

ციციშვილი (ციციანოვი) მიხეილ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 311

ციციშვილი (ციციანოვი) ნიკოლოზ (ნიკო) – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 309

ციციშვილი (ციციანოვი) სარდიონ (დაბ. 1818) – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს – 311

ციციშვილი (ციციანოვი) სოლომან – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 311

წ

წერეთელი აკაკი (1840-1915) – მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მთარგმნელი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „აკაკის თვიური კრებულისა“ (1897-1900) და გაზეთ „ხუმარას“ (1907) რედაქტორ-გამომცემელი, ალმანახ „ზურნას“ (1908) რედაქტორი, ჟურნალ „ცეცხლის“ (1907-1908) ფაქტობრივი რედაქტორი – 479

წინამძღვრიშვილი (წინამძღვაროვი) ზაალ (I) – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან) – 367

წინამძღვრიშვილი (წინამძღვაროვი) ზაალ (II) – კახელი აზნაური (სიღნაღის მაზრიდან). ამ ორი ზაალ წინამძღვრიშვილიდან ერთ-ერთი ის **ზ. წინამძღვაროვი** უნდა იყოს სოფ. ახაშენიდან (ეს სოფელი მაშინ სიღნაღის მაზრაში შედიოდა), რომელსაც ივ. კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში“ ორი ლექსი აქვს გამოქვეყნებული („ცისკარი“, 1866, №11, გვ. 32) – 316

წინამძღვრიშვილი (წინამძღვაროვი) პონტელეიმონ (პანტელეიმონ) – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან), გორის საკრებულო ტაძრის დეკანოზი (დამთავარებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია) – 309

ჭ

ჭაბაშვილი მიხეილ (1916-1996) – ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი, მემუარისტი; მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ. I-VIII. თბ.: 1950-1964) შედგენასა და გამოცემაში – 468, 479

ჭავჭავაძე ალექსანდრე (1786-1846) – პოეტი, მთარგმნელი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1804 წ. მთიანეთის აჯანყებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ორჯერვე ტამბოვში გადაასახლეს). დაკრძალულია კახეთის ახალი შუამთის მონასტერში – 14, 23, 458

ჭავჭავაძე გიორგი – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317

ჭავჭავაძე გიორგი მელქისედეკის ძე (1829-1900) – კახელი თავადი (თელავის მაზრის სოფ. ყვარლიდან) – 318

ჭავჭავაძე გულბაათ (გულბათ; პანტელეიმონ) (1796-1863) – კახელი თავადი, კოლორიტული პიროვნება და ლეგენდარული თამადა, ლადო ასათიანის ცნობილი ლექსის („გულბაათ ჭავჭავაძე“) ადრესატი. დაკრძალულია მშობლიურ წინანდალში, ჭავჭავაძეთა საგვარეულო სამარხში – 317

ჭავჭავაძე დავით (1818-1884) – გენერალ-ლეიტენანტი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, ვაჟი ალ. ჭავჭავაძისა და სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანისა (1795-1847 წ., დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ტაძარში), „კავკასიისა“ და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომების მონაწილე. 1840-იან წწ. დავით ჭავჭავაძე დამფუძნებელი წევრი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848). მეუღლესთან, ანა ილია ბატონიშვილის ასულთან (1828-1905), ერთად დაკრძალულია კახეთის ახალი შუამთის მონასტერში – 318, 423, 439, 450

ჭავჭავაძე ეკატერინე – იხ. **ეკატერინე დადიანი**

ჭავჭავაძე ილია (1837-1907) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ბანკირი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ეროვნული მიზანდასახულობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფუძემდებელი, პერიოდული გამოცემე-

ბის – „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ – რედაქტორ-გამომცემელი, ავტორი „ნაციონალური კონსოლიდაციის“ კონცეფციისა, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ კონსოლიდირებულ ერს შეუძლია, ერთი მხრივ, ტრადიციებზე დაფუძნებული და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი ეროვნული კულტურის განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ახალი იდეებისა და ღირებულებებისათვის გახსნილი, დროის გამოწვევების მიმართ ადეკვატური საზოგადოების ჩამოყალიბება – 315, 396, 416, 451, 453, 455, 463, 472, 474, 478, 479

ჭავჭავაძე ლევან – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 318

ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1830-1903) – იურისტი. სხვადასხვა წლებში მსახურობდა მაზრის მოსამართლედ, თბილისის ვიცე-გუბერნატორად (1865-1867); 1867 წელს დანიშნეს თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო 1878 წელს – თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1890-იანი წწ. დასასრულს გავიდა სამსახურიდან და, როგორც კერძო პირმა, მოიპოვა კახეთის რკინიგზის მშენებლობის უფლება, თუმცა ამ საქმის პრაქტიკული განხორციელება ვერ მოასწრო – 451

ჭავჭავაძე ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე (1830-1897) – კავალერიის გენერალი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „თერგდალეულებთან“ დაახლოებული პირი და ი. ჭავჭავაძის მეგობარი, „კავკასიის“ (1817-1864), რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 („ყირიმის“) და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე; სხვადასხვა წლებში: დარღოს ოლქის მმართველი, დაღესტნის ოლქის უფროსი, განჯის გენერალ-გუბერნატორი; 1880 წელს დანიშნეს სამხედრო გუბერნატორად დაღესტანში, სადაც 1896 წლამდე დარჩა და თავისი სიმამაცის, პრინციპულობის, პატიოსნების, იქაურთა ღირსებისა და წეს-ჩვეულებათა პატივისცემის გამო მოსახლეობის გულწრფელი სიყვარული მოიპოვა. გარდაიცვალა 1897 წლის 9 მარტს თბილისში. დაკრძალულია მშობლიურ ყვარელში, მის მიერვე აგებულ ეკლესიაში – 315

ჭავჭავაძე რამან (რამაზ) (1806-1888) – კახელი თავადი (თელავის მაზრის სოფ. წინანდლიდან), სამხედრო პირი (შტაბს-კაპიტანი) – 318

ჭავჭავაძე სოლომან (1797-1875) – კახელი მემამულე (თელავის მაზრიდან), მაიორი, ილია ჭავჭავაძის მამის ბიძაშვილი – 318

ჭავჭავაძე სფირიდონ (სპირიდონ) (1809-1872) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), გენერალ-ლეიტენანტი – 317

ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო (1812-1857) – ასული ალ. ჭავჭავაძისა და მეუღლე რუსი მწერლისა და დიპლომატის ალ. გრიბოედოვისა (ჯვარი დაიწერეს 1828 წლის 22 აგვისტოს, თბილისში, სიონის ტაძარში). თეირანში დიპლომატიური მისიით მიმავალმა ქმარმა უთხრა: „თუ სპარსეთში მოვკვდე, ნუ დატოვებენ იქ ჩემს ძვლებს; თბილისში, მამადავითის მონასტერში, დამკრძალეთ“. ნინომ ქმრის ეს სურვილი შეასრულა, გრიბოედოვი მამადავითის ეკლესიის გალავანში დამარხა და საფლავზე ძეგლიც დაუდგა; ნ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვა გარდაიცვალა 1857 წელს, თბილისში, ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით – 411

ჭავჭავაძეები – თავადური გვარეულობა. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში ჭავჭავაძე კახეთის თავადთა გვარეულობაშია შეყვანილი – 449

ჭილაშვილი (ჩილიაევი) იაგორ (გიორგი) (1790-1838) – იურისტი (იურიდიული განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული), მწერალი, მთარგმნელი (ფრანგულიდან რუსულ ენაზე: მონტესკიე, მაბლი), სამოქალაქო მრჩეველი (Статский советник), ალ. ლაბზინის მასონური ლოჟის „მომაკვდავი სფინქსი“ წევრი [პეტერბურგი; ამავე ლოჟის წევრები იყვნენ მისი ძმებიც: ბორის (ბაბანა) და კონსტ. ჭილაშვილები (ჩილიაევები)], მნიშვნელოვანი შრომის ავტორი ბუნებითი სამართლის შესახებ (Чиляев Е. Начертание права природного. СПб.: 1812), თვალსაჩინო ფიგურა 1820-1830 წლების საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცხოვრებაში (საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი და სხვ.), დიმ. ყიფიანის სიმამრი. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები გამარჯვების შემ-

თხვევაში ი. ჭილაშვილს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად უპირებდნენ დანიშვნას, რამაც მისი კარიერა შეიწირა (დაბალი რანგის თანამდებობაზე განაწესეს ლენქორანში. იქვე გარდაიცვალა და დაკრძალულიც იქვეა) – 18, 25

ჭილაშვილი მიხეილ (მიშელ) (1816-1878) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), დიმ. ყიფიანის ცოლისძმა. დაიბადა პეტერბურგში. იქვე დაამთავრა სამართლისმცოდნეობის სასწავლებელი, 1840-იან წწ. საქართველოშია და მეფისნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა აღმასრულებლის თანამდებობა უჭირავს, 1850-იან წწ. მონაწილეობს კულტურულ ღონისძიებებში, კერძოდ, გაბრიელის როლს თამაშობს გ. ერისთავის „გაყრის“ 1850 წ. 2 (14) იანვრის ისტორიულ დადგმაში, იმავე წლის 15 მაისს კი მონაწილეობს (მიხეილის როლს ასრულებს) გ. ერისთავისვე „დავაში“; „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ საბჭოს წევრი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის არქივში (№№1771-1778, ფ. 22), დაცულია მისი წერილები დიმ. ყიფიანისადმი. დაკრძალულია მამაპაპისეულ მილახვრიანთკარში – 450

ჭილაშვილი-ყიფიანი ნინო (1827-1902) – დიმიტრი ყიფიანის მეუღლე. გაიზარდა პეტერბურგში და იქვე დაამთავრა სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. კარგად ერკვეოდა მუსიკასა და ლიტერატურაში. მისი მოგონება ნ. ბარათაშვილზე მნიშვნელოვანი წყაროა პოეტის ცხოვრების შესასწავლად. გარდაიცვალა ქვიშხეთში. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით – 411, 442

ჭიჭინაძე ზაქარია (1854-1931) – მკვლევარი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი...), ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების („ამირანდარეჯანიანი“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, თეიმურაზ I-ის, დ. გურამიშვილის, ბესიკის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და სხვ.) გამომცემელი, ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემკრებ-გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე; დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 411, 412, 480; იხ. აგრეთვე: **ზ. ჭ.**

ჭუმბურიძეები – იმერეთში (თერჯოლის მაზრა) მცხოვრები აზნაურები – 191

ხ

ხმალაძე რამაზ (რომან) – ქართლელი მემამულე (გორის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 310

ხოვენი რომან (1775-1861) – გენერალ-მაიორი, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი 1818-1829 წწ. – 27

ხუნდაძე სიმონ (1897-1933) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი); ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 414, 416, 418, 451, 453, 459, 477, 480

ხუციშვილი სოლომონ (1908-1995) – ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 477

ჯ

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) ალექსანდრე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) გიორგი – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან); საბუთებში იგი **ქაიხოსროს ძედ** არის მოხსენიებული და, ამდენად, შესაძლებელია, ის იყოს შვილი პრაპორშჩიკ **ქაოხოსრო ივანეს ძე ჯავახიშვილისა** (დაბ. 1800), რომელსაც 1832 წლის შეთქმულების ზოგიერთი წევრი (ლუარსაბ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი...) თანამზრახველად ასახელებდა. ამის გამო ქ. ჯავახიშვილი საგამომძიებლო კომისიამ დაკითხა, თუმცა ქაიხოსრომ ყველაფერი უარყო – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) გრიგოლ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) დიმიტრი – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 311

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) ზაქარია – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) ივანე – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) იოსებ – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. პოდპორუჩიკია – 309

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) კონსტანტინე – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), 1863 წ. საგუბერნიო მდივნის (Губернский секретарь) ჩინი აქვს – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) მიხეილ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან); შესაძლებელია, ეს იყოს **მიხეილ ესტატეს ძე ჯავახიშვილი** (დაბ. 1807), რომლისთვისაც, 1832 წლის შეთქმულების მასალების მიხედვით, ელიზბარ ერისთავს გაუნდვია შეთქმულების ამბავი და მისგან აჯანყებაში მონაწილეობაზე თანხმობაც მიუღია. ამის გამო მ. ჯავახიშვილი საგამომძიებლო კომისიამ დაკითხა, თუმცა დაკითხულმა ბრალდება უარყო – 310

ჯავახიშვილი (ჯავახოვი) ნიკოლოზ – ქართლელი აზნაური (გორის მაზრიდან) – 310

ჯამბაკურ-ორბელიანი – იხ. **ორბელიანი**

ჯანდიერი ალექსანდრე (I) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. პრაპორშჩიკია – 318

ჯანდიერი ალექსანდრე (II) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 317

ჯანდიერი (ჯანდიეროვი) ალექსანდრე ზურაბის ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ჯანდიერი (ჯანდიეროვი) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ჯანდიერი გიორგი (დაბ. 1808) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), პოლკოვნიკი, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1853-1856 („ყირიმის“) ომის მონაწილე, ჩოლოქის ცნობილი ბრძოლის გმირი – 318

ჯანდიერი გიორგი – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან), 1863 წ. პორუჩიკია; შესაძლებელია, ეს იყოს „კახელი თავადიშვილი გიორგი ჯანდიერი“, რომელსაც 1870-იან წწ. „ისეთი პატარა და მსუბუქი გუთანი მოუგონია, რომელსაც ორი-სამი უღელი ხარი ძალიან ადვილად ამუშავებს“ („დროება“, 29.VIII, 1875, №98) – 318

ჯანდიერი დიმიტრი (I) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 318

ჯანდიერი დიმიტრი (II) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ჯანდიერი ლუარსაბ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან) – 366

ჯანდიერი სფირიდონ – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 315

ჯანელიძეები – იმერეთში (თერჯოლის მაზრა) მცხოვრები აზნაურები – 191

ჯოლოგუა თამაზ – XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 3, 4, 409, 473, 476, 477, 480; იხ. აგრეთვე: **თ. ჯ.**

ჯორჯაძე – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან). 1863 წ. პოდპორუჩიკია – 316, 467

ჯორჯაძე ალექსანდრე (I) – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან). 1863 წელს აქვს კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი – 316, 467

ჯორჯაძე ალექსანდრე (II) – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან). ეს უნდა იყოს მამა **ზაქარია ალექსანდრეს ძე ჯორჯაძისა** (1847-1895), მდიდარი და გავლენიანი მემამულისა, რომელსაც სოფ. საბუეში ევროპული ტიპის ღვინის ქარხანა ჰქონდა მოწყობილი (აგრონომიული განათლება ავსტრიაში მიიღო; 1888 წ. მისმა ღვინომ ბრიუსელის სამეურნეო გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა); ზ. ჯორჯაძე იყო „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი (1880-იანი წწ.), ეწეოდა ქველმოქმედებას (აარსებდა ბიბლიოთეკებს, ხელს უწყობდა ქართული პრესის განვითარებას და სხვ.). დაკრძალულია მშობლიურ სოფ. საბუეში – 315

ჯორჯაძე არჩილ (1872-1913) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციოლოგი, პუბლიცისტი (ფსევდ. „საბუელი“), „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ფაქტობრივი მეთაური, პარიზში გამომავალი ქართული გაზეთის, „საქართველოს“ (1903-1905), თანარედაქტორი (გიორგი ლასხიშვილსა და

თედო სახოკიასთან ერთად), თვალსაჩინო ფიგურა ქართული კულტურის ისტორიაში – 414-416, 424, 451, 453, 458, 459, 480
ჯორჯაძე გიორგი – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. შტაბს-კაპიტანია – 316
ჯორჯაძე დიმიტრი – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. კოლეგიის მრჩევლის (Коллежский советник) ჩინი აქვს – 316
ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1821-1883) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი (1863 წ. სამოქალაქო მრჩევლის ჩინი ჰქონდა), „კავკასიის ომის“ მონაწილე (ერთხანს თემირხანშურაში დაღესტნის საოლქო კანცელარიის მმართველად მსახურობდა), მწიგნობარი, ბიბლიოფილი, ქველმოქმედი, „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი კომიტეტის წევრი, მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში“ (ერთხანს თავმჯდომარეობდა ამ ორგანიზაციას). გარდაიცვალა მშობლიურ სოფელ ენისელში, დაკრძალულია გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში (გრიგოლ არქიმანდრიტის სიტყვა წარმოთქმული დიმ. ჯორჯაძის დაკრძალვაზე იხ. „დროება“, 1883, 1.XII, №242) – 315, 451
ჯორჯაძე იოსებ – კახელი თავადი (სიღნაღის მაზრიდან), 1863 წ. შტაბს-კაპიტანია – 316

ჰ

ჰაანი – იხ. **განი პავლე**

Авалов А. С. – 472; იხ. აგრეთვე: **ავალიშვილი (ავალოვი) ალექსანდრე**
Александр Самойлович – იხ. **Френкель А. С.**
Андроников С. И. – 417; იხ. აგრეთვე: **ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) სოლომონ**

Багратион-Мухранский Г. К. – 406; იხ. აგრეთვე: **მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) გიორგი**

Багратион-Мухранский И. К. – 406; იხ. აგრეთვე: **მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე (იოანე)**

Барятинский А. И. – 407, 413, 474; იხ. აგრეთვე: **ბარიატინსკი ალექსანდრე**

Брокгауз Ф. А. – 473; იხ. აგრეთვე: **ბროკჰაუზი ფრიდრიხ არნოლდ**

Бутков П. Г. – 473; იხ. აგრეთვე: **ბუტკოვი პეტრე**

Гугушвили П. В. – 419, 434, 473; იხ. აგრეთვე: **გუგუშვილი პაატა**

Джамбакуриан-Орбелианов А. Д. – 406; იხ. აგრეთვე: **ორბელიანი (ჯამბაკურიან-ორბელიანი) ალექსანდრე**

Ефрон И. А. – 473; იხ. აგრეთვე: **ეფრონი ილია**

Зиссерман А. Д. – 474; იხ. აგრეთვე: **ზისერმანი არნოლდ**

Кипиани Д. И. – 398, 406, 413, 420, 421, 434, 435, 448, 454, 456, 460, 472, 477; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**

Меликов С. Г. – 472, 477; იხ. აგრეთვე: **მელიქიშვილი სტეფანე**

Мингрельский Н. Д. – 472; იხ. აგრეთვე:**დადიანი-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

Тархан Моуравов К. Д. – 406; იხ. აგრეთვე: **თარხან-მოურავი (თარხან-მოურავოვი) კონსტანტინე**

Ушаков Д. Н. – 476; იხ. აგრეთვე: **უშაკოვი დიმიტრი**

Френкель А. С. – 461, 476; იხ. აგრეთვე: **ფრენკელი ალექსანდრე**

Чудинов А. Н. –479 ; იხ. აგრეთვე: **ჩუდინოვი ალექსანდრე**

Чхетия Ш. К. – 416, 420, 463; იხ. აგრეთვე: **ჩხეტია შალვა**

Эристов Г. Р. – 406; იხ. აგრეთვე: **ერისთავი (ერისთოვი) გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე**

გეოგრაფიულ სახელთა

აბაშეთი – იხ. ეთიოპია (აბაშეთი)

აგრამ დარჩიეთი – იხ. დარჩეთი (დარჩიეთი)

ალაზანი – 320, 321, 357, 362, 373
ალექსანდროვსკი – 405
ამიერკავკასია – 4, 7, 13, 19, 34, 35, 38, 44, 47, 54, 57, 61-64, 68, 70-72, 75, 81-89, 97, 106, 107, 109-111, 203-205, 208, 214, 218, 247-251, 257, 260, 261, 264, 270, 271, 273, 274, 276, 278, 281, 400, 401, 407, 410, 412-416, 422, 423, 433, 441, 444, 445, 452, 454, 456, 457, 462, 474, 477; იხ. აგრეთვე: კავკასია, Закавказье, Кавказ
ანაგა – 357
ანგლია – იხ. ინგლისი (ანგლია)
ანდი – 455
აფხაზეთი – 86, 88, 89
ახალციხე – 15

ბამბაკი – 16
ბაქო – 359
ბეჟათუბანი – 166, 197
ბეჟანიანი – 320
ბერლინი – 425
ბესარაბია – 59
ბორჩალო – 363

განჯა – 114, 429; იხ. აგრეთვე: ელიზავეტპოლი
გდეისი – იხ. დეისი
გეორგიევსკი – 405
გერგებილი – 455
გოლათუბანი – 166, 197
გორდი – 425
გორი – 138-140, 142, 166, 309, 312, 327, 330, 337, 343, 420, 423, 430, 435, 436, 437, 439, 451, 453
გურია – 7, 11, 14, 16, 17, 34, 75, 79, 80-83, 86, 150, 398, 399, 401, 404, 427, 431, 469; იხ. აგრეთვე: Гурия
გურჯაანი – 362

დარღო – 455
დარჩეთი (დარჩიეთი, აგრამ დარჩიეთი) – 363
დაღესტანი (დაღისტანი) – 319, 356
დეისი (გდეისი) – 166, 197
დერბენტი (დერბენდი) – 112, 113, 125, 359
დუზაგრამა (დუზაგრამი) – 363

ევროპა – 164, 340, 341, 426, 468
ეთიოპია (აბაშეთი) – 468

ეკატერინოსლავი – 30
ელიზავეტპოლი (ელისაბედპოლი) – 166, 167, 197, 429; იხ. აგრეთვე: განჯა
ერევანი – 359
ესპანეთი (ისპანია) – 426

ვარშავა – 19
ვახანი – 166, 197
ველიკოროსია – 88, 89
ვენა – 429
ვეჯინი – 362
ვოზნესენსკი – 30
ვოლოგდა – 404

ზედუბანი – 166, 197
ზვარე – 166, 197
ზიარი – 363
ზუგდიდი – 479

თავრიზი – 30
თბილისი – 3, 7, 11, 43, 54, 64, 67, 92, 98, 106, 107, 111, 112, 204, 207-209, 213, 214, 225, 228, 237-239, 241-243, 397, 399, 404, 406, 408, 410, 418-420, 422-426, 429, 430, 433, 435, 439, 441-443, 445-448, 451-453, 458, 472, 474, 482; იხ. აგრეთვე: ტფილისი, თფილისი, Тифлис
თელავი – 27, 28, 140, 142, 143, 166, 315, 317, 319, 321, 386-388, 420, 423, 430, 435-439, 451, 453
თელარი – იხ. თულარი.
თერჯოლა – 191
თიანეთი (თიონეთი) – 166, 167, 197, 430
თრიალეთი – 16, 48, 51, 147, 402, 403; იხ. აგრეთვე: Триалети
თულარი (თელარი) – 363
თურქეთი – 15, 72, 75-77; იხ. აგრეთვე: ოსმალეთი
თუქურმიშა – 357
თფილისი – 437, 474; იხ. აგრეთვე: თბილისი, ტფილისი, Тифлис

ივერია – 397; იხ. აგრეთვე: საქართველო, Грузия
იმერეთი – 7, 11, 14, 16, 17, 28, 34, 35, 37-39, 43-61, 66-68, 75, 77-81, 84, 86, 150, 398, 399, 404, 408, 427, 431, 452, 469; იხ. აგრეთვე: Имеретия
ინგლისი (ანგლია) – 341, 342, 424, 428, 429

ინდოეთი – 428
იორი – 357, 362, 363
ისპანია – იხ. ესპანეთი (ისპანია)
იტალია – 468

კავკასია – 7, 30, 35, 37, 38, 40, 41, 43, 75, 78, 84-89, 105-107, 109, 111, 112, 126, 134, 135, 156, 186, 203-205, 208, 212, 248, 274, 319, 369, 370, 402, 404, 405, 407, 408, 410, 411, 413, 415, 423-425, 428, 433, 434, 440, 441, 443-446, 455, 461, 474; იხ. აგრეთვე: ამიერ-კავკასია, Закавказье, Кавказ
კავკასიონი (კავკასია) – 362
კასპია – 77
კახეთი – 171, 189, 239, 318-321, 337, 356, 359, 369, 372, 373, 380, 388, 389, 395, 405, 426, 431, 464
კიკეთი – 446
კიტაია – იხ. ჩინეთი (კიტაია)
კოვნო – 39
კოსტრომა – 39
კუკია – 458
კურსკი – 39

ლამბალო (ლამბარო) – 363
ლეჟბადინი (ლაჟბადინი, ლაჯბადინი) – 363
ლიახვი – 105
ლიტვა – 297, 459

მალოროსია – იხ. უკრაინა (მალოროსია)
მელაანი (მელანი) – 363
მთიულეთი – 166, 167, 197, 430
მოგილევი – 39
მოზდოკი – 405
მოლითი – 166, 197
მოსკოვი – 410, 457; იხ. აგრეთვე: Москва

ნებოძირი – 166, 197
ნოვოროსია – 59

ოჟიო – 387
ოსმალეთი (ოსმალო) – 356, 415; იხ. აგრეთვე: თურქეთი
ოსტზეე (ოსტზეი) – 340

პეტერბურგი – 228, 247, 402, 425, 430, 442, 446, 447, 452, 453, 455; 556

იხ. აგრეთვე: სანქტ-პეტერბურგი (ს.-პეტერბურგი), Санкт-Петербург
პოლონეთი (პოლშა) – 30, 247, 340, 468
პოლტავა – 297, 459
პრუსია (პრუსსია) – 340, 341

რედუტ-კალე – 54, 67
რუსეთი – 11, 17, 19, 22, 24, 25, 31, 39-41, 52, 56, 58, 60, 67, 72, 75, 80, 83, 89, 90, 98, 107, 108, 120, 134, 186, 193, 261, 271, 319, 327, 328, 340, 341, 344, 358, 369, 388, 401, 404, 409, 410, 413, 415, 416, 426, 429, 431-433; იხ. აგრეთვე: Russie

საბუკე – 78
საენდრონიკო – 362
სამეგრელო – 14, 64-68, 86, 88, 89, 150, 424, 425, 442, 459, 473, 477
სანქტ-პეტერბურგი (ს.-პეტერბურგი) – 64, 410; იხ. აგრეთვე: პეტერბურგი, Санкт-Петербург
საფრანგეთი – 428
საქართველო – 7, 8, 11-20, 22, 24-32, 35, 37-60, 65-68, 70-72, 74-79, 85, 86, 90, 92, 97, 98, 103, 133, 141, 144, 145, 150-152, 156, 167, 168, 170, 178, 186, 193, 306, 321, 327-329, 332, 335, 336, 355, 358, 369, 378, 395, 398, 399, 402, 405, 406, 408, 409, 411, 416, 419, 420, 426-428, 430-434, 440, 448, 452, 455, 463, 468, 469, 472, 474-476, 478, 479; იხ. აგრეთვე: ივერია, Грузия
სვანეთი – 473
სიღნაღი (სიღნახი) – 140, 141, 166, 183, 189, 199, 316, 319, 354, 356-359-363, 365, 372, 420, 423, 430, 435, 437, 439, 451, 453
სომხეთი (ქვეყანა) – 15
სომხითი (სომხეთი; ქართლის პროვინცია) – 16, 402; იხ. აგრეთვე: Сомхети
სპარსეთი – 15, 72, 75, 76
სტავროპოლი – 85, 405
სურამი – 303, 304, 343

ტამბოვი – 39
ტარკი – 86
ტფილისი – 7, 133-135, 138, 140, 142, 143, 152, 166, 167, 193, 197, 314, 330, 359, 361, 363, 397, 419-422, 434, 449-451, 464, 467, 471, 474, 479; იხ. აგრეთვე: თბილისი, თფილისი, Тифлис

უკრაინა (მალოროსია) – 297, 459

ურიასტანი – 468

ფინეთი – 80
ფხოველი – 363
ქართლი – 142, 170, 361, 395, 402, 403, 405, 426, 431, 464; იხ. აგ-
    რეთვე: ქართლოსი (სამეფო)
ქართლოსი (სამეფო) – 90; იხ. აგრეთვე: ქართლი
ქეშელო – 363
ქვიშხეთი – 305, 460
ქოდალო (ქოდალა) – 363
ქუთაისი – 34, 78, 83, 191, 197, 215, 411, 425, 452, 475
ქურუქ-დარა – 455

ღუნიბი – 433

ყაბარდო – 455
ყაზახი – 16
ყარსი – 416
ყიზლარი – 405
ყირიმი – 416, 455
ყუბა – 114
ყუბანი – 59

შამშადილი – 16
შემახა – 111-113, 118, 120, 125
შიბლიანი – 363
შორაპანი – 166, 197
შოტლანდია – 428
შურაგელი – 16

ჩერნიგოვი – 297, 459
ჩდილი – იხ. ჩრდილი (ჩდილი)
ჩითახევი – 458
ჩინეთი (კიტაია) – 468
ჩრდილი (ჩდილი) – 166, 197

ცარსკოე-სელო – 212, 441, 442, 444-446
ციმბირი – 84, 85, 87, 88

წიწმატიანი – 363

ხარაგაული (ხორაგაული) – 197

ხერსონი – 244
ხიდისთავი – 343
ხორაგაული – იხ. ხარაგაული
ხორხელი – 387

Грузия – 398, 406, 416, 420, 435, 440, 463; იხ. აგრეთვე: ივერია, საქართველო
Гурия – 398; იხ. აგრეთვე: გურია
Закавказье – 441, 452, 454, 456; იხ. აგრეთვე: ამიერკავკასია, კავკასია, Кавказ
Имеретия – 398; იხ. აგრეთვე: იმერეთი
Кавказ – 402, 403, 407, 441, 461, 472, 473, 476; იხ. აგრეთვე: კავკასია, ამიერკავკასია, Закавказье
Москва – 406; იხ. აგრეთვე: მოსკოვი
Сомхети – 402; იხ. აგრეთვე: სომხითი (სომხეთი; ქართლის პროვინცია)
Тбилиси – 482
Тифлис – 406, 420, 421, 434, 435, 440, 448, 463, 472; იხ. აგრეთვე: თბილისი, თფილისი, ტფილისი
Триалети – 402; იხ. აგრეთვე: თრიალეთი

Russie – 429; იხ. აგრეთვე: რუსეთი

საგამომცემლო ჯგუფი

იზა ხარეგავა

ირაკლი უშვერიძე

ილია ხელაია

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com